780
1989/2

ISSN 0134-9848

# საუნჯე

1989/2

მარტი-აპრილი

№269
(2)





დიეგო ველასკესი. ინფანტა მარგარიტას პორტრეტი

# საუნჯე

1989/ 2
მარტი
აპრილი
(89)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შინაარსი

### პროზა და პოეზია

იასუნარი კავაბატა. ათასფრთიანი წერო. რომანი. დასასრული. თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა 3
ტაო იუან მინი. ლექსები. ჩინურიდან თარგმნა მურმან ჯგუბურიამ 62
გაბრიელ გარსია მარკესი. გულუბრყვილო ერენდირასა და მისი ულმობელი ბებიის დაუჯერებელი და სევდიანი ამბავი. მოთხრობა. ესპანურიდან თარგმნა თეა გვახალიამ 68
ხალის გურტუევი. ოთხი ვაშლის ხე. პოემა. თარგმნა მაყვალა გონაშვილმა 97
ნიკოლაი ევდოკიმოვი. მოლოდინი. მოთხრობა. თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ 102
კორნეი ჩუკოვსკი. ბარმალეი. თარგმნა ნათელა ონაშვილმა 138
ამერიკელ ინდიელთა ხალხური პოეზია. თარგმნა ნანა ჟურულმა 142
ნიკოლაე ესინენკუ. ალო, ტეო! მოთხრობები. თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ 145
ისიდორ კოზათი. ლექსები. ოსურიდან თარგმნა ნოდარ ნარსიამ 174
ედგარ ალან პო. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ვაჟა შიუკაშვილმა 177
იური ბონდარევი. არჩევანი. რომანი. გაგრძელება. თარგმნა გივი ციცქიშვილმა 179

### წერილები

ვლადიმირ კოროლენკო. წერილები ლუნაჩარსკის. თარგმნა რუსუდან ქიბულაძემ 226
ლიტერატურული პროცესების ერთიანობა, განსხვავება და ურთიერთგავლენა. თარგმნა ელზა ახვლედიანმა 248
კონრად ლორენცი. ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა. თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა 271
გიოტც ეკარდტი. დიეგო ველასკესი. თარგმნა ეთერ ყურაშვილმა 310
გამოჩენილ ადამიანთა ღიმილი. გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილმა 319

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
მთავარი სარედაქციო კოლეგია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი:
შოთა ნიშნიანიძე

სარედაქციო კოლეგია:
ელზა ახვლედიანი
ჯემალ აჯიაშვილი
გიორგი გაჭანიძე
მზია ბაქრაძე
ბაჩანა ბრეგვაძე
გურამ გოგიაშვილი
ნანა დარჩია (პ.გ. მდივანი)
მაგალი თოდუა
ნოდარ კაკაბაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახუშტი კოტეტიშვილი
მუხრან მაჭავარიანი
რომან მიმინოშვილი
გიორგი ნიშნიანიძე
ოთარ ნოდია
დალი ფანჯიკიძე
რუსუდან ქებულაძე
იორამ ქემერტელიძე
ნიკო ყიასაშვილი
გივი შაჰნაზარი
გივი ძნელაძე (მთ. რედ. მოადგილე)
დავით წერედიანი
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
რეზო ჭეიშვილი

გარეკანზე: დიეგო ველასკესი. წყლის გამყიდველი.

მხატვარი ა. თოდრია, მხატვრული რედაქტორი ა. ვართაგავა, ტექრედაქტორი კ. იმნაიშვილი
გამომშვები ნანა ბარძაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2
ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-47-31. პასუხისმგებელი მდივანი — 99-60-22.
განყოფილებათა გამგეები — 72-26-30

გად. წარმ. 13. 01. 89 წ., ხელმოწ., დასაბეჭდად 18. 04. 89 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/16
საალრ. თ. 23,7. სასტ. თ. 28. სააღრიცხვო-საგამომცემლო? 

ფასი 1 მან. 40 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის
ორდენოსანი სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

# იასუნარი კავაბატა

# ათასფრთიანი წერო

რომანი

თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მექვიშიები ტალღებზე

1.

მანქანამ, რომელიც სადგურში დაუხვდათ, იზდუს მთას შემოუარა, ზღვისაკენ დაეშვა, წრე მოხაზა და სასტუმროს ეზოში შეგრიალდა. საქარე მინას სინათლის სხივთა კონა დაეცა, მანქანა სადარბაზოს სწრაფად მიუახლოვდა და გაჩერდა.

მათ შესახვედრად სასტუმროს ეზოში გამოსულმა პორტიემ მანქანის კარი გამოაღო:

— თქვენ ალბათ მიტანი-სანი ბრძანდებით?

— დიახ, — გაუბედავად უპასუხა იუკიკომ.

იგი სწორედ იმ კართან იჯდა, რომელიც პორტიემ გააღო და სულ რაღაც ორიოდე საათის გათხოვილ ქალს, ქმრის გვარზე გამოხმაურება, ჩანს, როგორღაც ეუხერხულა.

ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ იუკიკო მანქანიდან პირველი გადმოვიდა და, მანქანისაკენ ნახევრად შებრუნებული, კიკუძის მოლოდინში იქვე მოკრძალებული გაჩერდა.

სასტუმროს წინკარში შესულმა კიკუძიმ ის-ისაა ფეხსაცმლის გახდა დააპირა, რომ პორტიეს სიტყვები შემოესმა:

— თქვენთვის „ჩაის პავილიონია" გამზადებული, კურიმოტო-სენსეიმ ასე გასცა განკარგულება ტელეფონზე...

— რაო?

მოულოდნელობისაგან გაოგნებული კიკუძი წინკარში იატაკზე ჩაჯდა. ეს რომ დაინახა, მოახლემ სასწრაფოდ ძაბუტინი მოურბენინა.

და აი, თვალწინ კვლავ თიკაკოს მარცხენა ძუძუს ნახევარზე გადლაბნილი, მის სხეულზე ეშმაკის ხელით დადებული დამღა — გულისამრევი ტყირპი წარმოუდგა. ასე ეგონა, საკმარისია ფეხსაცმელს თვალი მოვარიდო, თავი მაღლა ავწიო, რომ უწმინდურის შავი, ზეალმართული ხელი დავინახოო.

შარშანდელს აქეთია, მას შემდეგ, რაც სახლი, მთელი თავისი ჩაის ჭურ-

* დასაწყისი იხ. „საუნჯე" № 1, 1989.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ჰელი და ნივთები გაყიდა, კიკუძის თიკაკოსათვის თვალი არ მოუკრავს. მათ შორის ურთიერთობა თავისთავად გაწყდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ეგონა კიკუძის. მიუხედავად ამისა, ნუთუ იუკიკოსა და კიკუძის შეუღლებაში სწორედ თიკაკოს ხელი ერია? და აი, გამოდიოდა, რომ ასე იყო — თიკაკომ მათი საქორწილო მოგზაურობის ამბავიც იცოდა, და, სასტუმროს ეს ნომერიც, როგორც ჩანს, სწორედ მის მიერ იყო შეკვეთილი. ამას კი ნამდვილად არ ელოდა კიკუძი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე გაოგნებულმა ცოლს შეხედა. მაგრამ პორტიეს სიტყვებისათვის იუკიკოს, ჩანს, ყურადღება არ მიუქცევია.

აი, რა ხანია, ისინი გრძელ, ზღვისაკენ დაქანებულ, გვირაბის მაგვარ დერეფანში შეიყვანეს. რა ხანია ამ დერეფანში მოაბიჯებენ, გზადაგზა გვერდითი ნომრებია. ყოველ ნომერს წინ რამდენიმე საფეხურიანი კიბე აქვს... ეს ნომერი კი, რომელსაც „ჩაის პავილიონი" ერქვა, ზუსტად დერეფნის ბოლოში აღმოჩნდა.

ოთახი, სადაც ისინი შევიდნენ, საკმაოდ მოზრდილი, დაახლოებით რვა ტატამი იყო, კიკუძიმ პალტო გაიხადა. იუკიკო ქმარს მიეხმა და პალტო ჩამოართვა.

კიკუძი სწრაფად შემობრუნდა იუკიკოსაკენ და — მე მგონი, მეტისმეტად მალე შევიდა მეუღლის როლშიო, — გაიფიქრა.

მაგიდის გვერდით, კოტაცუზე ოთხკუთხედი ტატამი იყო გადაფარებული.

— ჩაის ცერემონიალის მთავარი დარბაზი გვერდითაა. — თქვა პორტიემ, რომელმაც ეს-ესაა ოთახში ჩემოდნები შემოიტანა. — კარდალა კერიის თავზე ჩამოკიდე... მართალია, მაინცდამაინც ისეთი ვერ არის, მაგრამ...

— როგორ? — გაიოცა ისევ კიკუძიმ, — გვერდითა ოთახიც ჩაის პავილიონია?

— დიახ, ამ ოთახის, აი ამ ყველაზე დიდი ოთახის ჩათვლით, თქვენს ნომერში სულ ოთხი ოთახია და ოთხივე ჩაის პავილიონი. ჩვენ ხომ ამ ნომრების გეგმა ქალაქ იოკაგამადან — „სანკეი-ენის" ნომრებიდან გადმოვიღეთ.

— ჰოო... — თქვა კიკუძიმ, თუმცა ვერაფერი გაიგო.

— ოკუ-სან, — მიმართა პორტიემ ახლა იუკიკოს და თავი მდაბლად დაუკრა, — მეზობელ ოთახში ყველაფერი მზადაა. ისე რომ, როცა კი მოისურვებთ...

— კი, ბატონო... იმ ოთახში ცოტა მოგვიანებით შევიხედავ... — პასუხობდა იუკიკო და თან პალტოს კეცავდა. მერე ფანჯარასთან მივიდა და ზღვას გახედა: — რა ლამაზი ზღვაა! გემებზე სინათლეები ციმციმებს...

— ეს ხომ ამერიკის სამხედრო ხომალდებია.

— რათ? ამერიკის სამხედრო ხომალდები ატამშიაც შემოდიან?! — ამ სიტყვებით კიკუძიც წამოდგა: — რაღაც მეტისმეტად პატარა გემები ჩანს...

— სამაგიეროდ ბლომად არის, მგონი, ხუთი უნდა იყოს...

გემბანზე, დაახლოებით შუა ადგილას, წითელი სინათლეები ენთო.

ქალაქის სინათლეები კი არ ჩანდა, რაღაც მომცრო კონცხი ეფარებოდა. მხოლოდ ნასიკე ურას უბის რაიონი იყო მათ თვალწინ ხელისგულივით გადაშლილი.

ამ დროს მოსამსახურე ქალი შემოვიდა და ჩვეულებრივი ჩაი შემოიტანა. მერე ორივემ — პორტიემაცა და მოსამსახურე ქალმაც ახალდაქორწინებულები დალოცეს და გამოემშვიდობნენ.

კიკუძი და იუკიკო დიდხანს ტკბებოდნენ ღამის სიბნელეში ჩაზვინული ზღვის ცქერით. ბოლოს ფანჯრიდან გამობრუნდნენ და მაყალს მიუსხდნენ.

იუკიკომ თავისი ჩანთა გახსნა — ჩანთიდან დამჭკნარი ვარდი ამოიღო.

— საბრალო ყვავილი... როგორ მეცოდება.

იუკიკოს გუშინ იმ უშველებელი თაიგულით ვაგონში შესვლა როგორღაც ეუხერხულა, ტოკიოს ვაგზალზე თაიგული ერთ-ერთ გამცილებელს გადასცა და თვითონ ეს ერთადერთი ვარდი დაიტოვა.

ყვავილს მაგიდაზე რომ დებდა, ძვირფასი ნივთების შესანახი პარკი შეინახა. პარკი შემნახველ საკანში ჩასაბარებლად იყო გამზადებული.

— მაგ პარკში რა გიდევთ?

— ეს პარკი ძვირფასი ნივთების პარკია.

კიკუძიმ ვარდი ხელში აიღო. იუკიკომ კიკუძის შეხედა და ჰკითხა:

— ვარდის?

— არა, ჩემი ძვირფასი ნივთი ამ პარკში არ ჩაეტევა... ესეც რომ არა, შესანახად მე მას ვერავის ვანდობ.

— რატომ? — მაშინვე მიუხვდა ქარაგმულს იუკიკო. — სხვათა შორის, ჩემს განძს ვერც მე ვანდობ ვერავის.

— მერედა, სად არის ის შენი განძი?

იუკიკოს, ეტყობა, მოერიდა კიკუძისათვის ეთქვა, ჩემი განძი შენა ხარო, და თავი მორცხვად დახარა:

— სად უნდა იყოს, აქ არის...

გვერდითა ოთახიდან კარდალის თუხთუხი მოისმა.

— ჩაის პავილიონი ხომ არ დაგვეთვალიერებინა?

იუკიკომ თავი დაუქნია.

— მართალია, არც ისე დიდი სურვილი მაქვს, მაგრამ... — დასძინა კიკუძიმ.

— რატომ? იგი ხომ საგანგებოდ მოაწყვეს ჩვენთვის.

კიკუძიმ და იუკიკომ ჩაის პავილიონისაკენ მიმავალი პატარა დერეფანი გაიარეს. იუკიკომ პირველ რიგში ტოკონომა დაათვალიერა საგულდაგულოდ. კიკუძი პავილიონში არ შესულა, კარებწინ ტატამიზე გაჩერდა და დაელოდა.

— თქვენ ამბობთ, საგანგებოდ ჩვენთვისაო, არა? როგორ გგონიათ, აქაც კურიმოტოს ხელი ხომ არ ურევია? — თქვა გესლიანად კიკუძიმ.

ქალმა ქმარს უსიტყვოდ შეხედა. მერე კერის პირას ისე ჩაჯდა, თითქოს ჩაის დაყენებას უნდა შეუდგესო, მაგრამ ხელი არ გაუნძრევია, როგორც ჩანს, ელოდა, კიდევ რას ეტყოდა მეუღლე.

ბოლოს კიკუძიც მივიდა და კერის პირას ისიც ცოლის გვერდით დაჯდა.

— მართალი გითხრა, ამაზე საუბრის ჩამოგდება სულაც არ მინდოდა, მაგრამ... რახან სიტყვამ მოიტანა... წეღან ვესტიბიულში მისი სახელი რომ გავიგონე, ტანში გამცრა. სადაც არ წავედი, ყველგან ავი ბედისწერასავით თან დამყვება, ჩემს ცხოვრებაში თუ რამ დანაშაული და სანანებელი ჩამიდენია, ყველაფერი ამ ქალთან.... მის სახელთან არის დაკავშირებული.

იუკიკომ თავი ოდნავ დაუქნია.

— კურიმოტო ახლაც დადის თქვენს სახლში? — ჰკითხა ბოლოს კიკუძიმ.

— გასულ ზაფხულს მამა ძალიან გაუბრაზდა, მას შემდეგ ერთხანს ფეხი არ მოუდგამს.

— სწორედ გასულ ზაფხულს არ მითხრა, იუკიკო-სანი გათხოვდაო?..

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა გაოცებისაგან თვალებგაფართოებულმა იუკიკომ. — ალბათ მაშინ, ჩვენთან რომ მოვიდა და წინადადება მომცა. ოღონდ, თქვენი კი არა, ვიღაც სხვა კაცის სახელით. სწორედ მაშინ იყო, მამა რომ გადაირია: — „რა უფლება აქვს, ერთმა მაჭანკალმა ჩემს ქალიშვილს ხან ერთი კაცი გაურიგოს, ხან მეორე, დამცინის თუ რა! აქამდე, ერთთან არაფერი გამომივიდა, ახლა ავდგები და ბედს მეორესთან ვცდიო.. ისეთი მადლობელი ვიყავი მამაჩემის, ისეთი მადლობელი... ის რომ არა, თქვენი ცოლი მე ალბათ ვერასოდეს გავხდებოდი...

ბიბლიოთეკა

კიკუძის ხმა არ ამოუღია.

— მაგრამ არც ქალბატონი კურიმოტო დარჩენილა ვალში, — განაგრძო იუკიკომ. — ასე თქვა, მიტანი-სანს ჯადო აქვსო და თქვენი და ქალბატონი ოოტას ამბავი თავიდან ბოლომდე დაწვრილებით მოუყვა. ვერ წარმოიდგენთ, როგორ შემეზიზღა! არ ვიცი, ზიზღმა ამიტანა თუ რა იყო, თავს ვერ ვიკავებდი, მთელი სხეული მითრთოდა... მაგრამ მე ხომ მხოლოდ თქვენს ცოლობაზე ვოცნებობდი, ჩემი ის ნერვიულობა და კანკალიც, მე მგონი, მხოლოდ ამისი ბრალი იყო. ცხადია, მამა მაშინვე მიმიხვდა, რაც მჭირდა — ეტყობა, ისეთი გაუბედურებული სახე მქონდა, შემომხედა თუ არა, მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ქალბატონი კურიმოტო ერთი გვარიანად შეახურა, ასე უთხრა, სასმელი ან ცხელი უნდა იყოს, ან ცივი, აბა ნელთბილს რა გემო აქვს! ჩემი ქალიშვილი მიტანი-სანს უკვე იცნობს, თქვენ თვითონ გააცანით, ისე რომ, მის შესახებ ალბათ თავისი გარკვეული აზრიცა აქვს, დაე, თვითონ გადაწყვიტოს, ვის გაყვეს და როგორ მოიქცესო. ამის შემდეგ კურიმოტო, რა თქმა უნდა, იძულებული გახდა, უკან დაეხია...

სწორედ ამ დროს, ეტყობა, აუზის ასავსებად მეაბანოვე მოვიდა — ოთახში წყლის ჩხრიალი გაისმა.

— მაშინ ძალიან შეწუხებული ვიყავი, მაგრამ ბოლოს მაინც მე თვითონ გადავწყვიტე ჩემი საქმე, ისე რომ კურიმოტო აქ არაფერ შუაშია. ძალიან გთხოვთ, ნუ ღელავთ. რაც შეეხება ჩაის ცერემონიალს... რა უჭირს, მე აქაც თავისუფლად შემიძლია ამის შესრულება.

თქვა იუკიკომ და თავი ასწია. თვალებში ელექტრონის შუქი არეკვლოდა, მღელვარებისაგან ვარდისფრად ანთებული სახე უბრწყინავდა. მისი წითელი, სხივიანი ტუჩებიდანაც კი თითქოს რაღაც შუქნათელი მოედინებოდა... და კიკუძის ამ ქალის, აი ამ ნათელი, საოცრად მახლობელი ქალის მიმართ გული არაჩვეულებრივი მადლიერებით აევსო. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მისგან წამოსული ეს თვალისმომჭრელი სინათლე სხეულში სითბოდ ეღვრებოდა, მთელ მის არსებას ავსებდა.

— დიახ, ეს ამბავი გასულ წელს მოხდა... მგონი, მაისი იყო, გახსოვთ, ჩაის პავილიონში რომ მეწვიეთ, ზამბახებიანი ობი რომ გეკეთათ? სწორედ მაშინ გავიფიქრე, ეს გოგო ჩემთვის სრულიად მიუწვდომელია-მეთქი.

— ეს იმიტომ, რომ თან იტანჯებოდით და თან თავი მედიდურად გეჭირათ... — გაიღიმა იუკიკომ. — ის ზამბახებიანი ობიც გახსოვთ? იცით, სხვა ჩემს ბარგთან ერთად ისიც გამოვაგზავნე, ახლა ალბათ ჩამოსულიც იქნება.

იტანჯებოდითო... თქვა იუკიკომ. თავის ამბავს რომ ჰყვებოდა, თავის თავს ეწყობა... ვ. ვ.

დღესაც კიუსიუს პატარა ქალაქ ტაკედადან მოულოდნელად ფუმიკოს წერილი რომ მიიღო, დაადო თავი და იმავე დღეს ტაკედაში გაიქცა. მაგრამ მას შემდეგ კიკუძიმ კიდევ კარგა ხანს ეძება იგი ამაოდ. აგერ უკვე წელიწად-ნახევარმა გაიარა, მისი ასავალ-დასავალისა კი დღესაც არაფერი იცის.

წერილი, რომელშიაც ფუმიკო ასე მხურვალედ ემუდარებოდა, სამუდამოდ დაგვივიწყე მეცა და დედაც, ცოლად იუკიკო ინამურა ითხოვეო, ჩანს, გამოსათხოვარი წერილი იყო. იმ დღიდან იუკიკომ და ფუმიკომ თითქოს ადგილები გაცვალეს — „სრულიად მიუწვდომელი" ახლა იუკიკო კი არა, უკვე ფუმიკო იყო.

ჩანს, კაცმა არასოდეს არ უნდა თქვას, ესა და ეს ადამიანი ჩემთვის სრულიად მიუწვდომელიაო, ამქვეყნად, გამოდის რომ „სრულიად მიუწვდომელი" არავინ არ არის. ჰოდა, რახან არავინ არ არის, ესე იგი, არც ამ სიტყვების ტყუილუბრალოდ რახარუხია საჭირო, — გაიფიქრა კიკუძიმ გუნებაში.

2.

უკან, დიდ ოთახში რომ შებრუნდნენ, მაგიდაზე რაღაც ალბომი დაუხვდათ.

კიკუძიმ ალბომი გადაშალა.

— ა-ა, ამ პავილიონის ფოტოები ყოფილა! მე კი შემეშინდა, ვიფიქრე, ყველა იმ ახალდაქორწინებულთა სურათები თუა, ვინც კი ოდესმე ამ ნომერში გაჩერებულა-მეთქი.

თქვა და ალბომი იუკიკოს მიუცურა.

ალბომის პირველ, ჩაწებებულ ფურცლებზე პავილიონის ისტორია იყო მოთხრობილი. „კენგეცუს სენაკი", როგორც თავის დროზე ამ პავილიონს ეძახდნენ, ოდესღაც თურმე ედოელი სამურაის — კავამურა უსოს საკუთრება იყო. ედოდან იგი იოკაგამაში, „სანკეი-ენის" პარკში გადმოუდგამთ, მაგრამ ომის დროს საშინლად დაუბომბავთ, რის შედეგადაც შენობა ძალიან დაზიანებულა, სახურავი ჩანგრეულა, კედლები დამსკდარა და ჩამოწოლილა. ისედაც დანგრეული და ჩაოხრებული შენობა წლითიწლობით თურმე სულ უფრო ინგრეოდა და ნადგურდებოდა, ამიტომაც ამდგარან და ბოლოს იგი ამ სასტუმროს ბაღში გადმოუტანიათ. აღდგენის დროს საამშენებლო მასალაც იგივე გამოუყენებიათ და გეგმაც უცვლელად დაუტოვებიათ. ახალი მხოლოდ საბანაო მიუშენებიათ, ესეც იმის გამო, რომ სასტუმრო სამკურნალო ცხელ წყლებზე იყო აგებული... შიგადაშიგ დედაბოძს თურმე ცულის ნაკვალევი ატყვია. როგორც ჩანს, ომის დროს, იმ გაჭირვებისა და სათბობის ნაკლებობაში, იოკოგამელებს ხის მასალის შეშად გამოყენება მოუნდომებიათ.

— აი აქ წერია, სენაკში თავად ოოისი კურანოსუკეა[1] ნამყოფიო. — ამბობდა იუკიკო და ალბომს შლიდა.

— სწორეა, კავამურა უსო ხომ აკაოს კლანის შინაური კაცი იყო. მისეული კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნივთიც არის შემორჩენილი: წიწიბურას ატრიის ფიალა — „კავამურა-სობა" — რომლისთვისაც პატრონს „ძანგეცუ" ანუ „გამთენიის მთვარე" დაურქმევია, ვინაიდან ღია ლურჯი ფერის ჭიქურს

---

[1] ოოისი კურანოსუკე (ანუ იოსიო) — აკაოს გვარის გამგებელი გენროკუს პერიოდში (1688-1704).

ერთ ადგილას მკრთალი მოყვითალო ფერი გადაჰკრავს, რაც მნახველზე გამთენიის ხანს მთვარით განათებული ცის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ალბომში კიდევ რამოდენიმე ფოტოსურათიც იყო. მაგალითად, პავილიონი დაბომბვამდე; პავილიონი დაბომბვის შემდეგ; მოსამზადებელი და აღდგენითი სამუშაოები; პავილიონის გახსნა და პავილიონის გახსნასთან დაკავშირებული ჩაის საზეიმო ცერემონიალი.

ეროვნული

თუ „კენგეცუს სენაკში“ ნამდვილად ოოისი კურამისეული ნაყოფი, ესე იგი, გამოდის რომ, სენაკი არაუგვიანეს გენროკუს პერიოდშია აგებული.

ტოკონომას შეყენებული ბოძი კი, როგორც ჩანს, კიდევ უფრო ძველია.

ალბომი მოსამსახურე ქალმა, ეტყობა, მაშინ შემოიტანა, როდესაც კიკუძი და იუკიკო მეორე, პატარა ოთახში იყვნენ გასულები — შემოვიდა დარაბების დასახურად და ალბომიც შემოაყოლა.

— ტანისამოსს ხომ არ გამოიცვლიდით? — ჰკითხა იუკიკომ და ალბომს ერთხელ კიდევ გადახედა.

— თქვენ?

— მე ხომ კიმონო მაცვია. ვიდრე თქვენ დაიბანთ, ბარგს გავხსნი, საჩუქრებს, ნამცხვარს და კანფეტებს ამოვიღებ.

მთელ საბანაოში ახლად დამუშავებული ხის სუნი ტრიალებდა.

აუზი, სამრეცხაო, კედლები, იატაკი — ყველაფერი მოყვითალო ფერის ხის მასალით იყო მოპირკეთებული.

შორიდან გრძელ დერეფანში მომავალი მოსამსახურე ქალების ხმა გაისმა.

აბაზანიდან დაბრუნებულ კიკუძის იუკიკო ოთახში არ დაუხვდა.

მაგიდა ახლა კედელთან იყო მიდგმული, ლოგინები გაშლილი. ვიდრე მოსამსახურე ქალი ოთახს ალაგებდა და ლოგინებს შლიდა, იუკიკო, ეტყობა, მეორე ოთახში გაერიდა.

— შეიძლება, მაყალში ცეცხლი ანთებული დავტოვო? — გაისმა იუკიკოს ხმა გვერდითა ოთახიდან.

— მე მგონი, შეიძლება...

კიკუძის სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ იუკიკო შემოვიდა. მოდიოდა და კიკუძის ისე დაჟინებით მისჩერებოდა, თითქოს გვერდზე გახედვა არ შეეძლო.

— გემრიელი სახმარია?

—რა? კიმონო? — კიკუძიმ სასტუმროს თბილ, დალიანდაგებულ კიმონოზე დაიხედა. — ძალზე კარგი წყალია, არ გინდათ იბანაოთ? — უთხრა ბოლოს იუკიკოს.

— კი, როგორ არა...

იუკიკო გვერდითა ოთახში გავიდა, ჩემოდანი გახსნა და რაღაც-რაღაცების ამოლაგებას შეუდგა. მერე სიოძი გაწია, ისევ აქეთა ოთახში გამოვიდა, ნესესერი ზურგს უკან დაიდო, დაჯდა, მისალმების ნიშნად თავი მდაბლად დახარა, თითებით ტატამის ოდნავ შეეხო, ბოლოს წამოდგა, ბეჭდები წაიძრო, ტრიუმოზე დაალაგა და ლაწვებწამოწითლებული ოთახიდან გავიდა.

ეს თავის დაკვრა და მისალმება კიკუძისთვის ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, გაოცებისაგან ჯერ კინაღამ იყვირა, მერე კი გული ისე აუჩუყდა, ლამის ცრემლები წამოსცვივდა.

ბოლოს ისიც წამოდგა, ტრიუმოსთან მივიდა და ბეჭდებს თვალიერება დაუწყო. ნიშნობის ბეჭდისათვის ხელი არ უხლია. მექსიკური ოპალისთვლიანი

ბეჭედი აიღო და ხიბატისთან ისევ თავის ადგილას დაჯდა. გაბდღვრიალებულ სინათლეში ხელისგულზე დადებული ბეჭედი ათასფრად ციმციმებდა. თითქოს რაღაც შუქმომფინარე პაწაწა ცოცხალი არსებები არიანო. მოციმციმე წერტილები ირგვლივ სიხარულის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ. კიკუძი იჯდა და ბეჭედს მოჯადოებულივით შეჰყურებდა.

საბაზანოდან დაბრუნებული იუკიკო კვლავ პატარა, მთავარი ოთახის მარჯვნივ მდებარე ოთახში შევიდა. მარცხნივ კიდევ ორი ოთახი იყო, თითოეული დაახლოებით სამი-ოთხი ტატამის მოცულობის და ისინიც ჩაის ცერემონიალის ყაიდაზე გაწყობილი. მოსამსახურე ქალმა მათი ჩემოდნები წეღან სწორედ იმ მარჯვენა პატარა ოთახში დაალაგა.

იუკიკოც, ჩანს, ახლა იმ ჩემოდნებთან ტრიალებდა.

— შეიძლება, სიოძი გავწიო? იცით, მეშინია... — თქვა იუკიკომ და დიდსა და პატარა ოთახებს შორის სიოძი გაწია.

მთავარი შენობიდან მოშორებულ მთელ ამ ოთხოთახიან ნომერში მხოლოდ ჩვენ ორნი ვართ, ეტყობა, მართლა ეშინია, — გაიფიქრა კიკუძიმ და სიოძისა და კედელს შორის დარჩენილ ღიობში გაიხედა.

— ეგეც ჩაის პავილიონია?

— დიახ... იცით, ხის ჩარჩოში ჩასმული მრგვალი მაყალი დგას... ხომ წარმოგიდგენიათ, თუჯის მრგვალი მაყალი!

გაისმა მეორე ოთახიდან და ღიობში ქვედა კიმონოს კალთამ გაიფრიალა — იუკიკო კიმონოს კეცავდა.

— მექვიშიებია?..

— დიახ... მექვიშიები ხომ ზამთრის ჩიტები არიან, ასეთი კიმონოც ამიტომ ავირჩიე...

— მექვიშიები ზღვის ტალღებში...

— ტალღებში?.. არა, უბრალოდ, ტალღების ფონზე.

— „მექვიშიები მწუხრის ზღვის ტალღებში"... მე მგონი, სწორედ ასე ეძახიან მაგ ნახატს. გახსოვთ, ეს ლექსი: „მწუხრის ტალღებში ფრთებგაშლილი მექვიშიები"?

— „მწუხრის ტალღებში"? ნუთუ ასე ჰქვია ამ ნახატს? — წყნარად ჩაილაპარაკა იუკიკომ.

ღიობში კიმონომ ერთხელ კიდევ გაიფრიალა და გაქრა.

3.

კიკუძის შუაღამისას გაეღვიძა. იქნებ სადღაც სასტუმროს ზევით რელსებზე გრუხუნით ჩავლილმა მატარებლის გრიალმა გააღვიძა?

გუშინ საღამოსთან შედარებით ყოველი ბგერა ისე გარკვევით და ახლოს ისმოდა, მიხვდა, ჯერ შუაღამეც არ იყო გადასული. მატარებლის თვლებმა თითქოს აქვე, ყურისძირას ჩაურახრახა, საყვირმა ლამის ყურის ბარაბნები დაუხეთქა.

საოცარია... სინამდვილეში ხმაური თითქოს არც ისეთი ძლიერი იყო, კიკუძის კი მაინც ხელნაკრავივით გაეღვიძა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, წუხელის ასე მკვდარივით რომ ეძინა... რაც მთავარია, იუკიკოზე ადრე დაიძინა...

მაგრამ აი იუკიკოსაც დაუძინია და ძილში მშვიდად ფშვინავს.

გულზე მოეშვა კიკუძის.

ამ საქორწილო მზადებამ და ფაციფუცმა, ამ ქორწილმა და მგზავრობამ, იუკიკო, ეტყობა, ძალიან დაღალა. თვითონ ხომ ამ ბოლო დროს პირდაპირ დაიტანჯა, მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა, სულ რაღაცას ფიქრობდა, გულს ეთანაღრებოდა, ყოყმანობდა, მაგრამ აშკარაა, არც იუკიკო იყო დამშვიდებული, იუკიკოსაც რაღაცა აწუხებდა, რაღაცა არ ასვენებდა.

კიკუძიმ არ იცოდა, რომელ სუნამოს ხმარობდა იუკიკო, მაგრამ მისი ეს სურნელი, მისი მშვიდი სუნთქვა, ეს ბეჭდები და ღამის კიმონოზე ამოქარგული ეს ფრთაგაშლილი მექვიშიებიც კი მისთვის საოცრად მახლობელი და მშობლიური იყო. და ეს ყველაფერი მას — კიკუძის ეკუთვნოდა. მახლობლობის ეს გრძნობა შუაღამისას ანაზდეულად გამოღვიძებულსაც არ ტოვებდა. უწინ ამის მსგავსიც არაფერი უგრძვნია კიკუძის.

სულითა და გულით ეწადა, მძინარე იუკიკოსათვის დაეხედა, მაგრამ სინათლის ანთებას ვერ ბედავდა. მერე საათს გადასწვდა, ხელში აიღო და თვალებთან ახლოს მიიტანა.

უკვე მეექვსე საათი იყო...

დიახ, იუკიკოსთან ყველაფერი სულ სხვაგვარად აეწყო. ის, რაც ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოსთან ბუნებრივად მიაჩნდა, იუკიკოსთან ყოვლად წარმოუდგენლად ეჩვენებოდა. რატომ?.. იმ ორი ქალის მიმართ მას ხომ იოტისოდენა შინაგანი წინააღმდეგობაც არასოდეს უგრძვნია? ახლა იქნებ საკუთარი სინდისი ეწინააღმდეგებოდა, ყურში ჩუმად ჩასჩურჩულებდა: — არა, შენ იუკიკოს ტოლი, იმისი ღირსი არა ხარო?.. ანდა იქნებ იგი ჯერ ისევ ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოს ჰყავდათ ტყვეობაში?

კიკუძის სხვაც მრავალი რამ ეჩვენებოდა ავბედითად. განსაკუთრებით სასტუმროს ეს ნომერი, რომელიც თიკაკო კურიმოტოს განკარგულებით იქნა შეკვეთილი და სადაც მან თავისი ეს პირველი ღამე უნდა გაატაროს. მაგრამ თიკაკო ხომ კუდიანი და ავბედითი არ არის?! თიკაკოს რომ ჰკითხო, ავსული და კუდიანი მხოლოდ ქალბატონი ოოტაა.

იუკიკოს ჩაცმულობაშიაც კი კიკუძი კურიმოტოს გავლენას ხედავდა. ჩვეულებისამებრ, იუკიკოს მუდამ ევროპული ტანსაცმელი ეცვა, საქორწილო მოგზაურობაში კი რატომღაც კიმონოში გამოწყობილი წამოვიდა. ამიტომაცაა დაწოლის წინ იუკიკოს ვითომ ისე, სხვათაშორის რომ ჰკითხა:

— გზაში ის თქვენი ჩვეულებრივი, ევროპული ტანისამოსი რატომ არ ჩაიცვით?

— კიმონო მხოლოდ ამ ერთ დღეს მეცმება... აკი ასე ამბობენ, ევროპული ტანისამოსი ქალს ოფიციალურ შესახედაობას აძლევსო. თან რაღაც მოუხერხებელიცაა... გარდა ამისა, პირველად ჩაის პავილიონში რომ შეგხვდით, მაშინაც კიმონო მეცვა. მეორედ, თქვენს სახლში რომ მოვედი, მაშინაც...

კიკუძის გამოძიება არ დაუწყია; ვინ ამბობდა და რაზე რას ამბობდა, რახან კიმონო უნდა, კი ბატონო, კიმონო იყოსო, — გაიფიქრა. ბოლოს და ბოლოს, მისთვის სასიამოვნოც იყო იმის დაჯერება, ეს თოლიებამოქარგული კიმონო იუკიკომ საკუთარი გემოვნებითა და სურვილით აირჩიაო.

მაგრამ საუბარი ერთბაშად სხვა თემაზე გადაიტანა.

— „მწუხრის ტალღებში ფრთებგაშლილი მექვიშიები“... იცით, ძალიან მიყვარს ეს ლექსი. მგონი, წელანაც გითხარით...

— მე კი არ ვიცი ეგ ლექსი...

კიკუძიმ ჰირომატოს ლექსი ბოლომდე სხაპასხუპით ჩაიკითხა.

მერე ქალის ზურგს ნაზად შეეხო და თავისდა უნებურად წამოიძახა:

— ო, რა ბედნიერებაა!

იუკიკომ ვაჟს გაოცებულმა შეხედა.

კიკუძის კი მის მიმართ მხოლოდ სინაზის გამოჩენა შეეძლო — მხოლოდ სინაზის...

და აი, დილაალიონზე გაღვიძებული კიკუძი მძინარე ქალის მშვიდ სუნთქვას უსმენდა, მის სურნელს იყნოსავდა და მშფოთვარე, შეურვებული გული ახლა ზეგარდმო ნეტარებითა და ბედნიერებით ჰქონდა სავსე. ისეთი წმინდა და აუმღვრეველი იყო ეს განცდა, თითქოს განიწმინდა, ყველა მისი ცოდვა მიტევებული იქნა. ქალს... მხოლოდ ქალს შეუძლია, ამგვარი პოეტური აღფრთოვანებით აავსოს მამაკაცის გული... მხოლოდ ქალსა აქვს უნარი, თვით ყველაზე გამოუსწორებელ ცოდვილსაც კი, ყოვლის მიტევების სიამე მიანიჭოს, დაე, თუნდაც წუთიერი, მაგრამ შეუდარებელი.

ვინ იცის, იქნებ იუკიკოსთან განშორებაც უწერია, იქნებ ერთ მშვენიერ დღესაც, გაახილოს თვალი და იუკიკო გვერდით ველარ იხილოს. მიუხედავად ამისა, ასე იქნება თუ ისე, მთელი თავისი სიცოცხლე იგი მაინც მადლობელი იქნება ამ ქალისა.

კიკუძის თანდათან მღელვარებამ გაუარა, მაგრამ ენით აუწერელმა სევდამ მოიცვა. იუკიკო ალბათ ღელავდა, ელოდა, ეშინოდა, მას კი... არა, კიკუძი ვერც ახლა ვერ გაბედავს, მძინარე იუკიკო გააღვიძოს და გულში ჩაიკრას...

სადღაც, სულ ახლოს ტალღების მწყობრი ხმაური ისმოდა. კიკუძი ტალღების ხმაურს ყურს უგდებდა და უკვე ველარ დავიძინებო, — ფიქრობდა. და აი, კვლავ ღრმა ძილმა მოიცვა.

თვალი რომ გაახილა, მზის სხივებს სიოძიზე ჩახჩახი გაჰქონდა.

მაგრამ იუკიკო?! იუკიკო რაღა იქნა? ნუთუ მიატოვა? ნუთუ წავიდა?

კიკუძი წამოდგა და სიოძი გაწია.

იუკიკო პავილიონის წინ გაზონზე იჯდა. მუხლებზე მკლავები შემოეჭდო და ზღვას გასცქეროდა.

— როგორ ჩამძინებია... დიდი ხანია ადექით? — ჰკითხა კიკუძიმ.

— ალბათ შვიდი საათი იქნებოდა. მსახურმა აუზი აავსო, წყლის ხმაურზე გამეღვიძა.

იუკიკო მისკენ შემობრუნდა და გაწითლდა. დღეს იგი ევროპულ ყაიდაზე იყო ჩაცმული, მკერდზე გუშინდელი წითელი ვარდი ჰქონდა დაბნეული.

გულიდან თითქოს ლოდი მოეხსნა კიკუძის.

— აი, ვარდი კი არ დამჭკნარა!

— დიახ, გუშინ რომ ვიბანდი, წყლით სავსე ჭიქაში ჩავდე, პირსაბანის თავზე. ნუთუ ვერ შეამჩნიეთ?

— არა, არ შემიმჩნევია... რაო, დღეს უკვე იბანავეთ?

— დიახ, ძალიან ადრე გამეღვიძა, საქმე არაფერი მქონდა, რა უნდა მექნა? სიოძი ჩუმად გავწიე და ბაღში გამოვედი. ის იყო, ყურედან სწორედ ამერიკული ხომალდები გადიოდნენ. ასე ამბობენ, — საღამოობით სასეირნოდ მოდიან, დილით კი უკანვე ბრუნდებიანო.

— ამერიკული ხომალდები? სასეირნოდ? საოცარია!

— რა ვიცი, აქაურმა მებაღემ ასე მითხრა...

კიკუძიმ კანტორაში დარეკა და შეატყობინა, ავდექითო, მერე იბანავა და

ისიც ბაღში გავიდა. გარეთ უჩვეულოდ თბილოდა, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ უკვე დეკემბრის შუა რიცხვები იწურებოდა.

ნასაუზმევს ორივენი მზით გაბდღვიალებულ გალერეაში ისხდნენ.

ზღვა ვერცხლისფრად ელავდა. კიკუძი გაოცებული შეჰყურებდა, ზღვის ვერცხლისებური კრთომა მზის სხივებს როგორ მიჰყვებოდა, წინ როგორ მიიწევდა... იზუსიდან ატამამდე მთელი სანაპირო დაკბილულ[illegible] ზღვის ტალღებში განბანილი პატარ-პატარა კონცხებიც ისე ერ[illegible]ლებით, ისე რიგრიგად ელავდნენ ,ასე გეგონებოდა, ციდან ჩანჩქერივით წამოსულ სხივებს რიგრიგად იჭერენ, გულში იხუტებენო.

— შეხედეთ, შეხედეთ, აგერ, ჩვენ დასწვრივ რაღაც ნაპერწკლები ცვივა! — თქვა იუკიკომ და ხელი ქვევით, ზღვისაკენ გაიშვირა. და აი, ზღვიდან თითქოს უამრავმა ცისკრის ვარსკვლავმა ამოანათაო, ათასობით პაწაწა ვარსკვლავი ვარსკვლავივით აბრწყინებულ ლურჯ საფირონს შეეფრქვია...

წყალში უცბად თვალისმომჭრელი ვარსკვლავებივით მოციმციმე უამრავი ნაპერწკალი ჩამოიშლებოდა, იფეთქებდა და უმალ ჩაქრებოდა, რათა იმავე წუთს სადღაც იქვე, გვერდით აფეთქებულიყო... თვითეული ტალღა ცალ-ცალკე ბზინავდა, ელვარებდა, ბოლოს ათასობით პაწაწა, მბზინვარე ვარსკვლავი ერთ უწყვეტ ციაგად ერთიანდებოდა და ალბათ სწორედ ის ციაგი იყო, ჰორიზონტამდე გაჭიმულ ზღვის ზედაპირს, საოცრად გლუვსა და ვარსკვლავთა ჭავლით ათრთოლებულს ვერცხლისფერ სარკედ რომ ეფინებოდა.

ჩაის პავილიონს წინ ვიწრო გაზონი გასდევდა. ჩინური ლიმონის ყვითელი ნაყოფით დახუნძლული ტოტები გაზონს ზევიდან ქოლგასავით ადგა.

წყლისპირას, ზღვისაკენ ირიბად დაშვებული ბაღის დასწვრივ, სანაპიროზე, ფიჭვის ხეები იყო ჩამწკრივებული.

— წუხელ საღამოს თქვენს ბეჭედს ვათვალიერებდი. არაჩვეულებრივად ლამაზი ქვა უზის...

— დიახ, ეს მანათობელი ოპალია. ზღვა კი ახლა ისე ბრწყინავს, საფირონი ან ბადახში გეგონება... ბადახში კი არა, ნამდვილი ბრილიანტი! ასე მხოლოდ ბრილიანტი ელვარებს.

იუკიკომ ბეჭედზე დაიხედა და ისევ ზღვას დაუწყო ყურება.

ეს მბზინვარე სინათლე და ეს მოელვარე ტალღები ძვირფას ქვებზე ფიქრისათვის განაწყობდა ადამიანს. აი ეს ბუნებაცა და ეს მოახლოვებული შუადღეც სულში მსგავს ხატებებს აღძრავდა. მაგრამ კიკუძიმ უცბად უხერხულობა იგრძნო, თითქოს რაღაც ბორკავდა, რაღაც ხელს უშლიდა, რათა მთელი სულითა და გულით უზრუნველ ბედნიერებას მისცემოდა.

სახლი უკვე გაყიდა. საქორწილო მოგზაურობა რომ დამთავრდება, თავის ახალშერთულ მეუღლეს დაქირავებულ ბინაში მიიყვანს. ცხადია, ეს არც ისეთი დიდი უბედურებაა. მაგრამ რა უთხრას, რა ელაპარაკოს თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, თავიანთ მომავალ ოჯახზე?.. უჭირს, მეუღლის როლში ჯერ კიდევ ვერ შესულა. წარსულის გახსენება და მასზე საუბარი კი... აბა, წარსულზე ისე როგორ ისაუბროს, ქალბატონი ოოტა, ფუმიკო ან თიკაკო არ ახსენოს? ეს ხომ მოტყუება იქნება. მაშასადამე, არც წარსულს უნდა შეეხოს, არც მომავალს. იმაზე საუბარი კი, რაც ახლაა... კიკუძის ფიქრი გაუწყდა, დადუმდა.

ნეტავი იუკიკო რაღას ფიქრობს? მის გაბრწყინებულ, მზის შუქით განათებულ სახეზე უკმაყოფილების ნასახიც არ არის. იქნებ ზოგავს, უფრთხილ-

დება? ანდა იქნებ ასე ჰგონია, სწორედ კიკუძიმ დაზოგა ქორწილის პირველ ღამეს?

შფოთავდა, ერთ ადგილზე ვეღარ ისვენებდა კიკუძი.

სასტუმროში ნომერი ორი დღით ჰქონდათ ნაქირავები. სადღაც ხომ უნდა ესადილათ? და სადილისათვის სასტუმრო „ატამში“ წავიდნენ.

რესტორნის ერთ-ერთი ფანჯრის დასწვრივ, ბაღში, ფოთლებგაშლილი, კიდეებდაძენძილი ბანანის ხე იდგა. მოპირდაპირე მხარეს ჯგუფ-ჯგუფად გაზრდილი საგის პალმები მოჩანდა.

— შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი, — იუკიკომ ხელით საგის პალმებზე მიუთითა და ზღვისაკენ დაქანებულ ბაღს მზერა მოავლო, — ზუსტად ისეთივეა, როგორიც მრავალი, მრავალი წლის წინათ... მაშინ მე ჯერ ისევ პატარა გოგო ვიყავი, მშობლებთან ერთად ახალ წელს აი ამ რესტორანში შევხვდი.

— მე მგონი, მამაჩემიც ხშირი სტუმარი იყო აქაურობის. რა სამწუხაროა, თან რომ არასოდეს წამოვუყვანივარ. ხომ შეიძლებოდა, როდისმე აქ პატარა იუკიკო-სანს შევხვედროდი?

— ოი, არა!

— რატომ? ხომ წარმოგიდგენიათ, რა შესანიშნავი იქნებოდა, ბავშვობაში რომ გაგვეცნო ერთმანეთი.

— ბავშვობაში რომ გაგვეცნო, იქნებ სულაც არ შევუღლებულიყავით.

— რატომ?

—რატომა და იმიტომ ,რომ მეტისმეტად ჰკვიანი გოგო ვიყავი!

კიკუძიმ გადაიხარხარა.

— მართლა, მართლა! მამა სულ იმას მეუბნება. ბავშვობაში ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყავი, ახლა კი დღითი დღე ჭკუა სულ გაკლდება და გაკლდება...

იუკიკოს, მართალია, ბევრი არაფერი მოუყოლია მამამისის შესახებ, მაგრამ, რაც მოყვა, იქიდანაც აშკარა იყო, როგორ უყვარდათ ოჯახში ქალიშვილი. თავის იმ ოთხ შვილს შორის მამამისს იგი, ეტყობა, გამორჩეული ჰყავდა, მთელ თავის იმედებს სწორედ მასზე ამყარებდა. იუკიკო... იუკიკო ინამურა... თავისი გაბრწყინებული სახითა და გასხივოსნებული თვალებით, ამ წუთასაც ისევ იმ პატარა, მეტისმეტად ჰკვიან გოგონას ჰგავდა.

4.

რესტორნიდან სასტუმროში რომ დაბრუნდნენ, იუკიკომ შინ, დედასთან დარეკა.

— დედა რატომღაც ღელავს, ხომ კარგად ხართ, ხომ ყველაფერი რიგზეაო... ხომ არ დაელაპარაკებოდითო? — მიუბრუნდა იუკიკო კიკუძის.

— არა, არა მგონია...: ჩემ მაგიერად გულითადი მოკითხვა გადაეცი...

კიკუძის რატომღაც მოერიდა დედამისთან საუბარი.

— დედამაც დიდი მოკითხვა შემოგითვალათ, ყოველივე კარგსა და ბედნიერებას გისურვებთ.

ტელეფონი აგერ, ნომერში დგას, იუკიკოც ახლა სწორედ ამ ნომრიდან რეკავს. ესე იგი, შინ ჩუმად დარეკვა და დედასთან მოჩივლება აზრადაც არ მოსვლია... კაცმა რომ თქვას, ამგვარი რამ არც კიკუძის გაუვლია გუნებაში.

მიუხედავად ამისა, ქალბატონი ინამურა, ჩანს, ქალური ინტუიციით, დე-

დური გუმანით მიხვდა ,რომ მისი ქალიშვილის მდგომარეობა მთლად ნორმალურად ვერ იყო.

კიკუძის წარმოდგენა არა ჰქონდა, როგორ იქცეოდნენ საქორწილო მოგზაურობის მეორე დღეს ბედნიერი ცოლები, ურეკავდნენ თუ არ ურეკავდნენ დედებს? იქნებ ეს დარეკვა იმდენად უჩვეულო რამ იყო, დედა თავისდა უნებურად ეჭვში ჩავარდა, მღელვარებამ მოიცვა. დიახ, ქალიშვილი, რომელიც ეს-ეს არის ქალი გახდა, ალბათ შერცხვებოდა და ქორწილის მეორე დღეს მშობლების სახლში ვერ დარეკავდა...

ხუთ საათზე ზღვაში სამი პატარა ამერიკული სამხედრო ხომალდი გამოჩნდა. აძიროს რაიონის თავზე მიმობნეული შორეული მსუბუქი ღრუბლები თანდათან გაიფანტა, ზღვა მწუხრის ბურუსში გაიხვია. და, ისე როგორც გაზაფხულის საღამოობით სჩვევია, რულმორეულივით მიიმდორა... ნელა, წყნარად მიცურავდნენ ხომალდები. ნეტავი რა მიჰქონდათ თავიანთი სტომაქით? იქნებ მძვინვარე ქინი? იქნებ... გარედან კი შეხედავდი და ბავშვების სათამაშო ხომალდები გეგონებოდა.

— ნახე, ნახე, მართლა არ გამობრძანდნენ სასეირნოდ?

— ხომ გითხარით! დილას რომ ავდექი, წუხანდელი ხომალდები უკვე უკან ბრუნდებოდნენ. სხვა რა საქმე მქონდა, ვიჯექი და მიმავალ ხომალდებს გავცქეროდი, — თქვა იუკიკომ.

— მთელი ეს ორი საათია ზიხარ და ჩემს გაღვიძებას ელოდები?

— ალბათ მეტიც. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ისეთი უცნაური, ისეთი საუცხოო იყო ყოველივე... იცით, თავადაც არ მჯეროდა, რომ აქ, თქვენ გვერდით ვიყავი... როცა იქნება, ხომ გაიღვიძებს, მერე კი დავსხდებით და ვილაპარაკებთ-მეთქი...

— ვილაპარაკებთ? რაზე?

— ისე, არაფერზე...

მართალია, ირგვლივ ჯერ ისევ დღის სინათლე იყო, მაგრამ ხომალდებზე უკვე ელექტრონათურები ციმციმებდნენ.

— იცით, საინტერესოა. ჩემზე რას ფიქრობთ. მაგალითად, როგორ გგონიათ, ცოლად რატომ გამოგყევით... აი სწორედ ამაზე მინდოდა თქვენთან საუბარი.

— როგორ მგონია? უცნაური მსჯელობაა...

— რა თქმა უნდა, უცნაურია! მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა, რას ფიქრობს მამაკაცი იმ ქალიშვილზე, რომელიც ბოლოს და ბოლოს მისი ცოლი ხდება. ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ამაზე ფიქრი. ოღონდ არ მესმის, რატომ გეგონათ, რომ თქვენთვის მიუწვდომელი ვიყავი?

—ახლაც ის სუნამო გასხია, შარშან ჩემთან სტუმრობისას რომ გესხა?

— დიახ.

— პირველად სწორედ იმ დღეს გავიფიქრე, ეს გოგო ჩემთვის მიუწვდომელია-მეთქი.

— ჰო-ო? ალბათ ამ სუნამოს გამო? არ მოგწონთ თუ რატომ?

— პირიქით!.. მეორე დღეს, გათენდა თუ არა, ჩაის პავილიონში გავიქეცი, ასე მეგონა, პავილიონში ისევ იმ შენი სუნამოს სურნელი დამხვდებოდა.

იუკიკომ გაოცებულმა შეხედა.

— გესმის? — განაგრძო კიკუძიმ, — პავილიონში ფეხი შევდგი თუ არა,

ამ ქალიშვილზე უარი უნდა ვთქვა-მეთქი, მაშინვე თავში გამიელვა, ვინაიდან ვიგრძენი, რომ შენ ჩემთვის სრულიად მიუწვდომელი იყავი.

— ძალიან გთხოვთ, ასე ნუ ლაპარაკობთ. თქვენი ეს ლაპარაკი გულს მტკენს. არა, შეგიძლიათ ილაპარაკოთ კიდევაც, ოღონდ... ოღონდ არა ჩემთან... თუკი ოდესმე სადმე ჩემზე ლაპარაკი მოგიწევთ, დაე, ეს სიტყვები ისევ სხვას უთხარით... მე კი... კი ბატონო, მესმის, ყველაფერი გასაგებია! მაგრამ... მე დღეს მხოლოდ ისეთი სიტყვები მინდა მოვისმინო, რომელიც მხოლოდ ჩემთვის იქნება განკუთვნილი..

— არ ვიცი, სხვაგვარად როგორ გითხრათ... თქვენ მუდამ მხოლოდ ოცნება იყავით ჩემი...

— ოცნება?

— დიახ, მაგრამ ოცნება ხომ მხოლოდ ოცნებაა... ოცნება მუდამ მიუწვდომელია... და აი, მეც შევეგუე ამ მიუწვდომლობას.

— ოცნება... ამ სიტყვამ, მართალი გითხრათ, გამაოცა. მე კი, ჩანს, სინამდვილეს უნდა შევგუებოდი... მაშინ... მაშინ, ცხადია, მეც მხოლოდ ვიოცნებებდი თქვენზე... მაგრამ „ოცნება"... „შეგუება"... ეს სიტყვები თავში არასოდეს მომსვლია.

— იცით, ეს სიტყვები, როგორც ჩანს, მხოლოდ ცოდვილთა ლექსიკონიდანაა, თქვენ კი...

— კარგით ერთი! აი, თქვენ ახლაც არა ჩემთვის, არამედ სხვისთვის ლაპარაკობთ.

— არა, სხვისთვის არა...

— ძალიან გთხოვთ, არ გინდათ. სხვათა შორის, იმასაც კი ვფიქრობდი, ცოლიანიც რომ იყოს, მაშინაც ასე მეყვარებოდა-მეთქი, — თქვა იუკიკომ და მოელვარე თვალები შეანათა. — მართლა! მართლა!.. მაგრამ ის, რაზედაც შეიძლება მხოლოდ იოცნებო — საშინელებაა!.. იცით რა, მოდი, ნუღარ ვილაპარაკებთ ამაზე, კარგი?

— კი ბატონო... წუხელი ღამით კი საოცარი გრძნობა დამეუფლა — ამიერიდან მხოლოდ იუკიკო კი არა, მისი სუნამოს სურნელიც მე მეკუთვნის-მეთქი.

— ?

— მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც ჩემი ოცნება ხართ! ჩემი მარადიული ოცნება...

— ვთქვათ და, ერთ მშვენიერ დღესაც იმედი გაგიცრუვდათ, მაშინ?

—არსად, არასოდეს და არავითარ შემთხვევაში!

კიკუძიმ ეს სიტყვები მტკიცედ, თავდაჯერებულად წარმოთქვა, ვინაიდან იუკიკოს მიმართ გული საოცარი მადლიერებით ჰქონდა სავსე.

იუკიკო ჯერ თითქოს შეშინდა, მერე კი მანაც ასევე მტკიცედ და უყოყმანოდ გაიმეორა.

— არც მე... ვფიცავარ, არსად, არასოდეს და არავითარ შემთხვევაში!

მაგრამ რამდენი... მაინც რამდენი დრო დარჩა იუკიკოს იმედის გაცრუებამდე? ბევრი-ბევრი ხუთი ან ექვსი საათი... ვთქვათ, იმედი ჯერ კიდევ მთლად არ გასცრუებია, გული ჯერ მხოლოდ ეჭვებითაა აქვს სავსე, მერე? მერე თვად კიკუძის ხომ არ დაეუფლებოდა ეს იმედგაცრუება, დიდი, ყოვლისმომცველი და გულისგამყინავი.. თავადვე ხომ არ აუცრუვდებოდა გული საკუთარ თავზე?

კიკუძი დაწოლას აჭიანურებდა, ეშინოდა.. მაგრამ, საქმე მხოლოდ ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში როდი იყო! კიკუძის იუკიკოს გვერდით ჯდომა და საუბარი მოსწონდა. გუშინდელთან შედარებით ქალს თავი გაცილებით თავისუფლად, ძალდაუტანებლად ეჭირა. ისხდნენ ასე გვიანობამდე და საუბრობდნენ. იუკიკოს არც ხმასა და არც მოძრაობაში შებოჭილობის ნატამალიც აღარ იყო. მერე იუკიკომ ჩაი დიდის ხალისით მოამზადა და ფინჯნებში დაასხა.

კიკუძიმ იბანავა, პირი მოიპარსა, სახეზე მალამო რომ წაისვა, იუკიკო მივიდა და მალამო თითით მოსინჯა.

— მამაჩემისათვის მალამოს მუდამ მე ვყიდულობდი. ოღონდ ასეთს არა, სხვანაირს...

— ხომ არ შეგიცვალო, მეც ის მალამო ხომ არ ვიხმარო?

— არა, რატომ?

და აი, გუშინდელივით იუკიკომ ისევ აიღო ის ხალათი, საბანაოდ წასვლამდე კიკუძის წინ ისევ ისე ჩაიჩოქა და თაყვანი სცა.

— ღამე მშვიდობისა! — უთხრა ახლა უკვე საბანაოდან დაბრუნებულმა.

თაყვანისცემის ნიშნად მის წინ ერთხელ კიდევ ჩაიმუხლა, ტატამის თითებით ოდნავ შეეხო და თავის ლოგინში შესრიალდა. მისმა ქალწულებრივმა სიწმინდემ კიკუძის გული აუძგერა.

მალე ირგვლივ ზღვის ფსკერივით ღრმა, გაუვალი წყვდიადი ჩამოწვა. კიკუძის ქუთუთოები უთრთოდა. თვალები მაგრად დახუჭა და შეეცადა, ფუმიკოს სახე წარმოედგინა. დიახ, კიკუძის მაშინ ფუმიკო არ ეწინააღმდეგებოდა. ეწინააღმდეგებოდა მხოლოდ მისი უმანკოება... ეწინააღმდეგებოდა სიმდაბლეს, გარყვნილებას, უნამუსობას. მიუხედავად ამისა, კიკუძიმ მაინც გათელა მისი ქალწულებრივი სიწმინდე... და აი, ყოველივე ამის შემდეგ განა შეეძლო წაებილწა და შეებღალა იუკიკოც, ისეთივე სუფთა და უმანკო, როგორც ის, მეორე ქალიშვილი იყო? ეს აზრები გულში ნაღველივით ეღვრებოდა, სულს უწამლავდა... რა უნდა ექნა? იუკიკო, ასეთი სუფთა და ასეთი ნათელი, მის გულში ფუმიკოს სახეს აცოცხლებდა. იქნებ, უბრალოდ, სასო ჰქონდა წარკვეთილი?...

ხსოვნა ხორცისა — საშინელებაა. აი, კიკუძის ახლა ფუმიკო აგონდება, მაგრამ ამ მოგონებაში თანდათან ვნების სხვა ტალღები იჭრება, ტალღები ქალის — ქალბატონი ოოტასი... მაინც რა არის ეს? წყევლა ეშმაკეული თუ ბუნება კაცისა, არსი ადამიანური? ქალბატონი ოოტა უკვე ამ ქვეყანას აღარ არის, ფუმიკო სამუდამოდ გადაიკარგა... თუკი მათ — ქალბატონ ოოტასა და ფუმიკოს, არათუ არ სძულდათ, პირიქით, უყვარდათ კიდევაც, მაშ ახლა თვითონ რატომ ეშინია, ასეთ უბადრუკ სიმხდალეს რატომ იჩენს?

ქალბატონი ოოტას სხეულით დამარცხებული, ყველა სხვა გრძნობის მიმართ გულგრილი, ამის გამო ოდესღაც მწარე სინანულს მოეცვა კიკუძი. ახლა კი გული შიშით ჰქონდა სავსე — იქნებ აღარაფრის უნარი აღარა აქვს? იქნებ სამუდამოდ ჩაკვდა მასში ყველაფერი და არასოდეს აღარაფერი ეშველება?

უცბად იუკიკო შეიშმუშნა.

— მომიყევი რამე...

კიკუძი შეკრთა.

აი, უკეთურმა ხელი გაიწოდა... რატომ? რათა ოდენ გულში ჩაიკრას ეს უბიწო უმანკოება? და კიკუძიმ უცბად იგრძნო, ცხარე ცრემლმა ქუთუთოები როგორ დაუმდუღრა.

იუკიკომ სახე ვაჟის მკერდში ნაზად ჩარგო და წამოისლუკუნა.

ვაჟმა აკანკალებული ხმა ძლივს დაიოკა:

— რა იყო?.. მოგეწყინა?.. — წასჩურჩულა ქალს წყნარად.

— არა. — თავი გადააქნია იუკიკომ. — მაგრამ.. იცით, ისე ძალიან მიყვარდა მიტანი-სანი ,აღარ ვიცოდი, რა მექნა, რა მომეხერხებინა ჩემი თავისათვის. გუშინდელს აქეთ კი... გუშინდელს აქეთ კიდევ უფრო ძალიან შემიყვარდა... ამიტომაც ვიტირე.

ვაჟმა ქალს ნიკაპში ხელი მოჰკიდა და ბაგე ბაგესთან მიუტანა. კიკუძი უკვე აღარ მალავდა ცრემლებს. ქალბატონი ოოტასა და ფუმიკოს ხატება ერთბაშად სადღაც გაქრა.

მაინც რატომ... რატომ არ შეიძლება, უბიწო ცოლთან კაცმა რამდენიმე დღე უბიწოდ გაატაროს?

5.

მესამე დღესაც სანაპიროზე კვლავ თბილი ამინდი დაიჭირა. ამ დღესაც იუკიკო პირველი წამოდგა ლოგინიდან და კიკუძის გაღვიძებას ახლაც ისევ ჩაცმული დაელოდა.

— მოსამსახურემ თქვა, სასტუმროში გუშინ ექვსი ახალდაქორწინებული წყვილი ჩამოვიდაო, — მოახსენა ქმარს ამ დილის ახალი ამბები, მაგრამ ჩაის პავილიონი მთავარი შენობიდან საკმაოდ შორს, თითქმის ზღვის ნაპირას იდგა, ამიტომაც აქამდე არაფერი აღწევდა. არც მოხეტიალე მომღერალ-მევიოლინეს შემოუხედავს არც ერთხელ.

ზღვა კი დღეს სრულიად სხვანაირი იყო: მოციმციმე ვარსკვლავები ტალღებზე არც დილით გამოჩენილა, არც ნაშუადღევს. როგორც ჩანს, მზის სხივები დღეს უკვე სხვაგვარად ეცემოდა ზღვის ზედაპირს. სამაგიეროდ ზღვაში დღეს მეთევზეთა ნავების პატარა ფლოტილია გამოჩნდა. მწკრივად დაწყობილნი პირდაპირ ნაპირის გასწვრივ მიცურავდნენ — მწკრივს თავში ყველაზე დიდი ნავი მიუძღვოდა, დანარჩენებს ბუქსირით ეწეოდა. ქარავანს ყველაზე პატარა ნავი აბოლოვებდა.

— შეხედე, შეხედე, ოჯახივით არ არის? — გაიღიმა კიკუძიმ.

ახალშეუღლებულებს ადმინისტრაციამ სასტუმროს სუვენირი — „ცოლ-ქმარი" ჰასი მოართვა. იგი ვარდისფერი წეროებით მოხატულ ბრინჯაოს ქაღალდში იყო გახვეული.

და კიკუძის იუკიკოს ვარდისფერი ფუროსაკი გაახსენდა.

—ის შენი ათასწეროიანი ფუროსაკი თუ წამოიღე?

— არა, ნახმარი არაფერი წამომიღია, ცოტა არ იყოს, მრცხვენია კიდევაც — თქვა იუკიკომ და არაჩვეულებრივად ლამაზი ქუთუთოები ვარდისფრად შეეფერა. — თმაც კი ახლებურად მაქვს დავარცხნილი... მაგრამ ჩემს საჩუქრებს შორის მრავალი წეროებიანი ნივთია.

ატამიდან რომ წამოვიდნენ, დაახლოებით ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა. მანქანას ისინი კავანამდე უნდა ჩაეყვანა. ნავსადგური აძირი მეთევზეების ნავებით იყო გაჭედილი, რომელთა შორის ლამაზი, თეთრად შეღებილი ნავებიც მოჩანდა.

იუკიკო დიდხანს იყურებოდა უკან, ატამისაკენ.

— რა ზღვაა! — თქვა მან ბოლოს. — ჩემი მარგალიტებივით ვარდისფერი.

— ვარდისფერი მარგალიტები?



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. რესპ.

— დიახ, საყურეებიც მაქვს და ყელსაბამიც. გაჩვენოთ?

— სასტუმროში რომ მივალთ, მერე.

თანდათან ბინდში ეხვეოდა ატამის მთის ფერდობები. მწუხრში კიდევ უფრო ღრმა და უნაპირო ჩანდა ფერდობებს ჩაყოლებული ხევხუვი.

გზად ვიღაც ცოლ-ქმარი შემოხვდათ. ველოსიპედზე მჯდარი კაცი წინ ფიჩხით სავსე ველოსიპედის ეტლს მიაგორებდა.

— რა შესანიშნავია! — წამოიძახა იუკიკომ. — ნეტავ ჩვენც ასე ვცხოვრობდეთ.

იმის გაფიქრებაზე, ჩემთან ერთად მზადაა, ქოხშიაც კი იცხოვროსო, კიკუძიმ თავი ოდნავ უხერხულად იგრძნო, მაგრამ გულში მეტად ნასიამოვნები დარჩა.

ზღვის პირას, ფიჭვის ხეივნის თავზე, რომელიღაც პატარა ჩიტების გუნდი მოფრინავდა. ციცქნა, პაწაწა ჩიტუნები ისე სწრაფად ფრენდნენ, ლამის მანქანას უსწრებდნენ.

მერე იუკიკომ მეთევზეთა ნავების ის პატარა ფლოტილია დაინახა, ღუზა მათი სასტუმროს მახლობლად, იზდუს მთის ძირას რომ მოხსნა და ზღვაში ნაშუადღევს გავიდა. ის შვიდი ნავი ისევ ისე რიგში ჩაწყობილი მიუყვებოდა ზღვის ნაპირს — წინ ყველაზე დიდი, უკან ყველაზე პატარა...

— რა შესანიშნავია! — კვლავ წამოიძახა იუკიკომ. — ხედავთ, ჩვენ შესახვედრად მოდიან!..

ბავშვივით ხარობდა იუკიკო. ყველაფერი უხაროდა, უხაროდა ეს პატარა ნავებიც კი, რომლებიც მათი ბედნიერების მოწმენი გამხდარიყვნენ. მისმა ამ ბავშვურმა აღტაცებამ კიკუძის გული აუჩუყა: — ეს დღე მე არასოდეს დამავიწყდება, იგი ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეაო, — გაიფიქრა.

გასული წლის შემოდგომაზე, მთელ ზაფხულს ფუმიკოს ძებნით გაწამებულ კიკუძის ნერვები უკვე დაწყვეტაზე ჰქონდა, შეშლილივით დადიოდა, აღარ იცოდა, რა ექნა, რა გზას დასდგომოდა, რომ მოულოდნელად იუკიკო ესტუმრა. იგი მარტოდმარტო მოვიდა. არაჩვეულებრივად მშვიდი, თვინიერი, მაგრამ ისეთი სხივნათელი და თვალისმომჭრელი, როგორც ცუდ ამინდში უეცრად გამოკაშკაშებული მზე. კიკუძი ისე იყო გაოცებული, ამ უსაშველოდ ნათელი, ჩახჩახა შუქით შეშინებულმა, ლამის თვალებიც კი დახუჭა. მიუხედავად ამისა, ქალიშვილთან თავი კვლავ ცივად და გულგრილად ეჭირა, იუკიკო კი მაინც მოდიოდა და მოდიოდა...

არ გაუვლია დიდ დროს, რომ მამამისისაგან წერილი მიიღო: — როგორც ჩანს, ჩემს ქალიშვილს დიდ სიამოვნებას ჰგვრის თქვენს გვერდით ყოფნა, ამიტომაც ნება მომეცით ,გკითხოთ, გადაწყვეტილება ხომ არ შეიცვალეთ? თქვენ ხომ ცოლობა სთხოვეთ თიკაკო კურიმოტოს მეშვეობით თავის დროზე? რაც შეგვეხება ჩვენ, მის მშობლებს, ცხადია, გვირჩევნია, იმ კაცს გაჰყვეს ცოლად და მასთან იყოს ბედნიერი, ვისზედაც პირველი ნახვისთანავე გული მიუვიდაო, — სწერდა ბატონი ინამურა...

ეს წერილი შეიძლებოდა მამის იმ ნახევრად ოფიციალურ წინადადებადაც ჩაგვეთვალა, რომელიც ქალიშვილის ვაჟთან დაახლოვებით არის შეშფოთებული. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით უბრალოდ იყო: მამას უნდოდა დახმარებოდა ქალიშვილს, რომელიც თავისი სანუკვარი ოცნების ხმამაღლა გამოთქმას ვერ ბედავდა.

მას შემდეგ ერთმა წელიწადმა გაიარა. ეს წელიწადი კიკუძისათვის უმძი-

მესი წელიწადი იყო. ვერა და ვერ გარკვეულიყო თავის თავში, ვერ გაეგო, რა უფრო მეტად ეწადა — ფუმიკოს პოვნა თუ იუკიკოს ცოლად შერთვა და მისი დაპატრონება... ძებნას ისევ და ისევ ჯიუტად განაგრძობდა, ფუმიკოსადმი [illegible]-ვდა, ტკივილი და სინანული ისევ ძველებურად ცოცხლობდა მის გულში. სადღაც, სულის შორეულ კუნჭულში კი ჯერ ისევ ბჟუტავდა ქალბატონი ფუმიკოს ხატება... მთელი თავისი არსებით იგი უგზოუკვლოდ გაუჩინარებული ფუმიკოსაკენ მიისწრაფოდა, მიუხედავად ამისა, ყველაზე მწარე წუთებშიაც კი, მწუხრის ჟამი იქნებოდა თუ ალიონი, ცაზე უცბად თოვლივით ქათქათა, ათასფრთიანი წერო გადაიელვებდა და ეს თეთრი ათასფრთიანი წერო იუკიკო იყო.

მწკრივად მომავალი მეთევზეების ნავებისათვის რომ უკეთესად შეეხედა, იუკიკომ კიკუძისაკენ მიიწია, სულ ახლოს მიუჯდა.

სასტუმრო „კავანაში", მესამე სართულზე მათ კუთხის ნომერი ეკავათ. გარემოს დასათვალიერებლად ნომერს ორი კედელი მინის ჰქონდა.

— ნახეთ, რა მრგვალია ზღვა! — მხიარულად წამოიძახა იუკიკომ. მართლაც ჰორიზონტი ნახევარწრედ შემოსდგომოდა ზღვას ირგვლივ. ფანჯრის ქვემოთ, ერთ მხარეს, რაღაც მწვანე მდელობი და საბანაო აუზი მოჩანდა. მდელოზე ორი სიფრიფანა, ფორმის ცისფერქურთუკიანი, ზურგზე ჩანთამოკიდებული გოგონა დარბოდა. გოგონები გოლფის მოთამაშეებს ემსახურებოდნენ, ჩანთებიდან ყვანჯის თავები ჰქონდათ ამოჩრილი.

ნომრის დასავლეთი ფანჯრიდან ფუძიამას მთის ხედი იშლებოდა.

კიკუძი და იუკიკო ეზოში, მწვანედ მობიბინე მდელოზე გამოვიდნენ.

— რა საშინელი ქარია! — თქვა კიკუძიმ და ქარს ზურგი მიუშვირა.

— დიდი ამბავი! წამოდით, წამოდით! — იუკიკომ ხელზე ხელი მოჰკიდა და მოქაჩა.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, კიკუძი აბაზანაში შევიდა. ვიდრე იგი აბაზანიდან გამოვიდოდა ,იუკიკომ თმა მოიწესრიგა და რესტორანში წასასვლელად ტანისამოსი გამოიცვალა.

— გავიკეთო? — ჰკითხა იუკიკომ და ვარდისფერი მარგალიტის საყურეებსა და ყელსაბამზე მიუთითა.

ვახშმის შემდეგ ერთხანს სოლარიუმში დასხდნენ. ქარიანი დღე იდგა. პარკში გამავალ უზარმაზარ ,მინის ნახევარწრედ დარბაზში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ირგვლივ მხოლოდ მინა, მხოლოდ ფარდები... ქოთნებში მოყვავილე კამელიები და სიჩუმე...

მერე ჰოლში გავიდნენ ,ბუხრის წინ დივანზე ჩამოსხდნენ. ბუხარში უზარმაზარი მუგუზლები გუზგუზებდა. ბუხრის თავზე, ქოთნებში, აფრიკული შროშანა ყვაოდა. დივანს უკან, დიდ ლარნაკში ნაადრევად მოყვავილე წითელი ქლიავის ნაზად გადმოხრილი ტოტი იდო. ჰოლს ინგლისური ყაიდის მსუბუქი, ნატიფად ნაკვეთი ხის წნული ჭერი დასდგომოდა და ყოველივე ამას აქაურობა სიმშვიდის სავანედ ექცია.

კიკუძი ტყავგადაკრული დივნის ზურგს მიყრდნობილი იჯდა და ცეცხლს მდუმარედ ჩაჰყურებდა. იუკიკოც ჩუმად გაყუჩებულიყო მის გვერდით. სითბოზე ლოყები ასწითლებოდა.

ნომერში რომ დაბრუნდნენ, მინის კედლებზე უკვე სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული.

ნომერი საკმაოდ დიდი, მაგრამ ერთოთახიანი იყო. ამიტომაც ტანსაცმლის გამოსაცვლელად იუკიკო აბაზანაში გავიდა.

ღამის კიმონოიანი ქალი სასტუმროს ხალათში გამოწყობილ, სკამზე მჯდარ კიკუძის მიუახლოვდა და იქვე, შორიახლოს გაჩერდა.

ტანთ როგორიღაც განსაკუთრებული კიმონო ემოსა — იგი მოდური ქსოვილისაგან იყო შეკერილი, რომელიც აგრეთვე საკაბედაც გამოდგებოდა. მოქლალო-ალისფერ ფონზე პატარა ღერბები იყო მიმობნეული. მოკლე სახელოები გენრიკუს ყაიდაზე აჭრილი, კალთები მსუბუქად, თავისუფლად დაშვებული, განსაკუთრებულად დახვეწილი, ხალასი ხაზებით გამორჩეული. წელზე მწვანე ატლასის რბილი, ვიწრო ობი ჰქონდა შემორტყმული. ამ კიმონოში იუკიკო ევროპაში გაკეთებულ იაპონურ თოჯინას უფრო ჰგავდა. ალისფერი კალთებიდან ქვედა თეთრი კიმონოს ქობა მოუჩანდა.

— რა მშვენიერი კიმონოა. ფორმა, ეტყობა, შენ თვითონ მოიგონე? სახელოები გენრიკუს ყაიდაზეა აჭრილი?

— გენრიკუს? არა, იგი ჩემი ფანტაზიის ნაყოფი უფროა.

იუკიკო ტრიუმოს მიუჯდა.

იმ ღამით ღამის მაგიდაზე ნათურა ანთებული დატოვეს.

შუაღამისას კიკუძი უცბად საშინელმა ხმაურმა გააღვიძა. გარეთ ძლიერი ქარი ბობოქრობდა. პარკის ბოლოს ზღვის ნაპირი ჩაფლატული იყო. ტალღები ალბათ ფლატე ნაპირს ეხლება... ალბათ კლდეებს შეხეთქებული ტალღების ხმაური თუაო, — გაიფიქრა კიკუძიმ და ფანჯრისაკენ გაიხედა.

იუკიკო უკვე ფანჯარასთან იდგა.

— რა მოხდა? — იკითხა კიკუძიმ, ლოგინიდან სასწრაფოდ წამოდგა და ისიც ფანჯარასთან მივიდა.

— რა ვიცი, რაღაც გრუხუნებს და გრუხუნებს.... ისეთი საშინელი გრიალია! ზღვის თავზე კი, აი, შეხედეთ! ვარდისფერი ბური ხან გამოჩნდება, ხან ისევ გაქრება...

— ალბათ შუქურაა.

— გამეღვიძა და ვერა და ველარ დავიძინე.. რა ხანია ვდგავარ და ვუყურებ... ისე მეშინია!

— როგორ არ გრცხვენია, აბა აქ საშიში რა არის? ალბათ ტალღების ხმაურია, სხვა რა უნდა იყოს? — კიკუძიმ მხარზე ხელი მოხვია: — სულელო, რატომ არ გამაღვიძე?

იუკიკო კი იდგა და ზღვას თვალს ვერ აშორებდა.

— აგერ ხედავთ, როგორი ვარდისფერი ანარეკლია?

— კი, როგორ არა... რა თქმა უნდა, შუქურაა...

— შეიძლება შუქურაც არის, მაგრამ... კიდევ რაღაც სხვაა, რომელიც შუქურაზე გაცილებით ძლიერად ანათებს. ეს ხომ ნამდვილი ცეცხლის ანარეკლია!

— ხომ გეუბნები, შუქურაა... შუქურა ანათებს და ტალღები კლდეებს ასკდებიან...

— არა!..

მართლაც ხმა, რომელმაც კიკუძი გააღვიძა, აღელვებული ტალღების ხმაური არ იყო — მიმცხრალი მთვარით ოდნავ განათებული ზღვა მშვიდად ირწეოდა.

კიკუძი ერთხანს განაბული უსმენდა. ჩუმად მისჩერებოდა ღამის სიბნელეში შავად ჩაზვინულ ზღვის ზედაპირს. არა, ის ვარდისფერი შუქი, ხანგამოშვებით რომ წამოიფეთქებდა და ღამის წყვდიადს ანათებდა, შუქურას არ ჰგა-

ვდა — აფეთქებებს შორის შუალედი არარეგულარული და არათანაბარი იყო.

— ქვემეხების ცეცხლია... ისიც კი ვიფიქრე, საზღვაო ომი ხომ არ დაიწყო-მეთქი...

— ა-ა, მართალია! ჩანს, ამერიკულ სამხედრო ხომალდებს მანევრები აქვთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საშინელებაა!..

როგორც იქნა, სული მოითქვა იუკიკომ, დაძაბული მხრები ჩამოუშვა. კიკუძიმ მხრებზე ხელი მოხვია.

მთვარის ცივი შუქით განათებული ,შავად ჩაწოლილი ზღვის თავზე ქარი ხმაურით დათარეშობდა. ინთებოდა და ქრებოდა ვარდისფერი სინათლე — შორეული სროლის ანაშუქი. ახლა უკვე ველარც კიკუძი იყო გუნებაზე.

—მთელი ღამე ასე ხომ არ იდგები? თანაც მარტო.

მერე ცოლი ხელში აიტატა და ცოლმაც ქმარს კისერზე მკლავები მორცხვად შემოაჭდო.

მძაფრი, გულისგამგმირავი სევდით შეპყრობილმა კიკუძიმ ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

— არა... ხეიბარი არა ვარ... მაგრამ ჩემი წარსული... ის სიბინძურე და გარყვნილება.., ყოველივე ეს უფლებას არ მაძლევს მოგეკარო, ხელი შეგახო...

ვაჟის მკლავებში ატატებული იუკიკო ერთბაშად დამძიმდა, გონებაწართმეულივით მთელი სხეულით მოეშვა.

## ბზაში... მარტოობაში....

1.

საქორწილო მოგზაურობიდან შინ დაბრუნებულმა კიკუძიმ დასაწვავად გამზადებული ფუმიკოს შარშანდელი წერილები ერთხელ კიდევ გადაიკითხა:

„დაწერილია 18 ნოემბერს, ბეპუსაკენ მიმავალი გემის —
„კოგამე-მარუს“ ბორტზე...

რა ვიცი, მეძებთ თუ არა? გთხოვთ, მაპატიოთ ეს მოულოდნელი გაქცევა.

გადავწყვიტე აღარასოდეს შეგხვედროდით. ამიტომაც ამ წერილს ალბათ არასოდეს გამოგიგზავნით. მაგრამ თუკი ოდესმე მაინც გადავწყვიტე, ეს არ იქნება არც დღეს, არც ხვალ და.. მართალი გითხრათ, მე თვითონაც არ ვიცი, როდის... ახლა მე მამაჩემის მშობლიურ ქალაქ ტაკედაში მივდივარ. როდესაც თქვენ ამ წერილს მიიღებთ (მიიღებთ კი როდისმე?), მე უკვე აღარც ტაკედაში ვიქნები.

მამაჩემმა ოცი წლის წინათ მიატოვა თავისი მშობლიური ტაკედა, მე იქ არასოდეს ვყოფილვარ.

ამ პატარა ქალაქს მხოლოდ მისი მონაყოლითა და ჰიროსისა და აკიკო იოსაის იმ ლექსებიდან ვიცნობ, რომელიც კრებულ „კუძიუს მთების სიმღერებშია“ შეტანილი:

ოთხსავე კუთხით — ქვეყნიერების ოთხსავე მხარეს —
ველური მთების მთაგრეხილი
და შემოდგომის წყალთა ხმაური
გარს შემორტყმია ტაკედას — პატარა ქალაქს,

ბეჭედივით გულში ჩაუსვამს.

მიუვალია ეს ქალაქი,
როგორც ციხე, კლდეში ნაკვეთი,
რომელსაც სხვა გზა, სხვა კარიბჭე არ გააჩნია,
კლდეში გაჭრილი გვირაბია
ერთადერთი მისი გზა და მისი კარიბჭე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ გვირაბის ორივე მხარეს
წლიდან წლამდე, საუკუნიდან საუკუნემდე
ვერცხლისფრად ლივლივებს მაღალი მისკანტი,
ირწევა ვერცხლისფერ ტალღებად,
სდარაჯობს ქალაქის კარიბჭეს.

დიახ, ახლა მე მამაჩემის სამშობლოში ვბრუნდები, სამშობლოში, რომელიც დღემდე თვალითაც არასოდეს მინახავს.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიმიწევს გული ამ ქალაქისაკენ! აქეთ მე აქაურ პოეტთა ის ლექსებიც მიზიდავს, რომლებსაც მამა ბავშვობიდან იცნობდა.

აი მაგალითად, ეს ლექსი:

ხმაურობს წყალი მთით მომდინარე —
წყაროს წყალი უკვდავებისა.
მთებს გადუხსნიათ თითქოს გულმკერდი,
თითქოს სინაზეს, მკერდში ჩამარხულს,
გრანიტს აფრქვევენ...

ფერი ცისა და ფერი მიწისა
თითქოს შერწყმულა... ერთ უნაზეს ფერად შერწყმულა,
დაუფლებია ჩემს არსებას სიყრმის წლებიდან
და ამ ჩემს სულში
მოუხელთებელ მელოდიად ამღერებულა.

და განა მხოლოდ ჩემი გული მოუცავს სევდას?
განა მხოლოდ მე ვიტანჯები?
აი გავყურებ, ვით ჩამოაწვენენ
სევდად დამდგარ მთათა მწვერვალებს
თეთრი ჭაღარით დამძიმებული ლეგა ღრუბლები.

და ჩემმა გულმა, ოდესღაც ასე უდრეკმა და ქედმოუხრელმა
ყველაფერი გადაივიწყა,
ახლა ჩუმად ძგერს — ახლა იგი მორჩილი და თვინიერია
და მხოლოდ ამ ერთს შესთხოვს ზეცას —
სულის სიმშვიდე მოუვლინოს
სანატრელსა და ნანდაურს მისას...

იოსაის ამ ლექსებმა კი ჩემი გული კუძიუს მთების მოხილვის სურვილით აღავსო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთას კუძიუსას როდესაც ვუცქერ,
ჩემს გულს ისეთი სინაზე იპყრობს,
ისე ვივსები ნეტარი შუქით,
განსასვენებელს მაზიარეს თითქოს თავისას
ჩემმა დიდმა მასწავლებლებმა.

უპოვარია ღარიბი კაცი,
მაგრამ თუ ახსოვს,
ვერ ივიწყებს ამ სიღარიბეს,
გული მთისაკენ მიახედებს
და მთებიც
თავის დიადი სიბრძნით ალავსებენ, დაამშვიდებენ.

ცას ლაჟვარდოვანს
შეეფინა ლილისფერი ღრუბლის ნახირი
და ღრუბლის ფარდას
მიეფარა მთა კუძიუსა,
უგზოუკვლოდ დაკარგული მგზავრივით გაქრა.

ეს ლექსი დაუმორჩილებელ გულზეა. მაგრამ ჩემი გული არასოდეს ყოფილა თქვენი ურჩი. და თუ მას ოდესმე ვინმესთვის ურჩობა გაუწევია, მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავისათვის. კაცმა რომ თქვას, ეს რაღაც უფრო დიდი, სევდიანი რამ არის, ვიდრე ის, რასაც უბრალოდ ურჩობას ეძახიან.

მას შემდეგ აგერ, სამი თვე გავიდა. მე კი სულ „თქვენი სულის სიმშვიდეზე ვლოცულობ"... მართლაცდა, განა შეიძლება ასეთი წერილის მოწერა? მაგრამ, ჩანს, იმას გწერთ, რაც საკუთარ თავს მინდა ვუთხრა. არ ვიცი, შეიძლება დაუმთავრებელიც დავტოვო ეს წერილი... იქნებ დავამთავრო კიდევაც, მაგრამ ნაცვლად გამოგზავნისა, ავდგე და ზღვაში გადავისროლო.

ამ წერილს ჰოლში გწერთ, სადღაც ახლოს დიდი სროლა და ბათქაბუთქი იყო. წამოვდექი და ფარდა გავწიე. ჰოლში ჩემ გარდა კიდევ ორი წყვილი — ორი უცხოელი ცოლ-ქმარია.

პირველი კლასის კაიუტა მხოლოდ იმიტომ ავირჩიე, ბევრ ხალხში ყოფნა არ შემეძლო. ორადგილიან კაიუტაში ორნი ვართ — მე და კანკაიძის ცხელი წყლების სასტუმროს დიასახლისი. იგი ოსაკადან შინ, ბეპუში ბრუნდება. ოსაკაში თავის გათხოვილ, ახალნამშობიარებ ქალიშვილთან იყო. ასე ამბობს, ძალიან გავწამდი, დღედალამ მუხლჩაუხრელად ვტრიალებდი, ქალიშვილს ვეხმარებოდი, მთელი ღამეები თვალი არ მომიხუჭავს. გემით იმიტომ წამოვედი, ცოტას გამოვიძინებო. მართლაც, სასადილოდან მოვიდა თუ არა, მიდო ბალიშზე თავი და დაიძინა.

ჩვენი „კოგამე-მარუს" კობედან გამოსვლისას ნავსადგურში ირანის გემი — „სუეცის ვარსკვლავი" შემოვიდა. უცნაური გემი იყო, ისეთი გემი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მენახა.

ეს სატვირთო-სამგზავრო გემიაო, — გამანათლა ჩემმა თანამგზავრმა.

მე კი გავიფიქრე: — ხედავ, როგორ დროში ვცხოვრობთ, იაპონიაში ირანული გემებიც კი შემოდიან-მეთქი...

სულ უფრო ვშორდებით და ვშორდებით სანაპიროს, ვშორდებით კობეს...

ნავსადგურს უკან აღმართული მთები თანდათან მუქდება, თანდათან სივრცეში იკარგება. ახლა შემოდგომაა, დღე ისე მოკლეა, გახედ-გამოხედვას ვერ მოასწრებ, რომ მთებზე უკვე ბინდია ჩამოწოლილი... ეს-ესაა რეპროდუქტორში გამოაცხადეს, გემზე აზარტული თამაშები ხეირს არავის მოუტანს, წაგებულიც და მოგებულიც ორივე პასუხისგებაში მიეცემათ.

ეტყობა, მაგარი თამაში იქნება, მესამე კლასის კაიუტიდან ყველა პროფესიონალი მოთამაშეები მოდიან.

ბიბლიოთეკა

ჩემს მეზობელს ჩაეძინა და მე ჰოლში გავედი. ჰოლში ის ორი უცხოელი ცოლ-ქმარი დამიხვდა. სხვათა შორის, ერთ-ერთი ქალი იაპონელი გახლდათ. ქმარი ამერიკელი კი არა, მგონი, ევროპელი უნდა იყოს.

უცბად გავიფიქრე — ავდგები და მეც ვინმე უცხოელს გავყვები, იაპონიიდან სამუდამოდ გადავიხვეწები-მეთქი.

გაფიქრებით კი გავიფიქრე, მაგრამ თვითონვე გავოცდი: რა უხიაკი, რა ახირებული აზრია! და ეს ახირებული, უხიაკი აზრი, მე მგონი, მხოლოდ გემით ამ მგზავრობამ შთამაგონა. მიუხედავად ამისა, გათხოვებაზე ეს წუთიერი გაფიქრებაც ჩემთვის მეტისმეტად მოულოდნელი და უცნაური იყო.

ახალგაზრდა იაპონელი ქალი კი, როგორც ჩანს, კარგი ოჯახის შვილი უნდა იყოს, თავიც მეტად ღირსეულად უჭირავს, ოღონდ საქციელით, მიმიკითა თუ მანერით სულ ევროპელებს ჰბაძავს. კაცმა რომ თქვას, ახერხებს კიდევაც, მაგრამ ვფიქრობ, მთლად ბუნებრივად მაინც ვერ გამოსდის. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება... აქაოდა, ევროპელის ცოლი ვარო, თავი მეტად ამპყად უჭირავს. საქციელიც ალბათ ამიტომა აქვს ასეთი...

ადამიანს ზოგჯერ უჭირს საკუთარი სულის მოძრაობაში გარკვევა. აი, თუნდაც მე... დღემდე ვერ გამიგია, ამ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში რა მინდა, რა მამოძრავებს? როგორც კი ის სინოს ფინჯანი გამახსენდება, სირცხვილით ვიწვები — რა ვქენი, რატომ მივათხლიშე ქვის ბაქს ასე გაგულისებულმა თქვენს ბაღში?!

„ხომ არის სინო ამაზე უკეთესი!" — ვთქვი მაშინ. ვთქვი სრულიად გულწრფელად, ვინაიდან, ასე მიმაჩნდა და ასე ვფიქრობდი იმ წუთებში,

დედაჩემის სამახსოვროდ სინოს ქოთანი რომ გაჩუქეთ, მახსოვს, ისე გაგიხარდათ, ვიფიქრე, ავდგები და იმ სინოს ფინჯანსაც ვაჩუქებ-მეთქი. ჩემი მხრიდან, ცხადია, ეს მეტად წინდაუხედავი საქციელი იყო... მერე ახლა ის აზრი ამეკვიატა, ამქვეყნად, ვინ იცის, რამდენია ამაზე უკეთესი სინო-მეთქი. ჩემი ის ტანჯვა-წამებაც სწორედ იმ წუთიდან დაიწყო. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ადგილს ველარ ვპოულობდი.

თქვენ რომ გკითხოთ, გამოდის რომ, შედევრი თუ არ არის, არავის არაფერი არ უნდა აჩუქოო, — გახსოვთ, ასე რომ მითხარით?

მე კი მართლაც ასე ვფიქრობდი: — თუ რაიმეს გაჩუქებდით, უსათუოდ შედევრი უნდა ყოფილიყო. და იცით, რატომ? მინდოდა, დედაჩემი თქვენთვის ყველაზე მშვენიერი, ერთადერთი და განუმეორებელი ყოფილიყო.

დიახ, დედა თქვენთვის ყველაზე მშვენიერი და განუმეორებელი უნდა ყოფილიყო! მე მხოლოდ ამაში ვხედავდი ხსნას დედასთვისაც, რომელმაც სამუდამოდ მიგვატოვა და ჩემთვისაც — მიტოვებულისათვისაც. ჯავრით გულგასენილი, ერთადერთი მწველი სურვილით შეპყრობილი, იმ ფინჯნის გამო, რომელიც სრულებითაც არ იყო შედევრი, საშინლად ვიტანჯებოდი. ფინჯანი რომ გავტეხე, ერთბაშად თითქოს სიზმრიდან გამოვფხიზლდი, ოღონდ

ვერ გავრკვეულიყავი. ტკბილი და მომაჯადოვებელი იყო ის სიზმარი, თუ კოშმარებით სავსე. ასეა თუ ისე, მე და დედა მხოლოდ ამის შემდეგ გამოგეთხოვეთ საბოლოოდ. მართალია, მაშინდელ ჩემს საქციელზე ახლაც სირცხვილით ვიწვები, მაგრამ მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ სწორად მოვიქეცი და რომ ეს ამბავი გარდაუვალი იყო.

გახსოვთ, ასე გითხარით, ფინჯანს დედაჩემის პომადის ნაკვალევი ემჩნევა-მეთქი. ახლა კი ამაში უკვე დარწმუნებული აღარა ვარ. ეტყობა, ამ სიტყვებს მე კი არ ვამბობდი, ის ჩემი აკვიატებული აზრი მალაპარაკებდა.

ამასთან დაკავშირებით ამ წუთას ერთი, ჩემი აზრით, მეტად ამაზრზენი შემთხვევა გამახსენდა.

მამაჩემი მაშინ ჯერ ისევ ცოცხალი იყო, მე კი ჯერ ისევ პატარა გოგო ვიყავი. ერთხელაც არის, კურიმოტო გვესტუმრა. კურიმოტოს რაღაც შავი ჭიქურით დაფარული, მართალი გითხრათ, კარგად აღარ მახსოვს, მგონი, ტიოძიროს ნამუშევარი ფინჯანი აჩვენეს.

— ღმერთო ჩემო, სულ ობისაგან არ არის შეჭმული?.. ასეთს რას უშვრებოდით, ასე როგორ ხმარობდით? ნუთუ ხმარების შემდეგ წესიერად არ რეცხავდით? — თქვა ქალბატონმა თიკაკომ და სახეზე ზიზღი აესახა.

ფინჯანი მართლაც ობისმაგვარი მოთეთრო ლაქებით იყო დაფარული.

მერე ფინჯანს მდუღარე გადაავლო, მუხლებზე დაიდგა და კარგა ხანს დაჟინებით უყურა.

— რა უცნაურია, მდუღარემაც კი ვერაფერი უშველა!

ამ სიტყვებით თითები თმაში შეიყო, თავი ენერგიულად მოიქექა და გაქონილი თითებით ფინჯანი დიდხანს წმინდა.

მალე ჭიქურზე ლაქების ნაკვალევიც აღარ იყო.

—აი, ხომ ხედავთ? — გახარებულმა წამოიძახა ოსტატმა.

მაგრამ მამა ფინჯანს აღარ მიეკარებია.

— რა საშინელებაა! რა სიბინძურეა! ლამის გული ამერიოს...

— ახლავე გავრეცხავ!

— სულ ერთია, ამაზე გული აღარასოდეს მიმივა.. ამ ფინჯნით ჩაის ალბათ აღარასოდეს დავლევ. თუ გნებავთ, წაიღეთ, თქვენი იყოს...

მაშინ მე ჯერ ისევ პატარა გოგონა ვიყავი. ვიჯექი მამაჩემის გვერდით, ამ ამბავს თვალებგაფართოებული შევცქეროდი და მეც ლამის გული ამრეოდა.

შემდეგში, როგორც ამბობენ, კურიმოტოს თურმე გაუყიდია ის ფინჯანი.

და აი ახლა, როდესაც იმ სინოზე... ტუჩის პომადის იმ ნაკვალევზე ვფიქრობ... ვინ იცის, იგი იქნებ თქვენთვისაც ისეთივე არასასიამოვნო და გულისამრევი იყო...

გთხოვთ, სამუდამოდ დაგვივიწყოთ... დაგვივიწყოთ მეც და დედაც... და რაც შეიძლება მალე ითხოვოთ იუკიკო ინამურა"...

2.

„ბეპუს ცხელი წყლები, 20 ოქტომბერი.

ბეპუდან ტაკედამდე ყველაზე მოკლე და პირდაპირი გზა მატარებლითაა. იგი ოიტაზე გადის. გზა მოკლე, მაგრამ მეტად მოსაწყენია. მე კი მინდა კუძიუს მთებს გავეცნო, ამიტომაც ეს შორი გზა ვარჩიე: იუფუ-დაკეს მთის ძირს ჯადავსერავ, იუფუინიდან მატარებლით ბუნგო-ნაკამურამდე მივალ, მერე ჰან-

ღის ტაფობს სამხრეთის მიმართულებით გადავჭრი, ქალაქ კუძიუსაც ჩამოვიტოვებ და მალე უკვე ტაკედაში ვიქნები.

მართალია, ტაკედა მამაჩემის მშობლიური ქალაქია, მაგრამ ჩემთვის იგი სრულიად უცნობია. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ შემხვდებიან ამ ქალაქში, ანდა შემხვდება კი ვინმე, როცა აღარც მამაა ცოცხალი, აღარც დედა?

მამას ხშირად უთქვამს, ტაკედაში ისეთი გრძნობა გეუფლება, თითქოს საკუთარი სულის საუფლოში იმყოფებიო... იქნებ ამის მიზეზი ის არის, ქალაქი ოთხსავე კუთხით მიუვალი, კლდოვანი მთებით რომაა შემორტყმული და მთელ ქვეყანასთან მხოლოდ ერთადერთი გვირაბი აკავშირებს? აკი ცოლქმარი იოსაებიც წერენ ამაზე თავიანთ ლექსებში!

ალბათ დედასაც შეეძლო მოეთხრო რაიმე ტაკედას თაობაზე. ამ ქალაქში იგი მამასთან ერთად იყო, თუმცა მხოლოდ ერთადერთხელ. მაშინ მე დაბადებულიც არ ვყოფილვარ...

დედაჩემისა და მამათქვენის ურთიერთობა გულთან რომ მიმქონდა, ის, რომ, დედას ამ ამბავს ვპატიებდი, ის კი არა, ვუთანაგრძნობდი კიდევაც, ასე მგონია, ამით საკუთარ მამას ვღალატობდი... არ ვიცი, რატომ მიმიწევს გული ასე, მამასათვის მშობლიურ ,ჩემთვის კი სრულიად უცხო და უცნობი ქალაქისაკენ? იქნებ ახლანდელ ჩემს მდგომარეობაში ყველაზე უკეთესი სწორედ ასეთი გარემოა, გარემო, რომელიც ერთდროულად მშობლიურიც არის და უცხოც! ან იქნებ აქ, აი ამ მთებს შორის, რომელნიც მამაჩემის ამ ქვეყანაზე მოვლინების მომსწრენი და მოწმენი არიან, სულში ერთბაშად მაცოცხლებელი წყარო ამოდუღდეს და ცხოველმყოფელმა წყალმა დედაცა და მეც ყოველგვარი ცოდვებისაგან განგვწმინდოს?!

„კუძიუს მთების სიმღერებში" ერთი ასეთი ბრწყინვალე ლექსია:

უცხოობაში გადახვეწილი,
მშობლიურ კერას დავუბრუნდები,
მუხლს მოვიყრი,
თვალებს დავხრი
მამაჩემის თვალთა წინაშე,
განვეერთხმები დედამიწაზე —
მარად ძვირფას, მშობლიურ მთებს
მზერას ალვაპყრობ.

ვინ იცის, როცა დედას მამათქვენთან ურთიერთობა ვაპატიე, იქნებ სწორედ მაშინ ამოიზარდა ჩვენს მიერ — დედაჩემისა და ჩემს მიერ ჩადენილი გამოუსწორებელი შეცდომის ის პირველი მორჩი? იქნებ იმ მორჩმა მერე თქვენს სულშიაც გაიდგა ფესვები, რათა ტკივილი და მწუხარება მოეყენებინა, მძიმე წყევლასავით აგყოლოდათ?.. მაგრამ ყოველგვარ წყევლას ხომ თავისი ყავლი და დრო-ჟამი აქვს! ასე მგონია, ჩვენს თავზე დატრიალებულ წყევლასაც დრო-ჟამი იმ დღეს გაუვიდა, ძალა სწორედ იმ დღეს დაკარგა, როდესაც მე ის ფინჯანი გავტეხე.

ამქვეყნად ყველაზე ძალიან მე მხოლოდ ორი ადამიანი მიყვარდა — ჩემი საბრალო დედა და თქვენ.... თქვენ, დიახ, თქვენ, კიკუძი-სან! ალბათ ახირებულად მოგეჩვენებათ ჩემი ეს დაგვიანებული აღსარება... თქვენ კი არა, ჩემი ამ გრძნობით დღემდე მეც გაოგნებული დავდივარ. მიუხედავად ამისა, არ მინ-

და დაგიმალოთ ჩემი სიყვარული, ვინაიდან სწორედ ეს განდგომა, ეს ალსარება იქნება ის სიმშვიდე, რომელზედაც მე თქვენთვის „დღედაღამ ვლოცულობ“. თქვენ მე ახლაც ისევე არ გადანაშაულებთ და არ გწყევლით, როგორც მაშინ არ გწყევლიდით და არ გადანაშაულებდით. ჩემმა სიყვარულმა მიიღო უმაღლესი მისაგებელიცა და უმაღლესი სასჯელიც. ორივე ჩემს სიყვარულს ლოგიკური დასასრული ჰქონდა: ერთი სიკვდილით დამთავრდა, მეორე — უმკაცრესი სასჯელით... იქნებ ასეთია ჩემი ბედისწერა?.. დედამ სიკვდილით გაასწორა ბედთან ანგარიში, მე კი — გაქცევით: თავი უმძიმესი ცოდვით დავიმძიმე და გავიქეცი.

„ო, როგორ მენატრება სიკვდილი!“ — ხშირად იტყოდა ხოლმე დედა.

მაშინ კი, როდესაც თქვენ შესახვედრად არ გამოვუშვი, ასე მითხრა:

— აჰა, ესე იგი, ჩემი სიკვდილი გინდა...

ზუსტად იმ დღეს, სინო რომ გავტეხე, ერთბაშად თვალი ამეხილა. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თურმე რა დღეში იყო დედა... დაგინახათ თუ არა, იმ წუთიდან საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა, ეს ის მდგომარეობაა, როდესაც ადამიანი თვითმკვლელობისათვის არის განწირული... თქვენთან შეხვედრამ, კიკუძი-სან, თვითმკვლელობის გზაზე დააყენა, ამავე დროს კი მხოლოდ თქვენ იყავით ამ ცხოვრებაში მისი ერთადერთი ხელის მოსაჭიდი, ვინაიდან მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ თქვენთან ყოფნა იყო, მხოლოდ ეს აზრი ასულდგმულებდა. მე კი ხელი შევუშალე, ამის საშუალება არ მივეცი... და აი, წავიდა კიდევაც ამ ქვეყნიდან... იმ დღეს, ფინჯანი რომ გავტეხე, მეც სწორედ იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი — თავის მოკვლას აღარაფერი მაკლდა... მაინც რამ შემიშალა ხელი? მხოლოდ და მხოლოდ დედაჩემის სიკვდილმა... დღეს თუ ისევ ცოცხალი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემი აღარ არის ამ ქვეყანას...

იმ დღეს, ქვის ბაკს ფინჯანი რომ მივამსხვრიე, ცნობამიხდილი ბილიკზე რომ ჩავიკეცე, თქვენ შემაშველეთ ხელი... არ ვიცი, გაიგონეთ თუ არა, „დედა-მეთქი“ — იმ წუთშიაც დედაჩემს როგორ ვუხმე... არა, ალბათ ვერ გაიგონებდით, ვერ გაიგონებდით, ვინაიდან, ენა კი არა, ალბათ ჩემი გული... მხოლოდ ჩემი გული ეძახდა დედაჩემს.

გახსოვთ, ასე მითხარით, არა, ვერ გაგიშვებ, შენი წასვლა არ შეიძლება? გინდოდათ გაგეცილებინეთ, მე კი უარის ნიშნად მხოლოდ თავს ვაქნევდი.

ერთმანეთს ჩვენ უკვე ვეღარასოდეს ვნახავთ-მეთქი, — გითხარით ბოლოს და გავიქეცი. ოფლში გახვითქულმა მთელი გზა სირბილით გავიარე, გადაწყვეტილი მქონდა, თავი უნდა მომეკლა. არა, მე თქვენზე ნაწყენი და გულნატკენი არ ვიყავი. უბრალოდ, მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება უკვე დასრულებული იყო, რომ მე უკვე იმ ბოლოში ვიყავი გასული, რომლის იქითაც აღარაფერი აღარ არის. განა ჩემი სიკვდილი პირდაპირი გაგრძელება არ იქნებოდა დედაჩემის სიკვდილისა? დედამ თავის შერცხვენა ვერ აიტანა და მოკვდა, მე კი... განა მთელი ჩემი საქციელიც ისეთივე თავისმომჭრელი და სამარცხვინო არ იყო? მაგრამ სინანულის იმ მწველი, გაუნელებელი ცეცხლის ალიდან, რომელმაც მთელი ჩემი არსება მოიცვა, ამოიზარდა ზღაპრულად მშვენიერი ყვავილი — მე ხომ თქვენ უსაზღვროდ... უსაზღვროდ მიყვარდით! როგორადაც არ უნდა მომქცეოდით, რაც არ უნდა გექნათ, შეუძლებელია იგი ჩემთვის საწყენი და სამარცხვინო ყოფილიყო, რამეთუ მე თვითონ მოვიწვე-

დი ფარვანასავით ცეცხლისაკენ! დედამ ვერ აიტანა თავისი დაცემა და მოკვდა, მე კი იგი მუდამ უმშვენიერეს არსებად მიმაჩნდა. მაგრამ განა იყო კი რაიმე სამარცხვინო ჩემს ამ დაუოკებელ ლტოლვაში?

შიუხედავად ამისა, ჩვენ შორის — ჩემსა და დედას შორის მაინც უდიდესი განსხვავებაა — მისთვის ის ერთადერთი შეხვედრაც საკმარისი აღმოჩნდა, რათა ამიერიდან მხოლოდ მომავალი შეხვედრის იმედით ეცოცხლა. ჩემთვისაც მხოლოდ ის ერთი შეხვედრა იყო საკმარისი, მაგრამ ჩემი ოცნება ჩასახვისთანავე განქარდა. თავზარდაცემული ერთბაშად გამოვფხიზლდი, თვალი ავახილე და მივხვდი, რომ ჩემი სიყვარულის დასაბამი უკვე მისი დასასრულიც იყო. არა, შუა გზაზე არ შევჩერებულვარ — ჩემი ის დიდი სიყვარული მე უმალ გულიდან მოვიწყვიტე, უძირო უფსკრულში გადავკარგე.

არ შეიძლება... არა, არ შეიძლება! დედა გარდაიცვალა, ჩემს სიცოცხლეს სამუდამოდ დაესვა წერტილი, რაღა დამრჩენია? დაე, იუკიკო-სანი ითხოვოს, ახლა მხოლოდ ესღაა ჩემი ხსნა, მხოლოდ ეს... ეს თუ გადამარჩენს-მეთქი, — ვფიქრობდი გუნებაში.

რა თქმა უნდა, შემეძლო პირდაპირ მეთქვა: დევნას ნუ დამიწყებთ, ნუ მეძებთ, თორემ ავდგები და დედაჩემივით თავს მოვიკლავ-მეთქი! მაგრამ ჩემი მხრივ ეს მეტად ეგოისტური საქციელი იქნებოდა, მე თქვენ ამას ვერასოდეს გეტყოდით... მე, ვისაც თავში მხოლოდ ერთი აზრი მიტრიალებდა... დღენიადაგ მხოლოდ იმ ერთადერთი აზრით ვიყავი შეპყრობილი — დედა მუდამ ყველაზე მშვენიერი და მომხიბვლელი გხსომებოდათ... მე კი ისღა დამრჩენოდა, ისე წავსულიყავი, ისე გადავკარგულიყავი თქვენი თვალსაწიერიდან, ჩემი ასავალ-დასავალიც ვერასოდეს გაგეგოთ.

ქალბატონი კურიმოტო ამბობდა, რომ ჩვენ, ორივენი — მეცა და დედაჩემიც — ცოლის თხოვაში ხელს გიშლიდით, და რომ დედაჩემის გაცნობის შემდეგ ხასიათი შეიცვალეთ.. გონს რომ მოვედი, მე მას მშვენივრად გავუგე.

იმ საღამოს, ფინჯანი რომ გავტეხე, ვერ წარმოიდგენთ, რა საშინელ მდგომარეობაში ვიყავი. მთელი ღამე ტირილში გავატარე, მეორე დღეს კი, ჯერ ხეირიანად გათენებულიც არ იყო, ამხანაგთან წავედი და ვთხოვე, სამოგზაუროდ გამყოლოდა.

ჩემს დანახვაზე ამხანაგს ლამის გული წაუვიდა:

— რა იყო, რა დაგემართა?! ტირილისაგან თვალები ისე გაქვს დასიებული, დედაშენი რომ გარდაიცვალა, ამდენი, მე მგონი, მაშინაც არ გიტირია.

მართლაც მე და ჩემი ამხანაგი ერთად გავემგზავრეთ ჰაკონეში.

რა თქმა უნდა, დედაჩემის სიკვდილი ჩემთვის უზარმაზარი, გაუნელებელი დარდი და მწუხარება იყო, მაგრამ, ვაი რომ, ჩემი ბავშვობიდან ამაზე მწარე წუთებიც მახსენდება. ეს მაშინ, ქალბატონი კურიმოტო ჩვენთან რომ მოვიდა და მამათქვენის გამო, გინდა თუ არა, თავი უნდა დაანებოო, დედა ლანძღვა-გინებით აიკლო. მე იქვე, გვერდითა ოთახში ვიყავი, ყველაფერი მესმოდა და ცხარე ცრემლით ვტიროდი. ამ დროს დედა შემოვიდა, ხელი მომხვია და იმ მეორე ოთახში გამიყვანა. მინდოდა დავსხლტომოდი, გავქცეულიყავი, მაგრამ დედამ მუხლებზე დამისვა და შემეხვეწა:

— იჯექი, არ წახვიდე, ძალიან გთხოვ, არ წახვიდე. აი გულში ჩაგიკრავ და ასე გულში ჩაკრული მეყოლები... ჰო, შვილო, ჰო, დედაშენს ჩაგრავენ.... შენ კი, ჩემს ზურგს უკან ასე აბუზულსა და ნამტირალევს რომ გხედავ, ლამის გული გამისკდეს... იყავი, არ წახვიდე!

ქალბატონი მასწავლებლისათვის არც კი შემიხედავს, ცრემლით დასველებული სახე დედაჩემის მკერდში წავრგე.

ის კი ისევ თავისას განაგრძობდა, აზრადაც არ მოსვლია, დამხსნოდა, თავი დაენებებინა. თან ისეთი საშინელი, ისეთი გესლიანი ხმა ჰქონდა:

— ეს რაღა ამბავია? აა, ეტყობა, სცენაზე ახლა ბავშვთა როლის შემსრულებლის გამოსვლაა!.. შენ, ჩემო კარგო, უკვე დიდი გოგო ხარ, ამიტომ მშვენივრად კარგად იცი, ძია მიტანი თქვენს სახლში რისთვის დადის.

— არა, არა, არა! არ ვიცი, არაფერი არ ვიცი! — თავი გადავაქნიე და კიდევ უფრო მწარედ ავტირდი.

— იცი, ძალიან კარგად იცი! იმ ძიას კი, სხვათა შორის, თავისი კანონიერი ცოლიც ჰყავს და შვილიც — შენზე ოდნავ უფროსი ბიჭუნა... ჰოდა, გახსოვდეს, რომ იმ ბიჭუნას მთელი თავისი სიცოცხლე თვალის დასანახავად ეძულება დედაშენი, დიიახ, დიახ!.. სკოლაში შენმა მასწავლებლებმა და ამხანაგებმა რომ გაიგონ, მაშინ? მაშინ რა უნდა ქნა? აი, აი, აი, რომ იცოდე, როგორ შეგრცხვება დედაშენის ამ საქციელის გამო!

— აბა ასე რატომ ელაპარაკებით? ბავშვი რა შუაშია, ის ხომ სრულიად უცოდველია! — უთხრა დედამ.

ქალბატონი მასწავლებელი კი მაინც არ ცხრებოდა:

—უცოდველი? საქმეც ეგ არის, რომ უცოდველია! სამაგიეროდ თქვენ არ ერიდებით არაფერს, ყველანაირად ცდილობთ, ბავშვი ცოდვაში გაახვიოთ. ჰმ, უცოდველი... რა ვიცი, ძალიან ოსტატურად კი ტირის.

მაშინ ასე, თერთმეტ-თორმეტი წლისა თუ ვიქნებოდი.

— ბევრი რომ არ გავაგრძელო? — თქვა ბოლოს ქალბატონმა მასწავლებელმა, — ბავშვს საშვილიშვილოდ ამახინჯებთ, ცხოვრებაში მაგას კარგი არაფერი ელის. საბრალო გოგონა... ლაფში ისე ჩაფალით, მაგ წუმპედან ვერასოდეს ამოვა.

ახლა, როცა ამ ამბავს ვიგონებ, ასე მგონია, ის სიმწარე, რომელმაც მაშინ ლამის გახეთქა ჩემი ბავშვური გული, გაცილებით დიდი და ძლიერი იყო, ვიდრე დედის სიკვდილითა და თქვენთან განშორებით გამოწვეული ეს გულისტკივილი.

დღეს დილას ჩვენმა გემმა იიო-ნადის სრუტეში გაიარა. ზღვაზე საოცარი სიმშვიდე სუფევდა. ილუმინატორიდან შემოსული მზის სხივები კაიუტას ისე აცხუნებდა, ჟაკეტი გავიხადე და ბლუზის ამარა დავჯექი. მიუხედავად ამისა, მაინც საშინლად მცხელოდა. ნაშუადღევს უკვე ბეპუს ნავსადგურში ვიყავით.. რომ იცოდეთ რა განსაცვიფრებელი სანახაობაა! ნავსადგური მთებით არის გარშემორტყმული. მარჯვნიდან მარცხნივ ჩამწკრივებული მთები ზღვას თითქოს გულში იკრავს. შუაში წყალი ლივლივებს. ცადაზიდული მწვერვალები ჰაერში გაქვავებული უზარმაზარი ტალღები გეგონება. ასეთი რამ მხოლოდ დეკორატიულ პანოზე თუ მინახავს.

ჩემს თანამგზავრ ქალს თავაზიან წინადადებაზე უარი აღარ ვუთხარი და ბინად კანკაიძის ცხელი წყლების სასტუმროში გავჩერდი. კანკაიძის ცხელი წყლები მთაში საკმაოდ მაღალზეა. საბანაოს ფანჯრებიდან ნავსადგური და ქალაქის დიდებული პანორამაა გადაშლილი. აქ ყველაფერი გასაოცარია. ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, კანკაიძის ცხელი წყლები მიწაზე კი არა, საოცრად ნათელი სივრცის ზემოთ, ჰაერში ლივლივებსო... ასეთი რამ არათუ გამეგონა, მსგავსსაც კი ალბათ ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

ავტობუსით „ჯოჯოხეთის" შემოგარენი შემოვიარე. ავტობუსის ბილეთი აქ ასი იენი ღირს, ღირსშესანიშნაობათა დათვალიერებაც — ასი იენი. „ჯოჯოხეთში" თექვსმეტამდე კერძო ადგილ-მამულია. მამულები კოოპერატივშია გაერთიანებული და მასაც „ჯოჯოხეთის კოოპერატივი" ეწოდება.

„ჯოჯოხეთში" ორი ტბაა: „სისხლის ტბა" და „ზღვის ჯოჯოხეთი". აჰ, რომ იცოდეთ, როგორი განსაცვიფრებელი წყალია ამ ტბებში! წყალს როგორილაც განსაკუთრებული, მომაჯადოებელი და, როგორც მე მეჩვენება, მისტიკური ბრწყინვალება აქვს. ფერზე ხომ ნუღარ იტყვით! „სისხლის ტბაში" წყალი მართლაც წითელია, ასე გეგონება, ქვემოდან სისხლის შადრევანი მოსჩქეფს — ძირში მუქი ალისფერია, ზევით და ზევით კი თანდათან ღიავდება, წყალში გაზავებული სისხლის ფერს ღებულობს. ტბის თავზე მოვარდისფრო ოხშივარი ტრიალებს... თავისებური და საოცარია „ზღვის ჯოჯოხეთიც". თავისი მოცისფრო-მომწვანო ფერით იგი ზუსტად ზღვის წყალსა ჰგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით არაჩვეულებრივად ანკარაა და გამჭვირვალე. და აი, ქალაქიდან შორს, სასტუმროში, შუაღამე უკვე გადასული იყო, რომ უცებ ის ტბები გამახსენდა... „ჯოჯოხეთის" ცეცხლოვანი ტბები... თითქოს ოცნებათა სამეფოს წყაროს წყლით ნაკვები... როგორიღაც არამიწიერი და არაამქვეყნიური... მე და დედა კი სიყვარულის ჯოჯოხეთში დავეხეტებოდით... ნეტავი იქაც თუა ასეთი მშვენიერი წყაროები? წყაროები, რომლის ზღაპრული მშვენიერებით მე ახლა ასე მოხიბლული და aლტაცებული ვარ...

ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ..."

*.

„პანდას პლატო — სუძიუს ცხელი წყლები.
21 ოქტომბერი.

ამ წერილს ახლა სასტუმროდან გწერთ. სასტუმრო მაღალ მთებში, შუა პლატოზეა გაშენებული. მართალია, კიმონოს ქვეშ თბილი სვიტრიც მაცვია, მაგრამ ღამღამობით ისეთი სიცივეა, სასტუმროს კიმონოშიაც კი ვიყინები. ვზივარ მობუზული მაყალთან და ვკანკალებ. სასტუმრო ხანძრის შემდეგაა სახელდახელოდ აგებული, ამიტომაც არც ფუსუმა და არც სიოძი ჩეირიანად არ იკეტება. ვიცოდი, მთებში მომიხდებოდა ყოფნა, მე ეს ტოკიოშივე გავითვალისწინე და თბილი ტანსაცმელი საკმაოდ ბლომად წამოვიღე. მართლაც სუძიუს ცხელი წყლები, ზღვის დონიდან, მთაში, ათასი მეტრის სიმაღლეზეა. ხვალ ალბათ კიდევ უფრო ზევით მომიწევს ასვლა — ხვალ ათას ხუთასი მეტრის სიმაღლის უღელტეხილი უნდა გავიარო, სხვა ცხელ წყლებზე უნდა გავჩერდე. მაგრამ, ხომ წარმოგიდგენიათ ,ბეპუს სითბოს მერე, საიდანაც დღეს დილას გამოვედი, ტემპერატურის როგორი სხვაობაა...

ხვალ თუ კუძიუს მთებში ასვლა მოვასწარი, ზეგ უკვე ტაკედაში ვიქნები. ამ გრძელ წერილს ალბათ ხვალინდელ სასტუმროშიაც ვერ დავამთავრებ, ალბათ ტაკედაშიც მომიწევს მისი გაგრძელება. რა მინდა, რატომ გწერთ ამ წერილს? ცხადია, არა იმიტომ, რომ ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გაგიზიაროთ. მაგრამ ჯერ არც ის ვიცი, რა სიტყვებს შთამაგონებს კუძის მთა — მამაჩემის მშობლიური მხარე?

ვერ გეტყვით, იქნებ გამოსამშვიდობებელი სიტყვების თქმაც მომესურვოს, თუმცა შესანიშნავად ვიცი, რომ აჯობებს ჩუმად, უსიტყვოდ გამოგემ-

შვილობით. მე და თქვენ არცთუ ისე ბევრი გვისაუბრია, მიუხედავად ამისა, მე მგონი, მაინც ბევრი რამ ვუთხარით ერთმანეთს.

გთხოვთ, შეუნდოთ ჩემს დედას!

გახსოვთ? ყოველ შეხვედრაზე ამ ფრაზას გიმეორებდით, ყოველ შეხვედრაზე დედაჩემის შენდობას გემუდარებოდით.

როდესაც თქვენთან ამ შენდობის სათხოვნელად პირველად მოგწერეთ, თქვენ, რომელმაც ეჭვი არ არის, უკვე კარგა ხანია იცოდით ჩემი მამის შესახებ, ასე მითხარით: ...და აი, სულ ვოცნებობდი, რას ვეტყოდით, როგორ ვილაპარაკებდით მე და ის გოგო მამაჩემის შესახებო...

და კიდევ:

რა კარგი იქნებოდა, როდისმე ისეთი დრო დადგებოდეს, როდესაც მე და თქვენ მშვიდად შევძლებოდა დედათქვენისა და მამაჩემის კეთილშობილებაზე საუბარიო...

ასეთი დრო დადგა... და ასეთი დრო სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას... რომც მოხდეს, ოდესმე რომც შევხვდეთ კიდევაც ერთმანეთს, მონანიე და სირცხვილისაგან ათრთოლებული, მე ალბათ სიტყვის თქმასაც ვერ შევძლებდი... ჩვენს მშობლებზე საუბარი ჩვენთვის — ჩემთვისაცა და თქვენთვისაც — აკრძალული, ხელშეუხებელი თემაა. განა ისეთ შვილებს, როგორიც ჩვენა ვართ, უფლება აქვთ ერთმანეთი უყვარდეთ? ამ სიტყვებს რომ გწერთ, თვალები ცრემლითა მაქვს სავსე.

მას შემდეგ, რაც თერთმეტი თუ თორმეტი წლის გოგონას ქალბატონმა კურიმოტომ ისეთი ტკივილი და ტანჯვა მომაყენა, სულში სამუდამოდ ჩამრჩა მისი სიტყვები — ბიძია მიტანის პატარა ბიჭუნა ჰყავსო. მაგრამ იმ პატარა ბიჭუნას შესახებ „ბიძია მიტანისათვის" არასოდეს არაფერი მიკითხავს — ასე მეგონა, ამაზე, უბრალოდ, ხმის ამოღებაც დიდი დანაშაული იყო. პატარა გიმნაზიელ გოგონას კი ძალიან აინტერესებდა, რამდენი წლისა იყო ის ბიჭი, ომში ხომ არ წაიყვანეს? მაგრამ ერთხელაც არ გაუბედავს და ამის შესახებ ერთხელაც არაფერი უკითხავს.

საჰაერო თავდასხმების იმ ყველაზე საშინელ დღეებში, მამათქვენი ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩვენს სახლში და შინ მუდამ მე ვაცილებდი. ვერ წარმოიდგენთ, რა შიში ვიყავი. სულ იმას ვფიქრობდი, ერთიც ვნახოთ, ძია მიტანის რაღაც დაემართოს, მისი ის პატარა ბიჭიც ჩემსავით უმამოდ დარჩესმეთქი... კაცმა რომ თქვას, განა სასაცილო არ არის? მე უკვე გავიზარდე, აგერ უკვე ამხელა გოგო ვიყავი, ბიჭზე კი, რომელიც ჩემზე უფროსი იყო და რომელიც შეიძლება უკვე ჯარშიაც წაიყვანეს, ისევე ვფიქრობდი, როგორც მაშინ იმ პატარა ბიჭუნაზე. რატომ? მიზეზი ალბათ ის პირველი შთაბეჭდილება გახლდათ, ასე სამუდამოდ რომ ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში.

დედას არაფრის გაკეთება არ შეეძლო, ამიტომაც სურსათის საშოვნელად მუდამ მე მიწევდა ახლომახლო სოფლებში სიარული. მახსოვს, ერთხელ ჩვენს მატარებელს თავს დაესხნენ. აქოთქოთებულ ხალხში ვიღაც ლამაზი ქალი დავინახე და ერთი რომ მივეწიე, გვერდიდან აღარ მოვცილებივარ. ცოტა რომ დავმშვიდდით, ხალხმა ერთმანეთში საუბარი გააბა — ვინ სად მიდიოდა, ვის რა სურსათის შოვნა უნდოდა...

— მე ხარჭა ვარ.. — დაიწყო თავისი ამბის მოყოლა იმ ლამაზმა ქალმა, რომელიც საოცრად გულახდილი იყო სრულიად შემთხვევით გაცნობილ თა-

ვის პატარა გიმნაზიელ თანამგზავრთან. და აი, გიმნაზიელმა გოგონამაც გადაწყვიტა, გულახდილობაზე გულახდილობითვე ეპასუხა:

— მე კი... მე მისი ქალიშვილი ვარ.

ქალს გაოცებისაგან თვალები გაუფართოვდა:

— მართლა? რას ბრძანებთ?! რა კარგია, რომ უკვე ასე დიდი გოგონა ხართ.

მისი ქალიშვილი ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, იმ ქალმა, ჩანს, არასწორად, მამაჩემთან მიმართებით გაიგო ჩემი ნათქვამი. მართალია, ახსნა-განმარტება აღარ დამიწყია, მაგრამ სირცხვილისაგან ლამის თმის ძირებიც კი გამიწითლდა.

ჩემს ახალ ნაცნობს ძალიან ვეცოდებოდი. მას მერე უკვე ხშირად ვხვდებით მე და იგი ერთმანეთს. დავთქვამდით ,სად და როდის შევხვედრილიყავით, ჩავსხდებოდით მატარებელში და სურსათის საშოვნელად მივდიოდით. ზოგჯერ ძალიან შორსაც კი გვიწევდა წასვლა. ერთხელ ბრინჯისათვის მის მშობლიურ სოფელში — ნიიგატას პრეფექტურაშიაც კი ვიყავით.. ის ქალი მე ალბათ არასოდეს დამავიწყდება.

დიდი გოგო ხარო... და აი გოგო კი არა, უკვე ქალი ვარ. მერედა რა? კარგი არაფერი! ჩვენ ახლა ჩვენს მშობლებზე — მამათქვენსა და დედაჩემზე, უბრალოდ, დალაპარაკებაც აღარ შეგვიძლია.

სასტუმროში შორიდან ჩანჩქერის ხმა ისმის. მობანავენი შეუდგებიან ჩქაფაჩქუფით წამოსული ცხელი წყლის ნაკადს და ამას ისინი „დაკეკვას“ ეძახიან. ეს ცხელი წყალი სახსრებისა და კუნთების სამკურნალო წყალია, ალბათ ამიტომაც ჰქვია „სიძიუ“ ანუ „კუნთისა“.

სასტუმროს საკუთარი საბანაო არა აქვს, აბაზანებს ხალხი ვაიტაიამასა და კუროივასანის მთებს შორის, ხეობაში გაშენებულ საერთო საბანაოში იღებენ.

მთებიდან წამოსული ცივი ჰაერის გამო საღამოობით აქ გვარიანი სიცივეა, დღეს დიდხანს, დიდხანს ვტკბებოდი შემოდგომის მეწამული ფოთლების ცქერით. ისეთი მსუყე, ხასხასა ფერი აქვს, ოცნების სამეფოს ტბების ის ზღაპრული ფერებიც კი სიახლოვესაც ვერ მოვა მის ფერებთან. იუფუ-გატაკეს მთები, რომელიც ხელისგულივით მოჩანს ძიოსიმას მაღალი პლატოდან, არაჩვეულებრივია, თუმცა ჰანდას პლატოს იმ შეუდარებელ სურათს, რომელიც ნაკამურას გზაზე მიმავალს გადაეშლება ხოლმე თვალწინ, ტოლს ვერაფერი დაუდებს. ცამეტივე მოსახვევი რომ გავიარეთ, პლატოზე რომ ავედით, უკან მოვიხედე და ოქროსფერ ფოთლებში ჩაფლული კუსუის ხეობა დავინახე. ხეობას მთის ფხაზე შემომდგარი მზის სხივები დაჰფენოდა, მეტისმეტად ნათელი და ჩახჩახა კი არა, მთის ფერდობთა ნაკეცებში ჩაწოლილი მოლურჯო ჩრდილით ოდნავ შერბილებული... ლბილად მოალერსე მზის სხივებში ფოთლების ოქრო ჩამუქებულიყო, მეწამულს კი ბრდღვიალი გაჰქონდა. ღმერთო, რა საოცარი, რა მომხიბვლელი იყო მთის მხარზე გადმომდგარი ჩამავალი მზის სხივებით განათებული წითელ-ყვითელი ფოთლები!

ვფიქრობ, პლატოზეც და მთაშიაც, საითაც ხვალ მე წასვლას ვაპირებ, კარგი ამინდი იქნება. მშვიდობის ღამეს გისურვებთ მთის ხეობის ამ შორეული სასტუმროდან... აგერ უკვე სამი დღეა, გზაში ვარ და ერთხელაც არაფერი დამსიზმრებია.

სინოს ფინჯანი რომ გავტეხე, მას შემდეგ სამი თვე ამხანაგთან ვცხოვრობდი. მთელი ის სამი თვე საშინელი უძილობით ვიტანჯებოდი, ჩემს უძილო ღამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებს ამ მთებივით ბოლო აღარ უჩანდა. ამხანაგს იმდენი საზრუნავი და საფიქრალი გავუჩინე, ალბათ საშინლად დავღალე, უენოს პარკთან ოთახი რომ ჰქონდა დაქირავებული, იმ ოთახიდანაც სწორედ იმან გადმოიტანა ჩემი ბარგი.

მეორე დღეს თქვენ თურმე — რა თქმა უნდა, თქვენ იყავით, — სხვა ვინ უნდა ყოფილიყო! — იმ სახლში მისულხართ და ჩემი ამბავი გიკითხავთ (ესეც სწორედ იმ ჩემმა ამხანაგმა მითხრა). მიუხედავად ამისა, მე მაინც ვერ გავბედე და ვერ ავუხსენი, რატომ გამოგექეცით, ანდა რატომ გემალებოდით ასე გულმოდგინედ. მე ამ კაცის სიყვარულის უფლება არა მაქვს-მეთქი, — ამის მეტი ვერაფერი ვუთხარი.

— კი მაგრამ, იმას ხომ უყვარხარ?! უფლება არა მაქვსო! ვიცი, მე ეგ თქვენი „უფლება არა მაქვს"!.. კარგი, ჩავთვალოთ, რომ არ სცრუობ...

ალბათ ჩემს ამხანაგს იმისი თქმა უნდოდა, ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ვინც უნდა ის უყვარდესო. რა ვიცი, შეიძლება ასედაც არის, მაგრამ... კი ბატონო, გიყვარდეს, ოღონდ თუ გაბედავ და შენც ისევე მოკვდები, როგორც დედაჩემი მოკვდა...

სხვამ თუ არა, თქვენ მაინც იცით, რა უკიდურესობამდე მიმიყვანეს (ანდა, თუ გნებავთ, მე თვითონ მივედი), ალბათ ისიც გახსოვთ, როგორ გულითა და სულით მეწადა, სიკვდილის შემდეგ ჩემი დედა თქვენთვის მშვენიერების განსახიერება ყოფილიყო. დღესაც არ ვიცი, რატომ ვიქცეოდი ასე და არა სხვაგვარად. რა იყო ეს? მხოლოდ შემთხვევითობა? ძნელია, განსაჯო საკუთარი საქციელი, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იმ ადამიანისათვის, ვინც მხოლოდ შორიდან უყურებს შენს საქციელს. შემთხვევითობა... იქნებ ეს სიტყვა მაშინ ამოცენდება, როდესაც ადამიანი ბოლომდე ვერ იცნობიერებს რაიმეს? ანდა იქნებ შემთხვევითობაზე მაშინ ლაპარაკობენ, როდესაც კაცი ღმერთისა თუ ბედისწერისაგან შენდობას ღებულობს?

ვიცი, ცუდია, როცა ასეთ რამეზე ლაპარაკობ, მაგრამ ვიდრე მე ის ამბავი დამემართებოდა, ჩემს ამხანაგს ეს ყველაფერი უკვე გადატანილი ჰქონდა. მეც ალბათ სწორედ ამიტომ მივმართე მას დახმარებისათვის, იმანაც ალბათ ამიტომ გამიგო, ესე იგი, მაშინვე მიხვდა ჩემს მდგომარეობას. მაგრამ ის სასოწარკვეთილება და სინანულის ის მორევი, რომელიც ჩალასავით მატრიალებდა, მის ყოველგვარ მიხვედრილობასა და გაგების უნარს აღემატებოდა.

მერე თანდათან გონს მოვედი. ის კი არა, ცოტა გავმხიარულდი კიდევაც. არ ვიცი, იქნებ დედაჩემის ხასიათი დამყვა, იქნება ეს ქარაფშუტობა და უდარდელობა, უბრალოდ, სისხლშიაც მაქვს... ასეა თუ ისე, თანდათან მოვმაგრდი, სული მოვითქვი... ჩემმა ამხანაგმაც ალბათ ამიტომ გაბედა, სამოგზაუროდ მარტო ამიტომ გამომიშვა.

იმასთან შედარებით, როცა მე და დედა, ანდა მისი სიკვდილის შემდეგ სულაც მარტოდმარტო ვცხოვრობდი, ეს ნაირ-ნაირი სასტუმროები მე ახლა განცხრომისა და უზრუნველობის სავანედ მეჩვენება. მიუხედავად ამისა, ღამღამობით ენით აუწერელ მოწყენილობასა და სიცარიელეს განვიცდი. ამ წერილის წერაც ალბათ სწორედ ამიტომ დავიწყე. იმ ამბის მერე აგერ უკვე სამი თვე გავიდა! და აი, უცბად ენა ამოვიდგი, რატომ?"

4.

4.

„ჰოკეინის ცხელი წყლები, 22 ოქტომბერი.

დღეს სუგამორის უღელტეხილი გადავიარე, რომლის სიმაღლე ათას ხუთას ორმოცი მეტრია, ახლა ჰოკეინის ცხელი წყლების სასტუმროში ვარ — ზღვის დონიდან ათას სამას სამ მეტრზე. თითქმის ნახევარზე მეტი გზა უკვე უკან დამრჩა. ხვალ აქედან ქალაქ კუძიუში ჩავალ, კუძიუდან [illegible] ქალაქ ტაკედაში ვიქნები.

გუშინ საღამოს საშინელი დაღლილობა ვიგრძენი, რაც ალბათ მთის ამ მცხუნვარე მზისა და გოგირდის ბრალია! ამბობენ, აქაური ცხელი წყლები გოგირდით არის სავსე. სუგამორის უღელტეხილთან კი ერთ-ერთი მთა პირდაპირ გოგირდს აფრქვევს, ამ დროს ქარი თუ უბერავს და ეს ქარი სახეში გცემს, გოგირდის ორთქლი ფილტვებამდე აღწევსო. იმასაც ამბობენ, ვერცხლის საათი თუ გიკეთია, ერთ დღეში შავი ნახშირივით ხდებაო.

გუშინ სითბო სულ რაღაც ხუთი გრადუსი იყო, დღეს — კიდევ უფრო ნაკლები. სასტუმროში ასე მითხრეს, ტემპერატურა ამაღამ კიდევ უფრო დაეცემაო. არ ვიცი, ესენი ტემპერატურას როდის ზომავენ, მაგრამ გამთენიისას ალბათ ნული გრადუსიც არ იყო.

საბედნიეროდ, მეორე სართულის ფლიგელში შესანიშნავი ნომერი მომცეს. ფანჯრებს ორმაგი ჩარჩოები აქვს, სასტუმროს დაბამბული კიმონო საკმაოდ თბილია, ხიბატი კი სულ გაღუღუნებული ნაღვერდლით არის სავსე, ისე რომ, გუშინდელთან შედარებით თავს აქ გაცილებით ხალისიანად და მხიარულად ვგრძნობ.

სასტუმრო ჰოკეინის შენობა მთაში განმარტოებით დგას. არც წერილი... არც გაზეთი... უახლოეს სოფლამდე აქედან სამი რი მაინც იქნება, უახლოეს სახლამდე — არანაკლებ ერთ-ნახევარი... სწავლის პერიოდში ბავშვები სოფელში ჩაჰყავთ, ვინაიდან დაწყებით სკოლამდე საკმაოდ დიდი გზაა, აქაც დაახლოებით — სამი რი...;

სასტუმროს პატრონს ორი ბავშვი ჰყავს — ექვსი წლის ბიჭი და ოთხი წლის პატარა გოგონა. ამ ბავშვის ბებია დღეს ჩემთან ნომერში შემოვიდა, ცოტა ხანს დაჯდა, გამომესაუბრა, ალბათ გაუკვირდა, ამხელა გზაზე ქალი ასე მარტო რამ წამოიყვანაო. ბებიას თან ბავშვებიც შემოჰყვნენ. ბავშვებმა ლამის დახოცეს ერთმანეთი — არა მე უნდა ჩავუჯდე ბებიას კალთაში და არა მეო. ჯერ გოგონა შეახტა მუხლებზე, ცხენივით გადააჯდა და თავისი პატარა მკლავები კისერზე შემოაჭდო. ამის დანახვაზე ბიჭი გოგონას ეცა, ჰყიოდნენ, დარბოდნენ, ერთმანეთს დასდევდნენ. მოკლედ, დიდებული ბავშვები არიან. ბიჭს ისეთი ლამაზი თვალები აქვს, ვერ წარმოიდგენთ, გოგონას კიდევ მასზე უკეთესი — დიდი, უშველებელი თვალები და თამამი გამოხედვა. ისეთი გასხივოსნებული და შუქით სავსე, აღწერაც კი შეუძლებელია. ყველაფერია ამ თვალებში — ენერგია, სითამამე, მოზიდული შვილდის შემართება...

— როგორც ვხედავ, ახლომახლო მეზობელი არავინ გყავთ, ბავშვებმა ვისთან უნდა ითამაშონ? — ვუთხარი სახლის პატრონს.

— ჰო, არავინ არ არის.. ერთი-ორი ბავშვია და ისინიც ძალიან შორს ცხოვრობენ, — მიპასუხა ბებიამ.

გოგონა რომ დაბადებულა, ბიჭს თურმე ასე უთქვამს, აქამდე სულ მე მეძინა დედასთან. ახლა მოვიდა ეს გოგო და ჩემი დედიკო წამართვაო... ადრე კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურმე სულ იმას ამბობდა, მალე პატარა ბაია გაგვიჩნდება, მე და ჩემი დაიკო ერთად დავიძინებთო.

მაგრამ მას მერე, რაც პატარა დაია გაუჩნდა, თურმე სულ ბებიასთან უწევს წოლა.

ასე იზრდებიან განმარტოებით მდგარ ამ სახლში შუქით სავსე, დიდრონთვალებიანი ბავშვები. მართალი გითხრათ, არ ვიცი, ადვილი შესაძლებელია, სახლის პატრონები აჭედავენ ზამთრობით სასტუმროს კარს და ქვევით, სოფელში ჩადიან საცხოვრებლად. ბავშვები კი, მართლაც ,შესანიშნავები არიან, ლამაზები, სიცოცხლით სავსეები.

მე კი არც და მყოლია და არც ძმა.

ბავშვობაში, მართალი გითხრათ, არასოდეს მიფიქრია ამაზე, ის კი არა, სულაც ვერ ვამჩნევდი — უბრალოდ, მიჩვეული ვიყავი ამ მარტოობას. ცოტა უფრო გვიან, გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ხანდახან სევდიანი განწყობა დამეუფლებოდა — რა იქნება, ერთი უფროსი და ან უმცროსი ძმა მაინც მყავდეს-მეთქი, მაგრამ ამაზე ფიქრით თავს მაინცდამაინც დიდად არ ვიტკიებდი. დედა რომ გარდაიცვალა, მაშინვე თქვენ დაგირეკეთ და თქვენ გაგიხადეთ თანამონაწილედ, რათა მისი სიკვდილის ნამდვილი მიზეზი ჩვენ ორ შორის დარჩენილიყო სამუდამოდ. რა თქმა უნდა, ცუდად მოვიქეცი, ისე გამოვიდა, თითქოს მართლა თქვენ მიგიძღოდათ ბრალი დედაჩემის სიკვდილში. ამაზე მხოლოდ ახლაღა დავფიქრდი. უფროსი ძმა რომ მყოლოდა, ალბათ თქვენ არ დაგირეკავდით, ის კი არა, დედა იქნებ ახლაც ცოცხალი ყოფილიყო, იქნებ არც მე გავწამებულიყავი ასე უსაშველოდ, მხრებზე ასე მძიმედ არ ჩამომწოლოდა ის ცოდვა... ისე გამაოცა, ისე გამაოგნა ჩემს გულში ერთბაშად ამოხეთქილმა ამ აზრებმა, ახლაც გონებაზე ვერ მოვსულვარ. მე, დედისერთა, ოჯახში მარტოდმარტო გაზრდილი ბავშვი, სულ იმას ვოცნებობდი, ერთი მეგობარი, ერთი მახლობელი ადამიანი მაინც მყოლოდა! ამიტომ გამომიწია თქვენკენ გულმა, ამიტომ მოგეტკბეთ და მოგეალერსეთ ასე სულითა და გულით... თქვენ, ვისი სიყვარულისა და მოფერების უფლება სრულებითაც არ მქონდა.

აი, ვზივარ ამ განმარტოებულ მთის სასტუმროში და ჩემს არარსებულ უფროს ძმაზე ვნაღვლობ. დაე, უფროსი ძმა თუ არა, და იყოს, სულ ერთია, უფროსი იქნება თუ უმცროსი... მთავარია, ჩემი ღვიძლი, ჩემი სისხლი სისხლთაგანი, ჩემი მახლობელი ადამიანი იყოს... ალბათ რა სასაცილოა, რა უცნაური გეჩვენებათ, არდაბადებულ ჩემს დებსა და ძმებს რომ ვნატრობ და ვნაკლისობ.

დედისერთა... თქვენც ხომ დედისერთა ხართ! უწინ ამაზე არასოდეს მიფიქრია, როდესაც მამათქვენი ჩვენს ოჯახში დადიოდა, ერთხელაც არ უხსენებიხართ — თქვენი ოჯახი ჩვენთვის აკრძალული თემა იყო. მაგრამ:

— რა კარგი იქნებოდა, პატარა დაია ან ძამიკო რომ გყოლოდა, მაშინ ხომ ასეთი მოწყენილი აღარ იქნებოდი? — მითხრა ერთხელაც მამათქვენმა.

სახეზე მკვდრისფერი დამედო.

— აბაა... ოოტა რომ კვდებოდა, ისიც სულ იმას ამბობდა, ნეტავი რა ეშველება, გოგო მაინც არ იყოს, ძალიან გაუჭირდებაო. ისე ეცოდებოდა, პირდაპირ გული ეტანჯებოდა, — მხარი აუბა დედამაც.

ო, ჩემი მიამიტი, ჩემი გულუბრყვილო დედიკო! მაგრამ როცა დამინახა, რა დღეში ვიყავი, სუნთქვა შეეკრა.

მე კი იმ წუთებში ენით უთქმელმა შიშმა და სიძულვილმა შემიპყრო. მე

რომ მაშინ უკვე თხუთმეტი წლის გოგო ვიყავი. ყველაფერი შესანიშნავად მესმოდა. ასე მეგონა, მამათქვენი თავის მომავალ შვილზე, ჩემს ან დას ან ძმაზე ლაპარაკობდა, რომელიც დედაჩემს მისგან უნდა ჰყოლოდა, იმ ბავშვს, ჩემი კი არა, სხვა მამა ეყოლება-მეთქი, — ამის გაფიქრებაზე [illegible] შევიშალე. ახლა, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ მაშინ [illegible] არაფერი ყოფილა. [illegible] შემომ[illegible] კი, ჩემზე [illegible]ბოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible] ჩვენც [illegible] მე და ჩემი დედა, ეს ორი მარტოხელა [illegible] გარდა არავინ გვიჩნდა. მე კი მარტოდ [illegible] ვიყავი. დედაჩემს ბავშვი თუ გაუჩნდება, უსათუოდ მოვკლავ-მეთქი, — ვფიქრობდი. კაცის მოკვლა, რა თქმა უნდა, არც მანამდე და არც მას შემდეგ თავში აზრადაც არასოდეს მომსვლია. არც ვიცი, რა იყო და რა ერქვა ჩემს ამ განცდას — ეჭვიანობა, ბრაზი, სიძულვილი? ახლა იქნებ ეს ბავშვური სულის [illegible] იყო — ასეთი სუფთა, ასეთი უმანკო სულისა?

დედამ, ეტყობა, რაღაც იგრძნო.

— ჩემს გულზე [illegible], [illegible] შვილი გვყოლებოდა... ახლა მეორე რაღაში მჭირდება! ეს ისეთი კარგი გოგოა, ისეთი გულისხმიერი და კეთილი, არა რომ მყავდეს, ამ ერთს [illegible] არ გავცვლიდი.

— ეს კი ასეა... მეგონა... დედისერთა ბავშვები მუდამ გულჩათხრობილები არიან, მარტოსულები და [illegible]. [illegible] ცხოვრება მერეც სულ მარტოობისკენ ისწრაფვიან, [illegible] ბავშვს ხელიდან ყოფნა.

მამათქვენმა ასე [illegible] [illegible] და გარეგნობით რომ დავეთიანე, [illegible] სულ [illegible]. სულ იმას ვცდილობდი, არ შემეჩნია და არ [illegible] ეჭვიანი და ბავშვში კი არა, [illegible] სავსე და [illegible] გოგო ვიყავი. მე ხომ სულ დედას ვგავდი [illegible], [illegible] რაც არ უნდა გარეთული ვყოფილიყავი [illegible], [illegible] გაწყვეტა მქონოდა. საქმარისია მამათქვენი [illegible] რომ [illegible] გაზე გავდებოდი. დედა ალბათ [illegible] ჩემს ამ ბავშვურ [illegible] გამო... მამათქვენს კი მაშინ ჩემი ეს [illegible] არ მოსვლია, ერთადერთი, ეტყობა, თქვენ [illegible], თავისი ერთადერთი ვაჟიშვილის [illegible].

[illegible], მაინც რა [illegible] დედაჩემს ის ბავშვი რომ გაეჩინა, ბავშვი, რომელსაც [illegible] და რომელიც ჩვენი — თქვენ და ჩემი [illegible] ან ძმა [illegible]?

რა საშინელებაა!

[illegible], რატომ მომდის თავში ეს [illegible] აზრები? ეს მოგზაურობა და მერე ხომ [illegible] ჩემი [illegible] სულ ფეხით მოვიარე ზღვანი, [illegible] რომ შესანიშნავი იყო...

— [illegible]

— [illegible]

ეს [illegible] გავიგონე. [illegible] ერთმანეთს, თან, [illegible] მოსალმების გაგონებაზე, ერთმანეთს [illegible].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამინდი კი მართლაც დიდებული იდგა. გზისპირებზე ბალახი ბიბინებდა — არ ვიცი, მისკანტი იყო თუ მინდვრის სხვა რაღაც სარეველა ბალახი — ახლად ამოსულ მზის სხივებზე ნელა ირწეოდა, ვერცხლისფრად ღელავდა. მარცხნივ, მთის ძირას, კრიპტომერიის ხეები იყო აღმართული. ხეებს შუა ლურჯად ჩაწოლილიყო ბინდისფერი ჩრდილი. ბრინჯის ნათესებში, [illegible] მიჯნაზე, ნეჭა იყო ჩაფენილი, ნეჭაზე წითელკიმონოიანი ბავშვი [illegible] უკან ოთორ, პატარა ტომსიკაში საჭმელი და სათამაშოები ელაგა [illegible] თურმე ნაადრევი სიცივე და სუსხი იცის, ამიტომაც ცდილობენ სიცივემდე დაასწრონ, ბრინჯი დროზე დარგონ... ბრინჯის გადარგვის დრო როცა დადგება, მთელ მინდვრებში კოცონებს ანთებენ. ამ დილით კი მზე უხვად აფრქვევდა სითბოსა და სინათლეს. ისეთი მზე იყო, გასათბობად ბავშვიც კი დაესვათ მყუდროზე. თბილი ფეხსაცმელი გავიხადე და რეზინისძირიანი ბრეზენტის მსუბუქი ჩუსტები ჩავიცვი. ასე მეგონა, სულ ასეთი სითბო იქნებოდა და სულ ასე მსუბუქად ვივლიდი.

სუძიუდან უღელტეხილზე ასვლა ალბათ ალპიური გზებითა და მთის ბილიკებითაც შეიძლება, მაგრამ გადავწყვიტე, ჰანდასთან გავსულიყავი, სადაც ფოსტა და სკოლაა, იქიდან კი ზევან-ზევან მევლო და ბარემ კუძიუს მთების ცქერითაც დავმტკბარიყავი. ეს გზა შედარებით იოლია. სუგამორის უღელტეხილამდე სულ ვაკეზე უნდა იარო, მერე კი ამ უღელტეხილს გადაივლი და ჰოკეინისაკენ დაეშვები.

მთლიანად ქედს კუძიუ ჰქვია. ქედზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ჩარიგებული რამოდენიმე მაღალი მწვერვალია: კუროდაკეკე, ტაისენძანი, კუძიუსანი ,მიმატაიამა, კერიოვასანი, რაისიგატაკე, ვაიტაიამა, იტიმაკესანი და სენსუისანი... ამ მთების ჩრდილოეთით ჰანდას ვაკობია გაშენილი.

მთების ჩრდილოეთით.., დიახ, დიახ, მთელი ჰანდას ვაკობი ამ მთების ჩრდილოეთით მდებარეობს ,თუმცა ვაიტაიამას მთა, მაგალითად, დასავლეთით აკრავს, კუექირას მთა — აღმოსავლეთით. ეს მრგვალი ვაკობი მთებს თითქოს ხელში აუტატებიათ, მაღლა-მაღლა აწევიან, თითქოს რაღაც ჯადოსნური, უხილავი ფსკერიდანაა ამოტივტივებული და ჰაერში ლივლივებს... მთები ოქროსფერ სამოსშია გახვეული. მზეში მოლივლივე მისკანტი ვერცხლისფრად ირწევა და ასე გგონია, მთელი დაბლობი ამ [illegible] ტალღებით არის დაფარული. ჰანდას ვაკობის სიმაღლე ათასი მეტრია. მისი განაკვეთი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენაც და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენაც — რვა კილომეტრი.

მე იგი სამხრეთიდან ჩრდილოეთით გადავკვეთე. დაახლოებით შუაგზაზე რომ ვიყავი, იქ, სადაც წინ მხოლოდ გაშლილი სივრცეა, მიმატაიამასა და ჰოსიოძანის მთებს შორის მსუბუქი კვამლი გამოჩნდა: კვამლი იუოსანის მთიდან ამოდიოდა — მთა ბოლავდა. ირგვლივ ცა მოკრიალებული იყო, მხოლოდ ვაიტაიამას მწვერვალის თავზე მიცურავდა ღრუბლის ფთილა, პატარა ნაფლეჯი. ვერ წარმოიდგენთ, როგორი ბედნიერი ვიყავი — ეს ხომ ჯერ კიდევ ტოკიოში ვოცნებობდი ჰანდას ზეგანის „დიდებულ ამინდზე"!

ბუნება აქ საოცრად ლბილია და [illegible] ბი არაჩვეულებრივად სუფთაა და ნათელი [illegible] ლები უნახავს. მეტისმეტად პოეტურსა და რომანტიკულს [illegible] ადრეც არის. თუმცა პირადად მე [illegible] რობამდე სინანოს ალპიური საძოვრების მეტი [illegible] მინახავს. აქ ისეთი

სიმშვიდეა... ისეთი სილამაზეა!... სინათლე, სივრცე, შორეთს იქითა შორეთი... ვაკობი თითქოს გათბობს, გეალერსება, გულს სინაზითა და სინატიფით გივსებს. სამხრეთით აზიდული მთების სილუეტი ლბილია, კეთილშობილებით აღსავსე. დატყვევებული შეჰყურებ ბეპუს ნავსადგურს ირგვლივ შემოჯარულ, ჰაერში გაქვავებული ტალღებივით მრგვალად დაკვერცხილ მთებს, ასევე სრულიად განსხვავებულსა და განსაკუთრებულს და ცაში აზიდულ მწვერვალების საოცარი ჰარმონიულობითა და გულგახსნილობით მოჯადოებული სახეები, რაც, ცხადია, სრულიად უჩვეულოა ასეთი სიმაღლის მწვერვალებისათვის (კუძიუსანის სიმაღლე ხომ ზღვის დონიდან ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი მეტრია! იგი კიუსიუს ყველაზე მაღალი მთაა). სიმაღლის მიხედვით მეორე — ტაისენძანია. დიდებულია მიმატაიამა და ჰოსიოძანიც, რომელთა სიმაღლეც აგრეთვე ათასშვიდას მეტრამდე აღწევს. ასეთი მაღალი მთა აქ დაახლოებით ათი მაინც იქნება. მაგრამ ეს მთები თავისი სიმკაცრითა და მიუკარებლობით არ გთრგუნავენ, მით უმეტეს, ათასი მეტრის სიმაღლის ზეგანზე თუ დგახარ და მთებს ათასი მეტრის სიმაღლიდან გაჰყურებ... ყველა ეს მთა თითქმის ერთი სიმაღლისაა, მწვერვალებს შორის განსხვავება თითქმის არ არის. ირგვლივ აქაც საოცარი შუქია განფენილი — ეს ხომ სამხრეთის მხარეა, თან არც ზღვაა მაინცდამაინც შორს.

დაახლოებით შუა გზაზე რომ მივედი, ცოტა ხანს ჩავიმუხლე. ტიოძიაბარას ველზე კი დიდხანს, დიდხანს ვიჯექი ფიჭნარში. ფიჭვები ველზე ჯგუფ-ჯგუფადაა გაბნეული. ისეთი ფიჭვი მოვძებნე, რომლის ძირშიც ხშირი, მაღალი ბალახი იყო ამოსული. ცოტაოდენი მანძილი რომ გავიარე, დავჯექი და ვისადილე. უკვე ორი საათი იქნებოდა. მაღალ, ჭალასავით წამოსულ ბალახს შრიალი გაჰქონდა. იქ, სადაც მზის სხივები პირდაპირ სცემდა, შეყვითლებული ბალახი მსუყე ოქროსფერი იყო, იმ ადგილას კი, სადაც მე ვიჯექი, ბალახი მზის ალმაცერად წამოსულ სხივებში იყო გახვეული და ნაირფრად ელავდა. თვითეულ მთასაც თავისი განსხვავებული ფერი ჰქონდა. ასე მეგონა, ბუნების ლაჟვარდოვან სრასახლში ვებრძანე და ძოწითა და ოქროთი პირშემოსილი მთების ფერადი ვიტრაჟიდან უკიდეგანო სამყაროს გავცქეროდი.

„ღმერთო ჩემო! ღმერთო, რა სილამაზეა!..“

წარმოვთქვი ხმამაღლა... მერე ერთბაშად ცრემლი მომეძალა და მისკანტის ღეროთა ვერცხლისფერი ჭავლი თვალებში ნაცრისფრად ჩამებინდა. მაგრამ ცრემლი კი არ ბლალავდა სევდას, ცრემლს სევდა თან მიჰქონდა. აქ, მამაჩემის სამშობლოში იმიტომ ჩამოვედი, რათა, თქვენი სიყვარულით აღსავსე, აქ, ამ არემარეში გამოგთხოვებოდით სამუდამოდ. დაე, ცრემლმა თან წაიღოს ჩემი წარსული — ჩემი ცოდვა და ჩემი სინანული. სხვაგვარად ალბათ ვერასოდეს შევძლებდი თქვენს დათმობას, თქვენთან განშორებას... ვერასოდეს შევძლებდი ახალი ცხოვრების დაწყებას... მიუხედავად ამისა, დღეა თუ ღამეა, მე მაინც დღენიადაგ თქვენზე ვფიქრობ... აქ, ამ მაღალმთიან ვაკობზე, შორს ყოველივე იმისაგან, რაც გადამხდა, ფიქრით ისევ და ისევ თქვენთანა ვარ, გთხოვთ, მაპატიოთ... ვფიქრობ... სულ ვფიქრობ... რათა აი ფიქრებით სამუდამოდ გამოგემშვიდობოთ.. ნება მომეცით, ვიარო ამ ზეგანზე, მთების ცქერით დავტკბე და მხოლოდ თქვენზე ვიფიქრო... თქვენზე ვიოცნებო...

ახლაც ვზივარ ამ ფიჭვების ჩრდილში და ჩემი ფიქრები თქვენკენ მოისწრაფიან. ერთ ადგილას გარინდებულს განძრევისაც კი მეშინია. აჰ, რა იქნებოდა ახლა, ამ ნათელ წუთებში ზეცად ავმაღლებულიყავი!... მე ხომ ისედაც

ზეციურ სრასახლში ვარ! და აი, ალტაცებისაგან გაოგნებულმა თქვენზე — თქვენს მომავალ კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე ლოცვა დავიწყე...

შეირთეთ, უსათუოთ შეირთეთ იუკიკო-სანი!.. ვთქვი და ამ სიტყვებით საბოლოოდ გამოგემშვიდობეთ. დავიწყებით კი, როგორც ჩანს, ვერასოდეს დაგივიწყებთ. მაგრამ რა დღეშიაც არ უნდა ვიყო, როგორი მწუხარე, გულის მომკვლელიც არ უნდა იყოს ყოველი თქვენი გახსენება, მე მაინც გულიდან არასოდეს ამომივა, რომ აქ, ამ მაღალი მთებისაკენ თქვენთან, თქვენთვის გამოვესწრაფე და აქ, ამ მთებში გამოგემშვიდობეთ...

დღეის ამას იქით ჩვენ — მეცა და ჩემი დედაც სამუდამოდ ჩამოგეცალეთ...

უკანასკნელად გთხოვთ, მაპატიოთ,

გთხოვთ, აპატიოთ ჩემს დედას!..

ჰანდას ვაკობიდან სუგამორის უღელტეხილზე, ჩვეულებისამებრ, იმ გზით მიდიან, რომელიც მიმატაიამას მთის ძირას იწყება. მე კი სხვა გზა ავირჩიე — გზა, რომლითაც მთიდან გოგირდი გააქვთ. იოძანი ანუ გოგირდის მთა. რაც უფრო ახლოს მიდიხარ, მით უფრო შემზარავია. იმის გამო, რომ მწვერვალს თავზე მუდამ გოგირდის კვამლი ადგას, შორიდან ვულკანს წააგავს. იგი სრულიად შიშველი, მოტიტვლებული მთაა, მის ფერდობებზე არათუ ბუჩქს, ბალახსაც ვერსად დაინახავთ. მთის ქანები გოგირდისაგან ისეა გამოჭმული, თვითეული ქვაც კი კეთროვანი გეგონება. ირგვლივ ყველაფერი უღიმღამოა, ნახანძრალივით გადაყავისფერებული და გადახუნებული. გოგირდს, იოძანის მხარმარცხნივ, ერთ პატარა, მომცრო მთიდან იღებენ. ჩაუშვებენ დუმაროლში ცილინდრისებურ მილებს და ლოლუებად დალექილ გოგირდს აგროვებენ. ქვებზე კორწიალ-კორწიალით გოგირდის საბადოსთან მივედი, მაგრამ გოგირდის სუნსა და ბოლზე კინაღამ დავიხრჩე. ისე ვიყავი დაბორიალებული, უღელტეხილამდე ძლივსღა მივაღწიე.

უღელტეხილიდან კიტა-სენრიგაჰამასაკენ რომ დავეშვი, უკვე საღამოვდებოდა. უკან რომ მივიხედე, ჩამავალი მზე ნელა ეშვებოდა ჰორიზონტისაკენ, თანდათან მთის მწვერვალებს ეფარებოდა. იგი გოგირდის ხშირ კვამლში მიცურავდა და ახლა ბდღვრიალა მნათობს კი არა, მთვარის მიმცხრალ ლანდს უფრო ჰგავდა. წინ კი შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლების სტავრაში გახვეული, დაფიონის მეწამული ათინათით აკიაფებული ტაისენძანის მთა იყო აღმართული. მერე ციცაბო ფერდობით დაღმართ-დაღმართ დავეშვი და სულ მალე თავი ჰოკეინის ცხელ წყალზე ამოვყავი.

იმ საღამოს ბევრი ვწერე. მინდოდა, თქვენთვის დღევანდელი ამბები მომეთხრო — თქვენთან გამომშვიდობების მეორე დღის ამბები...

მშვიდად იძინეთ, ჩემზე ნუ იჯავრებთ".

ნ.

„პატარა ქალაქი ტაკედა, ოცდასამი ოქტომბერი.

აი, მე უკვე მამაჩემის მშობლიურ ქალაქში ვარ.

ბინდდებოდა, კლდეში გამოჭრილ გვირაბს რომ გავცდი და ტაკედაში შევედი.

ჰოკეინის ცხელი წყლებიდან ქვევით — კუძიუს ზეგანზე ჩამოვიარე. პატარა ქალაქ კუძიუდან ტაკედამდე კი ავტობუსით სულ რაღაც ორმოცდაათი წუთის სავალი თუ იქნება.

საცხოვრებლად ბიძაჩემის სახლში დავბინავდი, იმ სახლში, სადაც მამაჩემი დაიბადა. ვერ წარმოიდგენთ, როგორი უცნაური იყო ჩემთვის იმ სახლის შეხედვა, სადაც იგი პირველად მოევლინა ამ ქვეყანას. ახლა რომ მოვემგზავრებოდი, როგორღაც გაორებული ვიყავი — ერთის მხრივ ეს ქალაქი ჩემთვის თითქოს სრულიად უცხო და შორეული იყო,, მეორეს მხრივ კი — მეტისმეტად მახლობელი და მშობლიური. მაგრამ დავინახე თუ არა ბიძაჩემი, რომელიც ასე ძალიან ჰგავდა ჩემს მამას,ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში დღეს პირველად წარმომიდგა მამაჩემის სახე ასე ცხადლივ და, უსახლკაროს და მიუსაფარს, ერთბაშად ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს აღარც უსახლკარო ვიყავი, აღარც ასე ეული და მიუსაფარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიძაჩემმა რომ გაიგო, ბეპუდან ტაკედაში კუძიუს გავლით ჩავედი, ძალიან გაოცდა. ალბათ იფიქრა, გულადი გოგო იქნება, ამ მთებში მარტო სიარულსა და ცხელი წყლების სასტუმროებში ღამეების თევას რომ არ შეუშინდაო. მე კი, მართალია, მთელი სულითა და გულით მეწადა ამ მთების მოვლა და მოხილვა, მაგრამ ტაკედაში წამოსვლამდე კარგა ხანს ვიყოყმანე, ვინაიდან მამის გარდაცვალების შემდეგ მის ნათესავებს მე და დედა თითქმის მთლიანად ჩამოცილებული ვიყავით. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მათ წინაშე დედა თავს როგორღაც დამნაშავედ გრძნობდა.

— რატომ ტელეგრამა არ გამოგვიგზავნე გემიდან, ბეპუში დაგხვდებოდი, ბეპუ ხომ აქვე, ყურისძირასაა, — მითხრა ძიამ.

ბიძაჩემს წერილი კი მოვწერე, მაგრამ დეპეშის გამოგზავნა აზრადაც არ მომსვლია, უბრალოდ, მომერიდა — ჩვენ ხომ არც ისეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა!

— რამდენის იყავი, მამა რომ გარდაიცვალა?

— ათი წლის.

— ათისა?— თქვა ბიძაჩემმა და შემომხედა. — იცი, ზედგამოჭრილი დედა ხარ, ძალიან ჰგავხარ. მართალია, ერთმანეთს ხშირად ვერ ვხვდებოდით, მაგრამ დაგინახე თუ არა, მაშინვე დედაშენი გამახსენდა. სხვათა შორის, მამასაც ჰგავხარ, აი, ყურები სულ მამას გიგავს. დიახ, დიახ, ჩემს ძმასაცა და, საერთოდ, ჩვენ, ოოტებს — ყველას ასეთი ყურები გვაქვს!

— მე კი, იცით, შემოგხედეთ თუ არა, მაშინვე მამაჩემი გამახსენდა.

— ჰოო?

— მინდოდა მანამდე მენახეთ, ვიდრე მუშაობას დავიწყებდი, მერე ალბათ წასასვლელ-წამოსასვლელად ვეღარ მოვიცლიდი...

ვერ მოვიცლიდი-მეთქი, განგებ ვუთხარი, არ მინდოდა ძიას ასე ეფიქრა, რჩევა-დარიგების საკითხავად ჩამოვიდა: მარტოხელამა და მიუსაფარმა, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როგორ ვიცხოვროო... დედა რომ გარდაიცვალა, ნათესავებმა ხომ ისიც კი არ ჩათვალეს საჭიროდ, მოესამძიმრებინათ და ორიოდე თბილი სიტყვა ეთქვათ. მართალია, კიუსიუდან გემით დაკრძალვას ვერ მოუსწრებდნენ, არც დასაფლავება იყო მთლად ჩვეულებრივი, მაგრამ... ტაკედაში წამოსვლა რომ გადავწყვიტე, მე მხოლოდ ერთი სურვილი მამოძრავებდა, ჩამოსულიყავი მამაჩემის სამშობლოში, გამეხსენებინა ჩემი მამა, უბრალო, მხნე, ჯანსაღი ადამიანი, და როგორმე იმ ავადმყოფურ ფიქრებს დავღწეოდი, ასე მორევივით რომ ჩამითრია. მიუხედავად ამისა, მაინც რაღაც სევდის მო-

მკვრელი იყო ჩემი ეს ჩამოსვლა — იგი ლტოლვილის თავშეფარებას უფრო ჰგავდა.

დღეს დილას ჰოკეინში ჩვეულებრივზე ცოტა უფრო დიდხანს ჩამეძინა.

— დილა მშვიდობისა — ოთახში სასტუმროს დიასახლისი შემოვიდა და ბოდიშის მოხდა დამიწყო, ვინაიდან, ჯერ თურმე წესიერად გათენებულიც არ იყო, რომ ბავშვებს ეზოში ხმაური აუტეხიათ. მე კი ისე ღრმად მეძინა, ვერაფერი გამიგონია.

დიასახლისს ნომერში ის პატარა თვალებბდღვრიალა გოგონაც შემოჰყვა — იდგა და ბებიას საუზმის გაწყობაში ეხმარებოდა. თურმე ნუ იტყვი, ამ დილაუთენია მდინარეზე გადებული ხიდიდან გადავარდნილა. ეს ხიდი კი, რომელიც სასტუმროს მთავარ კორპუსს ფლიგელთან აკავშირებს, სიმაღლით დაახლოებით თხუთმეტი სიაკუ მაინც იქნება. საბედნიეროდ, ბავშვი სამ კაჭარს შუა გაჩხერილა, ისეთი არაფერი უტკენია, მაგრამ სიკვდილს ბეწზე გადარჩენილა. წყლიდან რომ გამოიყვანეს, ერთი ყვირილი და გნიასი აუტეხავს: ვაიმე, გეტები!.. ჩემი გეტები წყალმა წაიღო...

მერე ტირილი დაუწყია. უფროსები თურმე თან ამშვიდებდნენ, თან აგულისჯირებდნენ: — ერთხელაც იქნება კიდევ ჩავარდები, ნახავ, რა დღეშიაც აღმოჩნდებიო.. .იმას კი ასე უპასუხია:

— არა, აღარ მინდა... აღარ ჩავვარდები, ცოდო არ არის ჩემი კაბა? კაბა ხომ დამისველდება!

პატარა მდინარის ნაპირას, ქვებზე, გოგონას მუქი ლურჯი კასურის კიმონო და პეპლებითა და იორდასალამებით მოხატული წითელი დაბამბული შემოსაცმელი შრებოდა. წითელი, უსახელებო შემოსაცმელი და ბრდღვიალა, ახლად ამოსული წითელი მზე... რა მადლიანი და მშვენიერია სიცოცხლე! გოგონას კი ბედმა გაუღიმა — მართალია, იმ სამ კაჭარს შორის სივრცე ისე ვიწრო იყო, ბავშვიც ვერ ჩაეტეოდა, მაგრამ საკმარისია, ოდნავ, სულ ოდნავ მარცხნივ ან მარჯვნივ მოხვედრილიყო, რომ ბოლომდე სული აღარ ჩაჰყოლოდა ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მთელი თავისი. სიცოცხლე ხეიბარი დარჩენილიყო. კიდევ კარგი, ბავშვებს ყველაფერი ადვილად ავიწყდებათ — მეორე წუთს გოგონას უკვე აღარაფერი ახსოვდა. მე კი ეს ამბავი გონებიდან არ ამომდიოდა, ვუყურებდი და ასე მეგონა, ეს ის წყალში ჩავარდნილი ყმაწვილი კი არა, სულ სხვა ბავშვი იყო.

დედას ვერაფერი ვუშველე, სიკვდილისაგან ვერ ვიხსენი, მე კი ცოცხალი დავრჩი. არ ვიცი, რამ გადამარჩინა, რამ შემინარჩუნა სიცოცხლე. ჩანს, სირცხვილით, გაწბილებით, ამქვეყნიური ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზეც არის ისეთი ადგილები, სადაც შეიძლება ისევე გადარჩე, როგორც ის გოგონა გადარჩა ქვებს შორის. დიახ, ვფიქრობ.. ვფიქრობ ამაზე და კიდევ უფრო გულმხურვალედ ვლოცულობ... თქვენთვის, თქვენი მომავალი ბედნიერებისათვის.

ჰოკეინიდან რომ მოვდიოდი, გოგონას ხშირ, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე ხელი გადავუსვი. ამ სასწაულებრივად გადარჩენილი ბავშვის შეხებამ გული სითბო-სიკეთით ამივსო, თითქოს მისი ბედის თანამოზიარე გავხადე.

მივაბიჯებდი ბოგაცურუს ტაფობზე და ტაისენძანის მთის ფერდობებზე შეფენილი შემოდგომის ფერადი ფოთლების აუწერელი სილამაზით ვტკბებოდი. ბოგაცურუს ტაფობი მიმატაიამას, ტაისენძანის, ჰეიძიგატაკეს და კიდევ

სხვა რომელიღაც მთებს შორის არის მოქცეული. და აი, მიმატაიამას დღეს მე უკვე სულ სხვა მხრიდან შევხედე.

მერე თვალწინ ალპინისტთა საზოგადოების პატარა, ბუჩქებში მიყუჟული ქოხი და მისი შემოგარენი გადამეშალა. ბუჩქებს შორის [illegible] ხილის მსგავსი, საუცხოო, არცთუ ისე მაღალი, დაახლოებით ორი-სამი ფუტის სიმაღლის ლვია იყო ამოსული. აქა-იქ წითელი მოცვი ანათებდა. [illegible] შორიდანვე დამაინტერესა ტაისენძანის მთის ოქროსფერი ფოთლებით გადაყვითლებულ ფერდობებზე მიმობნეულმა შავმა ლაქებმა. როგორც გამოირკვა, ეს თურმე შქერის ბუჩქები იყო. ამბობენ, აქ ისეთი შქერიც იზრდება, რომლის ვარჯი ზოგჯერ ლამის მთელ ექვს ძიუზეა გადაშლილიო. თვითონ ბოგაცუროს ტაფობიც აუარებელი ბლაგვფოთოლა შქერით არის სავსე. მისკანტი კი ამ ადგილებში რატომღაც მეტისმეტად დაბალია, მისკანტის საგველა — მეტისმეტად პატარა.

ამბობენ, დღეს დილას მწვერვალებზე ტემპერატურა ნულამდე დაეცაო. სამაგიეროდ ბოგაცუროში ნამდვილი პაპანაქება სიცხე იდგა. ასე მეგონებოდა, ეს წითელ-ყვითელი ფოთლები მზეს მცხუნვარებას მატებდნენ.

ბოგაცუროს ტაფობზე გავიარ-გამოვიარე, მერე ტაფობს მეორე მხრიდან შემოვუყევი და ისევ სასტუმროში მოვედი. ჰოკოდაკიტოგის უღელტეხილზე ყველაზე მოსახერხებელი ამ მხრიდანაა ასვლა. უღელტეხილს მოპირდაპირე მხარეს სადოკუზომას ღრმული აკრავს. ქვემოთ, ღრმულს დასწვრივ, სადოს ტბის სანაპიროები უამრავი ხმობაშეპარული ლიჭის ბარდითაა მოფენილი. ამის შემდეგ ნეზევარიძაკის ფერდობით სულ ქვეითა და ქვეით უნდა მევლო. კუტამივაკარეს გზის გასაყართან რომ გავედი, თვალწინ კუძიუს ტაფობი გადამეშალა. ვიწრო, ქვიან ბილიკს აქეთ-იქით შერეული ტყე მიუყვებოდა. მივდიოდი და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ ფეხქვეშ აშრიალებული ხმელი ფოთლების ხმაური არღვევდა.

გზად კაცის ჭაჭანებაც არსად შემხვედრია. ვუსმენდი საკუთარი ნაბიჯების ხმას და ასე მეგონა, ბუნების სხეულზე თავად მარტოობა მოაბიჯებდი. სიმიძუძანის მთის ფერდობებზე (იგი კუტამივაკარეს განშტოების მხარმარცხნივაა აღმართული) შემოდგომის ზღვად მოხეთქილი ულამაზესი წითელი ფოთლები გიზგიზებდა.. ამბობენ, ასოს მთის ხუთივე მწვერვალი აქედან ხელისგულივით მოჩანსო, მაგრამ ახლა იგი ხშირ ღრუბლებში იყო გახვეული, სქელ ნისლში მხოლოდ კატამუკასა და სომოს მთაგრეხილები ილანდებოდა სულ ოდნავ. კუძიუს ზეგანი ოც კილომეტრზე გაჭიმული ტრამალია, ასოს მთის ჩრდილოეთ კალთაზე იგი ნამინოგაპარას საძოვრებს უერთდება. ჩემს ზურგს უკან, შორს, სადღაც ხშირ ღრუბლებში გახვეული კუძიუს მთები იყო აღმართული. მალე მაღალ, ლამის კაცის სიმაღლეზე გაზრდილ მისკანტის უსიერ ზღვას შევერიე. ეს საძოვრებიც რომ გავიარე, პატარა ქალაქ კუძიუში გავედი.

კუძიუს სამხრეთ შესასვლელში ძველთაძველი, ნახევრად დანგრეული ბუდისტური ტაძარი დგას, რომელსაც საკმაოდ იშვიათი სახელი — „იკარაძი" ანუ ტახის, ირმისა და მგლის ტაძარი ჰქვია. იკარაძი და ჰოკეინი წმინდა ადგილებია, მათ მრავალი საუკუნის ისტორია აქვთ. თვითონ კუძიუს მთებიც წმინდა მთებად ითვლება. მივდიოდი და ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს წმიდათაწმიდა მიწაზე მივაბიჯებდი, რაღაც უზომოდ მშვენიერისა და დიადის მოზიარე ვიყავი.

ბიძაჩემთან მთელ სახლში უკვე ყველას სძინავს, ამიტომაც გვიანობამდე ჯდომას და წერას ვერიდები...

ძილი ნებისა!..“

6.

„პატარა ქალაქი ტაკედა, 24 ოქტომბერი.

სადგურ ტაკედაში, ჰოჰისენის ხაზზე მატარებლის ყოველი გასვლისას ერთი და იგივე ფირფიტას უკრავენ. სიმღერას, რომელიც ამ ფირფიტაზეა ჩაწერილი „მთვარე ციხის ნანგრევების თავზე“ ჰქვია. აქაურები ამბობენ, კომპოზიტორმა რენტარო ტაკიმ ეს მუსიკა ტაკედაში, ოკასიროს ციხის ნანგრევების შთაბეჭდილებით დაწერაო. იმპერატორი მეიძის მმართველობის დაახლოებით მეოცე წელს,[1] რენტარო ტაკის მამას, ამ მხარეში მაზრის უფროსად დაუწყია მუშაობა. მამას რენტაროც თან ჩამოუყვანია და იმ გაძლიერებული ტიპის დაწყებით სკოლაში მიუბარებია, სადაც ჯერ ისევ სწავლების ძველი სისტემა ყოფილა გამეფებული. როგორც ჩანს, ბიჭი ხშირად მოდიოდა ამ ციხის ნანგრევებში სათამაშოდ.

რენტარო ტაკი, მეიძის მმართველობის ოცდამეთხუთმეტე წელს,[2] ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა — ოცდახუთი წლის ჭაბუკი გარდაცვლილა, ესე იგი, ჩემზე სულ რაღაც სამიოდე წლით უფროსი...

მახსოვს, გიმნაზიაში მე და ჩემი ამხანაგი ხშირად ვიტყოდით ხოლმე, ნეტავი ოცდახუთი წლისა მოვკვდეთ.მე მგონი, ამას ჩემი ამხანაგი ამბობდა, არ ვიცი, შეიძლება მეც ვამბობდი. და აი, ახლა მეჩვენება, რომ ამ სიტყვებს სწორედ ვამბობდი.

ბანსუი ცუტიი, ავტორი ლექსისა — „მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ“ წლეულს გარდაიცვალა. ამ ცოტა ხნის წინათ კი, ტაკედაში, ოკასიროს ციხედარბაზის ნანგრევებში, მისი ხსოვნის საღამო გაუმართავთ. მუსიკის და ლექსის ავტორი ერთმანეთს ერთხელ თურმე ლონდონში შეხვედრიან, მაშინ მამაჩემი ჯერ ისევ პატარა ბიჭი ყოფილა. ვინ იცის, იქნებ უცხო ქვეყანაში სწორედ იმ ერთმა შეხვედრამ მისცა ბიძგი ახალგაზრდა მუსიკოსსა და პოეტს, რათა ისეთი ლექსი და სიმღერა შეექმნათ, როგორიცაა „მთვარე ციხის ნანგრევებს ზემოთ“. იქნებ ასეცაა და არც არის ასე, ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი... ქალმა რომ თქვას, ანკი აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? მთავარია, მათ ჩვენ შესანიშნავი სიმღერა დაგვიტოვეს. მთელს ამ არემარეში ალბათ ერთი კაციც არ არის, „მთვარე“ არ ემღეროს.

მე? მე რაღას დავტოვებ ჩვენი იმ ერთადერთი შეხვედრის შემდეგ?

ბავშვს, რომელიც ისეთივე გენიალური იქნება, როგორიც რენტარო ტაკი იყო...

გავიფიქრე გუნებაში და უმალვე შევცბი. ახლა მე მამაჩემის სამშობლოში ვიმყოფები, იქნებ ამიტომ მომდის თავში ასეთი უცნაური აზრები? იქნებ თქვენც ამიტომ გიბედავთ და ამიტომ გწერთ ამგვარ რამეებზე? არ ვიცი, წარმოდგენილი გაქვთ თუ არა, რა დღეში შეიძლება ჩააგდოს ქალი ასეთმა აზრებმა, ასეთმა შიშმა და ასე ერთბაშად, ანდეზე მოვარდნილმა სიხარულმა?

1. 1867 წელი.
2. 1902 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ორთას თავით ფეხამდე ბრწყინვალე[illegible]... ყოფილა კი ოდესმე თქვენი სული ასეთი მღელვარე და აღფრთოვანებული, როგორიც ახლა ჩემი სულია? რა [illegible], რა [illegible], რა მოუთმენელი იყო ეს [illegible] ვიგრძენი რომ ქალი ვარ, ვიგრძენი და თავი ოცნებას მივეცი — [illegible] მარტოდ[illegible] [illegible] მარტომარტო გეშინოდათ. თქვენ არ [illegible]ინებდით. მე ჩემში [illegible] ძალასაც ვგრძნობდი და გამბედაობასაც [illegible] რატომ? მეგონა და მეგონა ამიტომ რომ ჩემთვის — ღელაჩემის შვილისათვის ასეთი ბედნიერი გარდაუვალი იყო. მაგრამ ამით იყო ჩემი ეს ოცნებაც და ჩემი ეს გამბედაობაც, გესმით? მე კი ქალი ვარ და ამ უმრალო გაფიქრებაზეც კი ხაშინოდა [illegible], ლოჩის სიკვდილის პირას მივედი... კიდევ კარგი, ყველაფერმა მალე გაიარა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისეთ, ჩემი ის გულის ძგერა გამახსენდა, სადგურ ტაკედაში რომ ჩავედი და [illegible] [illegible] [illegible] მოვისმინე.

ვინიდან გუშინ ტუმიდან მატარებლით კი არა, ავტობუსით ჩამოვედი, ეს სიმღერა ტიდან [illegible] [illegible] გავიგონე. ქალაქში სასეირნოდ გამოსული [illegible] [illegible] ქუჩიდან „შემოდგომის წყლის ღელეს“ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] — სადგურში ფირფიტას უკრავდნენ.

[illegible] სადგურამდე მივედი და მერე ისევ ბილიკზე დავბრუნდი — [illegible] სადგურის ჩიტის პირდაპირ, სიმღერა ჯერ ისევ ისმოდა... ერთხანს იქვე მოაჯირთან ვიდექი და სწრაფად მოჩუხჩუხე წყალს ჩავცქეროდი. [illegible] [illegible] [illegible] [illegible], მაგრამ ძლიერად [illegible], [illegible] გაჩხერილ კლდეებია, კლდეს შორის პაწაწინა [illegible], [illegible] [illegible] ერთმანეთზე მიკრული. ერთ-ერთი კლდის ძირას [illegible] ქალი [illegible] [illegible]. სადგურის გაღმა კედელივით [illegible] [illegible], კლდეზე წყლის პაწაწინა-პაწაწინა ჩანჩქერები ჩამოჩქეფს. უფრო შორს, მთის ფერდობებზე, აშაყაშ ტოტებგადაშლილი, შემოდგომის ხაბრით აპრიალებული [illegible] შეუმჩნევლად [illegible] მხოლოდ აქა-იქაა შემოჩენილი მწვანე ფოთოლი.

[illegible] შემოდგომის მშობლიური ქალაქში და თქვენზე ვფიქრობდი. ახლა მე [illegible] ვიცხოვრებ ამ ქალაქში — აქ მატარე, ერთი ბეწო ქალაქია. გუშინ კი ის ვერ შევამჩნიე, ვინიდან აქ რომ ჩამოვედი, უკვე კარგად დაბინდებული იყო.

[illegible] [illegible] ქალაქის რომელ მხარესაც არ უნდა წახვიდე, ყველგან [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible], [illegible] ამოყვანეს და [illegible] [illegible] [illegible] [illegible].

[illegible] [illegible] [illegible] რომ [illegible], ჩემი [illegible] ასანთის კოლოფის [illegible], [illegible] [illegible] „[illegible]ფერი მთები, გაშლილი, [illegible] [illegible] და [illegible] [illegible]“ იყვნენ გამოხატული.

[illegible] [illegible] როგორც [illegible] — ვუთვალი ახლავე სიცილით [illegible].

[illegible] რა [illegible] [illegible] მზეთუნახავები უწინ საშვეყნოდ იყვნენ [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] წარმატებით სარგებლობდა.

გიქვათ, კოლოზე დაცურა [illegible] მართლაც გასაოცარი ვაჭრის [illegible] ტარა არხები თუ შეამჩნი [illegible] დან ჭის წყალს იგი მართლაც [illegible] მამაშენი ხანდახან პირშიაც [illegible] დნენ.

არ ვიცი რით, მაგრამ [illegible] ოუნდაც თავისი ამ [illegible] რებიც ძლივს იქნება [illegible] თური ტაძარი.

— ისე, ის ჩვენი [illegible] თითქმის ალარაფერ დარჩა...

განაგრძო [illegible] ტაკუდადან ტოტოში [illegible] მართალი არ არის, [illegible] ბით ჩაცმული ქალი ვნახე [illegible] რაბის თავში: ჩვენ [illegible] გალაწითლებული, ბოლოში, [illegible] ლი), თეთრსვისტრიანი [illegible] შორავ სილამაზე კიდევ [illegible]

ტაკუდის ცენტრი [illegible] მაზე, გირლანდებიანი [illegible] დით გადაუხვიო, რომ თავი [illegible] ლაქში ამოყო: წყნარი [illegible] შეიდროშესყურშეშოვლებული [illegible] ზით ნავები [illegible] ჩანს, თავიდან არის [illegible] წელს, ჩრდილოეთით და [illegible] დამწვარა და მხოლოდ [illegible] ში, შენ რომ დავბრუნდი, [illegible]

— კი მაგრამ [illegible] როდისღა მოასწრობთ? — [illegible]

ნახევარი დღის [illegible] ღირსშესანიშნავი ადგილი [illegible] მეორა ტიკუდენი [illegible] კრიშტანების[2] საიდუმლო [illegible] — „სანტიაგო", [illegible] ურძუმის ჩანჩქერი თუ [illegible]

ტაკუდის მოსახლეობის [illegible] ცემით „ტიკუდენ-სენსეის" [illegible] დან ჩამოველი. [illegible] ოდალები დადიოდნენ და უკვე [illegible] ტზე ეულით [illegible]

---

1 1877 წელი.

2 [illegible]

თად, ტიკუდენსა და ჰიროსე ტანსოს. აქ გაუვლია ტიკუდენთან მიმავალ რაი სანიოსაც.. ტიკუდენისეულ სახლში ახლაც არის შემორჩენილი ჩაის პავილიონი, სადაც ტიკუდენი და რაი სანიო თურმე სიამოვნებით შეექცეოდნენ ჩაის. ამ პავილიონსა და სახლს შორის, ბაღში, ფოთლებგაყვითლებული, ტოტებჩამოძენძილი ბანანის ხე დგას. იქვეა ხებუერაც და ისიც ბანანის ხესავით ფოთლებგაყვითლებული. ხეებს მზის შუქნათელი ათინათი [illegible] შემორჩენილია ტიკუდენისეული ხეხილის ბაღიც, რომელში მო[illegible]თაც, როგორც ამბობენ, ტიკუდენი თურმე რაი სანიოსაც უმასპინძლდებოდა. ასე მითხრეს, ხელოვნების მოყვარულები ამ პავილიონში, უბრალოდ, მარტო ჩაის დასალევადაც რომ შემოივლიან, მათთვის ზოგჯერ ტიკუდენის სამხრეთული სკოლის მანერაზე შესრულებულ გრაგნილ ტილოებსაც გამოფენენ ხოლმეო.

კირიშტების საიდუმლო სამლოცველოც ტიკუდენის სახლის მახლობლად მდებარეობს. ეს არის კლდეში გამოჭრილი საკმაოდ მოზრდილი მღვიმე, რომლის შესასვლელიც ბამბუკის ხშირი ბარდით არის დაფარული. სამლოცველოს ზარზე (ზარს სახელად „სანტიაგო“ ჰქვია) ასეთი წარწერაა ამოტვიფრული: „1612. SANTIAGO HOSPITAL“ ტაკედას ძველთაძველი ციხის მფლობელი თურმე კირიშტანი იყო.

ტიკუდენის სასახლის ეზოში ბაღის ფარანი — ორიბე დგას. ეზოს გალავნის გარეთ ბილიკია. ამ ბილიკს ზევით, მარჯვნივ თუ აუყვები, მერე გალავნის მოპირდაპირე მხარეს გადახვალ და მხარმარცხნივ გაუხვევ, ერთ სახლს მიადგები, რომელშიაც, როგორც ამბობენ, დღესაც თურმე ფურუტა ორიბეს შთამომავლები ცხოვრობენ. სახლს შევხედე და გულმა ძგერა დამიწყო. გადმოცემის მიხედვით, ტაკედაში, თუ არ ვცდები, ფურუტა ორიბეს ვაჟიშვილი ჩამოსულა და სამურაების უბანში — კამიდონოტიოს ქუჩაზე დასახლებულა...

არა ,მე ეს ალბათ არასოდეს დამავიწყდება! ენკაკუძის ტაძარში, ჩაის ცერემონიალზე, სადაც მე თქვენ პირველად გიხილეთ, იუკიკო ინამურამ, ვიდრე ჩაის დაგისხამდათ, რომელი ფინჯნით მივართვაო? — ჰკითხა თიკაკო კურიმოტოს.

— რომელი? მე მგონი, ეს აჯობებს, აი ეს ორიბე... — თქვა ქალბატონმა კურიმოტომ და დასძინა, რომ იგი მამათქვენის საყვარელი ფინჯანი იყო და რომ მამათქვენმა ეს ფინჯანი მას — თიკაკო კურიმოტოს აჩუქა. მაგრამ ორიბე ხომ მანამდე მამაჩემს ეკუთვნოდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი დედამ იგი მამათქვენს მიართვა... იუკიკო-სანმა ჩაი, მართლაც, იმ შავ ორიბეში დაგისხათ... მე ჯერ ისედაც თავის აწევას ვერ ვბედავდი, დედამ კი — ამ ფინჯნით მეც სიამოვნებით დავლევდიო!..

იქნებ იმ დღეს, იმ ფინჯნით, დედამ სწორედ ის საწამლავი დალია, რომელიც წინასწარ ბედისწერისაგან იყო მისთვის გამზადებული...

არ მეგონა, აქ, მამაჩემის სამშობლოშიაც გამახსენდებოდა ასე ცხადად ის დღე და ჩაის ის ცერემონიალი! მაგრამ... თუ ის შავი ორიბე დღემდე ქალბატონ კურიმოტოსთანაა, ძალიან გთხოვთ, გამოართვით. გამოსტყუეთ როგორმე... და, ისევ სამუდამოდ და უგზოუკვლოდ გადაკარგეთ, როგორც მე გადაგეკარგეთ სამუდამოდ და უგზოუკვლოდ...

ამ მოკლე დროში უკვე მოვასწარი მამაჩემის მშობლიური ქალაქის გაცნობა, ცხადია, ზოგადად. და აი, სამუდამოდ ვტოვებ აქაურობას — ალბათ აღარასოდეს მომიწევს აქ ჩამოსვლა.. ამაზე მხოლოდ იმიტომ გწერთ ასე ბევრს და ასე დაჟინებით, რათა აქ, მამაჩემის მშობლიურ მხარეში გითხრათ

ჩემი გამოსამშვიდობებელი სიტყვები.. .ეს წერილი ალბათ ვერასოდეს მოაღწევს თქვენამდი, თქვენ მას ალბათ ვერასოდეს წაიკითხავთ. მაგრამ თუ ოდესმე მაინც გადავწყვიტე და გამოვგზავნე, იცოდეთ ,იგი ჩემი უკანასკნელი წერილი იქნება.

დავათვალიერე აგრეთვე ოკასიროს ციხის ნანგრევები. იგი მართლაც ნანგრევებიღაა — კედლებს გარდა თითქმის აღარაფერია შემორჩენილი. ზუსტად ციხესიმაგრის შუაგულში ერთი პატარა ბორცვია, რომელსაც თავის დროზე, ეტყობა, რაღაც სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ამ ბორცვიდან შესანიშნავად მოჩანს მთელი იმ მხარის შემოგარენი. შემოდგომის ნათელი დღის ფონზე დავინახე კუძიუს მთების წინ აღმართული სომოსა და კატამუკის მთები. იგი შემოდგომის ოქროსფერ შუქში იყო გახვეული, ზეცა ლაჟვარდისფრად იყო მოკრიალებული. მხოლოდ ტაის·ენძანის მწვერვალს ჩამოსწოლოდა მსუბუქი ღრუბელი, იმ მაღალმთიანი პლატოსა და უღელტეხილის მხრიდან, საიდანაც მე ჩამოვედი.

მეგონა, საბოლოოდ დაგემშვიდობეთ, იქ, მთაში, ფიჭვების ჩრდილქვეშ, ვერცხლისფრად მობიბინე მისკანტებს შორის... და აი, მე ისევ გამომშვიდობებაზე გელაპარაკებით ,იქნებ ეს ერთგვარ სულმოკლეობადაც მოგეჩვენოთ — დროს განგებ წელავს, უნდა, რაც შეიძლება იქითა და იქით გადაწიოს საბოლოო განშორების წუთებიო. მაგრამ ეგ ჩემთვის სრულიად უცხო და შეუსაბამოა, ვინაიდან, ჩემი გადაწყვეტილება — სამუდამოდ გადავიკარგო თქვენი ცხოვრებიდან — მტკიცეა და საბოლოო...' ქალი ვარ, ვიცი, აღმოვაჩენ ამ ძალას ჩემს გულში.

გთხოვთ, მაპატიეთ ულირსს!..

და... მშვიდად იძინეთ...

ჯერ ისევ გზიდან გწერდით, იუკიკო-სანი ითხოვეთ-მეთქი. ეს, რა თქმა უნდა, თქვენი საქმეა, თქვენ თვითონ უკეთესად იცით, როგორც მოიქცევით. მე კი მხოლოდ ერთი რამ მინდა გახსოვდეთ — ის რომ, არც დედა და არც მე თქვენს ქორწილსა და ბედნიერებას ხელს არასოდეს შევუშლით. გთხოვთ, ძებნას ნუ დამიწყებთ, ნურსად, ნურასოდეს, ნურცერთ ვითარებასა და გარემოებაში.

მთელი ამ ექვსი დღის განმავლობაში, რაც გზაში ვარ, სულ გწერთ და გწერთ, გწერთ ყოველგვარ წვრილმანსა და სისულელეზე. რა აბეზარი, რა აუტანელი ვართ ეს ქალები! მაშინაც კი, როდესაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი — სამუდამოდ გამოგთხოვებოდით, მაინც სულ იმას ვესწრაფოდი, ჩემს სულში ჩამეხედებინეთ. ახლა კი, ასე მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და რომ ქალისათვის მთავარი ეს კი არა, მთავარი ის არის, საყვარელი ადამიანის გვერდით იყოს, თუნდაც იმ ადამიანს იმისი არც სულისა გაეგებოდეს არაფერი, არც გულისა. ამ წუთას კი, ღმერთმა უწყის, რა უფრო მწადია, რომელ გაგებაზე უფრო ვოცნებობ... იქნებ სრულიად საწინააღმდეგოზედაც კი?"

7.

საქორწილო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა კიკუძიმ წერილები ერთხელ კიდევ გადაიკითხა, მაგრამ ის წერილები ახლა სულ სხვაგვარად აღიქვა, ვიდრე ამ წელიწად-ნახევრის წინათ, როდესაც იგი მან პირველად წაიკითხა.

თუმცა, როგორი იყო ეს „სხვაგვარად“, არც თუ ისე ნათელი გახლდათ კიკუძისათვის.

„ცარიელი სიტყვები...“

კიკუძი სახლის წინ, ბაღში გავიდა. ეს იყო ვიწრო, ფიცრით შემოკავებული შიშველი ადგილი, რომელსაც ბაღს არაფერი უგავდა. წერილების მოზრდილი შეკვრა მიწაზე დადო და ცეცხლი მოუკიდა — ნაწერიანი ქაღალდი კი არ იწვოდა, ცეცხლი არა და არ ეკიდებოდა.

კიკუძი ფურცლებს ანაოშებდა და, ვინ იცის, მერამდენედ უკიდებდა ასანთს, ქაღალდი ყვითლდებოდა, ფუმიკოს მელანი ფერს იცვლიდა, მაგრამ ჩაფერფლილ ფურცლებს ნაწერი მაინც გარკვევით ეტყობოდა.

„დაიწვით, სიტყვებო, დაიწვით!“

ფურცლებს ცეცხლში ახლა უკვე თითო-თითოდ ყრიდა.

დიახ,ეს ბარათები დაიწვება, დაიწვება მელნით დაწერილი სიტყვები... მაგრამ შესძლებს კი კიკუძი, ყველაფერი ცეცხლს გაატანოს... სახლისაკენ ზურგშებრუნებულმა მესერს მზერა გააყოლა: ერთ ადგილას, მესერსა და მესერს შორის, ზამთრის მზის ალმაცერი სხივი ატანდა.

— რა ქენით, ხომ მშვიდობით ჩამოხვედით?

ამ ხმამ., ამ მოულოდნელმა ხმამ, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, კიკუძის სხეულში ცივად დაუარა — გალერეაში თიკაკო კურიმოტო იდგა.

— ასე უკითხავად და გაუფრთხილებლად... სახლში ასე როგორ შემოიჭერით?

— მაშ რა ვქნა, თუკი არავინ მხვდება, კაკუნზე თუ არავინ მპასუხობს; ისე, ახალდაქორწინებულთა ბინა მართლაც რომ სამოთხეა ქურდისათვის! თქვენ კი, ეტყობა, ჯერ მოსამსახურეც არ აგიყვანიათ? სხვათაშორის, პირველ ხანებში ეს არც ისე ცუდია — ახალი ცოლ-ქმრისათვის აბა მარტოყოფნას რა სჯობია!.. იუკიკო-სანი, ეტყობა, შესანიშნავად გიყვლით...

— არა, მაინც საიდან გაიგეთ?

— რა? რა გავიგე საიდან, სადა ხართ და სად ცხოვრობთ? რა დიდი გაგება ამას უნდა, ნათქვამია, თავისი ბილიკი გველმაც იცისო...

— მართლაც რომ პირწავარდნილი გველი ხართ! — მოურიდებლად მიახალა კიკუძიმ.

კაცმა რომ თქვას, თიკაკოს ამგვარ თავდასხმებს კიკუძი კარგა ხანია შეჩვეული იყო. მამა რომ გარდაიცვალა, მაშინაც ასე მოულოდნელად წაადგებოდა ხოლმე თავს დედა-შვილს .მაგრამ ამ სახლში მისმა ამ დღევანდელმა გამოცხადებამ ძველი სიძულვილი კიდევ უფრო გაუახლა, გაუათკეცა.

თიკაკომ კი, ვითომც არაფერიო, მშვიდად განაგრძო:

— მე მგონი, გაყინულ სამზარეულოში დილიდან დაღამებამდე წყალთან ტრიალი იუკიკო-სანისათვის არც ისე ადვილია. გნებავთ, მე მოვალ, მე მოვეხმარები?

კიკუძის ხმა არ გაუცია, თავი არ მოუბრუნებია.

— ფუმიკო-სანის წერილებს წვავთ?

ვაჟი ზურგშექცევით იყო ჩაცუცქული. ყოვლად შეუძლებელია, თიკაკოს ფუმიკოს წერილები დაენახა.

— თუ ეს მართლაც ასეა, თქვენც ახლა ალბათ ცეცხლი გაქვთ შეკიდებული... ისე, რომ იცოდეთ, შესანიშნავ საქმეს სჩადიხართ.

— როგორც ხედავთ, მე უკვე საკმაოდ ხელმოკლე გახლავართ. მოსამსა-

ხურედ ველარავის დავიყენებ ,მით უმეტეს, თქვენ! გასაგებია?

— ზედმეტად შეწუხებასა და თავის გაბეზრებას არც ვაპირებ, მოგეხსენებათ, მე ჩემი საქმე უკვე გავაკეთე. იუკიკო-სანი და თქვენ ერთმანეთს დააკავშირეთ, ხიდი გავდე თქვენს შორის, ვერ წარმოიდგენთ, რა ბედნიერი ვარ! როგორც იქნა, გული დავიმშვიდე, ახლა ისღა დამრჩენია, თქვენ შემსახუროთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილი წერილები კიკუძიმ უბეში ჩაიწყო და წამოდგა.

თიკაკომ, რომელიც ამ დროს გალერეის ზღურბლზე იდგა, კიკუძის ერთი შეხედა და უკან დაიხია.

— რა იყო, რა დაგემართათ? რა საშინელი სახე გაქვთ? მე ხომ... მე ხომ... უბრალოდ, მინდოდა, დაგხმარებოდით!.. იუკიკო-სანს ჯერ ალბათ თავისი ბარგიც არ გაუხსნია...

— გაუხსნია თუ არ გაუხსნია, თქვენი საქმე არ არის!

— საქმე რა შუაშია! ნუთუ არ გესმით, გული სულ თქვენსკენ მომიწევს, მზად ვარ, დღედაღამ გემსახუროთ.

თქვა თიკაკომ და იქავე ულონოდ ჩაიკეცა. მარცხენა მხარი უთამაშებდა, ძლივს სუნთქავდა, ეტყობოდა, შეშინებული იყო.

— კიკუძი-სან, თქვენი მეუღლე მშობლებთან წავიდა, არა? საქორწილო მოგზაურობიდან შინ მარტო, მეუღლის გარეშე რომ დაბრუნდით, იუკიკო-სანის მშობლები პირდაპირ შეშფოთებულები არიან.

— აჰა, ესე იგი, იქაც მოასწარით მისვლა!

— მივედი და მივულოცე, აბა რა უნდა მექნა? თუ გეწყინათ, ბოდიშს გიხდით, — ამბობდა თიკაკო და კიკუძის სახეში გამომცდელად მისჩერებოდა.

კიკუძიმ, როგორც იქნა, თავს სძლია, ბრაზი დაიოკა.

— ჰო, მართლა, ის ფინჯანი... აი, ის შავი ორიბე რა უყავით? ისევ თქვენთან არის?

— რომელი ,მამათქვენის ნაჩუქარი? დიახ, ჩემთან არის.

— ხომ არ მომყიდდით?

— კი ბატონო.. .იჰვნეული, გაოცებული თვალები სიბრაზისაგან ერთბაშად გესლით აევსო თიკაკოს, — კი ბატონო!... ვერა და ვერ ველეოდი, მინდოდა მამათქვენის სამახსოვროდ დამრჩენოდა, მაგრამ რახან ასე დაჟინებით მოითხოვთ, კი ბატონო, გნებავთ, დღესვე მოგიტანთ იმ ფინჯანს... ალბათ გადაწყვეტილი გაქვთ ისევ ჩაის ცერემონიალს მიჰყოთ ხელი?

— გთხოვთ, ახლავე მომიტანოთ!

— გასაგებია, ყველაფერი გასაგებია! მივრბივარ ,ა ბატონო, მივრბივარ!.. რა გაეწყობა, ახლა როდესაც ფუმიკო-სანის წერილები უკვე დამწვარია, ის დროა, ჩაი სწორედ იმ შავი ორიბეთი იგემოთ...

თქვა თიკაკომ და წინ ისე კისერწაგრძელებული წავიდა, თითქოს რაღაც უხილავი ზღუდე უნდა გაანგრიოსო.

კიკუძი კვლავ ბაღში გავიდა, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, ასანთს ვერ იქნა და ვეღარ მოუკიდა.

# ახალი ოჯახი

## 1

კიკუძი ხედავდა, მუდამ ხალისიანი, სწრაფი, ერთ ადგილას გაუჩერებელი იუკიკო, ხშირად დაბნეული იჯდა ამ ბოლო დროს როიალთან და თვალებგაშტერებული უაზროდ იყურებოდა.

როიალი ახალ ბინაში როგორღაც დიდი და მოუხერხებელი ჩანდა.

იგი იმ სახელოსნოში იყო გამზადებული, რომელთანაც კიკუძის რაღაც დროიდან გარკვეული ურთიერთობა ჰქონდა. თავის დროზე მამამისი მუსიკალური საკრავების ფირმის აუქციონერი იყო. ომის დროს ეს ფირმაც, სხვა დანარჩენთა მსგავსად, საბრძოლო იარაღის დამზადებაზე გადავიდა. ამ რამდენიმე წლის წინათ კი ფირმის ერთ-ერთმა ინჟინერმა გადაწყვიტა, ახალი მარკის როიალების გამოშვებას შესდგომოდა. როგორც მამამისის ძველი ნაცნობი, იგი ხშირად შემოივლიდა ხოლმე კიკუძისთან და თავის ახლად წამოწყებულ საქმეზე უყვებოდა, სახლი რომ გაყიდა, კიკუძიმაც ადგა და მთელი ის ფული ამ წამოწყებაზე დააბანდა.

და აი, მის ბინაში ახლა სწორედ იმ ახალი მარკის როიალის ერთ-ერთი საცდელი ნიმუში იდგა.

— თუ ამ როიალზე დაკვრა არ გეხერხება, შეგიძლია, შენი ძველი როიალი მოიტანო. იქნებ მე მერიდები, გეშინია, არ ვაწყენინოო?

უთხრა კიკუძიმ, ვინაიდან ასე ეგონა, იუკიკოს ალბათ ეს როიალი არ მოსწონს, ალბათ ამიტომ ზის მის წინ ასეთი დაბნეული და გაშტერებულიო.

— არ მეხერხება? რატომ? აბა ამ როიალს დასაწუნი რა სჭირს? — გაოცებულმა იკითხა იუკიკომ. — მართალია ამ საქმეში დიდად გარკვეული არა ვარ, მაინცდამაინც ბევრი არაფერი გამეგება. მაგრამ ამწყობმა ხომ ძალიან აქო?

სიმართლე რომ ითქვას, კიკუძის თვითონაც მშვენივრად ესმოდა, როიალი აქ რომ არაფერ შუაში იყო და რომ არც იუკიკო იყო პიანინოზე დაკვრის ისეთი ოსტატი, საკრავის რჩევა-რჩევაში შესულიყო.

— მე კი მეგონა, როიალი არ მოგწონდა. ზიხარ მის წინ დაბნეული და კლავიშებს ხელსაც არ აკარებ.

— როიალი აქ არაფერ შუაშია, — უთხრა გულწრფელად იუკიკომ. — ალბათ მოგეჩვენათ... კი მაგრამ, როდის? როდის შემნიშნეთ?

როიალი ქვევით, წინკარის გვერდითა ევროპულ ყაიდაზე მოწყობილ სასტუმრო ოთახში იდგა ,ამიტომაც ვერც სასადილო და ვერც მეორე სართულზე მდებარე თავისი ოთახიდან კიკუძი ვერ დაინახავდა, იუკიკო როგორ იჯდა როიალთან და როგორი გამომეტყველება ჰქონდა.

— ჰო, ჩავფიქრდები ხოლმე ხანდახან ისე, რაღაცაზე.... ჩვენთან სახლში ხომ მუდამ გაუთავებელი ფუსფუსი და ხმაურია. ცოტა ხანს წყნარად რომ დავმჯდარიყავი, რაღაცაზე ჩავფიქრებულიყავი, ამის საშუალება არასოდეს მქონია.

იუკიკოს თავისი მშობლიური სახლი წარმოუდგა, სადაც იგი გაიზარდა და სადაც ერთთავად მხიარული ქოთქოთი და ჟივილ-ხივილი იყო. მაშ რა იქნებოდა, ისეთი ბედნიერი, ისეთი სისხლსავსე ოჯახი ჰქონდათ — დედა, მამა, დები, ძმები... და მუდამ უამრავი სტუმარი...

— ვიდრე ცოლად შეგირთავდი, ასე მეგონა, ძალიან ჩუმი და სიტყვაძვირი იყავი.

— მე? რას ბრძანებთ! ვერ წარმოიდგენთ, როგორი ყბედი და ენაჭარტალა ვარ... მართლა, მართლა! ხანდახან ვისხედით მე, დედა, ჩემი უმცროსი და და ენას არ ვაჩერებდით... არ ვიცი, იმ სამიდან შეიძლება, მე ცოტა უფრო ნაკლებს ვლაპარაკობდი, აი, დედას კი ნამდვილად არ შეეძლო ჩუმად ჯდომა, ლაპარაკს რომ დაიწყებს, განსაკუთრებით სტუმრებიც თუ ჰყავს, ვერაფრით გააჩერებ ,ასეთ დროს ვცდილობდი, მე მაინც მელაპარაკა ნაკლები — რა მექნა, პირდაპირ უზრდელიც კი იყო. ალბათ თქვენც მოგაბეზრათ თავი იმ თავისი გაუთავებელი დარბაისლური ლაქლაქით. კარგად რომ ჩაუკვირდე, ასეთი დედის შვილი, შეიძლება, მართლაც სიტყვაძვირი და გულჩახვეული იყო... ჩემი უმცროსი და კი ზედგამოჭრილი დედაა, ყველაფერში დედას ჰგავს.

— როგორც ვიცი, დედაშენს უნდოდა, ჩემზე გაცილებით უკეთეს კაცს გაჰყოლოდი.

— დიახ!... — გულწრფელად დაუქნია თავი იუკიკომ. — ახლა რა შედარებაა... ახლა ალბათ იმის მეათედსაც არ ვლაპარაკობ.

— ვის უნდა ელაპარაკო, მთელი დღე მარტო ხარ.

— მაგრამ, თქვენ რომ მოდიხართ, მაშინაც ხომ...

— სამაგიეროდ სეირნობისას ტიტინებ დიდი სიამოვნებით!

და კიკუძიმ საღამოს მწუხრით მოცულ ქუჩებში თავიანთი ის სეირნობები გაიხსენა. იუკიკო სულ ლაპარაკობს, ენას არ აჩერებს, სიცოცხლითა და ხალისით არის სავსე... სულ გვერდში ეკვრის, ხშირად თვითონვე უკეთებს ხელკავს. იქნებ სახლიდან გამოსულს თავისუფლების გრძნობა ეუფლება?

— რა თქმა უნდა! ჩვენ ხომ მუდამ ერთად ვსეირნობთ, მე ხომ მარტო არასოდეს გავდივარ ქუჩაში, ჰოდა, მეც გელაპარაკებით და გელაპარაკებით... უწინ საიდანმე რომ დავბრუნდებოდი, ჯერ დედას მოვუყვებოდი ყველაფერს დაწვრილებით, მერე მამას.

— მამას ეს ალბათ ძალიან სიამოვნებდა.

იუკიკომ კიკუძის სახეში წუთით გამომცდელად შეხედა და ბოლოს თავი დაუქნია:

— ვერ წარმოიდგენთ, რა სასაცილო იყო! დედას ხომ მოვუყვები დაწვრილებით, ახლა მამას ვუყვები ყველაფერს სიტყვა-სიტყვით, დედა კი არ მაცდის, მაწყვეტინებს, ერთი და იგივე რაღაცას ასჯერ მაინც მეკითხება, არადა, ყველაფერი უკვე ზეპირად იცის!...

მშობლიურ სახლსა და უსაყვარლეს ოჯახს მოწყვეტილი იუკიკო, აი, ზის ახლა ამ უბადრუკ სასადილოში თავის ქმართან ერთად... ნეტავი რას გრძნობს, რას ფიქრობს, რას განიცდის? საკუთარი ცოლი კიკუძის დღემდე გამოუცნობელ, იდუმალებით მოცულ არსებად ეჩვენება.

პირველ დღეებში იუკიკოს მუდამ რაღაც ახალსა და ახალს აღმოუჩენდა ხოლმე, მაგალითად, პაწაწა, თვალით უხილავ ღია ფერის ხალს წამწამებს შორის.

მისი ლამაზად მოხაზული, უმშვენიერესი ბაგე კი... მუდამ საოცრად უმანკო ეჩვენებოდა კიკუძის, მაშინაც კი, როდესაც კოცნიდა. ეს იქნებ იმისი ბრალი იყო, მათ შორის კოცნის მეტი რომ არაფერი ყოფილა?

იუკიკოს გულში რომ იკრავდა ,უცბად თვალებზე ცრემლი მოერეოდა —

მისთვის ეს ქალი, ქალი, რომელთანაც მხოლოდ კოცნას სჯერდებოდა, ესაზღვროდ ძვირფასი და გულისამაჩუყებელი იყო.

მაგრამ იუკიკო ამითი, ჩანს, დიდად არ იტანჯებოდა. ყოველ შემთხვევაში, ისე არ განიცდიდა, როგორც კიკუძი. იგი კოცნაზე კოცნითვე პასუხობდა და მისთვის ეს ალბათ არაჩვეულებრივი სიახლე, საოცრება, [illegible] რა, გულშეჯერებული სიყვარულიც იყო, ვინაიდან სხვა მან არა[illegible].

ხანდახან კიკუძი იმასაც ფიქრობდა, ახალდაქორწინებულ ცოლ-ქმარ ურთიერთობას თავისებური სილამაზეცა აქვს. ეს ყველაფერი ალბათ ამდენ ტანჯვად და ნერვიულობად არცა ღირსო.

თვითონვე უკვირდა ,ირგვლივ ახლა ყველაფერი ლამაზი და გულისამაჩუყებელი რომ ეჩვენებოდა. თვით იუკიკოს მიერ დუქანში ნაყიდი თეთრი, ქათქათა კომბოსტო და თალგამიც კი. განა მხოლოდ ესეც საკმარისი არ იყო, რათა თავი ბედნიერ კაცად ეგრძნო! უწინ, როდესაც თავის ძველ სახლში მოხუც მოსამსახურე ქალთან ერთად ცხოვრობდა, სამზარეულოში შეხედვა აზრად არასოდეს მოსვლია, პოსტნეულს ხომ საერთოდაც ვერ ამჩნევდა.

— არ გწყინდებოდათ იმ თქვენს დიდ სახლში მარტოდმარტოს? — ჰკითხა ერთხელ იუკიკომ. მაშინ ისინი ამ ბინაში ახალი გადმოსულები იყვნენ. ეს უბრალო შეკითხვა კიკუძიმ იუკიკოს ყურადღებად მიიღო — ესე იგი, ცოლს ყველაფერი აინტერესებდა ქმრისა, უწინ როგორი იყო. მარტო ცხოვრება ხომ არ სწყინდებოდა.

დილით თვალს გაახელდა თუ არა, თავის გვერდით ლოგინში იუკიკო რომ არ დაენახა (თუმცა ეს სრულიად ბუნებრივი იყო, ვინაიდან საუზმის მოსამზადებლად ქალი მუდამ დილაუთენია დგებოდა), უცბად მოიწყენდა — მას ხომ ასე ძალიან უყვარდა მძინარე იუკიკოს ყურება!

ერთხელ კიკუძი შინ მზის ჩასვლისას დაბრუნდა და ჯერ შემოსული არ იყო, რომ კარის ზღურბლიდანვე იკითხა:

— იუკიკო, რა ქვია შენს სუნამოს — „პრინცი მაკიაველი"?

— რატომ მეკითხებით?

— ისე, უბრალოდ... დღეს ფაბრიკაში ერთ ქალს შევხვდი. დამელაპარაკა თუ არა, მაშინვე ის მითხრა, შენს სუნამოს რა ერქვა. ხომ წარმოგიდგენია, როგორა აქვს ზოგს ყნოსვა გაფაქიზებული...

— კი მაგრამ, როგორ უნდა გადასულიყო სუნი თქვენს ნივთებზე? — იუკიკომ კიკუძის პიჯაკი ჩამოართვა და ცხვირი შიგ წაყო. —ა-ა, სულ არ დამავიწყდა! გარდერობში სუნამოს პატარა ფლაკონი მიდევს...

Ზ.

თებერვლის მიწურულს, როცა სამი დღის გადაუღებელი წვიმების შემდეგ, საღამო ხანს როგორც იქნა გამოიდარა და ჩამავალმა მზის სხივებმა ღრუბლები ლიავარდისფრად შეავარაყა ,სახლში თიკაკო კურიმოტო გამოეცხადათ.

— აი ,მოვიტანე ის შავი ორიბე, — თქვა თიკაკომ, ფინჯანი ორმაგი ბუდიდან ამოიღო, ჯერ ისევ წვიმისაგან დასველებულ ხელებში სიყვარულით შეატრიალ-შემოატრიალა და კიკუძის წინ დაუდგა.

— ზუსტად ამ ფინჯნის დროა! აბა დააკვირდით ამ ნახატს. ეს ხომ ეწერის გვიმრაა...

— ახლა მოგაქვთ, როცა ლამის დამავიწყდა კიდევაც? აკი შემპირდით, დღესვე მოვიტანო? მეგონა, გადაიფიქრეთ.

— ეს ფინჯანი ადრეული გაზაფხულისთვისაა, ზამთარში რატომ მოგეტანა? სიმართლე რომ გითხრათ, ვერ ველოდი, ვიცოდი უკან არასოდეს დამიბრუნდებოდა. თქვენ ალბათ უცნაურად მოგეჩვენებათ, ამ ფინჯანთან განშორება მიჭირს-მეთქი, თუ ვიტყვი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუკიკომ თიკაკოს ჩვეულებრივად დაყენებული ჩაი მიართვა.

— ღმერთო ჩემო, ოკუ-სან, რატომ შეწუხდით! — გაპრანჭულად წარმოთქვა თიკაკომ. — მთელი ზამთარი ალბათ მარტო უძლვებოდით საოჯახო საქმეებს, მოსამსახურე არ აგიყვანიათ, ასე არ არის? მიკვირს, როგორ გაუძელით.

— ეს იმიტომ, რომ ძალიან გვინდოდა, ცოტა ხანს მარტო გვეცხოვრა, ჩვენს გვერდით გარეშე არავინ ყოფილიყო, — უპასუხა იუკიკომ და თავისი ამ გულახდილი პასუხით კიკუძი დიდად გაოცა.

— აჰ, რა სისულელეს გეკითხებით. პირდაპირ უხერხულიც კია, — თიკაკომ ხელი-ხელს შემოჰკრა და ისეთი სახე მიიღო, აქოლდა, მესმის, ყველაფერი მესანიშნავად მესმისო — ოკუ-სან, თქვენ ალბათ გახსოვთ ეს თრიბე? მე მგონი, ამ ფინჯანთან უამრავი მოგონება გაკავშირებთ, ხომ ასეა? მე კი ამაზე უკეთესი საჩუქარი, მართალი გითხრათ, ვერაფერი მოვიფიქრე.

იუკიკომ გაოცებულმა შეხედა კიკუძის.

— ოკუ-სან, — განაგრძო თიკაკომ, — გთხოვთ, ხიბატისთან ახლოს გადმოჯექით, აგერ, ჩვენს გვერდით..

— ახლავე!

იუკიკო კიკუძის გვერდით გადმოვიდა და ისე ახლოს მიუჯდა, ნიდაყვებით ლამის ერთმანეთს ეხებოდნენ.

— არა, თქვენი საჩუქარი არ მჭირდება, მე მხოლოდ ის გთხოვეთ, მომყიდეთ-მეთქი, — ამბობდა კიკუძი და სიცილს (რაზე ეცინებოდა, თვითონაც არ იცოდა) ძლივს იკავებდა.

— როგორ არ გრცხვენიათ, კიკუძი-სან, ნუთუ მართლა გგონიათ, რომ მამათქვენის ნაჩუქარ ფინჯანს მოგყიდით? არა, ჩემო კარგო, მე ჯერ ასე არ დავცემულვარ! — პირდაპირ მიახალა თიკაკომ. — ოკუ-სან, რა ხანია ჩაის დაყენების თქვენეული ხელოვნებით არ დავმტკბარვარ. გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი მოსწავლეებიდან ეს საქმე ასე მოხდენილად, ასე მომხიბლავად და ლიდებულად არავის შეუძლია. ამ წუთშიაც თვალწინ მიდგას, ენკაკუძის ტაძარში ამ ორიბეთი კიკუძი-სანს ჩაი პირველად როგორ მიართვით.

იუკიკოს ხმა არ ამოუღია.

— ძალიან გთხოვთ, ჩაი დააყენეთ და თქვენს მეუღლეს ამ ფინჯანში დაუსხით, მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ტყუილად არ მოვიტანე.

— იცით, ჩაის ცერემონიალის ჭურჭელი სულ არა გვაქვს, — თქვა იუკიკომ, ისე, რომ თავი არ აუწევია.

— რას ბრძანებთ, რა ბევრი რამეც ამას უნდა! ერთი პატარა ჩაის ფუნჯი და მორჩა.

— დიახ...

— ძალიან გთხოვთ, გაუფრთხილდით ამ ფინჯანს!

— კი ბატონო...

თიკაკომ ახლა კიკუძის შეხედა.

— ჭურჭელი არა გვაქვსო!.. სინოს ქოთანი ხომ გაქვთ?

— გვაქვს, მაგრამ იმ სინოს ჩვენ მხოლოდ ყვავილების ლარნაკად ვიყენებთ, — სიტყვის დამთავრება არ აცალა კიკუძიმ.

ქალბატონ ოოტასეულ სინოს ქოთნის გაყიდვას კიკუძი ვერა და ვერ ბედავდა. მაგრამ ქოთანი ისე ჰქონდათ სადღაც კარადაში გადამალული, ლამის დაავიწყდათ კიდევაც. მის ხსენებაზე კიკუძი შეკრთა, გულმა გამალებული ცემა დაუწყო.

ბოლოს ცოლ-ქმარმა სტუმარი წინკარამდე მიაცილა.

თიკაკომ კარის ზღურბლს გადააბიჯა და ცას შეხედა.

— შესანიშნავი ღამეა! ცოტა დათბა კიდევაც. ცაც ისეთია, ასე გეგონება, რაც ტოკიოში სინათლეები ანთია, მის თავზე გადმომხობილ ზეცაზეა არეკლილი!..

ამ სიტყვებით თიკაკო გასასვლელისაკენ გაეშურა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე მხარი შეშინებულივით უხტოდა.

იუკიკო ჯერ ისევ წინკარში იჯდა.

— „ოკუ-სან"... „ოკუ-სან".. ნეტავი რას გადამეკიდა, რა საშინელებაა!...

— საშინელებაა მაშ რა არის., ალბათ ამის შემდეგ მაინც შეწყვეტს აქ სიარულს, — კიკუძი ერთხანს წინკარში იდგა. — ცაზე კი მართლაც მშვენივრად თქვა: — ცაც ისეთია, თითქოს რაც ტოკიოში სინათლეები ანთია, მის თავზე გადმომხობილ ზეცაზეა არეკლილიო...

იუკიკო წამოდგა, წინკარის კარი გამოაღო, ცას შეხედა, ის-ისაა ისევ უნდა მიეხურა, მაგრამ დაინახა, კიკუძიც ცას გაჰყურებსო და ჰკითხა:

— შეიძლება დავხურო?

— დიახ.

— მართლაც როგორ დათბა, არა?

ამ სიტყვებით ისინი კვლავ სასადილოში შებრუნდნენ. იუკიკოს მაგიდიდან ორიბეს ფინჯანი უნდა აეღო, რომ კიკუძიმ გასეირნება შესთავაზა.

მალე ისინი კერძო სახლების უბანში მთისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვნენ. ხალხის თვალს მიეფარნენ თუ არა, იუკიკომ კიკუძის ხელში ხელი ჩაავლო. მართალია, ხელებს გულმოდგინედ უვლიდა, მაგრამ ზამთრის წყლისაგან ხელის გულები გაუხეშებული ჰქონდა.

— ფინჯანს საჩუქრად ხომ არ გამოართმევთ, ხომ იყიდით? — ჰკითხა უცებ კიკუძის.

— რა თქმა უნდა.

— ესე იგი, გასაყიდად მოიტანა? ასედაც ვიფიქრე.

— არა, იმან არა ,მაგრამ მე გავყიდი: ჩაის ჭურჭლის ვაჭარს მივყიდი და ფულს კურიმოტოს მივცემ.

— როგორ თუ გაყიდით? რატომ უნდა გაყიდოთ?

— იუკიკო, შენ ხომ იცი, შენ ხომ გაგებული გაქვს ამ ფინჯნის ამბავი? დღესაც და მაშინაც, ენკაკუძის ტაძარში, ხომ გახსოვს, თიკაკო სულ იმას ამბობდა, ფინჯანი მამათქვენმა მაჩუქაო. მანამდე კი იგი ოოტების ოჯახის საკუთრება იყო. აბა, ასეთი ბედის ფინჯანი...

— ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუ ეს ფინჯანი ნამდვილად ასე კარგია, რატომ უნდა გავყიდოთ, რატომ არ უნდა დავიტოვოთ?

— კარგი კი არა, ძალიან კარგია... მეც სწორედ ამიტომ მინდა, რომ კარ-

გე კაცის ხელში მოხვდეს. მცოდნე, კეთილსინდისიერი ვაჭარი თვითონ მისცემს გეზს, ისე მოიხმარს, როგორც წესი და რიგია... ჩვენს ხელში კი, აი მაგალითად ჩემს ხელში, გინდ ყოფილა და გინდა არა, სულ ერთია, უკვალოდ უნდა იყოს დაკარგული...

წამოსცდა თავისდა უნებურად ფუმიკოს წერილში ამოკითხული სიტყვები. კიკუძი ხომ სწორედ ფუმიკოს გამო ცდილობდა, ფინჯანი როგორმე კურიმოტოს ხელიდან გამოეხსნა.

— ამ ნივთს თავისი ბედი, თავისი უჩვეულო ცხოვრება აქვს. ჰოდა, იცხოვროს ისევ იმ თავისი ცხოვრებით, უჩვენოდ. მართალია, ამ „უჩვენოდში“ შენ სულაც არ იგულისხმები, იუკიკო, მაგრამ... გესმის, ასეთი ლამაზი, ასე ყოვლად სრულყოფილი ფინჯანი თავისთავად ადამიანის გულში მწარე ფიქრებსა და არაჯანსაღ გრძნობებს არასოდეს აღძრავს. და თუ მაინც ვინმეში რაიმე ამგვარ განცდებს გამოიწვევს, დამნაშავე იქნება არა ფინჯანი, არამედ ადამიანი, მისი ხსოვნა, მისი გონება, ვინაიდან ჩვენ, ადამიანები ვუყურებთ ასე გულდამძიმებულნი. ადამიანები-მეთქი... ამ „ადამიანებში“ კი სულ რაღაც ხუთ-ექვს კაცს თუ ვგულისხმობ. ჩვენამდე ასეული წლების მანძილზე, ვინ იცის, რამდენი შეჰყურებდა სიამოვნებისაგან თვალებგაბრწყინებული. შეჰხაროდა, თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეს ფინჯანი ,სულ ცოტა, ოთხასი წლისა მაინც არის, ისე რომ ,დრო, რომლის განმავლობაშიც იგი მამაჩემის, ბატონი ოოტასა და კურიმოტოს ხელში იყო, მის ასაკთან შედარებით ცაზე წამიერად გადავლილი ღრუბლის უმნიშვნელო ჩრდილია. ამიტომაც, დაე იმ ადამიანის საკუთრებად იქცეს. რომელსაც იგი არავითარ მწარე მოგონებებს არ აღუძრავს. დაე ფინჯანმა ჩვენი სიკვდილის შემდეგაც იცხოვროს თავისი ცხოვრებით, დაე ბოლომდე ასე სრულყოფილი და მშვენიერი იყოს.

— ჰო-ო? თუ ასეა, თუ გული ასე შეგტკივათ, იქნებ სულაც არ გაგვეყიდა? თუმცა, როგორც გენებოთ, ჩემთვის სულერთია.

—არა, კი არ მენანება, უბრალოდ, მინდა ამით ჩვენს მიერ დატოვებული ბინძური ნაკვალევი ჩამოვრეცხო... განა საშინელება არ იქნება, კურიმოტოს ხელში მისი ჩატოვება!.. იქაც კი... ენკაკუძის ჩაის პავილიონში, ფინჯანი ჯერ ისევ თავისთავადი იყო, იგი თავის ფუნქციას ასრულებდა. ფუნქციას, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ადამიანების უბადრუკ ურთიერთობებთან.

— თქვენი სიტყვებიდან გამოდის, რომ ფინჯანს ადამიანებზე მაღლა აყენებთ.

— რა ვიცი, შეიძლება.. მართალი გითხრათ, მე მაინცდამაინც დიდად ვერ ვერკვევი ფინჯნებში, მაგრამ მას ხომ ასეული წლების განმავლობაში უვლიდნენ და ელოლიავებოდნენ ის ადამიანები, რომლებსაც მისი ფასი და ყადრი გაეგებოდათ. ხომ! არ შემიძლია, ავდგე ახლა და გავტეხო... განა არ ჯობია, ისევ უკვალოდ იყოს დაკარგული.

— მე კი, მართალი გითხრათ, მირჩევნია ჩვენთან, ჩვენს ოჯახში დარჩეს, როგორც სამახსოვრო ნივთი ჩემთვისაც და თქვენთვისაც, — წარმოთქვა იუკიკომ მკაფიო ხმით. — ჩემთვის დიდად სასიამოვნო იქნებოდა, ამ ფინჯნის სილამაზე, რომლისაც მე ახლა არაფერი გამეგება, ჩემთვისაც ნათელი და გასაგები გამხდარიყო. ის კი, აქამდე რა იყო და როგორ იყო, მართალი გითხრათ, სულაც არ მანაღვლებს... ვთქვათ გაყიდეთ, როგორ გგონიათ, მერე ხომ არ ინანებთ?

— არა! ფინჯანი სამუდამოდ უნდა მოვიშოროთ, იგი ჩვენთვის უკვალოდ უნდა იყოს დაკარგული. რას იზამ, ასეთია მისი ბედისწერა.

სიტყვა „ბედისწერის" წარმოთქმაზე, კიკუძის თვალწინ ჩიკაკო წარმოუდგა მტკივნეული სიცხადით.

სეირნობიდან შინ ისინი საათნახევრის შემდეგ დაბრუნდნენ.

იუკიკოს ის-ისაა კოტაცუსათვის ხიბატიდან ჩამოტანილი ფინჯანი ამოეღო, რომ უცებ კიკუძის მოუტრიალდა და მისი ხელი ხელის გულებში ისე მოიმწყვდია, თითქოს უნდა აგრძნობინოს, ცალი ხელის გული როგორი ცივი აქვს, მეორე კი, როგორი თბილი.

— ქალბატონი კურიმოტოს მოტანილი ნამცხვარი ხომ არ მოგართვათ?

— არა, არ მინდა.

— მარტო ნამცხვარი კი არა, რუხი ჩაიც მოგვიტანა, კიოტოდან გამომიგზავნესო, — უთხრა გულალალად იუკიკომ.

ფუროსაკიში გამოკრულ ფინჯანს კარადაში რომ ინახავდა, ერთი პირობა კიკუძიმ გუნებაში გაიფიქრა, ამ ფინჯანთან ერთად, მოდი, სინოს ქოთანსაც გავყიდიო.

იუკიკომ სახეზე მალამო გადაისვა, თმიდან სარჭები გამოიძრო და დასაწოლად მოემზადა.

— რას იტყვით, თმა ხომ არ შევიჭრა? რა ვიცი, ვაითუ მეუხერხულოს კისერმოშიშვლებული სიარული?

გრძელ, გაშლილ თმას რომ ივარცხნიდა, თმა წუთით კეფაზე აიკეცა, რათა ქმრისათვის ეჩვენებინა, როგორი იქნებოდა მოკლედ თმაშეკრეჭილი და კისერმოშიშვლებული. მერე სარკესთან სახე სულ ახლოს მიიტანა და ბლონდის ნაჭრით ტუჩებზე დიდხანს, დიდხანს იწმინდა პომადა.

იწვნენ სიბნელეში ერთმანეთს ჩახუტებულები და საკუთარი სხეულის სითბოს ერთმანეთს უზიარებდნენ. მერე კიკუძის თანდათან ჩვეული სევდა მოეძალა — როდემდე, როდემდე უნდა ებღალა ეს ურთიერთბნედვა და გულისლევა, ჯერ ისევ უმწიკვლო და შეუბღალავი? იუკიკო წმინდაა... განა შეუძლია რაიმეს ჩირქი მოსცხოს, შებღალოს ჭეშმარიტი უბიწოება? სიწმინდე ხომ ყველას და ყველაფრის შემწდობია. მაშ რატომ არ შეიძლება... კიკუძის გონებაში ერთმანეთს ენაცვლებოდა ეს ეგოისტური აზრები, რომელშიაც იგი ხსნას და გამოსავალს ეძებდა.

ბოლოს იუკიკოს ჩაეძინა და მის მკლავებში მომწყვდეულ ქალს კიკუძიმ ხელი შეუშვა — მეტისმეტად მწარე და სევდის მომგვრელი იყო ცივ ლოგინში გადასვლა მხოლოდ ამ გულისმღრღნელი სინანულის ამარა. „არა, არ უნდა მეთხოვა ცოლი", — გაიფიქრა კიკუძიმ.

3.

მთელი ორი საღამო, მზის ჩასვლის წინ, ცის დასალიერი მკრთალი ვარდისფერი შუქით იყო გადაფერადებული.

ელექტრომატარებლით შინისაკენ მიმავალი კიკუძი ახლად აგებული შენობების ფანჯრებს გაჰყურებდა. ყველა ფანჯარა განათებული იყო, ოღონდ როგორღაც ულიმღამოდ, უსხივოდ. გაოცებულმა ერთი კი გაიფიქრა, რა უცნაურიაო, რომ უცებ მიხვდა, სახლები ლუმინესცენტური ლამპებით იყო განათებული. ამდენ სახლში ერთ ფანჯარასაც ვერ დაინახავდი ჩაბნელებულს.

ასე გეგონებოდა, თვითეული ოთახი ახალმოსახლეობის სიხარულის შუქს გაუნათებიაო. ახალმშენებლობის ცოტა იქით, ცაზე სავსე მთვარე იყო გადმოკიდებული.

კიკუძი სახლს რომ მიუახლოვდა, ვარდისფრად გაკაშკაშებული ცის ტატნობი თანდათან ჩაქრა, ახლა უკვე მუქვარდისფრად აელვარებული [illegible]ბავი თანდათან ჰორიზონტისაკენ ჩაიწურა, იქ, სადაც ეს-ესაა მიმწ[illegible] ჩაესვენა და ცის დასალიერი დაფიონმა ააპრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლისაკენ რომ შეუხვია, კიკუძი რატომღაც აღელდა, პიჯაკის შიდა ჯიბეში ქვითარი მოისინჯა.

და აი უცბად იუკიკოს მოჰკრა თვალი. აჩქარებული ნაბიჯით იგი მეზობელი სახლის ჭიშკრიდან გამოვიდა და თავიანთი სახლის ჭიშკარში გაუჩინარდა.

— იუკიკო!.. იუკიკო!..

ძახილზე იუკიკომ ქუჩაში გამოიხედა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! ალბათ დამინახეთ, არა? — თქვა და სახე წითლად წამოენთო. — მეზობელმა ტელეფონთან დამიძახა, ჩემი უმცროსი და რეკავდა.

— ჰო-ო?

კიკუძისათვის ეს ამბავი მოულოდნელი იყო: არა, მაინც როდის აქეთ დაიწყო მეზობლებში სიარული?

— იცით, ცა დღესაც ისეთი იყო, როგორც გუშინ, მზის ჩასვლისას; ოღონდ ცოტა უფრო თბილი ფერი ჰქონდა, ეს იმიტომ, მთელ დღეს არაჩვეულებრივად მზიანი და ჩახჩახა ამინდი რომ იდგა...

იუკიკომ ცას ახედა.

კიკუძიმ ტანსაცმელი გამოიცვალა, ჯიბიდან ქვითარი ამოიღო და ბუფეტზე დადო.

იუკიკო კიკუძის გახდილ ტანისამოსს რომ ჰკეცავდა, ისე ჩაილაპარაკა, თავი არ აუწევია:

— ჩემმა დამ, კვირა საღამოს მე და მამა თქვენთან ვაპირებდით წამოსვლასო...

— ჩვენთან?

— დიახ.

— მერედა, რატომ არ მოვიდნენ? — გულწრფელად იკითხა კიკუძიმ.

იუკიკოს ჯაგრისი ხელში გაუშეშდა.

— როგორ თუ რატომ? — მე ხომ ამასწინათ წერილი გავუგზავნე, ვთხოვე: ჯერჯერობით ჩვენთან ნუ ჩამოხვალთ-მეთქი.

გაოცებისაგან შეცბუნებულ კიკუძის ისაა უნდა ეკითხა, კი მაგრამ, რატომ, რა მიზეზითო, რომ უცბად მიხვდა: იუკიკოს ალბათ ეშინია მამამისის ჩამოსვლისა, ალბათ ფიქრობს, ვაითუ მიხვდეს, აქამდე ჯერ კიდევ ნამდვილი ცოლ-ქმარი რომ არა ვართო...

მაგრამ იუკიკომ თავი სწრაფად ასწია და ქმარს სახეში ჯიქურ შეხედა.

— იცით, როგორ უნდა მამას ჩვენთან მოსვლა; ძალიან გთხოვთ, დაპატიჟეთ...

— ნუთუ საგანგებო დაპატიჟებაა საჭირო? ამდგარიყო და ჩამოსულიყო, უბრალოდ, შინაურულად, — უპასუხა იუკიკოს თვალთა შუქით თვალმოჭრილმა კიკუძიმ.

— გათხოვილ ქალიშვილთან... ეჰ, ეს ხომ არც ისე იოლი ამბავია... თითქმის მხიარულად წარმოთქვა იუკიკომ.

ვინ იცის, კიკუძი იქნებ მასზე მეტად უფრთხოდა სიმამრის სტუმრობას. ქორწილის შემდეგ მას ხომ ცოლის ნათესავი ერთხელაც არავინ მოუპატიჟებია — არც მშობლები, არც და-ძმა, უბრალოდ, აზრადაც არ მოსვლია. ის კი არა, ლამის გადაავიწყდა კიდევაც, მის ცოლს მშობლები, [illegible] რომ ჰყავდა. ისე იყო შთანთქმული იუკიკოსთან თავისი ამ [illegible], არც არავინ აგონდებოდა. არც არავისთვის ეცალა. ანდა იქნებ იუკიკოს გარდა არავიზე ფიქრი იმიტომ არ შეეძლო, მათ შორის სწორედაც არავითარი კავშირი და ურთიერთობა რომ არ იყო.

დიახ, არავისზე და არაფერზე არ ფიქრობდა კიკუძი. მხოლოდ ქალბატონი ოოტასა და ფუმიკოს სახეები თუ ამოტივტივდებოდა მის მეხსიერებაში და მისი ამ უძლურების მიზეზიც, როგორც ჩანს, სწორედ ისინი იყვნენ. ამოილანდებოდნენ პეპლის აჩრდილებივით და დაიწყებდნენ ფარფატს პეპლებივით. ასე ეგონა, საკუთარი თვალით ხედავდა, ცნობიერების სიღრმიდან როგორ მოიზიდებოდა სიფრიფანა ფრთებიანი აჩრდილი. მაგრამ კაცმა რომ თქვას, ეს ქალბატონი ოოტას აჩრდილი კი არა, მისი საკუთარი სინდისის აჩრდილი უფრო იყო.

აგერ ახლა იუკიკომ თავისი წერილი ახსენა, წერილი, რომელშიაც მშობლებს სთხოვდა, ჯერჯერობით სტუმრად არ სწვეოდნენ. ეს კი სრულიად საკმარისი იყო კიკუძისათვის, რათა მშვენივრად მიმხვდარიყო, როგორ იტანჯებოდა, რა საგონებელში იყო ჩავარდნილ იუკიკო. თიკაკო კურიმოტოს უკვირდა, ამ ცივ ზამთარში მოსამსახურის გარეშე იოლად როგორ გადიხართო. იუკიკოს კი ალბათ მოსამსახურისაც ეშინოდა, ფიქრობდა, იმ ვიღაც უცხო ქალს მათი ცოლქმრული ურთიერთობის საიდუმლო არ გაეგო. ამავე დროს კი მუდამ შესანიშნავ გუნებაზე იყო. ერთთავად ბედნიერებისაგან გაბრწყინებული დადიოდა... და ეს ალბათ მხოლოდ კიკუძის სიბრალულის გამო არა...

— წერილი როდის გააგზავნე? აი ის, არ ჩამოხვიდეთო, რომ სწერდი? — ჰკითხა კიკუძიმ იუკიკოს.

— ახლავე გავიხსენებ... მე მგონი, შვიდი იანვრის შემდეგ... თუ გახსოვთ, როდის ვეწვიეთ ნაახალწლევს ჩემს მშობლებს?

— როდის და, სამ იანვარს.

—იმ სამი იანვრიდან ასე, ოთხი-ხუთი დღე თუ იქნებოდა გასული. გახსოვთ? ახალი წლის მეორე დღეს ჩემმა უმცროსმა დამ მარტომ მოგვილოცა, თან ბოდიშიც მოგვიხადა, დედასა და მამას არ ეცალათ, საახალწლოდ ძალიან ბევრი სტუმარი ჰყავდათ, ვინ აღარ მოვიდაო.

— კი, როგორ არა, მეორე დღისათვის იოკოგამაშიაც დაგვპატიჟა, — თავი დაუქნია კიკუძიმ. — მიუხედავად ამისა, მე მგონი, მაინც უხერხული იყო მშობლებთან ასეთი წერილის მიწერა... რაც არის, არის, მოდი დავპატიჟოთ, აი ვთქვათ, მომავალი კვირისათვის, კარგი?

— მართლა? რომ იცოდეთ, როგორ გაუხარდება მამას. მარტო მოსვლა რომ არ ეუხერხულოს, ვიცი, თან ჩემს უმცროს დასაც წამოიყვანს. ის რომ იქნება, მეც თავს უფრო თავისუფლად ვიგრძნობ. ისე, რა უცნაურია, არა?

ალბათ დას რომ გვერდით დაიგულებს, შესძლებს, თავი უფრო ბუნებრივად დაიჭიროს. უნდა, მშობლებს თავისი ეს არაბუნებრივი ცოლქმრული ურთიერთობა დაუმალოს, — გაიფიქრა კიკუძიმ.

იუკიკო უცბად სადღაც გაქრა, ეტყობა, თავიანთი პატარა აბანოს გასასუფთავებლად გავიდა — მალე იქიდან წყლის ჩქაფაჩქუფი გაისმა. როგორც ჩანს, წყალს სინჯავდა, გაცხელებული იყო თუ არა.

— ვახშმის წინ ხომ არ იბანავებთ? — ჰკითხა იუკიკომ კიკუჯის.

— კი, როგორ არა.

აუზში რომ იჯდა, შემინულ კარს უკან იუკიკოს ხმა მოესმა:

— ბუფეტზე რა ჩეკი დევს?

— ფინჯნის ფულის ჩეკია, კურიმოტოს უნდა მივცე.

— ეს ამდენი ფული ერთ ფინჯანში?

— არა, მარტო ფინჯანში არა, ქოთანიც გავყიდე.

— მაინც რამდენი გვეკუთვნის ამ ფულიდან?

— დაახლოებით, ნახევარი...

— oო, ნახევარიც კარგად ბლომადაა!

— ჰოდა, მოვიფიქროთ, რაში დავხარჯოთ ეს ფული.

ფინჯნის თაობაზე იუკიკოსათვის ყველაფერი ცნობილი იყო. ამაზე გუშინ საღამოს სეირნობის დროს ისაუბრეს. აი, ქოთანზე კი არაფერი უთქვამს.

იუკიკო ისევ აბანოს შემინულ კარს უკან იდგა.

— არა, კი არ დავხარჯოთ. ამ ფულით, მოდი, აქციები ვიყიდოთ...

— აქციები?

კიკუჯის ეს ალბათ აზრადაც არასოდეს მოუვიდოდა.

—იცით, — იუკიკომ მინის კარი გაწია და აბაზანაში შევიდა, — ერთხელ მე და ჩემს უმცროს დას მამამ ფული გვაჩუქა, დაახლოებით ამ ფულის მეოთხედი — აბა თქვენ იცით, როგორ გაზრდით ამ თანხას! ჩვენც ავდექით და ფული ჩვენს მაკლერს ჩავაბარეთ. მაკლერმა კი იმ ფულით აქციები იყიდა. აქციების ფასი დაეცემოდა თუ არა, შეინახავდა, როცა აიწევდა, ძველებს გაყიდდა და ახლებს ყიდულობდა. ამასობაში კი თანხა ცოტა-ცოტას მატულობდა.

— მ-მ...

კიკუჯიმ უცბად მთელი სიცხადით წარმოიდგინა იუკიკოს მამისეული ოჯახის ცხოვრების წესი და ყაიდა.

— მე და ჩემი და ყოველდღე ვათვალიერებდით გაზეთის იმ სვეტს, სადაც საბაჟო ბიულეტინები იყო გამოქვეყნებული.

— ახლაც გაქვთ ის აქციები?

— დიახ. მართალია, მე იგი თვალითაც არასოდეს მინახავს, სულ მაკლერთანაა, მაგრამ... როცა აქციების ფასი ეცემა, ჩვენ მას არასოდეს ვყიდით, ამიტომ არც ზარალს განვიცდით, — თქვა გულუბრყვილოდ იუკიკომ.

— თუ ასეა, მოდი ეს ფულიც მაკლერს ჩავაბაროთ, კარგი, იუკიკო-სან?

თქვა ღიმილით კიკუჯიმ და ცოლს შეხედა. იუკიკოს თეთრი წინსაფარი ჰქონდა აფარებული, ფეხთ შალის მოკლეყელიანი წითელი წინდები ეცვა.

— შენც ხომ არ ჩამოხვიდოდი აუზში, ცოტას ხომ არ გათბებოდი?

იუკიკომ უცბად დაიმორცხვა, ლამაზი თვალები ძირს მოკრძალებით დახარა...

— არა, არ მცალია, ვახშამი უნდა მოვამზადო.

თქვა და სასწრაფოდ აბანოდან გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4.

შაბათს ისეთი ამინდი დაიჭირა, მარტი გეგონებოდა.

მეორე დღეს იუკიკო სტუმრად მამასა და თავის უმცროს დას ელოდა. ნავახშმევს იგი მარტო წავიდა საყიდლებზე და შინ სავსე ხელებით დაბრუნდა, ყვავილებიც კი მოიტანა. გვიან ღამემდე სამზარეულოში ფუსფუსებდა, მერე სარკის წინ დაჯდა და თავისი ახალი ვარცხნილობა დიდხანს ათვალიერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს კინაღამ მართლა მოვიჭერი თმა! თქვენ ხომ [illegible] ვერა ხართ! მამა კი... აი ხვალ რომ შემომხედავს, ვაითუ გული გაუსკდეს-მეთქი, ავდექი და მხოლოდ დავივარცხნინე... მაგრამ ძალიან ცუდად დამვარცხნა, რას გავს, სულ არ მიხდება...

იგი კიდევ დიდხანს ათვალიერებდა საკუთარ სახეს სარკეში და თავისთავს ელაპარაკებოდა.

ბოლოს დაწვა, თუმცა ვერა და ვერ დამშვიდდა, ვერ დაიძინა.

ნუთუ ასე ძალიან უხარია მამისა და უმცროსი დის სტუმრობა? — კიკუძის ეჭვმა გაჰკენწლა. მაგრამ, ეტყობა, უბრალოდ მოწყენილიაო — ცოლს მკლავები ნაზად მოხვია და თავისკენ მიიზიდა:

— რა ცივი ხელები გაქვს, ასე როგორ გაიყინე!

იუკიკოს ხელები მკერდზე დაილაგა, ცალი ხელი კისერზე მოხვია, მეორე ღამის კიმონოს სახელოში შეუცურა და მხარზე მოუთათუნა.

— მომიყევით რაიმე!

იუკიკომ თავი გვერდზე გაწია და ტუჩები მოარიდა.

— მელუტუნება! — თქვა კიკუძიმ და ჩამოშლილი თმა ცოლს ყურსუკან გადაუწია. — გახსოვს, იზდუშიაც მთხოვე, რაიმე მომიყევიო?

— არა, არ მახსოვს...

კიკუძის კი არასოდეს დაავიწყდება ის ღამე, უძირო წყვდიადში ჩანთქმული უმწეოდ ფართხალებდა, თვალებს ძალით ხუჭავდა, ცდილობდა, როგორმე ქალბატონი ოოტას და ფუმიკოს სახეები წარმოედგინა, რათა ამით მაინც ეპოვა ძალა იუკიკოსათვის. ხვალ იუკიკოს მამა უნდა ჩამოვიდეს, იქნებ ამაღამინდელმა ღამემ მაინც დაუდოს ზღვარი მის ტანჯვას? და აი, კიკუძის ისევ ქალბატონი ოოტა გახსენდა, ისევ მოაწყდნენ ქალბატონი ოოტასაგან წამოსული ტალღები, მაგრამ ამან კიდევ უფრო გააცხოველა მის გულში იუკიკოს სიწმინდისა და სისპეტაკის გრძნობა.

— იუკიკო, იქნებ შენ თვითონ მიმიყევე რაიმე?

— არა, აბა მე მოსაყოლი რა მაქვს...

— ხვალ მამა რომ ჩამოვა, რას ეტყვი, რას აპირებ?

— რა უნდა ვუთხრა ? რაც მომაფიქრდება იმას ვეტყვი. მამას ისე ძალიან უნდა ჩვენთან ჩამოსვლა... აი ჩამოვა და ბედნიერებს რომ გვნახავს, ძალიან გაიხარებს, მისთვის ესეც საჩუქარი იქნება.

კიკუძი პირაღმა გაუნძრევლად იწვა, იუკიკომ მის მკერდში თავი წარგო და ისიც გაირინდა...

მეორე დღეს თერთმეტი საათი ახალი დაწყებული იყო, რომ იუკიკოს მამა და უმცროსი და ჩამოვიდნენ. იუკიკო გახარებული დაფუსფუსებდა ოთახებსა და სამზარეულოში. მთელ სახლში ყოველ წუთს დების გულიანი კისკისი ისმოდა. ის იყო, სადილზე დასხდნენ, რომ თიკაკო კურიმოტო მობრძანდა.

— ესე იგი, გაყიდეთ ეს ფინჯანი? მე იმიტომ გამომართვით, რომ გაგეყიდათ, არა? ვითომ ეს ფულის გამოგზავნა რაღა იყო? მაინც რას ნიშნავს? რას მიბრძანებთ, ეგ თქვენი საქციელი როგორ ავხსნა? — გაავებული ეცა კიკუძის თიკაკო. — მივიღე თუ არა, მინდოდა, მაშინვე წამოვსულიყავი, მაგრამ არ ვიცოდი, სახლში დამიხვდებოდით თუ არა, თქვენ ხომ შინ მხოლოდ კვირაობითა ხართ. სხვათა შორის, შემეძლო, საღამოსაც წამოვსულიყავი.

თიკაკომ ხელჩანთა გახსნა და კიკუძის წერილი ამოიღო.

— აი გიბრუნებთ თქვენს წერილს. ფულიც კონვერტში დევს, გთხოვთ, კარგად დაითვალოთ.

— ეგ ფული თქვენ გამოგიგზავნეთ, — თქვა კიკუძიმ.

— მაინც რაში? გირაოში ხომ არა?

— კარგით ერთი, ვითომ რატომ უნდა მომეცა გირაო, თანაც ახლა?

— მეც მაგას არ გეკითხებით?! სხვა რომ არა იყოს რა, უცნაურიც კია. ამ ფინჯანში აღებული ფული აიღეთ და გირაოში მომეცით.

— ფინჯანი თქვენია და ამ ფინჯანში აღებული ფულიც, რა თქმა უნდა, თქვენი უნდა იყოს.

— კიკუძი-სან, მე ხომ გაჩუქეთ! რომ მთხოვეთ, ვიფიქრე, ამაზე უკეთესი საქორწილო საჩუქარს სხვას რას ვუყიდი-მეთქი და საჩუქრად მოგართვით, თუმცაღა მამათქვენისეული ეს ფინჯანი ჩემთვის მეტად ძვირფასი და საწუქვარი გახლდათ.

— თქვენც ჩათვალეთ, რომ კი არ მაჩუქეთ, არამედ მომყიდეთ.

— არა, არ შემიძლია! აკი გითხარით, ჯერ ისე არ დავცემულვარ, მამათქვენის სამახსოვრო საჩუქარი გავყიდო... მაგრამ აი თქვენ უკვე გაყიდეთ. ფინჯანი ახლა უკვე ვაჭრის ხელშია. თუ მაინცდამაინც არ დაიშლით და ფულის აღებას დამაძალებთ, წავალ და გამოვისყიდი იმ ვაჭრისაგან!

სიმართლე არ უნდა მიმეწერა, — გაიფიქრა კიკუძიმ. — აბა რას გაიგებდა, ფინჯანი ვის მივყიდე და ვის ხელთაა.

— აქ რატომ დგახართ? მობრძანდით... შემრიგებლურად სთხოვა იუკიკომ. — ჩვენთან მხოლოდ მამა და უმცროსი დაა სტუმრად, იოკოგამადან ჩამოვიდნენ. მობრძანდით...

— მამა?! ღმერთო ჩემო, აი ამას კი ნამდვილად არ ველოდი!.. ამ სახლში მამათქვენთან შეხვედრა ჩემთვის მართლაც რომ დიდად სასიამოვნოა! — — თიკაკომ ამ სიტყვებზე მხრები კმაყოფილმა დაუშვა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

□

# ტაო იუან მინი

## ლექსები

ჩინურიდან

თარგმნა მურმან ჯგუბურიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ღვინით ხელში

#### წინასიტყვა

მე ვიყავი სამსახურისაგან თავისუფალი
და სულ მცირე რამე მიხარებდა გულს,
ესეც არ იყოს გრძელი ღამეები გადაებნენ ერთმანეთს,
და თუკი ხელთ მომხვდებოდა სადაგი ღვინო,
ისეთი საღამო მე არ მახსოვს, რომ არ დამელიოს;
ჩემს ლანდთან ერთად, მარტო, ვცლიდი მე სასმისს
და ასე შეუმჩნევლად მიმხიარულდებოდა გული;
ხოლო მას შემდეგ, როცა შევთვრებოდი,
მე ვთხზავდი ლექსებს თავის გასართობად,
ტუში და ქაღალდი საკმაოდ ვხარჯე,
მხოლოდ პწკარები ვერ წავაბი ერთმანეთს რიგით,
და ვუხმე მაშინ კეთილ მეგობარს,
რომ რიგიანად ჩაეწერა ეს სტრიქონები, —
რათა ხალისი მოგვცემოდა ჩვენ საზიარო!

* * *

არც ყვავილობამ, და არცა ჭკნობამ —
	არ იცის მისი წესი და რიგი:
მაგრამ ერთმანეთს ცვლიან ნიადაგ,
	ერთი რომ მოდის, მეორე — მიდის.

შაო — კეთილი და ჩინებული,
	აღარ ებადა რომელსაც გროში,
თესავდა კვახს და არჩენდა სოფელს,
	ასე ცხოვრობდა ლუნლინის დროში.

და აქვს ყველაფერს ჟამი თავისი,
	ხან ცხელა ძლიერ, ხან—სიცივეა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასეთი არის კაცის ცხოვრებაც,
      თუმცა ცხოვრება მისი მცირეა.

ბრძენმა კი იცის, ვინაც გაზომა
      ამ წუთისოფლის სიგრძე და განი,
და იმას მეტად არ უკირკიტებს,
      რაც თავისთავად ნათელი არის...

ხანდახან ხდება, დარჩები მარტო,
      და ღვინით სავსე ჯამი გიპყრია,
და არც კი იცი, დღეა თუ ღამე,
      ანდა იცი და, არ გიფიქრია!

* * *

კარგი ქენი, და კარგს ნუ მოითხოვ,
ძველი ანდაზა ამბობს,
ძმები ბო და შუ — გაუტეხელნი,
      მთას შეეხიზნონ მარტო.

თუკი ბოროტი არ დაისაჯა,
      კარგს არ მივაგებთ კეთილს, —
ფუჭი სიტყვები რატომ გაისმის,
      თავს რად ვიტყუებთ-მეთქი.

ხოლო „ის არის ოთხმოცდაათის,
      მოსავს ღარიბი ჯვალო“,
თუმცაღა არის ის გულმართალი,
      მაინც მარადის წვალობს.

თუ სანიმუშოდ არ დავისახავთ
      კაცს — დღენიადაგ მტკიცეს,
ასი თაობის მერე გაჩენილს
      მაგალითს ვიღა მისცემს?!

* * *

მე შემოდგომის ქრიზანთემას გავცქერი ახლა:
      რა არის უფრო ნაზი და კოხტა?
ყვავილებს მისას საამური სურნელი ახლავს,
      მცირე ხანს ასე ვყურყუტებ ქოხთან.

მოვწყვეტ ყვავილებს და ჩავაფენ ჯამში და ვუცდი
      ვით მინელდება თანდათან დარდი,

ვიცქერი იქით, სად სამხრეთი თიმთიმებს ლურჯი,
    და ველარ ვამჩნევ, ჟამი ვით გადის.

მარტო ვარ თუმცა და არავის არ ველი დღესაც,
    მე მაინც დავცლი ამ სასმისს პირველს,
ამას დავცლი და ხელმეორედ როდესაც შე[illegible]
    წახრილი დოქი ედრება ფრინველს.

მზე ჩადის მთებში, და სანახი მოიხვევს ნისლებს,
    და სულიერი მიელტვის ბინას,
შინ ბრუნდებიან ქრიამულით ჩიტები ისევ,
    და ტყის ულრანში ბინული ბრწყინავს.

მე ხის კიბეზე ვზივარ ჩუმად, ვუყურებ სოფელს,
    და ზუზუნებენ ლექსები გულში,
მოვშორდი ყველას, არ ვიგონებ გარდასულს ოხერს,
    და ის მაქვს, რასაც ვნატრობდი გუშინ!

* * *

ინათა ოდნავ,
    გავიგონე კაკუნი კარის.
მე ნაჩქარევად
    ვიცვამ ტანზე... ნეტა, ვინ არის?
ამ დილა-ბნელზე
    ვინ მოვიდა აქ მისი ფეხით?
მოხუცი კაცი,
    მეზობელი, კეთილი გლეხი.
მას მოაქვს ძღვენი —
    ძველი ღვინო, და ფიქრობს ჩემზე —
რომ არად ვაგდებ
    საუკუნის კანონს და წესებს:
„ამ ძველ ქოხმახში
    დგახარ შენთვის და არას დარდობ,
ნუთუ დიდების
    მოსახვეჭად ეს კმარა მარტო.
კაცი — კაცია, სული უდგას
    და ეძებს შვებას,
მე მინდა, შვილო,
    რომ შენც დაჰყვე ცხოვრების ნებას!"
„მადლობა, მამავ,
    ძვირად მიღირს მე სიტყვა შენი,
მაგრამ მე მინდა
    მარტოდმარტომ გავლიო დღენი.
გრძელი გზით მოვლა,
    ალარაა იქნება. კარგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის ურგები,
ზედმეტია სხვისთვისაც ბარგი.
მოდი, ჩამოვჯდეთ,
ღვინო ვსვათ და ვაქოთ ხორბალი,
არ დაბრუნდება
უკან, ჩემი ბედის ბორბალი!"

* * *

ხანდახან ხდება:
ორი კაცი, ერთ ჭერქვეშ მდგარი,
ერთნაირ საგანს
შეჰყურებენ სხვადასხვა თვალით.
ვთქვათ, კაცი ვინმე
მარტოა და მუდამჟამს მთვრალი.
მეორე კაცი —
კი მარადჟამს ფხიზელი არის.
მთვრალი — ფხიზელი
ვერ იტანენ ერთმანეთს წესით,
ვერ ცვლიან სიტყვებს,
ერთმანეთის აროდეს ესმით.
სიბრიყვე არის,
რომ მარადჟამს ფხიზელი იყო
და თავი შენი
დიდი ვინმე გეგონოს თვითონ.
მე ამ ლექსს ვუძღვნი,
ვისაც ქვეყნად უვლის ზარხოში,
და უცქერს სანთელს
მიჩუმებულ სამოსახლოში!

* * *

ძველი მეგობრები მოდიან,
მათ უყვართ ბაასი ჩემთან;
ხელში რომ უჭირავთ დოქია,
დოქში კი სალხინო ფეთქავს.
და როგორც იცოდნენ ძველებმა
ჩვენ ფიჭვის ჩეროში ვსხდებით,
სასმელი ჩვენ აღარ გველევა
და გული გვევსება შვებით.
მშვიდად ბაასობენ გლეხები,
ერთმანეთს უსმენენ ნდობით,
ხან წყალში გვიწყვია ფეხები
და წვენი ილვრება დოქით.

აქ დავივიწყებთ ყველაფერს
და თავსაც ვერ ვიცნობთ მალე;
და იგი, რაც იყო ჩვენამდე,
კვლავ ვერჩება ცნობადის გარე.
გზა კი იკარგება უკვალოდ,
არ უჩანს ძირი და ბოლო;
ჩვენ ლხინი გვიზიდავს უბრალოდ
და ის გვახალისებს მხოლოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ეს იყო ადრე,
მე შიმშილით მეწვოდა კუჭი,
დავაგდე თოხი,
და მოხელე გავხდი ამრიგად:
მაგრამ მიჭირდა,
თავის რჩენა ისე ვით უწინ,
და ბედმა ჩემმან,
ცხოვრებასთან ვერ შემარიგა.
ეს იყო მაშინ,
„დალვინნების" რომ მედგა ჟამი,
ნაბიჯი ჩემი
კი ამაო იყო, ცხადია;
მაგრამ ავწონე
ყველაფერი სიგრძით და განით,
და ეჰა, ისევ,
მე სოფელში ყოფნა მწადია...
ცაზე ტრიალებს,
ვარსკვლავების უშქარი დასი,
და მიიწურა
ხეტიალში წელი თორმეტი.
უქმად ყოფაში
უსაშველოდ დრო მიდის ასე,
და თვით იან ჯუც
გულს მილადრავს აწ მოგონებით.
არა მაქვს ოქრო,
და მდიდარი არ ითქმის ჩემზე,
ლხინის, ღრეობის
აღარა მაქვს სახლში სახსარი;
მაგრამ ეს ერთი
კი მიბოძა ბუნებამ შემწედ, —
აი, როგორმე
ჯამის დაცლა თუ მოვასწარი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

აქ ვცხოვრობ, — მეყოფა
მე ჩემი პატარა ალაგი,
ეს თავისუფლება
და ჩემი ლამაზი ქალაქი.
აქ ვზივარ, — მეყოფა
ეს ჩერო მაღალი ცაცხვისა,
მე მივალ, — მეყოფა
მოელა ამ ეზო და ბაღისა.
ვუყურებ, — მეყოფა
ყურება ამ მზესუმზირისა,
მიხარის, ყურება —
მე ჩემი ცოლი-და-შვილისა.
მაგრამ მე აროდეს
არ მითქვამს: რომ ღვინო მეყოფა,
და ღვინით ვხვდები კვლავ
მეზობელს, ნაცნობს თუ მეგობარს.
თუ ღვინო არ მყოფნის —
მე ღამე არა მაქვს ძილი და,
თუ ღვინო არ მყოფნის —
ვარ უხასიათოდ დილიდან.
სულ იმას ვფიქრობდი,
რომ მეთქვა ოდესმე: მეყოფა!
არა, არ მეყოფა! —
ჩქროლავდა სისხლი და მებრძოდა!
ერთი კი ცხადია:
კმაყოფილს არა აქვს ხარება,
გულს თუ არ სწადია
ცხოვრებაც კი დაგეზარება.
მე მყოფნის, მე ვამბობ:
ყელამდე სავსე ვარ, მეყოფა,
ყელშიც კი ამომდის:
მოძღვნილი წყალობა მეყოფა.
აი, ამ წამიდან,
საქვეყნოდ გავყვირი: მეყოფა!
ვიქნები აქ ჩემთვის,
ხალხს მოწყვეტილი და ეპოქას!
გაიგებთ ოდესმე,
მეყოფას რომ ვამბობ, რა მყოფნის,
როდესაც ჩახედავთ
ამ გულს, სამუდამოდ კმაყოფილს!

□

# გაბრიელ გარსია მარკესი

## გულუბრყვილო ერენდირასა და მისი ულმობელი ბებიის დაუჯერებელი და სევდიანი ამბავი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ესპანურიდან

თარგმნა თეა გვასალიამ

უბედურების მომასწავებელმა ქარმა რომ დაჰქროლა, ერენდირა ბებიას ბანდა, უდაბნოს მარტოობაში მიკარგული უზარმაზარი, კირის დუღაბით ნაგები სახლი ქარის პირველსავე დაძგერებაზე საძირკვლიანად შეზანზარდა, მაგრამ ერენდირა და ბებიამისი ისე იყვნენ შეთამამებულნი ამ მკაცრ ბუნებასთან, რომ ფარშევანგებითა და რომაული აბანოების მსგავსი ქარაფშუტული მოზაიკით მოხატულ საბაზანოში ჩაკეტილებს ძლიერი ქარისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

მარმარილოს აბაზანაში ჩაწოლილი შიშველი უზარმაზარი ბებია თეთრ ვეშაპს ჰგავდა. შვილიშვილს ის-ის იყო, თოთხმეტი წელი შეუსრულდა, სუსტი და გამხდარი ჯერაც გაუმაგრებელი ძვლებით, თავის ასაკთან შედარებით საცოდავად გამოიყურებოდა. ბებიას სისხლგამწმენდი ბალახებით და სურნელოვანი ფოთლებით შეზავებულ წყალში აბანავებდა და უყურებდა, როგორ ეკვროდა ფოთლები მოხუცის ხორციან ზურგს, გაშლილ, მავთულებივით თმას და მეზღვაურული გემოვნებით უმოწყალოდ ტატუირებულ ძლიერ მხრებს.

— წუხელ მესიზმრა, ვითომ ვიღაცის წერილს ველოდებოდი, — თქვა ბებიამ.

ერენდირამ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დუმილს ამჯობინებდა, ჰკითხა:

— რა დღე იყო სიზმარში?

— ხუთშაბათი.

— ესე იგი, ცუდი ამბის მაცნე წერილი იქნება, მაგრამ არასოდეს მოვა.

დაბანილი ბებია ერენდირამ საწოლ ოთახში წაიყვანა. ქალი იმსისქე იყო, რომ ეპისკოპოსის კვერთხივით ვეება ჯოხზე დაყრდნობილს მხოლოდ შვილიშვილის დახმარებით შეეძლო ბაჯბაჯი. მის ყველაზე მარჯვედ გაკეთებულ საქმესაც დრომოჭმული სიდიადის კვალი აჩნდა.

სახლის არანორმალური ზომების შესაფერის უზარმაზარ საძინებელ ოთახში ბებიას დასაძინებლად მომზადებას ორი საათი დასჭირდა. ერენდირამ ღერა-ღერა დაულაგა და დაუვარცხნა თმა, სახეზე ტალკი შეაფრქვია, ტუჩები კარმინით შეუღება, ლაწვები — ფერ-უმარილით, წამწამები — მუშკით, ფრჩხილები სადაფისფრად აუბრჭყვიალა და როცა ბებია ადამიანზე დიდ, შეღებილ თოჯინას დაამსგავსა გამაბრუებელი სურნელის მქონე ყვავილებით მოჩითულ

ბალში ჩაიყვანა და სამეფო ტახტის მსგავს სავარძელში ჩაასვენა გრამაფონის მოსასმენად.

სანამ ბებია წარსულის წყვდიადში დაცურავდა, ერენდირა უაზრო ავეჯით, არარსებული ცეზარების ქანდაკებებით, ბროლის ჭაღებით, თაბაშირის ანგელოზებით, ოქროცურვილი პიანინოთი და წარმოუდგენელი ფორმის უამრავი საათით სავსე ბნელი და არეულ-დარეული სახლის დაგვას შეუდგა. ეზოში ავზი იდგა, სადაც წლების მანძილზე შორეული წყაროებიდან ინდიელების ზურგით მოზიდულ წყალს ინახავდნენ. იქვე, რკინის რგოლზე გაქუცული სირაქლემა მიებათ, ერთადერთი ფრთოსანი, რომელმაც უდაბნოს წყეულ ჰავას გაუძლო. სახლი ყველაფრისგან შორს, შუაგულ უდაბნოში იდგა, ახლომახლო მხოლოდ ერთი უბადრუკი სოფელი იყო, სადაც ქარიანობის დროს სასოწარკვეთილი თხებიც კი თავს იკლავდნენ.

ეს უცნაური სახლი-თავშესაფარი ბებიის ქმარმა, ლეგენდარულმა კონტრაბანდისტმა ამადისმა ააშენა. ცოლ-ქმარს ერთი ვაჟი ჰყავდათ — სახელად ისიც ამადისი, ერენდირას მამა. ამ ოჯახის წარმომავლობა საიდუმლოებით იყო მოცული. ინდიელებში გავრცელებულ ვერსიას თუ დავუჯერებთ, ამადისის მამას ანტილიის სამეძავო სახლიდან გამოუსყიდია თავისი მშვენიერი მეუღლე, რისთვისაც დანით კაცის მოკვლა დასჭირვებია და სასჯელის თავიდან ასაცილებლად უდაბნოსთვის შეუფარებია თავი. როდესაც ამადისები დაიხოცნენ, ერთი მელანქოლიის ციებ-ცხელებით, მეორე კი — დუელში, ქალმა ისინი ეზოში დამარხა, დაითხოვა თოთხმეტი ფეხშიშველა მოსამსახურე ქალი, მსხვერპლად მხოლოდ თავისი ნაბიჭვარი შვილიშვილი დაიტოვა, რომელსაც დაბადებიდან ზრდიდა და საიდუმლოდ აგებული სახლის ბინდბუნდში ვანდიდებაზე ოცნებას მიეცა.

მარტო საათების მომართვასა და გასწორებას ერენდირა ნახევარ დღეს ანდომებდა, თუმცა იმ დღეს, უბედურების ქარმა რომ დაჰქროლა, საათები წინა დღის მომართული ჰქონდა და ამ საქმისგან თავისუფალი იყო, სამაგიეროდ ბებია უნდა დაებანა და შეემოსა, იატაკი მოეწმინდა, სადილი მოემზადებინა და ბროლის ნივთები გაეკრიალებინა.

უკვე თერთმეტი საათი იყო, სირაქლემას ვედროში წყალი რომ გამოუცვალა და ამადისების საფლავებში ამოსული უდაბნოს ბალახბულახი მორწყა. ქარი გაავებით ზუზუნებდა, მაგრამ ერენდირას გულშიც არ გაუვლია, რომ ეს მისი უბედურების ქარი იყო.

თორმეტ საათზე, შამპანურის ჭიქების წმენდას რომ ამთავრებდა, მიმწვარი ბულიონის სუნი იგრძნო და ისეთი სისწრაფით გაქანდა სამზარეულოსკენ, რომ გზად ჩამწკრივებული ვენეციური ბროლი მხოლოდ სასწაულმა იხსნა დამსხვრევისგან.

წვნიანი ის იყო გადმოსვლას აპირებდა, რომ ქვაბი ღუმელიდან ჩამოდგა და ცეცხლზე წინასწარ მომზადებული რაგუ შედგა, მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოჯდა სამზარეულოს სკამზე და თვალები დახუჭა. ცოტა ხნის შემდეგ, ბულიონს რომ საწვნეში ასხამდა, თუმცა თვალები ღია ჰქონდა, მაინც ზეზეულად ეძინა.

ბებია მარტო იჯდა თორმეტი კაცისთვის გაწყობილი, ვერცხლის შანდლებით მორთული მაგიდის თავში. ზარი გააწკარუნა და კარში ერენდირა გამოჩნდა ორთქლადენილი საწვნით ხელში. სანამ გოგო ბულიონს თეფშში ასხამდა, ბებიამ შეამჩნია, რომ შვილიშვილს ზეზეულად ეძინა და თითქოს

უხილავ მინას წმენდსო, თვალწინ ხელი გაუტარა. ერენდირას ხელი არ დაუნახავს. სამზარეულოში წასავლელად რომ შებრუნდა, ბებიამ დაუძახა:

— ერენდირა!

უცებ გამოფხიზლებულ ერენდირას საწვენე ხელიდან გაუვარდა.

— არაფერია, შვილო, — ნაზდ დაამშვიდა ბებიამ. — ზეზეულად გეძინა.

— რა ვქნა, ასე მემართება ხოლმე, — თავი გაიმართლა ერენდირამ.

ჯერ ისევ ძილ-ბურანში მყოფმა საწვენე აილო და ხალიჩაზე დარჩენილი ლაქას ჭავწმენდა სცადა.

— თავი დაანებე, — შეაჩერა ბებიამ, — ამ საღამოს გარეცხავ.

რახან რეცხვა წამოიწყო. ერენდირამ ხალიჩას ორშაბათის სარეცხიც დაამატა. ქარი კი სახლს გარს უვლიდა და ხვრელს ეძებდა შიგნით შესაღწევად.

თავზე ისე დააღამდა, ვერც გაიგო და სასადილო ოთახის ხალიჩა თავის ძველ ადგილზე რომ დააბრუნა, დაწოლის დროც მოვიდა.

ბებია მთელი საღამო პიანინოს უჯდა, წამწამებზე საღებავნარევი ცრემლი უბრჭყვიალებდა და თავის ახალგაზრდობის სიმღერებს მღეროდა ყალბი ხმით. თუმცა მარმაშებიან ღამის პერანგში გახვეული, დასაძინებლად დაწვა თუ არა, ტკბილი მოგონებების სიმწარემ მაშინვე გაუარა.

— ხვალ დარბაზის ხალიჩა გარეცხე, — უთხრა ერენდირას, — საცოდავს მზის შუქი არ უნახავს.

— დიახ, ბებია, — უპასუხა ერენდირამ, ბუმბულის მარაო აილო და მანამ უნიავებდა, სანამ ულმობელ დედაკაცს ღამის დავალებების ჩამოთვლაში არ ჩაეძინა.

— დაწოლამდე თეთრეული დარეცხე, რომ დამშვიდებული სინდისით დაგეძინოს.

— დიახ, ბებია.

— კარადები კარგად შეამოწმე, ქარიან ღამეებში ჩრჩილებს მადა უთკეცდებათ ხოლმე.

— დიახ,ბებია.

— ამას რომ მორჩები, ყვავილები ეზოში გაიტანე.

— დიახ, ბებია.

— სირაქლემას საჭმელი მიეცი.

უკვე ჩაძინებულიც ბრძანებებს იძლეოდა. შვილიშვილს ძილში ჩვეულებრივი აზროვნების უნარი ბებიასგან ჰქონდა გამოყოლილი.

ერენდირა უხმაუროდ გავიდა ოთახიდან ღამის ბრძანებების შესასრულებლად. ბებია ლაპარაკს განაგრძობდა.

— საფლავები მორწყე!

— დიახ, ბებია.

— დაწოლამდე ყველაფერი მოაწესრიგე, თორემ ნივთები ძლიერ იტანჯებიან, როცა თავიანთ ადგილზე არ უწევთ ძილი.

— დიახ, ბებია.

— თუ ამადისები გამოჩნდნენ, გააფრთხილე, არ შემოვიდნენ. თორემ პორფირიო გალანის ბანდა მათ მოსაკლავადაა ჩასაფრებული.

ერენდირამ პასუხი აღარ გასცა, რადგან ბრძანებები უკვე ბოდვაში გადავიდა და საქმეს შეუდგა. ყველაფერს რომ მორჩა, ფანჯრის საკეტები შეამოწმა და სამზარეულოდან შანდალი აილო საწოლ ოთახამდე გზის გასა-

ნათებლად. გარეთ მოზუზუნე ქარის წუთიერ პაუზებს ბებიის მძლავრი სუნთქვა ავსებდა.

ყოველდღიური ქანცგამწყვეტი სამუშაოთი განდევნილი ბავშვობის ნაჭრის თოჯინებითა და ხის ცხოველებით სავსე ერენდირას ოთახი ბებიამისის სამყოფელივით არა, მაგრამ მაინც მდიდრულად გამოიყურებოდა.

ერენდირამ შანდალი ღამის მაგიდაზე დადო და ტანსაცმლის გაუხდელად მიეგდო საწოლზე; ცოტა ხნის შემდეგ მისი უბედურების ქარი ძაღლების ხროვასავით შეიჭრა ოთახში და სანთლის ალმა აფრიალებული ფარდები ალოკა.

გამთენიისას, როგორც იქნა, ქარი ჩადგა. წვიმის მსხვილმა წვეთებმა ნასახლარზე მბჟუტავი ცეცხლი ჩააქრო და მხრჩოლავი ნახშირი ჩაანავლა. სოფლელებს, ძირითადად ინდიელებს, ნანგრევებიდან სირაქლემას დანახშირებული გვამი, პიანინოს მოოქროვილი ჩარჩო და რომელიღაც ქანდაკების ტორსი გამოჰქონდათ, ბებია ამოუცნობი მწუხარებით შეჰყურებდა თავისი ქონების ნარჩენებს, ამადისების საფლავებს შორის ჩამჯდარი ერენდირა კი წყნარად სლუკუნებდა. როცა ბებია დარწმუნდა, ცეცხლს მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ნივთი გადაურჩაო, შვილიშვილს გულწრფელი სინანულით შეხედა.

— ჩემო საბრალო ბავშვო, — ამოიოხრა, — მთელი ცხოვრება არ გეყოფა, ზარალი რომ ამინაზღაურო.

და დროის დაუკარგავად, იმავე საღამოს, კოკისპირულ წვიმაში წაიყვანა ერენდირა სოფელში ნაადრევად დაქვრივებულ, აულაყუდა მედუქნესთან, რომელიც მთელ უდაბნოში იმით იყო ცნობილი, რომ ქალიშვილებში კარგ ფასს იხდიდა. მედუქნემ ბებიას თვალწინ პროფესიული თვალით გასინჯა ერენდირა. ბარძაყები, მკერდის სიდიდე და თეძოების სიგანე გაუზომა, შემდეგ ფასი გამოიანგარიშა.

— ას პესოზე მეტი არ ღირს, — თქვა, — ძალიან პატარაა და ძალლივით ძუძუები აქვს.

შემდეგ თავისი სიტყვების სისწორის დასამტკიცებლად სასწორზე აიყვანა. ერენდირა ორმოცდაორ კილოს იწონიდა.

ბებია აღშფოთდა:

— ასი პესო ხელშეუხებელ ქმნილებაში? — იყვირა, — ეს ხომ სინდისზე ხელის აღებაა.

— ას ორმოცდაათი, — თქვა ქვრივმა.

— გოგომ მილიონ პესოზე მეტი ზარალი მომაყენა, მის ანაზღაურებას ამ ფასად ორასი წელი მაინც დასჭირდება.

— ღმერთია მოწამე, ერთადერთი, რაც უვარგა, ასაკია, — თქვა ქვრივმა.

წვიმის თქეში დუქანს წალეკვით ემუქრებოდა და დაცხავებული ჭერის გამოისობით სახლში ისე წვიმდა, როგორც გარეთ. ბებიამ თავს დამტყდარ უბედურებაში მარტოსულად იგრძნო თავი.

— სამასამდე მაინც ადით, — თქვა.

— ორას ორმოცდაათი.

— ბოლოს შეთანხმდნენ: ორას ოცი პესო ფულად და დანარჩენისა — სანოვაგე. ბებიამ ერენდირას ანიშნა ქვრივს გაჰყოლოდა და მანაც, თითქოს სკოლაში მიჰყავსო, ხელჩაკიდებული წაიყვანა გოგონა მეორე ოთახში.

— აქ გიცდი, — უთხრა ბებიამ.

— დიახ, ბებია.

ოთახი ოთხი მხრიდან აგურით ამოშენებული და დამპალი ჩალით გადახურული ფარდული აღმოჩნდა, ფანჯრებიდან, რომელიც იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზე გაეკეთებინათ, ქარი და წვიმა იჭრებოდა, რაფებზე კაქტუსების და სხვა უნაყოფო მცენარეების ქოთნები იდგა.

ქერივის პირველსავე ცდაზე ერენდირამ რაღაც გაურკვევლად წამოიყვირა და გაქცევა სცადა. ქერივმა უხმოდ ჩაავლო ხელი მაჯაში და ჰამაკისკენ წაათრია. ერენდირამ სახე ჩამოპორჭყნა და სიჩუმეში ქვითინი დაიწყო. ქერივმა ერთი ისეთი მოსცხო, რომ ერენდირა ჰაერში აფართფატდა მედუზის საცეცებივით გაშლილი თმით, მიწაზე დაცემამდე ქერივმა წელზე სტაცა ხელი, ჰამაკში ჩააგდო და მუხლებით შებოჭა. შიშისგან გათანგულმა ერენდირამ გრძნობა დაკარგა და არ განძრეულა. თითქოს ნისლში მოცურავე მთვარის შუქის ფოჩებიანმა ვირთევზამ მოაჯადოვა და ადგილს მიაჯაჭვაო. მისი ტანსაცმლის ფერად-ფერადი ნაფლეთები კი, რომელსაც ქერივი ბალახებივით გლეჯდა, გველებივით დაცურავდნენ ჰაერში და ქარს მიჰყვებოდნენ.

როცა სოფელში ერთი კაციც არ დარჩა, ერენდირას სიყვარულში რამის გადახდა რომ შეძლებოდა, ბებიამ და შვილიშვილმა საბარგო მანქანა დაიქირავეს და კონტრაბანდისტების გზას დაადგნენ. ერენდირა და ბებიამისი საბარგულზე, ბრინჯის ტომრებს, ღორის ქონის ქილებისა და ხანძარს გადარჩენილ ნივთებს შორის ჩაჭედილნი მგზავრობდნენ. მეფისნაცვლის საწოლის თავის, ომის ანგელოზის, დამტვრეული ტახტრევანის და სხვა გამოუსადეგარი წვრილმანების გარდა თან სახურავზე ორჯვარგამოსახული ამადისების ძვლებიანი დიდი სკივრი მიჰქონდათ. ჯვრები დიდი ფუნჯით იყო დახატული. ბებია მცხუნვარე მზისგან თავს დაცხავებული ქოლგით იცავდა, და თუმცა მტვრისა და მოძალებული ოფლისგან ძლივძლივობით სუნთქავდა, ღირსებას ასეთ საცოდავ მდგომარეობაშიც არ კარგავდა. გზის საფასურს ერენდირა ოც-ოც პესოიანი სიყვარულით უხდიდა მტვირთავს ბრინჯის ტომრებსა და ღორის ქონის ქილების უკან. თავდაპირველად იგი ქერივთან გამომუშავებულ თავდაცვის სისტემას იყენებდა, მაგრამ მტვირთავს სხვა მეთოდი ჰქონდა. ისე ნაზად ექცეოდა ერენდირას, რომ მოარჯულა კიდეც და ბოლოს, დამქანცველი გზის შემდეგ პირველ სოფელს რომ მიადგნენ, გოგო უკვე სიამოვნებით მიჰყვებოდა კაცს ტომრებს უკან. სოფლის შესასვლელთან მძღოლმა მანქანა გააჩერა და ბებიას დაუყვირა:

— აქედან უკვე ქვეყნიერება იწყება.

ბებიამ უნდობლად შეათვალიერა ღარიბული და უკაცური ქუჩები. სოფელი თუმცა მოზრდილი ჩანდა, მაგრამ მათი ყოფილი სოფელივით სევდიანად გამოიყურებოდა.

— რაღაც არ ეტყობა, — თქვა ბებიამ.

— ეს მისიონრების ტერიტორიაა, — აუხსნა მანქანის პატრონმა.

— მე მოწყალება კი არა, კონტრაბანდა მაინტერესებს, — თქვა ბებიამ.

ერენდირა და მტვირთავი საბარგულის უკან ისმენდნენ ლაპარაკს. გოგონა თითით ბრინჯის ტომარას ურევდა. უცებ, რაღაც ძაფს წაწყდა. ამოსწია და ხელთ მარგალიტების აცმა შერჩა. სანამ შეშინებული ერენდირა მკვდარი გველივით თითებში მოქცეულ აცმას დასცქეროდა, მძღოლი ბებიას უმტკიცებდა:

— შეუძლებელზე ოცნებობთ, სენიორა, კონტრაბანდისტები არ არსებობენ.

— როგორ არა, — თქვა ბებიამ, — სჯობს მითხრათ, სად არიან.

— ეძიებდე და ჰპოვებდე. — გაეხუმრა კარგ ხასიათზე დამდგარი მძღოლი, — მთელი ქვეყანა მათზე ლაპარაკობს, ნახვით კი არავის უნახავს.

უცებ მტვირთავმა ერენდირას ხელში მარგალიტი შეამჩნია, სასწრაფოდ გამოართვა და ისევ ბრინჯის ტომარაში ჩაჩურთა. სოფლის სიღარიბის მიუხედავად, ბებიამ აქ დარჩენა გადაწყვიტა და შვილიშვილს დაუძახა. ერენდირამ [illegible], მაგრამ მხურვალედ გადაკოცნა მტვირთავი და დაემშვიდობა. ბებია შუა ქუჩაში ჩამოჯდა ტახტრევანზე და სანამ ერენდირა და მტვირთავი ბარგს ეზიდებოდნენ, მათთვის თვალი არ მოუცილებია. ბოლოს საბარგულზე ამადისების სკივრიღა დარჩა.

— ცხედარივით მძიმეა, — გაიცინა მტვირთავმა.

— — ორნი არიან, — თქვა ბებიამ, — ასე რომ, შესაფერისი პატივით ჩამოიღეთ.

— ნიძლავს ვდებ, სპილოს ძვლის ქანდაკებებია, — გაიკრიჭა მძღოლი, რომელიც მტვირთავს ეხმარებოდა.

როგორც იქნა, სკივრი დამტვრეულ ავეჯს შორის ჩატენეს და მძღოლი ბებიას მიუბრუნდა:

— ორმოცდაათი პესო, — თქვა.

ბებიამ მტვირთავზე ანიშნა:

— ამას გადაუხადეთ საფასური.

გაოცებული მძღოლი მტვირთავს მიუბრუნდა და მანაც თავის დაქნევით დაადასტურა ბებიას სიტყვები. მძღოლი კაბინეტში ჩაჯდა, სადაც კიდევ ერთი ჩვილბავშვიანი ქალი მგზავრობდა. აუტანელი სიცხით გასავათებული ბავშვი ჩუმად ტიროდა.

თავის თავში ძალიან დაჯერებული მტვირთავი ბებიას მიუბრუნდა და უთხრა:

— თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით, ერენდირა ჩემთან წამოვა. მისთვის ესა სჯობია.

შეშინებულმა გოგომ გადაწყვიტა:

— მე არაფერი მითქვამს!

— ეს ჩემი მოსაზრებაა, — თქვა მტვირთავმა.

ბებიამ, თითქოს მისი ვაჟკაცობის შემოწმება უნდაო, თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა ბიჭი.

— თუ ერენდირას დაუდევრობით მოყენებულ ზარალს ამინაზღაურებ, წაიყვანე, — უთხრა მან, — რვაას სამოცდათორმეტი ათას სამასთხუთმეტ პესოს გამოვაკლოთ ოთხასი პესო, რაც უკვე ამინაზღაურა, გამოდის რვაას სამოცდათერთმეტი ათას რვაას ოთხმოცდათხუთმეტი პესო.

მანქანა დაიძრა.

— მერწმუნეთ, რომ მქონდეს, ნამდვილად მოგცემდით, — სერიოზულად თქვა მტვირთავმა, — ღირს ეს გოგო ამდენი.

ბებიას მოეწონა ბიჭის სიტყვები.

— ჰოდა, მობრუნდი, როცა გექნება, — დაუძახა მეგობრულად, — ახლა კი წადი, თორემ კარგად რომ გამოვიანგარიშოთ, ათი პესო კიდევ მერგება შენგან.

ბიჭი დაძრულ მანქანას შეახტა, იქიდან ხელი დაუქნია ერენდირას, მაგრამ გოგო შიშისგან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო და არაფერი უპასუხა. ჯვა-

ლოს ნაჭრებისა და აზიური ხალიჩების ნაგლეჯებისგან ერენდირამ და ბებიამისმა კარვის მსგავსი ჩუხულა შეაკოწიწეს. იატაკზე ჭილოფები დააგეს და სანამ შუადღის მწველი მზე სახურავის ნახვრეტებში არ შემოძვრა, და სახე არ აუწვა, ფეხგაუტოკებლად ეძინათ.

იმ დღეს ბებიამ ჩვეულებას უღალატა და თავად შეუდგა ერენდირას მოწესრიგებას. სახე თავისი ახალგაზრდობისდროინდელი მოდის მიხედვით, ესე იგი, იმგვარად დაუხატა, თითქოს საკუბოვედ ამზადებსო, არც ფოჩები და ბაფთა დავიწყებია, პეპელასავით დაუსკუპა თავზე.

— საშინლად გამოიყურები, — უთხრა, — მაგრამ ასე სჯობია, კაცებს ქალის ტუალეტისა მაინც არაფერი გაეგებათ.

ჯორების გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე მათი ხმა მოისმა. ბებიის ბრძანებისთანავე ერენდირა იატაკზე ისე გაწვა, როგორც თეატრის სტაჟიორი ფარდის ახდის წინ; ბებია კი გარეთ ჩამოჯდა და ჯორების მოლოდინში ეპისკოპოსის კვერთხის მსგავს ჯოხს დაეყრდნო.

მგზავრი ფოსტის მოხელე ამოჩნდა. ოც წელზე მეტისა არ იქნებოდა, მაგრამ სამსახურს ნაადრევად მოეტეხა, ხაკის ტანსაცმელი ეცვა, გამაშები, თავზე კორპის ჩაჩქანი ეხურა, წელზე სავაზნე ერტყა და საბრძოლო პისტოლეტი ეკიდა. ორი ჯორი ჰყავდა. უკეთესზე თვითონ იჯდა, მეორე კი საფოსტო ჩანთებით დაეტვირთა. ბებიას რომ გაუსწორდა, ხელის აწევით მიესალმა და გზა განაგრძო. ბებიამ თვალით ანიშნა, კარავში შეიხედეო. კაცი გაჩერდა და უცებ ხალიჩაზე გაწოლილი, უცნაურად შეღებილი და იისფერარშიებიან ტანსაცმელში გამოწყობილი ერენდირა დაინახა.

— მოგწონს? — შეეკითხა ბებია.

ფოსტის კაცს ჯერაც ვერ გაეგო რას სთავაზობდნენ.

— უზმოზე არა უშავს რა, — გაიცინა.

— ორმოცდაათი პესო, — თქვა ბებიამ.

— ღმერთო ჩემო! ორმოცდაათი პესო ჩემი ერთი თვის საჭმლის ფულია, — თქვა კაცმა.

— ნუ ძუნწობ, — თქვა ბებიამ, — ავია ფოსტაში მღვდელზე მეტ გასამრჯელოს იღებენ.

— მე ეროვნული ფოსტა ვარ, — აუხსნა კაცმა, — ავია ფოსტა რომ ვიყო, ფეხით არ ვივლიდი.

— ყოველ შემთხვევაში სიყვარული საჭმელივით აუცილებელია, — თქვა ბებიამ.

— მაგრამ არ გაძღებს.

ბებია მიხვდა, რომ კაცს, რომელიც სხვისი იმედებით ცოცხლობს, შეუძლია მთელი დღე ივაჭროს.

— რამდენი გაქვს? — იკითხა.

ფოსტალიონი ჩამოქვეითდა, ჯიბიდან რამდენიმე დაკუჭული ქაღალდის ფული ამოიღო და ბებიას აჩვენა. ბებიამ ფული ხელის ერთი მოსმით მოხვეტა და კაცი გააფრთხილა.

— ფასს ერთი პირობით გიკლებ, აქედან რომ წახვალ, ჩვენზე ხმები უნდა დაყარო.

— თუნდაც ქვეყნის დასალიერამდე, — მიუგო კაცმა. — მაგაში იცოცხლე, გამოგადგები.

ერენდირამ, რომელსაც აქამდე თვალი არ დაუხამხამებია, ტანსაცმელი

გაიხადა. გვერდზე ჩაიწია და მორიგ მუშტარს ადგილი გაუნთავისუფლა. როგორც კი ფოსტალიონი კარავში შევიდა, ბებიამ ხელის ენერგიული მოძრაობით შესასვლელის ფარდა ჩამოუშვა.

ფოსტალიონმა პირობა შეასრულა. საიდან აღარ მოდიოდნენ კაცები ერენდირას სანახავად. კაცებს ლატარეის მაგიდები და სურსათის ფარდულები ჩამოჰყვა. სულ ბოლოს ველოსიპედზე ამხედრებული ფოტოგრაფი მოხრიგინდა, კარვის წინ შავნაჭერგადაფარებული აპარატი დადგა, უკან, ფონისთვის ფარდა დაჰკიდა, რომელზეც ტბა და ჩეიბარი გედები ეხატა.

ბებია ფეხმოუცვლელად იჯდა ტახტრევანზე და მხოლოდ იმას აქცევდა ყურადღებას, კლიენტებს რიგი არ დაერღვიათ და საფასური წინასწარ და ზუსტად გადაეხადათ. პირველად ისე მკაცრად იქცეოდა, ერთი მუშტარი, რომელსაც ხუთი პესო დააკლდა, უკანაც კი გააბრუნა. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მოლბა და სტუმრებს ნება დართო სიყვარულის საფასური წმინდანების გამოსახულებიანი მედალიონებით, საოჯახო რელიქვიებით, საქორწინო ბეჭდებით, რომლებიც კბილებით გასინჯვისას უეჭველად ოქრო უნდა გამომდგარიყო, და სხვა ნივთებით გადაეხადათ.

პირველ სოფელში ჩასვლიდან კარგა ხნის შემდეგ ბებიას ბლომად ფული დაუგროვდა. ჯორი იყიდა და უკეთესი ადგილის საძებნელად წასვლა გადაწყვიტა. თვითონ ჯორზე დამაგრებულ ტახტრევანზე მოთავსდა, მზეს ქოლგით ერენდირა უჩრდილავდა. მათ უკან კარვის ნაწილებით დატვირთული ოთხი ინდიელი მოაბიჯებდა. მოჰქონდათ ჰილოფები, აღდგენილი ტახტრევანი, თაბაშირის ანგელოზი და ამადისების ძვლებიანი სკივრი, ცოტა მოშორებით ველოსიპედზე შემჯდარი ფოტოგრაფი ისეთი სახით მოლაყლაყებდა, თითქოს თავის გზაზე მიდიოდა.

ხანძრიდან ექვსი თვის თავზე ბებიამ ანგარიში შეაჯამა.

— თუ ასე გაგრძელდა ვალს რვა წელიწადში, შვიდ თვესა და თერთმეტ დღეში გადამიხდი.

თვალდახუჭულმა, ხორბლის მარცვლების ღეჭვით კიდევ ერთხელ შეამოწმა ანგარიშის სისწორე და დააზუსტა:

— რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით ინდიელებისთვის მისაცემ ფულს, საჭმელს და სხვა წვრილმანებს.

სიცხისა და მტვრისგან განაწამებ ერენდირას, ბებიამისის ჯორს ფეხდაფეხ რომ მიჰყვებოდა, არაფერი უთქვამს, მაგრამ ტირილისგან თავი ძლივს შეიკავა.

— ასე მგონია, ძვლების ნაცვლად გვერდებში დამსხვრეული შუშები მიყრია, — ამოიოხრა.

— ეცადე დაიძინო.

— დიახ, ბებია.

თვალები დახუჭა, ღრმად ჩაისუნთქა და მძინარემ განაგრძო გზა.

●

ჰორიზონტზე გალიებით დატვირთული საბარგო მანქანა გამოჩნდა და ფრინველების ჟრიამულმა სან მიგელ დე დესიერტოს საკვირაო სიჩუმე დაარღვია. საჭესთან უამინდობისგან გახეშეშებულქოჩრიანი, რომელიღაც დიდი ბაბუისგან მემკვიდრეობით მიღებული აგურისფერ ულვაშიანი ზორბა ჰოლან-

დიელი ფერმერი იჯდა. მას ვაჟიშვილი ულისესი ახლდა, ოქროსფერი თმით და ზღვისფერი, სევდიანი თვალებით გულჩათხრობილ ანგელოზს რომ ჩამოჰგავდა. ჰოლანდიელის ყურადღება კარავმა მიიპყრო, რომლის შესასვლელთან ადგილობრივი გარნიზონის ჯარისკაცები ჩამომსხდარიყვნენ, თავზე ნუშის ტოტები გადაეფარებინათ, თითქოს სანგარში სხედან ბრძოლის მოლოდინშიო და რიგრიგობით სვამდნენ ერთი ბოთლიდან, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა. ჰოლანდიელმა თავის ენაზე იკითხა:

— რა ეშმაკს ჰყიდიან აქ?

— ქალს, — ბუნებრივად უპასუხა ბიჭმა, — სახელად ერენდირა ჰქვია.

— შენ საიდან იცი?

— მთელმა უდაბნომ იცის, — უპასუხა ულისესმა.

ჰოლანდიელი სოფლის სასტუმროში ჩამოხდა. ულისესი ცოტა ხანს მანქანაში დარჩა, მოქნილი თითებით მამის ჩანთა გახსნა, რამდენიმე ბანკნოტი ამოიღო და ჯიბეში დამალა. იმ ღამეს, სანამ მამამისს ეძინა, სასტუმროს ფანჯრიდან გადაძვრა და ერენდირას კარავთან რიგი დაიკავა. ღამის ცხოვრება ისის იყო ეშხში შედიოდა. რამდენიმე მთვრალი თავისთვის ცეკვავდა მუქთა მუსიკის ხმაზე, ფოტოგრაფი ღამეულ სურათებს იღებდა, ბებია ფულის გროვას აწესრიგებდა, თვლიდა და სიდიდის მიხედვით აწყობდა კალათში. რიგში თორმეტიოდე ჯარისკაცი და რამდენიმე სამოქალაქო იდგა, ულისესი ბოლო იყო.

რიგმა ერთ მოღუშულ ჯარისკაცს მოუწია, მაგრამ ბებიამ მას გზა გადაუკეტა და ფულიც არ გამოართვა.

— არა, შვილო, — უთხრა. — შენ მთელი ქვეყნის ოქრო რომ მომიტანო, მაინც არ შეგიშვებ.

— რატომ? — დაიბნა ჯარისკაცი, რომელიც იქაური არ უნდა ყოფილიყო. — შეგხედავს თუ არა კაცი, მაშინვე მიხვდება, რომ ნავსიანი ხარ. ხელისშეუხებლად გასწია განზე და შემდეგ ჯარისკაცს მიმართა:

— შედი, ჯარისკაცო, და მალე გამოდი, გახსოვდეს, სამშობლოს სჭირდები.

ჯარისკაცი შევიდა, მაგრამ მაშინვე გამობრუნდა. ერენდირას ბებიასთან სურდა ლაპარაკი. ბებიამ ფულით სავსე კალათს ხელი გაუყარა და ვიწრო, მაგრამ სუფთა კარავში შევიდა. სიღრმეში, ტილოს ზეწარზე მიწოლილი, ჯარისკაცების ოფლით გაჟღენთილი ერენდირა მთელი სხეულით კანკალებდა.

— ბებია, — ამოიკვნესა, — ვკვდები.

ბებიამ შუბლზე ხელი დაადო და რომ ნახა სიცხე არ ჰქონდა, დაამშვიდა.

— ათი ჯარისკაციღა დარჩა.

ერენდირა მელიასავით აწკავწკავდა. ბებია მიხვდა, შეუძლებელს სთხოვდა და თავზე ხელი გადაუსვა.

— სუსტი ხარ და ყველაფერი ამის ბრალია, — უთხრა, — ნუ ტირი, წადი და სალბის აბაზანა მიიღე. სისხლი აგიმოძრავდება.

როცა ერენდირა დამშვიდდა, ბებია გარეთ გავიდა. მომლოდინე ჯარისკაცს ფული დაუბრუნა და უთხრა: — დღეს მორჩა, ხვალ მოდი და პირველს შეგიშვებ. ამის შემდეგ რიგს გასძახა:

— მორჩა, ბიჭებო! ხვალ ცხრა საათიდან გელოდებით!

რიგში ჯარისკაცების უკმაყოფილო ხმები გაისმა, რასაც აღშფოთებული ბებია კვერთხის ქნევით და ყვირილით გამოეხმაურა:

— სულელებო, უვარგისებო! თქვენ რა, გგონიათ, ბავშვი რკინისაა? ერთი თქვენი თავი მანახა მის ადგილას! გარყვნილებო!

კაცებმა უარესი სიტყვების კორიანტელი დააყენეს, მაგრამ ბებიამ შესძლო ბრბოს დამორჩილება და სანამ ლატარიის მაგიდები არ აშალეს და [illegible]სათის ფარდული არ დაკეტეს, კვერთხმომარჯვებული იდგა. ის იყო კარავში შებრუნება დააპირა, რომ გაფანტული ბრბოს ადგილას ულისეს [illegible] ბიჭს არაამქვეყნიური იერი დაჰკრავდა და გეგონებოდა, თავისი სილამაზის შუქი ჭდის ხილულს სიბნელეშიო.

— ფრთები სად დატოვე? — შეეკითხა ბებია.

— ფრთები ბაბუაჩემს ჰქონდა, უპასუხა ულისესმა, — მაგრამ არავის სჯერა.

მოჯადოებულმა ბებიამ კიდევ ერთხელ შეათვალიერა ბიჭი. — მე მჯერა, — დაამშვიდა — ხვალ გაიკეთე ფრთები და მოდი. — თქვა და კარავში შევიდა.

ბანაობის შემდეგ ერენდირა მომჯობინდა, მაგრამ ცრემლებს მაინც ძლივს იკავებდა. ბებიას უკვე ეძინა. მოკლე, მოქარგულ პერანგში გამოწყობილი ერენდირა ის-ის იყო თმის გაშრობას მორჩა და დასაწოლად გაემზადა, რომ საწოლს უკან ნელ-ნელა ამოიზარდა ულისესის თავი. ერენდირას ცნობისმოყვარე და გამჭვირვალე თვალებმა შეაჩათ. რომ დარწმუნებულიყო, არ მელანდებაო, გოგომ სახე პირსახოცით მოიმშრალა და როცა ულისესმა თვალები დაახამხამა, ერენდირამ ჩუმად ჰკითხა:

— ვინ ხარ?

ბიჭი მხრებამდე გამოჩნდა. ულისესი მქვია. თქვა, მერე მოპარული ფული უჩვენა და დაამატა:

— სათვალური მოვიტანე.

ერენდირა ხელებით საწოლს დაეყრდნო, სახე ბიჭს მიუახლოვა და თითქოს პატარა ბავშვები თამაშობენო, ისე განაგრძო ლაპარაკი.

— რიგში უნდა ჩამდგარიყავი, — უთხრა.

— მთელი ღამე ვიცადე.

— ახლა კი ხვალამდე მოგიწევს ცდა, ჯოხით ნაცემივით ვარ.

ამ დროს ბებიას ბოდვა გაისმა.

— უკანასკნელად ამ ოცი წლის წინ მოწვიმა, ისეთი თქეში იყო, რომ წვიმის წყალი ზღვად გადაიქცა და მეორე დღეს სახლი თევზებითა და ლოკოკინებით აივსო.

ულისესი ის-ის იყო საწოლის ქვეშ აპირებდა დამალვას, რომ ერენდირას მხიარულმა ღიმილმა შეაჩერა.

— დაწყნარდი, — უთხრა, — სულ ასე გიჟდება ძილში, მაგრამ ზარბაზანი რომ გაუსროლო ყურთან, მაინც არ გაეღვიძება.

ულისესი მობრუნდა. ერენდირამ ეშმაკური ღიმილით, ცოტა სიყვარულითაც კი შეათვალიერა ბიჭი და საბანს დასწვდა.

— მოდი, — უთხრა, — მომეხმარე საბნის გამოცვლაში.

— ულისესი საწოლის უკნიდან გამოვიდა და საბანს ცალ მხარეს მოჰკიდა ხელი. საბანი, დიდი იყო და რამდენჯერმე მოუხდათ დაკეცვა. ყოველ მოკეცვაზე ულისესი ერენდირას უახლოვდებოდა.

— ძალიან მაინტერესებდა შენი ნახვა, — თქვა მოულოდნელად, მთელი ქვეყანა ამბობს, ძალიან ლამაზიაო. მართალი ყოფილა.

— ჰო, მაგრამ ვკვდები, — თქვა ერენდირამ.

— დედაჩემი ამბობს, ვინც უდაბნოში კვდება, ცაში კი არა, ზღვაში მიდისო.

ერენდირამ ჭუჭყიანი საბანი გვერდზე გადადო და სუფთა და გაუთოებული დააგო.

— ზღვა არ მინახავს, — თქვა.

— იგივე უდაბნოა, ოღონდ წყლის, — აუხსნა ულისესმა.

— მაშინ სიარული შეუძლებელი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამაჩემი იცნობდა კაცს, რომელსაც შეეძლო, ოღონდ ეს დიდი ხნის წინ იყო, — თქვა ულისესმა.

ერენდირა ერთობ მოხიბლული დარჩა ბიჭით, მაგრამ ძალიან ეძინებოდა.

— ხვალ თუ ადრიანად მოხვალ, პირველი შემოდი, — უთხრა.

— მე და მამაჩემი დილაადრიანად მივდივართ, — თქვა ულისესმა.

— და აქეთ აღარ გამოივლი?

— ვინ იცის, როდისლა, — თქვა ულისესმა, — ახლაც შემთხვევით მოვხვდით, საზღვრისაკენ მიმავალ გზას ავცდით.

ერენდირამ მძინარე ბებიას გახედა.

— კარგი, — გადაწყვიტა, — მომეცი საფასური.

ულისესმა მისცა. ერენდირა დაწვა, მაგრამ ბიჭი ადგილს მიელურსმა. გადამწყვეტ მომენტში მისი გულადობა საპნის ბუშტივით გასკდა. ერენდირამ ხელი მოჰკიდა და ყოყმანი რომ შეატყო, მაშინვე მიხვდა.

— პირველად ხარ? — ჰკითხა.

ულისესმა არ უპასუხა, მაგრამ საცოდავად გაიღიმა. ერენდირა იმ წუთში შეიცვალა.

— ნელა ისუნთქე, — უთხრა, — თავიდან სულ ასეა, მერე ვერც გაიგებ, რა ხდება.

გვერდით მოიწვინა და სანამ ტანსაცმელს ხდიდა, დედობრივი სინაზით ამშვიდებდა.

— რა გქვია?

— ულისესი.

— გრინგოების სახელია.

— არა, მეზღვაურების.

ერენდირამ მკერდი მოუშიშვლა, რამდენჯერმე აკოცა და დაყნოსა.

— ოქროს ბიჭს ჰგავხარ, მაგრამ ყვავილების სუნი აგდის.

— ფორთოხლის იქნება, — თქვა ულისესმა და უკვე დამშვიდებულმა მადლიერად გაუღიმა.

— კვალის ასაბნევად ფრინველებით ვვაჭრობთ, ისე კი ფორთოხალი გადაგვაქვს საზღვარზე კონტრაბანდად.

— ფორთოხალი რომ კონტრაბანდა არ არის? — ჰკითხა ერენდირამ.

— ჩვენი არის, — თქვა ულისესმა, — თითო ორმოცდაათი ათასი პესო ღირს.

ერენდირამ ამდენი ხნის მანძილზე პირველად გაიცინა.

— ყველაზე მეტად ის მომწონს შენი, მოგონილ ამბებს ასე სერიოზულად რომ მიყვები.

ერენდირა გამხიარულდა, თითქოს ულისესის უმანკოება გადაედო. ბებია კი ორ ნაბიჯზე იწვა და ბოდვას განაგრძობდა.

— მარტის დასაწყისში შენც მოგიყვანეს სახლში, — თქვა, — ბამბებში

გაბეულ ხვლიკს ჰგავდი. მამაშენი ამადისი, ახალგაზრდა და ლამაზი, ისე ბედნიერი იყო იმ საღამოს, რომ ყვავილებით დატვირთული ოცი ეტლით შემოიარა მთელი სოფელი და მანამ აბნევდა ყვავილებს ქუჩაში, სანამ მთელი სოფელი ყვავილების ოქროსფერ ზღვას არ დაამგვანა.

ბოდვა რამდენიმე საათს გაგრძელდა, მაგრამ ულისესს აღარაფერი ესმოდა. ოცი პესოსთვის დადგენილი დრო გავიდა, ერენდირამ ჯერ [illegible] სად, შემდეგ კი, გათენებამდე სულ უფასოდ შეიყვარა ბიჭი.

●

შუა უდაბნოში მაღლა აწვდილ ჯვარცმასთან მისიონრების ერთი ჯგუფი იდგა. მაშინდელი, უბედურებისდროინდელივით ძლიერი ქარი ბერებს ტილოს ტანსაცმელსა და უხეშ წვერებს უფრიალებდა. მათ უკან მისიონრების სახლი მოჩანდა. ჩვეულებრივი კოლონიური შენობა თავზე პატარა სამრეკლოთი.

ყველაზე ახალგაზრდა მისიონერმა, რომელიც ჯგუფს ხელმძღვანელობდა, თიხიან მიწაზე გაჩენილ ნაპრალზე მიათითა და დაიყვირა.

— ამ საზღვარს არ გადმოსცდეთ!

ოთხი ინდიელი მტვირთავი, ბებია რომ მიჰყავდათ ფიცრებისაგან შეკრული ტახტრევანით, ყვირილმა შეაჩერა. თუმცა ტახტრევანი არც ისე მოხერხებული იყო და ოფლმა და სიცხემაც საკმაოდ გააწამა, ბებია მაინც მედიდურად გამოიყურებოდა. მას ერენდირა მიჰყვებოდა ფეხით, ერენდირას რვა მტვირთავი ინდიელი, ბოლოს კი ფოტოგრაფი მოახრიგინებდა ველოსიპედს.

— უდაბნო არავისი არ არის, — თქვა ბებიამ.

— ღმერთისაა, — უპასუხა მისიონერმა, — შენ კი ბინძური ვაჭრობით მის წმინდა კანონებს არღვევ.

ბებიამ მისიონერებს ესპანური აქცენტი შეატყო და უსიამოვნების თავიდან აცილება სცადა.

— არ მესმის შენი ქარაგმები, შვილო.

მისიონერმა ერენდირაზე ანიშნა:

— ეს ბავშვი არასრულწლოვანია.

— მაგრამ ეს ჩემი შვილიშვილია.

— მით უარესი შენთვის, გირჩევნია გოგო ნებით დატოვო ჩვენს მფარველობაში, თორემ სხვა გზებს მოვნახავთ.

ბებია არ ელოდა საქმის ასე გართულებას.

— კარგი, დავბრუნდები, — დაუთმო შეშინებულმა, — მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც გავივლი, აგერ ნახავ.

ერენდირა და ბებიამისი მახლობელ სოფელში დაბანაკდნენ. მისიონერებთან შეხვედრიდან სამი დღის შემდეგ ტილოს ტანსაცმელიანმა ექვსმა ძლიერმა და ღვთისმოსავმა ინდიელმა ერენდირა გაიტაცა; შუაღამეზე შეიპარნენ კარავში, გოგო ბუზებისგან თავდასაცავ ბადეში დიდი თევზივით გაახვიეს და ჩქამგაუღებლად წაიყვანეს.

არ დარჩენილა საშუალება ბებიას რომ არ ეცადა მისიონრებისგან ერენდირას გამოსასყიდად. და როცა ყველა მცდელობა ამაო გამოდგა, ქალაქის თავს მიადგა. ქალაქის თავი სამხედრო იყო. თავის ეზოში წელს ზემოთ შიშველი იდგა და თოფს ესროდა გავარვარებულ ჰაერში მოლივლივე ერთადერთ

შავ ღრუბელს, იქნებ როგორმე გავხვრიტო და წვიმა წამოვიდესო. ბებიას დანახვაზე სროლა შეწყვიტა.

— ვერაფრით დაგეხმარებით, — აუხსნა, როცა ყველაფერი მოისმინა, — კონკორდატის[1] თანხმად მისიონრებს უფლება აქვთ თავისთან ჰყოლიონ ბავშვი სრულწლოვანებამდე ან გათხოვებამდე.

— აბა თქვენ, ალკალდს,[2] რაღა გევალებათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წვიმის მოყვანა, — უპასუხა ალკალდმა.

ამასობაში ღრუბელი სათოფე მანძილს გასცდა, ალკალდმაც გადადო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება და ბებიას მიუბრუნდა:

— თქვენ ახლა ისეთი კაცი გჭირდებათ, ვინც თავდებად დაგიდგებოდათ... სენატორ ონესიმო სანჩესს ხომ არ იცნობთ?

— მე ერთი მარტოხელა ქალი ვარ ამ უსასრულო უდაბნოში, — ჯავრიანად მიახალა მისი თეძოებისთვის ერთობ ვიწრო სკამზე ჩამომჯდარმა ბებიამ.

ალკალდმა სიცხისგან ამომშრალი მარჯვენა თვალი მიანათა ბებიას და ურჩია:

— აბა ტყუილად დროს ნუ დაჰკარგავთ, სენიორა.

მაგრამ ბებიამ მისიონრების საცხოვრებლის წინ დასცა კარავი და ფიქრებში ჩაიძირა საპორტო ქალაქში საალყო მდგომარეობის გამომცხადებელი ეული მებრძოლივით.

მოხეტიალე ფოტოგრაფმა ამ მდგომარეობაში მყოფი ბებია რომ დაინახა, თავის ნივთები ველოსიპედზე შეაკოლიკა და წასასვლელად მოემზადა.

— ვნახოთ, ვინ უფრო ადრე დაიღლება, მე თუ ისინი, — თქვა ბებიამ.

— ისინი უკვე სამასი წელია აქ არიან და ჯერ არ დაღლილან. მე წავედი, — თქვა ფოტოგრაფმა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია ბებიამ დატვირთული ველოსიპედი.

— სად წახვალ?

— საითაც ქარი წამიღებს. ქვეყანა დიდია.

— არც ისე დიდი, შენ რომ გგონია, უბედურო, — უთხრა ბებიამ მისიონრების სახლისთვის თვალის მოუწყვეტლად. ასე გაუნძრევლად იჯდა მოთარეშე ქარების და აუტანელი სიცხის დროსაც, ინდიელებმა კარვის პალმის ფოთლების ქოხი აავეს და შიგ თავიანთი ჰამაკები ჩამოჰკიდეს. ბებია კი გამხმარ პურს ღეჭავდა და დაწოლილი ხარის მოთმინებით დარაჯობდა სახლს.

ერთ ღამეს გადახურული საბარგო მანქანების ქარავანმა ჩამოიარა. ფერადი ქაღალდის ფარნების მკრთალი შუქი მანქანებს საკურთხევლის ფორმას აძლევდა. და რადგან ამადისების მანქანაც ზუსტად ასეთი იყო, ბებიას არ გაქირვებია მათი ცნობა. უცებ, ქარავნის ბოლო მანქანა გაჩერდა, იქიდან კაცი გადმოხტა და საბარგულზე ტვირთი შეასწორა. ამადისების ალი-კვალი იყო თავისი ფარფლებიანი ქუდით, მაღალი ჩექმებით, მკერდზე გადაჯვარედინებული ორი პატრონტაშით, საბრძოლო თოფითა და ორი პისტოლეტით. ბებიამ ცდუნებას ვერ გაუძლო და კაცს გასძახა:

— მე ვერ მცნობ?

კაცმა ფარანი შეანათა და თუმცა ხელთ ლოდინისგან დამჭკნარი სახე, დაღლილობისგან ჩაღამებული თვალები და უფერული თმა შერჩა, მაინც მიხვ-

1. კონკორდატი — ხელშეკრულება რომის პაპსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის.
2. ალკალდი — ქალაქის თავი.

და, რომ ერთ დროს მსოფლიოში ულამაზეს ქალთან ჰქონდა საქმე. როცა დარწმუნდა პირველად ვხედავო, ფარანი ჩააქრო.

— ერთადერთი, რაც შემიძლია დარწმუნებით განვაცხადო, ისაა, რომ წმინდა ქალწული რემედიოსი არ ბრძანდებით.

— პირიქით, — დაშაქრული ხმით შეეპასუხა ბებია, — საყვარელი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცმა ინსტინქტურად იარაღს წაავლო ხელი.

— ვისი საყვარელი? — ჰკითხა.

— უფროსი ამადისის.

— აბა, იმ ქვეყნიდან ყოფილხარ, რა გნებავთ? — დაძაბულად ჰკითხა კაცმა.

— მინდა რომ ჩემი და დიდი ამადისის შვილიშვილის, უმცროსი ამადისის შვილის მისიონრებისგან გამოხსნაში მომეხმარო.

კაცმა შიშს სძლია.

— მისამართი შეგშლიათ, — უთხრა. — თუ თქვენ მთხოვთ ღმერთის საქმეებში ჩავერიო, არც ამადისები გცნობიათ როდისმე და არც კონტრაბანდაზე გაქვთ წარმოდგენა.

იმ ღამით ბებიას თვალი არ მოუხუჭავს. გათენებას ლეჰვით შეხვდა შალის საბანში გახვეული და თუმცა ელვიძა, ღამე ამოუთქმელი ბოდვისგან თავს მაინც ძლივს იკავებდა, გული ყელში აწვებოდა და ახრჩობდა ზღვისპირა, ყვავილებით მორთული სახლის მოგონებით, სადაც ოდესღაც ბედნიერი იყო.

ამ მდგომარეობაში მყოფი მისიონრების ზარმა გამოაფხიზლა. უდაბნოს ახლგამომცხვარი პურის სუნი მოედო. მაშინ ბებიამ სძლია დაღლას და თუმცა იცოდა თავს იტყუებდა, მაინც წარმოიდგინა როგორ ეძებდა ერენდირა მასთან დასაბრუნებელ გზებს.

ერენდირას ბებიასთან მიბრუნება არც უფიქრია. პირიქით, მისიონრებთან მიყვანის შემდეგ ღამით მშვიდად ეძინა. მონაზვნებმა თმა ისე შეკრიჭეს თავი ჯაგრისს დაუმგვანეს, შემდეგ მონაზვნის ტანსაცმელი გადააცვეს, ხელში კირიანი წყლით სავსე ვედრო და ცოცხი მისცეს და კიბის საფეხურების რეცხვა დაავალეს. მართალია, სამუშაო არაადამიანური იყო, რადგან ერენდირას დაუსრულებლად უხდებოდა კიბეებზე სირბილი ბერებისა და სხვა ღვთის მსახურების კვალდაკვალ, მაგრამ საწოლის საპატიმროს შემდეგ თავისი ახალი ყოფა ბედნიერ უქმე დღედ ეჩვენებოდა. თანაც მარტო თვითონ ხომ არ იღლებოდა. მისიონერთა ეს სადგომი ეშმაკს კი არა, უდაბნოს ებრძოდა. ერენდირა ხედავდა როგორ პანღურისცემით ერეკებოდნენ ძროხებს გომურში ინდიელები, როგორ ამოჰყავდათ ყველი, როგორ ეხმარებოდნენ თხებს ციკნების გაჩენაში. ხედავდა, რა ვაივაგლახით ქაჩავდნენ ჭიდან წყალს ძლივსძლივობით დაბარულ უდაბნოს ქვანარევ მიწაზე ბოსტანი რომ გაეშენებინათ. ნახა გავარვარებული პურის საცხობისა და საუთოებელი ოთახის მიწიერი ჯოჯოხეთი. ერთხელ უყურა, როგორ გამოეკიდა მონაზონი ღორს, ყურებში ხელი ჩაავლო და გამხეცებულმა ღორმა ქალი მანამდე ათრია ნაგავში, სანამ ორმა ტყავის ფეშტემლიანმა ინდიელმა ღორს დანა არ ჩასცა და გარშემო მყოფნი სისხლსა და მტვერში არ მოთხვარა. ნახა მიცვალებულის ტანსაცმელში გამოწყობილი ჰლექიანი მონაზვნები, რომლებიც განცალკევებით ცხოვრობდნენ და სანამ კაცები უდაბნოში ქადაგებდნენ, აივანზე უფლის უკანასკნელი ბრძანების მოლოდინში საქორწინო საბნებს კერავდნენ. ერენდირა თითქოს ბინდ-ბუნდში ცხოვრობდა სილამაზისა და საშინელების ისეთ ფორმებს

ეცნობოდა. ადრე საწოლით შემოფარგლულ ვიწრო სამყაროში რომ ვერც წარმოიდგენდა. მაგრამ ვერც ყველაზე ჩუმმა და ვერც ყველაზე ყბედმა ბერმა გოგოს სიტყვა ვერ დააცდენინა.

ერთ დილას, წყალში კირს რომ აზავებდა, ერენდირას უდაბნოს მუქზე უფრო გამჭვირვალე მუსიკა მოესმა. სასწაულით მოჯადოებული დიდ და შიშველკედლებიან დარბაზში შეძვრა, რომლის მაღალი ვიტრაჟებიდან ივნისის დილის ნათელი ილვრებოდა. დარბაზის ცენტრში — უცნობი მონაზონი იჯდა და კლავიციმბალზე საალდგომო ორატორიას უკრავდა. სადილის ზარამდე სუნთქვაშეკრული ერენდირა თვალის დაუხამხამებლად უსმენდა მუსიკას. ნასადილევს კიბეები დიდი ფუნჯით შეათეთრა, დაიცადა, სანამ ყველა ჩაივლიდა და როცა მარტო დარჩა, ჩუმად, თავისთვის თქვა:

— ბედნიერი ვარ.

ბებიამ უკვე დაკარგა ერენდირას გამოპარვის იმედი, მაგრამ სამების კვირამდე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღია, გრანიტის ქანდაკებასავით მდუმარედ იჯდა.

იმ ხანებში მისიონრები უდაბნოს ყველაზე მიყრუებულ სოფლებში მოგზაურობდნენ და ინდიელებს თავიანთ ფეხმძიმე საყვარლებზე ჯვარს სწერდნენ. საბარგულზე წვრილმანებით სავსე სკივრები ეწყოთ და თან ოთხი შეიარაღებული ჟარისკაცი ახლდათ.

ყველაზე მეტად უჭირდათ ქალების დარწმუნება იმაში, რომ კანონიერ ცოლად გახდომის შემდეგ კაცის საქმის კეთება, სანამ ქმრები ჰამაკში არხეინად ფშვინავდნენ, ღვთის ნება იყო. საჭირო ხდებოდა ღვთის ნების ინდიელების ენაზე თარგმნა, ვინძლო ისე საშინელი აღარ მოჩვენებოდათ.

მაგრამ უბრალო საყურის ჩუქებაც საკმარისი იყო ყველაზე ჯიუტების ძოსათვნიერებლადაც კი. ქალის თანხმობის მიღებისთანავე კაცებს მუჯლუგუნით წამოჰყრიდნენ ხოლმე ჰამაკებიდან და ჯვრის დასაწერად ძალით მიჰყავდათ.

რამდენიმე დღის განმავლობაში ბებია ხედავდა ფეხმძიმე ინდიელი ქალებით დატვირთულ მანქანებს, მაგრამ აქედან თავისთვის სასარგებლოს ვერაფერს გამორჩა. სამების კვირას ზარის საზეიმო რეკვა და მაშხალების სროლა ატყდა და ჯვრისსაწერად ჯგროდ მორეკილი უბადრუკი მხიარული ბრბო იქაურობას მოეფინა.

ხალხში ერთი ვირისკბილება, მიამიტი, ტანსაცმელშემოფლეთილი ინდიელი ბიჭი ერია თაფლის სანთლით ხელში. ბებიამ დაუძახა:

— მითხარი, შვილო, რისთვის შეგყარეს ამდენი ხალხი?

— მღვდლები პირველად გვაზიარებენ, — უთხრა.

— რამდენი გადაგიხადეს?

— ხუთი პესო.

ბებიამ ჯიბიდან ფული ამოიღო: ბიჭი გაოცებული შედგა..

— მე ოც პესოს მოგცემ, ოღონდ ზიარებისთვის კი არა, ჯვრის დასაწერად.

— ვისზე?

— ჩემს შვილიშვილზე.

იმ დღეს, პატიმრის ტანსაცმელსა და მონაზვნების ნაჩუქარ მაქმანებიან მანდილში გამოწყობილმა ერენდირამ ჯვარი დაიწერა ბებიის მიერ ნაყიდ საქმროზე, რომლის სახელიც კი არ იცოდა. გულის კუნჭულში მბჟუტავი იმედით აიტანა ხრიოკ მიწაზე მუხლებზე დგომა და აუტანელ ხვატში წმინდა

პავლეს ეპისტოლეს ლათინურად კითხვა. მისიონრები ვერაფრით აღუდგნენ წინ ამ მოულოდნელ ქორწინებას, თუმცა კი ყველა ღონე იხმარეს მონასტერში ერენდირას დასატოვებლად. ქორწინების ცერემონიალის დასასრულს პაპის პრეფექტის, წვიმის წამომყვანი ალკალდის, ახალშეძენილი მეუღლისა და ბებიის გარემოცვაში ერენდირა ისევ იმ საოცარი ჯადოს ქვეშ მოექცა, დაბადებიდან რომ თრგუნავდა და როცა საბოლოო სურვილი ჰკითხეს, ქმარი გინდა? — მინდაო, — უყოყმანოდ თქვა — მაგრამ ამასთან კი არა, — ქმრისკენ გაიშვირა ხელი, — ბებიასთან წავალ.

ულისესი მთელი საღამო ცდილობდა მამამისის პლანტაციიდან ერთი ფორთოხალი აეწაპნა, მაგრამ ცალკე დედა უთვალთვალებდა სახლიდან და ცალკე დაავადებულ ხეებთან მოფუსფუსე მამა არ აცილებდა თვალს. სხვა რა გზა ჰქონდა, იმ დღეს განზრახვაზე ხელი აიღო და უხალისოდ მიეხმარა მამას ხეების მოვლაში.

უცხო თვალს მოფარებული ვეება პლანტაცია თუნუქით გადახურული, ფანჯრებზე სპილენძის ჟალუზიან და ხიმინჯებზე შემოდგმული ხის სახლის უკან გადამალილიყო. სახლს გარშემო ყვავილებიანი ტერასა ერტყა. ულისესის დედა ტერასზე ვენურ სავარძელში ჩამჯდარიყო, საფეთქლებზე თავის ტკივილის გამაყუჩებელი ფოთლები მიეკრა და ბალის ყველაზე ბნელ კუნჭულებშიც კი, ინდიელის გამჭოლ მზერას არ აცილებდა შვილს. ძალიან ლამაზი და ქმარზე ბევრად ახალგაზრდა იყო, თავის ტომის ტანსაცმელი ეცვა და თავისი სისხლის ყველა საიდუმლო იცოდა.

როცა სამუშაო იარაღებით დატვირთული ულისესი სახლში დაბრუნდა, დედამ წამლის მიწოდება სთხოვა. წამალი იქვე იდო, მაგიდაზე და როცა ბიჭმა ჭიქას და წამლის შუშას ხელი შეავლო, ორივემ ფერი იცვალა, შემდეგ გასართობად შუშის გრაფინს შეეხო და ისიც გაალურჯა. დედამ წამალი დალია და რომ დარწმუნდა, ეს ფერიცვალობა ტკივილისგან გამოწვეული მოჩვენება არ ყოფილაო, შვილს გუახირას ენაზე ჰკითხა:

— როდიდან მოგდის?

— რაც უდაბნოდან დავბრუნდით, — ამავე ენაზე უპასუხა ულისესმა, — მხოლოდ შუშის ნივთები იცვლიან ფერს.

ნათქვამის დასამტკიცებლად მაგიდაზე მდგომი ყველა ჭიქა სხვადასხვაფერად ააელვარა.

— ეს სიყვარულმა იცის, — თქვა დედამ, — ვინ არის?

ულისესმა არ უპასუხა. ამ დროს მამამისი ამოვიდა ტერასზე ფორთოხლის ტოტით ხელში და რახან გუახირას ენა არ იცოდა, შვილს ჰოლანდიურად ჰკითხა:

— რაზე ლაპარაკობთ?

— არაფერზე.

ულისესის დედამ ჰოლანდიური არ იცოდა და როცა მამა სახლში შევიდა, შვილს თავის ენაზე ჰკითხა:

— რა გითხრა?

— არაფერი.

მალე მამის ფიგურა სახელოსნოს ფანჯარაში გამოჩნდა. დედამ ბიჭს კითხვა გაუმეორა.

— მითხარი, ვინ არის.

— არავინ — უპასუხა ულისესმა უყურადღებოდ. თან მამამისს ადევ-

ნებდა თვალს, რომელიც ყუთში აწყობდა ფორთოხალს. დედა ულისესის დაკითხვას განაგრძობდა.

— კარგა ხანია პურს არ ჭამ, — უთხრა.

— არ მომწონს.

დედას სახე შეეცვალა.

— ტყულია, უთხრა, — ეს იმიტომ, რომ სიყვარულში არ უმართლებს, პურს ის ვერ ჭამს, ვისაც სიყვარულში არ უმართლებს. — მის ხმაში და თვალებში თხოვნა მუქარამ შეცვალა — გიჟობს მითხრა ვინ არის, თორემ განსაწმენდელ ვანბანვას მოგიწყობ.

ამ დროს ჰოლანდიელი ფორთოხლის ჩალაგებას მორჩა და სახელოსნოს რკინის კარი გამოკეტა.

ულისესი მოსცილდა და მშვიდად შეეპასუხა დედას:

— გეუბნები, არავინ-მეთქი, თუ არ გჯერა, მამას ჰკითხე.

მალე მამაც შემოვიდა იღლიაში ამოჩრილი დაგლეჯილი ბიბლიით და მეზღვაურის ჩიბუხი გაჰბოლა.

— ვინ გაიცანით უდაბნოში? — კასტილიურად ჰკითხა დედამ.

— არავინ, — მიუგო კვამლში გახვეულმა ქმარმა, — თუ არ გჯერა, ულისეს ჰკითხე.

შემდეგ დერეფნის ბოლოს დაჯდა, ჩიბუხი ბოლომდე მოსწია, ბიბლია ალალ-ბედზე გადაშალა და მთელი ორი საათი ხმამაღლა, ჰოლანდიურად კითხულობდა.

შუაღამე გადასული იყო, მაგრამ ჰამაკში მოწრიალე ულისეს მოგონებების ტკივილი დაძინების საშუალებას არ აძლევდა. ბოლოს ისევ ამ ტკივილმა შემატა ძალა და გადაწყვეტილება მიაღებინა. წამოდგა, ჯინსის შარვალი, კუბოკრული პერანგი და მხედრის ჩექმები ჩაიცვა, ფრინველებით დატვირთული საბარგო მანქანა დაქოქა და უდაბნოში გაუჩინარდა. პლანტაციას რომ ჩაუარა, სამი მწიფე ფორთოხალი მოწყვიტა.

ღამე უდაბნოს აფარებდა თავს, დილით სოფლებში დადიოდა და ერენდირას გზა-კვალს ეძებდა. მაგრამ სანუგეშო ვერაფერი შეიტყო. ბოლოს ვიღაცამ უთხრა, ერენდირა და ბებიამისი სენატორ ონესიმო სანჩესის ამომრჩეველთა ამალას დაჰყვებიან და დღეს-ხვალ ახალ კასტილიაში უნდა გაჩერდნენო.

სენატორს იქ ვეღარ, მაგრამ შემდეგ სოფელში მაინც ჩაუსწრო. ერენდირა და ბებიამისი კი უკვე თავის გზას დასდგომოდნენ. ბებიას მოეხერხებინა სენატორისთვის წერილის დატყუება, სადაც იგი, ონესიმო სანჩესი, მის მორალს და ზნეობას თავდებად უდგებოდა და ახლა მათთვის უდაბნოს ნებისმიერი საზღვარი ღია იყო.

მესამე დღეს ეროვნული ფოსტის მოხელეს შეხვდა, რომელმაც მიასწავლა კიდეც ერენდირას ადგილ-სამყოფელი.

— ზღვისკენ წადი, — უთხრა, — იცოდე, ის ბებერი ალქაჯი არუბას კუნძულისკენ აპირებს გამგზავრებას.

ნახევარი დღეც არ იყო გასული, რომ ულისესმა ბებიას მიერ თავის ბალაგანისთვის ნაყიდი ვეება კარავი შეამჩნია. ფოტოგრაფი, უკვე დარწმუნებული, რომ ქვეყანა მართლაც არც ისე დიდი ყოფილა, ბებიასთან მიბრუნებულიყო, მუსიკოსების ჯგუფი ნაღვლიანი ვალსით ართობდა ერენდირას კლიენტებს.

ულისესი რიგში ჩადგა და კარავში შესვლისთანავე წესრიგი და სისუფთავე ეცა თვალში. ბებიას საწოლს ვიცემეფისდროინდელი ბრწყინალება დაბრუნებოდა, ანგელოზის ქანდაკება თავის ადგილას — ამადისების ძვლებიანი სკივრის გვერდით იდგა, შუა ოთახში ლომის თათებიანი აბაზანა ჩაედგათ.

ახალ, მარკიზას საწოლში, შიშველი ერენდირა კარავში შემოჭრილ მზის შუქზე ბავშვური სილამაზით ბრწყინავდა და თვალღია ეძინა. ულისესმა ფორთოხლებით ხელში მის წინ შედგა და მალე დარწმუნდა, რომ ერენდირა უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა. მაშინ ულისესმა თვალწინ ხელი გაუტარა და დაუძახა:

— არიდნერე.

ეს სახელი მან ერენდირაზე ფიქრის დროს შეთხზა.

ერენდირას გაეღვიძა, შიშველი წამოჯდა საწოლზე, ბიჭის დანახვაზე რაღაც ამოიკნავლა, საბანი წაიფარა და უთხრა:

— ნუ მიყურებ, საშინლად გამოვიყურები.

— ფორთოხლის ფერი ხარ, — უთხრა ულისესმა და ხილი თვალებთან მიუტანა ერენდირას შედარება რომ შესძლებოდა. ერენდირამ გამოიხედა და დარწმუნდა, მართლაც ფორთოხლისფერი ვყოფილვარო.

— ახლა არ მინდა რომ დარჩე, — უთხრა.

— მხოლოდ ამის საჩვენებლად მოვედი.

ულისესმა ფორთოხალი გახლიჩა და შუაში ბრილიანტი აციმციმდა.

— მაგრამ ეს ხომ ცოცხალი ფორთოხალია! — წამოიყვირა ერენდირამ.

— რა თქმა უნდა, — გაიცინა ულისესმა, — ესენი მამაჩემს მოჰყავს.

ერენდირას დაჯერება გაუჭირდა. სახიდან საბანი მოიცილა, ბრილიანტი გამოართვა და გაოცებულმა შეათვალიერა.

— სამი ასეთით მთელ ქვეყანას შემოვივლით, — თქვა ულისესმა.

ერენდირამ ბრილიანტი დაუბრუნა.

— გარდა ამისა, მანქანა მაქვს და აი, კიდევ რა, — პერანგის შიგნიდან ძველისძველი პისტოლეტი ამოიღო.

— ათ წელზე ადრე ვერ წამოვალ, — თქვა ერენდირამ.

— წამოხვალ, — თქვა ულისესმა, — ამაღამ, თეთრი ვეშაპი რომ დაიძინებს, გარეთ დაგიცდი და ჭოტივით დავიკივლებ — ისე ოსტატურად გააჯავრა ჭოტს, რომ ერენდირას გაეღიმა.

— ეს ბებიაჩემია, — თქვა.

— ჭოტი?

— ვეშაპი.

ორივემ გაიცინა, მაგრამ უცებ ერენდირამ თქვა:

ბებიის ნებართვის გარეშე არავის არსად წასვლა არ შეუძლია.

— შენც ნუ, იტყვი!

— მაინც გაიგებს, — თქვა ერენდირამ, — დაესიზმრება.

— როცა დაესიზმრება რომ მიდიხარ, ჩვენს საზღვრებს გადაცილებული ვიქნებით, კონტრაბანდისტებივით წავალთ, — თქვა ულისესმა.

შემდეგ ერენდირას გასამხიარულებლად ვითომ პისტოლეტი ისროლა. ასეთი სროლა კინოში ჰქონდა ნანახი. გოგოს არც ჰო უთქვამს, არც არა.

— ხვალ გემების გასვლას ვუყურებთ, — ჩაიბურტყუნა ულისესმა გასვლისას.

იმ საღამოს, ასე შვიდი საათისთვის, ბებიას რომ ვარცხნიდა, კვლავ

დაჰქროლა მისი უბედურების ქარმა. კართან ინდიელები და მემუსიკეთა თავკაცი იდგნენ და თავიანთ გასამრჯელოს ელოდებოდნენ. ბებიამ ფულის თვლა დაამთავრა, ციფრი რვეულში ჩაინიშნა და ინდიელების უფროსი მოიხმო.

— აჰა, — უთხრა, — კირის საფასური ოცი პესო, გამოკლებით რვა პესო საჭმლის, სამი პესო — წყლისა, ორმოცდაათი სენტავო — პერანგების, გამოდის რვა პესო და ორმოცდაათი სენტავო. კარგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდიელების უფროსმა ფული დათვალა და ბებიას დაემშვიდობა:

— მადლობთ, თეთრო.

შემდეგ მემუსიკეთა თავკაცი იყო.

ბებიამ საანგარიშო რვეულს ჩახედა და ფოტოგრაფს მიუბრუნდა, რომელიც იქვე კუთხეში აპარატს უჩხიკინებდა.

— რა ვქნათ, იხდი მუსიკის საფასურის მეოთხედს თუ არა?

ფოტოგრაფს თავიც არ აუწევია.

— მუსიკა სურათებში არ გამოდის, — თქვა.

— მაგრამ ხალხს სურათის გადაღების სურვილს უღვიძებს.

— პირიქით, — შეეპასუხა ფოტოგრაფი, — მუსიკა მათ მიცვალებულებს აგონებთ და ამიტომ სურათზე თვალდახუჭულები გამოდიან.

აქ მემუსიკე ჩაერია:

— მუსიკა კი არ ახუჭვინებთ თვალებს, ღამე გადასაღები განათება, — აუხსნა.

— არაფერიც, მუსიკა, — არ დაუთმო ფოტოგრაფმა.

ბებიამ კამათს ბოლო მოუღო.

— მორჩი, — თქვა. — როგორ ფიქრობ, რატომ უმართლებს ასე სენატორ ონისიმო სანჩესს? იმიტომ, რომ მემუსიკენი დაჰყავს თან, მოკლედ, — დაასკვნა — ან გადაიხდი მეოთხედს, ან მარტო განაგრძობ გზას, — უსამართლობაა ყველა გასავალი ამ საბრალო ბავშვს დააწვეს კისერზე.

— მარტო წავალ, — თქვა ფოტოგრაფმა, — ბოლოს და ბოლოს მე მსახიობი ვარ.

ბებიამ მხრები აიჩეჩა და მუსიკოსს ფული გაუწოდა:

— ორმოცდაათსენტავოიან 254 მონეტას პლუს სამოცპესოიანი 32 მონეტა — კვირეებისა და დღესასწაულების საფასური, გავყოთ ოცზე, გვრჩება 156 მონეტა.

მემუსიკემ ფული არ აიღო.

— 182 უნდა იყოს, — თქვა, — ვალსები უფრო ძვირი ღირს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ უფრო სევდიანია, — თქვა მემუსიკემ.

ბებიამ ძალით შეაჩეჩა ფული.

— მაშინ იმ კვირას ვალსის ნაცვლად რამე მხიარული დაუკარი და გავსწორდებით, — დაამშვიდა.

მემუსიკემ ბებიას ლოგიკა ვერ გაიგო, მაგრამ ფული მაინც გამოართვა. ამ დროს ქარმა კინაღამ მოგლიჯა კარავი და ცოტა რომ ჩაწყნარდა, გარეთ ჭოტის კივილი მოისმა. ერენდირამ არ იცოდა, მოღლეარება როგორ დაეფარა. ფულის ზარდახშა დაკეტა, საწოლქვეშ შეინახა, მაგრამ ბებიას გასაღებს რომ აძლევდა, ხელების კანკალმა გასცა.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა ბებიამ, — ქარიან ღამეს ყოველთვის კივიან ჭოტები, — თუმცა გარეთ გამავალი ფოტოგრაფი ასე არ დაუმშვიდებია.

— თუ გინდა, დარჩი ამაღამ, — უთხრა, — ხომ ხედავ, გარეთ სიკვდილი დადის.

ფოტოგრაფმაც გაიგო ჰოტის კივილი. მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა.

— დარჩი შვილო, — დააძალა ბებიამ, — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ.

— ოღონდ მუსიკისას არ ვიხდი, — თქვა ფოტოგრაფმა.

— ჰო, კარგი, — დაამშვიდა ბებიამ.

— კი მაგრამ, თქვენ ხომ არავინ არ გიყვართ? — ჰკითხა ფოტოგრაფმა.

— მაშინ გაეთრიე აქედან, ნაბიჭვარო!— დაუყვირა სიბრაზისაგან გაფითრებულმა ბებიამ.

ბებია ვერც მაშინ დამშვიდდა, ერენდირა დასაწოლად რომ ამზადებდა.— საზიზღარი, — ბურტყუნებდა, სხვისი გულისა მაგას რა გაეგება.

ერენდირა ბებიას ყურადღებას არ აქცევდა, ქარის ზუზუნში უფრო და უფრო უიმედოდ გაისმოდა ჰოტის კივილი.

ბებიამ ჩვეული რიტუალის ყველა წვრილმანი მოათავა და დაწოლის წინ ერენდირა გააფრთხილა:

— ამაღამ გათენება მოგიწევს, ხალხის მოსვლამდე დასაბანი წყალი უნდა მომიმზადო.

— დიახ, ბებია.

— დრო რომ დაგრჩება, ინდიელების ჰუჰყიანი ტანსაცმელი გარეცხე და ამის ფულსაც გამოვუქვითავთ მომავალ კვირას.

— დიახ, ბებია.

— მერე დაიძინე, რომ არ დაიღალო, თორემ ხვალ ხუთშაბათია, კვირის უგრძესი დღე.

— დიახ, ბებია.

— სირაქლემას საჭმელი დაუდგი.

— დიახ, ბებია.

ერენდირამ მარაო საწოლის თავთან ჩამოდო და მიცვალებულებს ორი სანთელი დაუნთო. უკვე მძინარე ბებიამ დაგვიანებული ბრძანება გასცა:

— სანთლების დანთება არ დაგავიწყდეს.

— დიახ, ბებია.

ერენდირამ იცოდა, რახან ბოდვა დაიწყო, ბებია აღარ გაიღვიძებდა.

გარედან ქარის ყეფა მოისმა, მაგრამ ერენდირა ვერც ახლა მიხვდა, რომ ეს მისი უბედურების ქარი იყო და როცა ჰოტის კივილი განმეორდა, თავისუფლების ინსტინქტმა ბებიას ჯადოს სძლია.

ხუთი ნაბიჯი არ გადაედგა, რომ ფოტოგრაფს გადააწყდა, რომელიც ველოსიპედს წასასვლელად ამზადებდა. მისმა ღიმილმა ერენდირა დაამშვიდა.

— მე არაფერი ვიცი, — თქვა ფოტოგრაფმა, — არც არაფერი მინახავს. არც მემუსიკეებისას ვიხდი. — და გოგონა ხელის აწევით გააცილა.

მაშინ ერენდირა ჰოტის ხმას გაჰყვა და წყვარამში დაიკარგა.

ამჯერად ბებიამ პირდაპირ ქალაქის ხელმძღვანელობას მიმართა. ადგილობრივი რეზერვის მაიორი დილის ექვს საათზე წამოაგდო ჰამაკიდან და ცხვირწინ სენატორ ონესიმო სანჩესის წერილი აუფრიალა. ულისესის მამა გარეთ იცდიდა.

— რა ჯანდაბა წავიკითხო, როცა კითხვა არ ვიცი, — დაუყვირა მაიორმა.

— ეს სენატორ ონესიმო სანჩესის სარეკომენდაციო ბარათია, — ჩასძახა ბებიამ.

ეს საკმარისი აღმოჩნდა, რომ მაიორს ჰამაკის თავთან დაკიდებული თოფი ჩამოეხსნა და თავის ხალხისთვის ბრძანება გაეცა. 5 წუთის შემდეგ ყველანი სამხედრო მანქანაში ისხდნენ და საზღვრისკენ მიჰქროდნენ. ქარი სახეში სცემდათ და გაქცეულების კვალს შლიდა, წინა სავარძელზე, მძღოლის გვერდით მაიორი იჯდა, უკან — ჰოლანდიელი, ბებია და თითო სკამზე თითო შეიარაღებული მებრძოლი.

სოფლის ახლოს ბრეზენტით დახურულ მანქანებს შეეფეთნენ. საბარგულში ჩამალულმა კაცებმა ბრეზენტი ასწიეს და სამხედროების მანქანას თოფები და ტყვიამფრქვევი დაუმიზნეს. მაიორმა პირველი მანქანის მძღოლს ჰკითხა, რა მანძილზე შეგხვდათ ფრინველებით დატვირთული მანქანაო.

— ჩვენ კონტრაბანდისტები ვართ, — დამბეზღებლები კი არა, — უპასუხეს მათ.

მაიორმა დამიზნული ტყვიამფრქვევი რომ დაინახა, სიცილით ასწია ხელები და დაიძახა:

— ღვთის მაინც ნუ დადიხართ, იქონიეთ სინდისი!

ბოლო მანქანის საბარგულზე ლოზუნგი ფრიალებდა:

„შენზე ვფიქრობ, ერენდირა!".

რაც უფრო უახლოვდებოდნენ საზღვარს, ქარი უფრო ხორშაკი, მზე კი უფრო მცხუნვარე ხდებოდა და დახურულ საბარგულში სუნთქვაც ჭირდა.

ფოტოგრაფი პირველად ბებიამ დაინახა. მათ წინ მიდიოდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, სატერფულებს აწვებოდა.

— ეს ნაბიჭვარი მათი თანამონაწილეა, — თქვა ბებიამ.

მაიორმა ერთ-ერთ ჯარისკაცს ფოტოგრაფის დაკავება უბრძანა.

— შეკარი და აქ დაგველოდე, — უთხრა, — მალე მოვბრუნდებით.

ჯარისკაცი ჩამოხტა და ფოტოგრაფს გასძახა. პირქარის გამო ფოტოგრაფმა ვერაფერი გაიგო. როცა მანქანამ გაუსწრო, ბებიამ მუქარით დაუქნია ხელი, რაც ფოტოგრაფმა მისალმებად ჩათვალა და თავადაც ღიმილით და ხელის დაქნევით უპასუხა, გასროლა არ გაუგია, ერთი ამოტრიალდა ჰაერში და ტყვიით თავგახვრეტილი უსულოდ დაეცა ველოსიპედს.

შუადღე არ დამდგარიყო, ჰაერში უეცრად აფარფატებულ ბუმბულებში ჰოლანდიელმა თავისი ქათმების ბუმბულები რომ შეიცნო. მძღოლი სატერფულს დააწვა და ნახევარ საათში ჰორიზონტზე მანქანაც გამოჩნდა.

ულისესმა სარკეში სამხედრო მანქანა დაინახა და სცადა სიჩქარე გაეზარდა, მაგრამ ძრავა მეტის საშუალებას არ იძლეოდა. უძილოებსა და მგზავრობით დაქანცულებს წყურვილი კლავდათ.

ულისესის მხარზე ჩაძინებულ ერენდირას შეშინებულს გაეღვიძა. სამხედროების მანქანა რომ დაინახა, მტკიცე გადაწყვეტილებით პისტოლეტს ჩასჭიდა ხელი.

— არ გამოდგება, — თქვა ულისესმა, — ფრენსის დრეიკისაა, — პისტოლეტი ხელში შეთამაშა და ფანჯრიდან მოისროლა.

სამხედროებმა გაუსწრეს ფრინველებით დატვირთულ მანქანას, წინ ჩაუდგნენ, მკვეთრად დაამუხრუჭეს და ლტოლვილებს გზა ჩაუკეტეს.

ერენდირა და ბებიამისი მე მათი აღზევების ხანაში გავიცანი, ეს ისტორია კი მოგვიანებით, რაფაელ ესკალონას სიმღერებში მოვისმინე და მომეჩვენა, კარგი იქნებოდა თუ დავწერდი. იმ ხანებში მე ენციკლოპედიებსა და სამედიცინო წიგნებს ვყიდდი რიოაჩას პროვინციებში. ალვარო სეპედა სამუდიომ, რომელიც ლუდის გასაცივებელ მანქანებს ასაღებდა, ამბების მოსაყოლად თავის საბარგო მანქანით სოფლები შემომატარა. იმდენი ლუდი დავლიეთ, რომ ვერც გავიგეთ საიდან და როგორ გადავსერეთ მთელი უდაბნო და საზღვარს მივადექით. სწორედ იქ ვნახე მოხეტიალე სიყვარულის კარავი, რომლის შესასვლელთან ასეთი ლოზუნგები ფრიალებდა: „ერენდირა საუკეთესოა", „წაბრძანდით და მობრუნდით, თქვენ გელით ერენდირა!" „უერენდიროდ არ ღირს სიცოცხლე!" სხვადასხვა ეროვნების და წეს-ჩვეულების ხალხისგან შემდგარი რიგი ხმაურიან, ჭრელ ბაზრებს, მოედნებსა და ეზოებს შორის გველივით იკლაკნებოდა. ყოველი ქუჩა ერთ დიდ გასართობ სახლად ქცეულიყო, ყოველი სახლი — დუქნად, ყოველი კარი — ლტოლვილების თავშესაფრად.

ყოველი მხრით მოდენილი მუსიკის ჰანგები და ვაჭართა ხმები აუტანელ ხვატში საშინელ კაკაფონიას ქმნიდა.

ყალთაბანდებსა და სამშობლოდაკარგულ გაიძვერებს შორის კეთილი ბლაკაბანი ჩამდგარიყო, მაგიდაზე აფორთხებული შხამიან გველს ითხოვდა, რათა საკუთარ სხეულზე გამოეცადა თავისივე შხამსაწინააღმდეგო საშუალება. აქ იყო ქალი, რომელიც მშობლების ურჩობის გამო ობობად ქცეულიყო. 50 სენტავოდ შეიძლებოდა ხელით შეხებოდი და შეკითხვებიც დაგესვა მისი უბედურების შესახებ. ერთი საიქიოდან გამოგზავნილი კაცი კი ვარსკვლავებიდან საშინელი ღამურის გამოცხადებას წინასწარმეტყველებდა, რომლის მწველი, გოგირდოვანი სუნთქვა ბუნებას თავდაყირა დააყენებდა და ზღვის საიდუმლოებებს მის ზედაპირზე ამოატივტივებდა.

შედარებით სიმშვიდე მხოლოდ სამეძაო სახლში სუფევდა. იქამდე კანტიკუნტად აღწევდა ქალაქის ხმაური. ქვეყნის ოთხივ კუთხიდან ჩამოსული მეძავეები დაცარიელებულ საცეკვაო დარბაზებში დაბორიალობდნენ და უსაქმურობისგან ამთქნარებდნენ, სიესტას სკამებზე ჩამომსხდრები ძილღვიძილში ატარებდნენ. მათთან არავინ შედიოდა და ისინიც გლუვ ჭერზე მიმაგრებულ ვენტილატორების ქვეშ ელოდნენ საზარელი ღამურის გამოცხადებას. უცებ ერთ-ერთი მათგანი წამოდგა და ქუჩაში გამავალ ფანჯარას მიუახლოვდა. ფანჯარაში ერენდირასთან მიმავალი კაცების რიგი ჩანდა.

— ვნახოთ ერთი რა აქვს ამ გოგოს ასეთი, ჩვენ რომ არ გაგვაჩნია! — იყვირა ქალმა.

— სენატორის წერილი, — გამოეპასუხა მეორე.

საერთო ყვირილსა და სიცილში ქალები წამოიშალნენ და შენობიდან გავიდნენ.

— რა ხანია ამხელა რიგი დგას, — თქვა ერთმა, — წარმოიდგინე, შესვლა 50 პესო ღირს.

— უნდა ვნახო, რით იზიდავს კაცებს ეს უდღეური. — გადაწყვიტა პირველმა ქალმა.

— მეც მოვდივარ, — აჰყვა მეორე.

გზაში სხვებიც შეუერთდნენ და ზუზუნით ერენდირას კარვისკენ გაემართნენ.

კარავში გაუფრთხილებლად შევიდნენ, ჭალიშების ცემით დააფრთხეს კლიენტი, რომელიც გადახდილი 50 პესოს საფასურს იღებდა, ერენდირას საწოლი ციმციმ ასწიეს და გარეთ გამოიტანეს.

— ეს ძალადობაა, — გაჰკიოდა ბებია, — წყეულებო, ფარისევლებო! — შემდეგ რიგში ჩამდგარ კაცებს მიუბრუნდა, — თქვე არაკაცებო, ვის უნდა უყუროთ საბრალო გოგოს წამებას? — რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა ბებია, მაგრამ მისი ხმა ბრბოს ხმაურში იკარგებოდა.

ერენდირამ გაქცევა ვერ შეძლო, რადგან ულისესთან გაპარვის შემდეგ ბებია ძაღლის ჯაჭვით აბამდა ხოლმე საწოლს. ფიზიკურად არავითარი ზიანი არ მიუყენებიათ, ყველაზე ხალხმრავალ ქუჩებში ჩაატარეს მარკიზას საწოლით და ბოლოს ცენტრალურ მოედანზე დაასვენეს. ბალიშში თავჩარგული ერენდირა ცრემლჩამოუგდებლად იწვა მცხუნვარე მზის ქვეშ და სირცხვილისა და სიბრაზისგან ჯაჭვს ღრღნიდა, სანამ ვიღაც ღვთისნიერს არ შეეცოდა და პერანგი არ გადააფარა.

აი, მაშინ იყო, ორივე რომ ვიხილე, შემდეგ გავიგე, ხალხის მოთხოვნით ცოტა ხანს კიდევ დარჩენილან იმ საზღვრისპირა ქალაქში, შემდეგ, ბებიას სკივრები ფულის სიმძიმით რომ დაიბზარა, აბარგებულან და ზღვისკენ გაუწევიათ. იმ ღატაკ მხარეებში მსგავსი სიმდიდრე არავის უნახავს. ხარშებმულ საზიდრებზე ეწყო უცნაური საათები და ბიუსტები, პიანინო და სახელურიანი პატეფონი სევდისმომგვრელი ფირფიტებით. დაქირავებული ინდიელები ბარგს ადევნებდნენ თვალყურს, მემუსიკენი კი სოფლებს მათ ტრიუმფალურ სვლას აცნობდნენ.

ეკლესიის მსახურის მოსასხამში გახვეული ბებია, ქაღალდის ყვავილწნულებით მორთული საკაცით მოგზაურობდა. ხორბლის მარცვლების ღეჭვით, ისედაც უზარმაზარს ტანსაცმლის ქვეშ შემოცმული საიალქნე ტილოსგან შეკერილი ჟილეტი უფრო დიდს აჩენდა. ჟილეტში, როგორც ტყვიები პატრონტაშში, ისე ეწყო ოქროს ზოდები. ერენდირაც მასთან ერთად იყო. მდიდრულად ჩაცმულს ძაღლის ჯაჭვი ჯერ კიდევ ება კოჭზე.

— საწუწუნო არაფერი გაქვს, — უთხრა ბებიამ სასაზღვრო ქალაქის დატოვებისას, — დედოფლის ტანსაცმელი გაცვია, მარკიზას საწოლში გძინავს, საკუთარი მემუსიკენი გყავს და 14 ინდიელი მსახური. ხომ შესანიშნავია?

— დიახ, ბებია.

— მე რომ აღარ გეყოლები, — გააგრძელა ბებიამ, — სამოწყალოდ აღარ გექნება საქმე. დიდ ქალაქში საკუთარ სახლში იცხოვრებ ბედნიერი და თავისუფალი.

ეს სიახლე იყო. ბებიას რატომღაც აღარ უხსენებია ვალი, რომლის გადახდის ვადები რაც დრო გადიოდა, უფრო ბუნდოვანი ხდებოდა. ბებიას რომ ფიქრები არ ამოეცნო, ერენდირას არც ამოუოხრავს, ასე ხმისამოუღებლად გაუძლო საწოლის სატანჯველს სადაფის მაღაროებთან, დახუთულ სოფლებში, ბებია კი მომავალზე უმღეროდა, თითქოს ბანქოს ქაღალდზე მკითხაობსო. ერთ საღამოს, ვიწრო ხეობას რომ გასცდნენ, ქარმა დაფნის სურნელი და იამაიკურ ენაზე საუბრის ხმები მოიტანა. გულმა ძგერას უმატა და სიცოცხლეს ხალისი მიეცა, ეს იმიტომ, რომ ზღვას მიუახლოვდნენ.

— აი ისიც, — თქვა ბებიამ და ნახევარი ცხოვრების მანძილზე უდაბნოს ჰაერნასუნთქმა ახლა შვებით ჩაისუნთქა კარიბის გამჭვირვალე ჰაერი — არ მოგწონს?

— დიახ, ბებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარავიც იქვე დასცეს. ბებია მთელი ღამე თვალმოუხუჭავად ბოდავდა და ხანდახან წარსულის ნოსტალგიას მომავლის სურათებში ურევდა. მეორე დილით ჩვეულებრივზე მეტი იძინა და ზღვის ხმაურით დამშვიდებულს გაეღვიძა. და სანამ ერენდირა ბანდა, მომავლის ისეთ სურათებს ხატავდა, იფიქრებდი, ფხიზელი ბოდავსო.

— ყველასგან პატივცემული მაღალგვაროვანი ქალბატონი იქნები. შენზე დაბლა მდგომნიც პატივს გცემენ, გემების კაპიტნები კი მსოფლიოს ყველა ნავსადგურიდან გამოგიგზავნიან ღია ბარათებს.

ერენდირა მას არ უსმენდა. მაიორანით შეზავებული წყალი გარედან მილით შემოდიოდა და აბაზანაში ჩხრიალებდა. ერენდირა ერთი პეშვით წყალს იღებდა და ფრთხილად ასხამდა ბებიას, მეორით კი საპონს უსვამდა.

— შენი სახელი და დიდება ხალხიდან ხალხს გადაეცემა ანტილიიდან ჰოლანდიამდე, — განაგრძობდა ბებია, — პრეზიდენტის სასახლემდეც მიაღწევს, იქ კი მთავრობის საქმეები და ხალხის ბედი წყდება.

უცებ მილში წყალი შეწყდა. ერენდირა კარვიდან გავიდა მიზეზის გამოსარკვევად და სამზარეულოში, შეშასთან მოფუსფუსე ინდიელი დაინახა.

— შეშა გათავდა ღუმელში, — უთხრა ინდიელმა, — ახლავე მოვიტან.

ერენდირა ღუმელს მიუახლოვდა, სადაც დიდ ქვაბში სურნელოვანი მცენარეებით შეზავებული წყალი თუხთუხებდა. ტილო აიღო და დარწმუნდა, რომ ქვაბს მარტოც ასწევდა.

— წადი, — გასძახა ინდიელს, — მე თვითონ ჩავასხამ წყალს.

დაიცადა, სანამ ინდიელი სამზარეულოდან გავიდოდა, ქვაბი აიღო და დიდი წვალებით ღართან მიათრია. ის-ის იყო მდუღარე წყალი უნდა გაეშვა, რომ ბებიამ თითქოს ყველაფერი დაინახაო, კარვის სიღრმიდან გამოსძახა.

— ერენდირა!

შეძიხებული ერენდირა შედგა.

— მოვდივარ, ბებია, — დაიძახა, — წყალს ვაგრილებ.

იმ ღამეს, სანამ ოქროს ჟილეტში გახვეული ბებია ძილში მღეროდა, ერენდირა საწოლში წრიალებდა და კატის თვალებს არ აცილებდა ბებიას.

შემდეგ ხელები გულზე დაიკრიფა, თვალები დამხრჩვალივით დაქაჩა და მთელი თავისი შინაგანი ხმით დაიძახა:

— ულისეს!

ულისესი შეშინებული წამოხტა საწოლიდან, ისე გარკვევით მოესმა ერენდირას ძახილი, რომ ერთ ხანს ბნელ ოთახშიც კი დაუწყო ძებნა. შემდეგ დაფიქრდა, თავისი ტანსაცმელი შეკრა და სახლიდან გავიდა. ტერასზე მამამისის ხმა დაეწია:

— საით მიდიხარ?

ულისესმა მთვარის შუქით განათებული მამა დაინახა.

— ქვეყანა დიდია...

— აშკარად არ დაგიშლი, — თქვა ჰოლანდიელმა, — მაგრამ გაფრთხილებ, სადაც არ უნდა წახვიდე, თან მამის წყევლა წამოგყვება.

— ეგრე იყოს, — თქვა ულისესმა.

შვილის სითამამით გაოცებულმა და ცოტა გაამაყებულმა ჰოლანდიელმა მთვარით განათებულ ფორთოხლის კორომამდე გააცილა ვაჟი ღიმმორეული მზერით. ზურგს უკან ლამაზი ინდიელი ცოლი ედგა. ულისესმა რომ ჭიშკარი გაიხურა, ჰოლანდიელმა თქვა.

— დაბრუნდება, ცხოვრებისგან დაჯაბნილი იმაზე ადრე დაბრუნდება, შენ რომ გგონია.

— ბრმა ხარ, — ამოიოხრა ქალმა, — აღარასოდეს დაბრუნდება.

ამჯერად ულისესს ერენდირას გზა-კვალი არავისთვის უკითხავს. ჩუმად მოგზაურობდა გზად შემხვედრი მანქანების საბარგულში მიმალული, თავს ხაქურდალი საჭმლითა და წყლით ირჩენდა. ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ იპარავდა, რისკის სიამოვნება რომ ეგრძნო. ბოლოს ზღვისპირას დაცემულ კარავს მიადგა, საიდანაც გაჩირაღდნებული ქალაქის შუშის სახლები მოჩანდა და სანამდეც არუბას კუნძულისკენ მიმავალი კაპიტნების გამოსათხოვარი საყვირის ხმა ისმოდა. საწოლზე დაბმულ ერენდირას ისევ ტალღებზე მოტივტივე დაძხრჩვალის პოზაში ეძინა. ულისესი ჩუმად ტკბებოდა ერენდირას სილამაზით, მაგრამ ისე დაჟინებით მისჩერებოდა, რომ გაალვიძა. ერთმანეთი გადაჰკოცნეს, შემდეგ აუჩქარებლად გაშიშვლდნენ და ჩუმი სინაზითა და გაუმხელელი ბედნიერებით, როგორც არასდროს, სიყვარულით მიეფერენ ერთმანეთს.

კარვის მეორე ბოლოში ბებიამ გვერდი იცვალა და ბოდვა დაიწყო.

— ეს იმ ხანებში მოხდა, ბერძნული გემი რომ ჩამოვიდა, — თქვა, — გადარეული ეკიპაჟი იყო. ქალებს ფულით კი არ უხდიდნენ სიამოვნების საფასურს, არამედ ცოცხალი ღრუბლებით, რომლებიც შემდეგ სახლში დააბიჯებდნენ და მომაკვდავი ადამიანებივით კრუსუნებდნენ, ბავშვებს ატირებდნენ და მათი ცრემლებით იჟღინთებოდნენ.

ბებია საწოლზე წამოჯდა:

— მაშინ იყო, ის რომ გამომეცხადა, ღმერთო ჩემო, ამადისზე მაღალი, კოხტა, ცოცხალი, ჯენტლმენი და ვაჟკაცური.

ულისესი ბებიას არ უსმენდა, მაგრამ წამომჯდარი რომ დაინახა, დამალვა სცადა.

— ნუ გეშინია, — დაამშვიდა ერენდირამ — ამ ადგილამდე რომ მიდის, სულ ასე ემართება, მაგრამ არ იღვიძებს.

ულისესი ერენდირას მხარს მიეყრდნო.

— იმ ღამეს მე მეზღვაურებთან ვმღეროდი და მომეჩვენა, თითქოს მიწა იძრა, — განაგრძო ბებიამ, — ალბათ ყველამ ასე იფიქრა, რადგან ყვირილით და სიცილით დაიფანტნენ. მხოლოდ ის იდგა გაუნძრევლად, თითქოს გუშინ იყო, ისიც კი მახსოვს რა სიმღერას ვმღეროდი, მაშინ მთელი ქვეყანა, თუთიყუშებიც კი ამ სიმღერას მღეროდნენ.

და ისე უსმენოდ და უმელოდიოდ, როგორც მხოლოდ ძილშია შესაძლებელი წაიღიღინა გულისმომკვლელი სიტყვები:

„დამიბრუნე, ღმერთო, ძველი უბიწოება,
თავიდან რომ დავტკბე მისი სიყვარულით".

მხოლოდ მაშინ დაინტერესდა ულისესი ბებიას ნოსტალგიით.

— აი, აქ იდგა, — განაგრძობდა ბებია, — ცალ მხარზე თუთიყუშით, მეორეზე კანიბალების დასახოცი მუშკეტონით, როგორც გუალტარალი ჩვენიაში და როგორც კი წინ დამიდგა და მითხრა, იმდენჯერ შემოვიარე მსოფლიო,

იძლენი რჯულის ქალი ვნახე, რომ უფლება მაქვს გითხრა: შენ მსოფლიოში ულამაზესი და უამაყესი ქალი ხარო, მაშინვე ვიგრძენი მკვდრის სუნი.

ბებია ბალიშს მიესვენა და აქვითინდა..

ერენდირა და ულისესი ჩუმად იწვნენ და ბებიას არათანაბარ სუნთქვას უსმენდნენ, უცებ ერენდირამ უყოყმანოდ ჰკითხა:

— შესძლებ მის მოკვლას?

გაოცებულმა ულისესმა არ იცოდა რა ეპასუხა.

— არ ვიცი, — თქვა. — შენ გაბედავდი?

— მე არ შემიძლია, — უთხრა ერენდირამ. — ბებიაა ჩემი.

მაშინ ულისესმა ბებია თვალით გაზომა და გადაწყვიტა:

— შენი გულისთვის ყველაფერს ვიზამ.

ულისესმა გირვანქა თაგვის შაქარი, ნალები და ჟოლო ათქვიფა და კრემსაწამლავით წინასწარ მომზადებული ბისკვიტი მორთო.

კრავში შემოსული, ტორტით ხელდამშვენებული ულისესი რომ დაინახა, ბებიამ 1კვერთხი აუქნია.

— უნამუსო, — დაუყვირა, — როგორ გაბედე ამ სახლში ფეხის მოდგმა?

ულისესი თავის ანგელოზის გამომეტყველებას ამოეფარა.

— პატიების სათხოვნელად მოვედი, — უთხრა, — დღეს ხომ თქვენი დაბადების დღეა.

ტყუილით განიარაღებულმა ბებიამ, ქორწილის შესაფერისი სუფრა გააწყობინა ერენდირას. ულისესი გვერდით მოისვა, სადღეობო სანთლები ერთი შებერვით ჩააქრო, ტორტი თანაბარ ნაჭრებად დაჭრა და ერთი ნაჭერი ულისესს მიაწოდა.

— არ მიყვარს ტკბილეული, — უთხრა ულისესმა, — თქვენ გითმობთ.

მეორე ნაჭერი ბებიამ ერენდირას შესთავაზა. ერენდირამ ტორტი სამზარეულოში წაიღო და ნაგავში გადაუძახა.

დარჩენილი ტორტი სულ ბებიამ შეჭამა, მთლიან ნაჭრებს იდებდა პირში, დაუღეჭავად ყლაპავდა და სიამოვნებისგან აკრუტუნებული და თვალებმიბნედილი ულისესს უყურებდა. თავის არჩივს რომ მორჩა, ულისესის დაწუნებულს მიადგა. ბოლო ნაჭერი რომ შესანსლა, მაგიდიდან ნამცეცები მოხვეტა და პირისკენ გააქანა.

ბებიას მიერ შეჭმული დარიშხანი ვირთხების მთელი მოდგმის მოსასპობლად კმაროდა. ბებია კი პიანინოს მიუჯდა, იმღერა და ბედნიერი დასაძინებლად დაწვა. ერთადერთი სიახლე ის იყო, რომ ძილში ახვრინდა.

ერენდირა და ულისესი საწოლიდან უთვალთვალებდნენ ბებიას და აღსასრულს უცდიდნენ, მაგრამ მომაკვდავის ხრიალის ნაცვლად, ბებიას სიცოცხლით სავსე ხმა გაისმა:

— მაშინ გავგიჟდი, ღმერთო ჩემო, ჰკუა დავკარგე, — ყვიროდა, — კარებს ორი საკეტით ვკეტავდი, რომ არ შემოსულიყო, კარებთან მაგიდას ვდგამდი და ზედ სკამებს და პირსაბანს ვაწყობდი, მაგრამ საკმარისი იყო ბეჭდით მოეკაკუნებინა და ბარიკადები თავისით იშლებოდა, მაგიდა თავისით იწეოდა გვერდზე და საკეტები თავისით იხსნებოდა.

ხმა უფრო და უფრო დრამატული ხდებოდა.

— მე ვგრძნობდი რომ ვკვდებოდი, შიშის ოფლში გაღვრილი. ჩუმად ვოვთქვამდი რომ კარი გაუღებლად გაღებულიყო, ის შემოუსვლელად შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო. არასოდეს წასულიყო და არც არასოდეს მოსულიყო. რომ არ მოეკლათ.

ყველაფერი მოყვა, ინტიმური წვრილმანებიც კი, თითქოს სიზმარში კი არა, ცხადში ხდებაო; გამთენიისას ხმა გაებზარა და [illegible].

— მე ის გავაფრთხილე, მან კი გაიცინა, — განაგრძობდა ყვირილით, — კიდევ გავაფრთხილე და კიდევ გაიცინა. მერე თვალები [illegible] გაალო და წამოიძახა: ო, დედოფალო! ო, დედოფალო! და ხმა [illegible] ვერა, დანით გახვრეტილი ყელიდან ამოუვიდა.

შეშინებულმა ულისესმა ერენდირას ჩაავლო ხელი.

— ბებერო მკვლელო! — დაიყვირა.

ერენდირამ ყურადღება არ მიაქცია. საათებმა ხუთი ჩამოჰკრეს. უკვე თენდებოდა.

— წადი, — უთხრა ერენდირამ, — ახლა გაიღვიძებს.

— სპილოზე სქელკანიანია, — თქვა ულისესმა, — ეს შეუძლებელია.

ერენდირამ გამანადგურებელი მზერა ესროლა.

— უბრალოდ, შენ არ შეგიძლია არავის მოკვლა, — უთხრა.

ბრალდებით აღელვებულმა ულისესმა კარავი დატოვა. ერენდირა კი სანამ არემარე ჩიტების სტვენამ არ აავსო, ჩუმი ზიზღით უყურებდა ბებიას.

მალე ბებიამ გაიღვიძა და ტკბილი ღიმილით გახედა ერენდირას.

— ღმერთმა გიშველოს, შვილო, — თქვა.

ერთადერთი შესამჩნევი ცვლილება ის იყო, რომ დღეები აერია. თუმცა ოთხშაბათი იყო, საკვირაო კაბა მოისურვა და 11 საათამდე კლიენტების მიღება აკრძალა. ფრჩხილები წითლად შეაღებინა ერენდირას და თმა სადღესასწაულოდ დაავარცხნინა.

— არასდროს ასე არ მდომია შელებვა! — წამოიძახა.

ერენდირამ ვარცხნა დაუწყო, მაგრამ სავარცხელი ჩამოუსვა თუ არა, ხელში თმის ბღუჯა შერჩა. შეშინებულმა თმა ბებიას აჩვენა. ბებიამ თმა დაათვალიერა, მერე თვითონაც სცადა და ხელში მეორე ბღუჯა შერჩა. თმა ძირს დაყარა და ახლა უფრო დიდი ბღუჯა ჩამოიღო. შემდეგ სიცილ-სიცილით და გაუგებარი სიხარულით ორივე ხელით დაიწყო თმის გლეჯა და სანამ თავი გასუფთავებულ ქოქოსის კაკალს არ დაემსგავსა, არ მოისვენა. ულისესი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გამოჩნდა და თავის მოსვლა ჰოტის კივილით ამცნო ერენდირას.

ბებია პიანინოს უკრავდა და ისე ჩაძირულიყო ნოსტალგიაში, რომ არც ესმოდა, ირგვლივ რა ხდებოდა. თავზე მბზინავი ფრთების პარიკი ეხურა.

ერენდირამ ჰოტის კივილი რომ გაიგო, მხოლოდ მაშინ შეამჩნია დენთის პატრუქი, რომელიც პიანინოდან ამოდიოდა და სიბნელეში იკარგებოდა. ერენდირა გარეთ გაიქცა და ულისესთან ერთად ბუჩქებში ჩაიმალა. ორივემ იმედიანი მზერით გააცილა ცისფერი ალი, რომელიც პატრუქს გაჰყვა და კარავში გაუჩინარდა.

— ყურები დაიცე, — უთხრა ულისესმა.

ორივემ აიფარა ყურებზე ხელი, მაგრამ აფეთქებას ხმაური არ მოჰყოლია. კარავი შიგნიდან განათდა თვალისმომჭრელი შუქით, რომელიც მერე უჩუმრად გაუჩინარდა საკვამლე მილში.

ერენდირამ მკვდარი ბებიას შიშით კარგა ხანს ვერ გაბედა კარავში შესვლა და როცა გაბედა, ცოცხალ ბებიას გადააწყდა, რომელსაც მართალია პა-

რიკი დაწვოდა და ტანსაცმელი შემოფლეთოდა, მაგრამ ისე ყოჩაღად ტრიალებდა როგორც არასდროს და საბნით ცეცხლის ჩაქრობას ცდილობდა.

ბებიას ურთიერთგამომრიცხავი ბრძანებებით დაბნეული ინდიელების რია-რიაში ულისესი უჩუმრად გაიპარა. როცა ბოლოს და ბოლოს ცეცხლი ჩაქრა, კვამლი გაიფანტა და დამწვარი კარავი გამოჩნდა, ბებიამ [illegible]

— ეშმაკის ნახელავია. პიანინოები თავისით არ ფეთქდებიან [illegible]

ძალიან ეცადა ახალი უბედურების მიზეზის გამორჩხრეკას, მაგრამ ერენდირას საქციელში საეჭვო ვერაფერი შენიშნა, ულისესი კი სულ არ გახსენებია. მთელი ღამე გაათენა, ზარალს ითვლიდა და ვერსიებს აგებდა.

მეორე დილით, ერენდირამ ოქროთი სავსე ჟილეტი გახადა, რომელიც მხრებზე და მკერდზე ხორციანად დამწვარიყო. სანამ ერენდირა დამწვარზე კვერცხის ცილას ადებდა, ბებიამ თქვა: საოცარი სიზმარი ვნახე. ალბათ, ძილში ვტრიალებდი. გონება დაძაბა და სიზმარი ცხადად წარმოიდგინა. — ფარშევანგი მესიზმრა თეთრ ჰამაკში, — თქვა. ერენდირა გაოცდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— კარგის ნიშანია, — იცრუა,— ფარშევანგი სიზმარში დიდხანს სიცოცხლეს ნიშნავს.

— ღმერთმა გისმინოს, — თქვა ბებიამ. — თორემ მაშინდელივით, თავიდან გვაქვს ყველაფერი დასაწყები.

ერენდირა არ შეშფოთებულა. კომპრესის თეფშით ხელში გარეთ გავიდა და კვერცხის ცილაწასმული და თავზე მდოგვის საფენებდადებული ბებია მარტო დატოვა.

ის იყო თეფშში ცილის თქვეფა დაიწყო, რომ ღუმელს უკან ულისესის თვალები გამოჩნდა, როგორც მაშინ, პირველად რომ შემოძვრა კარავში.

არ გაოცებულა, მხოლოდ დაღლილი ხმით უთხრა:

— ერთადერთი, რასაც მიაღწიე ისაა, რომ ჩემი ვალი გაზარდე.

ულისესი გაშეშდა და უხმოდ მიაჩერდა ერენდირას, რომელიც თითქოს ბიჭს ვერც ამჩნევსო, ფრთხილად თქვეფდა კვერცხის ცილას, ცოტა ხნის შემდეგ თვალები ამოძრავდნენ და სამზარეულოში მიმოიხედეს , სადაც ჯამები, თეფშები და დანები ეწყო. ულისესი უხმოდ ადგა, ბრეზენტქვეშ შევიდა და დანა ჩამოხსნა.

ერენდირა მისკენ არ შებრუნებულა. ულისესს მხოლოდ სამზარეულოს კართან მიეწია მისი ხმა:

— ფრთხილად იყავი, — უთხრა, — სიკვდილის ნიშანი უკვე ნახა სიზმარში. თეთრ ჰამაკში მონანავე ფარშევანგი ესიზმრა.

ბებიამ დანამომარჯვებული ულისესი რომ დაინახა, დიდი წვალებით, უკვერთხოდ წამოიწია და დაუძახა:

— ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო!

ულისესმა ისკუპა და შიშველ მკერდში ჩასცა დანა. ბებიამ ამოიკვნესა, ულისესს ზედ დააწვა და თავის დათვის ტორებით ბიჭის მოგუდვა სცადა.

— ბოზიშვილო! — დაიყვირა, — გვიან მივხვდი, რომ მოღალატე ანგელოზის სახე გაქვს.

მეტი ვერაფრის თქმა მოასწრო, რადგან ულისესმა თავი გაითავისუფლა და მეორედ ჩასცა დანა, ამჯერად გვერდში.

ბებიამ ამოიკვნესა — და მთელი ძალით მოხვია ხელები თავდამსხმელს.

ულისესმა მესამედაც შეუბრალებლად ჩაარტყა. სისხლმა ზემოთ აასხა და ბიჭის სახე შეუღება. სისხლი ყარდა და პიტნის თაფლივით მწვანედ ბზინავდა.

შესასვლელში ერენდირა გამოჩნდა თეფშით ხელში, და ბრძოლას თვალისდაუხამხამებლად მიაჩერდა.

დიდ, მონოლითურ და ტკივილისგან მბღლვინავ ბებიას მაგრად ჩაებღაუჭა ულისესი. ხელები, ფეხები, შეხვეული თავიც კი სისხლისაგან გამწვანებოდა. მისი ქშინვა ხრიალი იქაურობას ავსებდა. ულისესმა მხრებში [illegible]ვისუფლ თავი, დანით მუცელი გაუფატრა და თავიდან ფეხებამდე მწვანე სისხლში შეღება. ბებიამ ხრიალით ჩაისუნთქა და პირქვე დაემხო.

ულისესი ბებიას ულონოდ ჩამოვარდნილ ხელებს დაუსხლტა და წამის დაუკარგავად კიდევ ერთხელ ჩაარტყა დანა ძირსდავარდნილ სხეულს.

ერენდირამ თეფში მაგიდაზე დადგა. ბებიას თავზე დაიხარა, შეუხებლად დაათვალიერა, დარწმუნდა მკვდარიაო და უცებ, მისმა ბავშვურმა სახემ ოცი წლის ნატანჯი მოზარდის გამომეტყველება მიიღო. სწრაფად დაწვდა ოქროთი სავსე ჟილეტს და კარვიდან გავიდა.

ბრძოლით გასავათებული ულისესი გვამის გვერდით იჯდა და რაც უფრო ცდილობდა სახიდან სისხლის მოწმენდას, უფრო ისვრებოდა, თითქოს ეს მწვანე სითხე მისი თითებიდან მოწვეთავდა. განსჯის უნარი მხოლოდ ჟილეტით ხელში კარვიდან გამავალი ერენდირას დანახვაზე დაუბრუნდა. ხმამაღლა დაუძახა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

გასასვლელთან მიფორთხდა და დაინახა ზღვის გასწვრივ, ქალაქის მოპირისპირე მხარეს გაქცეული ერენდირა. მაშინ უკანასკნელი ძალების მოკრებით სცადა დასწეოდა, მაგრამ მისი ტირილნარევი ძახილი საყვარელისას კი არა, უფრო შვილის ხმას ჰგავდა.

ბებიას ინდიელებმა ულისესი ქვიშაში თავჩარგული და მარტოობისა და შიშისგან ცრემლად დაღვრილი იპოვეს.

ერენდირას მისი არ ესმოდა, ირემივით სწრაფად მირბოდა ქარის საპირისპიროდ და ამქვეყნიურ არანაირ ხმას არ ძალუძდა მისი შეჩერება. სირბილით ჩაუარა სადაფის მაღაროებს, გვარჯილის გუბეებიან სოფლებს, უდაბნოსაც გასცდა და მწველი ქარების, მუდმივი საღამოებისკენ აიღო გეზი, სადაც დაიკარგა კიდეც მისი კვალი.

□

# სალიხ ბურტუევი (ბალყარეთი)

## ოთხი ვაშლის ხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემა

თარგმნა მაყვალა გონაშვილმა

გინახავთ? როგორ გადაივლის მზის ყვითელ რაშით
მარად ჭაბუკი ალიონი ზეცის ბილიკებს?
როგორა ფერავს მეწამულით ციცაბო კლდეებს,
მწვანე ველ-მინდვრებს სხივით როგორ მოაგვირისტებს?
მე ერთხელ ვნახე, სოფლის ბოლოს,
ჩვენს მაღალ მთებში,
ვნახე და დიდი მშვენებისგან გავქვავდი ლამის,
ოქროსფერ ფაფარს მაღალ მთებზე შლიდა მზის რაში,
ჯეჯილში სხივი მოგორავდა, ვით მძივი ქარვის.
ჩემს დანახვაზე ოქროს რაში შეჩერდა წამით,
წამით გაყუჩდა მოგუგუნე ტყე და მთა-ბარი
და ალიონმა, გულნათელმა ჭაბუკმა მთხოვა,
მეამბნა ჩემი სოფლისა და ხალხის ამბავი.
რა უნდა მეთქვა
მე, მადლიერს მზით და სიცოცხლით,
დიდი მშვენებით დამუნჯებულს რა უნდა მეთქვა?
რომ მზის წყალობით ჩიტუნების ფლეიტას ვუსმენ,
რომ მისი მადლით ნატვრის ხეზე კვირტები ფეთქავს.
მიტომ ვჩურჩულებ ლოცვასავით: — მზეო, ნათელო,
შენთან საუბარს მე პირისპირ როგორ გავბედავ?
გვედრებ, მასმინე საოცარი შენი გალობა!
მიამბე რამე, სიკეთის და სიმართლის დედავ!

### მზის ნაამბობი

ერთხელ დილით, როცა მთებზე
ჩამოეფინე სხივთა ფარდა,
დავინახე სულთანბეგი,
ბაღში ვაშლის ხესა რგავდა.
იქვე იყო დედამისი
თამაჰალარა ყურმანკიზი,
სულთანბეგი ჩურჩულებდა:
— გაიხარე, ჩემო ხეო,
შენი ნაზი ყვავილების
ფანტელცვენა მანახეო,
დავინახე, მერე სალიმს
თავზე ხელი გადაუსვა

და პაწიაც სიამისგან
გაყუჩდა და გაილურსა.
— შენს სახელზე მე ხე დავრგე,
შენც ხესავით გაიზარდე.
ბედმა დე, წყლის ძალა მოგცეს,
მზის სიკეთე, კლდის სიმაგრე,

როცა შვილი გეყოლება,
შვილო სალიმ, შენც ხე დარგე.
რომ ვაშლის ხე ამ მიწაზე
ზღაპრულ ლამპარივით ენთოს,
მაშინა ვთქვი, ჰოი, ჩემო ალაჰ,
აუხდინე ნატვრა, ღმერთო.

* * *

გაიარა ერთმა წელმა,
კვლავ ხე დარგო სულთანბეგმა.
მე კი შრომა დავულოცე,
ნერგს რტოები დავუკოცნე.
კვლავ ჩურჩულებს სულთანბეგი:
გაიხარე ჩემო ხეო,
შენი თეთრი ყვავილების
ფანტელცვენა მანახეო.

გაიზარდე შენ სალიხის,
ჩემი ვაჟის საიმედოდ,
შენი ტკბილი ვაშლი მისთვის
უნდა ხშირად გაიმეტო.
სულ არ ესმის დღეს სულთანბეგს
ჩუმი კვნესა თეთრი ქარის,
ბედნიერი კაცი ჰქვია,
ორი ვაჟის მამა არის.

* * *

რაზედ მოულხენია აულს მთაზე შეფენილს?
ასე გაზაფხულება დღესასწაულს შეჰფერის.
შეეძინა სულთანბეგს დღეს ნანატრი ასული,
სიხარულით მეშვიდე ცამდის არის ასული.
ყურმანკიზი გამხდარა ქალიშვილის ბებია,
შარშანდელი თოვლივით დარდი დავიწყებია.
ვაჟი — მამის იმედი, გვარის გამგრძელებელი,
ძმისთვის კარი გახსნილი, მტრისთვის რკინის კედელი.
ქალიშვილი — სიკეთე, სხივი თვალთა გუგებში,
მამის რწმენა, სიწმინდე, დედის დიდი ნუგეში,
სულთანბეგი ნერგს იღებს, თან შვილს ეჩურჩულება:
— სილამაზე მოგმადლოს ნეტავ დედაბუნებამ.
ამ ხეს შენს სახელზე ვრგავ, პაწაწინავ, იცოდე,
მინდა ნათელ მზეს ჰგავდე და ნათელა გიწოდე.

## 22 ივნისი

მთებიდან შავი ფრთები მძიმედ აკეცა ღამემ,
თენდება სოფლად 22 ივნისის დილა.
ბუ ფუღუროში დაემალა ჩემს ნათელ სხივებს,
თავი დამიკრეს გვირილებმა მდინარის პირას.
ადექით, ხალხო, ღამემ უკვე დაკარგა ფერი,
ყველას ოჯახში გავაგზავნე სხივები მწველი,

ო, ყურმანკიზო, მეც დამასწარ ნუთუ ადგომა,
და დედო ძროხას დილა-ბინდზე ბოსელთან წველი.
სათლს ისე შვენის რძის ქაფქაფა და თბილი ორთქლი,
როგორც მწვერვალებს ნისლი წმინდა და ხელუხლები,
ამ დროს მამალმა დაიყივლა სახლის მხარეზე,
შეკრთა მოხუცი, მოეკვეთა შიშით მუხლები.
— აქშა, შე სამგლე, რაღა სახლის მხარეზე ყივი, —
თქვა ყურმანკიზმა, გაბრაზებით წამოდგა იმ წამს,
ჯოხს ხელი სტაცა, სათლს წამოჰკრა უეცრად ფეხი,
რძის თეთრი ქაფი ფანტელივით მოედო მიწას,
რძეც დამეღვარა, ეს ხომ ცუდის ნიშანი არის,
რა უცნაურად აბუბუნდა დედა-ბუნებაც,
მამალმა ჩვენი სახლისაკენ რად დაიყივლა?
ოი, ინშალახ, გული რაღაც ავს მეუბნება.
შემობრუნდა და ეს რას ხედავს, წითელ ნიკორას
რძე სულ შეუსვამს, ცარიელ ცურს ეთამაშება.
დავრჩით ურძეოდ, ეს რა ავი დღე გაგვითენდა,
რა დააშავეს, ღმერთო, ღმერთო, ნეტავ ბავშვებმა,
აჰა, სახლიდან ფერნამკრთალი გამოდის აბა,
ქალს ქარი ნაზად უფრიალებს ნაცრისფერ კაბას.
— ჰო, ბედმა მართლაც უწყინარი მარგუნა რძალი,
რა ხდება? რატომ არ იპკურა სხეულზე წყალი.
არ გაუშლია ნუთუ წუხელ ვნების ლოგინი?
არ უგემნია მთელი ღამე ქმართან ალერსი?
აკი ვამბობდი,
დღეა ნავსი და უსახური,
არსთაგამრიგევ, რას გვიპირებ, რა ვქნა, არ მესმის,
ყურმანკიზს ქვეყნად ავის მეტი რა უნახია,
ზოგი უთქვამს და ზოგიც გულში დაუმარხია,
მაგრამ ამ დილის მსგავსად ნავსი არ ახსოვს დილა,
ქვევით მიწაა მოწმე,
ზევით კი ალაჰია.

### კვლავ მზის ნაამბობი

შავი ღამე აწევს მიწას, მთელ ევროპას აწევს ღამე,
დავიღალე კაცის კვნესით, მწუხარებით დავიღალე,
სულთანბეგო, სხვა რა გზაა, მიატოვე შენი ბუდე,
მუხლში ცეცხლი ჩაიყენე, გულში სევდა ჩაიგუბე.
ცოლს ნუგეშის სიტყვა უთხარ, ბედს უთხარი სამდურავი,
მიატოვე შენი მთები, არწივების საბუდარი,
ასულს შუბლზე ემბორე, აუჩქე ვაჟებს თმები,
დედას უთხარ, ტანჯულ დედას, რომ უთუოდ დაბრუნდები,
რომ დაიცავ მამულს მკერდით, რომ ალაჰი არ გაგწირავს,
სულთანბეგო, ნეტავ საით მიგაქვს ნერგი პაწაწინა.

## განშორება

— მე ვერ შევხვდები, შვილო, შენს მობრძანებას ქვეყნად,
ლოცვას უჩემოდ გეტყვის შენი საბრალო დედა,
ზეცამ გაშოროთ სეტყვა, გფარავდეთ უფლის თვალი,
— თქვა სულთანბეგმა, ოთხ ჩეს კრძალვით დაუკრა თავი.
ღიმილით გამაცილე, აბა, ქვითინი კმარა,
კოცნით შეუშრო ცრემლი ცოლს, თანაც დაუბარა: —
— აზრუმი დაუძახე, ვაჟი თუ დაიბადა!
თან გაიფიქრა: — ღმერთო, გადააფარე კალთა.

## მზის საუბარი აბასთან

ქმარს ელოდი და მოვიდა ელდა,
ჰო, უბედობა გეწვია, აბა,
თუმც ღირსი იყავ ფერადი ფარჩის,
ტანთ სევდისფერი გაცვია კაბა.
წასულან შენი გაზაფხულები,
ტრფობის წამებიც უკვე შორს არის:
სიმარტოვიდან სიმარტოვისკენ
მარცვლე დღეების კრიალოსანი.
და ეს ქარებიც და ეს წვიმებიც,
წავლენ ბაღიდან, არაფერია,
ყური დაუგდე განთიადისას,
ვაშლის ხეები როგორ მღერიან.

## პირველი ვაშლის ხის სიმღერა

მე პირველი ვხვდები წვიმებს,
მზის სხივებს და ღრუბლის ფარას
და თუ სეტყვა წამოვიდა,
დედის ლოცვა დაგვიფარავს,
აქ გვახარა სულთანბეგმა
მზესთან ახლოს, ცასთან ახლოს,

მისი ყველა სიტყვა ახლაც,
ძმებო, ანდერძივით მახსოვს,
წლები, როგორც მუჭში წყალი,
წვეთ-წვეთობით იპარება,
ხე ნაყოფით, ჩიტი ბარტყით,
კაცი შვილით უკვდავდება.

## მეორე ვაშლის ხის სიმღერა

დღეს მზის ჯილა მადგას თავზე,
და რტოებში მღერის ქარი,
მიწას შვენის მწვანე ფარჩა,
გადახსნილა ზეცის კარი.
გაიზარდა სასახელო
ვის სახელზეც მე მახარეს,

კარგი საქმით გულს უხარებს
დედასა და მშობელ მხარეს.
მიხარია მისი ნახვა
და მეც რტოებს ლალადა ვშლი,
აჰა, სიყვარულის წყარო,
აჰა, უკვდავების ვაშლი.

## მესამე ვაშლის ხის სიმღერა

მე ნათელასთვის დამრგეს ამ ბაღში,
მისი სახელი მქვია სახელად,
ხეები ჩუმად ვიტანთ ტკივილებს,
არა გვჩვევია დარდის გამხელა,
ეს არ გეგონოთ ცვარი ციური,
ეს ცრემლებით მაქვს კვირტები სველი,
და ჩემს რტოებში სევდის ობობას
მოუბლანდია ყვითელი ქსელი,
და საბანაოდ თეთრი მთოვარი
ეწვევა როცა მდინარე აკ-სუს,
როცა ხეები შეწყვეტენ ჩურჩულს,
ჩუმად დავტირი მზისადარ ასულს.
ქარო, ო, ქარო, წადი აბასთან,
უთხარ ასულზე დარდით დაზაფრულს,
მისი გოგონა ჩემს ყვავილებში
დაიბადება ყოველ გაზაფხულს.

## მეოთხე ვაშლის ხის სიმღერა

მოდი, აზრეტო, ძმაო და შვილო,
ჩვენ სიკვდილამდე ერთად ვიქნებით,
მე კარგად ვიცი, ჩემო ძმობილო,
უმამოდ გაზრდილ ბიჭის ფიქრები.
უმამოდ როცა იზრდება ბიჭი,
ნადირებს ძილში სულ მარტო ებრძვის,
უმამოდ როცა იზრდება ბიჭი,
გზებზე მრავალი დახვდება ძეძვი.
სიტყვაძუნწია უმამო ბიჭი,
არ გადაგიშლის ის გულს იოლად,
თუ სხვა იზრდება ნელ-ნელა, წლობით,
უმამო ბიჭი — ყოველდღიურად.
შენია ჩემი ტკბილი ნაყოფი,
ჩემი ფესვები და ჩემი ჩერო.
მოდი, მოგხვიო მხრებზე რტოები,
ჩემო შვილო და ძმობილო ჩემო!

## მზის მონოლოგი

არ დაგავიწყდეს შენი აული,
თუნდ ცხრა ზღვა, ცხრა მთა გადაიარო,
რომ გაახარო ნერგი კეთილი,
იმიტომ ცოცხლობ, ადამიანო!

□

# ნიკოლაი ევდოკიმოვი

## მოლოდინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

თარგმნა ნათელა ლორთქიფანიძემ

კარი რომ გამოაღო, ნინა სტეპანოვნამ ზღურბლზე ჩვიდმეტიოდე წლის გოგო დაინახა.

— გამარჯობათ, — უთხრა გოგონამ ბედნიერი ღიმილით.

— გაგიმარჯოს, — მიუგო ნინა სტეპანოვნამ და გოგო ოთახში შემოუშვა; ეჭვადაც არ გაუვლია, თუ ვის უშვებდა შინ.

იდგა ოცდაცხრა აგვისტო, ნინა სტეპანოვნას დაბადების დღე, იმ დღეს იგი სამოცდათვრამეტი წლისა გახდა.

რასაკვირველია, უცხოებს, გარეშე ხალხს ნინა სტეპანოვნა ერთი ჩვეულებრივი დედაბერი ეგონათ — არად ჩასაგდები მიხრწნილი არსება, სამუდამო სასუფევლის მოლოდინში მყოფი. მაგრამ თავად ნინა სტეპანოვნა თავს დედაბრად არ გრძნობდა, თუმცა მარტოხელა იყო. სნეული და სხეული მართლაც დაუძლურებოდა, ცხოვრებაც უჭირდა. კი ბატონო, ამას არც უარობდა, მაგრამ სულით იყო ახალგაზრდა. რაღა თქმა უნდა, მომავალი ნინა სტეპანოვნას აღარ ჰქონდა, რამეთუ მარტოხელა მოხუცს რა ცხოვრების შეცვლის ან სიკეთის მოლოდინი უნდა ჰქონოდა, მაგრამ წარსული კი მართლაც გააჩნდა და ფიქრებით იმ ტკბილ წარსულში დაბორიალობდა, თუმცა თავს გადახდენილი და განცდილი ბევრი რამ აღარ ახსოვდა. არა, ბედს როდი უჩიოდა, განა არ გაეგებოდა, რომ ყოველი განვლილი დღე ბალღობას, გარდასულ ნათელ სინორჩე-სიყმაწვილეს კი არა, თანდათანობით იმ საათს აახლოებდა, როცა ამ მშვენიერ დედამიწას დატოვებდა და იდუმალ სივრცეში გადასახლდებოდა, დედამიწა კი უმისოდ მაინც იფუსფუსებდა კვლავინდებურად, როგორც თავად დაფუსფუსებდა უპავლიკოდ, თავისი დაუვიწყარი ვაჟიშვილის უმისოდ, ოცდათხუთმეტი წლის წინათ უგზოუკვლოდ რომ დაიკარგა სამამულო ომის ფრონტზე.

ნინა სტეპანოვნას არც სურდა და არც შეეძლო დაეჯერებინა, რომ პავლიკი დაიღუპა და ელოდა ვაჟს, თუნდაც დასახიჩრებულსა და დაავადმყოფებულს თუნდაც ცალხელას ან ცალფეხას, ოღონდაც ცოცხალი და თბილი ენახა, ეგრძნო მისი ცხელი ოფლის სუნი. ნინა სტეპანოვნა მრავალი წელი ეძებდა შვილს, რა წერილები აღარ დაგზავნა სათანადო ორგანიზაციებში, რადიოშიც მისწერა და გაზეთშიაც. რადიომ გადმოსცა მისი თხოვნა, გამოგვეხმაურეთ, ვინ იცნობდითო ამ ქალის ვაჟს; გაზეთმა დაბეჭდა მისი წერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, არვინ გამოპასუხებია ნინა სტეპანოვნას გულმხურვალე მუდარას.

წლითიწლობით რწმენა იმისა, რომ მოესწრებოდა პავლიკის ნახვას, კი არ შეერყა, ზმანებად ექცა, როგორც ზმანებასავით ჩარჩენოდა ხსოვნაში ვაჟიშვილის ძვირფასი სახე, რომელსაც ახლა მისხის-მისხით ველარც გაიხსენებდა. თვალებს რომ დახუჭავდა, პავლიკის სახეს კი არა, თავის საწოლს ზე-

მოთ ჩამოკიდებულ შვილის სურათს ხედავდა: წინათ ეჩვენებოდა, რომ ჭაბუკ პავლიკის სურათი, რომელიც მან სამხედრო სასწავლებლის დამთავრებისას, ფრონტზე წასვლის წინადღით გადაიღო, მაინცდამაინც არ ჰგავდა მის შვილს. წინათ ნინა სტეპანოვნას არ უყვარდა შვილის ეს ბოლო სურათი, რადგან იგი სიმართლეს არ ასახავდა, არ გამოხატავდა სიცოცხლით სავსე, წელში [illegible] გამართულ ტანად პავლიკს, თვალებში სიანცე რომ უკრთოდა; [illegible] მოსახული იყო სახეგაქვავებული, ცოტა ბენტერი ჯარისკაცი, თითქოს სულ უცხო ვიღაც. მაგრამ ახლა, როცა პავლიკის სახის ნაკვთები აღარ ახსოვდა, ნინა სტეპანოვნას ვაჟიშვილი სწორედ ასეთად ჰყავდა წარმოდგენილი, როგორც სურათზე იყო.

ნინა სტეპანოვნას ქმარი, ეგორ ეგოროვიჩი, კეთილი, მაგრამ მკაცრი და არცთუ ალერსიანი კაცი, ფრონტიდან ორმოცდაოთხ წელს ფილტვებგახვრეტილი დაბრუნდა, ხოლო ორმოცდახუთში, ომის დამთავრებამდე სამი დღით ადრე, სულიც განუტევა. ჰოდა, ვაგანოვის სასაფლაოზე განისვენებს. ნინა სტეპანოვნა მუდამ დადის ხოლმე ქმრის საფლავზე, მაგრამ რატომღაც ქმრის ხსოვნას მისთვის არ ახლავს ის დაუმცხრალი გულისტკივილი, რაც შვილისას. ალბათ იმიტომ, რომ პავლიკი დაიკარგა, კაცმა არ იცის, სად გაქრა და, თუ ცოცხალია, ვინ იცის, როგორი აწრიალებული ცხოვრება აქვს და როგორი იტანჯება — ამიტომაც სტკივა ამდენი წელიწადია დედის გული, რომ ვერაფრით შველის შვილს. ხოლო თუ დაიღუპა, რას გაიგებ, სად არის მისი საფლავი? იქნებ ბალახმოდებულია და მოუვლელი, — ვინ დაიტირებს ან ყვავილებს ვინ დაურგავს? ეგორ ეგოროვიჩი კი, ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს და, დაბინავებულია, შველა არ სჭირდება და ზრუნვა, აგერ ნინა სტეპანოვნას თვალწინ წევს, მიწაში.

უკვე რამდენი წელიწადია ყოველ 9 მაისს, გამარჯვების დღესასწაულზე, ნინა სტეპანოვნა კოხტად გამოეწყობა ხოლმე და კულტურისა და დასვენების პარკისკენ გასწევს, სადაც ამ დღეს ყოფილი ფრონტელები იკრიბებიან, რომ თანაპოლკელებსა და თანამებრძოლ ამხანაგებს შეხვდნენ. დადგება ნინა სტეპანოვნა მათ შორის მთავარ ხეივანში, ხელში კი გრძელი ჯოხი უჭირავს, რომელზედაც ჭიკარტებით მიმაგრებული აქვს პავლიკის სურათი და ნაწერი: „თუ შეიძლება, გაიხსენეთ ჩემი ვაჟი პავლიკ ივანოვი, 1923 წელს დაბადებული, უმცროსი ლეიტენანტი". მაგრამ ვერავინ გაიხსენა პავლიკი. ნინა სტეპანოვნა გვიან შეღამებამდე იდგა ხოლმე ამ გამხიარულებულ და თან სევდიან ადამიანებს შორის და შინ მაშინღა მიდიოდა, როცა ხეივანი ხალხისგან დაიცლებოდა.

თუმცაღა იქვე, მის გვერდით, მასავით დიდხანს და უიმედოდ მუდამ იდგა ხოლმე ვიღაც კეთილშობილური გარეგნობის ბერიკაცი, ჭკვიანი, ყურადღებამისაქცევი სახე რომ ჰქონდა, ალბათ სწავლული იყო ვინმე, ან არტისტი, ან იქნებ მწერალიც. ამ კაცს ეჭირა სურათი ყმაწვილი, ლამაზი ქალისა, ჯარისკაცის ლაბადა რომ ეცვა. ეს გოგონა მისი ქალიშვილი იყო, 28-ე მსროლელთა დივიზიის 216-ე მსროლელთა პოლკის სანინსტრუქტორი მაშა უსტინოვა, რომელიც პავლიკივით უგზოუკვლოდ დაიკარგა 43 წელს. ნინა სტეპანოვნა ყოველ წელიწადს ხვდებოდა ამ მოხუცს და ზემოთ აღმართული ვაჟიშვილის სურათი რომ ეჭირა, ფიქრით პავლიკსა და ამ ლამაზ მაშა უსტინოვას დასტრიალებდა, მათ ბედ-იღბალს ერთმანეთს ბედნიერი დასასრულით უკავშირებდა ხოლმე. ცხოვრებაში ყველაფერი ხდებაო, ფიქრობდა, მაშ რად არ უნ-

და დავიმშვიდო თავი ოცნებით, რომ თითქოს პავლიკი და მაშა ერთურთს ფრონტზე შეხვდნენ, შეუყვარდათ ერთმანეთი და ისევე მხარდამხარ შეუდგნენ ცხოვრებას, როგორ მხარდამხარაც დევს აგერ აქ მათი სურათები, რომლებზედაც გამოსახულნი არიან ახლგაზრდა ლამაზი ვაჟი და ყმაწვილი ქალი, თითქოს ერთმანეთისთვის დაბადებულნი. რა მალხაზი ბავშვები ეყოლებოდათ ალბათ, ისინი ხომ ნინა სტეპანოვნას შვილიშვილები იქნებოდნენ, მოელოლიავებოდა მათ, ზოოპარკში წაიყვანდა სასეირნოდ, სკოლაში ატარებდა, გაკვეთილებს შეუმოწმებდა...

მთელი ოთხი წელი მუდამ ხვდებოდა ნინა სტეპანოვნა იმ ბერიკაცს, მაშა უსტინოვას სურათი რომ ეჭირა, და ყოველთვის სურდა გამოცნაურებოდა, მაგრამ ერიდებოდა მისი კეთილშობილური გარეგნობისა და ვერ გაცნობოდა, მხოლოდღა იმ ყმაწვილი მაშას ცქერით ტკბებოდა, პავლიკის საცებისო ცოლად და თავისი შვილიშვილების დედად რომ მიიჩნია.

საკუთარი დაბადების დღეს ნინა სტეპანოვნა მუდამ ადრიანად იღვიძებდა, მაგრამ მაშინვე როდი დგებოდა, ერთხანს ნეტარებდა, კარგ რაღაცებზე ფიქრობდა, მის აწეწილ სულს საზეიმო განწყობილება ეუფლებოდა და ტკბებოდა აზევებული ფიქრებით. დაბადების დღე — მისი საკუთარი დღესასწაული იყო და გახარებაც შეეძლო ასეთ ბედნიერ დღეს, რომელმაც მას სიცოცხლის სიხარული აჩუქა. თუგინდ მწარე ხვედრიც გერგოს, ეგ სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ცხოვრება ურვაა მხოლოდ. არ შეიძლება წუწუნი და ჩივილი, იმიტომ რომ მწუხარება, დანაკლისი, — ეს ყოველივე ცხოვრებაა, ასეთია მისი კანონი, სიხარულს დარდი ახლავს, მწუხარებას — ბედნიერება, ერთიმეორეს ცვლიან ხოლმე. ცხოვრება უნდა გწამდეს და გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის. ნინა სტეპანოვნა ცდილობდა ასე ეფიქრა, ცუდ ფიქრებს იმ დღეს არ აჰყვებოდა.

ასე იყო მუდამ. ბალღობაშიაც ასე ხდებოდა.

...ნინა საწოლში იწვა, ოთახში ვანილიანი ღვეზლის სუნი იდგა, რომელსაც დედა აცხობდა და ნინას გაღვიძება არც გაუგია. და თუმცა ბავშვი ადრე იღვიძებდა, ფანჯრის იქით უკვე სიცოცხლე დუღდა: ისმოდა ჭრიალი, მიხრაგინებდნენ საზიდრები და მტვერს აყენებდნენ, დანილოვის ბაზარზენაირნაირ სანოვაგეს ეზიდებოდნენ, ხოლო ბაზარი უკვე ქოთქოთებდა და ნინას ლოგინში ესმოდა იქაური ხმაური. გუბურაში დედაკაცები სარეცხს რეცხდნენ, ეზოსთან მეზობლის ტუტუცი ბიჭის ხითხითი ისმოდა. ნინას არ უყვარდა ეს ბიჭი, რადგან გუბურაში რომ ბანაობდა, ეს ბიჭი მუდამ ბუჩქებიდან უჭვრეტდა ხოლმე.

ნინა წყნარად გადაიძრობდა საბანს, სამზარეულოში დაიმალებოდა და ხმამაღლა ალავლავდებოდა — ჰამ, ჰამ, — დედას აშინებდა.

— ვაიმე, — იტყოდა დედა, — ეს ძაღლი საიდან გაჩნდა აქ?

სიცილით გაგუდული ნინა დედას მივარდებოდა, დედა ხელში აიტაცებდა ,გახარებული იყო, გოგომ რომ ასე მარჯვედ მოახერხა მისი შეშინება, და ჭდაიყვირებდა:

— მამა, მამა, ერთი ნახე, რა ფინია გვყავს!

მოირბენდა მამა. ნინა მასაც ლავლავს აუტეხდა, მამას ეშინოდა, იცინოდა და თავისი ძლიერი ხელებით მაღლა ისროდა ნინას. სულშეგუბებულ ბავშვს მამა გულზე მიიკრავდა, კოცნიდა და გრძელი ულვაშებით ულიტინებდა.

ნინა ყველაზე ბედნიერად, ყველაზე ლამაზად გრძნობდა თავს და ამი-

ტომაც იყო კეთილი და გულუხვი არამარტო ამ დღეს, არამედ მერეც, ხშირად, სხვა დღეებშიაც.

მამა ნოქრად მუშაობდა დანილოვის ბარის საფუნთუშეში. ჩააცმევდნენ პატარა ნინას სადღესასწაულო კაბას, მამას ხელს ჩაჰკიდებდა და მასთან ერთად მიდიოდა მაღაზიაში, სადაც საფუნთუშეს პატრონი მათ კართან ეგებოდა, ნინას ღვეზელს და ხუთ კაპიკს ჩუქნიდა. ნინა მერე ფულს ყულაბაში — თეთრ კატუნაში აგდებდა. მაღაზიის პატრონი მამას სამუშაოდან ათავისუფლებდა და იმასაც შვილი ქალაქის ცენტრში მიჰყავდა სასეირნოდ. სადოვაიას ქუჩას კონკით ჩაივლიდნენ, მერე სამხეცეში სპილოს სანახავად მიდიოდნენ, ნავით სეირნობდნენ ბოლშაია პრესნაიას გუბურაზე. გუბურასთან გამართულ ესტრადაზე უკრავდა სასულე ორკესტრი, დასეირნობდნენ ლამაზად ჩაცმული ქალები; ნინა ოცნებობდა, ნეტა მეც მეცვასო ოდესმე ასეთი გრძელი კაბა. წყალში გედები დაცურავდნენ, გალიებიდან ხალხს თვალებდაჭყეტილები მიშტერებოდნენ სასაცილო მაკაკები. დახლებზე, რა გინდა სულო და გულო, ელაგა: თაფლისკვერები, კანფეტები, ნაყინი... დიახ, დიახ, სწორედ ასე იყო ყველაფერი...

ან იქნებ არც იყო ასე, განა ყველაფერს დაიხსომებ კაცი? მაგრამ ყოველივე ამას ბედნიერება ერქვა.

საღამოთი ათასნაირი სანახაობითა და სიხარულით დაღლილი ნინა ძლივს მიაღწევდა ლოგინამდე და მაშინვე იძინებდა. მაგრამ დაძინებისას მუდამ გრძნობდა ხოლმე თავზე დედის თბილ, მსუბუქ ხელს, მისი ბაგის ნაზ შეხებას...

ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დრო გავიდა, მთელი საუკუნე გაილია, ნინა სტეპანოვნას კი ახლაც ახსოვს დედის ხელები, ალერსით რომ აწყნარებდნენ და სიკეთით ამხნევებდნენ. სამოცი წელი დედა აღარ არის, მაგრამ ახლაც, როცა ნაღველი მოერევა, როცა გულნატკენია, როცა ისე უჭირს, რომ სიცოცხლე აღარ უნდა და მწარე ცრემლები ღაპაღუპით სცვივა თვალთაგან, ნინა სტეპანოვნა დედას მოუხმობს ხოლმე. დედა, დედიკო, ჩემო მშობელო, ჩემო ერთადერთო! იტყვის და მაშინვე დაწყნარდება, გული მოეშვება, რადგან იგი კვლავ ბალღად, უმწეო გოგონად გრძნობს თავს, რომელსაც სწამს, იმედოვნებს და დარწმუნებულიც კია, რომ დედა საცაა შემოაღებს კარს, თავის კეთილ ხელს თავზე დაადებს, ტუჩებით შეეხება მის ლოყას და დედის ალერსის მომლოდინე ნინა სტეპანოვნას მაშინვე გაუქარვდება მწუხარება და დაუწყნარდება გული.

ნინა სტეპანოვნამ იცის, რომ სანტიმენტალური ბუნებისაა არის, მუდამ ასეთი იყო, ხოლო რაც წლები გადის, უფრო მეტად მიაქვს ყველაფერი გულთან ახლოს, რის გამოც ზოგჯერ იქნებ უცხოთა თვალში სასაცილოც კი ჩანს. მაგრამ გულჩვილობა განა ასეთი ნაკლია? ნეტა ვის რას ვნებს თავისი მგრძნობიარებით? განა ფხუკიანობა, გულბრაზიანობა, წყენიობა სჯობს?

თუმცა ასეთიც — ფხუკიანი, გულბრაზიანი, წყენია და ბუზღუნა — არცთუ იშვიათად არის ხოლმე ნინა სტეპანოვნა, განსაკუთრებით თუ შეუძლოდაა ან სიძაბუნე მოერევა. ასეთ დროს მას ყველაფერი აღიზიანებს — პურის რიგში დგომაც, კიბეზე დაგდებული პაპიროსის ნამწვიც, ტროლეიბუსში რომ ვინმე გაეხახუნოს, ისიც, ქუჩაში ხელგადახვეული ახალგაზრდების დანახვაც. ტრამვაის მგზავრებიც, უდიერად რომ იღებენ ისეთ სახეს, თითქოს ვერ ამჩნევენ ნინა სტეპანოვნას და ამიტომაც ადგილს არ უთმობენ.

ნინა სტეპანოვნა ასეთ თავხედებს ხმის ამოუღებლად თვალებით ჭამს, ზიზღით, დაცინვით შესცქერის ხოლმე, ბევრი ვერ უძლებს მის ცქერას, წამოდგება და ადგილს უთმობს....

ნინა სტეპანოვნას ამჟამინდელი დაბადების დღე ცუდად დაიწყო. დილა წვიმით შეეგება, მთელ ღამეს რომ ხმაურით და შარიშურით [illegible] იქაურობას, დილით კი ისე წვრილად და მომაბეზრებლად ჟააბა, შემოდგომა გვაგონებოდა. წინადღით მზიანი დარი იდგა, თბილოდა, [illegible] იყო და ამინდის შეცვლის გამო თუ იყო, სახსრები რომ ტეხდა. ჰოდაც ისე სტკიოდა, ალბათ წნევამაც აუწია. დილის პირველი საათები საკუთარ თავთან ბრძოლაში, ტკივილის შეგრძნების დაძლევაში გალია. მაგრამ ლოგინში არ გაჩერებულა, წამოდგა, ფანჯრიდან თითით დაემუქრა — სხვა ვისმე კი არა, ცუდ ამინდს, აქაოდა, გამოიდარეო, უბრძანა, — და სამზარეულოში გავიდა, სადაც წინა საღამოს მოზილა საიუბილეო ღვეზლის ცომი. წელს ნინა სტეპანოვნა თავის დაბადების დღეს პირველად ხვდებოდა საკუთარ სამზარეულოში, საკუთარ ერთოთახიან ბინაში, სადაც ნახევარი წლის წინ ჩაასახლეს. პოლიანკიდან გადმოიყვანეს, ძველი, დასანგრევი ბინა დააცლევინეს. თუმცა კარგა ხანს კი ალოდინეს. მთელი სახლი რომ დაიცალა და ნაწილი ჩამოინგრა, ნინა სტეპანოვნა ისევ ძველ ბინაში ცხოვრობდა. მაგრამ უცებ ყველა უფროსი, ვინც სახლის დანგრევის საქმეს განაგებდა, ერთად დატრიალდა, ნინა სტეპანოვნას საჩქაროდ მისცეს ორდერი, ერთ დღეში დაანგრიეს სახლი და მის ადგილას მაშინვე სკვერი გააშენეს. პირველ ხანებში ნინა სტეპანოვნას ენატრებოდა თავისი ძველი ბინა, რომელთანაც მოგონებები აკავშირებდა, იმ მყუდრო, წყნარ რაიონსაც შეჩვეული იყო. ახალი ბინა კი მოსკოვის ხმაურიან კუთხეში, ძველი ბოტანიკური ბაღის მახლობლად, იმ ლომბარდის გვერდით მდებარეობდა, სადაც ჯერ კიდევ ომამდე დადიოდა ხოლმე ნივთების დასაგირავებლად პავლიკთან ერთად.

ახალ სახლში დამსახურებული ხალხი ცხოვრობდა, მათ შორის ერია — კოსმონავტი, ტელევიზიის დიქტორი, ვიღაც მინისტრი. ნინა სტეპანოვნა რატომღაც ერთთავად იმას ფიქრობდა, ჰაიჰარად, რაღაც გაუგებრობით შემასახლეს ამ ბინაში, ერთხელაც იქნება გონს მოეგებიან და სხვა, უფრო ცუდ ბინაში გადამიყვანენო ალბათ, იქ, სადაც ჩვეულებრივი მცხოვრებლები სახლობენ, ჩემსავით უბრალო ხალხით.

სახლის სადარბაზოში ყმაწვილი გოგოები მორიგეობდნენ, რომელთაც ზეპირად იცოდნენ ამ სახლის ყველა ბინადარი და უცხოს თუ დაინახავდნენ, მაშინვე ეკითხებოდნენ, სად და ვისთან მიდიხართო. ყოველთვის, მათ რომ გვერდით ჩაუვლიდა, ნინა სტეპანოვნას გული უკანკალებდა, თითქოს ეშინოდა, ვაითუ მეც გამაჩერონ და არ გამატარონო. მაგრამ მხიარული, თავაზიანი გოგოები იყვნენ. ნინა სტეპანოვნას მუდამ ესალმებოდნენ და, თუ მძიმე ჩანთა ეჭირა ხელში, გამოართმევდნენ და კარამდე მიუტანდნენ.

— ოჰ, როგორ დატვირთულხართ, ბებო!

ნინა სტეპანოვნას განსაკუთრებით ის მოსწონდა, „თქვენობით“ რომ მიმართავდნენ ხოლმე. ზოგიერთმა ხომ მოდად შემოიღო ხანში შესულ ხალხთან „შენობით“ ლაპარაკი, აქაოდა, რაკი მოხუცდა ადამიანი, ღირსებაც აღარ გააჩნიაო. ახლა კი ნინა სტეპანოვნა მიეჩვია, ხან „ბებიას“ რომ ეძახიან და ხან „მოხუც ქალს“ („ამ მოხუცებული ქალის უკან ვდგავართ“, — იტყოდა ხოლმე ვინმე მაღაზიაში, რიგში დგომის დროს). მაგრამ ახლაც კი იმის გახ-

სენება, მოხუცს რომ ეძახდნენ — გულს კი არ ტკენდა, უფრო აღონებდა: ეს სადაური ზრდილობააო. სახლი, სადაც ახლა ნინა სტეპანოვნა ცხოვრობს, ხმაურიანი კომკავშირის მოედნის ახლოს დგას. ამ მოედანზე ხომ სამი სადგურია. აქ მუდამ ხალხმრავლობაა, ვინ გინდა, რომ აქ არ იყოს, ისე, თუ მივლინებით ჩამოსულები, ტურისტები, ქალაქგარეთ მცხოვრებნი, ვაგონების გამყოლები თუ სხვა რკინიგზელები. ამ ხალხითაა სავსე ახლომდებარე სასურსათო მაღაზიები, ერთთავად ფაცაფუცში არიან, ფორიაქობენ და, რაც მთავარია, აქ თავს სტუმრად კი არა, სრულუფლებიან ბატონ-პატრონად გრძნობენ — ერთს რომ ეტყვი; ათს გიპასუხებენ.

შინ, პოლიანკაზე ყველაფერი სხვანაირად იყო, იქ ყველა ერთმანეთს იცნობდა, ერთურთს ესალმებოდნენ, იქ ძველი, ზრდილი მოსკოვის სურნელი შემორჩენილიყო, ღიმილიანი, მსუბუქ კილოკავზე მოლაპარაკე ხალხი ცხოვრობდა, ნაირ-ნაირი არქიტექტურის შენობები იდგა, ყოფილ ვაჭართა სახლები, მყუდრო ეზოები რომ ჰქონდათ, სადაც მერხზე ჩამოჯდებოდი და მეზობელ ქალებთან აქეთურ-იქეთურზე იმასლაათებდი. ახალ სახლში კი ნინა სტეპანოვნა ჯერაც ვერავის დაუახლოვდა და ამიტომაც იგონებდა გულთბილად თავის ძველ, კომუნალურ ბინას, სადაც თოთხმეტ-ნახევარი კვადრატული მეტრი ოთახი ჰქონდა.

ნინა სტეპანოვნამ ნამცხვარი გაზის ქურის ფურნაკში შედგა. ჩაი შარშანდელი, ჩაშაქრებული ალუბლის მურაბით დალია — ბავშვობიდანვე ძალიან უყვარდა ალუბლის მურაბა — პალტო მოიცვა და კეფირისათვის მაღაზიაში გაიქცა. კეფირისაგან იგი გემრიელ ხაჭოს აკეთებდა ხოლმე, უხაჭოოდ ცხოვრება კი არ შეეძლო, უფრო მეტად ის იყო მისი საჭმელი.

მაღაზიიდან ნავაჭრით რომ გამოვიდა, ნინა სტეპანოვნამ უცებ ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი და გაუხარდა — ეს ირა იყო, ძველი ბინიდან მეზობელი გოგონა. ირამაც დაინახა ნინა სტეპანოვნა და მასაც გაუხარდა.

— აქ რას აკეთებ? ჩემი სტუმარი ხომ არა ხარ? დღეს ჩემი დაბადების დღეა.

— ოჰ, მომილოცნია! — შეჰყვირა ირამ და ნინა სტეპანოვნას ლოყაზე აკოცა, რაც, სხვათა შორის, წინათ არასოდეს უქნია. — არა, თქვენთან არ მოვსულვარ, ტყისკენ გამოვსწიე, ჩვენმა ქარხანამ კოლექტიური გასეირნება მოაწყო, აბა მშვიდობით, თორემ ელექტრომატარებელს ვერ მივუსწრებ.

— გაიქეც, გაიქეც, ტოლებს ნუ გამოაკლდები, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, — თორემ ისე კარგი იქნებოდა, ჩემთან შემოგევლო...

— მერე რა? შემოვივლი კიდევაც! — კვერი დაუკრა ირამ. — აქეთობისას, საღამოთი გესტუმრებით, კარგი?

ირამ კომკავშირის მოედანი გადაირბინა, სადგურისაკენ გაემართა, ნინა სტეპანოვნამ კი შინისაკენ გასწია.

რა საოცარი ამბავია! ხომ იტყვიან, თვალი თვალს რომ დაშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო, აქ კი პირიქით მოხდა: ნინა სტეპანოვნამ ვერ დაივიწყა ძველი მეზობლები, ძალიან ხშირად ისე ტკბილად აგონდება ისინი, თითქოს მისი ნათესავები ყოფილიყვნენ, არადა, რა ბევრჯერ გაწყალებია გული მათგან და გაბრაზებულა კიდეც.

ყველაზე დიდი აბეზარი ანდრეი მიხაილოვიჩი იყო, იგი ყველაფერში ეჩრებოდა: აი, ხედავთ, ამას და ამას შუქი არ ჩაუქრიაო, აი, ამასა და ამას ფეხები არ გაუწმენდიაო, თუმცა იქნებ თავად ყველაზე მეტად სცოდავდა.

ანდრეი მიხაილოვიჩი მარჯვენა ფეხით კოჭლობდა, არა, ფრონტზე კი არ დაუჭრიათ, რაღაცაში მოჰყვა ეს ფეხი. ქვრივი იყო. როცა ხორცის მაღაზიაში მუდამ მუშაობდა, დირექტორიან-გამყიდველიან — მთელ სავაჭრო ცენტრიან თათხავდა ყველას, აქაოდა, წესრიგი არა აქვთ, ქურდები არიანო. მაგრამ მერე, პენსიაზე რომ გავიდა, ცოტათი დაწყნარდა და თითქოს შეეჩვია ვაჭრობის ქსელში დომხალსა და არეულ-დარეულობას, რადგან ახლა ჩქარა მუშაობა აღარ შეეხებოდა. ბინაში ყველაზე მეტად ირას ეკინკლავებოდა ხოლმე.

— დაიცადე! — ეუბნებოდა, — გათხოვდები და ქმარი მოგიყვანს ჭკუაზე, როგორ უნდა იცხოვრო, დიდხანს არ მოგიწევს დედაშენის კისერზე ჯდომა...

— რაო, სულელი ხომ არ გგონივარ? — უპასუხებდა ირა. — ნუ ელოდებით, სულ ერთია, ვერ მოესწრებით ჩემს გათხოვებას. ირბინე მაღაზიებში, ქურასთან იტრიალე, რეცხე წინდები. გაუთხოვრადაც მოეიწყობ ცხოვრებას. ახლა ცოტაა გათხოვების მსურველი. ცხოვრებაში თქვენი შეხედულებები მოძველდა, ძია ანდრეი.

— იქნებ მოძველდა კიდევაც. — ეთანხმებოდა ანდრეი მიხაილოვიჩი. — მაგრამ ბავშვებს ვიღა შობს, თუ ქალები არ დათხოვდებით?

— ერთი თქვენც, — იცინოდა ირკა, — ჩვენს დროში, კარგად მოგეხსენებათ, ბავშვის მოვლა-პატრონობა უფრო იოლია, ვიდრე თალგამის მოშუშვა. უქმროდ უფრო ადვილიც არის.

— როგორ თუ უქმროდ? — გაუკვირდა ანდრეი მიხაილოვიჩს.

— ოჰ, ახლა ყველაფერს გეტყვით სწორედ!

ირინას მამას, ფედორ ფეოქტისტოვიჩს, ტროლეიბუსის მძღოლს, სასაცილოდ არ ჰყოფნიდა ქალიშვილის ლაპარაკი. მხიარულად ხარხარებდა, რადგან ვეება კაცი იყო და ჩუმად არაფერი ეხერხებოდა.

— აი, მესმის ახალგაზრდობა, ახლანდელი ახალგაზრდობა! — ამბობდა და კაცი ვერ გაიგებდი. თავის ქალიშვილს ზრახავდა თუ აღფრთოვანებული იყო მისით.

— ნეტა რა მოგწონთ? — ბრაზობდა ანდრეი მიხაილოვიჩი. — განა მაგათი გადამკიდე კომუნიზმს ააშენებ?

— მაშ რას იზამენ? ააშენებენ, აბა რა. ახალგაზრდობას ყველაფრის გაკეთება შეუძლია...

ზოგჯერ კინკლაობა გაუჭიანურდებოდათ და საქმის გადასაჭრელად ნინა სტეპანოვნას მოუხმობდნენ ხოლმე, ალბათ იმიტომ, რომ მთელ ბინაში ყველაზე ხნიერი ის იყო.

— აბა ერთი სტეპანოვნასაც ვკითხოთ! როგორც სტეპანოვნა იტყვის, ისე იქნება, მე მჯერა მაგისი შეხედულებისა. უკეთესი ახალგაზრდობა მოდის თუ უფრო უარესი? — ეკითხებოდა ფედორ ფეოქტისტოვიჩი.

მაგრამ ანდრეი მიხაილოვიჩი ხელს ჩაიქნევდა ხოლმე:

— უმაგისოდაც იოლად გავალთ.

— დაგავიწყდათ განა, რომ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ? — აღშფოთებით ამბობდა ირინა.— და საერთოდ, თქვენ რომ გიყუროთ კაცმა, მოხუცებს, სიცილით მოკვდება. — ეტყოდა ამას და სადღაც გაქრებოდა.

— რა უხეში ვინმეა, ერთი ქამრით მაცემინა, — ბრაზობდა ანდრეი მიხაილოვიჩი, ხოლო ფედორ ფეოქტისტოვიჩი ხარხარებდა, თითით ემუქრებოდა ირინას და ალტაცებით ამბობდა:

— ლაღი გოგოა, თამამი! არსად დაიკარგება!

ეს კაცი ნინა სტეპანოვნას მოსწონდა. სწორედ იმიტომ, რომ ყველაფერი თანამედროვე ჰქონდა, ახლანდელი ადამიანებივით ულონო როდი იყო, [illegible]ამტანი გახლდათ, ძველი ყაიდისა — როხროხა, ხორბა მხარბეჭიანი, რიხიანი, წარმოსადეგი, ერთი სიტყვით, ზღაპრების დევგმირი. თანაც მხიარული, კეთილმოსურნე, გულგაუტეხელი ადამიანი. რა არ გამოუდიოდა ხელიდან: გამოგონება გინდა, შეკეთება თუ აქეთურ-იქითურზე მასლაათი — ყველაფერი ეხერხებოდა.

ნინა სტეპანოვნას ისიც კი არ აღშფოთებდა, რომ ამ კაცს სმა უყვარდა, იმიტომ, რომ ანდრეი მიხაილოვიჩივით გამომთვრალი არასოდეს უნახავს. როცა ფედორ ფეოქტისტოვიჩს დალევა მოუნდებოდა, ჩუმად ჩაუკრავდა თვალს ანდრეი მიხაილოვიჩს, ისე რომ, ფედორ ფეოქტისტოვიჩის ცოლს, მარია სერგეევნას არ შეენიშნა, და ანდრეი მიხაილოვიჩიც წამსვე გამოხტებოდა ოთახიდან. ზოგჯერ სასმელის ბოთლიანად მოიკალათებდნენ სამზარეულოში და გრძელ მასლაათს გააბამდნენ საერთაშორისო ამბებსა თუ სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის თაობაზე.

სერიოზულად საუბრობდნენ და ზარხოში როდი ავიწყებდათ ზრდილობას, არც ერთი მათგანი თავს ნებას არ მისცემდა, უაზრო რაიმეს შეკითხოდა მეორეს, გინდაც ურთიერთობის გამოსარკვევად: „შენ მე პატივს მცემ თუ არა?“ თუმცა მარია სერგეევნა ჩაამწარებდათ ხოლმე ტკბილ ჭუკჭუკს. იგი ქმარს სამზარეულოდან დაიფრენდა, ხოლო მთელ თავის რისხვას ანდრეი მიხაილოვიჩს დაატეხდა თავს, აქაოდა, ის იყოლიებსო ფედორ ფეოქტისტოვიჩს, ეგ რომ არაო, ჩემი ქმარი პირს არ დააკარებდა ამ საძაგელ სასმელსო; სადა აქვს ჩემს ქმარს დასალევი ფული, განგებ არ ვუტოვებ კაპიკს ჯიბეში, რაში ჭირდებაო. აბა რად უნდა ფული? ქალაქის ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობს, შინ მუდამ გემრიელი საჭმელი ხვდება, ჩასაცმელი არ აკლია და დასახურიო.

— საოცარია პირდაპირ, — ეუბნებოდა მოწყალედ ანდრეი მიხაილოვიჩი, — ქალი გაჭალარავებულხარ და ის კი ვერ გაგიგია, რომ ღირსეული მამაკაცი ჯიბის ფულს არ გამოილევს.

— ასე უნდა მაგას, ასე, — ხარხარებდა და ყვიროდა ფედორ ფეოქტისტოვიჩი, — შეაგნებინე ერთი, შეუყვილეს თავში!

ჰოდა, ფედორ ფეოქტისტოვიჩი ისევ შემორბოდა სამზარეულოში და ესათუოდ რაღაცას მოიმოქმედებდა სასაცილოს, ან ისე დაიმანჭებოდა, გაბრაზებულ მარია სერგეევნასაც აუტყდებოდა სიცილი, რისხვა ისე უკვალოდ გაუქრებოდა, როგორც მზის მწველი სხივები წყალს გუბეში აორთქლებს.

ფედორ ფეოქტისტოვიჩი არ იყო ქალაქელი კაცი, ძალიან ენატრებოდა თავისი სოფელი, საიდანაც დიდი, დიდი ხნის წინათ ჩამოვიდა მოსკოვში და თავისუფალ დროს ბაღჩა-ბოსტანში მუშაობდა. სადღაც, სადგურ ლესნოი გოროდოკის მახლობლად საბაღე ნაკვეთი ჰქონდა — ვაშლის, მსხლის ხეები ერგო, ყველაფერი ქორფა, საკუთარი, თავისი ნაწვავ-ნადაგი. ნინა სტეპანოვნასაც არ ივიწყებდა, მუდამ მოჰქონდა ხოლმე მისთვის ძღვენი: ერთი კალათა ვაშლი, ბოლოკის კონა, ოხრახუში, კამა. ირკა გემრიელად გეახლებოდათ მამამისის დარგულ ვაშლებს, მაგრამ თავად მიწის ჩიჩქნა და მამისათვის ხელის შეშველება სულაც არ ეპიტნავებოდა.

ბოლო წელს ფედორ ფეოქტისტოვიჩი ავადმყოფობდა. ყველაფერს

ეტკივებდა, თვალს ვერ უჯერებდი მისი შემყურე, როგორ დნებოდა დღითი დღეს ეს ვეება კაცი, პირდაპირ მეზობლების თვალწინ ჩია ბერიკაცად გარდაიქმნა. სულ რაღაც ერთ თვეში კი მთლად ხელიდან წავიდა და ერთ დღეს რომ „სასწრაფომ“ რაიონის საავადმყოფოში წაიყვანა, იქ გარდაიცვალა კიდეც.

ქელეხში ბევრი ხალხი იყო, მოვიდნენ მიცვალებულის სამსახურიდან, კეთილად და პატივისცემით იგონებდნენ თავიანთ ყოფილ კომუნისტური შრომის დამკვრელს. ანდრეი მიხაილოვიჩი ისე დაამწუხრა ფიოდორ ფეოქტისტოვიჩის სიკვდილმა, ღვინისთვის პირი არ დაუკარებია, მაგიდას უჯდა და ტიროდა. ირამ ეზოში გაიყვანა, მაგრამ იქ უფრო მოერია ნაღველი, განმარტოებით ჯდომა არ ისურვა, ჭირის სუფრასთან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ გზაში დაეცა, თავი გაიტეხა და რამდენიმე დღე ლოგინიდან არ ამდგარა.

ნინა სტეპანოვნას ძალზე შეებრალა ფედორ ფეოქტისტოვიჩი. გარეთ ცხოვრება თავისი რიგით მიედინებოდა, მაგრამ ამ ბინაში კი მისი სიკვდილის შემდეგ რაღაც უცხო ნიავმა დაჰბერა თითქოს. ნინა სტეპანოვნა კარგა ხანს ვერ შეეთვისა თავიანთი ბინის დაობლებას, მერე კი, როცა შეეჩვია, თითქოს აღარც ახსოვდა, რადგან ახალ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის დავიდარაბაში აღარ ეცალა ამაზე საფიქრელად.

...ნინა სტეპანოვნა შინ დაბრუნდა, ფურნაკში ნამცხვარს დახედა, ქვაბში კეფირი ჩაასხა და ხაჭო გააკეთა, შეჭამა და რადიო ჩართო, უკანასკნელ ცნობებს მოუსმინა, ამინდის პროგნოზის გამოცხადებას დაელოდა. მაგრამ ამინდის პროგნოზის გაგება აღარ დასცალდა, რადგან ზარის ხმა გაისმა და კარის გასაღებად გაეშურა, თან უკვირდა, ნეტა ვის გავახსენდით, არავის მოსვლას არ ელოდა. იქნებ ირა მობრუნდა, დღევანდელ დღეს ტყეში კი არა, ნინა სტეპანოვნასთან გავატარებო? ჰო, აბა, მობრუნდება, როგორ არა!..

ნინა სტეპანოვნამ გამოაღო კარი და ირას მაგიერ, რა თქმა უნდა, ვიღაც უცნობი, ჩვიდმეტიოდე წლის პირმრგვალი, პუტკუნა გოგონა დაინახა. თანამედროვე მოდაზე რომ ეცვა გახეხილი ცისფერი ამერიკული ჯინსები. ეს მოდა ნინა სტეპანოვნას არ მოსწონდა, საერთოდ არ ეპიტნავებოდა შარვლიანი გოგოები და თმამოშვებული ჭაბუკები.

— გამარჯობათ, ბები, — უთხრა გოგონამ და შეჰლიმა.

ისე კეთილად, პაეროვნად, გულიანად იღიმებოდა ეს გოგონა, ვერ შეძლებდი ისეთივე ღიმილით არ გეპასუხნა. ნინა სტეპანოვნას თვალი დარჩა გოგოზე და მიუგო:

— გამარჯობა, გენაცვალე, გამარჯობა, ჩემო კარგო.

— თქვენ ხომ ნინა ბებია ხართ, არა? — ჰკითხა გოგონამ. — ნინა სტეპანოვნა ხომ თქვენა ხართ?

— არ შეგშლია, გენაცვალე, სწორედ მე ვარ. შემოდი, რა ზღურბლზე დამდგარხარ? — ნინა სტეპანოვნა გოგოს ოთახში შემოუძღვა, თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდა და არც ეჭვად ჰქონდა, რომ თავის სისხლსა და ხორცს უშვებდა შინ.

ხდება კია ქვეყნად სასწაულები? თურმე ხდება და თანაც როგორი! გოგომ, ოთახში რომ შემოვიდა, თქვა:

— ხომ მაინც გიპოვეთ, ბები. იცით, მე ვინა ვარ? მე ხომ თქვენი შვილიშვილი ვარ, თქვენი ვაჟიშვილის ქალი, ლიზა მქვია, ელიზავეტა პავლოვნა ივანოვა. როგორც იქნა, გიპოვეთ. აი, მამაჩემმა წერილი გამოგიგზავნათ, აი, მისი სურათიც...

უცებ ნინა სტეპანოვნა თითქოს გამოშტერდა: გოგო რაღაცას ლაპარაკობდა, ნინა სტეპანოვნას კი ესმოდა და არც ესმოდა მისი ლაპარაკი, თითქოს აზრი გაეგებოდა და არც გაეგებოდა. ხელ-ფეხი მოუდუნდა, გულმა ფეთქვა შეანელა, თვალები დაებინდა, ფეხები მოეკვეთა და იატაკზე მოადინა ბრაგვანს, გოგო რომ არ შეშველებოდა და დივანზე არ დაესვა. მაგრამ ნინა სტეპანოვნას არც ჯდომა შეეძლო, რადგან სხეული თითქოს ბამბისგ[illegible] გეგონება, ძვლები გამოაცალესო. დაწვა და ამოიხვნეშა, იფიქრ[illegible] ალბათ.

მაგრამ ნინა სტეპანოვნა არ მომკვდარა: ალბათ იმიტომ, რომ, როგორც ამბობენ, სიხარული არ კლავსო კაცს. თუმცა ავტორს ეს არასწორ აზრად მიაჩნია, რადგან ადამიანს ბევრი სხვადასხვა მიზეზი კლავს, მოულოდნელი სიხარული თუ მოულოდნელი ცუდი ამბავი ერთნაირად აძრწუნებს და ერთნაირადვე შეუძლია სავალალოდ დაასრულებინოს სიცოცხლე. ავტორი კი ასე ფიქრობს, მაგრამ ნინა სტეპანოვნა თანახმა არ გახლავთ, რადგან დარწმუნებულია, რომ ხალხური სიბრძნე არ შეიძლება მცდარი გამოდგეს: სიხარულისგან მართლაც არ კვდებიან და ამის დასამტკიცებლად ნინა სტეპანოვნაც კმარა — აკი დღესაც ცოცხალია, თუმცა სიკვდილის პირას იყო.

ისე ცუდად გახდა, რომ საწყალ გოგოს, ლიზას, თავად კინაღამ გაუსკდა გული შიშით, აქაოდა, არაფერი მოუვიდესო ძლივძლივობით ნაპოვნ ბებიას. მაგრამ სძლია შიშს, გარეთ გავარდა, ტელეფონის ავტომატთან მიიჭრა და ამ ჭკუის კოლოფმა ისიც კი მოიფიქრა, რომ „03“-ზე დაერეკა და „სასწრაფო დახმარება“ მოეხმო.

„სასწრაფო დახმარება“ ჩქარა მოვიდა. ახალგაზრდა ექიმმა ნინა სტეპანოვნას ნემსი გაუკეთა და წასვლისას გამამხნევებელი სიტყვებიც უთხრა:

— ას წელიწადს კიდევ იცოცხლებთ, პატივცემულო — კარგად იყავით, ძვირფასო!

ნინა სტეპანოვნამ დივნიდან წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ლიზამ არ მისცა ნება, თავისი მსუბუქი, ნორჩი ხელებით ჩაებღაუჭა მხრებზე. ოჰ, რა მშვენიერი ხელები ჰქონდა, წვრილი თითები, სალუქი, ნაზი კანი. ნინა სტეპანოვნას გული აუჩუყდა, თბილი ხელისგული დაუკოცნა და სინაზით აღვსილმა უთხრა:

— საიდან მომევლინე, შვილო, მოდი, გვერდით მომიჯექი და ყველაფერი მიამბე...

მართლაც რა საოცრებაა ადამიანის სიცოცხლე და რა ბრძნულად უთქვამთ, რომ იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგოსო კაცმა, — აკი იცოდა, იცოდა ნინა სტეპანოვნამ, რომ პავლიკი ცოცხალია, დედის გული გრძნობდა მის ტკივილსაც და მის დიდ ტანჯვასაც. ყოველივე დადასტურდა: პავლიკი თურმე უმოწყალოდ დაახეიბრა ომმა, სხეული მთლად დაკუწული აქვს, ფეხებმოჭრილს ხელები დამტვრევია, მთლად დაავადმყოფებული და დაინვალიდებულია. წერილის დაწერაც არ შეუძლია სხვის დაუხმარებლად და, ლიზა რომ არ ჰყავდეს, მარტოობაში ამოძვრებოდა სული. ლიზას დედას პავლიკი ინვალიდთა სახლში დახედა, იქ იყო თავშეფარებული ომის დამთავრების შემდეგ. ქალი მედიცინის და იყო, მასა და პავლიკს შეუყვარდათ ერთმანეთი, ქალმა არად ჩააგდო მისი საპყრობა, თავისთან წაიყვანა და ოჯახიც შექმნა. თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა მათი ბედნიერება: ლიზა რომ ოთხი წლისა იყო, დედა გარდაიცვალა. პავლიკმა ვერ შეძლო შვილის აღზრდა და თავის ინვა-

ლიდია სახლში დაბრუნდა, ხოლო ლიზას კეთილმა ხალხმა უპატრონა და ინტერნატში მიაბარა, სადაც მერვე კლასამდე სწავლობდა. მერვე კლასში კი ლიზამ, აქაოდა, უკვე დიდი ვარო, მამა ინვალიდთა სახლიდან გამოიყვანა, რადგან გულკეთილ გოგოს არ შეეძლო იმის ატანა, რომ მისი მამისათვის თვითონ კი არა, უცხო ხალხს მოევლო.

ყველაფერს ამას იტყობინებოდა პავლიკი წერილით, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის უკარნახა ლიზას, რადგან ჯერ კიდევ არ იყო დარწმუნებული, რომ მართლა ღვიძლი დედა იპოვა. პავლიკი იწერებოდა: —

„ძვირფასო დედა, ნუთუ გიპოვე? ამას ჩემს ლიზას უნდა უმადლოდე. ძალიან მინდა შენთან ჩამოსვლა ან შენი ჩემთან ჩამოსვლა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალში ვწევარ. ოპერაციას გამიკეთებენ და ორი თვის შემდეგ, ან იქნებ უფრო ადრეც, გამომწერენ. მაშინ ლიზა ჩამოვა და შენთან წამომიყვანს. მანამდე კი ერთად იყავით: ლიზა გაგილამაზებს მარტოობას. უთხარი, სამუშაოზე მოეწყოს და უქმად არ იყიალოს. თუმცა უსაქმური გოგო არ არის.

შენ გული არაფერმა გატკინოს, არაფერი საშინელი არ მჭირს. ჰოსპიტალში თითქმის ყოველ წელიწადს ვმკურნალობ. რაკი ასე დიდხანს ველოდე შენთან შეხვედრას, ცოტას კიდევ დაველოდები.

ძვირფასო დედა, ჩემო ფუტკარო... (ოჰ, ღმერთო ჩემო, ჩემი საყვარელი ბიჭუნა, აქამდე არ დავიწყნია, რომ ფუტკარი შეარქვა დედას, ერთთავად მოფუსფუსესა და მოჯახირეს რომ ხედავდა. „ჩემო ფუტკარო, — ეტყოდა ხოლმე, — ჩამოჯექი, მუხლები დაასვენე." რა კარგი ბიჭი იყო, ალერსიანი, გულთბილი). ჩემო კარგო დედიკო, ნუთუ მართლა მოგნახე? დიდხანს გეძებდი უშედეგოდ. შენ, შენ აღარ მკითხულობდი განა? ალბათ გეგონა, დავიღუპე? მე კი ცოცხალი ვარ, დედა; მაგრამ თავით ფეხამდე დავსახიჩრდი. თუმცა შენი ძებნა შევწყვიტე, როცა მამაჩემის სიკვდილი და სემიონოვსკაიაზე სახლის დაწვა შევიტყვე. შენზე რატომღაც ვერა ცნობას ვერ მივაგენი მოსკოვში"...

დიხა, დიახ, მართლაც ასე იყო ყველაფერი. ეგორ ეგოროვიჩი მოკვდა, სახლი დაიწვა, არა, ყუმბარა კი არ მოხვედრია, ისე, თავად დაიწვა, რადგან ვიღაც მალულად სარგებლობდა ელექტროხელსაწყოებით და მოკლე ჩართვა მოახდინა. ჰოდა, დატოვა ხალხი უსახლკაროდ. აი, მაშინ გადაწყვიტა რატომღაც ნინა სტეპანოვნამ ომსკთან ახლოს სოფელში, ეგორ ეგოროვიჩის დასთან წასვლა. რატომ მოუვიდა აზრად ასეთი სისულელე, ახლა თავადაც ვერ გაუგია. ეგორ ეგოროვიჩის დასთან ვერ გაძლო და ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა მოსკოვში, სადაც, როგორც ფრონტელების დედამ და ცოლმა, 14,5 მეტრი ოთახი მიიღო პოლიანკაზე. ეგორ ეგოროვიჩის დამ ლანძღვით გამოისტუმრა, ბრალად დადო, შენს დღეში ქმარი არ გყვარებიაო, მუდამ იმით მოგქონდა თავი, აქაოდა, მოსკოველი ქალი ვარო, ინტელიგენტი აზნაური, თუმცა სინამდვილეში ინტელიგენტობისა არაფერი გეცხო და არც ახლა გცხია, იმიტომ რომ ერთი ჩერჩეტი, გაუნათლებელი დედაკაცი ხარ და სწორედ შენ ჩადე მიწაში ეგორ ეგოროვიჩი, ეს ძვირფასი და გულკეთილი კაცი, რამეთუ არ ისურვე, არ მოინდომე, როგორც საჭირო იყო, ისე მოგევლო, დაჭრილი რომ იყოო.

რას აღარ ყვიროდა გაავებული ბრიყვი დედაკაცი! ნინა სტეპანოვნას გული სტკიოდა ასეთ უსამართლო საყვედურებზე, მაგრამ თავს არ დაიმცირებდა და სამაგიეროს არ ეტყოდა. სწორედ მაშინ იყო ალბათ, რომ პავლი-

კი ეძებდა და ვერ მონახა. რატომ წავიდა სოფელში? რატომ? მარტოობისა შეეშინდა? თავი შეებრალა? რომ არ წასულიყო, იქნებ პავლიკს შეხვედროდა..

მას შემდეგ ოცდათხუთმეტი წელიწადი გავიდა — მთელი ცხოვრება. დიახ, დიახ, დედა ელოდა პავლიკს, სულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ იგი ცოცხალია, და ამავ დროს უკვე კარგა ხანია. დიდი ხანია მიმხვდარი იყო, რომ ტყუილად ჰქონდა იმედი, რომ პავლიკი აღარც არის ამქვეყნად როცა შვილს ეძებდა. გულში ის სურვილი ედო, იქნებ ერთი ადამიანი მაინც ენახო ისეთი, ვისაც ემახსოვრება. სად, რომელ მიწაზე დააბიჯებდა პავლიკი უკანასკნელად და სად არის მისი საფლავი. თუმცა მთლად მაინც არ გაწყვეტოდა იმედი. აკი პოულობენ ერთმანეთს: და—ძმას, ძმა—დას, შვილები — მშობლებს, მშობლები — შვილებს — ახლაც კი პოულობენ, როცა ამდენმა წელმა ჩაიარა ომის დამთავრების შემდეგ.

ოცდათხუთმეტი წელი — ძალზე, ძალზე დიდი დროა, და ამავე დროს თითქოს არც ჩაევლოს მისი ცხოვრების ამ არარეალურ, ცარიელ წლებს, ისე ერთფეროვანნი და ისე ერთნაირად მარტოობითა და მოლოდინით რომ იყვნენ აღსავსენი. რასაკვირველია, ნინა სტეპანოვნას ესმოდა, რომ აწ ლოდინი უკვე უაზრობა იყო, და მაინც ვერ წარმოედგინა, რომ პავლიკი აღარ არის, სულმთლად გაქრა, ისე რომ, საფლავიც არ დარჩენია. ხომ არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს კაცი. რას ნიშნავს — უგზოუკვლოდ დაიკარგაო? ნეტა გამოჩენილიყო სადმე ან კვალი ეპოვათ ორმოცი-ორმოცდაათი წლის შემდეგ — აი, სამართალი ეს იქნებოდა.

და აი, სამართალმა უფრო ადრეც კი გასჭრა, იგი სულ რაღაც ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ მოევლინა...

ნინა სტეპანოვნას დამწვრის სუნი ეცა და ფიქრები შეწყვიტა:

— ნამცხვარი! — შესძახა მან და სამზარეულოში გავარდა.

ნამცხვრის მაგიერ ნახშირი დახვდა. თავის დღეში არ დამართნია ეს, დაბადების დღის სადღესასწაულო ღვეზელი არასოდეს დასწვია. მაგრამ არ სწყენია — პირიქით, ცომის ნაცვლად ნახშირი რომ დაინახა, მხიარულად გაიცინა. ნეტა ერთი, რა უბედურებაც ეგ არისო. აბა, ლიზა, ჩაირბინე მაღაზიაში და ყველაზე გემრიელი ტორტი იყიდე. აი, სამი მანეთი და მისი ჯანი, მშვენიერი სუფრა გვექნება. გაიქცევი?

— რა თქმა უნდა, ბები, — მხიარულად შესძახა ლიზამ და მსუბუქი, სწრაფი ნაბიჯებით გაიქცა მაღაზიაში.

განა ვინმეს ოდესმე ჰქონია ასეთი მშვენიერი დაბადების დღე? არა, არავის არ ჰქონია. ეს ნინა სტეპანოვნას გაულიმა ბედმა, ასეთ დიდ ბედნიერებას მოასწრო სიბერეში.

ლიზა ტორტის მოსატანად გაიქცა, ხოლო ნინა სტეპანოვნას უცებ მოაგონდა, ნეტა რაში სჭირდება ტორტი, როცა სასწრაფოდ უნდა წავიდეს თავისი ვაჟის, ძვირფასი პავლიკის სანახავად, ახლავე, ამ წუთას. მერე რა, რომ ჩასვლას არ თხოვს, მაინც უნდა წავიდეს. ნინა სტეპანოვნა აფუსფუსდა, ოთახში გავარდ-გამოვარდა, საკუჭნაოდან ძველი ჩემოდანი გამოათრია და სამგზავრო ნივთების ჩალაგებას შეუდგა.

— რას შვრებით, ბები? — გაუკვირდა ლიზას, ტორტი რომ მოიტანა.

— პავლიკთან წავიდეთ! ჩქარა! ახლავე!

— რა მოუთმენელი ხართ, — უთხრა ლიზამ. — აბა სად უნდა წავიდეთ?

ოპერაციის წინ ხომ არ უნდა ავალელვოთ მამა? კი ბატონო, როგორც გინდოდეთ. ოღონდ...

— ვერ მოვესწრები მის ნახვას, ლიზა, — დაიკვნესა ნინა სტეპანოვნამ და ხელებჩამოყრილი ჩამოჯდა საწოლზე.

— კეთილი, ბები, კეთილი, მოდით, წავიდეთ...

— ღმერთო, არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — საწყალობლად ჩაილაპარაკა ნინა სტეპანოვნამ და ვედრებით შეხედა ლიზას, — მითხარით, რა ვქნათ?

— თუ თქვენ გინდათ, წავიდეთ. მაშინ ბილეთების ასაღებად გამიშვით.

— არა, ნუ წახვალ... მოვიცდი. როგორც პავლიკი ინებებს, ისე მოვიქცევი.

— რა თქმა უნდა, ბები, — ალერსით უთხრა ლიზამ. — ჯერ უნდა მოვიცადოთ, მერე კი ან მამას ჩამოვიყვან აქ და ან ჩვენ წავალთ მასთან. როგორც ინებებთ. რაც მთავარია, თუ ღმერთი გწამთ, ნუ იღელვებთ...

— ვეცდები, — ნინა სტეპანოვნამ პუტკუნა ლოყები დაუკოცნა ლიზას. — წერილს მივწერ პავლიკს. ახლავე დავჯდები და მივწერ. ხომ შეიძლება? ლიზას გაეცინა.

— რა თქმა უნდა, ბები. მე რატომ მეკითხებით? ავიაფოსტით გავგზავნით და ხვალ მიუვა.

— ახლავე. ამ წუთას...

ნინა სტეპანოვნა აფუსფუსდა, ხან ქაღალდი მოიძებნა, ხან მელანი, თუმცა არც ერთი არ აღმოაჩნდა, საუკუნე იქნებოდა წერილი არავისთვის მიუწერია. მაგრამ ლიზამ, იმ საყვარელმა გოგონამ, ჩემოდნიდან კალამი და რვეული ამოიღო, რომლიდანაც ფურცელი ამოხია, მერე ნინა სტეპანოვნა მაგიდასთან დასვა:

„ძვირფასო შვილო, სანატრელო ჩემო ბიჭო, არც კი მჯერა, რომ...“ — დაწერა ნინა სტეპანოვნამ აკანკალებული ხელით და ზარიც გაისმა.

ნინა სტეპანოვნამ სირბილით მიაშურა კარს (დღეს იგი ყველაფერს სირბილით აკეთებდა, თითქოს სიხარულმა წლები მოაკლო). თურმე ირა მობრუნებულიყო, შერცხვენოდა, ბუნების წიაღში წასვლა დაეთმო და გადაეწყვიტა ყოფილი მეზობლისათვის მოელოცა დაბადების დღე.

— ყოჩაღ შენ, მე კი დიდი სიხარული მეწვია, — შეჰყვირა ნინა სტეპანოვნამ, — ნამცხვარი დამეწვა... ოჰ, ღმერთო ჩემო, მთლად გამოვშტერდი...— ნინა სტეპანოვნას გაეცინა. — გესმის, რას გეუბნები? არა, გეყურება რა გითხარი. სიხარული მეწვია, ნამცხვარი რომ დამეწვა-მეთქი. სასიხარულო კი სულ სხვა რამ მაქვს, არაჩვეულებრივი ამბავი, ახლავე ნახავ... ლიზა, ლიზა, მოდი აქ! — შეჰყვირა მან და, ლიზა რომ ოთახიდან გამოვიდა, თქვა: — აი, ისიც ჩემი ბედნიერება, იცი, ვინ არის? ვერც მიხვდები! ჩემი შვილიშვილია. ღვიძლი შვილიშვილი. პავლიკის გოგოა. პავლიკი ცოცხალი ყოფილა, ირა! შენ კი, დაილუპაო, მეუბნებოდი.

— მე? — უთხრა ირამ. — რას ამბობთ, ნინა სტეპანოვნა? განა მე როდესმე მითქვამს, ანდრეი მიხაილოვიჩი გეუბნებოდათ, ისიც მაშინ, როცა გაბრაზებული იყო თქვენზე, მე კი არა... თქვენ ყვებოდით ხოლმე პავლიკის ამბავს და მე ყურს გიგდებდით, ანდრეი მიხაილოვიჩი კი...

— ჰო, ჰო, შენ არ გიწყენინებია ჩემთვის. — დაეთანხმა ნინა სტეპანოვნა, — ჭკვიანი და კარგი გოგო ხარ. მადლობელი ვარ შენი... მაშ, გაიცანით ერთმანეთი. რას დამდგარხართ!..

— ძალიან სასიამოვნოა, — თქვა ლიზამ.

— მეც მიხარია, — მიუგო ირამ.

— აბა თქვენ სუფრა გაშალეთ, გოგოებო, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, — მე კი წერილს მივწერ პავლიკს.

წერილი სწრაფად იწერებოდა, სიტყვები სხაპასხუპით [illegible] ქაღალდზე. მერე საიდან მოედინებოდა?! როგორ თუ საიდან? საიდან [illegible] გულიდან. წლების განმავლობაში, დაუსრულებელი წლები სწერდა ნინა სტეპანოვნა ამ წერილს, წერდა მთელი ოცდათხუთმეტი წელი და ზეპირადაც ისწავლა. პავლიკ, პავლიკუნა, ჩემო ბიჭო, მეომარო, სამშობლოს მამაცო დამცველო, დასრულდა, დამთავრდა, მორჩა დედაშენის მარტოობა და ლოდინი... ო, რა საყვარელი გოგონა გყოლია, ჩემი შვილიშვილი ლიზა...

— ლიზა! — მოუხმო ნინა სტეპანოვნამ.

— ჰაუ?

— აი, დავწერე, ხომ ხედავ, რა ხელმარდი ბებია გყავს...

ლიზამ გადაიკითხა წერილი და გული აუჩუყდა:

— რა კარგი წერილი დაგიწერიათ, ბები, მადლობელი ვარ. ახლავე გავიქცევი და გავგზავნი.

— დაიცა, რა გეჩქარება, ჯერ ვჭამოთ რამე.

ნინა სტეპანოვნა საწოლზე იჯდა, ოთახიდან გასცქეროდა სამზარეულოს, მისჩერებოდა, რა სწრაფად და მარჯვედ საქმიანობდნენ გოგოები, სადილს რომ ამზადებდნენ, და იღიმებოდა, თავადაც ვერ გრძნობდა, როგორ ჩამოსწურწურებდა ცრემლები ლოყებზე — ღმერთო ჩემო, რა ბედნიერებაა, რომ ამ დიდ სიხარულს მოესწრო — მის სახლში ფაციფუცობს, დაფუსფუსებს, წკრიალა ხმით კისკისებს მშვენიერი გოგონა, მისი სისხლი და ხორცი.

ნინა სტეპანოვნა ხედავდა, რა ხელმარჯვე იყო ლიზა: ერთი, ორი და — კარტოფილი გაფცქვნა, სამი—ოთხი—ხორცი დაჭრა, ხუთი—ექვსი—უკვე ქურაზე შედგა, და აი, ადუღდა, ათუხთუხდა, ცხელი ორთქლი აედინა ჭერს. მაშინვე შეატყობ, რომ არ არის ხელაზიზი გოგო, მიჩვეულია ყველაფრის კეთებას, მაშასადამე, ცხოვრებამ ასწავლა, ცხოვრება ხომ ყველაფერს ასწავლის კაცს. ირასთანაც ხელად გამონახა საერთო ენა. ნახევარ საათში ოთახში მაგიდას თეთრი სუფრა ეფარა, ზედ თეფშები ელაგა, ირამაც დიდი ამბით შემოიტანა სამზარეულოდან თავისი სახელგანთქმული უმი ჭარხლის, სტაფილოსა და ვაშლის სალათი და კატეგორიულად თქვა:

— ერთი ქვევით ჩავირბენ, ნინა სტეპანოვნა!

— საით?

— ღვინოს ამოვიტან, სხვა არაფერს! აბა ნახეთ, როგორ გადავხუხავთ მე და ლიზა!

— გადახუხავთ? — გაოცდა ნინა სტეპანოვნა. — რას გადახუხავთ?

— ოპ ერთი, ვითომ ვერც გაიგეთ, — ირამ ხელი ჩაიქნია და გავარდა. — ამ წუთში მოვალ!

მას ლიზაც დაედევნა წერილის გასაგზავნად.

ორივე ჩქარა დაბრუნდა — ირა პორტვეინის ბოთლით, ლიზა კი საფოსტო ქვითრით.

მიუსხდნენ მაგიდას, შეექცნენ გემრიელ საჭმელს, გოგოებმა ნინა სტეპანოვნა ჭიქების მიჭახუნებით ადღეგრძელეს. თუმცა ლიზიკომ, ამ ჭკვიანმა გოგომ, მხოლოდ ტუჩები დაისველა, სასმელი არ დაულევია.

— გავაბოლებ რა, — თქვა ირამ. — მომკალით და მეტს ველარ მოვითმენ.

— მოსწიე, შე საძაგელო, — მოწყალედ მისცა ნება ნინა სტეპანოვნამ.

ირამ კვამლი ფანჯარაში გაუშვა და თქვა:

— იცი რა, ლიზა, ჩვენს ქარხანაში იმუშავე, რეკომენდაციას მოგცემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

— კარგადაც მოიქცევი, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, — ჭკვიანი გოგო ხარ.

— ჩუ! — შესძახა ირამ, — დაიგვიანე უკვე, ყველგან ჩატარდა გამოცდები! იმუშავე და ინსტიტუტში მუშის სტაჟით შედი. აი, მაგალითად მე... ნინა სტეპანოვნა!

— ჰა?

— მომილოცეთ...

— მომილოცნია!

— რას მილოცავთ?

— არ ვიცი.

— რა სასაცილო ხართ, ბები, — უთხრა ლიზამ და თავისი წკრიალა ხმით გაიცინა, მისდა კვალად კი ნინა სტეპანოვნამაც გაიცინა.

— ჩავიჭერი, — თქვა ირამ, — უკვე მესამეჯერ ჩავფლავდი ინსტიტუტში. პირველად პედინსტიტუტში შევდიოდი და ორი ქულა დამაკლდა, ერთი წლის შემდეგ კულტურის ინსტიტუტში ვცადე ბედი — ლიტერატურაში ჩავიჭერი, წელს სამედიცინოზე მინდოდა და — თხზულებაში „ორიანი" მივირტყი. რატომ არის, რომ ყოველ წელიწადს ვწვალობ, იცით? ვერც თავად გეტყვით. მამაჩემს უნდოდა ქალიშვილი უმაღლესი განათლებით ჰყოლოდა. მერე რად მინდა? ახლა ორას ოც მანეთს ვღებულობ, ინსტიტუტს რომ დავამთავრებ, ას ოცს ავიღებ. რა ბევრია, არა? არა, მორჩა, მეტად აღარ ჩავაბარებ გამოცდებს, მეცნიერებისთვის არ ვარ დაბადებული.

— მე უნდა მოვეწყო, — თქვა ლიზამ. — აუცილებლად უნდა გავხდე სტუდენტი.

— მოეწყობი კიდეც, — დარწმუნებით ჩაილაპარაკა ნინა სტეპანოვნამ. — პავლიკი ძალზე ნიჭიერი იყო და შენც ალბათ ნიჭიერი იქნები.

...ნინა სტეპანოვნამ მოხედვაც ვერ მოასწრო, ისე გაირბინა ამ სასიხარულო, მის ცხოვრებაში ამ ყველაზე ბედნიერმა დღემ. და აი, ყველაფერი მილაგდა, ჭურჭელი დარეცხილია, იატაკი მოხეხილი, გარეთ და სახლშიაც ღამემ დაისადგურა. დაღლილ-დაქანცული ნინა სტეპანოვნა დაწვა და მაშინვე ჩაეძინა.

დიდხანს არ უძინია. მუდამ შუაღამეზე ეღვიძებოდა და კარგა ხანს წვალობდა, ვერ ახერხებდა ძილის შებრუნებას, მაგრამ დღეს გამოეღვიძა თუ არა, სამზარეულოში მიმავალმა ჩუმად ჩაუარა ლიზას, რომელსაც დივანზე ეძინა, შუქი აანთო, ოთახის კარი მიხურა, სათვალე წამოიცვა და პავლიკის სურათს დააკვირდა. პატარა სურათი იყო, ალბათ პასპორტისთვის თუ გადაიღო პავლიკმა. აქ ორმოცი წლისა იქნებოდა, მაშ კარგა ხნის წინათ გადაუღია, ჰალსტუხი უკეთია, გამხდარია, მაგრამ ავადმყოფური შესახედაობა როდი აქვს, ჯანსაღსა ჰგავს. ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლილა! თავის თავს აღარ ჰგავს თითქოს. რაღაცით კი მოაგონებს პავლიკს, რაღა თქმა უნდა, შეიძლება ნაკვთებითაც მიამგვანო, მაგრამ რა უმოწყალო ყოფილა თურმე დრო, თუკი დედაც

ძლივს სცნობს შვილს. ნეტა პავლიკი თუ იცნობს დედას, ამ ბებერ, სახედანაოჭებულ დედაბერში?

აი, რას უშვრება ადამიანებს ეს სწრაფმავალი დრო!

ერთხელ, ნინა სტეპანოვნა, როცა უკვე ამ სახლში ცხოვრობდა და შინ ბრუნდებოდა შემნახველი სალაროდან, სადაც პენსია — 65 მანეთი, 13 კაპიკი აიღო, ბოლშაია პერეიასლავსკაიას ქუჩაზე ვიღაც ჩანთებით დატვირთულმა ქალმა შეაჩერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ო! — თქვა ქალმა და ამ თავისი მოულოდნელი შეძახილით ნინა სტეპანოვნას გული გადაუტრიალა, — თქვენა ხართ ეს, ნინა სტეპანოვნა?

— ვერ მიცანით განა? — ჰკითხა ქალმა. ჩათქვირული დედაკაცი იყო, ავადმყოფურად ქონმოდებული, ქშენით ითქვამდა სულს. ნინა სტეპანოვნა სიბერეშიც არ გაჭაღარავებულა, ეს ქალი კი ორმოცდაათს თუ იქნებოდა გადაცილებული, მაგრამ თმა ერთიანად გათეთრებოდა დედაბერივით. — ნუთუ ვერა მცნობთ, ნინა სტეპანოვნა? მე კი ხელადვე გიცანით.

— კი, როგორ არა, გამახსენდით! — ვითომდა სიხარულით შესძახა ნინა სტეპანოვნამ, თუმცა არაფერიც ჰრ გახსენებია.

— მე ხომ ლარა ვარ.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, მაგრამ ახლაც ვერ გაიხსენა, ვინ ლარა იყო ეს ქალი, და უცებ — ღმერთო ჩემო! — ამ მსუქან, შესახედავად უკვე მოხუც დედაბერში იცნო ლარა, გამხდარი, მსუბუქი, მარდი, კისკისა ლარისა, პავლიკის კლასის ამხანაგი. ერთ ხანობას ნინა სტეპანოვნამ ისინი კიბის ქვეშ, შესასვლელში შეისწრო, ბატარეასთან მიხუხულნი კოცნაობდნენ. ფრონტიდან პავლიკი ლარისას უფრო ხშირად უგზავნიდა წერილებს, ვიდრე დედამისს. მაშინ ნინა სტეპანოვნას სწყინდა ეს და ეჭვიანობდა. ხოლო პავლიკი რომ აღარ გამოჩნდა, ლარისაც გაქრა და ნინა სტეპანოვნას მეტად აღარც უნახავს. ყური მოკრა მხოლოდ, რომ ლარა ომში სანიტრად წავიდა, დაჭრილი იყო და სამხედრო ექიმზე გათხოვდა.

აი, როგორი გამხდარა პავლიკის შეყვარებული, კოხტა, ნაზი, მხიარული ლარა.

ქალები ერთხანს იდგნენ და საუბრობდნენ, მერე წავიდ-წამოვიდნენ. პავლიკზე სიტყვაც არ დაუძრავთ, სახელიც კი არ უხსენებიათ მისი, თითქოს რაღაცისა რცხვენოდათ ან ეშინოდათ, რომ ასეთ ნაუცბათევ, შემთხვევით საუბარში ხსენებით თუ არ შებღალავდნენ, პატივს მაინც აყრიდნენ მის ხსოვნას. ან იქნებ თავიანთი თავიც შეებრალათ: რატომ ავიშალოთ გულში ჩამარხული სამუდამო ტკივილი? ეჰ, ლარისა, ლაროჩკა, ხარ კი ბედნიერი? თუმცა რა ბედნიერებაზეა ლაპარაკი, როცა საზრუნავი ყელამდე აქვს ადამიანს. ფორმის ცხენივით გაჭენდა ხელჩანთებითა და სანოვაგით დატვირთული, საჭმელი წაუღო თავის დიდ ოჯახს: უკვე შვილიშვილების ბებიაა, სკოლაში დაუდიან. აი, ასე ცხოვრობს, ჩემო პავლიკ, შენი შეყვარებული.

— ჩემო ბიჭო, ჩემო სულიკო, — ამბობდა ნინა სტეპანოვნა და თან ცივ სურათს კოცნიდა, — ცოცხალი ხარ, ცოცხალი, ჩემო კარგო.

კოცნიდა სურათს და ტიროდა. სიმწარე, ნაღველი, მწუხარება მოსწოლოდა გულზე.

ნინა სტეპანოვნა დაბრუნდა და დაწვა, მაგრამ ვეღარ შეიბრუნა ძილი. სიბნელეში დასცქეროდა მძინარე ლიზას, მის წყნარ სუნთქვას აყურადებდა.

ენით აუწერელი განცდაა — გრძნობდე შენ გვერდით შენს სისხლსა და ხორცს, ცოცხალ არსებას. თითქოს ჯადოსნური ზღაპრიდან რომ მოგევლინა ქარიყლაპიას ბრძანებით. საყვარელ გოგოს უშფოთველი, კვლავ ძილით ეძინა...

ლიზას ადრე გაეღვიძა, აფუსფუსდა, ერბოკვერცხი შეიწვა სანქაროდ და უთენია გავარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გადავწყვიტე, ბებიკო, რომ ირასთან მოვეწყო ქარხანაში.

საღამოთი კი გამოაცხადა:

— მიმიღებენ ალბათ, დამპირდნენ...

და შეუდგა სამუშაოზე მოწყობის ფაციფუცს. ლიზა აქეთ-იქით დარბოდა — ქარხანაში, სახლმმართველობაში, რაიალმასკომში, ხან ერთი ცნობა მოჰქონდა, ხან — მეორე. ნინა სტეპანოვნას ეცოდებოდა გოგო და, თუმცა თავად არსად არ დადიოდა, ღელვით ილლებოდა, როცა ფიქრებით დასდევდა ლიზას სხვადასხვა დაწესებულებაში. ბოლოს, როგორც იქნა, ლიზა ჩაწერეს, ჯერჯერობით დროებით, სამი თვით, და ქარხანაშიც მიიღეს.

ნინა სტეპანოვნას ცხოვრება შეიცვალა. ახლა იგი ავსავსე იყო პავლიკთან შეხვედრის მოლოდინით და შვილიშვილის კარგად, გემრიელად დანაყრებაზე ზრუნვით. ნინა სტეპანოვნას ოდესღაც ეხერხებოდა და უყვარდა კიდეც პავლიკისა და ეგორ ეგოროვიჩისათვის საჭმელის მომზადება, მაგრამ, მარტო რომ დარჩა, როგორც მოხვდებოდა, ისე ჭამდა. მსუბუქად გადადიოდა და ასე ეგონა, დამავიწყდაო საჭმლის კეთება. მაგრამ თურმე არ დავიწყნია.

ნინა სტეპანოვნა ყოველდღე სწერდა პავლიკს ალერსიან წერილებს. ლიზა სამსახურში რომ მიდიოდა, ეს წერილები მიჰქონდა ხოლმე, ხოლო საღამოობით ქვითრები მოჰქონდა, ნინა სტეპანოვნას მთელი შეკვრა ქვითრები დაუგროვდა, კომოდში ინახავდა და ხშირად გადაუსვამდა ხოლმე ხელს, თითქოს ეალერსებაო, თან მოთმინებით ელოდა რაიმე ამბავს პავლიკისას.

მოვიდოდა ლიზა სამუშაოდან, სამზარეულოში ივახშმებდა, ხოლო მოუთმენელი მღელვარებით შეპყრობილი ნინა სტეპანოვნა წინ დაუჯდებოდა, მაგიდის ქვეშ თითებმომუშტული, უხმოდ მისჩერებოდა დაძაბული, თითქმის მუდარის მზერით. არა, ჭამას კი არ აჩქარებდა, მაგრამ ელოდებოდა, როდის მორჩებოდა ამ საქმეს ლიზა: ეჩვენებოდა, მეტისმეტად ნელა და დიდხანს ჭამსო.

ლიზას ესმოდა, რაც სურდა მისგან ნინა სტეპანოვნას, უკვე კარგად იცოდა, რასაც ნიშნავდა ბებიის ასეთი მზერა — ნინა სტეპანოვნა ელოდა, აი, ახლა მორჩება ჭამას და პავლიკზე მიამბობსო რაიმეს — და ვახშამს რომ მორჩებოდა, იცინოდა:

— ისევ აცრემლდებით?

— არა, არ ვიტირებ, — პირდებოდა ნინა სტეპანოვნა.

— პატიოსან პენსიონერულ სიტყვას მაძლევთ?

— მაშ რა, — ეტყოდა ნინა სტეპანოვნა, რომელსაც ძალზე არ მოსწონდა სიბერის მიმანიშნებელი ეს სიტყვა — „პენსიონერულიო", ლიზამ რომ მოიგონა, თუმცა ამასაც იტანდა და ცდილობდა „პატიოსანი პიონერული" ეთქვა, ლიზა კი ისეთი დიდსულოვანი იყო, რომ ვერ ამჩნევდა ნინა სტეპანოვნას ფანდებს და, თუ ამჩნევდა, ყურსაც არ იბერტყავდა და არ დასცინოდა.

— აღარც კი ვიცი, რა გიამბოთ, — ეტყოდა ლიზა და თან ჭურჭელს რეცხდა, — უკვე ყველაფერს მოგიყევით. მამა მთელ დღეებს კითხვაში ატა-

რებს. ჰოსპიტალში მთელი ბიბლიოთეკა გადაიკითხა და არც ქალაქის ბიბლიოთეკის წიგნები დაუტოვებია. ჰეგელიც კი წაიკითხა და კანტიც. იცით, ვინ არის კანტი?

— შენა გგონია, სულ არაფერი გამეგება? — სწყინდა ნინა სტეპანოვნას.

— სწორია, — ეტყოდა ლიზა. — მამას უყვარს ფილოსოფია, მშვენივრად იცის მათემატიკა. ურთულეს ამოცანებს მიხსნის ხოლმე, რადგან ძალიან სუსტი ვარ მათემატიკაში. თუ ვერ გამაგებინა ვერაფერი, თითით დამემუქრება ხოლმე და მეტყვის: „როცა კაცს გაგების უნარი არა აქვს, ამას ხალხი უტვინობას ეძახის. მაგისი წამალი კი ჯერ არ გამოუგონიათ". კანტი, „წმინდა გონების კრიტიკა". ესა და ეს გვერდი, ესა და ეს თავი", როგორც კი ამას მეტყვის, მაშინვე გონება გამეხსნება ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიზა იცინოდა და ნინა სტეპანოვნასაც ეცინებოდა, არ ტიროდა, თუმცა სიცილშიც კი გრძნობდა, როგორ ევსებოდა თვალები ცრემლებით. ნეტა რისგან მოდიოდა ეს? სიხარულისაგან, მწუხარებისგან? რატომ? ეტყობა, ის აღშფოთებდა, რომ დრო ასე ნელა მიედინება, ხოლო მისი ასაკის ადამიანისათვის თითოეული დღე თვეს უდრის და ვაითუ ისე მოკვდეს, პავლიკის ნახვას ვერ ეღირსოს... ან იქნებ რაიმე სხვა წინათგრძნობა აშფოთებდა და აღონებდა გულგახარებულ ნინა სტეპანოვნას? გული უგრძნობდა, პავლიკს ცუდი ამბავი სჭირსო, ვინ იცის... და ასედაც მოხდა.

ერთხელ ნინა სტეპანოვნამ ფანჯარაში გაიხედა და სახლის წინ მერხზე მჯდარი ლიზა დაინახა. წვიმა მოდიოდა, ასხამდა და ასხამდა გაუთავებლივ. ლიზა კი იჯდა გაუნძრევლად, თავით ფეხამდე გალუმპული და დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა, რომ შეგენიშნა — ეს თავჩაქინდრული გოგო დიდ ნაღველს შეეპყრო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო! — შეჰყვირა ნინა სტეპანოვნამ, ფანჯარა გამოაღო და დაიყვირა: — ლიზიკო, ჩემო კარგო, შინ შემოდი!

მაგრამ ლიზა არ განძრეულა, თითქოს არც გაუგონია ნინა სტეპანოვნას დაძახება. ნინა სტეპანოვნას კი გული გადაუქანდა შიშით, მიხვდა, რომ უბედურების მოლოდინი აუხდა და ისიც იცის, რა საშინელი უბედურებისა. მან მოისხა ლაბადა, ფეხზე ჩაცმაც არ გახსენებია, ისე, საშინაო ფლოსტებით გავარდა გარეთ, რაღა თქმა უნდა, მაშინვე წყლის გუბეში შეტოპა და ფეხები დაუსველდა.

— ოჰ, რა სულელი ვარ, — უსაყვედურა თავის თავს და ლიზასთან მირბინა.

ლიზა სიცივით კანკალებდა, თეთრი ნეილონის კოფთა ტანზე მიკროდა, მწვანე ქვედაკაბა ისე გალუმპოდა, შავი გეგონებოდათ.

— ლიზიკო, ჩემო კარგო, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, რომელსაც შიშისაგან გული მისდიოდა, — რა მოგივიდა?

ფეხები ისე დამძიმებოდა, დგომა ვერ შეძლო და ლიზას გვერდით მიუჯდა მერხზე. ლიზამ სველი თავი ბებიას მხარში ჩარგო და ატირდა.

— ღმერთო ჩემო, რა მოხდა? წამოდი, წამოდი, შინ შევიდეთ!

ამას კი ამბობდა ნინა სტეპანოვნა, მაგრამ წამოდგომის თავი აღარ ჰქონდა, გრძნობდა კი, რომ ნემსებივით ესობოდა მთელ ტანზე ეს გულისმომწყვლელი წვიმა.

— ოჰ, აღარ შემიძლია, — შეჰყვირა ლიზამ და ნინა სტეპანოვნას მოეხ-

ვია, აცახცახებული ქვითინებდა, მერე ასწია სველი სახე და უთხრა: — მამა გარდაიცვალა, ბები...

შემდეგ, ხანმა რომ გაიარა, ნინა სტეპანოვნას თავადაც ვერ აეხსნა, რა დაემართა მაშინ. თითქოს ელოდა ამ ამბავს, თითქოს ვიდრე ამ მერხამდე მივიდოდა, რომელზედაც ლიზა იჯდა, და ფლოსტებით მიტოპავდა კუბეებში, უკვე მაშინ სძლია უბედურების სიმწარეს და ამიტომაც, ლიზას ნათქვამი ის საშინელი სიტყვები რომ გაიგონა, კი აღარ შეშინებია, პირიქით, თითქოს დამშვიდდა კიდეც. არა: კი არ დამშვიდდა, თითქოს თვალისწამში გაუქვავდა გული, თითქოს ყველა გრძნობა გამოეცალა და სულიერადაც დაცარიელდა.

შეძრწუნებული ლიზა საჩქაროდ გვერდზე გადგა და გაუმეორა:

— მამა მოკვდა, ბები...

— გავიგე ,წამოდი, შინ შევიდეთ, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ და ლიზას არც დაუცადა, გუბეების შემოვლით შესასვლელს მიაშურა. გულმოდგინედ გაიწმინდა ფეხსაწმენდზე ფეხები, სამზარეულოში გავიდა და გაზის ქურის ოთხივე კომფორი დაანთო, რადგან სიცივისაგან კბილს კბილზე აცემინებდა. მერე ლოგინი გაშალა, დაწვა და შემოიბუდნა.

— ადექით, ბები, — უთხრა ლიზამ, რომელიც სველ ტანსაცმელს იხდიდა, — რა დროს დაწოლაა, გასვენებაზე უნდა წავიდეთ. ჩქარა ადექით, ბები.

— ჰო, ჰო, ახლავე, — ეუბნებოდა ნინა სტეპანოვნა მისუსტებული ხმით, მაგრამ წამოდგომის თავი არ ჰქონდა. იცოდა, რომ სიკვდილი აქვე, გვერდით ედგა, სადღაც უკვე ელოდებოდა მას. მერედა რა, თუ ასეთი ბედი ჰქონია, დაე თვითონაც მოკვდეს პავლიკთან ერთად. — არ შემიძლია, — უთხრა მან, — შენ წადი. თუ არ მოვკვდი, საფლავს ვნახავ მერე.

— აბა როგორ წავიდე მარტო. არ შემიძლია უთქვენოდ წასვლა, — თითქმის ტირილით შეჰყვირა ლიზამ.

— გაემგზავრე, — მტკიცედ უთხრა ნინა სტეპანოვნამ, — ჩემთვის კი „სასწრაფო“ გამოიძახე. წადი, ღმერთი იყოს შენი შემწე.

ლიზა გაემგზავრა. ნინა სტეპანოვასთან „სასწრაფო“ მოვიდა, — ჭაბუკი ექიმი იყო — ძალზე სერიოზული და მცოდნე — ნემსი გაუკეთა, გვერდით მიუჯდა, დაელოდა, ვიდრე ნინა სტეპანოვნა უკეთ არ გახდა, და მერე ისევ წავიდა თავის საქმეზე.

ნინა სტეპანოვნას ჩაეძინა.

შუაღამისას რომ გამოეღვიძა, უცებ გარკვევით და ნათლად შეიგრძნო, რა საშინელი მწუხარება დაატყდა თავს: მეორედ, ეს უკვე საბოლოოდ დაკარგა მან პავლიკი, თავისი ღვიძლი შვილი, ისე გამოეცალა ხელიდან, ცოცხალი ველარ იხილა. ნინა სტეპანოვნა პირველად მიხვდა ამ მრავალი წლის მანძილზე, მიხვდა, რომ მისი სიცოცხლეც დასრულდა და ატირდა, აზმუვლდა, მაგრამ მერე თავისი თავიც შეეცოდა, გაიხსენა ლიზა, პავლიკის შვილი, თავისი ღვიძლი შვილიშვილი, და თავს უთხრა, ადრეა ჯერ ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლა, იმიტომ, რომ ლიზას მარტოდმარტო ხომ არ დავტოვებო. აბა რა მიზანი ჰქონდა მის ცხოვრებას ბოლო წლებში? არავითარი. მიზანი არ ჰქონდა და ცხოვრობდა ასე, ბევრ სოკოსავით, საბრალო დედაბერივით, ბაბუაწვერასავით, ვიდრე ერთხელაც არ მოადგებოდა კარს აღსასრული. ახლა კი ლიზა ჰყავს, შვილიშვილი, მისი სისხლი და ხორცი. ყოველივე გაივლის, დავიწყებას მიეცემა, დროს მოჭამს, თუ მიეკედლები ვისმე. ჰოდა, თვით ბედმა ინება, რომ ნინა სტეპა-

ნოვნა ლიზიკოს მიკედლებოდა, ვინც პავლიკის სიცოცხლის გაგრძელებაა.

ღამე იყო. ფანჯარასთან ფანარი ეკიდა და ფარდიდანაც კი ანათებდა ოთახს ცივი, მქრქალი სინათლით.

ნინა სტეპანოვნამ თვალები დახუჭა, თავი აიძულა ძილი შეებრუნებინა, მაგრამ უცებ ლოგინზე წამოჯდა სირცხვილნაჭამი, იგრძნო, რომ ასე კი არა, სულ სხვანაირად მოქცევა შეეფერებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეტა როგორ წევს ახლა, როგორ ბედავს ძილსა და რაღაცებზე ფიქრს, როცა მისი ვაჟი, მისი დაუვიწყარი პავლიკი აღარ არის? მეორედ მოუკვდა, უკვე ნამდვილად დაკარგა შვილი და, თუ სიცოცხლეში ვერ ეღირსა მის ნახვას, უნდა მოასწროს და მკვდარს მაინც შეხედოს, ხელი მაინც შეავლოს, ეამბოროს გაციებულ შუბლზე. როგორ ქნა, რომ ლიზა მარტო გაუშვა? რა დროს წოლაა, წუთიც არ უნდა დაკარგოს და შვილიშვილს გამოუდგეს უკან. ახლა აღარაფერი აღარ ტკივა, რაკი სიკვდილს გადაურჩა.

ნინა სტეპანოვნამ ფაციფუცით ჩაიცვა, მაგრამ ახლა იმან დააფიქრა, რომ არ იცოდა, სად წასულიყო, მას ხომ მისამართიც არ ჰქონდა. გულმავიწყს იმ ქალაქის სახელიც აღარ ახსოვდა, სადაც პავლიკი ცხოვრობდა.

ღმერთო ჩემო, რა ჰქვია იმ ქალაქს, რა! ლიზიკო სიცილით, ხუმრობით ამბობდა ხოლმე, ჩემი ქალაქი ძალზე სახელგანთქმულია, იქ ხომ ორი გამოჩენილი ადამიანი დაიბადა — მე და დიდი რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკიო.

ნინა სტეპანოვნამ ლიზას ნივთები გადაქექა, პატარა ჩემოდანი, კაბები, ბლოკნოტი, სადაც ტელეფონის ნომრები ეწერა, მაგრამ ქაღალდის ნაგლეჯიც ვერ იპოვა, სადაც იმ ქალაქის სახელი ეწერებოდა, პავლიკმა თავისი ცხოვრების დარჩენილი წლები რომ გაატარა და სადაც ლიზა დაიბადა. მაგრამ მერე გაახსენდა, რომ წინკარში მდგარ კარადაში ეკიდა ლიზას პალტო და ამ პალტოს ჯიბეში იპოვა დაჭმუჭნილი საფოსტო კონვერტი, რომელზედაც ეწერა ქალაქ ვოტკინსკში მცხოვრებ ვიღაც ალექსანდრა ვასილევნა სტაროკოპიტოვას მისამართი, ლიზას მისამართი კი დაეწერა, მაგრამ რატომღაც გადაეფიქრა და წერილი აღარ გაეგზავნა. და კარგადაც მოქცეულიყო, თორემ როგორ გაიხსენებდა ნინა სტეპანოვნა ქალაქის სახელწოდებას, სადაც უნდა გაემგზავროს და თანაც დაუყოვნებლივ, რაც შეიძლება ჩქარა გაემგზავროს.

ნინა სტეპანოვნამ ჩაიცვა, რაც საჭირო იყო, სამგზავროდ გამოეწყო, კარი დაკეტა, გასაღები ლიფტთან სამალავში დადო — ლიზამ იცოდა ის ადგილი, — მერე დააპირა სადარბაზოს მორიგე გოგონასათვის ეკითხა, ხომ არ იცით, სად მდებარეობს ქალაქი ვოტკინსკიო, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან გოგოს მსუბუქ სავარძელში მოეკალათებინა ფეხებმოკეცილს და ტკბილად ჩაძინებოდა. ნინა სტეპანოვნამ ფრთხილად აუარა გვერდი და ჩაღამებულ ქუჩაში გამოვიდა.

რომელი საათი იქნებოდა, არ იცოდა. თეთრი მთვარისგან შემზარავად გადათეთრებულ ქუჩაში სიცარიელე იყო. გაიხრიგინა ტრამვაიმ, ბოლო ღამის რეისი თუ გააკეთა და პარკისკენ მიიჩქაროდა ან იქნებ დილის პირველი მერცხალიც იყო და მგზავრები ვერ შეეგროვებინა. ნინა სტეპანოვნა გამოეკიდა, მაგრამ ვერ დაეწია, ტრამვაი გაჩერებაზე გაჩერდა, მას არ დაუცადა და გზა განაგრძო.

ყველაფერს, რასაც ნინა სტეპანოვნა აკეთებდა სახლიდან გამოსვლის შემდეგ, თითქოს ბურანში სჩადიოდა, რადგან არ იცოდა, სად წასულიყო და როგორ წასულიყო, თითქოს ვიღაცას მიჰყავდა და ისიც მორჩილად ასრულებ-

და მის სურვილს. ტრამვაის რომ ვერ დაეწია, გამოცარიელებულ და მთვარის შუქით შემზარავად განათებულ მშვიდობის პროსპექტზე გავიდა. არც მანქანისა და არც მგზავრის ჭაჭანება არ იყო, შუქნიშნები კი მოელვიალებდნენ და თითქოს ერთმანეთს თვალს უკრავდნენ. ამ სინათლეებში გრძნობდა რაღაც შემზარავი, ყალბი, იდუმალი, რაც ადამიანის ნებას არ მორჩილებდა.

ნინა სტეპანოვნამ ტაქსის მწვანე შუქს მოჰკრა თვალი, ხელი დაუქნია, მანქანა გაჩერდა.

— რომელ აეროპორტში წავიდეთ? ისინი ხომ მრავლად არის.

— წამიყვანეთ, — უთხრა მკაცრად ნინა სტეპანოვნამ. — ყველაზე მთავარზე.

ტაქსმა ნინა სტეპანოვნა ლენინგრადის გზატკეცილზე გაიყვანა. მიუხედავად შუაღამისა, აეროსადგური ხალხით იყო სავსე. ცნობათა ბიუროში ნინა სტეპანოვნამ გაიგო, რომ უდმურდეთში, იჟევსკში უნდა გაფრინდეს, საიდანაც ავტობუსით ჩავა ვოტკინსკში.

იჟევსკის ბილეთი არ იყო, მაგრამ ნინა სტეპანოვნა მორიგე უფროსთან მივიდა, კარგად დაუცაცხანა და ბილეთიც გაჩნდა. უყვიროდა და თან საკუთარ თავს თითქოს უცხო თვალით ზომავდა, უკვირდა, საიდან გაუჩნდა ამოდენა სიმამაცე. შიშობდა, ვაითუ უფროსს არ შეეშინდეს, თავად დამიყვიროს და კაბინეტიდან გამაგდოსო.

მაგრამ უფროსს არ დაუყვირია, კაბინეტიდან არ გაუგდია, კარგა ხანს რეკა ტელეფონით და ბოლოს ნინა სტეპანოვნას უთხრა, სალაროში მიდი, ბილეთი შეიძინე და სასწრაფოდ წადი ვნუკოვოს აეროდრომზე, რადგან თვითმფრინავი სამ საათში გაფრინდებაო.

და მართლაც, ზუსტად სამი საათის შემდეგ, თვითმფრინავი მიწას მოწყდა და ნინა სტეპანოვნა უცნობ ქალაქისაკენ გააფრინა, მისი პავლიკისაკენ, რათა მოესწრო და გამოთხოვებოდა ვაჟიშვილს, სანამ ცივ მიწას მიაბარებდნენ.

ნინა სტეპანოვნამ ილუმინატორში გაიხედა, ძირს წვრილ ზოლად გაჭიმული მდინარე, ტანმაღალ, წერწეტა, ჩაყვითლებული ხეებით სავსე ტყე, მოშანდაკებული გზატკეცილი დაინახა და ამოიოხრა; შიშისა და იმავე დროს აღტაცების მსგავსი გრძნობა დაეუფლა იმის გაფიქრებაზე, რომ თავად მიფრინავს ღრუბლების სიმაღლეზე, დედამიწის ზემოთ, ხედავთ, აღსრულდა მისი დიდი ხნის გაუბედავი ოცნება, უიმედო ოცნება, მაღლა — სულ მაღლა აფრენილიყო და ცალი თვალით მაინც დაეკმაყოფილებინა ცნობისმოყვარეობა იმისა, თუ როგორი ჩანს მაღლიდან მიწიერი სამყარო.

დიახ, დიახ, კაცს ყველა ოცნება აუხდება ცხოვრებაში, ყველა იმედი და სურვილი, მხოლოდ მოთმინებით უნდა უცადო და იმედი არ დაკარგო, მაგრამ ასე გვიან რად ხორციელდება, როცა უკვე გული ლოდინმა და იმედმა დაღალა? მოესწრო თავისი ვაჟის, პავლიკის დაბრუნებას და ახლა გამოსამშვიდობებლად მიდის, მაგრამ უკვე მკვდართან, უძრავ მწოლიარესთან; ღრუბლებამდეც აფრინდა ბოლოს და ბოლოს, მაგრამ აფრინდა ასეთი მწუხარების და ნაღველის დროს, რათა აქედან, ამ სიმაღლიდან ეგრძნო, თუ რა პატარაა დედამიწა, რა არარაობანი არიან ადამიანები, ქვემოთ რომ ფუთფუთებენ, და რა მყიფეა ადამიანის სიცოცხლე. მტვერი ვართ და მეტი არაფერი, ამოტყდება ცხოვრების ქარტეხილი და საითაც უნდა, როგორც უნდა, ისე დავაქროლებს.

მართლაცდა აბა რა ოცნებები და იმედები ახლომია ნინა სტეპანოვნას?

არაფერიც არ ასრულებია — ასე მოლოდინში გაილია მისი ცხოვრება. ალბათ იმიტომაც აწმყოთი არასოდეს არ იყო კმაყოფილი, მუდამ ხვალინდელი დღის იმედი ჰქონდა. მთელი სიცოცხლე სწამდა, რომ ხვალინდელი დღე უკეთესი იქნება, ხოლო ზეგ — კიდევ უფრო უკეთესი და ელოდა, მუდამ მოლოდინში იყო, ცხოვრება კი ამ დროს სადღაც, გვერდზე, თავისით მიჰქროდა, როგორც ამწუთას მიჰქრიან თვითმფრინავის ქვემოთ მინდვრები, ტყეები, გზები და ქალაქები.

მართალს ამბობდა ეგორ ეგოროვიჩის და მაშინ, თვალებგადმოქაჩული რომ უწიოდა ნინა სტეპანოვნას, ქმარი არ გიყვარდაო. დიახ, მართლაც არ უყვარდა და თითქმის ნახევარი სიცოცხლე გაატარა იმ რწმენით, რომ ხალხი თვალთმაქცობს და საკუთარ თავს იტყუებს, სიყვარულის ზღაპრებით თავს იმშვიდებენო. თვად ნინა სტეპანოვნას სიყვარული წიგნებში უყვარდა, მაგრამ კითხვის დროსაც არ სჯეროდა, რომ სიმართლეს წერდნენ, რადგან წიგნებში გამოგონილი ამბები წერია, შეთხზული, რაც ძალზე შორსაა რეალური, ნამდვილი ცხოვრებისაგან.

ნინა სტეპანოვნას ცხოვრებაში სიყვარული ახალგაზრდობისას ეწვია, მამამისი რომ ნოქრად მუშაობდა, იმ საფუნთუშეს მეპატრონის ვაჟის, ჭაბუკ კოსტიკის სახით. კოსტიკს იგი ბავშვობიდან იცნობდა, მაგრამ ვერც ამჩნევდა მის არსებობას, ისევე როგორც ვერ ამჩნევდა ყოველივე იმას, რასაც დიდი ხანია შეეჩვია და რასაც შეეზარდა — ვთქვათ, კიბესთან მდგარ ხეებს, ეზოში მოქოთქოთე ქათმებს, გზაზე ავარდნილ მტვერს. მაგრამ ერთხელ, კოსტიკმა, იუნკერთა სკოლა რომ დაამთავრა, ოფიცრის ფორმით ჩაიარა მის სახლთან. ტანკენარი ჭაბუკი იყო, წელგამოკვართული. ბედნიერი მოაბიჯებდა, ტკბებოდა თავისი ახალგაზრდობითა და თავისი ახალი მუნდირით და ნინა ლტოლვებისაგან გაქვავდა თითქოს, ტუჩჩაკვნეტილმა თვალი გააყოლა, უცებ ამ ჭაბუკში ხორცშესხმული მიწიერი მშვენება დაინახა.

ნინას რამდენიმე დღე, თითქმის მთელი კვირა, უყვარდა კოსტიკი, შეყვარებული იყო მის მუნდირში, მის ტანადობაში, მოზეიმე, მედიდურ, ხელმწიფის კაცივით სიარულში, ჩუმად ჩურჩულებდა კოსტიკის სახელს. შეუცნობელ სურვილებს აეტანა და თავისთვის იბნიდ-იდაგებოდა.

ისე უნდოდა ენახა კოსტიკი, ყოველდღე გარბოდა მამასთან საფუნთუშეში, მაგრამ ყმაწვილი იქ არ ხვდებოდა — იგი იშვიათად ჩამოდიოდა ხოლმე მამასთან. ბოლოს, როგორც იქნა, ფაიტონით მოგრიალდა, ისეთივე მარჯვე, ჩქელი, ბრწყინავდა მუნდირში, იღიმებოდა და თეთრ კბილებს აელვებდა. მაგრამ ნინამ რომ ხელახლა ნახა, უცებ მიხვდა, რომ კოსტიკი ერთი კოხტაპრუწა ყმაწვილია, ვიღაცის მიბაძვით თავი რომ ბედნიერ ოფიცრად მოაქვს, რომ მას ფუნჩულა, გაქონილი ტუჩები აქვს, თავადაც თავიდან ბოლომდე ყალბია და სულაც არ არის ლამაზი და რომ თურმე ეს დღეები ნინას კოსტიკი კი არა, მისი მუნდირი მოსწონდა მხოლოდ.

ასე მოიწყლა პატარა ნინამ თავისი პირველი სიყვარული, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც არსებულა.

თუმცა, ეტყობა, კოსტიკს არ გამოპარვია ნინას ის პირველი აღტაცებული მზერა და, რაკი არ უწყოდა, რომ უკვე კვარცხლბეკიდან ჩამოაგდეს, საღამოს გუბურასთან დაიჭირა ნინა და კოცნა და ფერება დაუწყო. და თუმცა ნინასათვის ჯერ არავის ეკოცნა, გოგოს სულაც არ შეშინებია და არც ტუჩები მოუშორებია. ცნობისმოყვარეობამ აიტანა, სურდა გაეგო, რა იყო ეს —

უცხო ბიჭის კოცნა. ჰოდა, იგემა კიდეც და აქამდე არ დავიწყნია ამ ბებერ ქალს, რომ უცხო კოსტიას კოცნა არ ეამა. კოსტიამ მთელი სახე დაუდორბლა. გოგო გამოექცა, შინ კარგა ხანს იბანდა პირს საპნით და ასე ეგონა, ვერ ვერასოდეს ჩამოიბანდა.

ეგორ ეგოროვიჩი იქნებოდა თუ კოსტიკი, რა განსხვავება იყო? შეიძლება კოსტიკის ცოლი გამხდარიყო და მძლევარი ფრ[illegible] ზღვის იქით ქვეყნებში გაჰყოლოდა. თეთრი ოფიცერი კოსტი[illegible]. საფრანგეთში გაიქცა. ნეტა ცოცხალია თუ არა? თუ ცოცხალია, ალბათ მთლად ბებერი, დავრდომილი, ბეხრეკია. ნეტა ახსოვს კი დანილოვკა ან ნინა, საწყალი ნოქრის ქალიშვილი? ნუთუ მშობლიური მიწა-წყლის მოშორება არ ანაღვლებს? ნინა სტეპანოვნა მოსკოვის ერთი ქუჩიდან მეორეზე გადავიდა საცხოვრებლად და ვერაფრით ვერ შეეჩვია, გული სულ ძველი ადგილისაკენ ეწევა. იმას კი ნუთუ უცხო მხარეში სიკვდილის არ ეშინია?

ნინა სტეპანოვნას იშვიათად თუ მოაგონდებოდა ხოლმე კოსტიკი — რა ჰქონდა მოსაგონარი? — მაგრამ როცა გაახსენდებოდა, ძალზე ბრაზდებოდა. რომ გეკითხათ მისთვის, რატომ მოგდის გული იმ შორს გადაკარგულ კოსტიკზე, რა ხანია უცხოელად რომ იქცა და იქნებ ამქვეყნად აღარ არისო, ნინა სტეპანოვნა ხეირიან პასუხსაც ვერ გაგცემდათ, რადგან თავადაც ვერ გაეგო, რატომ ბრაზობდა, ნუთუ იმ ოდინდელი დორბლიანი კოცნისათვის? ან იქნებ იმიტომ, რომ კოსტიკმა სიბრიყვით კარგი ცუდისგან ვერ გაარჩია და სამუდამოდ წავიდა საყვარელი ტურფა რუსეთიდან? ან იქნებ ნინა სტეპანოვნას თავის თავზე მოსდიოდა გული, ხელი რად ვკარიო მაშინ კოსტიკს, რად შემპარაო ეჭვი მის გულწრფელობაში, იქნებ წრფელი გრძნობა ჰქონდაო. შეიძლება, მართლაც ჰქონდა. იქნებ ცოლადაც ეთხოვა. მერე საზღვარგარეთ წაიყვანდა, საფრანგეთში და ნინა სტეპანოვნა ფრანგი ქალბატონი გახდებოდა, პარიზულ ტანსაცმელში მოირთვებოდა, პარიზის ღვთისმშობლის ტაძართან და ეიფელის კოშკთან ისეირნებდა, ლუვრის მუზეუმში ივლიდა და მსოფლიო ფერწერის შედევრებით დატკბებოდა. ნინა სტეპანოვნას უყვარს მხატვრობა და გაეგება კიდეც — ომის წინ იგი პავლიკთან ერთად ტრეტიაკოვის გალერეაში დადიოდა, მოსწონდა იქაურობა, პავლიკმა უთხრა, საინტერესო და სწორ შენიშვნებს იძლევი სურათების შესახებო.

პავლიკ, ჩემო ბიჭო, აპატიე შენს ბებერ, სულელ დედას! ნეტა სად დააქროლებს ეს ფიქრები დოლის ცხენივით. ფიქრი ფიქრს ჩასჭიდებია და იწელებიან, იწელებიან, კაცმა არ იცის, საითკენ, ერთ რამეზე ფიქრს რომ დაიწყებს, მეორეთი ამთავრებს, — ერთი სიტყვით, საიდან სადაო წმინდა საბაო, ამაზე იტყვიან.

ნინა სტეპანოვნას ტირილი მოერია. ცდილობდა ჩუმად ექვითინა სახეზე ცხვირსახოცაფარებულს და თვითმფრინავის სარკმლისკენ მიტრიალებულს. არ უნდოდა მგზავრები შეეწუხებინა. მაგრამ არ გამოუვიდა ჩუმი ტირილი და უფრო და უფრო ხმამაღლა სლუკუნებდა, ეცოდებოდა პავლიკიც და თავისი თავიც.

სტიუარდესამ წყალი და დამამშვიდებელი წვეთები მოუტანა. ნინა სტეპანოვნამ დალია წვეთები, მაგრამ ვერ დაწყნარდა. პირიქით, უფრო აუწეწა ძარღვები ასეთმა მზრუნველობამ, მთლად ცრემლებად დაიღვარა, საპირფარეშოს მიაშურა და იქ გული მოიჯერა ტირილით.

ჩემო ბიჭო, ჩემო შვილო, ჩემო სისხლო და ხორცო, ძვირფასო პავლიკ,

აწი როგორღა ვიცხოვრო, რა გავაკეთო? ნინა სტეპანოვნას აკი არ უნდოდა პავლიკის გაჩენა, არა, არ უნდოდა. მაგრამ სუსტი და უმწეო რომ დაიბადა, შეეშინდა, არ მოკვდესო, და მიხვდა, რომ ამიერიდან მხოლოდ ის არის მთელი მისი ცხოვრების აზრი. ბავშვის ყოლა არ სურდა, რადგან იმ წლებში იმდენი გაჭირვება გამოიარა, აღარ სჯეროდა, თუ უკეთესი დრო დადგებოდა, ასე ეგონა, მუდამ ასე იქნებოდა — ჯერ იყო ომი გერმანელებთან, ამ ომში მამა დაეღუპა, მერე მეორე — სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ხელისუფლება შეიცვალა, შიმშილობა, ნგრევა გამოიარა, პარტახტიანი ტიფი, დედის სიკვდილი, გაყინულ ბინებში გადასვლა-გადმოსვლა, უპატრონობა. გატიალება — ყველაფერი დაატყდა თავს. სწორედ მაშინ შეხვდა დემობილიზებულ მეზღვაურს, ეგორს, ავადმყოფობას რომ დაეყრუებინა. ეგორს შეეცოდა და ალერსიანად მოექცა. ისე, კაცმა რომ თქვას, ვის ვინ შეეცოდა — კაცს ქალი თუ ქალს კაცი. — ძნელი გასარკვევია, მაგრამ ამ ორმხრივი ურთიერთშეცოდებიდან იყო და არა სიყვარულიდან, პავლიკი რომ გაჩნდა. ნინა სტეპანოვნას მისი აქვეყნად მოვლინება იმიტომ არ სურდა, რომ თავისი თავი არ მიაჩნდა უფლებამოსილად სიცოცხლე მიეცა იმ არსებისათვის, ვისაც ცხოვრების სიხარულს ვერ დაპირდებოდა. თუ გააჩენ — კიდევაც უნდა შეგეძლოს პაწაწინას ტანჯვისაგან დაცვა. მაგრამ გაჩნდა პავლიკი და ნინა სტეპანოვნას ახლა აღარ ახსოვს, შვილისაგან რა დარდი ჰქონია, ან შვილს რა წყენა მიაყენა თავად, ხოლო სიხარულსა და სიტკბოს კი რა დაავიწყებს. ჩემო ძვირფასო ბიჭო!

ნინა სტეპანოვნა დაწყნარდა, ტირილი შეწყვიტა, თავის ადგილას დაბრუნდა და სწორედ რომ დროულად, რადგან თვითმფრინავი დასაჯდომად დაეშვა.

თვითმფრინავი დაჯდა თუ არა, ნინა სტეპანოვნა ადამიანთა აბობოქრებულმა მდინარემ გაიტაცა და სადღაც წაიღო. იგი მიცურავდა ამ გამალებით მოძრავ ხალხში და თავად არ მონაწილეობდა მათ მოძრაობაში, მორჩილებდა მხოლოდ. მგზავრთა ნაკადმა თვითმფრინავიდან იგი ავტოსადგურში მიიყვანა, სადაც ბევრჯერ ხან აქეთ ეცა, ხან იქით და ბოლოს იპოვა ავტობუსი, რომელმაც ქალაქის ავტოსადგურში წაიყვანა. საათნახევარი იცადა ავტოსადგურში, მერე ჩაჯდა ვოტკინსკის ავტობუსში და თავის მკვდარ პავლიკთან შესახვედრად გაეშურა.

ქალაქი იჟევსკი საქმიან ქალაქად მოეჩვენა, ყველგან მშენებლობა გაეჩაღებინათ, მოეწონა ლამაზი, ახალი, მინებჩასმული ნაგებობები, უსასრულოდ გაშლილი ტბა, რომელზედაც გაცურდა კი არა, გადაფრინდა სწორი ხომალდი, გამჭვირვალე ფრთები რომ მაღლა აეშვირა. მაღლა — სულ მაღლა, ტბის წყლის ზედაპირს ზემოთ შედგომოდა ცას ობელისკის წაწვეტებული ბოძალი, ლითონის ზედაპირზე მზეს ირეკლავდა და თვალს სჭრიდა კაცს. ქალაქის ქუჩებზე აქა-იქ ავტომობილებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობას აწესრიგებდნენ მილიციელი გოგოები — ნინა სტეპანოვნას ერთი კაციც არ დაუნახავს — მხოლოდ ეს ყმაწვილი, ტანადი, მკაცრი გოგონები განაგებდნენ ლამაზად და კოხტად აქოთქოთებულ ქუჩებს. ამ მილიციელის ლამაზ, თეთრ ფორმაში მორთულმა კოხტა გოგოებმა გული აუჩვილეს ნინა სტეპანოვნას: ისეთი სინორჩის სისპეტაკე და ქალური სინატიფე ეტყობოდათ მოძრაობაში, გულაჩუყებული ნინა სტეპანოვნა მაშინვე მიხვდა, რომ კეთილ, სინათლით სავსე მხარეში მოხვდა.

უკვე შუადღე იყო, ირგვლივ ფართო მინდვრებსა და სოფლებს მზე აცხუნებდა, ავტობუსიც გავარვარებული იყო, სული შეეხუთებოდა კაცს. ხალ-

ხი გაზეთებსა და ცხვირსახოცებს ინიავებდა გასაგრილებლად. უკანა დასაჯდომზე ვიღაც სტუდენტები გიტარაზე მღეროდნენ, მგზავრები ან თვლემდნენ, ან ფანჯარაში იყურებოდნენ, ან კიდევ ერთმანეთს უზიარებდნენ ცხოვრებისეულ შთაბეჭდილებასა და სიხარულს, აქაოდა, ესა და ეს შევიძინეთო უნივერმაღსა თუ გასტრონომში ამა და ამ ფასადო. ღმერთო ჩემო! გაიფიქრა ნინა სტეპანოვნამ, როგორ გიდნება ხელში თურმე ფული! ჯერ კიდევ ვერ მიაღწია ვოტკინსკამდე და სამი თვის პენსიიდან მორჩენილი დანაზოგის [illegible] დახარჯა უკვე — აქ მანეთი გადაიხადე, იქ სამი მანეთი, აქ ოცი კაპიკი დადე, იქ — სამოცი კაპიკი. მაგრამ რა სულელი ვარ, რა დროს ფულების ანგარიშიაო, გაკიცხა თავი, ფული ხომ მტვერია, ხელის ჭუჭყი და მეტი არაფერი, დასწყევლოს ღმერთმა ეს ფულებიო.

ნინა სტეპანოვნას ისევ აეტირა, მაგრამ თავი შეიკავა, ცრემლები ჩაყლაპა და ტუჩი ჩაიკვნიტა, არ ავქვითინდეო. არა, არა, პავლიკ, ჩემო პატარავ, ჩემო ბიჭო, არ ავტირდები, არა.

უკანა დასაჯდომზე სტუდენტები კი სულ მღეროდნენ და მღეროდნენ კარგ სიმღერებს, არც გაჰყვიროდნენ და არც ღმუოდ-ჰყიოდნენ, არც ტანს იგრეხდნენ ბევრი ახალანდელი ახალგაზრდასავით, ლირიულად, გულში ჩამწვდომად მღეროდნენ.

ნინა სტეპანოვნას სურდა პავლიკისათვის კარგი განათლება მიეცა, რომ სხვაზე ნაკლები არ ყოფილიყო მისი ბიჭი, ინტელიგენტი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი გამოსულიყო და ამიტომ მუსიკასაც ასწავლიდა. ეს კი ცოტა ფული არ ჯდებოდა, მაგრამ ნინა სტეპანოვნა მოურიგდა მეზობლად მცხოვრებ ქვრივ ინჟინერს, სამუშაოს შემდეგ მის ავადმყოფ გოგონას დაასეირნებდა ხოლმე და ინჟინერი კარგ ფულსაც უხდიდა ამაში.

პავლიკი ვიოლონჩელზე დაკვრას სწავლობდა, ასე ურჩია ნინა სტეპანოვნას ხალხმა, ვისაც გაეგებოდა ამ საქმისა. ვიოლონჩელიო, უთხრეს, ყველაზე კეთილშობილური საკრავიაო, არა, ვიოლინო კი არა, ასე რომ მოსწონდა ნინა სტეპანოვნას, სწორედ რომ ვიოლონჩელიო. ნინა სტეპანოვნამ ყური უგდო ამ ხალხის რჩევას და პატარა პავლიკს რომელიღაც ცნობილი ხელოსნის ნაკეთები ვიოლონჩელო უყიდა, რომელიც პავლიკზე დიდი იყო. ბიჭი რომ დასაკრავად დაჯდებოდა, ძლივს იტევდა ფეხებში საკრავს, რომელიც მთელ ტანს უფარავდა. საკრავის მაღალ, კოხტად გაღუნულ, ნატიფ ყელთან კი აშვერილიყო პატარა, გამხდარი პირისახე ბიჭისა, მეტისმეტი გულმოდგინებისაგან შავი თვალები რომ დაეჭყიტა.

ნინა სტეპანოვნას პავლიკი მუსიკალურ სკოლაში სამეცადინოდ დაჰყავდა. შორი გზა იყო, ორი ტრამვაი უნდა გამოეცვალათ, ტრამვაიში პავლიკის მგზავრობის ფული ცალკე უნდა გადაეხადა და ვიოლონჩელისა — ცალკე და ამიტომაც ხშირად ნახევარ გზას ფეხით გადიოდნენ. ნინა სტეპანოვნას ეამებოდა პავლიკთან ერთად სიარული, რომელსაც ხელში დიდი ვიოლონჩელი ეჭირა — ნაცნობ-უცნობნი ხედავდნენ, რომ მასა და მის ბუჭუნას ხელოვნებასთან ჰქონდათ საქმე და იქნებ შენატროდნენ კიდეც მათ.

პავლიკს ცნობილი მასწავლებელი, სერგეი პეტროვიჩ შირინსკი ასწავლიდა. დიახ, რა თქმა უნდა, სწორედ ის კაცი, ვისი სახელიც მუდამ დიდი ასოებით ეწერა აფიშებზე, რომლებიც იუწყებოდნენ, რომ კონცერტს მართავს ბეთჰოვენის სახელობის სახელგანთქმული კვარტეტი. ნინა სტეპანოვნას სურდა კონსერვატორიაში ამ კვარტეტის კონცერტს დასწრებოდა, მაგრამ ვე-

ღარ მოაბა თავი ამ საქმეს. ყოველ მეცადინეობაზე სერგეი პეტროვიჩი პავლიკს ნიშანს უსვამდა — „სდ“ — „სავსებით დამაკმაყოფილებელია“, თუმცა მაინცდამაინც არ აქებდა. ამბობდა, ბიჭმა ბევრი უნდა იმუშაოსო. ნინა სტეპანოვნა აიძულებდა პავლიკს, რომ ემუშავა და ისიც მორჩილად უკრავდა ყოველდღე რამდენიმე საათს ერთსა და იგივეს — გამებს, გამე[illegible]მებს. ეგორ ეგოროვიჩს მიაჩნდა, მუსიკის მეცადინეობა ფუჭი საქმე[illegible] ინსტრუმენტის სახელსაც ვერ გამოთქვამდა ხეირიანად ან იქნებ განგებაც იმტვრევდა ენას და „ვილანჩენს“ ამბობდა.

სერგეი პეტროვიჩ შირინსკი მოსწონდა ნინა სტეპანოვნას, საამო, ტკბილი კაცი იყო, კარგი სახე ჰქონდა, დიდი, კეხიანი, ლამაზი ცხვირი, ფართო, მტკიცე ხელები, მგრძნობიარე თითები — ფრჩხილები დაჭრილი, თითის ბალიშები — დაბერილი, მაგარი, გაპრიალებული ხელის კანი.

ზოგჯერ სერგეი პეტროვიჩი თავის სახლში ატარებდა მეცადინეობას. სტანკევიჩის ქუჩაზე ცხოვრობდა, ქალაქის საბჭოსთან ახლოს, ჩერნიშევსკის აბანოებთან. ნინა სტეპანოვნას უყვარდა რბილ სავარძელში წყნარად მოკალათება და, სანამ პავლიკი თავის სავარჯიშოებს უკრავდა, კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული სურათების, კომოდზე შემოდებული ფაიფურის ქანდაკებისა და კარადიდან გამომზირალი ლამაზი წიგნებისათვის თვალის შევლება. სერგეი პეტროვიჩი არტისტული გარეგნობისა იყო და მისი ბინაც არტისტული ეჩვენებოდა ნინა სტეპანოვნას, თავის თავისადმი პატივისცემას გრძნობდა, რომ ასეთ მაღალ წრესთან ჰქონდა საქმე.

პავლიკი ორ წელიწადს მოთმინებით სწავლობდა მუსიკას, მაგრამ ერთხელ ნინა სტეპანოვნამ დაინახა, რომ ბიჭს პიუპიტრზე სანოტო რვეულის ზემოთ წიგნი დაედო — პერელმანის „სახალისო მათემატიკა“, რომელსაც კითხულობდა, ხოლო ხემით ტყუილად აწრიპინებდა სიმებს და მიხვდა, რომ მისი შვილი მუსიკოსი ვერ გამოვიდოდა, მაგრამ დიდი მათემატიკოსი კი შეიძლება დამდგარიყო მისგან.

შალითაში ჩადებული ვიოლონჩელი კარგა ხანს ეკიდა კედელზე. ნინა სტეპანოვნამ თავად შეკერა ეს შალითა ეგორ ეგოროვიჩის სამოქალაქო ომისდროინდელი მაზარიდან. საკრავის გაყიდვა არც უფიქრია, რად უნდა გაეყიდო, ეკიდოს თავისთვის, ჭამას არ მთხოვს და სმასო, საამო მოგონებებს აღძრავს და იქნებ კიდეც გამოადგეს თუ პავლიკს არა, მის შვილებს მაინცო. თუმცა ორმოცდასამ წელს, როცა ეგორ ეგოროვიჩი ფრონტიდან დაბრუნდა და ნაჭრილობები საშინლად სტკიოდა, ნინა სტეპანოვნას ბევრი აღარ უფიქრია, ვიოლონჩელი გაყიდა და მშვიდობიანი დროის კვალობაზე ბლომად ფულიც აიღო, მაგრამ ახლა კი ამ ფულით ბაზარზე ერთი მთელი პური იყიდა, ერთი კილო ხორცი, ნახევარი ლიტრა არაყი და ამ არყით ენითაუწერელი სიხარული მიანიჭა მომაკვდავ ეგორ ეგოროვიჩს.

ნეტა სცოდნოდა, რომ პავლიკს ასეთი ბედი ელოდა, როგორ აიძულებდა, ბავშვობის საუკეთესო წლები შეელია მეცადინეობისათვის, რომელიც სულაც არ ეპიტნავებოდა. ნეტა სცოდნოდა! სრულ ნებაზე მიუშვებდა ბავშვს — ერბინა, რამდენიც უნდოდა, ენავარდა, ეკეთებინა, რაც უნდოდა, დამტკბარიყო სიცოცხლით. მაგრამ პავლიკი გამგონე ბიჭი იყო, საყვარელი, ალერსიანი ბიჭუნა და აწრიპინებდა და აწრიპინებდა იმ საძულველ გამებს...

ავტობუსი ნინა სტეპანოვნას თბილ, შემოდგომის მზემოფენილ უდმურდეთის მიწაზე მიაგრიალებდა, — რა ხალვათი, დოვლათიანი და ლაღი მიწა-

წყალია, ნინა სტეპანოვნა სიამოვნებით იცხოვრებდა აქ, პავლიკთან და მის ოჯახთან ერთად დასახლდებოდა, დროზე რომ ეპოვა შვილი, როგორ მოხდა ეს — დედა-შვილი ერთმანეთს უხმობდა, ეძებდა და ვერ კი შეეხმიანენ, თუმცა ასე ახლოს კი იყვნენ, თვითმფრინავით რაღაც ორიოდე ნაბიჯის სავალზე, აგერ შენ, ჩემო კარგო ბიჭუნა და აგერ მე, შენი მარტოხელა, დარდით გათავებული დედა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავტობუსმა ატარა, ატარა ნინა სტეპანოვნა და, როგორც იქნა, ქალაქ ვოტკინსკში მიიყვანა. როგორც კი სარკმლის იქით მინდვრები სხვა პეიზაჟმა შეცვალა, ქალაქის სიახლოვის მაუწყებელმა — გამოჩნდა ხის სახლები, მწვანედ აღაღანებული ბაღჩები, ღობესთან, მერხზე ჩამომსხდარი დედაბრები, ქუჩისპირას მოხეტიალე ქათმები, ძაღლები, ზანტად რომ შეჰღავღავებდნენ ავტობუსს, — ნინა სტეპანოვნა შიშის კანკალმა აიტანა, მალე მკვდარ პავლიკს შევხვდებიო. წამით დახუჭა მხოლოდ თვალები, ხოლო როცა გაახილა, ავტობუსი ლამაზ, ამწვანებულ ქუჩაზე მიდიოდა, ჩაუარა მაღაზიებს, დაწესებულებებს და ბოლოს ავტოსადგურთან გაჩერდა.

მგზავრები აფუსფუსდნენ, ერთმანეთის ჯიკავ-ჯიკავით და ჩემოდნებისა და კალათების რტყმევით გაიკვლიეს გზა და ჩავიდნენ, ნინა სტეპანოვნა კი ისევ ისე იჯდა და იჯდა, ვიდრე მძღოლმა არ მოაგონა, რას დამჯდარხარ აქ, ჩასვლის დროაო.

ჩამოსვლით კი ჩამოვიდა, მაგრამ ფეხები ველარ დაძრა. დიდხანს ჯდომისაგან დაღლოდა თუ მღელვარების ბრალი იყო, მისი ბებერი ფეხები უარს ამბობდნენ მომსახურებაზე. ჰოდა, იდგა ნინა სტეპანოვმა ავტობუსთან იმ მზის გულზე და პაპანაქებისაგან სულშეხუთულს ადგილიდან დაძვრის თავი არ ჰქონდა. იქვე ,მის სიახლოვეს და მის ირგვლივ აქეთ-იქეთ მიდი-მოდიოდა ხალხი, ცხოვრება დუღდა, მიჰქროდა თავის რიტმზე, მაგრამ იმისმა ფიქრმა, რომ უნდა აჩქარდეს, რათა არ დააგვიანდეს, რომ დაგვიანებას ვერ გაბედავს, რომ მისთვის არ შეიძლება დაგვიანება, მან პავლიკი ჯერ კიდევ მანამდე უნდა ნახოს, სანამ მიწის ზემოთ არის, მერე კი უფლება აქვს თავადაც მოკვდეს, — ამისმა ფიქრმა თითქოს გამოაცოცხლა, თითქოს ძალა მისცა და ნინა სტეპანოვნა დატრიალდა, დაფაცურდა ამ ზღვა ხალხში, გამვლელებს ჰკითხა, სად არისო აქ, ქალაქში, ინვალიდების სახლი, ან კიდევ სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალიო.

მაგრამ არავინ იცოდა, სად მდებარეობდა ვოტკინსკში ასეთი ჰოსპიტალი. რევოლუციამდეო, ამბობდნენ, საჰოსპიტალო პატარა ქალაქი კი იყო, მაგრამ რა ხანია აიღეს და ახლა იქ სტადიონია, იქნებ საავადმყოფო გინდათო? ყველამ კარგად იცოდა, სად იყო ქალაქის საავადმყოფო, სად — ბავშვთა საავადმყოფო, პროფილაქტორიუმი, კუჭის სამკურნალო სანატორიუმი, შედსასწავლებელი, ხოლო სამამულო ომის ინვალიდთა ჰოსპიტალი — არავინ იცოდა.

აჰ, რა ჩერჩეტი, სულელი ვარო, გაიფიქრა ნინა სტეპანოვნამ, დროს რაზე ვკარგავ, არაფრის ძებნაც არ მჭირდება, ლიზას კონვერტზე მითითებულ მისამართზე უნდა გავეშუროო.

ლიზას კონვერტზე დაწერილმა მისამართმა ნინა სტეპანოვნა ბერეზოვკაში, ახალ რაიონში მიიყვანა, ასე რომ ჰგავდა მოსკოვის ჩერემუშკას. კარგა ხანს დაბორიალობდა ხუთსართულიან ბლოკის სახლებს შორის, ასე ტყუპისცალებივით რომ გავდნენ ერთმანეთს და ბოლოს, როგორც იქნა, იპოვა მისთვის საჭირო ქუჩა.

სახლის ახლოს დარბოდნენ ცქვიტი ბავშვები. ახალგაზრდა დედები საბავშვო ეტლებითურთ დასეირნობდნენ მწვანე ხეივანში, რომელიც სადარბაზომდე გასდევდა გზას.

ნინა სტეპანოვნა სადარბაზოში ერთხანს შეჩერდა, რათა ძალა მოეკრიბა, და მერე მეთხუთმეტე ბინის ძებნაში კიბეს აუყვა.

იპოვა კიდეც, მესამე სართულზე. კარს ყავისფერი მუშამბა ჰქონდა შემოკრული, ზღურბლთან შინნაქსოვი ფეხსაფენი ეგო, ბინიდან რადიოს ხმა ისმოდა. ნინა სტეპანოვნამ ზარის ღილაკს თითი დააჭირა.

— ახლავე, ახლავე, ამ წუთას! — გაისმა კარს უკნიდან ქალის ხმა, კარი გაიღო და ნინა სტეპანოვნას ვანილის სუნი ეცა. — ოჰ, ბოდიშს ვიხდი, — თქვა ქალმა, კარი რომ გააღო, ხელები ფქვილით ჰქონდა დასვრილი. — მაპატიეთ, ღვეზლებს ვაცხობდი. დეპეშა მოიტანეთ, არა?

— არა, — თქვა ნინა სტეპანოვნამ.

— მაპატიეთ. დღეს ჩემი ქმრის დაბადების დღეა და მოგვაყარეს დეპეშები, მე კი ღვეზლებს ვაცხობ, თანაც არ მეხერხება ცხობა და მთლად გავითხუპნე ფქვილით. — ქალმა დარცხვენით გაიცინა. — ღმერთო ჩემო, ზღურბლზე რად დამდგარხართ შემოდით, გეთაყვა.

ნინა სტეპანოვნა წინკარში შევიდა, თუმცა უკვე მიმხვდარი იყო, რომ სულ სხვაგან, სხვა ბინაში თუ სხვა სახლში მოხვდა, მაგრამ მაინც იკითხა:

— ლიზა ივანოვას თუ იცნობთ?

ქალს გაეცინა:

— ვიცნობ, რასაკვირველია, განა ჩემს ქალიშვილს არ უნდა ვიცნობდე?

ნინა სტეპანოვნას, შემდეგში რომ იგონებდა, რაც გადახდა აქ, ამ ბინაში, თავის თავისთვისაც ვერ დაეჯერებინა, როგორ შეძლო ყველაფრის ატანა და გადატანა. სწორედ ის ამბავი დაემართა, რაც მაშინ მოსკოვში, როცა წვიმაში მტირალი ლიზა დაინახა და გოგომ ის საშინელი ამბავი აცნობა პავლიკის მეორედ დაკარგვისა, რადგან ისევე, როგორც მაშინ, ახლაც დაეუფლა, არა, გულგრილობა კი არა, რაღაც უცნაური სიმშვიდე, განურჩევლობის გრძნობა, თითქოს ყოველივე, რაც ხდებოდა, მას კი არა, ვიღაც სხვას ჭირდა და თავად მხოლოდ მაყურებელი იყო ამ ამბისა.

— საკუთარ ქალიშვილს როგორ არ ვიცნობ, — თქვა ქალმა და ნინა სტეპანოვნამ, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაეგებოდა, რა ხდებოდა, მაგრამ უკვე გრძნობდა, რომ რაღაც წარმოუდგენელი ამბავი უნდა მომხდარიყო, ჰაერი ჩაყლაპა და არაბუნებრივი მშვიდი, გაყინული ხმით, ისე რომ თავადაც გრძნობდა თავისსავე სიცივეს, იკითხა:

— პაველ ეგოროვიჩ ივანოვი თუ იცით? ინვალიდი კაცი?

— არ ვიცი, — უპასუხა შეშინებულმა ქალმა, შემკრთალი რომ შესცქეროდა ნინა სტეპანოვნას, რომელსაც თვალისწამში შეეშალა სახე.

— შემიძლია ველაპარაკო ლიზას? — ჰკითხა ნინა სტეპანოვნამ.

— ღმერთო ჩემო, დაჯექით, მითხარით, რა მოხდა? — შეჰყვირა ლიზას დედამ. — მოსკოვშია ლიზა, იქ სწავლობს. დაჯექით ერთი, გეთაყვა.

ნინა სტეპანოვნა არ დამჯდარა, არა, არ დაღლილა, ახლავე წავა, უნდა იჩქაროს, კიდევ ბევრი საქმე აქვს მოსასწრები; არაფერი არ მომხდარა, სწორედ რომ არაფერი, ნუ შეწუხდება, აი, ერთ ჭიქა წყალს რომ დაალევინებდეს, ამაზე კი არ იტყოდა უარს; დიდი მადლობა, დიდი, მაშასადამე, პაველ ეგოროვიჩ ივანოვს, ინვალიდს არ იცნობთ და არც გაგიგონიათ, ჩემი ვაჟი გახლავთ,

ომში დაიღუპა თუ უგზოუკვლოდ დაიკარგა, ამბობენ, რომ ლიზამ თუ ვილაც მისმა ნაცნობმა რაღაც იცისო მასზე, ახლა ხომ არის მოწაფეთა ამდაგვარი რაზმები, დაღუპულებს რომ ეძებენ და პოულობენ კიდეც. გეთაყვა, უარს ნუ მეტყვით, მომეცით ლიზას მისამართი. აჰ, ვიღაც დედაბერთან აქვს კუთხე დაჭერილი, ოცდახუთ მანეთს იხდის? ასე ძვირს? მოკითხვამდე! მისამართით წერთ ბარათებს, არა? მეც ასევე მივწერ. მადლობელი ვარ, გეთაყვა, არა. დავიხსომებ, მეხსიერება კარგი მაქვს, მახსოვს კიდეც — მოსკოვი, საფოსტო განყოფილება И—10, თუმცა დამიწერეთ, მადლობელი ვარ. ლიზა სად სწავლობს? უნივერსიტეტში? ნიჭიერი გოგო ყოფილა, რომ ჩვენს დროში კონკურსში გავიდა. მე სად ვცხოვრობ? იჟევსკში ვსახლობ. დიახ, დიახ, იჟევსკში. არა, არ დაგელოდებით, ლილვარ. გმადლობთ, წავალ ახლა.

ნინა სტეპანოვნა კარისაკენ გაემართა. მაგრამ ამ დროს კარი გაიღო და ქუჩიდან ვიღაც კაცი შემოვიდა. მის დანახვაზე ნინა სტეპანოვნამ კინაღამ თავი დაკარგა, კინაღამ შეჰყვირა, იმიტომ რომ ოთახში პავლიკი შემოვიდა. შემოსულ კაცს ის სახე ჰქონდა, რომელიც უკვე შეუყვარდა ნინა სტეპანოვნას და რომელსაც ჰკოცნიდა იმ ფოტოსურათზე, ლიზამ რომ მოუტანა.

ეს ლიზას მამა იყო. მას პაველ პეტროვიჩ ივანოვი ერქვა. და პაველ ეგოროვიჩ ივანოვს არ იცნობდა, არა, არც გაუგონია ასეთი ვინმე.

აი, რა გადახდა თავს ნინა სტეპანოვნას ვოტკინსკში და მაინც, რა მოხდა, ხეირიანად ვერ გაეგო: რასაკვირველია, მისთვის ცხადი იყო, რომ ლიზამ მოატყუა, ულმერთოდ, ბოროტად მოატყუა. მაგრამ რატომ? რისთვის? საიდან გაიგო პავლიკის ამბავი, ან მისი ცხოვრებისეული წვრილმანები? საზიზღარი გოგო, მოატყუა მოხუცებული დედა, შებღალა და მასხრად აიგდო ყველაზე უძვირფასესი, ყველაზე უწმინდესი გრძნობა. რატომ გააკეთა ეს?

იჟევსკში ორი ავტობუსი მიდიოდა და ხალხი უკვე ორივეში სხდებოდა. ნინა სტეპანოვნამ ვერაფრით ვერ აირჩია ვერც ერთი და ვერც მეორე. ხან ერთი ეჩვენებოდა უფრო გაჭედილი, ხან — მეორე და უთავბოლოდ აწყდებოდა აქეთ-იქით; თავადაც ხვდებოდა, რომ თავისი სიბენტერით ჯგლეთასა და უხერხულობას ქმნიდა.

ვიღაც ჭაბუკმა, რეზინის ჩექმები რომ ეცვა და მხარზედაც ვეება ზურგჩანთა მოეგდო, სიცილით უთხრა:

— ნუ ხტუნავხარ, ბები, დადექი აქ და წყნარად დაელოდე. ის ავტობუსი შენთვის კი არა, ტურისტებისთვის არის...

რა უთხრა ისეთი? არაფერი საწყენი არ დასცდენია, მაგრამ ნინა სტეპანოვნას მაინც ეწყინა, ეწყინა კი არა, გაბრაზდა კიდეც.

— შენ ნუ მასწავლი, — თითქმის დაუყვირა მან ჭაბუკს და ზიზღით შეხედა. — არ გაბედო ჩემი სწავლება! — დაუკივლა ჩამწყდარი ხმით. — ხედავთ, როგორ გამოიცვალა ხალხი! ახალგაზრდობა! სად გაიზარდეთ ნეტა!

ნინა სტეპანოვნა ყვიროდა და გაცეცხლებული მთლად კანკალებდა, თან ესმოდა, რომ არასამართლიანად იქცეოდა, უმსგავსად, ავი, საძაგელი დედაბერი იყო! — მაგრამ შეჩერება არ შეეძლო და ყვირილით ამ ზურგჩანთიან ყმაწვილზე იყრიდა თავის ჯავრსა და ვარამს, დღეს რომ თავს დაატყდა და სამუდამოდ მოსპო.

ქალმა თითქმის ოთხმოცი წელიწადი იცხოვრა ამქვეყნად და არასოდეს არ დაუკარგავს ხალხის სიკეთის რწმენა. რასაკვირველია, კეთილი ადამიანიც უნახავს და ბოროტიც, სიხარულიც უგემნია მათგან და წყენაც, მაგრამ ასე დათრ-

ვუნებული და განადგურებული, როგორც დღეს არის, არასოდეს ყოფილა. დიდად შეურაცხყვეს, ამიტომაც ზიზღიც დიდი ედო გულში. არამზადები და მატყუარები არიან ყველანი! დიახ, დიახ, ირგვლივ ყველა, ყველა პატარა ადამიანია, უნამუსო პირუტყვები, ერთმანეთს რომ შესაჭმელად არ დაინდობენ.

— წყნარად იყავით, ბები, — უთხრა ვიღაცამ.

ნინას სტეპანოვნა კი მაინც ყვიროდა, არც თავს უგდებდა ყურს და არც სხვას, უმსგავსოდ, წივილით, ჯიკავ-ჯიკავით მიიწევდა წინ რიგში.

— მე ოთხმოცი წლისა ვარ და მაქვს უფლება, მე ვაჟი დამეღუპა ფრონტზე და მაქვს უფლება!

გაატარეს წინ და შევიდა ავტობუსში, დაჯდა, თავისი ადგილი დაიკავა, მაგრამ ვერაფრით კი ვერ დამშვიდდა, ერთთავად რაღაცას ბურდღუნებდა და თან აკანკალებულ ხელს იფარებდა პირზე.

მაგრამ აი, დაიძრა ავტობუსი და წავიდა, მიდიოდა მინდვრების და მარადი ტყეების ჩავლით, მზეც ხან ღრუბლებში შეიმალებოდა, ხან ისევ ამოცურდებოდა ხოლმე ცისფერ უსასრულო სივრცეზე და ყოველივე ამის, მარადიული, ნათელი, სპეტაკის შემყურე ნინა სტეპანოვნას შერცხვა თავისი სიბრაზისა. უხერხულად იგრძნო თავი, დაირცხვინა. ცუდად მოიქცა, ასე როგორ შეიძლება, ვისი რა ბრალია მისი უბედურება, არ არის კარგი, უცხო ხალხზე იყარო ჯავრი.

იუევსკში მოსკოვის თვითმფრინავი არ დახვდა — ხვალ დილამდე უნდა დაეცადა. ნინა სტეპანოვნამ ბილეთი აიღო და დაელოდა.

ყველა-ყველა და ლოდინს მართლაც რომ დაჩვეული იყო, ისევე, როგორც მოთმინებასა და მორჩილებას. მთელი სიცოცხლე ერთთავად ვიღაცის მოლოდინში იყო: თუ ოჯახში ხელვიწროდ იყო — იმედი ჰქონდა, რომ უკეთეს, უფრო კარგ დღეებს მოესწრებოდა, ეგორ ეგოროვიჩის გამოჯანმრთელებასაც იმედოვნებდა, მაგრამ უკეთესი, უფრო კარგი დღეები არ დადგომია და არც არასოდეს დაუდგება, ეგორ ეგოროვიჩიც არ გამომთელებულა, დღითი დღე ყრუვდებოდა; ომის დაწყებისას ლაშქარში მთლად დაყრუებული ჩაეწერა, დამალა თავისი სიყრუე.

ნინა სტეპანოვნა მიეჩვია ლოდინს და უდრტვინველად იტანდა ყოველგვარ გაჭირვებასა და სიდუხჭირეს, — ერთთავად შიმშილის შეგრძნება ჰქონდა ხოლმე. ისედაც არ იყო დიდი მჭამელი, მაგრამ კუჭი არასოდეს გაძღომია, სულ იმას ცდილობდა, ქმარ-შვილი ყოლოდა დანაყრებული, მის ანც პავლიკს არ მოშიებოდა. თავისი საუკეთესო ახალგაზრდული და სიმწიფის წლები ძველმანებში გაატარა, დაკერებულ-გამოკერებულ კოფთებსა და ქვედაკაბებში, ერთთავად სიძველის სუნი რომ ასდიოდა, და მხოლოდღა ოცნებობდა, რომ ხვალ, მომავალ თვეში თუ გაისად გადავირჩენ როგორმე ფულს და ვიყიდი, ან — კიდევ უკეთესი — მკერავს შევაკერინებ ახალ კაბას. მაგრამ გადიოდა თვე, წელიწადიც, დრო სწრაფად მიქროდა და მის ოცნებას კიდევ და კიდევ ბევრი წელი არ ეწერა ასრულება.

ნინა სტეპანოვნა დანატრებული ელოდა უკეთეს დღეებს, როცა გაჭირვებას თავს დააღწევდა, მაგრამ ვერ მოესწრო — ომი დაიწყო და ახალი მწუხარებაც მოჰყვა, ისეთი საშინელი მწუხარება, რომ მთელი ომამდელი ცხოვრება თავის გაჭირვებიანად ზღაპრულად მშვენიერი ეჩვენებოდა მასთან შედარებით.

ეგორ ეგოროვიჩი ფრონტიდან დაჭრილი და მთლად დაყრუებული ჩა-

მოვიდა. დიდხანს იყო მომაკვდავი, ჭირვეულობდა, აგონდებოდა, თუ როდის რა უწყენინებიათ მისთვის, საყვედურობდა ნინა სტეპანოვნას, მერე ნანობდა და მოტევებას სთხოვდა და მერე ისევ საყვედურობდა.

როგორც ომის ინვალიდს, საბოსტნე ნაკვეთი გამოუყვეს და ნინა სტეპანოვნა ყოველდღე, თუ დარი იდგა, თოხიანად მიეშურებოდა ხოლმე იმ სიშორეზე. საბოსტნე ნაკვეთი კალუჟსკის გზატკეცილთან, მინდორში იყო, სადღაც იქ, სადაც ახლა შემინული ახმაურებული უნივერმაღი „მოსკოვი“ დგას. მაშინ ეს უშენი ადგილი იყო, უსასრულო ცარიელი მიწა და თითქმის კალუჟსკაია კარიბჭიდან თუ გახვიდოდი ფეხით იქ. ნინა სტეპანოვნა კარტოფილს რგავდა, მინდორში თოთო ჭინჭარსა და ნაცარქათამას კრეფდა და შინ წვნიან შეჭამანდს ამზადებდა.

ერთხელ მინდორში ძველი კავი იპოვა, ჭაპანი მოარგო და ახლა ნაკვეთის მეზობელ ქალთან ერთად ხნავდა მიწას, შეებმებოდა შიგ და მიათრევდა კავს. მაგრამ მალე გულმკერდი ასტკივდა და გულდაწყვეტილმა კავი გზის თხრილში მოისროლა, საიდანაც მაშინვე დაეპატრონენ სხვა დედაკაცები. ორ წელიწადს ტანჯავდა ნინა სტეპანოვნას მკერდის ტკივილი, სიმსივნეც წარმოექმნა. ჯერ მოკვეთას უპირებდნენ, მაგრამ მერე გადაიფიქრეს და წამლებით გაუქრეს.

მოთმინებასა, მთელი სიცოცხლე მოთმინებასა და ლოდინში გაატარა. თითქმის ორმოცი წელიწადი ელოდა ვაჟს, იმედოვნებდა... და აი, მოესწრო... ნეტა ამ პატარა გაიძვერამ საიდან გაიგო პავლიკის ამბები? საიდან იცის ისეთი წვრილმანები, რაც მხოლოდ ძალზე ახლობლებსა და ნინა სტეპანოვნას ძველ მეზობლებს შეიძლებოდა სცოდნოდათ?

ნინა სტეპანოვნამ მოსაცდელ დარბაზში თავისუფალი სავარძელი იპოვა და ჩაჯდა. დილამდე იჯდა ასე სავარძელში ამ აქოთქოთებულ მგზავრებს შორის, ხოლო დილით, დათქმულ დროს გაფრინდა მოსკოვისაკენ.

თავის ბინაში რომ შევიდა, ლიზას ნივთებს მოკრა თვალი. უნდოდა შეეკრა ეს ნივთები და სანაგვეში გადაეყარა ან ქუჩაში მოესროლა ფანჯრიდან, მაგრამ აღარ მოიქცა ასე, კვერცხი მოიხარშა, ჩაი დალია, გაიხადა, დაწვა და მაშინვე დაეძინა. თითქმის მთელი დღე და ღამე ეძინა მაგრად, უსიზმროდ, მკვდარივით. ხოლო რომ გამოეღვიძა, ოთახი მიალაგა, საპირფარეშო და სააბაზანო გარეცხა. აქ უყვარდა დაბანა იმ პეწენიკა, საძაგელ ლიზას, ბინას რომ მხიარული „ოჰ, ოჰ! უჰ!“-ით გააყრუებდა ხოლმე. ეს შეძახილები მაშინ გულს უამებდა ნინა სტეპანოვნას, ახლა კი ძრწოლით იხსენებდა. ალაგებდა ბინას და მოუთმენლად ელოდა ლიზას, რათა შური ეძია, სულ იმის ფიქრში იყო, რა სასჯელი მოეგონებინა ამ თაღლითისათვის.

მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და გადაწყვიტა, ლიზას იმ უსირცხვილო თვალებში მივაფურთხებ, ხოლო მის რამე-რუმეებს, სულ უკანასკნელ ჭინჭამდე, ფანჯრიდან მოვისვრი. რა ცუდია, რომ პირველ სართულზე ვცხოვრობ და არა ბოლოზე: როგორ ფრიალ-ფრიალით წამოვიდოდა მაღლიდან, ცისქვეშეთიდან, ლიზას ნივთებიო!

თუმცა ოთახის ლაგებაში ლიზას შურისძიებაზე რომ ფიქრობდა, ნინა სტეპანოვნა თავიდან ვერ იშორებდა ერთ განსაკუთრებულ ფიქრს. ეს ფიქრი განსაკუთრებული იყო იმიტომ, რომ იგი უფორიაქებდა ნინა სტეპანოვნას სინდისს, ფუტკნიდა მის შორეულ წარსულს, იმას, რაც იქნებ უნდა დაევიწყებინა, მაგრამ ვერ შეძლო.

ნუთუ მართალია ის, რომ ყოველგვარი სიცრუე, თუნდაც მრავალი წლის შემდეგ, მაინც სასჯელად უბრუნდება ცრუს? შენ მოატყუე, არა? — შენც მოგატყუებენ, თუ იცრუე — შენც გაგაცურებენ.

ერთ დროს, მთელ სამ, მშვენიერ, ტკბილ წელიწადს, ნინა სტეპანოვნა ცოდვის ტყუილის ექსტაზით ცხოვრობდა. ქალს, რომელსაც არც ბავშვობაში, არც ახალგაზრდობაში სიყვარული არ გამოეცადა, ოცდათხუთმეტი წლის ასაკში შეუყვარდა სხვისი ქმარი, სხვისი შვილების მამა. სამ წელიწადს ატყუებდა ეგორ ეგოროვიჩს, პავლიკს, მთელ ქვეყნიერებას, ისე გაწაფულად, დახელოვნებულად ატყუებდა, არც არავის დაბადებია ეჭვად, რომ იგი ცოდვას სჩადიოდა, რომ გაორებულ ცხოვრებას ეწეოდა.

ნინა სტეპანოვნას კარგი მუშაობისათვის პატივი დასდეს — შემნახველ სალაროში მოლარედ მუშაობდა — უფასო საგზური მისცეს შავი ზღვის პირას, გელენჯიკის დასასვენებელ სახლში. წავიდა და პირველად დატოვა ეგორ ეგოროვიჩი და პავლიკი. ქმარ-შვილმა სადგურში გააცილა, ხელის ქნევით გამოემშვიდობნენ და მატარებელმა თბილი სამხრეთისაკენ გააქროლა.

ზღვამ შეაშინა ნინა სტეპანოვნა. ვეება იყო, წყნარი, განაბული მხეცივით შემპარავი და კარგა ხანს ეშინოდა შიგ შესვლისა. საერთო პლაჟისაგან შორს ეჭირა თავი და მარტოდმარტო იწვა ცხელ ქვიშაზე, მზის მცხუნვარებით გატანჯული. ყველაფერზე მიუჩვეველი იყო აქ და ყველაფერი ეუხერხულებოდა, ყოველივე უცხო იყო და შეუსაბამო, მყვირალა, მცხუნვარე — ხეებიც, ყვავილებიც, გადახრუკულ მთის ფერდობებზე ამობიბინებული ბალახბულახიც. ნინა სტეპანოვნას მოსწყინდა და ნანობდა აქ წამოსვლას, რატომ სოფელში არ წავედიო პავლიკთან ერთად, ვივლიდით ტყეში სოკოებისა და ხილის საკრეფად ერთადო. აქ კი ძილიც აღარ ეკარებოდა, რაღაც აწამებდა, სხეული მოთენთოდა, თითქოს ღამითაც კი ქანცს უწყვეტდა ეს მცხუნვარე მზე.

ნინა სტეპანოვნა დილაადრიანად ფრთხილად დგებოდა, რადგან ეშინოდა, პალატის მეზობელი ქალი არ შეეწუხებინა, რომელსაც არც გაცნობია და რა ერქვა, ისიც კი არ იცოდა, ცარიელ პლაჟზე მიდიოდა, იჯდა იქ და ზღვას აყურადებდა. სულელი, ზღვას იმიტომ უგდებდა ყურს, რომ მისი ხმაური დილაადრიანად ახმაურებულ მოსკოვის ქუჩას აგონებდა. რა აღარ ესმოდა ზღვის შრიალში — მეეზოვეთა ცოცხების ხმაურიც, სარწყავი მილისგან გადმოჩუხჩუხებული წყლის ჭავლების შხუილიც და ავტომობილების საბურავების შიშინიც.

სწორედ ერთ ასეთ დილით მოუჯდა გვერდით ის... მას ერქვა... არა, სახელის ხსენება რა საჭიროა, ამ კაცს ყველაზე მშვენიერი, ყველაზე სალმერთებელი სახელი ერქვა, რაც კი რამ არსებობს ამქვეყნად. ამ სახელს სამი წელიწადი ფიქრში იმეორებდა ლოცვასავით და ხმამაღლა წარმოთქმისა ეშინოდა.

ყოველ დილით მიდიოდა იგი ცარიელ პლაჟზე და ის კაციც მაშინვე გამოჩნდებოდა და გვერდით მიუჯდებოდა. პირველად ნინა სტეპანოვნა ბრაზობდა, მერე შეეჩვია, მერე და მერე კი მისი ლოდინიც დაიწყო და ფიქრიც ამ კაცზე.

ამ დილის შეხვედრების გარდა, თითქმის დუმილით რომ ჩაივლიდა ხოლმე, — ლაპარაკი არც ერთს არ უყვარდა, არ იცოდნენ, რაზე ელაპარაკათ, — მათ შორის არაფერი იყო.

გამგზავრების წინ, ერთი თუ ორი დღით ადრე, კაცმა ნინა სტეპანოვნა

თავის ოთახში გამოსამშვიდობებელ საღამოზე შეიპატიჟა. ბევრი ხალხი იყო, მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ღვინოს სვამდნენ. ნინა სტეპანოვნას ღვინო არ დაულევია. არ უყვარდა, საწამლავზე მეტად ეჯავრებოდა. ბოლოს ყველა წავიდ-წამოვიდა, ნინა სტეპანოვნა კი იმ კაცმა არ გაუშვა: დიდხანს ისხდნენ მარტონი, ორნი, დუმილით მისჩერებოდნენ ერთმანეთს და თვალებით ლაპარაკობდნენ. კაცმა ჭიქაში ღვინო დაუსხა და თავისთვისაც ჩამოასხა, ძალით დაალევინა, ნინამ დალია, მერე კიდევ დალია. თვითონ სვამდა, ჭიქას არ აძალებდა, ქალი ზიზღით ყლურწავდა და ძალიან უნდოდა დამთვრალიყო, იმედოვნებდა ,მთვრალს აღარც წინდახედულება შემაწუხებს და აღარც სინდისის ქენჯნითა და ამაფორიაქებელი ფიქრებით ჩამშხამდებაო სიხარული. ჰოდა, თრობამაც არ დააყოვნა...

ნინა სტეპანოვნას არასოდეს არ შეუცვნია თავი ქალად, კარგ, ალერსით სავსე ქალად, არ იცოდა, თუ შეეძლო სიახლოვის სიხარულის არამარტო შეგრძნება, არამედ თავად მინიჭებაც ამ სიხარულისა საყვარელი კაცისათვის. ჰო, სწორედ მაშინ ეწვია ეს გრძნობა, როცა ორმოც წელს მიატანა და საცა იყო სიცოცხლის შემოდგომა დაუდგებოდა.

მოსკოვში თავად მიაკითხა. იგი ტვერის ქუჩაზე, სულ ახლახან გორკისა რომ დაარქვეს, ყოფილი ფილიპოვის საფუნთუშეში მუშაობდა. და იქნებ იმიტომაც ნინა სტეპანოვნას კიდევ სხვანაირ გრძნობასაც ულვიძებდა — ბავშვობის მოგონებებს — და ეს კაცი მისთვის შეყვარებულზე ძვირფასი იყო. ხელები ისეთივე ჰქონდა, როგორც ნინა სტეპანოვნას მამას, მამისეული სუნი ასდიოდა, თამბაქოს, ცხელი პურისა და ერბოზელილი ვანილიანი ცომის სურნელი.

ომამდელი საფუნთუშე გორკის ქუჩაზე, ყოფილი ფილიპოვისა, არა ჰგავს ახლანდელს, ახლა იგი ჩვეულებრივი მაღაზიაა. მაშინ კი, ომამდე, იქაურობა სავსე იყო კრენდელებით, ფუნთუშებით, პურის კვერ-მადაურებით, ხაჭაპურებით, ყურიანი პურის კვერებით, ჭვავისა თუ ხორბლის პურით, ერბოზელილი თუ უმარილო პურით, ღვეზლებითა თუ ტორტებით, კანფეტებითა და ნამცხვრებით — რა გინდა სულო და გულო, აქ არ ყოფილიყო. მამისეული საფუნთუშეს სუნი იდგა, ის კაციც იქვე იყო, დახლს იქით, მამასავით ზრდილი, მარდი, ღიმილიანი. ღმერთო ჩემო, ამ კაცს ულვაშებიც კი ნინა სტეპანოვნას მამას უგავდა!

ვინ უყვარდა ნინა სტეპანოვნას, ეს კაცი თუ მისი მსგავსება მამასთან? ამას რა მნიშვნელობა აქვს, ეს იყო, რომ მთელი სამი წელიწადი ამ ცოდვილი სიყვარულით ცოცხლობდა. არა, სულაც არ რცხვენოდა და არც სინდისი ქენჯნიდა, არც მაშინ და არც მერე.

მაგრამ ყველაფერს აქვს ბოლო. კაცს მოსწყინდა და მიატოვა ნინა სტეპანოვნა. ვერ გამოუვიდა ლამაზად, ლაჩრობა უფრო დაერქმეოდა მის საქციელს. ნინა სტეპანოვნას გაუჭირდა ამისი გადატანა, მაგრამ არც გაბრაზებულა და არც წყენია ამ კაცისაგან, მიხვდა, რომ მასაც უჭირდა გაორებული ცხოვრება. ქალი რომ გადაიყვარა და არც მაინცდამაინც ლამაზად დაშორდა, მაინც არ შეჰფეროდა გაბრაზება. რას მიქვია წყენა და ნაღველი იმასთან შედარებით, რა სიხარულიც მიანიჭა ამ კაცმა. დიახ, მართალია, მიატოვა, მაგრამ წუწუნი და წყველა-კრულვა რა საკადრისია, ბედს უნდა უმადლოდეს, რომ მას შეახვედრა.

სამი წელიწადი ნინა სტეპანოვნა სიხარულსა და შიშში ცხოვრობდა, ტყუ-

ილებსა და ცოდვაში ჩაფლული, მოპარული ბედნიერებით. ეს სიცრუე კლავდა და იცოდა, ჯერ კიდევ მაშინ გრძნობდა, რომ ამ სიცრუისა და შეცოდებისათვის ოდესმე სასტიკად მიეზღვებოდა.

სინანული თუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, სინდისის ქენჯნა მერე, გვიან იწვია, ეგორ ეგოროვიჩი რომ ფრონტიდან ასე დაავადმყოფებული, ძალაგამოცლილი და უმწეო დაბრუნდა. ცდილობდა მომთმენი ყოფილიყო, მზრუნველი, ტკბილად მოევლო, არაფერი დაეყვედრებინა, რადგან ახსოვდა, ერთ დროს რომ იმდენი ალერსი შეალია იმ სხვას, ალერსი, რომელიც ეგორ ეგოროვიჩს ეკუთვნოდა მისგან... მაგრამ მაინც ქმარი მხოლოდ ეცოდებოდა და არ უყვარდა. მთელი სიცოცხლე ის ერთი უყვარდა, აკრძალული და მალული სიყვარულით. თუმცა, რაც დაშორდა, მეტად აღარასოდეს შეხვედრია და არ იცოდა, სად იყო ახლა ან რა სჭირდა. იქნებ ისიც ცივ მიწაშია ამოდებული, იქნებ ისიც ამ საშინელ, უმოწყალო ომში დაიღუპა..

ნინა სტეპანოვნა მოუთმენელი შურისძიების გრძნობით ელოდა ლიზას. როგორც იქნა, გამოჩნდა ეს პატარა გაიძვერა.

ოთახში ლიზა ნაღვლიანი შემოვიდა, დაღლილი სახე ჰქონდა — რა მსახიობია! — თითქოს მართლაცდა მწუხარებით სავსე გრძელი გზა გამოევლოს.

— გამარჯობათ, ბები, — თქვა მან.

— გამარჯობა, გამარჯობა, — მიუგო ყინულივით ცივი ხმით ნინა სტეპანოვნამ. ლიზას არ გამოპარვია ეს სიცივე, გაფაციცებით ჰკითხა:

— ავად ხართ, ბები?

ნინა სტეპანოვნას არ შეეძლო ამ მატყუარასათვის თვალებში შეეხედა, ზურგი შეაქცია და ჩაილაპარაკა:

— აბა მომიყევი, როგორ იმგზავრე...

— აღარ შემიძლია მეტი, სულ მეტირება და მეტირება, რა საშინელებაა, ბები.. თქვენ მეტი აღარავინ დამრჩა ამქვეყნად! — შეჰყვირა ლიზიკომ, ნინა სტეპანოვნასთან მიირბინა და სლუკუნით მოეხვია.

— იქით გაიწი, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, მოტრიალდა და გამხმარი თითი გაშვერილი ატაკა ლიზას სახეში: — ა, შე საწყალო ობოლო! მე ხომ ვოტკინსკი მოვიარე, შე საძაგელო, პავლიკის დასაფლავებაზე წაველი, მაგრამ მის მაგივრად შენ დაგმარხე. შენს სახლში ვიყავი! წაეთრიე აქედან, საზიზღარო გოგო, აქედან წადი! თორემ ამ ჩვრებს ფანჯრიდან გადაგიყრი.

ნინა სტეპანოვნამ ხელი ჰკრა. ლიზა კარისკენ გახტა და სახეზე ხელები აიფარა.

— არა, მართალი მითხარით? — იკითხა ყრუ ხმით. — ვოტკინსკში იყავით მართლა?

— ვიყავი! — ჯიბრით უთხრა ნინა სტეპანოვნამ. — თვითმფრინავით გადავფრინდი.

— რატომ მერე? — სახიდან ხელები არ ჩამოუღია, ისე ჰკითხა ლიზამ.

— ჩემი ვაჟი უნდა დამესაფლავებინა. პავლიკი, — თითქმის დაუყვირა ნინა სტეპანოვნამ. — ამას სჯობდა დანა დაგერტყა ჩემთვის და მოგეკალი, ან სულაც თავვის შაქარი გეჭმია. ოჰ, ღმერთო ჩემო! — ნინა სტეპანოვნამ ხელი ხელს შემოჰკრა, ტირილი მოერია, თუმცა მთელი ეს დღეები, რაც ლიზას მოლოდინში გაატარა, მტკიცე სიტყვას აძლევდა თავს. მის წინაშე არ ავტირდები, თავს არ დავიმცირებ, ღირსეულად გავაგდებ ჩემი სახლიდან ამ გაფუჭებულ გოგოსო. — წადი, აქედან გამეცალე, შე საძაგელო, — უმეორებდა ტირილით ნინა სტეპანოვნა.

— წავალ, ახლავე წავალ, — თქვა უცებ ლიზამ მშვიდად. — დამაცადეთ, ბარგი შევიკრა. არ გაბედოთ ჩემი ლანძღვა, რა ჩავიდინე ისეთი?

— რაო, მეკითხები კიდეც? — შეძრწუნდა ნინა სტეპანოვნა.

— არაფერი ისეთი მე არ გამიკეთებია, ნუ მიყვირით, თუ შეიძლება, ვინ გეხვეწებოდათ, ვოტკინსკში რომ მიდიოდით? მჯდარიყავით თქვენთვის და ყველაფერი კარგად იქნებოდა. რა მიგარბენინებდათ იქ? რომ, — გული მოგვევათ თუ რა, სიმართლე რომ გაიგეთ?

ნინა სტეპანოვნას აღშფოთებისაგან სული შეეხუთა და უცებ ძრწოლით გაიფიქრა, რომ ლიზას სიტყვები არც ლოგიკასაა მოკლებული და არც ჭეშმარიტებას, — მართლაც სულაც არაფრით არ არის უკეთესი მისთვის, სიმართლე რომ გაიგო. პირიქით, ლიზას ტყუილი რომ დაიჯერა და პავლიკის მკვდრეთით აღდგომა, თითქოს რამდენიმე წლით გაახალგაზრდავდა და სულელური აღმაფრენა განიცადა, ახლა კი, სიმართლე რომ გაიგო, თითქოს ათი წელი მოემატა, დაბერდა, გული გაუქვავდა და დაუცარიელდა. ტყუილმა გამოაცოცხლა და აღამაღლა, სიმართლემ კი გაანადგურა, მიწასთან გაასწორა. რატომ მოხდა ასე? არასოდეს არ უნდა წაართვა ადამიანს ზღაპრები, მოაშორო მათ სამყაროს, ან რატომ უნდა წაართვა? იცხოვრებდა მოტყუებული ნინა სტეპანოვნა, აუხდენელის ახდენას ირწმუნებდა, იმასაც დაიჯერებდა, რომ ადამიანის მკვდრეთით აღდგომა შეიძლება და გაუადვილდებოდა სიცოცხლე. ახლა რაღა უნდა ქნას?

— რა გინდოდათ, ვოტკინსკში რომ წახვედით? რატომ წახვედით? — უმეორებდა ამ კითხვას ლიზა და ნინა სტეპანოვნას ვერაფერი ეთქვა პასუხად, რადგან ახლა თავადაც არ იცოდა, ვერ გაეგო, რატომ გაემგზავრა ვოტკინსკში და თავს ეკითხებოდა — მართლაც რამ წამიყვანა ამ სიშორესო, მაგრამ პასუხი ვერ გაეცა.

„არა, მთლად გამოვსულელდი, — გაიფიქრა მან, — გონება ხომ არ დაბინდულდა?“ რაო, როგორ თუ რატომ იმგზავრა იმ სამწუხარო გზით? თავის ვაჟთან გაემგზავრა, პავლიკთან.

— გაეთრიე აქედან, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ. — განა ვერ ხვდები, რა მკრეხელობა ჩაიდინე?

— არაფერიც არ ჩამიდენია. კარგი მინდოდა თქვენთვის. მარტოობა გაგიქარვეთ.

— მწყალობელი ხარ ჩემი! თურმე მუხლებში უნდა ჩაგივარდე! — ნინა სტეპანოვნას სურდა დივნიდან წამომდგარიყო და მართლა მოეყარა მუხლი მაგრამ ვერ შეძლო, ხელ-ფეხი უკანკალებდა. — ვინ ჩაგაგონა ასეთი კეთილისმყოფლური საქციელი, ვინ მოგიყვა პავლიკის ამბავს?

— არავინ, მე და ირამ გადავწყვიტეთ, რომ ასე აჯობებდა თქვენთვის, თქვენთვისაც და ჩემთვისაც.

— შენ და ირამ? რომელმა ირამ? — შეძრწუნდა ნინა სტეპანოვნა.

— ირამ, თქვენმა მეზობელმა...

— ნუ ტყუიხარ, — დაუყვირა ნინა სტეპანოვნამ. — ისევ ტყუილს ამბობ, მთლად ცრუ გახდი. შენ და ირამ აქ გაიცანით ერთმანეთი, ჩემთან, აი, აქ.

— მე და ირამ, ბები, ერთად ჩავაბარეთ გამოცდები. ორივე ჩავფლავდით. შინ დაბრუნება აღარ შემეძლო და ასე გადავწყვიტეთ: თქვენ ივანოვა ხართ და მეც ივანოვა ვარ...

— გაგეგება კი, რაებს ლაპარაკობ? — ნინა სტეპანოვნას აღშფოთებისა-

გახ სული ეხუთებოდა. — არანორმალური ხომ არა ხარ? მე ხომ მომატყუე. დედ-მამისთვისაც ტყუილი გითქვამს.

— არაფერი ცუდი არ ჩამიდენია, — შეაწყვეტინა ლიზამ — ერთი წელიწადს ვიმუშავებ, მერე ინსტიტუტში შევალ. ვოტკინსკში კი თქვენ არაფერი გესაქმებოდათ, თავადა ხართ დამნაშავე. ღმერთმა კარგად გამყოფრით, იყავით და იცხოვრეთ, როგორც გნებავთ...

— მაშ შენ აპირებდი დალოდებოდი ჩემს სიკვდილს და ამ ბინაში დარჩენილიყავ? ჰო? იმიტომაც შეთხზე ეს ისტორია! მე კი ცოცხალი ვარ და კიდევ დიდხანს არ მოვკვდები. ჯანდაბას იქით წასულხარ! დამეკარგე თვალთაგან!

— მივდივარ, ნუ ყვირიხართ...

— გაეთრიე! — შეჰყვირა ნინა სტეპანოვნამ, გულში კი იმედოვნებდა, აი, ახლა მოინანიებს თავის საქციელს ლიზა და აი, ახლაო, მაგრამ მიხვდა, რომ ვერ ეღირსებოდა ამას და, ლიზამ რომ კარი გაიხურა, ქანცგაწყვეტილი მიესვენა ბალიშებზე...

გაიარა ერთმა-ორმა დღემ და, თუმცა ნინა სტეპანოვნას თითქოს არ მოხატრებია ლიზა, მაგრამ ბინის დაცარიელებას და თავის მარტოობას კი გრძნობდა. ის კი არა, თითქოსდა დამნაშავედაც მიაჩნდა თავი ამ საძაგელი გოგოს წინაშე.

ნინა სტეპანოვნამ იცოდა, რომ ლიზა შემოივლიდა მასთან, რადგან იმ ეთაურს საბუთები დარჩენოდა.

ლიზა ერთი კვირის შემდეგ მართლაც მოვიდა.

— კეთილი, — უთხრა ნინა სტეპანოვნამ, საკუთარი სულგრძელობით დამტკბარმა, — საძაგელი გოგო კი ხარ, მაგრამ თუ გინდა დარჩი აქ და იცხოვრე. ღმერთი იყოს შენი შემწე...

— არა, — ამაყად მიუგო ლიზამ, — მადლობელი ვარ. მე თქვენთვის სიკეთე მინდოდა. თქვენ კი... აბა რამ წაგიყვანათ ვოტკინსკში? იქნებ ლედაჩემს უთხარით კიდეც, რომ ინსტიტუტში ვერ მოვეწყე? ახლა რა ვქნა, როგორ ვიმართლო თავი? ამიტეხეთ რა დავიდარაბა...

— არაფერიც არ მითქვამს, ღმერთმა იცოდეს. იცხოვრე აქ, დარჩი...

— არა, — გაიმეორა ლიზამ შეურაცხყოფილი ხმით და წავიდა.

„ღმერთო ჩემო, — გაიფიქრა ნინა სტეპანოვნამ, — დამნაშავეც მე გამოვედი".

□

# კორნეი ჩუკოვსკი

## ბარმალეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ნათელა ონაშვილმა

### ნაწილი პირველი

„ყმაწვილებო, საყვარლებო,
არ წახვიდეთ აფრიკაში!
აფრიკაში ზვიგენია,
აფრიკაში გორილაა,
აფრიკაში ნიანგია,
თქვენთვის ბევრჯერ გვითქვამს ეს, —
ავი ფიქრი მოსდით თავში,
ყმაწვილებო, საყვარლებო,
არ წახვიდეთ აფრიკაში!“

აფრიკაში, იმავ დროს,
ბრაზით ლესავს ნაჯახებს, —
აფრიკაში ბინადრობს
საშინელი ყაჩაღი
ბარ-მა-ლეი.

დაიჯერეთ, იგი ბავშვებს
ახრამუნებს, როგორც ვაშლებს,
საშინელი, საძაგელი, ხარბი ბარმალეი.

დედიკო და მამიკო
ხესთან ჩამოსხდებიან,
დედიკო და მამიკო
ბავშვებს ეუბნებიან:

„აფრიკაში საშიშია,
ჰო, ჰო, ჰო,
აფრიკაში ბარმალეი
ბი-ნად-რობს,
არ წახვიდეთ აფრიკაში
ა-რას-დროს!“

რომ დაღამდა, ორი ბავშვი
გაეპარა მშობლებს მაშინ
და ოცნების აფრის გაშლით
გაეშურა აფრიკაში.

იცინეს და იხტუნეს,
ფინიკიც კი დაკრიფეს,
აი, ესეც აფრიკა,
ესეც შენი აფრიკა!

იჯირითეს მარტორქით,
თქვენ ისა თქვით, რაც გინდა,
აი, ესეც აფრიკა,
ესეც შენი აფრიკა!

„გრძელი ჯორი“, შვილოსა,
ითამაშეს სპილოსთან,
აი, ესეც აფრიკა,
ესეც შენი აფრიკა!

გორა-გორა გორგალივით
გამოგორდა გორილა,
მან რომ ჭორი მოიტანა,
არსად არ გაგონილა:

„აქა ცხოვრობს ზვიგენი,
ზღაზნია და ზღვისფერი,
აკრაჭუნებს კბილებს,
აფართხუნებს ლაშებს,
ჰამ! — და უცებ ყლაპავს
თქვენოდენა ბავშვებს“.

გაგულისდნენ ბავშვები:
„ჩვენ არ ვეთამაშებით.
თუ გვიპირებს ავსაო,
გავუშეჭყავთ თავსაო,
განა ფერად ბუშტებით,
თავს გავუტეხთ მუშტებით,
არ დაიცხრობს გულს ნებით?
გადავთელავთ ქუსლებით!“

შეეშინდა ზვიგენს,
გაეშურა ზღვისკენ,
და დაიხრჩო თავი, დღე დაუდგა შავი.

შეხეთ, დინჯად, როდის-როდის,
თითქოს მართლა მეფე მოდის,
ქობიდან ერთი ამბით ამობობღდა
ბეჰემოთი.

ტანია და ვანია,
რაც ღონე და ძალი აქვთ,
ხელს უსვამენ მუცელზე,
ხარხარებენ ძალიან.
„აი, ღიპი,
მართლა ღიპი,
რა შესანიშნავია!“

განაწყენდა ბეჰემოთი,
დაემანჭა პირი,
პირამიდას მოეფარა
და იქიდან ყვირის:

„ბარმალეი, ბარმალეი,
მომეშველე ჩქარაო,
ეს თავხედი ბავშვები
არ დაინდო, არაო!“

## ნაწილი მეორე

ვანია და ტანია
რა შიშს აუტანია?
მოიმღერის ბარმალეი,
ბანს აძლევენ მთანია:

„მე ვარ სისხლისმსმელი,
ავი ბარმალეი.
თავს ვიწონებ კარგი მადით,
მე არ მიყვარს მარმელადი
და არც ტკბილი შოკოლადი.
დროს ხალისით ვატარებ,
გეახლებით მხოლოდ ბავშვებს,
თანაც — ძალზე პატარებს!“

აპრიალებს თვალებს,
აკრაჭუნებს კბილებს,
გააჩაღებს კოცონს,
(ცეცხლი ძლიერ მოსწონს,)
და მოჰყვება ქადილს:
„შევექცევი სადილს,
ყარაბას, ყარაბას,
ღმერთი მომცემს ბარაქას!“

შიშისაგან პატარებს
ყალყზე უდგათ თმებია,
და საზარელ ბარმალეის
ცრემლით ევედრებიან.

ვერ მალავენ სევდას და
ყელს უწევენ მალმალე:
„შინ გაგვიშვი, დედასთან,
საყვარელო ბარმალეი!

უნებართვოდ არასდროს
გავექცევით დედას,
აფრიკისკენ საერთოდ
აღარც მოვიხედავთ.

ლამაზო და კეთილო,
კარგო კაციჭამიავ,
არ შეგვსანსლო ოღონდაც,
გეხვეწებით ძალიან!“

მაგრამ იგი წარა-მარა
გაიძახის: „არა, არა!“

მოაბრუნა ტანიამ თავი,
დაინახა თვითმფრინავი,
ვინ მოფრინავს ნეტავ აქეთ?
არ გეგონოთ დიდი ჩიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კეთილი, საყვარელი ექიმია
აიბოლიტი.

საყვარელი აიბოლიტი
ბავშვებისკენ ღელვით მიდის,
ნორჩებს ტკბილად ეფერება,
უნიავებს ფოთლის ვეირს
და ღიმილით ეუბნება ბარმალეის:

„ო, ძვირფასო ბარმალეი,
შენც ხომ, ალბათ, დედა გყავს,
თუ კაცი ხარ, ამ პატარებს
ჩამოეხსენ, გეთაყვა!“

მაგრამ ბრიყვმა,
ცანცარამ სიტყვა აღარ აცალა,
ხელი სტაცა ქოჩორში,
ჩაუძახა კოცონში.
ხმა აღმოხდა აიბოლიტს:
„ვიგუდები ამ ბოლით,
ამ ბოლით, ამ ბოლით,
ვიგუდები ამ ბოლით!“

ცრემლის ზღვაში ცურავენ
საცოდავი ბავშვები,
ბარმალეი იცინის
დორბლიანი ლაშებით.

## ნაწილი მესამე

მაგრამ შეხეთ, რა მოხდა,
თუმცა ცოტა გვიან კი,
ნილოსიდან გორილამ
მოიყვანა ნიანგი.

და კეთილი აიბოლიტი
ეუბნება ნიანგს რიდით:
„გადაყლაპე, მიდი, მიდი,
ბოროტი და ძალზე ფლიდი.
თუ ხარ გმირის სადარები,
დაიხსენი პატარები!“

მოიხედა,
გაიღიმა,
გაიცინა
ნიანგმა
და მაშინვე
იმ საძაგელ
ბარმალეის მიადგა.
არაფერი არ თქვა,
ჰამ! — და უცებ შთანთქა.

ცეცხლს უვლიან გარშემო
ყელი მოუღერიათ,
მხიარული ბავშვები
ცეკვავენ და მღერიან.
„შენ გვიხსენი,
შენ გვაშველე,
საყვარელო ნიანგო,
ჩვენი ლხენა,
აღტაცება
ზეცის თავანს მიაპობს!“

მაგრამ ნიანგის მუცელში
დგას უკუნეთი ღამე,
შეშინებული ყაჩაღის
ქვითინი ისმის მწარე:

„თუ აქედან გამომიშვებთ,
(მახრჩობს შავი კედლები),
შევიყვარებ ბავშვებს და
უმალ გადავკეთდები,
კეთილად, კეთილად მართლა
გადავკეთდები!“

შეებრალათ ბავშვებს ისე,
მოეფერნენ ნიანგს ისევ:
„გამოუშვი, გულით გვედრებთ,
იქნებ მართლა გადაკეთდეს.
თუ არ გატეხს სიტყვას, მაშინ
ჩვენ წავიყვანთ ლენინგრადში.
ჰო, წავიყვანთ, კი, წავიყვანთ
ჩვენს შორეულ ლენინგრადში!“
მოუბრუნდა ნიანგს გული,
ააღირა პირი ზევით
და იქიდან გაბადრული

ამოვარდა ბარმალეი.
სახე მართლა კეთილი აქვს
და სიკეთე იმის ხმაშიც:
„ვაშა, ვაშა, ტაში, ტაში,
წამიყვანენ ლენინგრადში!“

ცეკვავს, ცეკვავს აღარ იშლის,
ცეკვავს, მიწას ფარცხავს;
„გამოვაცხობ ბავშვებისთვის
ათასნაირ ნამცხვარს.

ახლა მხოლოდ ერთი მინდა, —
მე ვიქნები კეთილი და
მეყვარება ბავშვები და
მუდამ ვეთამაშები!

ჩამოვივლი ბაზარ-ბაზარ,
ბავშვებს რაკი ასუქებს,
სულ უფასოდ დავურიგებ
ფუნთუშებს და ნაზუქებს.

ტანიასაც, ვანიასაც,
არც ფულით, არც ნისიად,
გამოვუცხობ ზღაპრულ ნამცხვარს
თაფლიანს და ნიგვზიანს,
დავურიგებ მთლად უფასოდ,
თანაც ვეთამაშები,
იმიტომ, რომ ბარმალეის
ძლიერ უყვარს ბავშვები,
უყვარს, უყვარს, უყვარს, უყვარს,
ძლიერ უყვარს ბავშვები!“

□

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელ ინდიელთა ხალხური პოეზია

თარგმნა ნანა ჟურულმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მიწავ, ჩვენო დედავ

შენ, ჰეი, შენ,
შენ, ჰეი, შენ,
შენ გქონდეს სიცოცხლე ჩემი,
შენ გყავდეს ცოლი ჩემი!
მიწავ, ჩვენო დედავ!

მე მოვედ შენთან,
მე მოვედ შენთან,
ნანადირევს გიყოფ,
გიყოფ, დედავ!
მიიღე წილი შენი:
შენ გქონდეს რქების გროვა,
შენ გქონდეს ბეწვის გორა,
შენ, ჩემო დედავ!

ჩუ, საუბრობს გაზაფხული,
აჩურჩულდნენ ფრთანი ჩიტთა!
ჩუ, ამღერდა დედამიწა!

შენ, ჰეი, შენ,
შენ, ჰეი, შენ,
შენ ამღერდი, დედამიწავ!

ყური შენს მკერდს მოვაბჯინე
და სიმღერა გავიგონე,
ბაგით შენს მკერდს დავეკონე
და სიმღერა სულ დავლიე
შენი, ჩემო დედავ!

მღერის, მღერის ხეთა ტევრი,
მღერის, მღერის მღელვარე ზღვა,
შენც მღერიხარ, დედამიწავ!

და სიმღერა შენი ტკბილი
კაქტუსმაც კი გაიგონა,
კვიპაროსმაც გაიგონა,
შენ ხომ მათი საიდუმლო
მე გამანდე, დედამიწავ,
კიდევ, კიდევ შემასწავლე
ბევრი რამე, დედამიწავ!

მთვარე დაცურავს ცაში,
ღამე დადის და დადის,
შენც მოაბიჯებ, დედავ!

შენი სიმღერა ტკბილი,
უკუნეთსაც კი აღწევს,
მკრთალ ვარსკვლავსაც კი სწვდება,
მე გამოვყვები შენს კვალს,
მე გამოვყვები ღიმილს
შენსას, ჩემო დედავ!

და ასე შობს ღამე;
და ასე შობს მიწა,
და ასე შობს ქერქი ხისა.

წითელ-შავად მიმოხატულ
ექვსფეხიან კაცუნებს
ქერქის ქვეშა სძინავთ.
მეც მოვდივარ შენთან,
შემიფარე დედავ!
დამაძინე, დედავ!

შენ, ჰეი, შენ!
შენ, ჰეი, შენ!

შენ გქონდეს სიცოცხლე ჩემი!
შენ გქონდეს ჩემი ბოლო სუნთქვა,
მიწავ, ჩემო დედავ!

რე დამესიზმრე,
დედავ?
მე შენ სიზმარში გხედავ!

და სისხამ დილით, როცა
გამოვიღვიძებ, დედავ,
ვიცი, მომიხმობ შენთან!

შენ, ჰეი, შენ!
შენ, ჰეი, შენ!
შენ, ჩემო დედავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარგი დარის სიმღერა

მზეო, მზეო, იკაშკაშე,
გადმოგვხედე ზემოდან,
შეისმინე, შეისმინე
ჩვენი თხოვნა-ვედრება,
შენს მკლავებში მოამწყვდიე
შავი, სველი ღრუბლები,
წვიმას ნუ გადმოუშვებ,
წვიმა იქ გააჩერე,
ქვემოთ შენი მეგობრები
სათევზაოდ მიდიან,

მზეო, შენი მეგობრები
სანადიროდ მიდიან.
გადმოგვხედე მზეო, კარგო,
კვლავ მშვიდობა გვარგუნე,
ჩვენი ტომი შეივრდომე,
მტერთან კარგად გვამყოფე.
მზეო, მზეო, გიხმობთ, გიხმობთ,
გადმოგვხედე ზემოდან,
შეისმინე, შეისმინე
ჩვენი თხოვნა-ვედრება.

## სიმღერა ციცინათელაზე

შენ ცეცხლთეთრო მწერუკუნავ,

შე, პატარა მხეცუკუნავ,
ეგ ვარსკვლავი პაწაწინა
ჩემს საწოლთან დაარწიე.

მოდი, ძილში ჩამიფრინდი,
მოდი, ძილში ჩამიქარგე
მაგიური ცეცხლის ალი,
მაგიური ჩირაღდანი,
ეგ ვარსკვლავი, ეგ ვარსკვლავი.

## სიმღერა ხილვათა შემქმნელზე

საღამოა, ვზივარ ჩემთვის
და გავყურებ ჩამავალ მზეს,
თან ჩემს გოგრას ვარახუნებ
და ვმღერივარ საგალობელს.

როს ბუმბული არწივისა
დაირხევა ჩვენს თავზედა,
გვესმის ხმები იდუმალი,
მაგიური ძალის მქონე.

ყოვლისშემძლე ღამე მარწევს,
ისე, როგორც, მაშინ, როცა
ჯადოქარის საუფლოში
გამიტაცა მოჩვენებამ.

როს ბუმბული ყვითელ ჩიტის
ჩამოეშვა ქალის თავზე,
აქეთ-იქით გააქცუნა
ავხორც ქალად ის აქცია.

ლურჯი ჩიტი, ლურჯი ჩიტი
ქვეყნის კიდეს უმალ მისწვდა,
თეთრმა ქარმა დაუქროლა,
ააცალა მტვერი მიწას.

ხედავთ, მთვარე მელოდება,
ჩუმად, უხმოდ შემომყურებს,
მაგიური ლერწმის ქნევით
მე მას დაბლა ჩამოვიხმობ!

ჰაია? ჰაია! ირახუნე,
ირახუნე, ჩემო გოგრავ,
მოვალ შენთან და გიხილავ
ჩემო გოგრავ, რახუნაო.

სალამთა და მერცხალი
გულთეთრა და მაკრატელა
ოთხჯერ[3], ოთხჯერ დაიძახებს
და დაიწყებს ბუმბულის ბრდღვნას.

უფროსი ძმა ლერწამს მოჭრის
და დააგდებს ჩემი ფეხთით,
ფეხს რომ ლერწამს დააბიჯებს,
ღრუბელთ ჯარი მას ბანს მისცემს.

აბეზარი კოიოტი[2]
არ ისვენებს მთელი ღამე,
მას სარტყელად გველის ტყავი
შემოურტყამს თვის რუხ წელზედ.

მე ლურჯფერა ბაყაყებმა·
ღრუბლებამდე ამიყვანეს,
მე ლურჯფერა ბაყაყებმა,
ღრუბლებამდე ამიყვანეს.

რუხი ფერის კოიოტმა
ამოიძრო ბუმბულები,
ეს მათ, ეს მათ მომანიჭეს
ძალა დიდი, უძლეველი.

მე შევედი უფროსი ძმის[3],
უფროსი ძმის საუფლოში,
იგი არის, იგი არის
იანუპანუს მთის სიღრმეში.

მე შევედი უფროსი ძმის
უფროსი ძმის საუფლოში,
ოთხსავ მხარეს კუთხენი აქვს,
გეგონებათ მართკუთხედი.

ყვითელ ჩიტმა მიმასწავლა
გზა შორეულ ქვაბისაკენ,
იქ მომესმა ნაბიჯის ხმა,
უძლეველი დიდი ძმისა.

მორბის, მორბის რუხფერ გზაზე
ჯადოქარი, ჯადოქარი,
მშიერ შვილთა დასაპურად
ხოცავს, ხოცავს ორმოცფეხებს.

მოდის ჩვენსკენ კუ შავფერა,
თან მოარხევს ღამის სარტყელს,
მოდის, მოდის კუ შავფერა
და მოარხევს ღამის სარტყელს.

მორბის, მორბის ის ავხორცი,
ის ავხორცი დედაკაცი,
ხელებს იქნევს აქეთ-იქეთ,
თან გულმკერდზე ირტყამს მჯიღებს.

მზის წყალობით, მზის წყალობით
მე ექსტაზში ვხედავ ხილვებს,
ეხლა, ძმანო, ხომ მიმიხვდით,
ხედვის ძალას რაც მანიჭებს.

1. მაგიური ციფრია ინდიელთათვის...

2. კოიოტი — მგელი. ინდიელთა ლეგენდის მიხედვით ნახევრად ცხოველი, ნახევრად ადამიანი.

3. უფროსი ძმა — დედამიწის ვაჟი.

# ნიკოლაე ესინენკუ

## მოთხრობები

თარგმნა თამარ ჩიჯავაძემ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### ალო, ტეო!

I

უკვე აღარ სძინავს და ადგომაა საჭირო. ძილი სულ სხვა საქმეა. როცა სძინავს ბრმაა და ვერც მოდარაჯებულ საგნებს ხედავს. იმ დროს არც ქარის ზუზუნი ესმის და არც მკილის გამუდმებულ ჩუჩუნზე ოხრავს, ძველებური კარადის გამომშრალ კედელს რომ ფქვავს. არც კედელზე ჩამოკიდებული საათის წიკწიკი უშლის ხელს. საათი კი ძლივს გასაგონად წიკწიკებს, ხან ტყვეობას თავდაღწეულივით ძალას იკრებს და ოხვრით უმატებს სვლას. მძინარეს არც საათისკენ წარამარა მიხედვა უხდება, არც სკამზე ხელის ფათურით სათვალის მოძებნა და ცხვირზე ჩამოცმისას მისი მაჟუღლით ლოყების დაკაწვრა. ვინ იცის, მერამდენედ გაიხედავს სიბნელეში საათისკენ და მერამდენედ დაინახავს ერთსა და იგივეს! მხოლოდ წუთი გასულა!.. წუთი თუ წუთ-ნახევარი? საათი თუ გაჩერებულია? მაშინ ძალიანაც რომ არ უნდოდეს, უნდა ადგეს, თუნდაც ამას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. საბანს გადაიხდის, კვნესით ჩამოდგამს ცალ ფეხს იატაკზე, მერე მეორეს, ფეხით მოძებნის ჩუსტებს, გარქოვანებული კოჟრებით დაიმაგრებს ტერფებზე და ძლივსძლივობით მიდის ჩამრთველამდე.

ჩამრთველი ტკაცუნებს და შუქი ინთება, შიშველი, ოქროსფერი, ტკივილის მომგვრელად ჩახჩახა. და, როცა თვალი ეჩვევა, ნათელი ხდება, რომ საათი არ გაჩერებულა, მხოლოდ წუთ-ნახევარი გასულა, საწყენი კია... უნდა დაიძინოს. ისევ უნდა დაწვეს და დაიძინოს, მაგრამ იცის, რომ სანამ ფანჯრებს მილმა არ ინათებს, ველარ დაიძინებს. ალბათ, ამიტომაც ტოვებს ნათურას ანთებულს. ნათურა ახლა წელანდელივით მტკივნეულად არ ანათებს. ის რიგრიგობით იხდის ჩუსტებს და საწოლზე ჯდება. რის ვაი-ვაგლახით ააქვს ზედ ფეხები. ხელების მოშველიებაც სჭირდება და მაშინვე უამრავი ფიქრი ეხვევა. ო, ღმერთო დიდებულო, ისევ ფიქრები! მაინც საიდან მოდის ამდენი ფიქრი? მარცხნიდან მოდიან, მარჯვნიდან, ზევიდანაც, ქვემოდანაც, გამოლებული სარკმლიდანაც კი მოძვრებიან, ღამის ფარვანებივით სწყდებიან კედლებს და ტალღა-ტალღად ეფინებიან ზედ განუწყვეტლივ, გაუთავებლად. კარის ქვეშ ფათქუნობენ, ფანჯრის ჩარჩოების ღრიჭოებში მოძვრებიან, საწოლის ფეხებს მოჰყვებიან. ერთხელ ზეწრის ნაკეცებშიც კი იგრძნო პურის ნამცეცებივით მიმოფანტული ფიქრები. რა საშინელი ღამე იყო! ისევ მოუწია ადგომა, ჩუსტებში წაყო ფეხები და აივანზე გაფერთხა ზეწარი, საბანი და

ლეიბიც კი. ჯოჯოხეთური ღამე იყო! ისევ ეჩვენებოდა, რომ ფიქრები კვლავაც მოძვრებოდნენ ზეწრიდან, ლეიბიდან, ისევ გაიტანა გარეთ, ფერთხა და ატრიალა სუსტი ხელებით, სანამ რომელიღაც მეზობელმა არ გამოლანძღა, ბოლოს და ბოლოს სირცხვილია, როგორ შეიძლება ხალხის ასეთ დროს შეწუხება. გაგიჟდა თუ რა მოუვიდათ... მოკლედ, ოთახში შებრუნდა და ახლა იქ დაიწყო ფერთხვა და ღმერთმა უწყის, ეს ამბავი რით დამთავრდებოდა, მეზობლებს რომ არ აეტეხათ კედლებზე ბრახუნი და არ დამუქრებოდნენ, თუ არ გაჩერდები, მილიციას გამოვიძახებთო, მილიციის გაგონებაზე კი მიხვდა, რომ საქმე სამარცხვინოდ დამთავრდებოდა. შრომით დაქანცული ხალხი დასასვენებლად დაწვა, დილით ისევ სამუშაოდ უნდა წავიდნენ, ეს კი... თითქოს გამოფხიზლდა, დამფრთხალმა მიმოიხედა ირგვლივ და ჩაბნელებულ ფანჯარას რომ შეხედა, ლეიბი ხელიდან გააგდო. შეგუბებული შმორის სუნი ეცა, მაინც საიდან დაასკვნა, ფიქრები ლოგინში იმალებიანო?

ზიზღით აიღო ლეიბი იატაკიდან. საწოლზე დადო, მერე გაშეშებული თითების წვერები მარწუხებივით ჩასჭიდა ზეწარს და ლეიბს გადააფარა. შეშფოთდა კიდეც, გონება ხომ არ მერევაო და ამის გაფიქრებაზე თითქოს ჭიანჭველამ გადაუარა ზურგსა და ბეჭებზე, მოიხარა, მოიბუზა ნაფიქრის საშინელებით. მაგრამ მერე საგნებს მოავლო ირგვლივ თვალი. ახლა ყველაფერი მშვიდად, ჩვეულებრივად გამოიყურებოდა! საათიც, ბუფეტიც, წიგნის თაროებიცა და დაბზარული კარადაც. დამშვიდდა. ყველაფერი უწყინარად და ძველებურად იყო. ყველა ნივთი თავის ადგილას იდგა თუ იდო, არც ფიქრების საძრომი ჩანდა სადმე. მაშ, ყველაფერი თვლემისა და ძილ-ბურანის ბრალი ყოფილა, სხვა არაფერი. საბოლოოდ დამშვიდდა, სრულებით აღარ ღელავდა და უფრო მტკიცედ აჯერებდა თავს. ახლა უკვე სხვა, ცივი თვალით, მოათვალიერა ოთახი, მექანიკურად, ორიენტაციით აგნებდა საგნებისა და ჩრდილების, ფანჯრის ჩარჩოებისა და მინების ადგილ-მდებარეობას. ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, ამიტომ არაფერი ჰქონდა ასაღელვებელი. მითუმეტეს, რომ ოთახშიც და კედლებს მიღმაც სამარისებური სიჩუმე იდგა. ამიტომ უნდა ერწმუნა, რომ სიზმრის გარდა არც არაფერი ყოფილა, დამესიზმრა. — უთხრა თავის თავს, — დამესიზმრა და სხვა არაფერი. აბა ხომ არ შეიძლებოდა, შუაღამისას მართლა ეფერთხა ლოგინი აივანზე. საწოლს გადახედა და დარწმუნდა, ყველაფერი წეღანდელივით იყო, ლეიბიც, ზეწარიც, საბანიც და ბალიშიც. ყველაფერი ისევე ჩანდა, როგორც დაწოლის წინ გაშალა. მეზობლები? არაა! სადა ჰყავს მეზობელი! არც ყვირილი უფიქრია ვისმე. ირგვლივ სიჩუმეა. კიდევ ერთხელ მიაყურადა საგანგებოდ. ქვეყნის დასასრულს რომ იქნება, ზუსტად ისეთი სიჩუმე იყო, ანდა ფრონტზე საარტილერიო მზადების წინ რომ ჩამოდგება ხოლმე. საბოლოოდ დარწმუნებულმა თავის თავს უთხრა, ყოველივე სიზმარი იყო, სიზმარი! გათენებას ჯერ ბევრი აკლდა, მაგრამ თუ მართლა მოხდა რაღაც, მაშინ ეს ალბათ მამლის პირველ ყივილამდე მოხდა, ასე რომ, ცუდი არ იქნებოდა, ძილის შებრუნება. ო, რა შორს იყო განთიადი! საათს შეხედა. მის უძრავ ისრებს, რომლებიც უნდა აღიაროს, რომ ვაი-ვაგლახითა და წვალებით, მაგრამ მაინც უვლიდნენ წრეს ნახტომებით და პატიოსნად უჩვენებდნენ, რომ კიდევ ათი წუთი იყო გასული. ჰო, დაძინება მართლაც არ იქნებოდა ურიგო. სანამ ინათებს და ჩაის აიდუღებს, სანამ დაიბანს, ჩაიცვამს და თავს მოიწესრიგებს, სანამ დიდი ხნის ნანატრი დრო მოვა და ფოსტაში წასვლა გახდება შესაძლე-

ბელი, უამრავმა საათმა უნდა გაიაროს, ფოსტა ცხრაზე იღება, ცხრამდე კი... კედლისკენ გადაბრუნდა, საბანი ამოიკეცა და თვალები დახუჭა. უნდა დაიძინოს, დაიძინე, უბრძანა თავს. კიდევ, მეათედაც უბრძანა და შეიჩვენა, რომ დღეს, ღმერთმა იცის, რა დროს, მაგრამ სწორედ დღეს ამნაირადვე ითვლიდა ათამდე. რა შემართება? ჰკითხა თავის თავს. თვლით ვითვლიდე, რამდენი ხანია? იქნებ უკვე ადგომის დროა? გვერდი იცვალა და ...მოსჭრა თვალი, მაგრამ ისე ძლიერად მაინც არ დაუბრმავებია, როგორც სიბნელეში ანთებისას ემართება ხოლმე და დარწმუნდა გათენებულაო. საჩქაროდ მოისრისა თვალები და მიხვდა, თვალებს კი არა, სათვალეს ისრესდა. ახლა გაოცების დროც აღარ იყო, სათვალიანს რომ დაუპირებია დაძინება და საათს გადახედა... გადასარევია, როგორ ვერ მოისაზრა? ოთახი ელექტრო ნათურით იყო განათებული, რომელიც ღამე ჩართული დაეტოვებინა, ხოლო რაც შეეხება ძილს, ჩათვლემაც კი ვერ მოესწრო. სულ რამდენიმე წუთი გასულა, ოთხი, წარმოგიდგენიათ? ოთხი წუთი, ისეთი გრძნობა კი ჰქონდა, თითქოს ძალიან დიდ დროს გაევლოს... არა, ძილი არა და არ ეკარებოდა, ფიქრები კი, მომაბეზრებელი ფიქრები, ისევ შემოეჯარა. თანაც ფანჯრებს მიღმა ქარმა იმძლავრა, ისიც ესმოდა, როგორ ღრღნიდა მკილი ხეს და ყურებში ვიღაცის შორეული ნაბიჯების ხმა ედგა. ღმერთმა იცის ვისი, ვიღაც დაგვიანებული მოხეტიალის თუ მასავით ძილგატეხილი მოხუცის? ოხ!..

უკვე აღარ სძინავს და უნდა ადგეს. ძილი სულ სხვა რამაა, როცა გძინავს... რომელი საათია? ჰკითხა თავის თავს, გასაგებია, ცხრა საათამდე, სანამ ფოსტა გაიღებოდა, ვინ იცის, კიდევ რამდენი საათი და წუთი გაივლის, თუ ერთი ან ორი საათი დარჩა, ადგომა ჯობია, იმიტომ რომ სულ ერთია, ძილი მაინც არ ეკარება. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ლოგინში წოლილიყო, ფიქრები რომ არა, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, მომაბეზრებელი ფიქრები რომ არა, რომლებიც ტვინსა და სულს უღრღნიან, ერთმანეთში ირევიან და იხლართებიან, მოსვენებას არ აძლევენ. რომ ადგეს, უამრავი საქმე გამოჩნდება. ფლოსტებს ჩაიცვამს, სათვალეს გაწმენდს (ისევ?), შუქს აანთებს (არა, შუქი უკვე ანთებულია). ცეცხლზე ჩაიდანს დადგამს, ისაუზმებს, ბოლოს, ყოველივე ამის შემდეგ დრო თუ დარჩა, წიგნს აიღებს.. მოკლედ, რომელი საათია? ოთახში ნახევრად ბნელა, ჰო, ნახევრად ბნელა, თვალშიც ვეღარ იხედება ძველებურად, ძველებურად არ უჭრის, ციფერბლატიც ლაქასავით მოჩანს, ასე რომ, სათვალე უნდა მოძებნოს, გაწმინდოს და შუქი აანთოს. ოდესღაც სიბნელეში კატასავით ხედავდა, ღამითაც შეეძლო ზუსტად, წუთობით გაერჩია დრო საათზე, ახლა კი... მაგრამ კვნესის დრო არ არის, ადგომაა საჭირო. ფლოსტები... ეს ოხერი ფლოსტები! ყოველ საღამოს, დაწოლისას საწოლის წინ აწყობს, ზუსტად შუაში. მარცხენას მარცხენა მხარეს და მარჯვენას მარჯვენა მხარეს, რომ გამოღვიძებულს ძებნა არ დასჭირდეს. აბა, სად ჯანდაბაში წავიდა მარცხენა ფლოსტი? ფეხშველა მისვლა მოუწევს ჩამრთველამდე. მერე რა საზიზღრობაა, შიშველი, აკანკალებული ფეხის დადგმა ცივ ლინოლეუმზე. არა, დღეიდან ბალიშქვეშ ამოიდებს ფლოსტებს. ასე ჯობია, გაიღვიძებ, შეყოფ ხელს ბალიშქვეშ და გამოიღებ ორივეს, მარცხენასაც და მარჯვენასაც. საღსალამათად შენახულებს, ოღონდ გაზეთის ყიდვა არ უნდა დაავიწყდეს, ჩვეულებრივი ძველი გაზეთის. ძილის წინ შეახვევს ფლოსტებს, თავქვეშ ამოიდებს და დაიძინებს პატარა ბავშვივით... საოცარია, მარჯვენა ფლოსტში რა ხელად წაჰყო ფეხი, კოჟრებმაც კი არ შეუშალა ხე-

ლი. გამოდის, რომ უკვე კლვიძებია და საათისთვისაც შეუხედავს? ჯანდაბას! შუქი უნდა აანთოს, მაგრამ უსათვალოდ როგორ ჩართავს? მოძებნის კი ჩამრთველს? ამ შუქის ანთებაზე ყოველთვის ჯახირობს. რამდენჯერ გადაწყვიტა, დავუძახებ მონტიორს და ერთ ორ მანეთად ამ გატეხილ სკამთან გამოვაყვანინებო. მართლა კარგი რამაა, შუქი საწოლთან ახლოს. დააჭერ კნოპს და გაანთებს, ყველაფერს დაინახავ, რაც მთავარია, საათიც მოჩანს. არა, ასე უნდა ქნას, ოღონდ მომავალი თვის პენსიით. მოუტანენ თუ არა ფულს, მაშინვე გადადებს ორ მანეთს. ორი გადადოს თუ სამი? ორი შეიძლება არ ეყოს. მონტიორები ისეთი ხალხია, თითი რომ ჩაუდო პირში მოგაკვნეტენ. ამას წინათ მოიყვანა ერთი და ჰკითხა, შემოსასვლელში რატომ არ ინთება შუქი. იმან გაიარ-გამოიარა ოთახში, შნურს შეავლო ხელი, მრიცხველთან მივიდა, ჯერ ერთი ჩამრთველი გაატკაცუნა, მერე მეორე, დამცველები მოხსნა, ადგილები შეუცვალა, მერე სკამზე ავიდა, ხელი მოჰკიდა ნათურას და თავისით აინთო შუქი. როგორც ჩანს მხოლოდ კონტაქტი იყო სადღაც. ბიჭმა ერთი მიატრიალ-მოატრიალა და კარგი მანეთი კი ჩაიდო ჯიბეში. აი ასე, ზედ თათზე დაუდო მანეთიანი. კარგა ხანს კი ხვნეშოდა და ყოყმანობდა ეს მარიფათიანი ბიჭი. ჰო, ცხადია, ორი მანეთი არ ეყოფა, სამიანს გადადებს, მაგრამ მომავალ პენსიას უნდა დაუცადოს. ახლა კი, რაკი გადაწყვიტა არ დაიძინოს, კარგი იქნება, ჩაიდანი დაადგას. ერთი საათი საუზმის მომზადებას დასჭირდება, საათი კი... დრო თუ დარჩება, წიგნს წაიკითხავს. მართლა გადასარევი წიგნია, მთავარი ის არის, რომ ომზეა, ერთ მფრინავზეა მოთხრობები, ყოველი დავალების შესრულების დროს ცოტას რომ გადაუხვევდა ხოლმე კურსიდან და ფრონტის ხაზთან ახლოს, თავის სოფელს გადაუფრენდა, თითქმის მიწამდე ეშვებოდა და ლამის მუცლით ეხებოდა ჩალის სახურავს, დედამისი — ის უკვე შეჩვეული იყო მანქანის გუგუნს, იცოდა, — ეს მისი შვილის თვითმფრინავი რომ იყო — აივანზე გამოდიოდა და ზღურბლიდან ხელს უქნევდა. ზუსტად ისე, როგორც ამ შესანიშნავ სიმღერაშია: „ჩავიფრენ და ფრთას დაგიქნევს ვერცხლისფერი ლაინერი". და მამაც პილოტს ისევ ზეცაში აჰყავდა თავისი „ქორი" და უძირო ლაჟვარდში უჩინარდებოდა. მერე როგორი დასასრული აქვს წიგნს?! რა საოცრად ამაღელვებელია დასასრული. მთელი სოფელი გამოდიოდა და დედისადმი შვილის უსაზღვრო სიყვარულის ცქერით ტკბებოდა, მაგრამ სოფლის თავზე ერთხელ ცეცხლმოდებულმა თვითმფრინავმა დაიწყო ტრიალი, ფრთები ეწვოდა. ალმოდებული უვლიდა გარშემო მშობლიურ სახლს ამაყი მანქანა და იქიდან, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, პილოტი ყვიროდა, თავის მოხუც დედას ეძახდა. ემუდარებოდა, გარეთ გამოდი და ხელი დამიქნიეო, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, დედა შინ არ იყო — ცეცხლმოდებული პურის ყანის გადასარჩენად გაქცეულიყო. განწირულმა თვითმფრინავმა კიდევ შემოუარა სახლს ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ბიჭიც დაიღალა ყვირილით და რაკი მისი ახალგაზრდა სიცოცხლის წუთებიც უკვე დათვლილი იყო, სიმაღლე აიღო და ელვასავით დაეშვა ეზოს შუაგულში, სადაც ოდესღაც დაიბადა და გაიზარდა!.. ღმერთო ჩემო, რა წიგნია! უსათუოდ კიდევ გადაიკითხავს, შეიძლება დღესაც წაიკითხოს. არა, ტეოს უამბობს ამ წიგნზე და, თუ წაკითხული არა აქვს, თავის ხელით გაუგზავნის, ტეოსაც გაგიჟებით მოეწონება... მაგრამ სად დადო წიგნი? გუშინ, კითხვა რომ დაამთავრა, კარგად ახსოვს, ტეოს ვუამბობო, გაიფიქრა, წიგნს ცალკე დავდებ, სხვა წიგნებში რომ არ აერიოს და ძებნა არ დამჭირდესო... მაგრამ სად დადო?

ველური ჩვევაა იმის დამალვა, რაც გიყვარს... სად წავიღე წიგნი? თანაც ჩაიდანიც ადუღდება საცაა. წყალი უკვე ბუყბუყებს და ალუბლის ფოთოლის ჩაგდება კი დაავიწყდა. არა უშავს, დიდი უბედურება არაა. ალუბლის ფოთოლის ჩაგდება ცხელ წყალშიც შეიძლება. მაგრამ წიგნი... მიდი და ეძებე ახლა. ეჰ, მე გამოთაყვანებულო! აგერ არ არის? ბალიშქვეშ. გუშინ [illegible] ხვაში გაერთო, მერე საათს შეხედა და კინაღამ ცუდად გახდა. აგ[illegible] ფოსტა სადაც იყო გაიღებოდა. აი, მაშინ შედო ბალიშქვეშ. ასეთი წიგნი შეიძლება გულის მაგივრად ატარო მკერდით. როგორ არ ვეამბორო! ო, ტეო, ჩემო მეგობარო ტეო, როგორ გაგიხარდება! ნამდვილად ვიცი, მოეწონება ეს წიგნი. ასეთი წიგნის არ მოწონება შეუძლებელია. აწი აღარ დამალავს. მაგიდაზე დადებს, რომ ყოველთვის უყუროს. დღესვე ეტყვის ტეოს, ხვალ კი შეიძლება გაუგზავნოს კიდეც. რა თქმა უნდა, ცოტა ხნით სახლი დაცარიელდება და დაობლდება, მაგრამ მერე ხომ ისევ უკან დაუბრუნებს ტეო. წარმოუდგენიათ, რამდენ ხანს იდო სხვა წიგნებში დამტვერილი, შეუმჩნეველი, შემთხვევით რომ არ ჩამოელო თაროდან... ახლა კი აღარ მოიშორებს. ტეო თუ ეტყვის, ეგ წიგნი მეც მაქვსო, კიდევ უკეთესი. ეს ორივესთვის დიდი სიხარული იქნება, მაგრამ, მეორეს მხრივ, ოდნავ გული მოუვა ტეოზე. როგორ, ასეთი წიგნი გქონდეს და ჩუმად იყო? მე ასეთი არა ვარ! ხედავ, წავიკითხე თუ არა, იმ წუთში შენ გამახსენდი... მაგრამ, ტეოს არ ექნება ეს წიგნი. ტეო არასოდეს არაფერს არ უმალავს და ყოველთვის ეუბნება ხოლმე, რა წაიკითხა ბოლო დროს და, რაკი ამ წიგნზე არაფერი უთქვამს, ესე იგი, არა აქვს. ო, როგორ გაუხარდება! მთავარია, ილაპარაკონ დღეს, მოკლედ მოუყვება კიდეც შინაარსს. რატომ არა? ფული ეყოფა. გუშინ კავშირი არ იყო და ვერ ელაპარაკა. ასე რომ, გუშინდელი დღისათვის გადადებული ფულის დახარჯვა დღეს თავისუფლად შეუძლია. დღევანდელსაც დაუმატებს და, თუ გაჭირდა, ხვალინდელსაც. მომავალ პენსიამდე გაიტანს თავს, სულ თავისუფლად! ბოლოს და ბოლოს, საჭმელზე დახარჯავს ნაკლებს. წიგნების ყიდვაზეც თავს შეიკავებს, არაფერი უჭირს! ჰო, ასე იზამს და ყველაფერი მოგვარდება... რომელი საათია? ღმერთო ჩემო, ამ ფულზე ფიქრს გადაჰყვა და ჩაი ლამის ამოშრა. თუმცა ახლა ჩაის დრო აღარ არის, მოვა და მერე დალევს, ახლა კი სირბილით... ჩაცმა! ჰო, ტეოსთვის წიგნზე მოყოლა არ დაავიწყდეს!

II

გუშინ ვერ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ტელეფონისტმა პირდაპირ უთხრა, დღეს ლაპარაკი არ მოხერხდება და ტყუილად ნუ დაელოდებით, სახლში წადითო. ხაზი გადატვირთულია. შევაერთებდით, მაგრამ არავითარი საშუალება არ არის, ნომერზე ვერ გავდივართ. იმისთვის ადვილია, მაგრამ აბა ერთი ამას ჰკითხოს, თანაც უთხრა, უმჯობესია, ორი დღის შემდეგ თუ მოხვალო. რა არხეინად ამბობს? არა, ჩემო კარგო, შეუძლებელია, რომ მთელი დღის განმავლობაში ვერ მოხერხდეს. ხვალ? ღმერთმა იცის, ხვალინდელი დღე გამითენდება? დღეს კი ნაღდია. ამას რა ენაღვლება! რა იცის, ტეოც რომ ღელავს, ამ ლაპარაკს ელოდება და ჩემი ხმის გაგონება ეჩქარება. შეიძლება იმასაც აქვს რამე სათქმელი, იმას მაინც ვკითხავ, როგორ გქვინა, ავად ხომ არა ხარ, რამე ხომ არ გინდა, ფული ხომ არ გჭირდე-

ბა-მეთქი. რაც მართალია, მართალია, ფული ნამდვილად ცოტა აქვს, საჭმელს ბევრი მიაქვს, წიგნებისა და ტელეფონზე სალაპარაკო ფულიც კაპიკობით აქვს დაანგარიშებული პენსიის აღებამდე. არა, ღმერთმა დაიფაროს და, ტეოს რომ რამე მოუვიდეს და ცოტა ფული დასჭირდეს, საჭმელს მოიკლებს და იმას გაუგზავნის. კარგად იცის, რას ნიშნავს მარტოობა, მით უმეტეს, ავად თუ ხარ. ცოტა ხნის წინ თვითონ იავადმყოფა, გადაუჭარბებელი არაფერი, ჩვეულებრივი ჰონკონგის გრიპი იყო, მაგრამ, იმის თავიც არ ჰქონდა, აფთიაქში ჩასულიყო აბებისათვის.

სამი დღე არ ამდგარა საწოლიდან და მეოთხე დღეს წამოდგომა რომ სინჯა, კინალამ წაიქცა, სისუსტისაგან ფეხზე ვერ დგებოდა. ჩაი რომ ჩაია, იმასაც კი ვერ ადუღებდა. თანაც იცოდა, წამითაც, რომ გადაებადა საბანი, ავადმყოფობა შეუბრუნდებოდა და კარგი დღე არ დაადგებოდა, ამიტომაც იყო საბანქვეშ გასუსული, რაც ებადა ყველაფერი ზედ ეხურა, სულს ძლივს ითქვამდა. მხოლოდ მეოთხე დღეს, ცოტა უკეთესად რომ იგრძნო თავი, საწოლიდან წამოდგომა გადაწყვიტა, იმის დანახვა უნდოდა, რა შეიცვალა ქვეყანაზე ამ სამ დღეში. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ფოსტაში უნდა წასულიყო და ტეოსთვის დაერეკა, პატიება ეთხოვა. აბა რა, განა შეიძლება მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი ადამიანის სამ დღეს უყურადღებოდ მიტოვება? ვინ იცის, რაღა არ იფიქრა მისმა მეგობარმა! უნდა ეთქვა, ავად ვიყავიო, საბედნიეროდ, ახლა კარგად ვარ, მაგრამ მაინც მაპატიეო. ჰო, ბოდიში მაინც მოეხადა, თორემ სხვა დანარჩენის (დანარჩენი ის ასი და ათასი ფიქრი იყო, ავადმყოფობის დროს რომ ეხვია) დრო კი ახლა არ იყო. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მთელი დღეები ილაპარაკებდა ტელეფონზე. ერთი სიტყვით, ადგომისა და ფოსტამდე მიღწევის წყურვილი კლავდა, მაგრამ ფეხზე ვერ იდგა, ავადმყოფობას ძალა გამოეცალია, თავბრუ დაეხვა. საწოლის თავზე ხელის ჩაჭიდება ძლივს მოასწრო. კიდევ გრძელი დღეები და ღამეები ელოდა... საშინელი დღე ჰქონდა! ასე ცუდად არასოდეს უგრძვნია თავი. გამოჯანმრთელდა, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ადგომა კი არ შეიძლებოდა. მეხუთე დღეს წამოდგა, ფოსტაში წავიდა და ტეოს ელაპარაკა. როგორ გაუხარდა! ენა ვერ აღწერს, როგორ გაუხარდა! თითქოს ასი წელი არ გაეგონოს მეგობრის ხმა. ეფერებოდა, იცინოდა, ხტოდა, ფეხებს აბაკუნებდა. განა იცოდნენ უცხოებმა, რას განიცდიდა? ისიც კი დაავიწყდა, რომ ტელეფონით ლაპარაკობდა, თითქოს პირისპირ ედგა ტეოს, თავის ძვირფას ფრონტელ მეგობარს და ამიტომ არც არაფრის რცხვენოდა. მუშტს იქნევდა, ხან ზედ ყურზე მიიჭერდა ყურმილს, ხან გვერდზე გადასწევდა. ერთხელ ბარიერზეც კი ჩამოდო და თვითონ ჭერს მიშტერებული ლაპარაკობდა. ტელეფონისტმა ქალმა რომ შეახსენა, უკვე მერვე წუთი იწურება და ფულის დამატება მოგიწევსო, თითქოს არც გაუგონია, ისე ამოიფერთხა ჯიბეები და რაც ჰქონდა, პირდაპირ ცხვირწინ დაუყარა, თვითონ კი ისევ მოუყარა თავი სათქმელს და ისევ დაიწყო ყვირილი და ხელების ქნევა. ფული? რა ფული, რის ფული, ჭირსაც წაუღია ფული. ოთხი დღე იწვა ლოგინში, ოთხი დღე არ დალაპარაკებია ტეოს, ასე რომ, ახლა უფლება ჰქონდა რამდენიც უნდოდა, იმდენი ელაპარაკა. ეჰ, ქალიშვილო, ქალიშვილო, ქალიშვილო! ამას ნაღდად არ ესმის მისი გრძნობების, არც გუშინ ესმოდა რამე, ფოსტის ზღურბლთან მოუთმენლობით რომ იტანჯებოდა, წადით სახლში, სულ ერთია კავშირი არ იქნებაო, სახლში წადით! სახლში რა უნდა აკეთოს? ხვალინდელ დღეს უნდა ელოდოს, საღამოს, ლო-

მეს...ოჰ, ნეტა არც გაახსენა ეს ღამეები! მერე ისევ დილას უნდა დაელოდოს, როდის გაიღება ფოსტა? აქედან გაცილებით ახლოა ტეოსთან, ვიდრე იმ თავის მოცუცქნულ ოთახში მყოფი და განა შეუძლია ამ ახალგაზრდა ტელეფონისტს იმის გაგება, რა ცეცხლი სწვავს მოხუცს? ფოსტაში მაინც ასე თუ ისე გრძნობს მეგობრის სიახლოვეს. სახლში კი?.. გარდა ამისა, ხომ შეიძლება მოულოდნელად გათავისუფლდეს ხაზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ძია! — ამოიოხრა ტელეფონისტმა, შუადღე რომ გადავიდა, — დღეს არ იქნება კავშირი, რამდენჯერ უნდა გითხრათ! ხვალ, ხვალ ნამდვილად გპირდებით. ახლა წადით შინ.

ხვალო — ესე იგი, დღეს, დღეს დაელაპარაკება ტეოს. ამას რა ჯობია. გუშინ? განა შეეძლო სახლში წასულიყო, როცა შორეული მეგობარი ელოდებოდა, მისი თბილი სიტყვები და ხმა სჭირდებოდა?

— იქნება ხელს გიშლი, შვილო? — რბილად ჰკითხა მან, — მაშინ ზღურბლთან დავიცდი. იქაც თუ არ შეიძლება, ქუჩაში გავალ...

და ქუჩაში გავიდა. გარეთ მზე აცხუნებდა და უკეთესად იგრძნო თავი, ვიდრე შენობაში. მაგრამ გული არ უსვენებდა, ახლა უფრო შორს იყო ტელეფონიდან და, ესე იგი, ტეოსაგანაც. არა უშავს, იმშვიდებდა თავს. ხაზი თუ გათავისუფლდა, ქალიშვილი დამიძახებს. დიდი ხანია ატყობს რომ ტელეფონისტი კარგი თვალით უყურებდა.

— არა, ძია, — უთხრა ტელეფონისტმა, ფოსტის კარს უზარმაზარი ბოქლომი რომ დაადო, — ხომ გითხარით, ხვალ-მეთქი! — და ფოსტას შემოუარა. ფოსტის უკან ცხოვრობდა.

მაშინ კი წავიდა შინ. თითქოს რაღაც გულს უფხაჭნიდა. მაგრამ დაქანცული ტელეფონისტი ქალის ნათქვამმა „ხვალემ“ მაინც გაათბო და გაამაგრა. ის კი არადა, ცოტა ხნით ჯანმრთელად და ახალგაზრდადაც იგრძნო თავი, წელში გასწორდა. მოშორდა კედელს, რომელსაც ეყრდნობოდა, და მშვიდად წავიდა.

და აი, ეს დღეც დადგა, დღეს ტეოს დაელაპარაკება. მაგრამ რა მტანჯველი ღამე გამოიარა! შეიძლება ტეოსაც უთხრას, ცუდად მეძინა, მაგრამ ჯერ უნდა გაიგოს, ტეო როგორ არის, რამე ხომ არ სჭირდება (იმას რატომღაც არასოდეს არაფერი სჭირდება). შემდეგ... ჰო, წიგნზე არ დაავიწყდეს! წიგნის გაგზავნა თუ მოუხდა. შესანიშნავი საჩუქარი იქნება ტეოსთვის. საერთოდ წიგნი საუკეთესო საჩუქარია და არაფერი დაშავდება, ამ წიგნს ტეოს თუ აჩუქებს. ერთადერთი ნამდვილი მეგობრისათვის არაფერი ენანება, აუცილებლად აჩუქებს, დაე, ტეოს გაუთბოს გული. მეგობარს ყველაფერი უნდა გაუგო, როგორც ომშია ძმურად. თვითონ და ტეო კი ნამდვილი მეგობრები იყვნენ, არიან და იქნებიან, ვინც არ იცის, რა არის ფრონტული მეგობრობა, ჯობს გაჩუმდეს და რიდით ჩაუაროს ერთმანეთთან მოსაუბრე ორ ფრონტელ მეგობარს, ერთმანეთისთვის სათქმელს რა გამოლევს. არა, ამ წიგნს ნამდვილად აჩუქებს, წიგნს, რომელიც თითქოს ამათთვის არის დაწერილი. არაფერია, თუ ის პირდაპირ მისსა და ტეოს ცხოვრებასთან არ არის დაკავშირებული. მთავარი ის არის, რომ ამ წიგნის კითხვისას შიგ გულში გრძნობ ტკივილს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წიგნი შენზეა დაწერილი, არა, ტელეფონისტი ქალი ვერასოდეს გაიგებს, რატომ მიდის ყოველდღე ფოსტაში, რატომ ეჩქარება მისგან ამ გაკვრით ნათქვამი „ხვალეს“ გათენება.

გესმის, ჩემო მეგობარო? წყნარად ჩურჩულებს იგი. — შენკენ

მოვიჩქარი! — და თუმცა ამას თავისთვის ამბობს, რამდენიმე სიტყვის დამატებას მაინც თვლის საჭიროდ, რომ ტეომ ყველაფერი იცოდეს — დამპირდა, ამ დილას იქნება ხაზიო!

დღეს ხაზი იქნება. ოღონდ ეს წყეული დრო რომ გაჯიუტდა! ღმერთმა იცის, როდის ადგა. რატომღაც დიდხანს იჯახირა, მერე გაახსენდა, რომ აგვიანებდა, უკვე ცხრა საათი იყო, ყველაფერს მიანება თავი, სწრაფად ჩაიცვა და გარეთ გავარდა. კიბის დაბალ წირთხლზე კინაღამ შუბლი გაიხეთქა, მაშინ მიხვდა, რომ ისრები არეოდა, კიბე ჩაბნელებული იყო. ეტყობა, დაგვიანების შიშმა ისე გამოათაყვანა, პატარა ისარი დიდად მოეჩვენა, ამან შეიყვანა შეცდომაში. მთელი ღამე კურდღელივით ეძინა, თვალღიას, ტრიალებდა, კრთოდა, სლუკუნებდა, ხანდახან თითქოს ბოდავდა, ტეოს ელაპარაკებოდა. ახლა ეს ფიქრები! ამის გამო გამოვარდა ალბათ კიბეზე, მერე რა გვიან მოეგო გონს! — ეს წუთების მაჩვენებელი ისარი იყო, საათებისა კი სადღაც შვიდთან იყო გაჩერებული, გარშემო ყველას ეძინა. ახლა... ახლა რომელი საათი იქნება? ბნელა. მალე ინათებს, მაგრამ ცხრამდე ჯერ გვარიანი დროა, კარგა გვარიანი დრო! იქნებ დაბრუნდეს და გათენებას დაუცადოს? რაღა ქუჩაში იხეტიალოს ტყუილ-უბრალოდ. ჰო, დაბრუნდეს და ქოთქოთა ჩაიდანს მიუჯდეს, ან წიგნი წაიკითხოს, ან რამე გალეჭოს. გუშინ მთელი დღე ფოსტის ზღურბლთან იყურყუტა და ისე გაწამებული დაბრუნდა, ჭამის თავი აღარ ჰქონდა. ტანსაცმელი გაიძრო და მაშინვე საწოლზე მიეგდო, მაგრამ ჩათვლემაც ვერ მოასწრო, რომ ეს კოშმარები დაეწყო... რა თქმა უნდა, დაბრუნებას აზრი აქვს, მაგრამ მაინც არ დაბრუნდება. იცის, უკან დაბრუნება დათარსვაა. ეს ნაღდია. ბევრჯერ გამოსცადა, ახლა თუ დაბრუნდა, მერე აღარც ღირს ფოსტაში წასვლა, იმაში წაგებულად უნდა ჩათვალოს. არა, ღმერთმა დაიფაროს ახლა უკან დაბრუნება! არც სუფთა ჰაერზე გასეირნებით დაუშავდება რამე. მართალია, ქუჩაში ცოტა გრილა. გრილა კი არა, ცივა კიდეც, მაგრამ ეს არაფერია. მალე მზე ამოვა, დათბება და თავს უკეთ იგრძნობს. ახლა კი წელში თითქოს ქარი უბერავს. პიჯაკი ცოტა არ იყოს თხელია ასეთი სეირნობისათვის. მოსასხამი მაინც წამოეღო. როგორიც არ უნდა იყოს, ქარს მაინც არ ატარებს. მაგრამ თავს რომ მოგკვეთენ, თმაზე აღარ უნდა იჯავრო! დაავიწყდა და დაავიწყდეს! ოღონდ ფოსტის გაღებამდე ცოტა სწრაფად უნდა იმოძრაოს, კიდევ კარგი, რომ ქალაქში საქალაქთაშორისო ტელეფონით საუბრის ბევრი მსურველი არ არის, ესღა აკლია. ფოსტასთან ამ უთენია რიგი რომ დახვდეს. არა, როგორც ყოველთვის, ის პირველი იქნება. ამიტომ პირველსაც ალაპარაკებენ. სიმართლე რომ თქვას, სხვა რამე არც ადარდებს. მერე სახლში დაბრუნდება და ცაცხვის ჩაის აიდუღებს, კიდევ უკეთესია, ყავას თუ მოიმზადებს. ფინჯანი მაგარი ყავა და ერთი კვნიტი შაქარი. ყავა ახლა მართლა მოუხდება. დიდი ხანია აღარ დაულევია. სადავიდარაბო საქმეა: ჯერ მარცვლები უნდა დაფქვა, მერე უნდა მოადუღო, მერე დოლბანდში გაწურო. დღეს არ დაიზარებს და ყველაფერს გააკეთებს. მერე საბანს რომ დაიხურავს, სიამოვნებით შესვამს ყლუპ-ყლუპით ქაფქაფა, ოდნავ მომწარო სითხეს...

რომელი საათია? დრო სულ არ იძვრის და ისე ბნელა, თითქოს შუაღამე იყოს, როცა ოხრავ, ტრიალებ, დგები, წაკითხვას ცდილობ, ისევ ძილის შებრუნება გინდა, თვლი ათასამდე, შორეულ ხაბიჯებსა და აკაციის ტოტებში მოშრიალე ქარს აყურადებ. დრო გაყინული ლოდივით ერთ ადგილასაა გაჩე-

რებული... დიდი ხანია წინ და უკან დადის ქუჩაში. გარშემო კი სიჩუმეა, ჩამიჩუმიც არ ისმის. ის ფანჯარა მაინც განათდებოდეს, ტელეფონისტი რომ ცხოვრობს! მაშინ ცხადი გახდება, რომ მალე ცხრა შესრულდება. მაგრამ ფანჯარა ჩაბნელებულია. უკვე რამდენჯერმე შემოუარა სახლს ყოველი მხრიდან... სიწყნარეა, ჩამიჩუმი არ ისმის. ესე იგი, ისევ სძინავს. მის ქმარსაც სძინავს. რომ ამდგარიყვნენ, ხელად დაინახავდა. მაშინ ცოტა ხანსაც მოუწევდა ლოდინი. ეი, კეთილო ხალხო, ადექით, დროა!.. იქნებ გამბედაობა მოიკრიბოს და ფანჯარაზე დაუკაკუნოს? მოიბოდიშოს, რამდენჯერმე მოუბოდიშოს და აუხსნას მდგომარეობა, ან უთხრას, რომ, რაკი უკვე მოსულია, და რაკი ცხრამდე კიდევ ბევრი დროა, იქნებ ახლა შეეერთებინა მეგობართან? ვსინჯო? ეუბნება თავის თავს, მაგრამ მაშინვე მოდის აზრზე. განა შეიძლება ფანჯარაზე ბრახუნი ამ უთენია? დილის რვა საათზე, როცა სამუშაო დღე ცხრაზე იწყება? მერე კიდევ, ალბათ ყველა საფოსტო განყოფილება ცხრაზე იწყებს მუშაობას... ჰოდა, როგორ შეაერთებს, როცა ყველა ფოსტას ჯერ ისევ სძინავს?

III

— არ გეჩვენება, რომ თითქოს ვიღაც დადის ჩვენი ფანჯრების წინ? — ეკითხება ფოსტის უფროსს ცოლი.

ეუბნება და ხვდება, რომ არ სძინავს და არც სძინებია. როგორ არ სძინებია? იქნებ ახლაც სძინავს? ოჰ, არა! ახლა არ ეძინა! მთელი ღამე, თვალი არ მოუხუჭავს. ეს უძილობა აკლდა ახლა! მთელი დღე, დილიდან საღამომდე იჯექი პულტთან!.. უნდა ქმარს დაუძახოს, გესმის კაცო? არ გძინავს?.. სძინავს.., ხმას არა სცემს, მაგრამ რა უნდა ეთქვა მისთვის? არადა გუშინაც ხომ უნდა ეთქვა, ჰო, გუშინაც... ყველაფერი ცხადია, ის სიცარიელე, რომელიც გუშინ იგრძნო, დღემდე არ შორდება. თავი დამანებეთ, ბიძაჩემო, დღეს ვერ შეგაერთებთ!.. ზუსტად ასე უთხრა. მოხუცს უცბად მოეღრუბლა სახე, მისკენ მიპყრობილი მზერა ჩაუქრა: როგორ თუ ვერ შემაერთებთ? ღმერთმა იცის, რატომ დაუღრიალა მაშინ. რისი გულისთვის: მეგობართან ლაპარაკი უნდოდა სხვა ხომ არაფერი, რამ ააფეთქა? იქნებ უნდოდა თავი უდანაშაულოდ ეგრძნო? რა იქნებოდა მაშინვე გაეგო ბერიკაცს, ლაპარაკი რომ არ შედგებოდა! გაიგებდა და წავიდოდა! იქნებ ხელს გიშლი, შვილო?.. რატომ უთხრა ეს, თანაც, როგორ უთხრა! მისი ხმა თითქოს შორეთიდან მოდიოდა და ძალიან ჰგავდა მამამისის ხმას. ალბათ ამან გააბრაზა. მერე მოხუცმა ზღურბლს გადააბიჯა, თითქოს ყველაფერს მიხვდა. ეტყობა, ვერაფერსაც ვერ მიხვდა. თორემ საერთოდ წავიდოდა, რადგან ქალს მართლა არ შეეძლო მისი თხოვნის შესრულება, არ შეეძლო მეგობართან მისი დაკავშირება, როგორ არ ესმის? ღმერთო ჩემო, თუ დაუკვირდები, არავინ არ არის დამნაშავე, გარდა... ნუთუ ეს მე ვარ დამნაშავე? დამნაშავე? რატომ, მე? რატომ? განა ეს ყველაფერი მე მოვიგონე? ქმარმა შესთავაზა... კი, მაგრამ, როგორ დაიწყო ყოველივე? ვინ დაკარგა ტელეფონის ნომრიანი გაზეთი? ამან თუ ქმარმა? გაზეთი ქმარმა წაიღო, მერე ასე რატომ მოხდა?

კარგა ხნის წინათ, როცა მოხუცი პირველად მოვიდა ფოსტაში, თქვა... რა თქვა? ქალაქ ნ-თან დაკავშირება უნდოდა.. თავის მეგობართან, და როგორ თქვა? ჰო!.. შვილო, სათვალე სახლში დამრჩა, შენ თვალი გიჭრის და აბა

ამ გაზეთს დახედე. ზედ ნომერი წერია... და გახუნებული ყვითელი გაზეთი აუწოდა. იქ მართლა ეწერა რაღაც ნომერი, მაგრამ ხომ ვერ დაიმახსოვრებდა... მაშინვე რომ დაეკავშირებინა, ნომერს ქვითარში ჩაწერდა. მოითმინეთ, უთხრა მოხუცს. როცა კვლავ შეახსენა მოხუცმა თავი, გაზეთი დახლზე იდო. მაგრამ მერე? სად არ ეძება. დახლზეც, მაგიდაზეც, მაგიდის ქვეშაც, თითქოს მიწამ უყოო პირი! მოგვიანებით გაახსენდა, ერთი წუთით! ქმარი — შემოვიდა და წასვლისას გაზეთიც გაიყოლა. მაშინვე უნდა ეთქვა მოხუცისთვის, რომ გაზეთი დაიკარგა, მაგრამ შერცხვა. მოხუცი კი იცდიდა, იცდიდა მორიდებულად და მოთმინებით. ამან კი ვერ უთხრა, რომ ქმარი მაღაზიაში წავიდა სანოვაგის საყიდლად, რა იცოდა, როგორ წავიდოდა საქმე? ეგონა, ქმარი სანოვაგეს შინ მიიტანდა, გაზეთს დააბრუნებდა და ის კიდევ მოხუცს აბონენტთან შეაერთებდა. მაგრამ ქმარს არც სანოვაგე მოუტანია და არც გაზეთი. გადაავადე. მერე რა მოხდაო? რაიმე მნიშვნელოვანი იყო?.. გადაავდეო? აღელდა ქალი, რაღა უთხრას მოხუცს?.. ნეტა ნომერი ზეპირად არ ახსოვს? აბა, რა ვიცი... რომ სცოდნოდა, აღარ სთხოვდა, გაზეთზეა მიწერილი და წამიკითხეო. ახლა რა უნდა ვუთხრა?... ერთი შენც მოგცლიაო, უთხრა ქმარმა. დიდი ამბავი! უთხარი, ხვალ მოვიდეს... მერე ხვალ რას ვიზამთ? ჰკითხა ცოლმა. ხვალ თვითონ მოიტანს ნომერს.. კარგი აზრი იყო. წყალწაღებულივით ჩაეჭიდა ხავსს.

ძიაკაცო, ალერსით უთხრა მან, ხვალ მოდით, დღეს ხაზი დაკავებულია... კარგი, უპასუხა მოხუცმა, მაგრამ კიდევ რაღაც უთხრა. გაზეთს დამიბრუნებთ თუ ხვალამდე თქვენთან იყოსო?.. ჩემთან დარჩესო, უპასუხა ქალმა. ეტყობა, სხვაგან არა აქვს ნომერი ჩაწერილი. სად უნდა დაერეკა, ჰკითხა ქმარმა. ნ-ში, მეგობართან. მაშინ ქმარმა თავისი იდეა წამოაყენა. რა მოხდება, მე რომ ვიყო მაგისი მეგობარი? როგორ? შეშინდა ცოლი. სულ უბრალოდ, მე მეორე ოთახში ვიქნები და ჩემთან შეაერთე... ქალი აღშფოთდა: აბა რას ამბობ! ამის გაკეთება შეიძლება?.. მაშინ შენ თვითონ მონახე გამოსავალი, გულგრილად უთხრა მან. სიმართლე უთხარი... ეს საუბარი მათ შორის საღამოს იყოს. ღამე კი თითქმის დაავიწყდა მოხუცი, მაგრამ მეორე დღეს, დილაადრიანად განყოფილებაში რომ მოჰკრა თვალი, შეკრთა, რაღაც ჩაიბურტყუნა და არც დაფიქრებულა, რას სჩადიოდა, სწრაფად აკრიფა გვერდითა ოთახის ნომერი, სადაც ქმარი მუშაობდა და ყურმილი მოხუცს გაუწოდა. ღმერთო ჩემო, როგორ გაუხარდა. როგორ უთხრა, მაშ, ჩემს მეგობარს დაველაპარაკებიო?! ჰო, ჰო, უპასუხა ქალმა და გაუკვირდა მისი ასეთი სიხარული, თანაც გუმანით იგრძნო, რომ მოხუცი ან ძალიან დიდი ხანი იყო, ან საერთოდ არასოდეს დალაპარაკებოდა თავის მეგობარს ტელეფონით. ცოტა ხნით ყურმილი ხელში შეაჩერა და გულგრილად ჰკითხა: დიდი ხანია, რაც მეგობართან არ გილაპარაკიათ?.. ეჰ! ფეხი დააბაკუნა მოხუცმა, ფრონტის მერე! სულ ახლახან შემთხვევით ვიპოვე ტელეფონის ნომერი... ქალმა შვებით ამოისუნთქა და ყურმილს ჩასძახა: ალო! „ნ" მისმენთ? ფრონტელ მეგობარს უნდა ელაპარაკოთ, და ყურმილი მოხუცს გაუწოდა. რაც მართალია, მართალია, გაწითლებით კი გაწითლდა.

მთელი ხუთი წუთი, ვიდრე მოხუცი ლაპარაკობდა, ქალი თითქოს ნელ ცეცხლზე იწვოდა. ალო, ტეო! რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ყვიროდა მოხუცი ფეხების ბაკუნით. შენა ხარ, ტეო? წარმოგიდგენია? ძლივსა ვცნობ შენს ხმას. რამდენი წელი გავიდა, ტეო! მერე ატირდა, ალო! ალო! ტეო! ჩვენ ცოცხლები ვართ! წარმოგიდგენია? ცოცხლები ვართ! ქალმა არ იცოდა, რას უპასუხებდა ქმარი, მოხუცი კი ხან ტიროდა და ხან იცინოდა. ხან რაღაც გაუ-

გებარს ტუტუნებდა, ქალმა არ იცოდა, რას ეუბნებოდა ქმარი, მაგრამ ერთს კარგად ხედავდა: მოხუცი ენას არ აჩერებდა, ყვიროდა, ფეხებს აბაკუნებდა, სულმოუთქმელად ტიტინებდა ჭირვეული ბავშვივით, მოსაუბრეს ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა. მისი ყვირილიდან ქალმა გაიგო, რომ ტეო მისი ფრონტელი მეგობარი ყოფილა, რომლის ამბავიც დიდი ხანი იყო არ იცოდა და უგზოუკვლოდ დაკარგული ეგონა, მხოლოდ გუშინ [illegible] გაზეთზე მიწერილი ტელეფონის ნომერი და გაახსენდა, წარმოგიდგენია! გაახსენდა, რომ ეს ტეოს ტელეფონის ნომერი იყო. ისე სინჯა დარეკვა, თორემ, სიმართლე რომ თქვას, არც უფიქრია, აქედან რამე თუ გამოვიდოდა. არ უნდოდა თავის თავისთვის ესაყვედურა მერე, რატომ ტეოსთან დარეკვა არ ვცადეო. და აი, საოცრება, ამდენი წელი გავიდა და ტელეფონის ნომერი კი არ შეცვლილა. ესე იგი, შენ ისევ იქ ცხოვრობ, ომამდე რომ ცხოვრობდი, ტეო? ტეო! ყვიროდა სიხარულით, სინაზითა და ტკივილით აღსავსე მოხუცი, ტეო, მე და შენ ახლა აღარ დავშორდებით ერთმანეთს. ყოველდღე დაგირეკავ!.. ისე ყვიროდა რომ ტელეფონისტს შიშისაგან თავგზა აებნა, ის საშინელებაც ცხადად გაიაზრა, რომ მოხუცი მართლა ყოველდღე ივლიდა ფოსტაში. ეს კი აიგიეს ჰგავდა... და ყურმილი გამოსტაცა, ხუთი წუთი დიდი ხანია გავიდა. მეტი არ შეიძლება? სინანულით ჰკითხა მოხუცმა. არა, დღეს აღარ შეიძლება! მაშინ ხვალ, ხვალ, წყნარად თქვა მან. მერე იკითხა: რამდენი უნდა მოგცეთ? რა რამდენი? უცბად ვერ გაიგო ქალმა, მერე მიხვდა, ტელეფონით ლაპარაკს გულისხმობდა მოხუცი. საქალაქთაშორისო ლაპარაკი კი ფასიანია. ფულზე უარი რომ ეთქვა, დაიეჭვებდა, თავი არ აუწევია, ისე უთხრა: მანეთი და ხუთი კაპიკი. როგორ ეწვოდა ლოყები, ფულის გამოსართმევად რომ გაუწოდა ხელი! მადლობთ, ესე იგი, ხვალ მოვალ, გაზეთი? გაზეთი აქ დარჩეს, ხვალ ხომ მაინც უნდა მოხვიდეთ. კარგი შვილო, ალერსიანად უთხრა მოხუცმა, როგორც შენ გინდა, ისე იყოს, ნახვამდის... კარგად გამომივიდა? ჰკითხა მერე ოთახიდან გამოსულმა ქმარმა, მანეთიც ვიშოვეთ! კაცმა გაიცინა, რა მანეთი, მაინცა და მაინც გულწრფელი არ გამოუვიდა ქალს გაკვირვება.... ფული ხომ გადაახდევინე... გადაახდევინე... ჰოდა, მანეთი მოვიგეთ. კარგი, უთხრა ცოლმა, ის ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო ბოლომდე, რა მოხდა ამ ათ წუთში, მაგრამ ეს ფული... ეს ჩვენია, მშვიდად უთხრა ქმარმა. იმის ანგარიშსწორება ხომ არ შეიძლება, რაც არ მომხდარა? ქალი საბოლოოდ დაიბნა. კარგი, მაგრამ იცი, რომ ის ხვალაც მოვა? ყოველდღე ივლის! წარმოგიდგენია, რა ხათაბალაში გავებით?.. არაფერშიც არ გავბმულვართ, აბა, ეს რა სალაპარაკოა, ერთი ბებერი ჩერჩეტი აქ არის, მეორე კი იქ — ორი ფრონტელი ბებერი! მორჩა და გათავდა! როგორ არ გრცხვენია! ეცა ცოლი, ესენი ხომ იბრძოდნენ!. მთელი დღე და ღამე ხმა არ გაუცია ქმრისთვის, მუშაობდა, კონვერტებს ყიდდა, ბეჭედს ურტყამდა, დეპეშებს გზავნიდა. ლოყები ეწვოდა და წარამარა ცივ თითებს იდებდა ზედ. საიდან აქვს ამდენი სიბოროტე, ფიქრობდა იგი, ვიცი, ბევრი სისაძაგლის ჩადენა შეუძლია, მაგრამ ამას თუ იკისრებდა, არ მეგონა?!.... საღამოს ქმარმა ვითომ ვერ შეამჩნია მისი უხასიათობა, დაღლილობა მოიმიზეზა და დაწვა. დილით კი საწოლში მიუჩოჩდა, მაგრად მოეხვია და უთხრა, ტყუილად წუხხარ. ვერავინ ვერაფერს გაიგებსო, უფრო გაბედული იყავი და სისულელეებს თავი დაანებეო. თან მაგრად ეხვეოდა და ყელსა და მკერდს უკოცნიდა. არაფერი უბედურება ეს არ არის. რაც გუშინ გავაკეთეთ, ან რასაც დღეს, ხვალ და ზეგ ვიზამთ, უბრალოდ გართობაა და

სხვა არაფერიო. იცი, ეს რა საინტერესო ამბავია? ამაზე შეიძლება რომანი დაიწეროს!.. კარგი, ძვირფასო!.. თქვა ქალმა ბოლოს, კარგი... კარგი... მაგრამ რაზე უნდა ელაპარაკო? გიფიქრია ამაზე? ისეთი შეკითხვა რომ მოგცეს, პასუხის გაცემა გაგიჭირდეს?.. ეგ მე მომანდე და ნურაფრის გეშინია. შენ მხოლოდ შეგვაერთე და ფული აიღე, ფული! ჯობდა დაერტყა, ჯობდა სახლიდან გაეგდო, ოღონდ ასეთი რამ არ ეთქვა. განა ის არ ქმარ[illegible]ნძური საქმე რომ წამოიწყეს? ახლა კიდევ უნდა გაყვლიფონ [illegible] ასე მაგრად რომ არ ეხვეოდეს ქმარი!.. ისე მაგრად იკრავდა გულში. ქალს სუნთქვა უჭირდა, კაცი თვითონაც სუნთქვაშეკრული ეუბნებოდა საალერსო სიტყვებს. ბოლოს ქალმა ხელი ჰკრა ქმარს, ბედნიერმა შვებით ამოისუნთქა და თქვა: რაც იქნება, იქნება, რაკი ქმარი ასე დაჯინებით ამბობს, მაშასადამე, არც ისე დიდად სადარდებელია! მერე კიდევ, ვინ არის ფოსტაში უფროსი? ქმარი. მაშ, რაღად იწვალებს თავს? რა ქნას, რაკი ასე მოხდა?.. რაკი დაეკარგა ის დაწყევლილი ნომერი?... რამდენჯერ უთხრა ქმარმა, ჩვენთვისაც ასე ჯობია და მოხუცისთვისაცო. სულ რომ არ ილაპარაკოს, უარესიაო. ეს ოხამდელი ნომერი კი ალბათ აღარც არსებობს, ან თვითონ ტეო კი ამძიმებს ისევ დედამიწას?.. ქმარი თითქოს მართალი იყო.

— გაიღვიძე! — წყრომით გაჰკრა ქმარს გვერდში, — გაიღვიძე, გესმის? — კაცი გველნაკბენივით წამოხტა.

— რა მოხდა? რაღაც მითხარი?

— ჰო, გითხარი — ბუტბუტებს ის. მაგრამ მასთან ლაპარაკის ხასიათი უკვე დაკარგული აქვს...

რა უბედურებაა! რამდენ ხანს უნდა ატყუოს მოხუცი! რა საშინელებაა, ახსენდება, როგორ იდგა გუშინ მოხუცი ზღურბლზე, როგორი თვალებით უყურებდა, როცა ატყუებდა, ხაზი გადატვირთულია და არავითარი საშუალება არ არის გალაპარაკოო... ყველაფერი კი ქმრის ბრალია. გუშინ გამოსასვლელი დღე ჰქონდა და უთხრა, მომაშორე ეგ მოხუცი, თავი მომაბეზრაო... ადგა და სოფელში წავიდა მშობლებთან. ის კი წავიდა, მაგრამ ამან თვალი მოჰკრა თუ არა დაბნეულ მოხუცს, აღარ იცოდა, რა ექნა. შეიძლება მოხუცს ყოველთვის ასეთი სახე ჰქონდა და უბრალოდ ვერ ამჩნევდა. შენ იმაზე ნუ დარდობ, უთხრა ქმარმა, მაგათ ფული ჩეჩქივითა აქვთო, შენ ჯერ არ იცნობ ამ ხალხს. აი, შენ, მაგალითად, გაქვს იმის ფული, ყოველდღე საქალაქთაშორისოთი რომ ილაპარაკო? არა, მაინც... მაინც... რა იქნებოდა, მაშინვე რომ ეთქვა სიმართლე? თავს წაართმევდა თუ რა? გალანძღავდა, ან გაბრაზდებოდა.. არა, უსინდისოდ მოიქცნენ! ამდენ ხანს როგორ არ ამოიღო ხმა?.. აი, ახლაც სავსებით დარწმუნებულია, რომ ის, ვინც ასე ადრიანად დადის მათი ფანჯრის წინ, — რომელი საათია არ იცის, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს, — სწორედ ის მოხუცია, უკვე მერამდენედ მოდის გამთენიისას და კარის წინ წრიალებს, რომ ფოსტის გაღებისთანავე ფეხდაფეხ შეჰყვეს შიგ და მაშინვე დაუწყოს თხოვნა, ტეოსთან დამაკავშირეო. ეტყობა, იმ თავისი ტეოს გარეშე სიცოცხლე არ შეუძლია. რამდენჯერ საათობით უცდიდა ხაზის განთავისუფლებას! რამდენჯერ შეუერთა ტეოს და ყოველთვის სულელურ მადლიერებას ამოიკითხავდა ხოლმე მის თვალებში. ლამის ატირებულიყო! როგორ აქებდა ასეთი სიკეთისთვის! როგორ ლოცავდა! ღმერთმა გადღეგრძელოს, შვილო, შენცა და შენი ქმარიც. თუ ხარო გათხოვილი, რა თქმა უნდა, გათხოვილი იქნები, აბა, ბებრუხანას ამ საქმისა რა გამეგება.

მან მხოლოდ ერთი რამ იცოდა: ტეო იპოვა! დიდი ხნის მეგობარი, ფრონტელი ამხანაგი, ერთადერთი ახლობელი ადამიანი დედამიწაზე და ამაზე უკეთესი რაღა უნდა იყოს?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის? — ისევ ეკითხება ქმარს.

— რა? — ქმარი გულაღმა ბრუნდება.

— ძალიან ვწუხვარ, — ოხვრით ამბობს ცოლი.

— რაზე სწუხხარ? — გაოცებული ეკითხება ქმარი.

— ყველაფერზე.

— სისულელეა. უკეთესია დაიძინო, გათენებამდე დიდი დროა. არც შენ იძინებ და მეც გული გამიწყალე. რატომ ვერ ისვენებ? შენ ისევ იმაზე ფიქრობ? ისევ დაიწყე? რამდენჯერ უნდა გაგიმეორო — საკმარისია! იცოდე, იმ ზომამდე ნუ მიმიყვან, რომ ყველაფერი მოვახსენო... ეცოდება!.. ხეიბარია? ნამსხვრევი აქვს გულში? ვერ ხედავ, როგორაა? ჩემზე ჯანმრთელია.

— ოჰ, გაჩუმდი! — უფროსის ცოლი გვერდს იცვლის და იძინებს.

IV

რამდენ ხანს შეძლებს ფეხზე დგომას? რამდენჯერ შემოუარა ფოსტას? ალბათ ათასჯერ. ფეხების ბაკუნით დადიოდა მარცხნივ, მარჯვნივ, საათის ისრის მიმართულებით, საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ, მაგრამ სულ გარშემო, გარშემო... ამ ტიალი საფოსტო განყოფილების გარშემო, რომელიც ბოლო ხანებში ისე ახლობლური, ისე მშობლიური გახდა მისთვის, რომ ზოგჯერ საკუთარი სახლი ჰგონია, აბა რა იქნება, მერამდენედ არის აქ! პირველად ერიდებოდა, ერთხელ მოვიდა, ორჯერ, სამჯერ... რამდენჯერ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, — ეუბნებოდა თავის თავს. ერთხელ სცადა ყველაფერი აეხსნა ტელეფონისტი ქალისთვის და, თითქოს თავს იმართლებსო, დაუწყო მოყოლა თუ რას ნიშნავდა მისთვის ტეოსთან ლაპარაკი, ტეოს ხმა, ტეოს სიტყვები. როგორ ელოდება გათენებას, რომ ტეოს ელაპარაკოს, რამდენი უძილო ღამე აქვს გატარებული, ის კი არადა, მასთან შეხვედრაზეც ოცნებობდა. ტეო, ძვირფასო, ყვიროდა ის ყურმილში, უსათუოდ ჩამოვალ შენთან! გადიოდა დღეები და ის ისევ იგივეს იმეორებდა: ტეო, ძვირფასო, მალე შევხვდებით ერთმანეთს! საამისოდ კი ძალა არ ჰყოფნიდა და, გამოტეხილად რომ ვთქვათ, არც ფული. რაც ჰქონდა, საჭმელსა და ტელეფონით ლაპარაკში ხარჯავდა, ცოტას — წიგნებშიც. მორჩა, ამბობდა ის, პირველი რიცხვიდან კაპიკს კაპიკზე დავადებ. იშვიათად დავრეკავ, ცოტას ვილაპარაკებ, მხოლოდ გამოვეხმაურები ხოლმე... მაგრამ არაფერი გამოდიოდა, არც შეიძლებოდა გამოსულიყო. დღეგამოშვებით დაიწყო რეკვა, მაგრამ კინაღამ ავად გახდა მოუთმენლობისგან. იმ დღეებში, როცა დარეკვას არ აპირებდა, ვერ ისვენებდა, ღამღამობით არ ეძინა. წარმოიდგენდა თუ არა, იქ, შორეულ „ნ"-ში როგორ ელოდა ტელეფონის ზარს ასი წლის უნახავი მისი მეგობარი, რომელიც უგზოუკვლოდ დაკარგული ეგონა, — ბოლო შეტევის დროს მოხუცი მძიმედ დაიჭრა, ტეო კი..., მოკლედ, მის კვალს ველარ მიაგნო. — ჰოდა, ტეო ელოდა მის ზარს, ეს კი თავისი დუმილით თავსაც იტანჯავს და ტეოსაც ტანჯავს... არა, ამის ატანა შეუძლებელი იყო! მაშინ ახალი აზრი აეკვიატა: თითო ლაპარაკზე ათ მაურზე მეტი არ დაეხარჯა, მაგრამ ეს ჩანაფიქრიც ჩაეშალა. საკმაოდ გულგრილად უკვეთავდა ლაპარაკს და მომზადებულ ხურდას ხელში

აწვალებდა, მაგრამ დაკიდებდა ყურმილს და ათი წუთი გამოდიოდა ნალაპარაკევი. მაშინ გადაწყვიტა ღამის დარაჯად დაეწყო მუშაობა. ღამღამობით მაინც არ მძინავს და რა მიშავს, დღეღამეში შვიდ-რვა საათს სადმე დარაჯიხურში თუ ვიჯდებიო. აქაც არ გაუმართლა. ამჯერად მკერდში ჩარჩენილმა ნამსხვრევმა უღალატა. დღისით ათას წვრილმანს აყოლებდა გულს, ავიწყდებოდა, რკინის ნატეხს რომ ატარებდა მკერდში, სამაგიეროდ გრძელ ღამეებში ნესტიან ჯიხურში მარტოდმარტო მჯდომი გრძნობდა, როგორ ქაჩავდა მაწისკენ ნამსხვრევი, მაღაზიის გამგემ, სადაც მოხუცი დარაჯად მუშაობდა, რომ გაიგო, არცერთი ექიმი არ ჰკიდებს ხელს, რკინის ნატეხის ამოღებასო, აქაოდა, ცოდვა არ დავიდოო, ადგა და გაათავისუფლა, ბოლოს და ბოლოს, მოხუციც მოეშვა იმაზე ფიქრს, ტეოს მოვინახულებო. რას იზამ, ისევ ძველებურად რეკავდა ყოველდღე. „ნ"-ში გამგზავრებაზე ფიქრი საბოლოოდ ამოიგდო თავიდან, ერთი ვარიანტი კი ისევ რჩებოდა. რა მოხდებოდა, თვითონ ტეო რომ სტუმრებოდა მოხუცს? რა ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ტეო ხმას არ იღებდა ამაზე, უნდა ითქვას, რომ საერთოდ თავშეკავებული იყო, თვითონ გაჩუმდებოდა, სხვისი მოსმენა კი უყვარდა, ჰოდა, თვითონ ხმას არ იღებდა და მოხუცი ხომ არ ჩამოუგდებდა სიტყვას. ზოგჯერ ისევ გაუჩნდებოდა ტეოსთან შეხვედრის იმედი, მაგრამ ბოლოს თავის თავს უბრძანა, ბედნიერებად ჩაეთვალა ტეოსთან ხშირი ლაპარაკი. ალო! შენ ხარ, ტეო? და როცა ათასეული მეტრის მავთულის ბოლოში ნაცნობი ხმა დაუდასტურებდა, ჰო, ტეო ვარო, მოხუცის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა, ჯერ კითხვებითავსებდა: როგორა ხარ? გუშინ რა ჭამე? ხომ არ გაწყინაო? და ასე შემდეგ, მერე კი მოგონებებს იწყებდა: როგორ გამოვიდნენ ალყიდან, როგორ იწვნენ თოვლში პირქვე, ვითომ მკვდრები იყვნენ. ფრიცებმა კიდიდან კიდემდე გადაჩხრიკეს ველი, ამათ კი ზურგიდან შეუტიეს, საკუთარი სისხლის ფასად ცდილობდნენ გადარჩენას. მოსაგონარი მართლაც ბევრი ჰქონდათ...

განსაკუთრებით ხშირად იმას ეკითხებოდა ხოლმე ტეოს, შემდეგ რა მოხდაო, უნდოდა გაეგო, მას შემდეგ რა მოხდა, თვითონ დაჭრილი რომ გაგზავნეს ზურგში, ჰოსპიტალში, მისი მეგობარი ტეო კი... რა მოუვიდა? ტეოც როგორც შეიძლება მოთმინებით უამბობდა, ამ დროს მოხუცი ჩვეულებრივზე უფრო წყნარად და მშვიდად იყო, მაგრამ ფეხებს მაინც აბაკუნებდა და ცქმუტავდა აპარატთან, დრო და დრო წამოიძახებდა ხოლმე: წარმოგიდგენია, ტეო! ცოცხალი გადარჩი! რა ბედნიერებაა!.. უკვე ალბათ მესამედ ისმენდა ტეოს ფრონტულ თავგადასავალს, მაგრამ ისევ და ისევ ეკითხებოდა: ტეო! ძვირფასო!..

ოხ, დღესაც რომ მოხერხდებოდეს ლაპარაკი! რა უბედურებაა, თითქოს დრო გაჩერდა, საშველი არ დაადგა გათენებას! რომ გათენებულიყო, ფანჯრებიც განათდებოდა... ვაითუ, ტელეფონისტი ავად გახდა? მაშინ? ღმერთმა დაიფაროს მისი ავადმყოფობა, ღმერთმა დაიფაროს! იმდენი ხანი იცდის, რომ გაიყინა, არა, ფოსტა დაკეტილი ხომ არ იქნება. ავად თუ გახდა, ქმარი შეცვლის, მაგრამ მაშინ, რაღა თქმა უნდა დაკავშირება არ მოხერხდება. ერთხელ ასე მოხდა. ცოლთან საერთო ენის გამონახვას ახერხებდა ხოლმე, ერთ დღეს თუ ვერ დაალაპარაკებდა ტეოსთან, მეორე დღეს უსათუოდ მისცემდა ხაზს. ის ქმარზე უფრო კეთილი და ლმობიერია, ზოგჯერ უღიმის კიდეც მოხუცს, აი, ქმარი კი, რატომღაც ცუდად ექცევა, ვერ გაუგო, რატომ არის ასე უხეში.

დაინახავს თუ არა მოხუცს. ზურგს შეაქცევს და კაბინეტში შედის. თორემ ეგეც დიდი უფროსი მყავს! ბოლოს და ბოლოს, ტელეფონისტი თუ არ გამოვა დღეს სამუშაოდ,. მაშინ.. არა, ამას წინათ რომ გახდა ავად, ქმარმა არ დააკავშირა ტეოსთან. მაგრამ ტეოსთან ლაპარაკს დღეისთვის ცოლი დაჰპირდა და ამას ვინ ეკითხება?.. არა, წინასწარ რას იხეთქავს გულს? ქალიშვილი ჯანმრთელია, რომ იტყვიან, რძე და ღვინოსავითაა და რამ უნდა გახა... ჯერ გათენდეს და მერე...

ბიბლიოთეკა

ნეტა ასე რატომ უბერავს ზურგში? ამდენი არ უნდა ევლო, დაიღალა, მაგრამ გაჩერებაც არ შეიძლება, ფანჯრიდან დაინახავენ და რას იფიქრებენ? მაწანწალა ძაღლივით უვლის გარშემო სახლს, არ არის ლამაზი! დრო კიდევ აქვს და გაივლის ცოტას, როცა მოძრაობ, სულ სხვანაირად გრძნობ თავს, წუთებიც უფრო სწრაფად გარბიან. ჰო, ასე აჯობებს, გაივლ-გამოივლის და მოიფიქრებს რით დაიწყოს ტეოსთან ლაპარაკი. წინაზე სად გაჩერდნენ?... ჯერ ბოდიში უნდა მოუხადოს, გუშინ რომ ვერ დაურეკა. როგორ უნდა აუხსნას? ხომ ვერ იტყვის... თუმცა რატომ ვერ ეტყვის? სრულ სიმართლეს ეტყვის: მთელი დღე ელოდა და ვერ დააკავშირეს, ხაზი გადატვირთული იყო. მერე რა მოხდა? ზოგჯერ რატომ არის ტეო ასეთი უცხო? ბოდიშს მოუხდის, ტეო, მაპატიეო, და... ეს რა აცოცდება ფეხზე? ჭიანჭველები? საიდან? ჰო, გაახსენდა, ტელეფონისტის ფანჯარასთან პატარა ბორცვი იყო, ეტყობა ჭიანჭველების ბუდეა, ამან კიდე ფეხი დაადგა, მაშინვე როგორ ვერ იგრძნო? ილლად გადარჩა: ჭიანჭველები ხუმრობა საქმე არ არის, მთელ ტანზე შემოგესევიან და... აბა, ხელი დააკარე, ისეთ დღეს დაგაყენებენ რო... ფეხები უნდა აბარტყუნო და ჩამოიფერთხო. აი, ახლა უკვე აღარ გრძნობს, ეტყობა, თავი დაანებეს. აქაურობას უნდა გაეცალოს თორემ ისევ შემოესევიან. ასეც არის, ისევ აცოცდებიან მარცხენა ფეხზე!..

ფანჯრებს მიღმა კი შუქი მაინც არ ინთება! იქნებ სახლიდან ძალიან ადრე გამოვიდა? კიბეზე რომ ჩამოდიოდა... სისულელეა! ახლა დაახლოებით ცხრის თხუთმეტი წუთი იქნება, სიბნელეს რა მნიშვნელობა აქვს, ცხრაზეც არ არის კარგი გათენებული... არა, მაინც რა სულელური მდგომარეობაა! არც გათენებას დაადგება საშველი და არც ტელეფონისტი აპირებს გაღვიძებას, ის ჭიანჭველებიც რომ არ ანებებენ თავს. უფრო მაგრად უნდა ჩამოეფერთხა. ახლა მთელ ტანზე აცოცდებიან და შეაწუხებენ, სანამ სახლში არ მივა და არ გაშიშვლდება... მერე რა სწრაფები არიან! ერთი ზედ თეძოზე შეაცოცდა, ეს არაფერია, მიასრისავს და მორჩა!.. მაგრამ ისე ცივა, ხელის განძრევაც არ შეიძლია, ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა, ხომ არ შეჭამენ ეს ჭიანჭველები! არც კბინებიან, მხოლოდ დაცოცავენ და ეგ არის! იცოცონ, ბატონო, აი, ერთი უკვე მარცხენა მხრისკენ დაიძრა. ივლიან, ივლიან წინ და უკან, მიხვდებიან ჩვენი ბუდე სულ სხვა მხარეს არისო და შინისკენ გაუტევენ. უკეთესია თავი დაანებოს ამ ჭიანჭველებს. ნეტა ასე საშინლად არ ყინავდეს და... სიცივისაგან ძვლები უხრჭიალებს. საოცარია, მკერდში ჩარჩენილი ნამსხვრევი რომ არ აწუხებს სრულებით. საერთოდ სიცივეები რომ დაიწყება ხოლმე, პირველი, რასაც იგრძნობს, ნამსხვრევია. შესცივდება თუ არა, გულში რაღაც ჩხვლეტას დაუწყებს და სუნთქვას უკრავს. დღეს კი, პირდაპირ სასაცილოა, თვითონ ფოთოლივით ცახცახებს, გული კი — ვითომც არაფერია. აი, უკვე ჭიანჭველების მთელმა ოცეულმა აიღო გეზი მარცხენა მხრისკენ. მერე რა უცნაურად დაცოცავენ. ჭიანჭველებს არც კი ჰგვანან. თითქოს ცივი წყლის

ნაკადები მიედინება სხეულზე ქვემოდან ზემოთ. უცნაურია. მაგრამ თითქოს არცა გრძნობს საკუთარ კანს, არა, მეტი აღარ შეიძლება მოცდა, სახლში უნდა დაბრუნდეს. დაბრუნდეს თუ არა? კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა დაბრუნდეს? კიბეზე ავა, კარს გააღებს, შუქს აანთებს — ჩაქრობა კი რომ წამოვიდა? — ეს არაფერია... აანთებს შუქს, გაიხდის, ყურადღებით მოითვალიერებს ტანს... რატომ არ უნდა დაბრუნდეს, რა უშლის ხელს? ცრურწმენა! ბოლოს და ბოლოს, ეს სისულელეა! ისე კი, მართლა არასოდეს არ უმართლებდა, უკან თუ დაბრუნდებოდა გზიდან. ამ ქალაქში მეგობრები რომ ჰყავდეს, იმათთან შეივლიდა, ჩაის დალევდა, მოჰყვებოდა მთისას და ბარისას. ახლა კი... ნაცნობები როგორ არა ჰყავს, მაგრამ ხალხის შეწუხება უხერხულია, სადაც არ უნდა წახვიდე, ფეხები თვითონ მიგიყვანენ შინ... ჭიანჭველები მგონი აღარ დაცოცავენ ფეხზე, არც თეძოზე ჩანან. მარტო მხართან არიან... ნეტა რამდენი იქნება?

საინტერესოა, გვერდზე რომ არ გაუხვიონ, სადამდე აცოცდებიან? კისერზე აცოცდებიან, იქ კი სათითაოდ დაიჭერს და გაუშვებს. მაშინ სახლში წასვლაც არ არის საჩქარო. აი, ლობესთან ბოძკინტზე ჩამოჯდება და დაუცდის სანამ საყელოდან გამოძვრებიან... სად დაიკარგნენ? ერთი ამათ დამიხედე, იღლიის ქვეშ მიძვრებიან! იქ დაჭერა კი გაძნელდება... რა მოუვიდა, დაჯდომაც არ შეუძლია, წელში ვერ იხრება! ფეხიც დაუბუჟდა! ესღა აკლდა! მთელი ნახევარი მხარე ისე დაბუჟილი აქვს, თითქოს თავისი არ იყოს, ჭიანჭველები კი სადღაც ბეჭებზე დაცოცავენ... იქნებ ჭიანჭველები არ არიან. ა? იქნებ უბრალოდ გაიყინა? სახლიდან გამოვიდა თუ არა, იმ წუთიდან სცივა. მერედა, რა საფრთხობელასავით დგას? გაინძერი, გაინძერი! ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, ორი, სამი, ოთხი... დასწყევლოს ეშმაკმა, მარცხენა ფეხი მთლად გაქვავებული აქვს. ალბათ გარეშე თვალისთვის რა სასაცილოა...; ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი, და ორი, ერთი.., მარცხენა ხელიც... ეს კი მართლა ცუდია! იმოძრავე, იმოძრავე! როცა მოძრაობ, სისხლიც მიედინება ძარღვებში და სხეული თბება. ერთი, ორი, სამი, ოთხი... ერთი... რაღაც ვერ ახერხებს... თურმე მარჯვენა ხელი ლობისთვის ჩაუჭიდია და არ უშვებს. ო, შე ბებერო, შე მიუნჰაუზენო! როგორ იმოძრავებს, თვითონვე თუ არ ანებებს ტანს მოძრაობას? ერთი, ორი, სამი, ოთხი... მაგარი საქმეა! გამოდის, რომ მხოლოდ ითვლიდა ხმამაღლა, ადგილიდან კი არც დაძრულა! ეგონა, დარბოდა, სინამდვილეში კი...

როგორც იქნა! ფანჯარა განათდა.

## V

ცხრის ოცდათხუთმეტი წუთია, ცხრას ოცდახუთი აკლია, ახლა საუზმის ჭამასაც თუ აპირებს, მაშინ... არაფერიც არ უნდა: ყელში აქვს ამოსული... მესამე წელია, ყოველდღე ერთი და იგივე... სანამ ქმარი გაიღვიძებდეს, საუზმე მზად უნდა იყოს. რა მოხდება, დღეს რომ არ მოამზადოს! ნეტავი ერთი! ცოტა მოგვიანებით მოადუღებს ყავას... ჰო, ჰო, ერთი ორი საათის შემდეგ შემოირბენს სახლში და მოადუღებს. განყოფილებაში მიიტანს და ქმართან ერთად დალევს, ზედ ფუნთუშებსაც მიაყოლებენ...

ფოსტის უფროსის ცოლი ნებიერად წევს ლოგინში და ჭერს მისჩერებია. ყავის ამბავი კარგად მოიფიქრა. მაგრამ უფრო მსუყე რამე რომ მოსთხოვოს ქმარმა? დილაობით ყოველთვის მაძღრისად გეახლებათ ხოლმე. შეიძლება

მოიპრიანოს და ხორცი მოითხოვოს, თუ არ გაუკეთა, მთელი დღე იბუზღუნებს, მშიერი ვარო. უნდა ადგეს, გუშინ უნდა მოემზადებინა კატლეტი, ახლა უკვე გვიანაა. რამდენი უკლია ცხრას? უი, მართლა ადგომის დრო ყოფილა! ქმარს რა ენაღვლება, იმას კიდევ შეუძლია იძინოს, ამას კი... ღმერთმა დაწყევლოს ეს კატორღული ცხოვრება!

— ოი, უცბად წამოიძახა ქალმა და საბანი გადაიფარა. გული ხაფანგში გაბმულივით უფართხალებს. როგორ დაავიწყდა, ფანჯრების წინ რომ ის მოხუცი დადის, ოთახში შუქი ანთია და გარედან ყველაფერი მოჩანს, ის კი პერანგისამარა წევს.

გული უფართხალებს: თვითონ ლოგინში გორაობდა და ვინ იცის, რაზე არ ფიქრობდა, ეს ბებრუხანა კი... რატომ ვერ დაეტევა სახლში?.. სწორს ეუბნება ქმარი, რომ... დამაცადე, შე ფუტურო ძირკვო! მე შენ გიჩვენებ სეირს... როგორ მოგწონთ, ხალხო... დაძინების საშუალებას არ მაძლევს! სწორს მეუბნება ქმარი... ცაზე მზე ამოიწვერება და ზღურბლზე ბებრუცანა გაჩნდება, აიკვიატა რაღაც და ფეხს აღარ იცვლის აქედან, მე კი იქნებ დასვენება მინდა... ამ ბებრისგან!..

ფოსტის უფროსის ცოლი ერთბაშად იხდის საბანს და საწოლზე ჯდება. რა მოხდა? გამოჩერჩეტებულ მოხუცს უნდა აჰყვეს? პერანგისამარა ზის? დიდი ამბავია!

— გაიღვიძე! — გაბრაზებული უყვირის ქმარს,თვითონაც არ იცის, რა აყვირებს, — ადგომის დროა.

ძალიანაც კარგად იცის, რატომ ყვირის. იმიტომ, რომ ყველაფერი ქმრის ბრალია, ყველაფერი. ამან გამოიგონა ეს ყალბი ლაპარაკი! ეს რომ არა, მოხუცი არ იხეტიალებდა ფანჯრების წინ. იმ დღესვე ეტყოდა სიმართლეს და ასე უდანაშაულოდ არ დაიტანჯებოდა.

— გაიღვიძე!

— რას გადამეკიდე? — ბურტყუნებს ის ძილ-ღვიძილში. — ხომ გითხარი, ეს ამბავი მე მომანდე-მეთქი. შენ მხოლოდ ფული გამოართვი, დანარჩენი მე ვიცი...

— კი არ გადაგეკიდე, მალე ცხრა შესრულდება და ადგომის დროა, ქალი სარკის წინ კაბას ისწორებს, სავარცხელს ეძებს, კასალებს იღებს და კარისკენ მიდის.

— ყავა? — ხმა დაადევნა ქმარმა.

— თვითონ მოიდუღე, — ეუბნება და ქუჩაში გადის.

კარგი იქნება, თვალში თუ არ შეეჩხირება ახლა მოხუცი. კარს აღებს და სწრაფად შედის განყოფილებაში, გასაღებებს მაგიდაზე ყრის. შუქს რთავს და პულტთან ჯდება. ერთი გაბედოს და შემოვიდეს... რაო, ეტყვის, მე? მე დაგპირდით? როდის? რაღაც არ მახსოვს! ტეო? ეს ტეო ვინღაა? პირველად მესმის. არ ჯობია, ბიძაჩემო, მშვიდობიანად წახვიდე სახლში?

ნეტა რას ზოზინებს, რას წვალობს? ეტყობა, რცხვენია! უთენია აღვიძებს ბალხს და ახლა ინტელიგენტობს... იქნებ ის არც არის? საიდან მოიგონა, რომ ის არის? ახლოდან არც უნახავს, იქნებ ფანჯრის წინ ის არ იდგა, იქნებ იმას არ დაუნახავს პერანგისამარა? მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო?

— შემოდით, — უყვირის ის, არ კი იცის, ვის ეუბნება, — ვინ არის მანდ?

ხმა ვერა აქვს მტკიცე.

— მე ვარ შვილო... მომეხმარები, შვილო?

— რითი უნდა დაგეხმაროთ? — უკვირს ქალს.

— ზღურბლზე გადმობიჯებაში ვერ მომეხმარები?

გადმობიჯებაში? რა დაემართა?

და ისევ ესმის:

— საწყენად არ მითქვამს... არა უშავს... მე თვითონ...

თვითონ? რა თვითონ? ავად ხომ არ გახდა? ახია: რას წრიალებ ფანჯრებიან უთენია, მოსვენებას არ აძლევ ხალხს!

მაგრამ კარში გახევებული მოხუცი რომ დაინახა, ზედმეტი ფიქრები მოიშორა. რა მოუვიდა? სახე ჩალურჯებია, თვალები ჩაშრეტილი აქვს, ფეხს ძლივს მოათრევს...

— საწყენად არ მითქვამს... — იმეორებს ის, — დამპირდი, ხვალ შეგაერთებ ტელსთანო, გახსოვს, გუშინ კავშირი არ იყო....

— დაბრძანდით, ბატონო, — ეუბნება და თან კრთის: ამ სიტყვებით შეხვდა თავის მამას სამი წლის წინათ. მშობლებს მისწერა გავთხოვდიო და მამა ჩამოვიდა სანახავად. დილით ჩამოვიდა და საღამოს წავიდა. მეორე ღამეს დეპეშა მოვიდა. სახლში მიმავალი მამა სოფლის ავტობუსების სადგურში გარდაცვლილიყო.

— ეჰ, შვილო, დასაჯდომად არ მცალია... ტელსთან მინდა ლაპარაკი.

მამამისსაც არაფრით არ უნდოდა მაშინ დაჯდომა. მე მხოლოდ იმას მინდა შევხედო, ვის წაყევიო...

— დაჯექით. ძია, — იმეორებს იგი.

მოხუცი ხელზე ჰკიდებს ხელს.

— ესე იგი. დღეს მალაპარაკებენ?

— კი. მაგრამ დაცდაა საჭირო.

მისი შემაძრწუნებელი სახე რომ არ დაენახა. მისი საბრალო მზერა რომ არ ეგრძნო, ფოსტის უფროსის ცოლი სახლში გაიქცა.

— მომისმინე! — ეუბნება ქმარს, რომელიც სარკის წინ დგას და ჰალსტუხს იკვანძავს.

— რა მოხდა?

მაშინაც ასე მივარდა ქმართან, მაშინაც ასე იდგა იგი სარკის წინ, ეგონა, ძალიან უყვარდა ეს კაცი, რომელიც ისე იყო გართული თავისი საქმით, რომ ზედაც არ შეხედა მის მამას... მაშინ ხმა არ ამოუღია, ახლა კი... არა, ახლა მით უმეტეს არ შეიძლება ამასთან ჩხუბი. შორიდან მოუვლის...

— მისმენ?

— რა მოხდა? ჰოო, ის მოხუცი?

— ჰო.

— მერე?

ის ცრემლებს ვერ იკავებს.

— გეხვეწები, დღეს კარგად ელაპარაკე, თბილად...

მაშინაც ასე ეხვეწებოდა, ძალით გამოიყვანა წინკარში და თვალცრემლიანი ეხვეწებოდა: გთხოვ, გემუდარები... მან კი მხიარულად უთხრა: რაკი ასე მთხოვ...

— რაკი ასე მთხოვ...

— ცოტა დაისვენეთ, — უთხრა მოხუცს, მის დანახვაზე ფეხზე წამოდგომას რომ შეეცადა.

აი, ქმარიც მობრძანდა, მოხუცისკენ არც გაუხდავს, ისე შევიდა კაბინეტში. ცოლმა თვალი გააყოლა. ახლა მოხუცის დანახვა არ შეუძლია. რამდენს ატყუებენ? და კიდევ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ასე? რითი დამთავრდება ყოველივე ეს? მოხუცი ალტაცებული ადევნებს თვალს მისი ყოველ მოძრაობას, სახე იმედით აქვს გაცისკროვნებული.

ქალი ყურმილს იღებს, ნომერს კრეფს და ძველებურად ყვირის.

— ალო! საქალაქთაშორისოა? „ნ“ მომეცით! ეს „ნ“-ია? ჰო[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, დიახ, აბონენტი გელოდებათ, ელაპარაკეთ! ახლა მოხუცს მიმართავს:

— ელაპარაკეთ!

მოხუცი ვერც ვერაფერს ხედავს და არც არაფერი ესმის. სკამიდან ისე მკვირცხლად დგება, გაოცდებით, ყურმილს იღებს და რაც ძალი და ღონე აქვს ჩასძახის:

— ალო! ტეო, ტეო, ჩემო ძვირფასო!

ღელვისაგან სუნთქვა ეკვრის, სიტყვებს ყლაპავს, თავვივითაა ოფლით გაწუწული, სახელოთი იწმენდს შუბლს, მაგრამ ტეოს სიტყვის თქმას არ აცდის.

— ტეო, ძვირფასო, პირველ რიგში მაპატიე, გუშინ რომ ვერ დაგირეკე...

— ეგ არაფერი... — ისმის შორიდან.

— რას ამბობ, ძვირფასო, როგორ არაფერი. შენ რომ იცოდე, რომ იცოდე, გუშინ მთელი დღე ტელეფონთან ვიყავი ატუზული, იქნებ საღამოს მაინც დაველაპარაკო-მეთქი! იქნებ ავად არის, იქნებ რამე სჭირდება-მეთქი! პირდაპირ სასწრაფოში დავრეკავდი. კარგი, ტეო, გაჩუმდი, ნურაფერს ამბობ! შენ კეთილშობილი კაცი ხარ, არავის შეწუხება არ გინდა. შენ ჩემზე და ჩემნაირებზე უფრო ძლიერი იყავი ყოველთვის, მაგრამ მე ვიცი, რას ნიშნავს, როცა გვერდით არც ერთი ახლობელი არა გყავს. სასწრაფოში დავრეკავდი, სულ არ არის ძნელი. ეს ამათი მოვალეობაა, ჩქარა მოდიან ხოლმე და არავისი შეწუხება აღარ არის საჭირო.. ტეო, ასჯერ გითხარი, გაიყვანე ტელეფონი პირდაპირ საწოლთან, ავად რომ გახდე, ხელით მისწვდები ყურმილს...

ფოსტის უფროსის ცოლი ისე წრიალებს, თითქოს ნემსებზე იჯდეს. უაზროდ იქექება ქაღალდებში, ღია ბარათებს კითხულობს, ბოლოს ჯდება და გუშინდელ დეპეშებს გადასცემს კაკუნით, მალე მაინც დამთავრდებოდეს ეს თეატრი! ოთახში კლიენტი შემოდის, ესღა აკლდა!

— რა გნებავთ?

— ერთი ავია.

ქალი შეიდ კაპიკს დებს დახლზე და მაგიდის კუთხეში ჯდება მისამართის დასაწერად.

— ტეო, ჩემო ძვირფასო, ტეო! — მოხუცი ბუღბუღივით არაკრაკებს — ესე იგი, ჯანმრთელად ხარ? როგორც ყოველთვის? ვერც კი წარმოიდგენ, რა ბედნიერი ვარ, ტეო! თავს გაუფრთხილდი, ძვირფასო. ჯანმრთელობა ყველაზე ძვირფასი რამაა! მთელი ოცეულიდან მხოლოდ მე და შენ გადავრჩით.. იქნებ შენ შეხვდი ვინმეს?

— არა, — ისმის ყურმილიდან, — მე და შენ რომ ვართ, ისეთები აღარ არიან.

— ასეთები აღარ არიან, ტეო! ორნიღა დავრჩით, მე და შენ. მთელი ოცეულიდან...

რა ქნას, რომ ეს ქალი მალე წავიდეს აქედან?

— რომელ ყუთში ჩავაგდო? — ეკითხება კლიენტი — ლურჯში თუ წითელში?

— ლურჯში.

ქალი ლურჯ ყუთში აგდებს წერილს, აუჩქარებლად ისწორებს თმას, ფანჯრის მინაში ათვალიერებს თავის თავს და მიდის.

— ასე რატომ მელაპარაკები, ტეო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოსტის უფროსის ცოლი მზერას აყოლებს მიმავალ ქალს, თან ხედება: რაღაც ისე ვერ არის საქმე.

— აბა, როგორ გელაპარაკო?

— როგორც გინდა, — დაბნეული და შეწუხებული ეუბნება მოხუცი, — მაგრამ დღეს ასე არ უნდა მელაპარაკო, ტეო. ჯერ ერთი, თითქმის მთელი ღამე არ მიძინია, მეორეც — მოხუცს ენა ებმის, თითქოს არ იცის, უთხრას თუ არა, — მოკლედ თავს კარგად ვერ ვგრძნობ, ტეო.

— მერე, წადი და გამოიძინე.

— რას მეუბნები, ტეო? — მოხუცი ფოსტის უფროსის ცოლის მზერას იჭერს, ო, რა მადლობელია ამ ქალის. — როგორ დავიძინო, ტეო? განა შენ არ იცი, რას ნიშნავს სიმარტოვე? შენ გარდა ხომ ქვეყანაზე არავინ გამაჩნია. შენ — და კიდევ აი, ეს ქალიშვილი. ჩვენ რომ გვაკავშირებს ხოლმე.

კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ აღარ შეუძლია. გრძნობს, როგორ ეშვება მიწაზე, ნელა, ნელა, ნელა... ოხ, როგორ დაავიწყდა?!

— ერთი წიგნია.. — მკაფიოდ ამბობს ის.

მოხუცი სადღაც ღრმად, ღრმად ეშვება, თითქოს მღვრიე და თბილი წყლის ნაკადი მიაქანებს, წყალი რბილად და მძლავრად არწევს. ნეტავ სად მიაქანებს? რა დასანანია, იმ წიგნზე საუბარი რომ ვერ მოასწრო ტეოსთან! იმ ფრინავზე... ცეხცლმოდებულ თვითმფრინავით რომ დატრიალებდა მშობლიურ სახლს და დედას უხმობდა უკანასკნელად ეხილა შვილი. როგორ დაავიწყდა, იმ წიგნზე ეამბნა ტეოსთვის?! პილოტი ხომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო, ტეო, ერთ-ერთი ჩვენთაგანი! ისეთი იყო, შენ და მე რომ ვართ! ის ხომ ჩვენ ვიყავით — ტეო...

ცდილობს, კიდევ თქვას რაღაც, მაგრამ ალბათ თვითონაც აღარ ესმის საკუთარი ხმა. ჰიანჭველები, ეს ფუსფუსა, სწრაფი ჰიანჭველები... შუბლზე, ლოყებზე დარბიან, ტუჩების კუთხეებში უძვრებიან... მოხუცს აღარც ფოსტის უფროსის ცოლის გულისგამგმირავი კივილი ესმის.

— რა მოხდა? — ყვირის ტეო უსასრულო შორეთიდან.

— რა მოხდა? — კითხულობს კაბინეტიდან გამოსული ფოსტის უფროსი.

— წავიდა... — ჩურჩულებს ცოლი.

— წავიდა? მერე ფული?

ის ჯერ კიდევ ვერ ხედავს ბარიერსა და მაგიდას შორის უძრავად მწოლარე მოხუცს, მიცვალებულის თავზე ტელეფონის ყურმილი ქანაობს და ყრუდ უკაკუნებს კედელს.

— ფული გამოართვი?

ქალაღდივით გათეთრებული ქალი კი იმაზე მეტს ვეღარას ამბობს, რაც უკვე თქვა: წავიდა მოხუცი, აღარ არის, ყველაფერი გათავდა, ყველაფერი გათავდა... ყველაფერი...

იქნებ ტეო მოძებნონ?

# ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲐᲠᲨᲐᲚᲡ

დიდად პატივცემულო ამხანაგო მარშალო მაპატიეთ არ ვიცი რა გიწოდოთ როგორ მოგმართოთ სალამო მშვიდობისა გასაგებია იმდენი სახელმწიფო საქმე გაქვთ რომ როდის გამონახავთ თავისუფალ წუთს ისეთი ქაღალდი წერილის წასაკითხავად მე რომ ვარ ახლა მართლა ძნელია ცხოვრება დედამიწაზე იმდენი ყუმბარა და იმდენი მტერია უცბად ვერ მოისპობა [illegible] ესროლო ეს ყუმბარა თქმა არ უნდა ყველაფერს ჯობია ყველაზე უფრო პოროტ მტერს ესროლო და დაწყერილმანდე და ხალხის დოვლათიც ეკონომიურად დახარჯო მაგრამ მოდი და გაარჩიე რომელი მტერია უარესი და რომელი უკეთესი თუ ყველა ერთ თარგზეა მოჭრილი და ყველა ერთმანეთსა ჰგავს მე თვითონ ვისმენ ყოველდღე რადიოთი თქვენ რამდენი საზრუნავი გაქვთ რომ ხან ესა და ხან ისაო. საერთაშორისო მდგომარეობა იმდენად გართულდა უბრალო კაცსაც უჭირს თორემ მარშალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია ასე რომ გთხოვთ გულმოწყალედ მომიტევოთ პირად გასაჭირისთვის თუ გართმევთ დროს გწერთ იონ ფინანცე მეორე ჯგუფის ინვალიდი მეორე მსოფლიო ომის ყველა ფრონტზე ნაომარი კაცი მოგახსენებთ რომ თვითმფრინავიდანაც ვარ ჩამოგდებული და მატარებლიდან გადმოგდებულიც რა სისტემის ტანკს არ გადაუვლია ჩემზე აქეთ და იქით თითქოს ყველამ ჩემთვის მოიცალაო ყველა მე მიშენდა ცეცხლს, აი ერთი ბეწო ადგილიც არა მაქვს სხეულზე მტრის ტყვია თუ ნამსხვრევი რომ არ მქონდეს მოხვედრილი რომ მიპოვოთ კანის სალი ნაწილი თოფის წამლით მაინც მექნება დამწვარი და ესეც ხომ თავისებური ჭრილობაა არც ვიცი როგორ გადმოგცეთ სიტყვები რომ წარმოიდგინოთ ვინ გწერს ამ წერილს ღვთის გულისათვის ჩაიკითხეთ ბოლომდე ფეხს ვერ ვლუნავ და ხელს ვერ ვშლი წინ წაზნექილი და წელში მოხრილი ვარ ცალი თვალი განუწყვეტლივ მიხამხამებს ცალ ყურში ოდნავ მესმის ცალში სულ არა ნახევარ თავზე თმა არ ამომდის მოკლედ მიცვალებული უკეთესი შესახედია კუბოში ვიდრე მე ვიყავი შინ რომ დავბრუნდი ვერც მოვაღწევდი სახლამდე მადლიან თანამებრძოლებს რომ არ წამოვეყვანე მანქანით ცოლი რომ ცოლია იმანაც ვერ მიცნო თორემ შვილებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია რადგან მათ არასოდეს არ ვენახე ყველანი შემომეხვივნენ ცოლიც და შვილებიც წარმოგიდგენიათ დგანან და მიყურებენ ხმას ვერ იღებდნენ ახალგაზრდა და მოხდენილი წავედი ფრონტზე არ დამიჯერებთ როგორი ვიყავი ფრონტზე წასვლამდი რიგიანი შესახედაობა მქონდა ახლა კი ასეთი საშინელი არსება ვიდექი მათ წინ ფეხი აღარ მელუნება ხელს ვერ ვშლი ცალი თვალი გამუდმებით მიხამხამებს და ვინ იცის კიდევ რა საწყალი ქალი ისე აქვითინდა ღვარად წასკდა ცრემლი ბავშვები შეშინდნენ კალთაში ჩაავლეს ხელი და აღრიალდნენ რაღა გავაგრძელო და მოკლედ გადავეხვიეთ ერთმანეთს ყველანი შუა სოფელში ვდგავართ და ვტირით ხალხი მოგვჩერებია ჩვენ კი ცრემლს ვერ ვიკავებთ მე ვზლუქუნებ ცოლი ქვითინებს ბავშვები ღრიალებენ მაგრამ რა საჭიროა იმ საშინელი დროის გახსენება არ გამიჯავრდეთ ამხანაგო მარშალო თვითონ გამახსენა თავი მე მხოლოდ ის მინდა ხმა მოგაწვდინოთ სად რა არის და როგორ არის დამთავრდა ომი და თითქოს დავიწყებას მიეცა ნეტა მართლა შეიძლებოდეს მისი ერთხელ და სამუდამოდ დავიწყება არ იფიქროთ

ჩემს გასაჭირზე ვწუწუნებდე სხვებს კიდევ უფრო მეტად უჭირდათ მე თქვენი ბრძანების თაობაზე გწერთ ომის ინვალიდებისა და ვეტერანების კეთილდღეობაზე ზრუნვას რომ ეხება ხახვის ხორცის კვერცხის პაპიროსის რიგში ხომ აღარ დგანან და სიკვდილამდე პატივისცემას გრძნობენ გარშემო მყოფთაგან ვერაფერს იტყვი კარგი ბრძანებაა ეს რომ რადიოთი მოვისმინე თითქოს ბურთი გამეჩხირა ყელში [illegible] გამეჩხირა რომ წინათ განაწყენებული ვყავდით ვინმეს არა გამიჭირდა ყველას მაგივრად გამიხარდა ვინც ასე მამაცურად ვიბრძოდით ისეთი შხამიანი გველების წინააღმდეგ როგორიც ფრიცები იყვნენ გამიხარდა რომ ჩვენ ჯერ კიდევ საჭირონი ვართ როგორც იმ დღეთა ხსოვნა ეს ერთი მეორეც მთელი ის წყეული ომი თვალწინ დამიდგა და ჩემს თავს ვუთხარი სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს იმათი დედაც ო შე აყროლებულო ფრიცომეთქი ვუთხარი სერჟანტმა დამავალა იმისი გასაღება რადგან ენა იყო და ხმას არ იღებდა მე დავუმიზნე იმან კი ერთი ექვსიოდე ნაბიჯიდან შიგ სიფათში მომაფურთხა და დამიძახა მესროლე რუსო არც შენ დაგრჩენია დიდი დღეო. გამახსენდა როგორ ყვიროდა არც შენ დაგრჩენია დიდი დღეო და მესამეც ამიტომ გამეჩხირა ბურთი ყელში ცხოვრება რომ ცეკვა-თამაში არ არის თქვენც კარგად მოგეხსენებათ და ფრიცმა კინაღამ მე თვითონ გამიხვრიტა შუბლი ის-ის იყო წითელარმიული ტყვია უნდა ჩამეჯინა მის უწმინდურ გულში რომ სულ ახლოს საშინლად დაიგრუხუნა როცა ავდექი ფრიცი ველარ დავინახე ჩაჩქანიდან მიწა ჩამოვიფერთხე თვალები მოვიფშვნიტე და ჰენდე ჰოხო გავიგონე ვხედავ ფრიცს ჩემივე შაშხანა აქვს ჩემზე დამიზნებული რა უნდა მექნა მიდი მესროლე გველომეთქი მესროლე ისე ცუდად გავხდი ამხანაგო თავდაცვის მარშალო რომ ბოდიშს ვიხდი მაგრამ ჩვენ კაცები ვართ და ჩვენ შორის ლაპარაკი შეიძლება ერთი სიტყვით ზედ ჩექმებზე გადავირწყიე მაშინვე ისევ დაიგრუხუნა ჰოდა აი ახლა მე წერილს გწერთ ფრიცისგან კი ერთი ღილიღა დარჩა და ისიც დაჟანგული აი მეორეც რატომ გამეჩხირა ყელში ბურთი როცა რადიოთი თქვენს კეთილშობილურ ბრძანებულებას ვისმენდი მქონდა ეს ბურთი ყელში გაჩხერილი და არავისი არ მრცხვენოდა რადგან სახლში არავინ იყო მაშინ ჩავიცვი და ნიკანორის საძებნელად წავედი ბედნიერებისაგან ერთ ადგილას ვერ ვჩერდებოდი და ნიკანორის მოსაძებნად წავედი მოგახსენებთ რომ იმანაც მთელი ომის მანძილზე იბრძოლა და საკმაოდ დასახიჩრდა ვინც ადრე არ იცნობდა შეიძლება იფიქროს ამას თავიდანვე ცალი ხელი ექნებოდაო არადა ორი ჰქონდა როგორც მე და თქვენ ჯერ კიდევ ომამდე ვმეგობრობდით ჯერ კიდევ მეორე კლასში მთელი ანბანი ციგარეტისთვის მოვსპეთ იმასაც დავუმატებ რომ ჩვენს სოფელში ბევრი ფრონტელი იყო მაგრამ ყველა ერთმანეთს მიჰყვა და მხოლოდ მე და ნიკანორიღა დავრჩით მიწის ზევით აბა როგორ არ ვიდარდო ჩვენი სოფლის თავზე გორაკზე ერთი კაკლის ხეა მერე რა ხე და იმის ქვეშ ვხვდებით ზოგჯერ ერთმანეთს მე და ნიკანორი და იმ კაკლის ქვეშ რომ შევხვდებით ხოლმე ერთმანეთს დავსხდებით და მაპატიეთ გულახდილობით ჩვენებურ ფრონტელ ამხანაგებს ვიხსენებთ ყველას სათითაოდ ვიხსენებთ სახელებით რამდენი იყვნენ და ყველანი ყველანი წავიდნენ მარტო მე და ნიკანორიღა დავრჩით ცოცხლები მაგრამ ჩვენც მალე წავალთ იქ როგორც ნიკანორი იტყვის ხოლმე გამაგრდი იონ იონი მე ვარ ხო ჩვენც წავალთ მაგრამ

ვაჟკაცურად უნდა წავიდეთო აი ეს რჩება იონ მეუბნება ნიკანორი და როცა ამბობს რჩებაო თავის გადარჩენილ ხელს სოფლისკენ იშვერს აი ეს სილამაზე რჩება იონ სადაც ჩვენ ვცხოვრობდით და დამეთანხმები ეს პატარა საქმე არ არისო. მე რა თქმა უნდა ვეთანხმები და ძალას ვიკრებ რომ კიდევ გავძლო და ვიცოცხლო დილით შვილიშვილები რომ [illegible] ბაღში ან სკოლაში ისევ იმ ჩვენს კაკლის ხესთან მივდივართ სოფლის [illegible] ხან ის მელოდება და ხან მე ველოდები უნდა მოგახსენოთ ადრე ახალგაზრდები ვიყავით და იმდენი საქმე გვქონდა რომ ვინ მოთვლის ომის შემდეგ კიდე აღდგენითი პერიოდი დაიწყო მოკლედ. ჩვენი კაკლის ქვეშ მხოლოდ კვირა დღეს ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს ისიც რაღაც ერთი საათით მერე კი როცა ორივენი დავქვრივდით შვილები დაგვეზარდნენ და შვილიშვილებიც რომ გაგვიჩნდნენ მე და ნიკანორმა ყოველდღე დავიწყეთ ერთმანეთთან შეხვედრა ან თქვენებურად რომ ვთქვა ყოველდღიურად ვსხედვართ კაკლის ხის ქვეშ შევხარით ამ სილამაზეს რომელიც ჩვენ შემდეგ უნდა დარჩეს ვიხსენებთ დაღუპულ მეგობრებს და ვწყევლით ფრიცებს ყველას გაჟლეტა და დამონება რომ უნდოდათ ასე ვსხედვართ საათობით ზოგჯერ მოსწავლეები მოდიან ჩვენთან და ჩვენც აღმზრდელობით მუშაობას ვეწევით მოზარდ თაობასთან იმიტომაც ვიბრძოდით დაუნდობლად რომ ესენი ყოფილიყვნენ ჩვენზე უფრო ბედნიერები. დაე იცოდნენ როგორ ვჟლეტდით ფაშისტებს მათსავე ბუნაგამდე. მითუმეტეს უნდა იცოდნენ რომ მე და ნიკანორმა ევროპის განთავისუფლებაშიც მივიღეთ მონაწილეობა. უნდა იცოდნენ იმიტომ რომ რა ვიცი ხვალ რა მოგვივა მე და ნიკანორს ჩვენ კი სიკვდილამდე არ დავშორდებით ერთმანეთს რძალი ან დავუშვათ სიძე თუ მთხოვს დახმარებას ერთად მივდივართ მიწის ნაკვეთში და სამი ხელით ვმუშაობთ როცა ნიკანორს სჭირდება მე მივყვები და ვეხმარები მოვრჩებით საქმეს და თამამად გავწევთ ჩვენი კაკლისკენ ეს ხე ფრონტზე წასვლამდე ამოვირჩიეთ როცა ერთხელ კიდევ შევავლეთ თვალი ჩვენს მშობლიურ სოფელს ქვევით დარჩენილ ჩვენს ცოლ-შვილს გულამომჯდარნი რომ ტიროდნენ კიდევ ვნახავდით მათ როდისმე თუ ალარასოდეს დავბრუნდებოდით ნეტა რატომ გიყვებით ყოველივე ამას ძვირფასო ამხანაგო მარშალო როცა თქვენ თვითონაც გაიარეთ ცეცხლსა და წყალში რკინის ლულაშიც კი გამძვრალხართ ალბათ სხვანაირად ასეთ მაღალ პოსტს არ განდობდნენ ძვირფასო მარშალო ვიდრე ჩვენ შესახებ ჩემსა და ნიკანორის შესახებ თქვენი ბრძანება არ იყო გამოსული გორაკზე მდგარი ნათელი ხე იყო მთელი ჩვენი ცხოვრება სიციევსა თუ პაპანაქებაში სიხარულისა თუ მწუხარების დროს დავსხდებოდით ხოლმე მე და ნიკანორი კაკლის ხის ჩრდილში და დარჩენილი სიცოცხლის სამყოფი შუქითა და იმედით ვიმუხტებოდით მაგრამ ნება მიბოძეთ მოგახსენოთ ეს იმ საბედისწერო დილამდე იყო ყელში ბურთი სანამ გამეჩხირებოდა როცა თქვენს ბრძანებულებას ვისმენდი რადიოთი ვეტერანებს შეუძლიათ ურიგოდ იყიდონ ყველაფერი რაც სურთო ჩავიცვი და ნიკანორის საძებნელად წავედი იმ ჩვენი კაკლის ხეს მივაშურე სოფელს რომ გადმოჰყურებს გორაკიდან ვიცოდი იქ იჯდა და გული უწყალდებოდა ლოდინით ერთი სული ჰქონდა ეამბნა ეს ამაღელვებელი ამბავი კოჭლობით შევუყევი გორაკს ის შუა გზაზე ჩამომეგება და იმ თავისი ცალი ხელით მიბიძგებდა ზურგში რომ მე მეგობრისაგან საყრდენი მეგრძნო და ავსულიყავი როცა ორივემ სული მოვითქვით დამიყვირა გაი-

გონე იონ მე ხომ ცალი ყურით მთლად ყრუ ვარ მეორეში კი ძალიან ცუდად მესმის რა სასიხარულოა როგორ არ გამიგონია გავიგონე-მეთქი და ისე გადავკოცნეთ ერთმანეთი როგორც გამარჯვების დღეს არაფერი და არავინ არ არის დავიწყებული ჩამძახის ნიკანორი ყურში ყველამ უნდა იცოდეს ჩვენი ფასი ეს რომ იცოდე ალმზრდელობითი მომენტია ახალგაზრდობისთვის სწორია ჩემო ფრონტელო მეგობარო-მეთქი მაგრამ ესვინ მოიჩქარის ჩვენკენ მგონი შენი რძალი უნდა იყოს არა ოფურმე სად იგრილებთ თავსაო გვიყვირის შორიდანვე მაღაზიაში კი თევზი მოიტანესრა თევზიო ეკითხება ნიკანორი თევზი ადრეც მოუტანიათ მაგრამ ჩემთან არ გამოქცეულხარ ან შენ ყიდულობდი და ან ქმარს აგზავნიდი რა თევზიო ყველა ძაღლმა და მამაძაღლმა იჯერა გული ვისაც ტყვია თვალითაც არ უნახავს და თქვენ კი ტყუილ-უბრალოდ ილესავთ ენას და ლაქლაქებთ ბოლოს და ბოლოს ვისთვის გამოვიდა ეს ბრძანებულება მე ნიკანორს მივჩერებივარ ნიკანორი მე ჩუმადა ვართ ხმას არ ვიღებთ თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარიყოს თუ საჭიროა ესე იგი საჭიროა ნიკანორ ვეუბნები მე გახსოვს როგორ მივდიოდით ხოლმე დაზვერვაზე ახლაც წამოვალ და ზურგიდან დაგიფარავ არაო მეუბნება ნიკანორი შენ აქ იჯექი მე მალე მოვბრუნდებიო და რძალთან ერთად მიდის მე კი ვზივარ ჩრდილში და კაკალს ვესაუბრები მაგრამ ვატყობ არ ეწყობა ლაპარაკი და ნაღველი ისე მიღრღნის სულსა და გულს როგორც ჟანგი ჭამს რკინას აქამდე არასოდეს მოსულა ნიკანორის რძალი ჩვენთან გორაზე და აი ბოლოს და ბოლოს მოვიდა რატომ-მეთქი ვფიქრობ ჩემთვის რატომ ვეკითხები კაკალს ნუთუ ესაა ყველაფერი რაც იმან თქვენი შესანიშნავი ბრძანებულებიდან გაიგო განა უფრო ადვილი არ იყო თვითონ წასულიყო მაღაზია ხომ იქვეა იმათი სახლის გვერდით ჰოდა რაღა ამ გორაკზე უნდა გამოქცეულიყო და ხეიბარი ნიკანორი წამოეგდო მეც ავდექი და ნელ-ნელა დავიწყე გორაკიდან ჩამოსვლა აი რაშია საქმე მამაჩემო მეუბნება უფროსი შვილი ვისთანაც მე ვცხოვრობ მშვიდად მეუბნება იმიტომ რომ უნდა მოგახსენოთ ის ყოველთვის მშვიდი და დამჯერე ბიჭი იყო აქამდე მოსვენებული იყავი ახლა კი ნუ გეწყინება და უნდა გამოგვიწოდო ხელი დასახმარებლად რა უნდა გავაკეთო შვილო ვეკითხები მე ახლა ბევრი საქმე გაგიჩნდებაო მეუბნება ის კარგი-მეთქი ამის თქმაც ვერ მოვასწარი და ახლა უმცროსი ბიჭის ხმა მესმის ის ცალკე ცხოვრობს თავისი შვილებით დახეთ როგორ მოირბინა სად დადიხარ მამაჩემო სამი საათია გელოდები ჩქარა წამოდი თევზი ავიღოთ რიგში ზურზუტისთვის არ მცალია აწი სახლს ნუ მოშორდები მამაჩემო ბოლომდე გამოიყენე კანონი ჩვენ უმეტესად მინდორში ვართ თქვენ კი მაღაზიის გარშემო ისეირნეთ ნუ მოგერიდებათ ზოგიერთები უკანა კარებიდან ეზიდებიან რაც მოეპრიანებათ და თქვენ რატომ არ უნდა ისარგებლოთ უფლებებით და არ უნდა მიიღოთ ის რაც გეკუთვნით თავის დროზე და უდანაკარგოდ რადიოშიც თქვეს და გაზეთშიც დაწერეს რომ ინვალიდებს ყველაფერი მისცენ რასაც ისურვებენ ჰოდა წადით ახლა დაიბანეთ სუფთად ჩაიცვით გაიკეთეთ მედლები რომლებიც სისხლის ფასადა გაქვთ მიღებული სამშობლოსაგან და საღამომდე ცემენტსაც ვიშოვით საქათმისთვის ცემენტი რა ჭირად მინდა ეუბნება უმცროსი შვილი უფროსს მე თევზი მინდა ცემენტი კი არსად გაიქცევა მე ვთქვი ცემენტი-მეთქი ახლა უფროსი ეუბნება უმცროსს მე უნებურად ვი-

ღმები და ჩემს დაკავებულ შვილებს ვუყურებ გეყოფათ ჩხუბი ცემენტიც იქნება და თევზიც პირს ვიბან და თან ვფიქრობ ცუდს ხომ არაფერს სჩადიან ჩემი ბიჭები ბრძანება ხომ იმიტომ გამოვიდა რომ გამოიყენონ ასეა ხომ ასეა ვუპასუხებ ჩემსავე თავს თუ ასეა ცემენტი მართლა არ გვაწყენს გარშემო ყველგან მშენებლობა მიდის ჩავიცვი სუფთად ავიხინწლე ყველა მედალი და ჩლახა-ჩლუხით გავწიე მაღაზიისკენ მივდივარ მედიდურად ფეხს ველარ ვლუნავ ხელს ვერ ვშლი და შვილისთვის მაინც მომაქვს ხომ გებლობა ვხედავ იმდენი ხალხი შეგროვილა დიდი სეირნობა გეგონებათ იქაერობა დუღს ზიმზიმებს ახლოს ვერ მიეკარები ძია იონ შორიდან მეძახის ერთი სოკირკე ყვავი ჩხიკვის მამიდა პირდაპირ ჩემთან მოდის ხელს მართმევს ვხედავ ხუთმანეთიანი აქვს მომუჭნული ერთი ოთხი კილო თევზი მეც ამიღე ძია იონ ხურდა შენი იყოს ახლა ქალები წაესივნენ ეს ჩვენი ნათლიმამაა და შენ ნუ უძვრები აღება თუა ჩვენ აგვიღებს შენ კი შენიანები მოძებნეო ზოგი საით მექაჩება და ზოგი საით ჯიბეში ფულს მიტენიან და დახლისკენ მიმათრევენ ერთი ახალგაზრდა ტრაქტორისტი კი არ ვიცი ვისი შვილი იყო მეუბნება აბა ერთი სცადე ბაბუ და ურიგოდ აიღე ისეთს კლეწავ რომ მე აქ დილის ხუთი საათიდან ვყურყუტებ და მოკლედ აქედან მოუსვი ვერ მოგატყუებთ გამოჩნდნენ ისეთებიც ჩემი დაცვა რომ მოინდომეს გრცხვენოდესო უთხრეს დამუწე ეგ ცოფიანი ხახა ძია იონი იბრძოდა იცი თუ არა შენ ტრაქტორისტს კი ღოინჯი შემოურტყამს რასა ბრძანებთ ნუთუ ამ თევზისთვის იბრძოდა ის თევზი რომლისთვისაც ეგ იბრძოდა დიდი ხანია შეჭმულიაო პატივცემულო ამხანაგო მარშალო იქნებ ის მართალიც იყო და აღარ ვიცოდი სირცხვილისაგან სად წავსულიყავი გამყიდველი კი მეძახის მოდი ძია იონ კანონი შენ მხარესაა და რამდენიც გინდა იმდენს მოგცემო მე გაქვავებული ვდგავარ ხან წინიდან მიჯიკავებენ ხან უკნიდან ტრაქტორისტი ყვირის პასარან ჩემიანები კი ეუბნებიან ცხვირპირის დამტვრევა ხომ არ მოგინდაო ამ დროს ვილაცამ შიგ სიფათში მთხლიშა ბრტყელშუბლა აჰა შენი თევზი და მოუსვი აქედანო ცოცხალი ბრტყელშუბლა გასლიპულ კუდს მიტყლაშუნებს და ჩემი მედლები წკრიალ-წკრიალით ცვივა ძირს უმცროსი ბიჭი ისევ დახლთანაა და ყვირის ოჰ თქვე მამაძაღლებო შამაჩემი ჩემი გულისთვის იბრძოდა თქვენთვის კი არაო ვხედავ ნიკანორს გადარჩენილი ხელით თეთრი ამური მიუხუტებია პიჯაკზე ერთმანეთს თვალი ავარიდეთ არ ვიცი სახლამდე როგორ მივაღწიე მორზე ვარ ჩამომჯდარი უფროსი ბიჭი კი ლამის ტირის სად არის ცემენტი ვაჭმევ ვასმევ და ეს კიდევ რას მიკეთებს სახლისთვის ოჯახისთვის რძალი ეუბნება ჩხუბს ხომ არ დაუწყებდა გამყიდველს ის თევზით ვაჭრობდა ცემენტით კი არა რაც მისცეს ის წამოიღოო ხო-მეთქი თევზს ყიდდა გჭკითხა მაინც მოგცემდა თუ არა ცემენტსო გავიხედოთ და ერთი დაგვიანებული ნათლიდედაც მოადგა ეზოს ძია სიკეთეს არ დაგივიწყებთ და ჩვენც აგვიღე თევზიო იცოცხლეთ წამოუხტა უფროსი ბიჭი აქედან მოუსვი შე უქნარაო და ლობიდან სარი ამოაძრო სიმართლე გითხრათ ასე გაცეცხლებული არასოდეს მინახავს შემეშინდა არ დაასახიჩროს-მეთქი ნათლიდედა ხელებში ეცა მე კი რა უნდა მექნა დავღუნე თავი და მაღაზიისკენ წავლასლასდი ბიჭი კი მომძახის უცემენტოდ არ გნახო დაბრუნებულიო აი მივჩლახუნობ გზაზე და თითებზე ვანგარიშობ ხედავს მაღალი ღმერთი რომ მავანი და მავანი ჩემს ბიჭზე უკეთესი არ არის ფარდულში კი რვა ტომარა ცემენტი უწყვია ჩემმა ბიჭმა კი

სად იშოვოს თუკი მხოლოდ კვერცხზე ყიდიან ცემენტს ახლა კვერცხის რიგში რამდენ ხანს უნდა იდგე რაო ისევ თევზზე მოგვზავნესო აყვირდა ხალხი ორი წელი იბრძოდი და მთელი ცხოვრება ურიგოდ გინდა იყიდო ყველაფერი მაშინ ჩვენც ურიგოდ გაგვიშვან როგორც [illegible] მსოფლიო ომის მონაწილენიო ერთმა ახალგაზრდა ქალმა პირდაპირ თქვა ეს ბებერი ხრონცი რომ არა იქნებ ჩემი შვილებისთვის მეც [illegible] დილას ჯერ კიდევ ხეირიანად გათენებულიც არ იყო [illegible] შვილმა ჩემს საწოლთან სკამი დადგა დამიჯდა და მითხრა არ გამიბრაზდე მამაჩემო მაგრამ რა ჩვენი ბრალია რომ ასე მოხდაო შვილიშვილებზეც იფიქრე რით არიან სხვა ბავშვებზე უარესები სახლი უკვე დაძველდა ახალი კი როგორ ავაშენოთ თუ ფიცარს თაფლზე იძლევიან ცემენტს კვერცხებზე ქვას კურდღლებზეო თქვენ ხომ თქვენი უფლებებით სარგებლობთ რა დამცირებაა ესაა ai პატარა სია შეგიდგინე გინდა არ გინდა დღეს ბაზარში მოგიწევს წასვლა რაიონში წავედით ღმერთო ჩემო არც კი ვიცოდი რა ხარბი შვილი მყოლია ლურსმანია საჭიროო კი ბატონო-მეთქი ასე და ასე ვეუბნები გამყიდველს ინვალიდობის მოწმობა გაქვთო თუ ისე გინდათ გაძვრეთო არ მეტყობა-მეთქი კიდევ შემიძლია რაღაცები გაჩვენოთ-მეთქი ის გაწითლდა და რამდენი გინდათო ათი კილო-მეთქი შვილი მიყვირის ოცი აიღეო გამყიდველი მიხვდა ჩემთვის რომ არ მინდოდა მაგრამ არაფერი მითხრა მარტო გამაფრთხილა კანონი თქვენთვის არის ბაბუ თქვენ ისეთი რამე გადაიტანეთ რაც არავის გადაუტანია ასე რომ თქვენს გმირულ ღირსებას ნუ გაყიდით და კარგად იყავითო მერე სხვა მაღაზიაში წავედით სამხედრო კომისარიატშიც შევიარეთ ყველგან პატივისცემით მღებულობდნენ ჩემს შვილს უხაროდა მე კიდევ უფრო მეტად თავიც კი გავკიცხე რას ვაბუქებ-მეთქი ყველაფერს გუშინაც შევცდი ცემენტი რომ არ ავიღე და ტყუილა ვუყვირე ბიჭს სახლში გვიან დავბრუნდით და ასე ჩაცმულს დამეძინა დილას კი რიჟრაჟამდე უმცროსი ბიჭი მაღვიძებს ეჰ მამაჩემო მე არც შვილები მყავს სხვაზე ნაკლები, და არც სახლი მაქვს სხვაზე ახალი ნაკლებად თუ გიყვარვარ ბარემ მითხარი მეჯავრები-თქო ეს საიდანღა მოიტანე და რა გინდა-მეთქი შიფერიო სულ ეს არის-მეთქი აბა წადი და იშოვნეო მარტო კრაველზე იძლევიანო კარგი მაგრამ ისევ როგორ გამოვჩნდე-მეთქი რაიონში კიშინიოვში წავიდეთ იქ არავინ გვიცნობსო მითხრა არ ვიცი საიდან გამოტყვრა და უფროსმა ბიჭმა უთხრა არსად არ წამოვაო თანაც ისე გაბოროტებული უყურებს უმცროსს ქირის ოფლმა დამასხა ორივე ჩემი შვილები ხართ გუშინ შენ დაგეხმარე დღეს ამას დავეხმარები ხომ არაფერს ვიპარავ არ ვსპეკულიანტობ რასაც ვიშოვი აქ ამ მიწაზე დარჩება და ჩემი შვილი თუ ახალ სახლს ააშენებს ჩვენი უკიდეგანო სამშობლო კიდევ უფრო გალამაზდება ხომ სწორად ვმსჯელობ თუ არა შემისწორონ უფროსი ბიჭი ამბობს მამაჩემს დღეს სხვა სამუშაო აქვს უმცროსი კი ყვირის დღეს საგანგებოდ დავეთხოვე ბრიგადირს და დღე დამეკარგებაო იცით მე რას ვეუბნები ასე თუ იჩხუბებთ არც ერთს არაფერს არ გიყიდით ახლა კი კიშინიოვში წავიდეთ უფროსმა ბიჭმა გადააფურთხა და მაგას თუ მიჰყვები აქ აღარ მოხვიდეო ენა ჩამივარდა ჩემი გაზრდილი შვილი და ასეთი სიტყვები უმცროსი კი ამბობს ვერი გუდ მამაჩემო და ტრე ბიენ ჩვენთან იცხოვრე ადგილიც გვაქვს და არც მოგაშივებო მაშინ უფროსმა რძალმა ის ყოველთვის ანჩხლი იყო მთელი ჩემი ავლადიდების გზაზე გადმოყრა დაიწყო სად-

ღესასწაულო ჩექმები ზანდუკი მოკლედ ყველაფერი რაც მე და ჩემმა ცხონებულმა ცოლმა შევიძინეთ თან ნივთებს ჰყრის და თან გაჰკივის ბებერო ჩერჩეტოო და კიდევ ვინ იცის რას არა მაგრამ იმ სიტყვების გამეორება თქვენ წინაშე არ მინდა ამხანაგო დაცვის მარშალო მეზობლები მოუვიდნენ რა მოხდა რა ამბავია რა უნდა მეპასუხა ღვიძლი შვილი სახლიდან მაგდებს-მეთქი არა მე თვითონ მივდივარ ეს მეხვეწება [illegible] რძალი კი ღობის გადაღმა ქაქანებს აქამდე ლამის თვალები [illegible] მოხუცისთვის და ახლა შეიყვარა მაგის მედლები შეუყვარდა ეგ კი არა სიმართლე გითხრათ ასეთი სიტყვები უფროსმა ბიჭმაც არ მოუთმინა და შიგ ტუჩებში სტკიცა რძალმა ხელად ჩაიგდო ენა პირზე მიიჭირა საწყალმა ხელი იუშკამ კიდევ სთხლიშა ღმერთო ჩემო რას მოვესწარი შვილიშვილები კი თითქოს ამას ელოდნენო შემომეხვივნენ ტირიან ცინგლს იწმენდენ არ წახვიდე ბაბუ მეც ვეხვევი ვეფერები ლამის მათთან ერთად ვტირი მაგრამ უკან არაფრის გულისთვის არ ვბრუნდები შუა სოფლამდე მივედი და ამას ვის ვხედავ სატვირთო მანქანაზე ნიკანორი ზის სუნთქვა შემეკრა ვგრძნობ ისიც ჩემ დღეშია მაგრამ ხმას არ იღებს ისე მიყურებს ეს სად აბობღებულხარ კაცო-მეთქი და ახლაღა შევნიშნე სუფთა ტანსაცმელშია გამოწყობილი და მკერდიც დამშვენებული აქვს ქალაქში მიჰყავხარ შენებს ის ნაპირზე ამოგდებული თევზივით პირს აღებს ხმას კი ვერ იღებს გული გამიჩერდა და ვუთხარი ჩამოდი-მეთქი ვხედავ კაბინიდან რძალს გამოუყვია თავი რა აურზაურს ტეხავ ძია იონ დაკარგე არა ძმაკაცი კაკლის ქვეშ ველარავისთან იქავლებ ენას მე აინუნშიც არ ვაგდებ მის ნათქვამს გეუბნები ჩამოდი სამამდე ვითვლი ჩამოდი თორემ დაგკარგავ იცოდე ეტყობა მაგრად ვიყავი გაცეცხლებული იმიტომ რომ ჩემი ნიკანორი მანქანის ბორტს აეკრა და ცალი ფეხი გადმოკიდა რძალმა ცარიელი ტომარა მოუქნია ისევ ძარაზე ჩადიო ის მაინც აქეთ იწევს მე მხარი შევუბჯინე და წავედით ჩვენი გორაკისკენ დასიცხულებს ჩემი უმცროსი ბიჭის და ნიკანორის რძლის წყევლა-კრულვა მოგვყვებოდა გვიანობამდე ვისხედით კაკლის ქვეშ არაფერს ვამბობდით მაგრამ ორივენი ნაღდად ერთზე ვფიქრობდით რომ ჩამობნელდა შვილიშვილი მოვიდა და პურის ნატეხი მომიტანა დილიდან გადაემალა მშობლებმა იციან სადა ხარ-მეთქი არაო რომ იცოდნენ არ გამომიშვებდნენო მამაჩემმა თქვა აბა ერთი ეზოში შემოაბიჯოსო ჭამე ბაბუ როგორ თუ ვჭამო პური შუაზე გავტეხე ნახევარი მეგობარს მივეცი ნახევარი ბიჭს ნიკანორმა გალეჭა და თქვა როგორ მრცხვენია იცი ძალისძალათი შემაგდეს გამგეობაში ცხვრის ყელი და ხახვი გამოგიწერონ უფასოდო ჩვენთან ჭამ სვამ წადი და იმ ინვალიდებზეც გამოაწერინე რომლებიც ცოცხლები აღარ არიანო თავმჯდომარე ხომ იცი რა კეთილი კაცია ადგა და ხელი ჩამომართვა ახალი ბრძანება მომილოცა და ყველიც მომცა თანაც დააყოლა როცა რამე დაგჭირდეს ყოველთვის მოდიო ამხანაგო თავდაცვის მარშალო ქრისტე ღმერთს გეფიცებით ამის გამგონე ფეხზე წამოვხტი განა ყველისათვის ვღვრიდით ნიკანორ მე და შენ სისხლს როგორც ვიცი თქვენ საკუთარი ცხვრებიც გყავთ-მეთქი სწორია იონ მაგრამ იმათ ყველს ვყიდით კოლმეურნეობის გამოწერილსაც გავყიდით ვატყობ დიდი დღე აღარ დამრჩენია იონ ვაჩუმდი და ეს ფრიცული სიტყვები აღარ გამაგონო-მეთქი რა უნდა გვექნა დავბრუნდით სახლში და როგორ ფიქრობთ საჭმელიც არ მაჭამეს ხის ქვეშ ყოფნა თუ გირჩევნია წადი და იქ იცხოვ-

რეო მითხრა რძალმა ხმაც არ გამიცია დილით კი ავდექი და ისევ გორაკისკენ გავწიე ადრე კი იყო მაგრამ არ მინდოდა თვალებში მეცქირა მათთვის როგორი ელდა მეცა როცა იმ ადგილას სადაც ჩვენი კაკალი იყო მხოლოდ ჩემი მეგობარი ნიკანორი დავინახე მუხლებში თავჩარგული მაშინვე ყველაფერს მივხვდი ორი დღე ვისხედით ერთმანეთის გვერდით და სოფელში არ ჩავდიოდით თუმცა წვიმა მოდიოდა ვსველდებოდით კარგა გვარიანადაც გვშიოდა გარეშეები მოდიოდნენ გვეპატიჟებოდნენ სუფრასაც გვთავაზობდნენ და პურსაც მაგრამ ჩვენ უარს ვამბობდით მადლობას ვუხდიდით და უარს ვამბობდით მეორე დღეს თავმჯდომარე მოვიდა მარტო კი არა ჩემი ბიჭები მოიყვანა ნიკანორის შვილიც და ჰკითხა ვინ არის ეს ორი ჰალარა მოხუციო ისინი ცხვირს იბზუებდნენ იგრიხებოდნენ ბოლოს როგორც იქნა ერთ-ერთმა მაინც აღიარა ჰო გასაგებია ჩვენი მამები არიანო ჰო და იცით რას გეტყვით ეუბნება თავმჯდომარე ეს ამბავი თუ ისევ გამეორდა თქვენ კი არა და ახლა შეღავათები რომ დაუშვეს პერსონალურად ამათ ეკუთვნით გასაგებია გასაგებიაო უპასუხეს მაგრამ რა ვქნათ სახლში თუ არ მოდიან ხომ გასაგებია ისევ უთხრა თავმჯდომარემ და წავიდა ნიკანორის შვილმა დაიწყო რაღაც მაგრამ მოიხედა და თავმჯდომარე ჯერ არ მოფარებოდა თვალს ამიტომ ბოლომდე ველარ შეაგინა დედა ჩვენ ისევ იმ ადგილას ვიდექით სადაც კაკალი იყო და მივხვდით ჩვენი სიცოცხლეც იმ კაკალივით ძირში იყო გადაჭრილი თავმჯდომარე ისევ ყვიროდა შორიდან ხვალ სამივემ ოცდახუთ-ოცდახუთი მანეთი შემოიტანეთ ხის უკანონოდ მოჭრისათვისო უმცროსი ბიჭი მისძახის მე კი არა ამათ მოსჭრესო მის ჭიშკარს რომ მივუახლოვდი ვხედავ რძალი გამოგვეგება ბავშვებიანად შეხედეთ ბაბუათქვენს ამან დაგვტოვა უსახლკაროდ ჭერი წაგვართვაო ეს კი სწორია ჩემი სახლი უფროს შვილს დავუტოვე ცოლი რომ შეირთო უმცროსი ჯერ არ აპირებდა მერე კი ეს მოიყვანა მეზობელი სოფლიდან მაგრამ იმდენი სახლი სად მეშოვა ყველას რომ ჰყოფნოდა იქით გაიწიეთ უნდა შევაფურთხო თქვა რძალმა და შემომაფურთხა მტერს არ ვუსურვებ იმას რაც მე გადავიტანე ნეტა ფრონტზე მოვმკვდარიყავი ნეტა ჩემს ცოლს მივწოლოდი გვერდში და შვილიშვილების წინაშე ასეთი სირცხვილი არ მეჭამა სწრაფად შევედი ეზოში მეზობლები რომ არ შეგროვილიყვნენ ღამით კი ჩემს მოცუცქნულ ოთახში მათი გოგო შემოიპარა და მითხრა იცი ბაბუ მაღაზიაში ნარინჯისფერი სინთეტიკური ქურქები შემოიტანესო გესმის ჩემო შვილიშვილო ეს ადამიანობა არ არის და არცა მაქვს ამის უფლება ბოლოს და ბოლოს წყეულიმც იყოს ის დღე როცა ეს ბრძანებულება გამოვიდა მაპატიეთ ამხანაგო მარშალო გოგომ მხოლოდ ეს მითხრა ბაბუ მე ძალიან მინდა ნარინჯისფერი ქურქი სხვა ბაბუა მე არ მყავს და აბა ვის ვთხოვოო მე თავი ჩავქინდრე ერთი წუთით კი არა სამუდამოდ ჩავქინდრე არა რძალი ცუდად მექცევა-მეთქი ახლა ვერ ვიტყვი პირიქით ძალიან ყურადღებიანი და მზრუნველია მაგრამ ყოველივე ეს რად მიჯდება სად არ მგზავნიან პური რომ პურია ისიც ურიგოდ აიღეო შავი პილპილი ურიგოდ შაქარი ურიგოდ ბოლოს საქმე იქამდე მივიდა რომ როგორ აგიხსნათ არ ვიცი მსესხულობდნენ ჩემი რძლის სოფელში დიდი მაღაზიაა ნათესავებიც ბევრი ჰყავს ვეტერანები კი რაღაც ეშმაკად თითქმის არა ჰყავთ ერთხელ გავიგონე როგორ ეჩურჩულებოდა ერთი ნათესავი რძალს ერთი ნახევარი დღით მაინც მათხოვეო თითქოს ნიჩაბი ან საცერი ვიყო ან კიდევ ფიწალი

მათხოვე ჩემს საქმეს მოვაგვარებ და დაგიბრუნებო წამიყვანენ ასე ერთი დღით მთელ კვირას კი დამაბამენ ხოლმე და გადავდივარ ასე ხელიდან ხელში ერთხელ არც ისე დიდი ხნის წინათ კინაღამ თქვენი ჭირი წამეღო ბიძა ბევრი იყო კარები კი ჩაკეტილი უცბად ვიღაცის ხმა შესმის მაგრამ არ ვიცი ვისი წყალი მიეცით ამ საცოდავსო წამომაყენეს მე ამ[...] დგომა არ შემიძლია ორი ვეტერანი ამომიდგა მხარში კედელთან მომიყვანეს ოჯ მაგათი დედაო იკურთხებიან უფროს ვაჟიშვილთან არ დავდივარ იმიტომ რომ უმცროსი არ მიშვებს ამან ახალი სახლი აიშენა მასალა მე ვუშოვნე სამხედრო კომისარიატიდან მანქანაც გამოვუყვანე მართალია ჩემნაირ ინვალიდებს პატარა მანქანებს გვაძლევენ მაგრამ რაც უნდა იყოს უფასოა ახლა ჩემი ვაჟი და რძალი მთელი დღე იმით დასეირნობენ და ამიტომ ეტყობა უფროს შვილს ვერასოდას ველარ შევურიგდები უფროსს უმცროსი გაულახავს ბუფეტში ახლა ქალიშვილზე მოგახსენებთ იმაზე ჯერ არაფერი მითქვამს თქვენთვის. შორეულ სოფელშია გათხოვილი და ისედაც იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს მანქანის ამბავს რომ მიუღწევია იმათ ყურამდე სიძეს უთქვამს ჩვენც გვიშოვოს მანქანა თუ არა და ჩვენი სახელი აღარ ახსენოსო მე ვუთხარი ქალიშვილს გაჩუმდი თორემ თავს მოვიკლავ-მეთქი მოკლედ რაღა გავაგრძელო ამხანაგო მარშალო და თუ სადმე წერია ვეტერანებს ურიგოდ ეკუთვნითო პირველი ვარ რიგში შეიძლება გაგეცინოთ მაგრამ ვეტერანებს უფასო ბილეთი გვეკუთვნის თუ გინდა ქვეყნის დასასრულს მივემგზავრებოდეთ ჰოდა აი რა ქნა ჩემმა შვილმა დუბულტში მიდიოდა დასასვენებლად ჩამოიკიდა ჩემი მედლები წვერიც მოიზარდა ხალხი ამბობდა სადგურში თურმე ჩემსავით ჩლახუნობდა მართლა ძალიან კი მგავს ამას წინათ კურდღლის ტყავების ჩასაბარებლად მივდიოდით გზად ხალხი შემოგვხვდა ვიღაცას ასაფლავებდნენ ნეტა ვინ წაიყვანა-მეთქი უფალმა შვილმა მიპასუხა გამაგრდი მამაჩემო ეს შენი მეგობარი ნიკანორიაო ერთი ამოვიოხრე და გაჩერდი-მეთქი ვუთხარი მაგის დრო არ არის ხვალ დამზადების პუნქტს დასვენების დღე აქვსო მიპასუხა მაშინ კარი გამოვგლიჯე და მეტი აღარაფერი მახსოვს აი აქ საავადმყოფოში გავახილე თვალი სახეზე ვატყობ ექიმებს ცუდადაა ჩემი საქმე მაგრამ ალბათ მაინც დამაყენებენ ფეხზე იმიტომ რომ ჩემი ბიჭი სულ მუდამ რაღაცას ეჩურჩულება ექიმებს და საჩუქრები მოაქვს მათთვის მალე ოქროს შემოდგომა დადგება ხილის და ბოსტნეულის სეზონი და მე რომ მოვკვდე რიგში ვიღა ჩადგება მაგრამ რისი გულისთვის წაგართვით თქვენთვის ძვირფასი დრო ამხანაგო თავდაცვის მარშალო აი ვგდივარ ნაბადივით და უმორჩილესად გთხოვთ კიდევ ერთი-ორი წელი მაინც რომ ვიცოცხლო და სამშობლოს ღირსეული შვილის ნიკანორის საფლავზე მისვლა შევიძლო შეაჩერეთ ეგ თქვენი კეთილშობილური ბრძანებულება ომის ვეტერანების შესახებ თქვენ კი ჩემნაირი ხვედრი ღმერთმა ნუ გარგუნოთ.

ᲘᲝᲜᲔ ᲤᲘᲜᲐᲜᲔ

□

# ისიდორ კოზათი

## ლექსები

ოსურიდან

თარგმნა ნოდარ ნარსიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ციდან დაეშვა ბინდი მიწაზე,
გვეგონებოდათ ცამ მოიწყინა...
იჭექ-იქუხა,
მაგრამ იმწამსვე,
მაცოცხლებელი მოვიდა წვიმა.

გვალვის ღრუბელი ელვამ მოცელა,
და გამოყონა ქვირტმა ღეროდან...
იდგა ბუნება,
როგორც მლოცველი
და საგალობელს ცისას მღეროდა.

თავქუდმოგლეჯით გაიქცა გვალვა,
ამ სოფლად ყოფნა აღარ მინდაო...
ტოტები ცისკენ აღაპყრო ალვამ
და გადამწვანდა მ[illegible]ით მიდამო.

### ხდება ხოლმე...

ადამიანი მქვია და ვიცი,
ყოველ არსებას აქვს ჩემი რიდი...
ვარ გასაღები მიწის და სივრცის,
რა გამაოცებს,
როგორ ან რითი?
გამოგონილი აღარ მწამს ღმერთი,
ადამიანი ხატია ჩემი...
ადამიანთა მაღელვებს ხვედრი,
ადამიანთა ერთგული ვრჩები.
თუ ვინმე დარდობს,
თუ ვინმე ბორგავს,
მისთვის მოვმართავ საყვარელ
ლარჭემს...
ვანახვევ
ხელზე ძარღვების გორგალს,
ვაშიშვლებ გულს და სიმღერით ვარჩენ.
მე ვნახე ერთხელ,
სპილოთა გუნდი
გარს რომ ეხვია მომაკვდავ სპილოს...
ხსოვნაში ჩამრჩა ის დღე და წუთი,
ღმერთო! არ იყოს ეს სასაცილო.
ენანებოდათ თავისი მოძმე,
თანაუგრძნობდნენ მუნჯური ენით...
ამ თანაგრძნობის მე ვიყავ მოწმე,
ამ თანაგრძნობას კაცთაგან ველი.
... მე, ადამიანს, ცრემლები წამსკდა,
მე, ადამიანს, შემშურდა მათი...
ო, მტკივა,
რადგან ნაკლია კაცთა —
თუ თანაგრძნობის დაგვაკლდა მადლი.

### მიდიან, მიიჩქარიან

მეუსვენებლივ მიმოდის ხალხი,
ზოგი სულ ნელა,
ზოგი კი ჩქარა...
ყველა სულდგმულობს რაღაცა ახლით

და ერთნაირი სულაც არ ჩანან,
ყველას რაღაცა მოაქვს ან მიაქვს,
გზებია ფართო...
გზებია ვიწრო...
სულ არ დავეძებ, რომელს რა ჰქვია,
ყველა მათგანი მსურს ამოვიცნო,
თეთრია ის თუ არ არის თეთრი,
სანდოა, ის თუ არ არის სანდო...
ღმერთია ის თუ არ არის ღმერთი,
მინდა ყველასთვის თავი რომ დავდო,
ცალ-ცალკე ყველას მიჰყვება ფიქრი,
სუყველას ჩემი ტკივილი მისდევს,..
მინდა დავიცვა
წესი და რიგი,
და თავის წილი სუყველას მივსცე.
შეუსვენებლივ მიმოდის ხალხი
და ყოველ მათგანს აქვს თავის კერა...
მშენებელია ზოგ-ზოგი სახლის,
ზოგი კვერავს და
ზოგი კი კერავს.
... მინდა ყველასი მოვასწრო ნახვა.
გავიზიარო ტკივილი სხვისი...
სამშობიარო სახლიდან ახლა,
ახალშობილის ტირილი ისმის.
უნდა გადასწვდეს პოეტის მზერა
უდარდელობას, ჭირსაც და ლხინსაც...
ის მზვერავივით ყველაფერს ზვერავს,
ყველას მიიჩნევს სინათლის ღირსად.
კაცის შვილს თან სდევს ცოდვა და მადლი,
გზებია ვიწრო,
გზებია ფართო...
მარტო პოეტს სწვავს სუყველას დარდი,
მარტო პოეტი არ არის მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არ მიყვარს...

მთიელი ვარ და მთასავით უხვი,
არა ვარ ქლესა, არ მიყვარს ლიქნი...
ვარ მარად მგმობი მრუდის და მუხთლის, —
გზაიც ჰქონია ჯანდაბას იქით.
მთასავით მტკიცე, ურყევად ვდგავარ,
მოვკვდები?..
ეს მთა ჩამიკრავს მკერდში...
მე სიყვარულშიც
ზვიად მთებს ვგავარ,
მაგრამ სიმკაცრეც იბუდებს ჩემში.
ადამიანო! იყავი ნაღდი,
ადამიანო! ღიმილი გშვენის...
თუკი მიმტრე და ორპირი გახდი,
მაშინ ორმაგად მტერი ვარ შენი.
თუკი ავღელდი, ვარ შმაგი თერგი
და ჩემს დამჩაგვრელს
არასდროს ვწყალობ...
ადამიანო!
ამაღლდი-მეთქი,
შენთვის ვიქნები ანკარა წყარო.
საჩრდილობელად გექცევი ხვატში,
გამოგადგები ყინვაში ნაბდად,
არ დაგატყვევებ ტყუილის ფარჩით,
მთის კაცს სიცრუე არ უყვარს რადგან.
...მთების საზომით ვუდგები ყველას,
ამ სულით ვივლი კარიდან-კარად...
როცა უწვიმრად ცა ჰქუხს და ელავს,
სიცრუეა და...
არ მიყვარს, არა.

## მე ვმღერი...

მე ვმღერი...
ისმენს ბალახის ღერი
და ბანს მაძლევენ მთები ველები,
მე ვმღერი...
სმენად ქცეულან ხენი
და ამ სიმღერით თავზე ვევლები.
მე ვმღერი...
ჩიტებს მიაქვთ სიმღერა,
შემიმსუბუქეს ტვირთი ჩიტებმა...
მე ვმღერი...
ნისლის ფარდა ირხევა,
გაოცებული მზე იჭყიტება.
მე ვმღერი...
ჰანგი მიაქვს ქარ-წვიმას,

თითქოს ირხევა კალთა ფარაჯის...
მე ვმღერი...
ცაში იგრძნო არწივმა
და ბუც მოფრინდა —
ღამის დარაჯი.
მე ვმღერი...
მღერის თვითონ ბუნებაც
და ზეცას სწვდება მისი წკრიალი...
სიმღერა გულებს ესალბუნება
და უკან იხევს ღამის წყვდიადი.
მე ვმღერი...
ჩემი ჯერი მოსულა,
ვმღერი თამამად,
ვმღერი ოსურად.

## შენი ორი შავი თვალი...

ყველაფერი გახდა მკრთალი,
და ბურუსში გავიხიზნე...
მიმზერს შენი ორი თვალი,
ისევ სევდიანად მიმზერს.

ამოენთო თეთრი მზე და
შემოივლო მზემ არშია...
არ მშორდება შენი მზერა,
თითქოს ქვეყნად განგაშია.

ჩაყირავდა ტბაში ზეცა
და ჩაიხრჩო მგონი თავი...
წყლიდან ორი თვალი მეცა,
ელვარდა ორი თვალი.

გავიარე კიდეც სხვასთან,
გაიარა სხვამაც ჩემთან...
შენი მზერა აღარ ამცდა, —
საყვედურით მომაჩერდა.

ამერია კენტი, ლუწი
და მსურს თავი მოვიმთვრალო...
რატომ აღარა ხარ ძუნწი,
სევდიანო ორო თვალო?

რა ჯადო ხარ მოციმციმე,
წილნაყარო ბოროტთანო...
რა ვქნა, ვეღარ მოგიცილე,
სევდიანო, ორო თვალო.

## დამხედე, მზეო...

მზევ მეუფეო,
მნათო ცისაო,
გულზე მეღვრება სინათლე შენი...
და ქარო,
ჩემი მამულისაო,
სამშობლოს მთებზე ფრიალი გშვენის.

მამულო ჩემო,— სულო და ფიქრო,
ჩემო ცაო და ჩემო მიწაო...
მე მინდა შენი მშვენება ვიყო,
მინდა რომ შენი სუნთქვა ვიწამო.

შხაპუნა წვიმავ,
დედა-შვილობას
გაფიცებ, იყავ სულის წამალი...
მზევ! განმიკურნე ყველა ჭრილობა
და დამილოცე გზა და სავალი.

□

# ედგარ ალან პო

## ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისურიდან

თარგმნა ვაჟა შიუკაშვილმა

### ელდორადო[1]

მხიარული მხედარი
მოხდენილი, ნეტარი
ჩრდილებში და მზეზედაც
შორეთს მიესწრაფოდა,
თან სიმღერას ამბობდა, —
ელდორადოს ეძებდა.

სიბერემ არ დაინდო
ეს მამაცი რაინდი,
სწვდა გულს ჩრდილიც მადლმოსილს,
რომ დარწმუნდა იმ წამსვე —
არსად იყო მიწაზე
გოჯიც ელდორადოსი.

დრომ რომ გამოაცალა
მას ნიათი და ძალა,
მწირი ლანდი მოიხმო,
ჰკითხა: „ლანდო, იქნება,
მითხრა — სად შეიძლება —
ელდორადო რომ იყოს?"

ლანდმა უთხრა: „შეჰყევი
მთვარისაკენ, მთებს ზევით,
ურჩად განვლე ლანდების
ხევიც, ღრმა და მზებნელი,
ელდორადოს მძებნელი
თუ კი მართლა ბრძანდები!"

---

1. ელდორადო — (ესპ. el Dorado — ოქროსი) ზღაპრული სიმდიდრისა და სასწაულების ქვეყანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქორწილო ბალადა

ხელთ ხმაწკრიალა მიპყრია ზარი,
გვირგვინი მიკრთის წარბების მაღლა,
სტავრა, ატლასი, ოქრო და ლალი
ჩემი განკარგვის მორჩილი არის.
ბედნიერი ვარ ნამდვილად ახლა.

ჩემს ნეფეს ცეცხლიც მიენთო ტრფობის;
მაგრამ პირველად რომ მომცა აღთქმა,
მახსოვს, ამ მკერდის ლივლივსა ვგრძნობდი,
მის ფიცის სიტყვებს ხმა ჰქონდა გლოვის
და მომეჩვენა იმის ხმად, დრო ვის
ემუხთლა ტყეში, ზედ ველზე ბრძოლის
და — ბედნიერი ვინც არის ახლა.

მათრობდა იგი სიტყვის სურნელით,
როცა ჰკოცნიდა ჩემს მკრთალ შუბლს ლაღად,
ვიდრე ელტვოდნენ ფიქრნი მბურველი,
მკვდრეთზე წარმიძღვნენ, განუკურნელი
ვამბობდი დარდის ოხვრად მწუხველი —
(დ'ელორმის[1] სიკვდილს ვგრძნობდი მჭმუნველი),
„ოჰ, ბედნიერი ვარ მეთქი ახლა!“.

ასე დაიძრა ჩემი ხმა სრული,
როგორც პირობის მუდარით აღთქმა,
დე, გზა მოეჭრას იმედს და სურვილს,
დე, მხოლოდ ჩემი დაიმსხვრეს გული!

ზარივით რეკავს ხმამაღლა თქმული,
რომ ბედნიერი ახლა ვარ, ახლა.
იხილეთ ოქროც ჩემს ტანზე სხმული, —
რა ბედნიერი გახლავართ ახლა!

ვიცი: ვოცნებობ, არ ვიცი — რარიგ!
თუმც, შევძლებ ღმერთიც რომ შევძრა მაღლა.
და ჩემი სულის ამტყდარა ქარი,
რომ არ გადიღვას ნაბიჯი მცდარი,
რომ, — შეიძლება, ეული მკვდარი
ბედნიერიც კი არ იყოს ახლა.

---

1. დ' ელორმი — ლენორას საქმრო.

# იური ბონდარევი

## არჩევანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომანი

თარგმნა გივი ციცქიშვილმა

### თავი მეცხრე

ზარზე დარეკეს.

ვასილიევმა უგულისყუროდ თქვა: „მგონი, დღეისათვის კმარა“, პალიტრა მაგიდაზე დადო, კარი გაალო (მუშაობისას იკეტებოდა ხოლმე) — და სახელოსნოში ჩექმების ქუსლების ბაკაბუკით შემოვიდა თეთრბეწვშემოვლებულ მონღოლურ დუბლიონკაში გამოწყობილი ვიქტორია. თან შემოჰყვა ქუჩაში მონავარდე ქარის სურნელი და დილის სუსხი. მან ცივი ტუჩებით აკოცა მამას გაუპარსავ ლოყაზე, მუქი ნაცრისფერი, მარიასებური თვალები მიაპყრო შჩეგლოვს, რომელიც სავარძელში იჯდა, და თქვა:

— გამარჯობა, მამა, გამარჯობა, ძია!

ედუარდ არკადიევიჩი ცქვიტად წამოხტა, რითაც გამოხატა აღტაცება, სიყვარული, რაინდული თავდადება, მსუბუქი მიხვრა-მოხვრით წამოცუნცულდა ვიწრო მწვანე შარვალში გამოწყობილი, ვიქტორიასთან მიირბინა და გრძნობამორევით დაუკოცნა ხელები, თან დუდუნებდა:

— ჩემო ლამაზო, ჩემო ოქრო, უძვირფასესო განძო, ქვეყნად ყველაზე უჰკვიანესო! მითხარი, რა გავაკეთო შენთვის, ჩემო ფასკუნჯო, ოქროს ქოში მოვძებნო, გაჭენებული ცხენი შევაჩერო, ცეცხმოდებულ ქოხში შევვარდე?

— კმარა, ძია, — გაიცინა ვიქტორიამ და ხელები გაითავისუფლა. — მე რომ ახლა ორასი მანეთი გთხოვოთ, თქვენ ამოიღებთ საფულეს, ამოიოხრებთ და მეტყვით: სამწუხაროდ, ჩემი საფულე ისევე სუფთაა, როგორც ჩემი სინდისი. ხომ ასეა? მაგრამ მაინც მიყვარხართ, ძია, თქვენი უთაურობისთვის!

— ჩემო დედოფალო, ჩემო მარგალიტო, ჩემო სიხარულო, მე მუდამ დამნაშავე ვარ, მუდამ უფულო ვარ, როგორც ძაღლი, — მორჩილად წაიდუდუნა ედუარდ არკადიევიჩმა და მწარე სინანულით ჩაიქნია ხელი. — თავადაც დიდი სიამოვნებით ვისესხებდი გარკვეულ თანხას, მაგრამ წოდება და ასაკი არ მაძლევს ამის უფლებას, საყვარელო. აბა! — და კიდევ უფრო გამოცოცხლდა, აქვნესდა, ავხორცულად აღუდუნდა, ორივე ხელით სწვდა ვიქტორიას ნაზ ხელს, ნაზად ჩაუნისკარტა და ყურიდან ყურამდე ოსტატურად გადმოვარცხნილი თმიდან შენიღბული მკრთალი მელოტი გამოუჩნდა. — მე გავრბივარ, მე თვალს ვეფარები, მე ვქრები, რადგან რეპეტიციაზე მაგვიანდება, სადაც დიდი საუბარი მექნება ერთ მსახიობ ქალთან, ნამდვილ კუდიანთან, შემინდე უფალო! სამოცს მიატანა, იმას ვენაცვალე, სიბერე დიდი ხანია მოადგა კარს.

დასაწყისი იხ. „საუნჯე“ № 1, 1989.

ის კი, ბებრუცუნა, მაინც არ ეშვება. მაინც იჭაჩება ის როკაპი. ისა, რომ ოცი წლის ქალიშვილის როლი შეასრულოს. აბა როგორ უნდა დაუკრა ბალალაიკაზე, როცა ხელში ტაფა გიჭირავს! ვლადიმირ ალექსეევიჩ, მხურვალედ გკოცნით!

სასწრაფოდ ჩაიცვა პალტო, მოდური, ფართო, ლია ფერის უჯრედებით, ტყავის ხელთათმანები წამოიცვა და სცენიდან გამავალ[illegible] პეწენიკი ვექილის მსგავსად გავარდა სახელოსნოდან, თან [illegible] კოცნა გამოუგზავნა: „გაიხარეთ, ძვირფასებო!"

მისი წასვლის შემდეგ სახელოსნოში რაღაც ჩაქრა, ოთახი დაცარიელდა, თითქოს გამქოლმა ქარმა დაუბერა, კარი მიაჯახუნა, და კვლავ ჩამოწვა დუმილი, მშვიდი ყოველდღიურობის წინანდელი მდგომარეობა, ხოლო დაუმთავრებელი პორტრეტი იდუმალი იყო, სათვალის მიღმა ციმციმებდნენ წამოზიდული თვალები, ძლივს შესამჩნევ კლაკნილ ხაზად ჩანდა ბებრული, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერი პირი, რომელიც მზად იყო წარმოეთქვა გესლიანი თუ ირონიული ფრაზა, ოდნავი სევდა რომ დაჰკრავდა, სევდა, რომელიც ხანდახან გამოუკრთებოდა ხოლმე შუა საუბარში ჩაფიქრებისას.

„მაინც რატომ მებრალება ეს კაცი? — გაიფიქრა ვასილიევმა. — ასე მგონია, რომ ნიადაგ თავის თავს გაურბის".

— ჩემი აზრით, არა უშავს, — თქვა ვიქტორიამ, ერთხანს იდგა მოლბერტთან და ქურქგაუხდელად ჩაეშვა ვასილიევის უკან მდგარ ჭილის სარწეველაში.

ვასილიევმა გაიგონა სარწეველას ჭრიალი, გაღეღილი დუბლიონკას შარიშური და მოულოდნელი საუბრის მოლოდინში მიბრუნდა ქალიშვილისკენ; მას ხომ იშვიათად ხედავდა თავის სახელოსნოში.

— შეიძლება, მამა? შენ, მგონი, „ფილიპ მორისი" გაქვს? — შეეკითხა ვიქტორია და, პასუხს არ დალოდებია ,ისე ამოიღო გაპრიალებული მქრქალი ფრჩხილებით სიგარეტი — მარიაც ასე იღებდა ხოლმე სიგარეტს, და ვასილიევს უცებ გული შეეკუმშა ქალიშვილის ამ უძლურ, სუსტ თითებში სანთებელას ალის და მისი ნორჩი, უმანკო ბაგეებიდან გამოსული სიგარეტის კვამლის დანახვაზე; შეამჩნია დუბლიონკის გაღეღილ საყელოში გაშიშვლებული თეთრი, გედისებური კისერი, რომელიც ასევე სუსტი და უმწეო იყო უხილავი საფრთხის წინაშე, და გაიფიქრა, რომ არაფერი არ შეეძლო აეკრძალა ქალიშვილისათვის, რომ მან თამბაქოს წევა დაიწყო იმ ავადმყოფობისა და იმ დაუვიწყარი, იდუმალი ამბის შემდეგ, რაც მას ქალაქგარეთ შეემთხვა, და არც ვიქტორიას და არც მარიას აღარ უხსენებიათ შემდგომ.

— შენ ალბათ რაღაც გინდოდა გეთქვა ჩემთვის? — ჰკითხა ვასილიევმა, ვიქტორიას გვერდიდან მოუახლოვდა და ფუშფუშა თმაზე აკოცა, ნაცნობ სითბოს და სისუფთავეს რომ აფრქვევდა. — შენ იშვიათად მოდიხარ ჩემთან, ვიკა...

ქალიშვილს თვალები დაეხარა და, წარბებმოღუშული, თავისას ფიქრობდა.

— სწორედ მაგის შესახებ მინდოდა მეთქვა, მამა, — მკაცრად წარმოთქვა ვიქტორიამ. — უკვე სამი დღეა, რაც შინ არა ხარ, რატომღაც სახელოსნოში ათევ ღამეს. არ ვიცი, რა ხდება დედაჩემსა და შენ შორის, მაგრამ ყოველივე ეს უცაურია. დედა დუმს, მე კი ვხედავ, როგორ იტანჯება. გესმის, მამა? ის ხომ არავის შესჩივლებს, რაც არ უნდა ცუდად იყოს. არა, გთხოვ, გულშიც არ გაივლო! — შეასწორა ნათქვამი. — არავითარი საიდუმლოს გაგება მე არ

მყურს! მაგრამ თქვენ შორის რაღაც მოხდა იტალიის შემდეგ. ორივენი უცნაურები გახდით, და მე არ მესმის, რა გემართებათ, მამა? სახლში რაღაც სამარისებური მდუმარებაა! იცი, წინათ რემარკებს რომ წერდნენ პიესებში: სახლში ისეთი მდუმარებაა, როგორც ავდრის წინ! რა მხრიდანაა ავდარი, მამა?

ვასილიევმა გაოცებული თვალები მიაპყრო, ხოლო ვიქტორიამ ამ მზერის საპასუხოდ გაბრაზებით ჩააგდო სიგარეტი საფერფლეში, და მისი ნაზი, ქერა, ნატიფი, ავადმყოფურად ფერმკრთალი სახე, საოცრად ფართოდ გახელილი და ხშირი წამწამებით დაჩრდილული ნაცრისფერი თვალები — ყველაფერი ნაზი ,ნაცნობი, მარიასებური იყო, განსაცვიფრებლად განმეორებული მის ქალიშვილში, განმეორებული მარიასადმი მისი სიყვარულით, გენეტიკური კოდის იდუმალი ჯადოქრობით, რომელიც ოცი წლის წინათ მხოლოდ მათ ემორჩილებოდა, და რაღაცნაირმა სინანულმა თუ სინაზემ დაუარა გულში ვასილიევს.

მან სალებავით დაუსვრელი ხელის ზურგი დაუსვა ლოყაზე ქალიშვილს და უთხრა:

— მე არ გამოვცვლილვარ, ვიკა. — ბაკანთან მივიდა და საპნიანი წყლით დაუწყო რეცხვა ყალმებს. — უფრო მეტიც, — თქვა მან. დამნაშავე ღიმილით გახედა ვიქტორიას, თან იმ უბრალო, მოულოდნელ შეგრძნებაზე ფიქრობდა, რომელიც ახლა შეიცნო: „ნუთუ ეს ჩემი ქალიშვილია, სავარძელში რომ ზის. ნუთუ იგი მარიასი და ჩემი ნაწილია, ჩვენი არსი, ჩვენი ერთადერთი იმედი, ჩვენი გაგრძელება სამყაროში? რა უნდა გავაკეთო მისთვის. რათა მიხვდეს, რომ ისინი — მარია და ვიქტორია — ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასნი არიან, რომ მათ გარეშე ვერ ვიცოცხლებ...“ — უფრო მეტიც, ვიკა. ასეც უთხარი დედას: ახლა უფრო ძლიერ მიყვარხართ, ვიდრე წინათ-თქო. მაგრამ ერთხანს აქ, სახელოსნოში უნდა ვიყო, ვიმუშაო, ვიფიქრო. თქვენც დაისვენეთ ცოტა ხანს ჩემგან. თქვენ ცოტა ხანს უნდა დაისვენოთ ჩემგან, — გაიმეორა მან. — ასეა საჭირო.

— გულახდილად მითხარი, მამა, ამ ბოლო დროს შენსა და დედას შორის ხომ არაფერი მომხდარა?

„ნუთუ მოხდა?“,— გაიფიქრა ვასილიევმა, რომელიც თავის მდგომარეობაში თანაბრად გრძნობდა სიმართლესაც და სიცრუესაც. რადგან ისეთი არაფერი მომხდარა, რომ მათი ადრინდელი ცხოვრება დაერღვია, თან მოხდა კიდეც რაღაც ორივესათვის საჩოთირო, რამდენიმე ხნის წინ შეუმჩნევლად რომ წარმოიშვა, რომლის დაძლევაც უკვე უჭირდათ, როცა შინ მარტო რჩებოდნენ. და როცა სახლიდან გადიოდა და სახელოსნოში იკეტებოდა, თავის თავს არწმუნებდა, რომ ესეც უნდა დაეძლია მუშაობასა და მარტოობაში.

— ყველაფერი რიგზეა, შვილო, ჩემსა და დედაშენს შორის საშინელი არაფერი მომხდარა. — თითქმის ხუმრობით უთხრა ვასილიევმა. — ალბათ, ცოტა დავიღალეთ ორივე.

— დედა ძალიან ბევრს ეწევა. გახდა კიდეც.

— შენც ეწევი, შვილო. საჭიროა კი?

მას არ უპასუხია.

ვასილიევმა სალებავებით დათითხნილ მაგიდაზე დააწყო ყალმები, და ამ დროს შეამჩნია ვიკას მზერა, მის გვერდით მზით გასხივოსნებული უზარმაზარი შეჭირხლული ფანჯრისკენ მიპყრობილი. ის იჯდა გულგალეღილი ქურქით, იდაყვდაყრდნობილი, ნიკაპი მოხრილ სალოკ თითზე ჩამოედო; თეთრი

სუსხიანი შუქით გამსჭვალული მისი თვალები უკვე სადღაც თებერვლის დილისკენ იცქირებოდნენ, ჩაფიქრებული, შორეული და ნაღვლიანი იყვნენ, — და სიბრალულის ჩვეული გრძნობა ყელში მოაწვა ვასილიევს, სული შეეხუთა, თითქოს მისი ბრალი იყო ორი წლის წინ შვილის ავადმყოფობა. მისი ფერმიხდილობა, აი, ეს ჩაფიქრება, ესოდენ რომ აშინებდა მას, და ვასილიევმა ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ავად ხომ არა ხარ, შვილო?

— მე შინ არა ვარ, მამა, — მხრები აიჩეჩა ვიქტორიამ.

— არ გინდა მიპასუხო?

— სპილოსათვის ჯანმრთელი ვარ, — თვალები დახუჭა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და არაბუნებრივი ჩურჩულით თქვა: — ოღონდ ცოტა გული მტკივა, მამა. ყრუდ მტკივა და არ მეშვება. მაგრამ ეს არაფერია. გამიგლის. გაიგე, მამა?

— რას ნიშნავს „ცოტა მტკივა“, ვიკა?

— არ ვიცი, როგორ იქნება ჩემი საქმე. მორჩა და გათავდა.

— ესე იგი? ვერ გავიგე, შვილო, — უთხრა შეშფოთებულმა ვასილიევმა, მაგრამ მაშინვე გონს მოვიდა და მანუგეშებელი სიმშვიდით დაიწყო: — მე მგონი, საკმაოდ ნათელია, როგორ იქნება შენი საქმე ამ ხუთწლედის განმავლობაში. მაგ შენს სამსახიობოს დაამთავრებ. კინოში გადაგიღებენ. გათხოვდები...

— კარგი, ერთი, მამა! — ზიზღით წარმოთქვა ვიქტორიამ და წარბები შეჭმუხნა. — ვის უნდა მივთხოვდე? რისთვის? პირდაპირ სასაცილოა! იმ გრძელთმიან ლაწირაკებს თუ გატკიცინებულ დედიკოს ბიჭებს გავყვე, საზღვარგარეთული ჰალსტუხები რომ უკეთიათ და მარტოოდენ კარიერაზე ოცნებობენ? რატომღაც მათი უმრავლესობა დიპლომატიურ ინსტიტუტში სწავლობს. სასაცილოა! სიცარიელეა ირგვლივ, მამა. უკაცურობა, რაღაცნაირი ჩია ბიჭები არიან, მხრებვიწრო, წვრილფეხება, თვალებდათაფლულები... თანამედროვე ჰუსარები, კავალერგარდები, უზრუნველყოფილი სასიძოები! სისაძაგლეა! ჰო, მართლა, ცუღლუტმა სვეტოზაროვმა გუშინ თითქოს ხელი მთხოვა, მამა! თან სავსებით სერიოზულად. რა თქმა უნდა, ლაქლაქა, ლენჩი და თავქარიანია და, მგონი, ორჯერ თუ ოთხჯერ არის ნაქორწინები. ათამდე ბავშვი ჰყავს მომრავლებული.. .მათი სახელებიც კი არ ახსოვს! — ვიქტორიამ მოულოდნელად გადაიკისკისა, სავარძელში შეირხა და ჭერს თვალი მოავლო. — ო, რა ცუღლუტია! იმასთან უფრო თავისუფლად და უზრუნველად ვარ! ის ცრუობს და ამბობს კიდეც, რომ ცრუობს! ის თითქოს საზეიმო დღეს აშვებული საჰაერო ბურთია. უფრო სწორად — ქალის კაბას მიტმასნებული ქარაფშუტა ავანტიურისტი. მოჩვენებითი ენაჩლექისა და ლირიკული ლაქლაქას ნარევი საზოგადოებაში.

— მერე, რა უპასუხე? — ჰკითხა ვასილიევმა.

— რა ვუპასუხე? შევეკითხე, ხომ არ გინდა მამაჩემის, ცნობილი მხატვრის ვასილიევის ფულებით ატარო-მეთქი დრო. და წარმოიდგინე, არც სწყენია: რატომაც არაო, — მითხრა .მე ვუთხარი, რომ სერიოზულად მოვიფიქრებ, დალებითსაც ავწონ-დავწონი და უარყოფითსაც, წვრილად დავითვლი მისი ყოფილი ცოლებისა და ბავშვების რაოდენობას, რათა ვიცოდე, ბოლოს და ბოლოს ვისზე ვცვლი ძვირფას თავისუფლებას...

ჯერ ცოცხლად ლაპარაკობდა, ნელა ქანაობდა სარწეველაში და თავისი ნაამბობით ერთობოდა, მერე ჩაფიქრებულ სახეზე სიხალისე ჩამოშორდა და დამ-

ცინავი ზიზღის იერი გამოეხატა, ბოლოს გაჩუმდა და სულ უფრო მოუნელა ქანაობას.

— რა სულმდაბლობა და სისაძაგლეა, მამა! — ზიზღით აღსავსე ხმით თქვა ვიქტორიამ. — და რა უხამსი და უინტერესოა ყველაფერი ამ სულელურ სიყვარულში! წარმოგიდგენია, ახლა ბრიყვი გოგოები პრესტიჟის გამო თხოვდებიან! ღმერთო, შენ დამიფარე სულელი სასიძოებისაგან, რომლებიც მჭირს!

ვასილიევმა იცოდა, რომ ვერავითარი სიტყვებით ვერ გაუნელებდა ოცი წლის ქალიშვილს ამ ცივ მძვინვარებას, რაც სულში სწვდებოდა, და ქალიშვილისადმი სიყვარული მით უფრო უმძაფრდებოდა, რაც უფრო გრძნობდა მის განდგომას თანატოლთაგან, რომლებიც, საოცარია და, ნიადაგ მის გარშემო ტრიალებდნენ.

— ხომ არ აზვიადებ ყველაფერს? — არც მაინცდამაინც სერიოზული ტონით წარმოთქვა ვასილიევმა, თუმცა ესმოდა, რომ ხუმრობის საბაბი არ ჰქონდა. — ეგებ არაფრის გართულება არ ღირს? ცხოვრება თავისთავად ცხოვრებაა და განსაკუთრებით შენს ასაკში — მშვენიერია...

ვიქტორია კვლავ ნელა აჭრიალებდა სარწეველას და თან ჰერს მისჩერებოდა, ხოლო მისი მუქი ნაცრისფერი, მზით გამსჭვალული თვალები სხვაგან იყვნენ, სუსტი ულონო კისერიც ოდნავ უკან გადაეწია — პოზა გულგრილობისა, დაღლილობისა, იდუმალი განრიდებისა — და ეს ყველაფერი ნაცნობი იყო, მარიასეული, მისი ომამდელი სიყმაწვილის დროინდელი, და ამასთანავე ნაზი, შესაბრალისი, უმწეო მთელი სამყაროს წინაშე.

— ღმერთო, დამიფარე, — გაიმეორა ვიქტორიამ და სული მოითქვა, თითქოს მართლაც გამმაგებული ლოცულობსო. — მამა, შენ არასოდეს არ ხარ ხოლმე უგუნებოდ ადამიანების გამო? — ჩურჩულით ჰკითხა, ისე რომ თავი არ მიუბრუნებია. — გასაგებია, შენი პროფესია გშველის, შენ ყველა უნდა გიყვარდეს. მე კი არ შემიძლია. და იცი, როგორ მიმძიმს, მამა, რა აუტანელია ზოგჯერ დილით ადგომა!

ვიქტორიას სახეზე ბუნდოვანი ჩრდილები რიალებდნენ, და ვასილიევი გაჩუმდა, იცოდა, რაზე ფიქრობდა შვილი, მერე უხერხული სიმსუბუქით თქვა:

— არის შენს ასაკში ერთი შესანიშნავი საშუალება, შვილო, ისე იცხოვრო, როგორც ბიოლოგიური კანონი გიკარნახებს...

ვიქტორიამ გაოცებით შეხედა.

— ვერ მივხვდი, მამა. რას ნიშნავს ბიოლოგიური კანონი?

— თეორია ყველგან უსიცოცხლოა, ცხოვრების ხე კი გაფურჩქნილია.

— შენი საყვარელი გოეთედან ხომ არ არის? — ვიქტორიამ ზიზღით აიჩეჩა მხრები. — ხე? გაფურჩქნილი? ცრუობს შენი დიდი პოეტი, — მტკიცედ თქვა ვიქტორიამ. — და თუ ძალიან არ ცრუობს, ხე ოდესღაც იყო გაფურჩქნილი, მეცხრამეტე საუკუნეში, ახლა კი ხე-ტყის დამზადების გეგმის შესასრულებლად მოჭრეს. — ის უკვე აღარ ირწეოდა სავარძელში, წარბები უთრთოდა, თითქოს იცინისო. — შენ ვერ შეამჩნიე, როგორ ცდილობენ ადამიანები, რომ ხატოვნად ილაპარაკონ? ყურადღება არ მიგიქცევია? მე კი ვიცი, რატომ. კარგად რომ შეინიღბონ. აი შენც კი, ეგრეთ წოდებულმა პროგრესულმა მხატვარმა ასეთი საახალწლო ნაძვის ხის სათამაშო მაჩუქე გასართობად: „ცხოვრების ხე კი გაფურჩქნილია“. რისთვის, კეთილო მამაჩემო, რა აზრი აქვს?

— რაც არ უნდა ვთქვათ მე და შენ, ვიკა. — უთხრა ვასილიევმა. — ჩვე-

ნი ცხოვრება მაინც საინტერესო რამაა, ახალგაზრდობაც შესანიშნავი საჩუქარია, რომელსაც, სამწუხაროდ, სწრაფად გვართმევს დრო. შენ ეს საჩუქარი ჯერჯერობით გაქვს — და შორს ყოველგვარი სამოედობა! ასე, ვიკა! სწორედ აქ არის ბიოლოგიური კანონის არსი.

— გაუმარჯოს ბიოლოგიურ კანონს შრომითი და იდეური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც ცხოვრებაში ხორცს ასხამს წინასწარგანზრახულობებს, — თქვა ვიქტორიამ და ცხვირიც კი გაასრუტუნა, რითაც ლექტორის ჩლუნგი თვითკმაყოფილების ალტაცება გამოხატა, — მქუხარე ტაში — და ასე შემდეგ. ბატებო, ბატებო, ყი, ყი, ყი... გშიათ, გშიათ? კი, კი, კი. სახლში მოდით! ვერ მოვალთ, რუხი მგელი თათებს გვხევს...სისულელეა! რას დაგვაკლებს რუხი მგელი! — ვითომდა გამარჯვებულის ალტაცებით შესძახა ვიქტორიამ და მსუბუქად წამოხტა, სარწეველა გააჩერა, დუბლიონკის კალთა კალთაზე გადაიდო, აქაოდა, ყველაფერი ბედნიერად, მშვიდობით დამთავრდაო. — ამიერიდან სიცილით ავიქვათ ცხოვრება!

და იგი სიცილით მიუახლოვდა სარკეს, ძველს, გაყვითლებულს, რომლიდანაც იფრქვეოდა თებერვლის მზიანი დღის თოვლიანი შუქი, შეათვალიერა თავისი სახე, თან ჯიუტად იჭმუხნიდა წარბებს, მერე ნეკი გადაისვა წარბებზე და მხიარულად თქვა:

— მამა, სტუმრებს ხომ არ ელოდები?

— არა.

— შენთან არავინ არ უნდა მოვიდეს?

— არავინ. რატომ მეკითხები?

მან ხელი მოიკიდა ბიბილოზე, რომლებზედაც ვერცხლისფრად ბრწყინავდა საყურე.

— მამა, შეიძლება გაგძარცვო? შენ იცი, რაზეც გეუბნები, და თუ არა გაქვს, არ მეწყინება და სტიპენდიამდე გავძლებ... თუმცა ის, რაც მე ვნახე, ჩემი ხუთი სტიპენდია ღირს. განებივრება ანტიპედაგოგიურია და ახალგაზრდობას აფუჭებს. ჰა... შეიძლება, ჰა?

— რა არის გაძარცვის მიზეზი? — ჰკითხა ვასილიევმა, ხელები ჩვრით გაიწმინდა, ტუმბოს კარი გამოაღო და გამოსწია უჯრა, სადაც ფული იდო. — საიდუმლოა, ვიკა?

— საყურე. შიგ საუცხოო ზურმუხტებია ჩასმული. თუმცა არა, არ არის საჭირო. არც ისე კარგია. უგემოვნოც კია, უჩვეულოდ სულელური, და ყველა კომოდისნაირი დედაკაცი, ფეხებმოქცეული მეშჩანი გამაჩერებს ქუჩაში და მკითხავს, სად ვიყიდე. ო, რა საძაგლობაა!..

ვიქტორია ზიზღნარევი გაგულისებით მოშორდა სარკეს, მერე კვლავ ღიმილი შეაგება საგონებელში ჩავარდნილ ვასილიევს, რომელსაც ტუმბოს უჯრა ბოლომდე არ შეუწევია, სწრაფად მიუახლოვდა და კი არ აკოცა, ცხვირის წვერით შეეხო ლოყაზე და უთხრა:

— მამა, სულ ნუ დაგვივიწყებ. ჩვენ არც ისე ცუდები ვართ და არც ისე კარგები, მაგრამ მაინც ქალები ვართ, შენ კი ერთი გვყავხარ, ნახვამდის!

ის იყო ვიქტორია კარისკენ გაემართა, რომ ტელეფონი აწკრიალდა. ქალიშვილმა მამას შეხედა, აწეული წარბებით ანცად და თამამად ჰკითხა: „მოგეხმარო, ჰა?“ — ყურმილი აიღო და მანერული გაჭიანურებით წარმოთქვა: „დი-ი-ახ“, — და წუთიერი შესვენების შემდეგ, რაღაც როლის შესრულებით ნასიამოვნებმა, შეუვალი ქედმაღლური ტონით წარმოთქვა:

— თქვენ შეცდით. ვიკა შინ არ გახლავთ. არის ვიქტორია, უფრო სწორად — ვიქტორია ვლადიმიროვნა. არაფრის. ვღებულობ თქვენს ბოდიშს და გთხოვთ სხვა დროს აგრე აღარ დამიძახოთ. რამდენადაც ვიცი, ვიკა რაღაც ბალახია. როგორც სამყურა თუ ბარდა, იცით თუ არა თქვენ? მე ვთქვი, რომ ვღებულობ თქვენს რაინდულ ბოდიშს. არა, ის არ არის სახელოსნოში, წავი-და. როდის იქნება, არ ვიცი. რა გადავცე? ვინ დარეკა? აჰ, კიდევ დარეკეთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

ყურმილი დადო და წამსვე თქვა:

— ვინაობა არ დაუსახელებია. მაგრამ, მე მგონი, კოლიცინია. ოპერის სოლისტის წარმატებებით მოსუყებული ხმაა. ნამდვილად სჭირდები. — გაუ-ღიმა და გამოთხოვების ნიშნად თითები დაუქნია. — ნუ დაგვივიწყებ, მამა! წავედი.

„არავის ნახვა აღარ მინდა ამ საძაგელ ქვეყანაზე!“ — მოაგონდა ვასილი-ევს აქვითინებული ქალიშვილის შეძახილი ავადმყოფობის დროს ორი წლის წინათ, მაგრამ მოაგონდა უწინდელი სიმწვავის გარეშე, უკვე გაყუჩებული ტკივილით, როცა დერეფანში ვიქტორიას ჩექმების ბაკაბუკი შეწყდა, და გაი-ფიქრა, რომ იგი კადნიერი, მოჩვენებითი სიმსუბუქით იყუჩებს ბოლომდე მო-უშუშებელი ჭრილობის ტკივილს, რომ თვითონაც არ დავიწყებია თავზარდამ-ცემი სასოწარკვეთა ავადმყოფი ქალიშვილისა, ვისაც იმ ავადმყოფობამდე, მგონი, არც იცნობდა, რადგან საყვარელ ბავშვად მიაჩნდა, ბავშვად, რომელსაც ხშირად მოწიფულ ქალად მოჰქონდა თავი.

მერე ვასილიევი სახელოსნოში დადიოდა და გვერდიდან უცქეროდა შჩეგ-ლოვის დაუმთავრებელ პორტრეტს, რომელიც არაზუსტი, მეტისმეტად ნერვიუ-ლი, უხეში, ნაჩქარევი იყო გადასვლებისას. და, დღევანდელი დილით უკმა-ყოფილო, ფიქრით კვლავ უბრუნდებოდა მარიას ,ვიქტორიას. ვასილიევს დი-დი ხნის მოუნელებელი დანაშაულივით არ ტოვებდა და უჩუმრად აწუხებდა სულიერი მოდუნება. დროდადრო რომ ახსენებდა თავს უკანასკნელ წლებში, როცა მუშაობით იქანცებოდა და მარტო იყო.

ტელეფონის ზარმა მეორედ დაარღვია და ულმობლად დაამსხვრია სახე-ლოსნოს მდუმარება. დაღლილობის შინაგანი თრთოლვით აღსავსე ვასილიევ-მა, რომელიც რატომღაც მარიას ხმის გაგონებას შიშით მოელოდა, გაუბედავად აიღო ყურმილი და გაურკვევლად თქვა: „შენა ხარ, მაშა?“ მაგრამ ყურმილში აჟღერდა მსუყე ხავერდოვანი ბარიტონი, რომელიც საამოდ თრთოდა და ხელ-საყრელ სამოსში ხვევდა სიტყვებს:

— ვლადიმირ ალექსეევიჩ, ძვირფასო ვალოდია, გთხოვ მომიტევო, დი-ლიდანვე რომ გირეკავ სამუშაო საათებს. ოლეგ კოლიცინი ვარ („ვიკამ გა-მოიცნო — ის არის, უკვე მერამდენეჯერ რეკავს! რა უნდა?“). ვლადიმირ, ძვირფასო. იმ ღამეს შეგაწუხე, ძაღლივით ვიყავი დაქანცული, აღგზნებული, იდიოტიზმამდე ნერვებაშლილი, ასე რომ ავად ნუ მახსენებ და სულგრძელად მომიტევე! და თუკი რაიმე მივქარე, გინდა მუხლმოყრილი საჯაროდ შეგთხოვ პატიებას? — მან გულღიად გადაიხარხარა არაგულღვარძლიანი, სულგრძელი, საკუთარი თავის დასჯისათვის მზად მყოფი კაცის სიცილით, და ვასილიევმა გაიფიქრა, რომ მართლაც არ სურს ახსოვდეს იმ ღამეს კოლიცინის მოსვლა და მათ შორის საუბარი. — სხვა დროს, ვლადიმირ, ადექი და კინწისკვრით გააგდე აბეზარი მნახველები, როცა ძილის დრო იქნება და არა ენის ტარტა-რის. ახლა კი საქმის თაობაზე გირეკავ. ვალოდია, ჩვენი საზღვარგარეთული

კომისიის დიდი თხოვნით... შეგიძლია თუ არა მიიღო ერთი უცხოელი, რომელიც ესოდენ ისწრაფის შენკენ? უფრო სწორად, ასეა საქმე: ეს არის მარტოხელა უცხოელი ტურისტი, იტალიელი, უფრო ზუსტად — რუსეთიდან გადახვეწილი, ეროვნებით რუსი. არ შეგეშინდეს, არ შეგეშინდეს... ჩამოსვლის მიზანი: მას უნახავს შენი გამოფენა რომსა და ვენეციაში და სურს ინახულოს შენი სახელოსნო, თუკი, რა თქმა უნდა, ნებას დართავს [illegible] ერთი, ვალდია, და გამონახე მისთვის დრო, რადგან ამას მე არ გთხოვ...

ვასილიევს არც ერთი სიტყვა აღარ გაუგონია; კოლიცინის ბარიტონმა მაშინვე დაკარგა თავისი მრავალგვარი შეფერილობა, ბგერათა სიმსუყე და შეირწყა ნაცრისფერ ტალღისებურ ზოლად, და მისი არსდაკარგული ხმის მერყევი რხევის მიღმა არცთუ ისე მკაფიოდ და არცთუ ისე გარკვეულად წარმოუდგა, რომ, ეტყობა, მასთან შეხვედრას ცდილობს მოსკოვში ჩამოსული ილია რამზინი, რაშიც ვასილიევს აღარ შეიძლებოდა ეჭვი შეჰპაროდა, თუმცა დაუჯერებელი კი იყო, როგორ შეძლო ტურისტად ჩამოსვლა, ვიზისა და ბილოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვის მიღება იმ რუსმა ადამიანმა, რომელიც ორმოცდახუთ წელს ტყვეობიდან სამშობლოში არ დაბრუნებულა... შარშან ვენეციაში ილიასთან შეხვედრის შემდეგ ვასილიევმა რომში საბჭოთა ელჩთან მიღებაზე თავისი მგზავრობის შთაბეჭდილებებზე საუბარში არცთუ ისე მტკიცედ და დაბეჯითებით, მაგრამ მაინც გადასცა ელჩს, რომ მისი ბავშვობის მეგობარი, რომელსაც ცოცხალს წააწყდა უცხოეთში, შემოდგომის ნისლიან იტალიაში, რაც მაშინაც და ახლაც სიზმარს, ალგზნებული წარმოსახვის მოზღვავებას ჰგავდა ,ვიზას ითხოვდა. და ვასილიევი, რომელსაც ყურმილში ბუნდოვნად ესმოდა კოლიცინის სადღაც შორიდან მოდენილი ბარიტონი, ხრინწიანად ჩაეკითხა:

— ვინო? იტალიელიო — თქვი? წარმოშობით რუსი? გვარად რამზინი?

და უხილავი კოლიცინის გახარებულმა ხმამ ფერთა სრული სიმსუყე მიილო ყურმილში:

— დიახ, დიახ, დიახ! სინიორ რამზინი, ილია პეტროვიჩი. ნუთუ იცნობ?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, — მიუგო ღელვისაგან ოფლში გახვითქულმა ვასილიევმა, რომელსაც სურდა დამჯდარიყო, თვალდახუჭული მისვენებულიყო სავარძელში და გაეხსენებინა შარშანდელი საუბარი ვენეციის ოტელში საუზმობისას ოქტომბრის მზიან დილას, რომელიც უფსკრულზე გადებული საოცრად სუსტი ლატანით უკავშირდებოდა მეორე დილას, ორმოცდასამი წლის ზაფხულის ცხელ უკრაინის დილას, როცა მოხდა ყველაფერი, რომელსაც არც თვითონ მოელოდა და არც ილია..

## თავი მეათე

ფიჭვნარის პირას თბილ ფესურებზე ჩამოსხდნენ, გიმნასტურების საყელოები შეიხსნეს და სიამოვნებით ისუნთქავდნენ მაცოცხლებელ სიგრილეს. რკინიგზის მიწაყრილის გასწვრივ მოჩუხჩუხე ნაკადულიდან რომ მოედინებოდა. მარჯვნივ თეთრად მოჩანდა უკაცური ქვიშიანი გზა, დაბლობიდან თითქმის დანგრეულ ძელურ ხიდამდე ადიოდა და იმ ნაპირას წყდებოდა, სადაც გადასასვლელთან ზოლიანი შლაგბაუმი აღმართულიყო, ხოლო მარცხნივ, მზით გავარვარებული მიწაყრილის ძირას, სახურავის კიცურა ჩანდა. მწვანედ გაფურჩქნილიყო და ბალახზე დაფოთლილ ჩრდილებს აფენდა წყლამდე გაშენებული ვილაცის ბაღი.

— იქით კი, ასე ვთქვათ ,ნეიტრალური ზოლი იწყება, — მხნედ თქვა სერჟანტმა შაპკინმა, რომელიც, ფიჭვს მიყრდნობილი, მარაოსავით იქნევდა პილოტურას და გაოფლილ სახეს იგრილებდა. — გუშინ ამ რაიონში ორი ქვეითი ჯარისკაცი იყო. „მაქსიმს" უსხდნენ. რკინიგზაზე კი სხვა არავინ იყო. არც ჩვენები, არც თქვენები. ეგებ მარტო ჩვენი მშობლიური არტილერია იყო! — თქვა მან და, გახალისებულმა, თავი მარჯვნივ გადაიქნია: იქ, ტყის პირას, [illegible] დაყრილი ქვიშის ბორცვები იდგა. — ქვეითი ჯარისკაცები კი ტყის კაცებმა შეჭამეს! სიცილით მოკვდება კაცი! არტილერია ქვეითი ჯარის მაგივრად დგას!..

„რა უნარია ამ შაპკინს? — გაიფიქრა ვლადიმირმა და ილიას გადახედა. — რატომ მოჰგვარა სიცილი ქვეითი ჯარის არყოფნამ?"

ილია ფესურაზე იჯდა; გაზინთული, შუბლზე მიწებებული თმიდან პილოტურა უკან გადაეწია და მდუმარედ გასცქეროდა რკინიგზის მიწაყრილის, ხიდის ახლოს გამავალ ქვიშიან გზას, და მოსალოდნელი რისკის ინტერესით თვალები მოეჭუტა.

— რაკი გერმანელები მიწაყრილზე დარჩნენ, — თქვა ილიამ, — მათი სნაიპერებიც სადღაც ისხდებიან. ესე იგი, ნაკადული, ბაღი, რკინიგზა — მთელი ეს ნეიტრალური ზოლი შეუძლიათ გამოთოფონ, სწორად მესმის, ვალოდკა? რუკა ასეთ შემთხვევაში ვერაფერსაც ვერ აგვიხსნის. ქვემეხებთან მივიდეთ, შევამოწმოთ. იქიდან დავინახავთ, რა და როგორ არის.

ილია წამოხტა, მას მიჰყვა შაპკინი, გერმანულ ჩექმებსა და საუცხოო ქამრებიან გერმანულ გალიფეში გამოწყობილი, მკვირცხლი, ჯანმაგარი, ცისფერთვალება, ვაჟკაცური მიხრა-მოხრით, რომელიც ისეთი აზარტული მოთამაშის შთაბეჭდილებას ქმნიდა, თამაშს რომ არასოდეს არ აგებს, სიკვდილის შიში არ აქვს და სიცოცხლესაც აბუჩად იგდებს. მისი ასეთი ქცევა ყველას თვალწინ ვლადიმირს აღიზიანებდა, თუმცა მას მოსწონდა შაპკინის სიმკვირცხლე, ადვილად აშყოლი ხასიათი, უბოდიშო ბალღური პატივმოყვარეობა. შაპკინი დამსახურებულად ღებულობდა ჯილდოებს ყოველი ბრძოლის შემდეგ და წინ ბრექდა ხოლმე მკერდს, რომელზედაც ჯილდოები უწკრიალებდა, ულივლივებდა, ოქროსფრად უბრწყინავდა, და სიცილით ამბობდა: ომი დამთავრდება, ოსტაშკოვში დავბრუნდები, „საბრძოლო მენდლებს" დავიკიდებ და ქუჩაში რომ გავივლ-გამოვივლი, მთელი გოგოები პირს დააფჩენენ და ფანჯრებიდან პირდაპირ ქვაფენილზე გადმოხტებიანო. არც იმას მალავდა, რომ თუ შემთხვევა მიეცემოდა (რა თქმა უნდა, თუ ბედი გაუღიმებდა), არც ვარსკვლავზე იტყოდა უარს, და ერთხელ ვლადიმირის თანდასწრებით ჰკითხა ილიას, შეუძლია თუ არა რომელიმე ოფიცერს სისხლით მოპოვებული წარმატებისათვის გმირობაზე წარმადგინოსო.

მაინც არ უყვარდა იგი ვლადიმირს ქოთქოთობისა და მოვერცხლილი გერმანული სასულე გარმონის გამო, რაზედაც დაკვრა სერჟანტმა შაპკინმა არ იცოდა (მხოლოდ აწრიპინებდა და აზუზუნებდა), მაგრამ სულ გულის ჯიბით დაატარებდა გამოსაჩენად და სიარულით თუ მიხრა-მოხრითაც ყველაფერში ყოჩაღ ბიჭად მოჰქონდა თავი. ახლა, როცა შაპკინი ოქროს ორდენის წკრიალით მარდად გაჰყვა ილიას, ვლადიმირმა იფიქრა, აქ, ნეიტრალურ ზოლში, სერჟანტი ოფიცრების წინაშე შეუპოვარი კაცის როლს თამაშობსო, და უკმაყოფილოდ უთხრა:

— აი, დაგიცხრილავთ მიწაყრილზე მჯდარი სნაიპერი მაგ თქვენს კანკელს და

მაშინ ნახავთ. ვერ გამიგია, რატომ არ მოიხსენით ორდენები? მე მგონი, გე-გოები არ გითვალთვალებენ ფანჯრებიდან!

— ვერაფერსაც ვერ დამაკლებენ! — აზარტულად მიუგო შაპკინმა, თით-ქოს მორიგი გასართობის საცქერლად იწვევსო. — არა, არ ისვრიან აქ ცოც-ხალი ფრიცები. გუშინ საღამოს აქაურობა მოვათვალიერე. როგორ ფიქრობთ, საიდან მოვზიდე პამიდორები? ბაზრიდან? არა, იმ [illegible]დან. ხედავთ, გაღმა ბაღი რომ თავდება? აი, იქ მივფორთხდი [illegible] და მი-ვაღწიე. ქვეითი ჯარისკაცები კი... იქ ისინი ნოლი მთელი და ნოლი მეათედი არიან, ორი ხელის ტყვიამფრქვევი ყოველი შემთხვევისათვის...

— ყოჩაღ, შაპკინ, — გულცივად მოუწონა ილიამ. — რაღას უცდი, ვასი-ლიევ, მიგვიყვანე შენს ქვემეხთან. რატომ გავჩერდით?

უკვე ცხელი შუადღე იყო და ხვატი სცემდათ სახეში. გახურებული წიწ-ვის, გამდნარი ფისის, მდინარიდან მოდენილი ქვიშის სუნით გაჟღენთილი საოცარია და — გაღმა ბალახში შეუსვენებლივ ჭრიჭინებდნენ კუტკალიები, უკრაინული მზის სხივებით დაფრქვეული, შუადღის სიზანტით მოცული მთე-ლი ბაღიც, წნულ ღობესთან აღმართული ალვის ხეების მტვრიან ფოთლებით რომ სჭრიდნენ თვალს, მათი გაცხარებული ჭრიჭინით იყო ავსებული.

— კიდევ ვის მობეზრებია თავი? — ხმადაბლა გამოსძახეს ტყისპირა ბორცვზე გაჭრილი სანგრიდან, ბრუსტვერიდან ვიღაცამ ზანტად ამოყო თავი და ისევ მიიმალა. — თუ ჩვენიანები ხართ, გაიარეთ. აქ არაფერი გესაქმებათ, თუ უცხოები ხართ, მაგ სათუთუნეს გაგიხვრეტ და უსაბუთოდ დარჩები, გესმის თუ არა?

— შენა ხარ, ლაზარევ? ეს მე ვარ, მეგობარო! ოფიცრებთან ერთად მოგ-დივარ! — ანცად შეეხმიანა წინ გამომხტარი შაპკინი და სიცილით წარმოთ-ქვა: — რა დაგემართა, ლაზარევ, შენიანებს გინდა დააყარო ცეცხლი? შნაპ-სმა ხომ არ გიწია?

— ნუ ლაქლაქებ, ზღარბის უკანალო. რახან ოფიცრები მოგყავს, სანგარ-სავალში ჩამოხტი!

აქ, ბორცვზე, ამას წინათ ვიწრო სანგარსავალი გათხარეს, რომელიც ტყე-დან იწყებოდა, და ამ სავალით შევიდნენ ისინი ქვემეხის გრილ სანგარში, სადაც ორი არტილერისტი გულაღმა იწვა სადგარებს შორის, თაფლით სავსე ფიჭით გამოტენილი კარდალის ახლოს, ეტყობა, გვიან ესაუზმათ ან ადრე ესა-დილათ. დაფენილ ლაბადა-კარავზე ეყარა მზეზე მოლაპლაპე პამიდორები, წვრილი კიტრები, ხაშხაშის ლილისფერი თავები. იქვე იდგა წყლით სავსე ბრტყელი კარდალა.

— დანარჩენები სად არიან? — იკითხა ვლადიმირმა, რომელსაც გაუკვირ-და, რომ საქვემეხო ბაქანზე კაციშვილი არ იყო.

სადაზვერვო ათეულის მეთაურმა ზემდეგმა ლაზარევმა, სქელ-სქელმა, ყბებგანიერმა კაცმა, ჯაგარივით ქერა წვერი რომ მოზრდოდა და ცხვირის ნეს-ტოები ბოროტად დაბეროდა, მოსულებს გამოხედა, მაგრამ წამოდგომა არც უფიქრია (არადა, წესდებით ასე არ იყო მიღებული ოფიცრებთან მისალმება). წამოწოლილმა გამოსძახა დათვური ბანით:

— გუშინდელი ალიაქოთის შემდეგ სძინავთ. გონს მოდიან. ერთად ცეკ-ვავს რუსი, ფრიცი — კრაკოვიაკი ვინ არ იცის!.. შემოდით, ოფიცრებო, დას-ხედით, შევხეთქოთ რამე.

— თაფლიანი ფიჭა ალბათ თქვენს დღეში არ გაგისინჯავთ? — მაამებლად

ჰკითხა მესაკეტე კალინკინმა, ხმელ-ხმელმა, ძარღვიანმა, ასევე წვერმოშვებულმა კაცმა, გამხდარი კისერი რომ ამოსჩროდა გიმნასტურის გაოფლილი საყელოდან. — ფიჭა აიღეთ, კიტრებიც გასინჯეთ. მიირთვით, ამხანაგო ლეიტენანტო, სანამ მდიდრები ვართ. თორემ მოგონებებიღა დარჩება.

მან კარდალიდან ამოიღო მოოქროსფრო ყვითელი ფირფიტა, რომლიდანაც თაფლი წვეთავდა. ნახევარი მოკბიჩა და ღეჭვას და წუწნას მოჰყვა [illegible] ყისფერი წვეთები სწყდებოდა ფიჭას, წურწურით ჩამოსდიოდა [illegible] გლეჯილ ხელზე. ის კი რატომღაც ვერ ამჩნევდა ამ ბლანტ, წებოვან სითხეს, მაჯაზე რომ ულიტინებდა.

— საიდან გაქვთ სურსათის მარაგი? — დაინტერესდა ილია, შაპკინთან ერთად მოურიდებლად ამოიღო კარდალიდან კაი ზორბა ნაჭერი, გიმნასტურაზე რომ არ დასწვეთებოდა, დაიხარა და მადიანად დაუწყო წუწნა თაფლიან ვაფლს. თან ლაზარევს უყურებდა. — სკა გახსენით თუ გერმანელები გიყრიან პარაშუტებით? — ჰკითხა დაცინვით. — ეგებ მშობლიური სამზარეულო გამარაგებთ თაფლით?

— მომხედე, ლეიტენანტო, — ზანტად უთხრა ხემდეგმა ლაზარევმა. — ჩვენ ბიჭებს ნუ ეხუმრები, ჩექმაში აქვთ ბებუთები. აგერ იქ, გაღმა გაიხედე, ლეიტენანტო. თუნუქის სახურავს ხედავ? სახლსაც ხედავ?

— ვთქვათ, ვხედავ. მერე?

— მერე მხრებმა არ გამიშვეს, ლეიტენანტო, თავი შემეტია, მხრები — არა. — გესლიანად მიუგდო ლაზარევმა ხრინწიანი ბანით. — აგერ იქ, ნეიტრალურ ზოლში, ჩვენი სასურსათო ბაზაა, ჩახვდი?

— ღელეს გაღმა ბრძოლა არ ყოფილა. — ჩაურთო ვლადიმირმა. — და არც ცეცხლი მიგვიმართავს.

მხოლოდ ახლა გამოჩნდა ჩამწკრივებულ ალვებს იქით, ბაღის სიმწვანეში მოლაპლაპე თუნუქის დამრეცი სახურავი, სახლის შეთეთრებული კედელი, ვაშლის ხეების ჩრდილებით რომ იყო აჭრელებული და პარმაღთან სურო მოსდებოდა, — და შეუცნობი უცხო მყუდროებისაკენ გაუწია გულმა, ისევე როგორც გამთბარი ჰაერი ძიიწევს მაღლა.

— ვინ არის სახლში? — იკითხა ილიამ და თაფლიანი ვაფლი პირთან მიიტანა. — ვფიქრობ, გერმანელები არ იქნებიან. რაკი ნადავლისათვის დაძვრებით იქ. მაშ სად არიან გერმანელები? მიწაყრილს იქით?

— მეკავშირეს ჰკითხე, — ბოროტად დაებერა ნესტოები ლაზარევს და შაპკინს მიუბრუნდა, რომელიც კბილებით ჩაფრენოდა გადამწიფებულ პამიდორს. — თავად გახლდა ნეიტრალურ ზოლზე და თავადვე გიამბობს წესდების მიხედვით.

— წესდებით ეს სადაზვერვო ათეულის მეთაურმა უნდა იცოდეს, — ციევად უთხრა ილიამ. — ამიტომაც გეკითხები.

— ვილას უნდა ვუპასუხო შეკითხვებზე! — ჩაილაპარაკა ლაზარევმა და ნესტოები შეატოკა. — აღარ არის, ვისაც ვუპასუხებდი ხოლმე. გუშინწინ დავმარხეთ.

— რას ილრინები, ზემდეგო? — შემრიგებლურად გაუღიმა შაპკინმა და მეორე პამიდორი აიღო. — ადამიანურად გეკითხებიან, შე უხიაკო!

ხარბად ჩააფრინდა კბილებით პამიდორს, წვენი შეესხა გულზე, აწკრიალებული ორდენები სახელოთი გაიწმინდა და ხალისიანად ალაპარაკდა:

— გერმანელები იქ არ არიან. სახლში კაცი სულიერი არ არის. ამხანაგო

ლეიტენანტო. როცა გადავძვერი და პირველ რიგში ქოხში შევიხედე — ყველაფერი სუფთადაა, დაკრიალებული, ავეჯი ადგილზეა, იარაღებიც ჰქონიათ, ისე კი კაცის ჭაჭანება არ არის. ეტყობა, მოუსვეს, როცა აქეთ-იქიდან სროლა ატყდა. ასე მგონია.

— აგრეა, მაგრამ არც აგრეა, — არ დაეთანხმა ლაზარევი. — სახლში დედაკაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— უყურე შენ! მე კი ვერ შევნიშნე! — შესძახა შაპკინმა და თვალის ჩაკვრით რაღაც ანიშნა დანარჩენებს. — ახალგაზრდაა?

— მერე შენ რა? ხბოსავით არ გაუხარდა! — ცივი წყალი გადაასხა ლაზარევმა. — გატყობ, ტყუილად არ მოგიგროვებია ერთი ტომარა ორდენები და მედლები! დიდი მუსუსი გვყავხარ, დიდი მუსუსი, სერჟანტო!..

— შენ ჩემს ორდენებს თავი დაანებე, შე ცხვირბუშტავ, შენა!.. — შესძახა შაპკინმა, სახე დაეძაბა და ყურები დაეცქვიტა, როგორც კამარის შესაკრავად მომზადებულ ნადირს. — რამ გამოგაჩერჩეტა? შენ, მზვერავო, მეკავშირეებს ნუ გვკბენ, თორე მე არც საჯარიმოსი მეშინია... გაიგე?

— მე დიდი ხანია გავიგე ყველაფერი, როცა შენ ჭიპშიშველი ხიწვებზე დაფოფხავდი.

— ზედმეტი ხომ არ დალიეთ, ლაზარევ? — მკაცრად გააწყვეტინა ვლადიმირმა ზემდეგს და პირმოღუშულმა უთხრა ილიას: — გუშინ სამზარეულოსთან ერთად არყით სავსე კანისტრა მოიტანეს მთელი ოცეულისათვის, დანაკარგი კი რამდენია, მოგეხსენება...

ლაზარევმა ფიჭიდან გამონაწვეთ თაფლში ჩააწო კიტრი, მოკბიჩა, ზანტად აამოძრავა ყბები და თავდაჯერებული კაცივით მშვიდად ჩაუკრა თვალი ილიას:

— ჰო-ჰო! ოცეულისთვის მოიტანეს და ერთ ქვემეხს ერგო. ნამდვილად სამოთხეში ვართ! ორ თვეს ვუტევთ. სისხლში ვცურავთ, „ვაშა“, „ვაშას“ გავიძახით, მერე არყით მკვდრებს ვადღეგრძელებთ. კალინკინ, შენ გეუბნები! — ომახიანად გასძახა მან. — ჩამოუსხი კანისტრიდან ოფიცრებს, თორემ ძალიან ღელავენ, გერმანელებზე დარდობენ! სად არიანო? იმათ გარეშე რაღაც მოიწყინეს!

— ჩამოსხმა არ ღირს. არ დავლევ. ამ ზღარბა ბიჭებს უყურე ერთი, — თქვა ილიამ, გაღმა მდებარე ბაღს გახედა და უგულისყუროდ იკითხა: — მართლაც სად არიან ისინი?

— ახლავე დაინახავ, ლეიტენანტო! ბაღის მარცხენა მხარეს გაიხედე!

— როგორ გავიგოთ, ზემდეგო?

— გაიხედე-მეთქი, გაიხედე!

— კიდევ დიდხანს გაგრძელდება ყბედობა, ლაზარევ? მე უკვე მომბეზრდა, — წარმოთქვა სადაზვერვო ათეულის მეთაურის უხეში თავდაჯერებული ტონით შეურაცხყოფილმა ილიამ და ცივად გაიმეორა: — გეკითხები: კიდევ დიდხანს გაგრძელდება?

— მე კი არა, სულელი ყბედობს ხოლმე. გეუბნებით — დროებითი ზავი გვაქვს გერმანელებთან, — ჩამკვდარი ხმით მოუჭრა ლაზარევმა, მაგრამ მაშინვე დაიხედა ჩადავლ საათზე და კიტრი ბოლომდე არ დაუღეჭავს, მისი ნარ-

ჩენი ფეხებთან დააგდო. — გაიხედე-მეთქი, ახლა გერმანელები გამოძვრებიან, მათი დროა.

ზორზოხა, ძლიერი ტანი მძიმედ წამოსწია, ილიას მიუახლოვდა და, მოუხეშავმა, დენთით და ოფლით გაჟღენთილმა, ბაღის მარცხენა მხრისკენ გაიშვირა თითი:

— აგერ იქ, ჟოლოს ბუჩქებს უკან, პამიდორის, კიტრის და საზამთროს პატარა ბაღჩაა, ჰოდა, იქ ვბალახობთ. ჩვენ — სადილობამდე, ფრიცები — ნასადილევს. აგერ, ერთი ჩამოფორთხდა უკვე მიწაყრილიდან... შეხედე, ლეიტენანტო!

ზაფხულის მყუდროება — ღამით რაკეტის გაუსროლელად და დღისით მორიგი გასროლის გარეშე — გუშინწინდელი საღამოს შემდეგ არ დარღვეულა. მას შემდეგ, რაც ბინდბუნდში გერმანელებმა, როგორც იქნა, უკან დაიხიეს, ბრძოლა მიწყდა და მოკლულები დაასაფლავეს. ახლა კი ივლისის სიცხის ზღაპრულმა სიმშვიდემ, კუტკალიების ჭრიჭინმა, თბილი ბალახის სუნმა, ქვიშის სიგრილემ, ვაშლის ბაღის სიმწვანემ სადღაც შორს გადასწია ომი, გერმანელები, ბრძოლა, ტოლის გუშინდელი სიმყრალე, მეორე ქვემეხის დაღუპვა, ცხრა მთას იქით გადასწია, — და როცა ვლადიმირმა რაღაც მოძრაობა შენიშნა მუქ ჩრდილებს შორის ჟოლოს ბუჩქებში ბაღის მარცხენა მხარეს, საითაც ლაზარევმა გაიშვირა თითი, არათუ სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია მისი ნათქვამისათვის, არამედ იფიქრა, რომ მას, ოცეულის მეთაურს, და დღეს ბატარეის მეთაურის თანამდებობაზე დანიშნულ ილიას ბოროტად დასცინოდნენ, და მან მკაცრად ჰკითხა ლაზარევს:

— ეს რა დროებითი ზავია? რა სისულელეა?

— ჰოო, შენთან ხუმარებს მოუყრიათ თავი, ვასილიევ, — თქვა ილიამ. — სიცილით მოკვდება კაცი. მაშ, დროებითი ზავი დადეს? ყოველთვის ასე იქცევიან? სადაზვერვო ათეულის მეთაურიც სამასხაროდ მოიწვიეს შენს ოცეულში? რას აყუდებულა ზემდეგი შენს ქვემეხთან?

ვლადიმირი დუმდა. უეცრად ტკივილმა თვალები დაუბინდა, გული დაუმძიმა, თავბრუ დაახვია. ყურები უწიოდა. მის თვალწინ ყველაფერი რწევარწევით მიცურავდა. ჭურვების ყუთზე გადაწვა და ზურგი და კეფა ქვემეხის სანგრის კედელს მიაყრდნო, ეგონა, რომ მიწის შეხება გულისზიდვის გამომწვევ ტკივილს გაუნელებდა, გუშინწინდელი კონტუზიის შემდეგ რომ აწუხებდა. თავბრუს ასეთი შეტევისას ციებცხელებიანივით აკანკალებდა, კბილზე კბილს აცემინებდა და არ იცოდა, როგორ გაეთბო გაყინული ხელები და შქვდრისებრ გალურჯებული ფრჩხილები.

„არა, არა, ეს კონტუზია არ არის. ალბათ პამიდორმა მომწამლა“, — ფიქრობდა ვლადიმირი და თან იჭმუხნებოდა იმის გახსენებაზე, თუ გუშინ, დღისით ჩამოვარდნილ სიჩუმეში როგორ გამოძღა ქვემეხის მთელი გათვლა პამიდორით, რომელიც ზურგჩანთებით მოიტანა ლაზარევმა გაღმიდან, როგორ გაჭრა გერმანული ხიშტით ჭურვის ყუთზე მიწით მოსვრილი, მზეზე გახურებული ორი პატარა საზამთრო დაფენილ ბრეზენტზე და ზემდეგის ჩექმებზე როგორ დაცვივდა საზამთროს თესლი და სრიალა წითელი ნაჭრები. საზამთროს ეს გამოფატრული შიგნეულობა სისხლივით წებოვანი და მლაშე ეჩვენა ვლადიმირს, დაბლაგვებულ, ტალახიან, ჟანგიან გერმანულ ხიშტსაც სისხლი შეხმობოდა ღარაკზე და შავი ფერი დასდებოდა. სწორედ მაშინ პირველად წაალებინა და საშინლად ასტკივდა თავი ვლადიმირს კონტუზიის შემდეგ, რის

გამოც იძულებული შეიქნა სისხამ დილით მახლობელ ზურგში წასულიყო სანიტართა ასეულის საძებრად, რომელიც ვერა და ვერ იპოვა. მაგრამ მოწინავე ხაზზე უკვე ილიასთან ერთად დაბრუნდა, რომელიც გუშინწინდელ ბრძოლაში დაღუპული ბატარეის მეთაურის თანამდებობაზე დაენიშნათ.

— ჰა, ვასილიევ, რას იტყვი? სანამ შენ ზურგში [illegible] ბიჭები უკვე მიმდგარ-მომდგარან! მაშ, ვინ დადო დროებით [illegible] ღმერთმა, ფრონტის სარდალმა თუ შენმა ოცეულმა? — დაცინვით უთხრა ილიამ, ისე რომ ვლადიმირის თვალებში არ შეუნიშნავს მწვავე ტკივილი. და კვლავ უნდობლად შეათვალიერა ბაღის განაპირას შეტოკებული ქოლოს ბუჩქები ღელის კბოდეზე, სადაც ვაშლებს იქით ფოთლებს შორის მრგვალად მოჩანდა ზოლიანი საზამთროები.

ვლადიმირმა თავს ძალა დაატანა და იქით გაიხედა. მცხუნვარე მზის გამო წარბებს ზემოთ სტეხდა, ყურები უწიოდა. და ბახჩაში გაწოლილი საზამთროები მოეჩვენა პატარა ზებრებად, რომლებიც, სიცხისაგან მოთენთილნი, იწვნენ წითელი ნაყოფით დახუნძლული დაბალი პალმების მსგავსი ხეების ძირას. „შეუძლოდ ვარ“, — გაიფიქრა მან. გრძნობდა, როგორ გახურებოდა მზისგან თავი. მიწამ ზურგი ვერ გაუგრილა და გიმნასტურის შიგნით ეწვოდა. სიცივემ აიტანა. ამ სიცივეს რაღაცნაირი ჩხვლეტია სიცხე ერთვოდა. გაუთავებლად კბილს კბილზე აცემინებდა. „რა მემართება, ნუთუ ახლა წავიქცევი?“ — გაიფიქრა ვლადიმირმა, დარეტიანებული წამოდგა და ბრუსტვერისაკენ გადადგა ნაბიჯი, სცადა ილიას გვერდით დამდგარიყო და ეცქირა, მაგრამ იდაყვებით დაეცა სანგრის პირზე. სხივებდაფრქვეული ფოთლების სარკისებურმა ანარეკლმა, ვაშლის ხეების ძირას მობიბინე ბალახში მზის ათინათის მოძრაობამ ცხოველი სიმკვეთრით თვალი მოსჭრა. ის მაინცდამაინც მკაფიოდ ვერ ხედავდა იმას, რაც ილიას ყურადღებას იპყრობდა. ბოლოს თვალები მოიფშვნიტა და ბუდიდან ბინოკლი ამოიღო, და მაშინვე საკვირველად მოახლოვდა ქოლოს ბუჩქები და მათკენ მიმართული ვიღაცის ახალგაზრდა თითქმის ბავშვური სახე ოდნავ ამოკოკრილი ულვაშებით, წვნით მოთხვრილი მიამიტურად და სასაცილოდ წამოწეული ტუჩები, რომლებიც ფაქიზად სწვდებოდნენ წვნიან, მწიფე, ტკბილი, არომატული ტენით სავსე მსხვილ მკვრივ ნაყოფებს. საოცრად მხიარული იყო ამ გერმანელი ბიჭის მზეზე ოდნავ მოჭუტული თვალები, ოფლიან შუბლზე მიწებებული თმის კულული. ნეტარებით მოთენთილი იწვა იგი მიწაზე ცხელ, უძრავ დახუთულ ქოლოს ბუჩქნარში, მწვანე მუნდირი ქამრამდე გაეხსნა, ნაყოფით პირთამდე ავსებული მისი პილოტურა ნავივით იდგა ბალახში. იგი ტკბებოდა მყუდროებით, ოქროსფერი დილით, უსაფრთხოებით და ნაზად წამოწეული მოლიმარი ტუჩებით მიირთმევდა მისკენ დახრილ ნაყოფს, თითქოს ეთამაშებაო. და ვლადიმირს წუთით წარმოუდგა ლავანდის სურნელით გაჟღენთილი უცხო გერმანია, რომელიღაც შეკრეჭილ ბალახში მდგარი სუფთა სახლი წვეტიანი სახურავით, ყვითელსილამოყრილი სწორი ბილიკები და აქვე მოთამაშე თეთრ წინდებსა და თეთრ პანამაში გამოწყობილი გერმანელი ბიჭი... სად უნახავს? მოკლულთა საბუთებში ნაპოვნ ფოტოსურათებზე?

ყველაფერი მკაფიოდ ჩანდა ბინოკლში, და ისე ახლოს იყო გერმანელის სახე, ოფლით დაცვარული შუბლი, მუნდირის გახსნილი საყელოდან მომზირალი მისი გაურუჯავი კისერი, რომ მოეჩვენა, თითქოს შემთხვევით გაშიშვლებულიყო სხვისი ცხოვრებისა და სხვისი თავდავიწყების პატარა ნაწილი,

მაგრამ ეს მისი უწყინარი გართობა, ეს მისი ბავშვური სიამოვნება ამავე დროს რაღაც აკრძალული, ნებადაურთველი ჩანდა. რისი დანახვაც ახლა არ სურდა.

— ძოვს თავისთვის ხბოსავით! უჰ, შე არამზადავ! — მკაცრად თქვა ილიამ, ალბათ კარგად გაარჩია ქოლოს ბუჩქის ძირას მწოლარე გერმანელი, მერე საშიში შავი თვალები გადაავლო ლაზარევს აღუშფოთებელ ზურგზე და ხმადაბლა უბრძანა შაპკინს: — მომეცით ერთი თქვენი კარაბინი! ხლეჩადი ტყვიით არის დატენილი?

— სულ ხლეჩადი ტყვიით. ტყვიას თავი წითლად აქვს შეღებილი, — რიხიანად მიუგო შაპკინმა, მომრგვალო მხრები შეარხია, ილიასთან მიირბინა და ხელში შეათამაშა ახალი გერმანული კარაბინი, რომელიც განუშორებლად ეკიდა დაბლა დაშვებული ლულით.

— დაფორთხავ და ძოვ? უჰ, შე არამზადავ, — გაიმეორა ილიამ, გაქვავებული შავგვრემანი სახით გამოართვა კარაბინი, მოიმარჯვა, ბრუსტვერის ბალახიან ნაპირს იდაყვებით დაეყრდნო, გაპარსული ლოყა გაპრიალებულ კონდახს მიადო და დაუმიზნა.

ვერავინ ვერ მოასწრო რამის თქმა, ვერავინ ვერ შეაჩერა — გასროლამ დაიქუხა, სიჩუმე გაარღვია, მთელ ტყეს მოედო, შეშინებული გერმანელი შეხტა, გაოგნებულმა მიმოიხედა. ფაციფუცით შეიკრა მუნდირი, მერე დასწვდა ქოლოთი ავსებულ პილოტურას, პამიდორებით სავსე ბრტყელ კარდალას, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდა, და ფრთხილად, მუხლებით გაფორთხდა უკან, რამდენიმე წამში მიეფარა ქოლოს ბუჩქებსა და უცებ სასწრაფოდ გამოვარდა ბაღის ბოლოს მდგარი ალვის ხეებიდან და ციცაბო მიწაყრილზე ავარდა. თან ჩექმებით ფხოტნიდა ქვიშას. ცალ ხელში ქოლოთი სავსე პილოტურა ეჭირა, მეორეში პამიდორებიანი ალუმინის კარდალა. და იმწამსვე ხელმეორედ გაუწუვლა ტყვიამ ყურთან, ცხვირში დენთის სიმყრალე აფრქვია. და გერმანელი უცნაურად შეხტა მიწაყრილზე, უკან გადაქანდა, ხელები ასწია, თითქოს შეშინებულმა, თავში, ქერა თმაში უნდა იტაცოსო. ხელიდან გავარდნილი კარდალა მიწაყრილიდან დაგორდა და პამიდორები მოფანტა, ქოლოიანი პილოტურა ქვიშაზე დაენარცხა. შიშისაგან სახეშეშლილი გერმანელი გასროლის მხრისკენ შემობრუნდა, კისრისტეხით გაიქცა უკან. ბაღში, და იქ ბოლო ალვის ხეებთან დაეცა, სახე ბალახში ჩარგო. მხრები უთრთოდა, ეტყობა, ქვითინებდა. საშინელი სანახავი იყო, როგორ ბზინავდა მცხუნვარე მზეზე წითელი ცხიმიანი ლაქები მის ქერა თმასა და ირგვლივ მდებარე ბალახზე.

— მზად არის ფრიცის ღლაპი!..

ილიამ კარაბინი ბრუსტვერზე მიაგდო და მრისხანედ შეხედა შაპკინს, რომელმაც ეს ფრაზა წარმოთქვა ,მერე შეეფეთა ვლადიმირის დაბნეულ მზერას, ლაზარევის ფოლადის წვრილი ბურღებივით გამსჭვალავ თვალებს და მოჩვენებითი ურყეობით ჩამოჯდა ჭურვის ყუთზე. ყველანი დუმდნენ. ფერი ეკარგებოდა მის შავგვრემან ლოყებსაც.

— დამპალი პამიდორის გულისთვის გერმანელებთან დროებითი ზავი დადეთ? — ბოღმანარევი ხმით წარმოთქვა ილიამ. — დაგავიწყდათ. გუშინწინ ნახევარი ოცეული რომ დამარხეთ? დაგავიწყდათ ამ ტყის იქით გათხრილი საძმო საფლავი? კარგი ბიჭები გყოლია, ვასილიევ! სათქვლეფისათვის მშობელ დედას გაყიდიან! დამპალი პამიდორი არ გინახავთ?..

ილიამ შეიგინა, კარდალიდან მოლაპლაპე მკვრივი ნაყოფი ამოიღო და

საჭურვე წალოს კედელს სთხლიშა. პამიდორი წითელ ლაფად მიეტყება კე-
დელს, მერე წურწურით ჩამოსდინდა ყუთის სახურავს, და ვლადიმირს ისევ
დაეწყო გულისზიდვა. ძლივს მოასწრო იმ ადგილიდან გამოსვლა, რომ ტუჩ-
პირას პირღებინება და ხველა აუტყდა და ფიჭვის ხეს ჩაეჭიდა. დიდხანს წვა-
ლობდა, უძლურებისგან კინაღამ ტირილი აუვარდა. [illegible] ზიზღი
რაღაც სქელი, წითელი ცხიმიანი ლაქებისადმი, იქ ბაღში, [illegible] ხეების ძი-
რას და აქაც, წალოს კედელზე, ჭურვის ყუთზე რომ ბზინავდა.

იმავ წუთს გრიგალმა გადაუარა თავზე, მზისგან გაუფერულებულმა ელ-
ვებმა გაიკრთომარეს ქვემეხთან, ტყვიებს ტკაცატკუცი გაჰქონდათ ახლო,
მოწყვეტილი წიწვი პილოტურაზე დაეყარა ვლადიმირს. მან ტუჩები და ცრემ-
ლიანი თვალები მოიწმინდა და კვლავ საცეცხლე პოზიციისაკენ გაიქცა, ჯერ
ვერ მიმხვდარიყო, საიდან ესროლა ქვემეხს გერმანელთა მსხვილკალიბრიანი
ტყვიამფრქვევი.

საცეცხლე პოზიციაზე მყოფნი — ყველანი იხედებოდნენ ერთ მხარეს,
სადაც მარცხნივ, რკინიგზის მიწაყრილს იქით, ისევ მოჩანდა ტყე, სადაც შო-
რიდან ნათდებოდნენ ყავისფერტანიანი ფიჭვები, რომელთა კენწეროებს შო-
რის თვალისმომჭრელ სილურჯეს აფრქვევდა ცა. მაგრამ ყველგან კუტკალიუ-
ბით ახმიანებული სიჩუმე იდგა. გაუგებარი იყო, საიდან ისმოდა ტყვიამფრ-
ქვევის ხმა, ხომ არ შეიძლებოდა, რომ ვლადიმირს ნარინჯისფერი ტრასები და
მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევის გრიალი კარაბინის ორი გასროლის პა-
სუხად მოსჩვენებოდა. „უნდა გამოვიძინო, ყველაფერი ამერია თავში, ბოდ-
ვაა და სხვა არაფერი...“

— ახლა გასაგებია, სად არიან ჩასაფრებული გერმანელები! მაგრამ იმას
კი ვერ მივხვდი, რატომ დაუძმობილდით მათ! — შეუვალი კილოთი დაიწყო
ილიამ. — წინ ჩვენი ქვეითი ჯარი არ არის, თქვენ კი, როგორც გატყობთ,
კარგად ცხოვრობთ, ბიჭებო!

— რად ესროლე, ლეიტენანტო? — ნაღვლიანად ჰკითხა ლაზარევმა, და
ყბებგანიერი სახე მუქარამ გაუქვავა.

— განაგრძეთ, ზემდეგო, — ილიამ აუჩქარებლად შედგა ბრეზენტისჩექ-
მიანი ფეხი ჭურვის ყუთზე და ნელა მოავლო თვალი რკინიგზის მიწაყრილს.
— განაგრძეთ, ზემდეგო, გისმენთ.

— რატომ დაარღვიე უმიზეზოდ ჩვენი ვითარება? — გაიმეორა ლაზარევ-
მა და ნესტოები დაებერა. — შენ შენი ხელქვეითი ოცეული გყავს, ჰოდა,
იმას მოექეცი ეგრე უტიფრად. გესმის? არავის აქ არ მოუწვევიხარ, ლეიტე-
ნანტო.

ხმა არ აუმაღლებია, მაგრამ მზერა პირქუში გაუხდა. იგი თვალს არ აშო-
რებდა ილიას ფეხზე კარგად მორგებულ ბრეზენტის ჩექმას (ეს ჩექმები ილიამ
ნადავლ „პარაბელუმზე“ გაუცვალა მსროლელთა პოლკის ზურგში მყოფ ინ-
ტენდანტებს). ვლადიმირმაც დაინახა ჭურვის ყუთზე შემოდგმული ვიწრო
ჩექმა, რომელიც შესახედავად აკურატული იყო, ოღონდ გვერდზე სილა და
წიწვი მიჰკვროდა. ჯერ კიდევ საარტილერიო სასწავლებელში და აქაც, პოლკ-
ში, ილია კოხტად ატარებდა ახალ ფორმას, საბრძოლო სამხრეულებს, სადღაც
ნაშოვნ ცელულოიდის ფირფიტებს გამოაკერებდა ხოლმე გიმნასტურის საყე-
ლოს (რაზეც ყველა ახალგაზრდა ოფიცერი ოცნებობდა). ფორმა უხდებოდა,
მჭიდროდ, უნაოჭოდ შემოტმასნოდა მხრებსა და ძლიერ მკერდზე, რომელზე-
დაც ახალგარეცხილ ან მიწით მოსვრილ სამხრეულში გაყრილი ყაწიმი ჭკონ-

და გადაჭერილი. ჭურვის ყუთზე შემოდგმული ეს ჩექმა კი თითქოს ხაზს უსვამდა მის დამოუკიდებელსა და მსუბუქ ძალას, რომელიც ესოდენ ალიზიანებდა ლაზარევს. ილიას ორმა მოულოდნელმა გასროლამ რომ გააცოფა და ჭერმუხის ირგვლივ ჩამოვარდნილი უშფოთველი მყუდროება დაარღვია.

— ოჩოფეხებზე ჩექმები წამოგიცვამს, ლეიტენანტო, და გგონია, ბატარეაში ყველანი კუდის ქიცინს მოჰყვებიან? — წარმოთქვა ლაზარევმა და მსხვილ კისერზე ძარღვები დაებერა. — გინდა დისციპლინით ფეხქვეშ გაგვიდო, ლეიტენანტო? ცხვირიდან ნაწლავები ამოგვქაჩო და ისე მოგვთოკო? — ჩაიხითხითა ლაზარევმა. — შენ კარგად არ მიცნობ, სხვადასხვა ოცეულებში ვიყავით. ოფიცერი კი ხარ, მაგრამ, თუ მიწაში თავს წამარგვევინებენ, გვარიანადაც შეიძლება ვაწყენინო ვინმეს! გაიგე?

— მაწყენინო? გვარიანად? მე? რისთვის? აჰ, სულელო ლაზარევ! მაშ, გამარჯობა, რაკი ეგეთი ფიცხი ყოფილხარ! მომე ხელი, რაღას უცდი! — უთხრა რამდენადმე გაოცებულმა ილიამ, ცივად გაუღიმა, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა და, ჭურვის ყუთიდან ბრეზენტისჩექმიანი ფეხი არ ჩამოუდგამს, ისე გაუწოდა ზემდეგს ხელი. — გამარჯობა, პატივცემულო, გამარჯობა!..

— რაო?

— გამარჯობა-მეთქი.

ლაზარევმა გაშმაგებით შეხედა გამოწვდილ ხელს, აშკარად ვერ მიხვდა ხელის მოძრაობას, მაგრამ, ეტყობა იმწამსვე გადაწყვიტა უცხო ლეიტენანტისათვის ერთხელ და სამუდამოდ ესწავლებინა ჭკუა და უზარმაზარი დაკოჟრილი ხელისგული გამეტებით ისე დაჰკრა ილიას ხელისგულს, რომ ტყლაშუნი გაისმა, მერე კი მარწუხივით მოუჭირა თითებზე ხელი.

— ახლა კი ქალიშვილივით დაგამტვრევ ძვლებს, ლეიტენანტო! — დაემუქრა ლაზარევი, კვლავინდებურად ჩაიხითხითა, ქუთუთოდანაოჭებული თვალი ჩაუკრა კალინკინსა და შაპკინს, რომელიც სადგარზე ჩამომჯდარიყო, პილოტურა კინკრიხოზე მოეგდო და გაოცებული ელოდა, რა მოხდებოდა.

— დამამტვრიე, ლაზარევ, ნუ გენანება, — ნება დართო ილიამ და საშიშ სიმშვიდით მკაცრად ჩახედა ლაზარევს შეჭიდების წინ განზრახ დანაღვლიანებულ თვალებში.

ორიოდე წუთს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ამ არაბუნებრივი ორთაბრძოლით შეერთებულნი, ხელს ხელზე უჭერდნენ, მაჯის გადაგრეხას ლამობდნენ. ზემდეგი ლაზარევი სულ უფრო ძლიერ, სულ უფრო ულმობლად უჭერდა თითებზე ლეიტენანტს, თან ცდილობდა ნამძინარევი, ნაღვლიანი გამომეტყველება მიეღო და უაზროდ მისჩერებოდა ილიას ოფლით დაცვარულ გაფითრებულ შუბლს.

— აქეთ წამო, აქეთ, მიკულა სელიანინოვიჩ, — უთხრა უეცრად ილიამ და ლაზარევი წალოსაკენ მიაგდო, სადაც უფრო ხალვათობა იყო, და აქ ისევ ერთმანეთის პირისპირ დადგნენ, მტრულად ხელიხელჩაჭიდებულნი.

მერე ლაზარევმა კირზისჩექმებიანი ფეხები მორებივით გაჩაჩხა, ილიას მხარში თავი აძგერა და ბრძოლის დაწყება შესთავაზა, მაგრამ ილია მკვირცხლად შემობრუნდა, მისკენ გაექანა, ლაზარევს ხელში სწვდა, მხარზე გადაიგდო და ისე მაგრად მოსწია თავისკენ, რომ სახსარმა გაიხრაჭუნა, და იმწამსვე, ზემდეგის გმინვისაგან შეჭმუხნილმა, კბილთა ღრჭენით რომ აღმოხდა, მისი მძიმე სხეული ბრუსტვერზე დაანარცხა, მერე წაქცეული ლაზარევისკენ ნაბიჯი გადადგა, წელში გასწორდა, ქშენით გაისწორა ბრძოლის დროს ჩამო-

ვარდნილი ყაწიმი. ხოლო ოფლში გახვითქული კისერდაბერილი ლაზარევი, რომელიც სულს ძლივს ითქვამდა, იდაყვს დაეყრდნო, დიდი ვაივაგლახით წამოდგა და, როგორც იქნა, ამოთქვა:

— მაშ, ხრტილი გინდოდა მოგეტეხა ჩემთვის, ხომ?..

— დიახ, მინდოდა. მაგრამ არ მომიტეხია. სხვა დროს კი მოგტეხ და ჰოსპიტალში გაგგზავნი, რეგვენო.

ილია გიმნასტურას ისწორებდა და ხმადაბლა ლაპარაკობდა, თითქოს ზიზღი უკარგავდა იმის ხალისს, რომ რამე აეხსნა, მოჭუტული თვალები კი ულმობელი ცეცხლით ანთებოდა, რომელშიც თავდაჯერებული უპირატესობა გამოსჭვიოდა.

— თუ თავში ორიოდე ხვეული მაინც გაგაჩნია. ყური მიგდე, ლაზარევ, და დაიმახსოვრე, — შეუვალი დამაჯერებლობით განაგრძო ილიამ. — ჯერ ერთი, შენისთანები ჯერ კიდევ სკოლაში და სასწავლებელში მინახავს და, გარწმუნებ, ბეჭებზეც დამიდია. მეორეც, როგორც კრავი, ისე დამემორჩილები. გასაგებია ? მე პირველი ოცეულის მეთაური ვარ და ბატარეის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად დამნიშნეს. ესეც გასაგებია? ყველაფერს მიხვდი, ზემდეგო? თუ არა?

ლაზარევი ილიას წინ იდგა და სულს ძლივს ითქვამდა. ჯაგარა წვერი მკვეთრად გამოირჩეოდა მის გაბოროტებულ, პირქუშ სახეზე; თუმცა მაინც მოიკრიბა ძალა, რათა ალერსიანი სიძულვილით ეთქვა:

— ეგებ ეგ ეშმაკური ილეთი მასწავლო, ლეიტენანტო?

— არ გასწავლი.

— ქკუა არ წააგო, იცოდე, კიდევ მომთხოვ მეგობრობას. ჩვენს ბიჭებს ნუ ეხუმრები, ჩექმაში აქვთ ბებუთები. დღეს შენ მაჯობე, ხვალ მე გაჯობებ.

— სე ლა ვი[1], როგორც ფრანგები ამბობენ... — მოჩვენებითი თავაზიანობით მიუგო ილიამ და გამოსაჯავრებელი ალერსით დაჰკრა ხელი დაქანებულ მხარზე, ისე რომ ამ უკანასკნელმა კბილები გაალრჭიალა. — შევთანხმდით? თუ კიდევ საჭიროა საბუთები?

ზემდეგთან ამ მოულოდნელ შერკინებაში ილია არ მალავდა თავისდამცინავ უპირატესობას სადაზვერვო ათეულის მეთაურის, თავისზე ათიოდე წლით უფროსი კაცის წინაშე, ვინც, საკუთარი ძალით განებივრებული, მაინც იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა მას, ოფიცერს — ბიჭს, რომელიც საცეცხლე პოზიციაზე ახალ თანამდებობაზე, ბატარეის უფროსად მოვიდა და წამსვე დაარღვია აქ დამყარებული წესრიგი.

ვლადიმირმა იცოდა, როგორ ვერ იტანდა ილია სკოლასა და სამხედრო სასწავლებელში, ვინმე რომ ფიზიკური ძალით ჯობდა, იცოდა, რა თავგამოდებით მეცადინეობდა მეშვიდე კლასიდან ხან ტანვარჯიშში, ხან კრივის სექციაში, განუწყვეტელი ვარჯიშებით, ღერძზე აწევით ,მუჭში რეზინის ბურთის მუდმივი შეკუმშვით იკაჟებდა კუნთებს — და უკვე მეცხრე კლასში მოიხვეჭა „მეოთხე სახლის" ყველაზე ძლიერი ბიჭის სახელი. ზამოსკვორეჩიეს შესახვევში მცხოვრები არც ერთი მეტოქე არ ცდილობდა გულზვიადად გამოეწვია ერთი ერთზე „შეტაკებაში", როცა საარტილერიო სასწავლებელში მცირე ულუფაზე ხორცი დაყარა და, ეგონათ, წარსული გატაცებები დაავიწყდაო, ისევ დაიწყო თოვლით ტანის ზელა დილის ვარჯიშზე და საღამოობით სამ-

[1] ასეთია ცხოვრება (ფრანგ.).

ბოს მეცადინეობაზე სიარული. ეს ისევე ზედმეტად ეჩვენებოდა და სიცილს ჰგვრიდა ხალხს, როგორც ომამდელი პატივმოყვარული თამაში ნავარჯიშევი ტანისა სასპორტო დარბაზში გოგონების თვალწინ. ერთხელ ვლადიმერმა უთხრა ამის შესახებ ილიას, მაგრამ მას ეს შენიშვნა თითქმის არ სწყენია და მიუგო, არა მარტო ბავშვობაში, არამედ ზოგ შემთხვევაში ცხოვრებაშიც საჭიროა კარგად განვითარებული მუსკულატურა, რომ ვინმემ თავხედი ძალით არ დაგამციროსო.

ლაზარევი აშკარად დამცირებულად გრძნობდა თავს, და მას ძლივძლივობით ეყო ნებისყოფა, რომ გონების ძალით დაეძლია უღონო შემოტევა დამაბრმავებელი ბრაზისა, რაც კიდევ უფრო დაამცირებდა ოფიცრების თვალში, ხოლო გამოცდილი ჭკუა უკარნახებდა, მოჩვენებითი წონასწორობა მაინც შეენარჩუნებინა, დამარცხება შეემსუბუქებინა, და მისი ხრინწიანი ხმა დათაფლულივით გაისმა:

— დანებითაც ხომ არ ვიპაექროთ? ბოშური ადათის მიხედვით! თქვენ, როგორც ვხედავ, სამამულო ფინური დანა გაქვთ, ჩემი კი ნადავლია... ისე კი მაინცდამაინც არაფრით განსხვავდებიან, თუ პირველ სისხლის გამოდენამდე ვიბრძოლებთ!

და მან ქარქაშიდან, როგორც საძულველ მსხვერპლიდან, ისე ამოაძრო წვრილი, ღარაკიანი დანა, ფრჩხილზე დაიფურთხა და ფოლადის პირს შეეხო, ხოლო ილიამ თავი ვეღარ შეიკავა, მარდად გადადგა მისკენ ნაბიჯი და, ბრაზით სახედალმეჭილმა, უთხრა:

— გეყოფა! ქურდების ცირკს მორჩი, ლაზარევ! თორემ მართლა მოგტეხ კისერს, გასაგებია?

ლაზარევმა რიტუალური სიფრთხილით შეიწმინდა სახელოზე ფინური დანა, და ყბებგანიერი თავი მოჭარბებული ალერსით დაუკრა ილიას.

— ისე კი ფინური დანა საქმეში გასულა. გამომიცდია.

ილიამ გაუმეორა:

— გასაგებია-მეთქი, გეკითხები! თუ არა?..

და მის ხმაში იმდენი მბრძანებლური ძალა იყო, იმდენი დამამორჩილებელი სიმტკიცე თავის მოქმედებაში, იმდენი მზადყოფნა იმისათვის, რომ სულიერი სიმშვიდისა და ურთიერთობათა ფორმის დასაცავად ყველაფერი ეღონა, რომ ლაზარევმა, ეტყობა ,იმ წამს ნათლად შეიგნო, რა შეიძლებოდა გადაეწყვიტა პირველი ოცეულის მეთაურს, რომელიც ბატარეის მეთაურად იყო დანიშნული.

— გასაგებია, ბატონო. — მიუგო ლაზარევმა და ფინური დანა ქარქაშში ჩააგო. — ასეც ჩავიწერთ. გასაგებია.

— ჰოდა, აგრე. ახლა კი გირჩევთ ბატარეის სამიზნეებს მიხედოთ და სანამ გვიანი არ არის, სათვალთვალო პუნქტიც მოაწყოთ, დაძმობილებას კი შეეშვით! — მრისხანედ უთხრა ილიამ და ვლადიმირს მიმართა: — უნდა მოვილაპარაკოთ, ვასილიევ.

ისინი მიჰყვებოდნენ წიწვით მოფენილ ტყის გზას, რომელიც პატარ-პატარა მზიან კუნძულებს აეჭრელებინა. ყოველი მხრიდან მოცურავდა გამდნარი ფისის სითბო, კოჟვეტიდან გამთბარი ჟოლოს სურნელი ატანდა, და ვლადიმირს კვლავ გაახსენდა, როგორ იწევდა ტუჩებით მწიფე ნაყოფისაკენ ქერათმიანი გერმანელი ბიჭი, როგორ მიუსწრო მეორე გასროლამ მოშიშვლებულ

მიწაყრილზე, როგორ ჩაემხო ბალახში თავით, როგორ გაუვარდა ქოლოთ სავსე პილოტურა, თმა კი მუქი წითელი ფერით შეეღება.

— რატომ ესროლე?.. — უთხრა ვლადიმირმა, რომელიც თავს ცუდად გრძნობდა. — არ უნდა გექნა...

— შენ, ვალოდკა, როგორც გატყობ, გულჩვილი ხარ, თუ ლიზარევთან ერთად მოაწერე ხელი გერმანელებთან დროებით ზავს? ეგეც სადაზვერვო ათეულის მეთაურია, რაღა! შენს ოცეულში გადმობარგდა, ვითომც წინა ხაზზე იყოს, ჭამს, სვამს, რაღაც რაღაცებს ეზიდება, გერმანელთა წინა ხაზი კი არ იცის, სად არის. რამდენადაც მესმის, შენი ქვემეხი პირდაპირი დამიზნებით დგას, გერმანელები კი სად არიან?

— გერმანელები მიწაყრილზე იყვნენ.

— სად, რა ადგილას? ჩემს ორ გასროლას ერთმა ტყვიამფრქვევმა სადღაც მარცხნიდან უპასუხა — ეს არის და ეს. მაგრამ სად არის შენ წინ გერმანელთა წინა ხაზი? საით მოგიწევს სროლა?

„ჩემზეც არის გაჯავრებული?"—გაიფიქრა ვლადიმირმა და შეამცივნა. სულ მთლად მოდუნებული, ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს გუშინწინდელი ბრძოლის შემდეგ, ჯერაც ვერ დაევიწყებინა ამ ფიჭვნარის იქით ორიოდ კილომეტრზე მდებარე ტანკების კონტრშეტევის დროს დამტვრეული ქვემეხი და მისი დაღუპული ჯარისკაცები.

— შენ გ-გეთაყვა... ჩემზე ნუ დარდობ, — შეესიტყვა ვლადიმირი, რომლის კბილების კაწკაწმა ილია სწრაფად მიახედა მისკენ.

— გამიგონე, ეგებ მაგ კონტუზიის გამო ჰოსპიტალში ხარ დასაწვენი? როგორ კანკალებ?

— აარა, ეს ისე, არაფერია, — წაიდუდღუნა ვლადიმირმა. — მაინცდამაინც ძლიერი კონტუზია არა მაქვს. გამივლის.

ილიამ გიმნასტურის საყელო შეიხსნა, გზისპირას მოდებულ ტყის ყოლოს ბუჩქთან შეყოვნდა, ცხელი ფოთლების, ტყის დახუთული სუნი რომ დაჰკრავდა, რამდენიმე მსხვილი ნაყოფი მოწყვიტა და პირში ჩაიდო.

— საძაგლობაა... რაღაცნაირი თბილია. ნეტავი რა აჭმევდა?..

ზიზღით გადააფურთხა და ჯიბიდან ამოიღო პორტსიგარი, გერმანული, ლითონისა, თავსახურავზე გოთური სურათების ვინიეტებით, თვალებში ავი მოგონების პირქუში ჩრდილი აუთამაშდა, ტუჩები მაგრად მოკუმა; ასე ემართებოდა მაშინ, როცა არ სურდა თავი დამნაშავედ ეგრძნო.

— აი რა, ვალოდია, — წარმოთქვა ილიამ და ნაკადის შორიახლოს წაქცეულ ნაძვზე ჩამოჯდა, სადაც მოჩანდა ლობადა-კარვებით შენიღბული ორი ქვემეხი და ბალახზე მწოლიარე ჯარისკაცები, რომლებსაც სახეები პილოტურებით დაეფარათ და მზისგულზე თბებოდნენ.—აი რა სულელურ ყოფაში ვართ ჩავარდნილნი. შენ წინ არ დგას ჩვენი ქვეითი ჯარი და არც გერმანელები არიან მიწაყრილზე. ბრძოლის შემდეგ ჩემს ქვემეხებს ეს გზა უკავიათ. და, როგორც ხედავ, ჯარისკაცები მზეზე ირუჯებიან. ბრძანება არის, რომ ვიდგეთ, და ჩვენც ბრმებივით ვდგავართ. შენ ფიქრობ, ტანკები ამ ტყეზე მოიტანენ იერიშს? არა ვგონებ. გუშინწინ ყველაფერი ნათელი იყო. ჩვენ ვუტევდით, ისინი გარბოდნენ. სად არიან ახლა გერმანელები — მიწაყრილს იქით თუ კიდევ უფრო შორს დაიხიეს — ღმერთმა უწყის. ამგვარად, ჩემს ორ ქვემეხს აქედან მოვხსნით და შენი ოცეულისაგან ასიოდე მეტრის მოშორებით დავდგამთ, ტყის პირას. ასე უფრო

გონივრული იქნება. ტანკები კიდეც რომ წამოვიდნენ, უთუოდ რკინიგზის გადასასვლელზე და შემდეგ ხიდზე გადმობობღდებიან...

ილიამ გააბოლა და პაპიროსის ბოლო გალეჭა. დახუთული პაერისაგან შეყრილ წარბებს ზემოთ შუბლი დასცვაროდა. აქაურობას ხრწნის მძიმე მოტკბო-სუნი მოსდებოდა, გზის თავზე ზანტად ბზუოდნენ მწვანე ბუზები, მზეზე წერტილებივით ბრწყინავდნენ, გუშინწინდელი ბრძოლის შემდეგ მიმოფანტული ფოთლებისგან სილაში ჩატენილ საგნებს ასხდებოდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, გაქლეტილი გერმანული აირწინაღების წიბოიანი ცილინდრები, ნაღმების რკინის ღარები, სიგარეტის დაჭმუჭნილი კოლოფები, ირგვლივ მიმოფანტული ხელოვნური სპირტის შაქარივით თეთრი ფირფიტები — იდუმალებით მოცული უცხოური საგნები, რომლებიც მათში ჩაქსოვილი სხვაგვარი ცხოვრებით ცნობისმოყვარეობას უღვიძებდნენ ვლადიმირს, ცხოვრებით, რომელსაც თავისი სურნელი და თავისი აზრი ჰქონდა.

— სადღაც ახლოს დახოცილები არიან, — თქვა ვლადიმირმა, რომელიც ჰაერში გრძნობდა გახრწნილი სხეულის წებოვან ნაკადს, მწვანე ბუზების ბზუილს რომ მოჰყვებოდა თითქოს.

პირმოღუშულმა ილიამ ქუსლით ჩატენა სილაში გერმანული ავტომატის ცარიელი სავაზნე კოლოფი.

— ეს სულელური ყოფა იმით არის გამოწვეული, რომ მე და შენ ბევრი რამით ვართ დამოკიდებული ლაზარევისაგან, — ბრაზით განაგრძო ილიამ. — მე კი გაურკვევლობას ვერ ვიტან!

— ღამით ლაზარევი სათვალთვალო პუნქტს შეარჩევს მიწაყრილზე. და ყველაფერი მოგვარდება.

— არა.

— რა „არა“?

— არა, — თქვა ილიამ. — ჯერ ერთი, დაღამებამდე შორს არის. მეორეც, ლაზარევს მაინცდამაინც არ ვენდობი. ჩემი აზრით, კიდევ რამდენჯერმე უნდა ჩაამხო ცხვირ-პირით მიწაში. ამიტომ, ვფიქრობ, სადაზვერვო ათეულის მეთაურად შაპკინი უნდა დავნიშნოთ, ლაზარევი კი მის ადგილზე, კავშირგამბულობაში. ასე უფრო საიმედო იქნება. მერე კი ვნახოთ.

ილიამ უყოყმანოდ მიიღო მეთაურობა პოლკის სამი ქვემეხისა და ცხრამეტი ჯარისკაცისა, რომლებიც გადარჩნენ გუშინწინდელი ბრძოლის შემდეგ, როცა დაიღუპნენ ბატარეის მეთაური უფროსი ლეიტენანტი დრობიშევი და მართვის ოცეულის მეთაური ლეიტენანტი კუროჩკინი, მეოთხე ქვემეხის მთელ გათვლასთან ერთად რომ დაეცნენ. ისინი მოკლულ იქნენ პირდაპირი მოხვედრით — ორმა თვითმავალმა საარტილერიო დანადგარმა მიაკვლია ქვემეხებს, შეუმჩნევლად ამოვიდნენ ფლანგიდან ბუჩქებით დაფარულ მომაღლო ადგილებზე და ორასი მეტრის სიშორიდან დაარტყეს ღია ქვემეხს. მესამე ქვემეხი იდგა მინდვრის გზების გადაკვეთაზე, მეოთხისაგან მარჯვნივ ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე. თვითმავალმა დანადგარებმა დაუყოვნებლივ გადაიტანეს ცეცხლი მეოთხე ქვემეხზე, ხოლო როცა გრგვინვა-ქუხილით დაყრუებული, მიწით დაფარული და ბველებით სუნთქვაშეკრული ვლადიმირი გამოერკვა, დაინახა, რომ გზისპირა კოუვეტის მთელი მხარე დანგრეული და აკვამლებული თხრილებით იყო დასერილი; დანახშირებული ნიადაგიდან ნამსხვრევების მსხვილი წვეტები ამოწვერილიყვნენ. ეს იყო საბედისწერო წყალობა ბედისა, რომელმაც გადარჩენილი სივრცის რამდენიმე სანტიმეტრით იხსნა მისი სიცოცხლე. ვლადიმირი კონტუ-

ჩირებული იყო, და დროდადრო ერთ დიდ ხმიანობად შეერთებული კუტკალიების ჭრიჭინი ჩაესმოდა ყურში, თითქოს ფარდულის სახურავზე წვესო ვარსკვლავიან ღამეს სოფელში, ზოგჯერ კი სრულიად არაფერი ესმოდა, საკუთარი ხმაც კი. თავი სტკიოდა და უბრუოდა, ხოლო ის, რაც მეომრებს გარეულისაგან დარჩა, ის, რაც შემდეგ ნაკუწ-ნაკუწ უნდა შეეგროვებინათ და დასახიჩრებული ქვემეხის გვერდით დაემარხათ სახელდახელოდ გათხრილ სანგარში, ისე შემზარავი და საშინელი იყო, რომ ვერც ტანისამოსით ცნობდნენ ვინმეს, ვერც გვარს ასახელებდნენ. უფროსი ლეიტენანტი დრობიშევი და ლეიტენანტი კუროჩკინი ხომ ერთმანეთისგან ვერ გაარჩიეს. კონტუზია, რომელმაც გონება დაუბინდა ვლადიმირს, რეალობას შეენაცვლა. ვლადიმირს მძვინვარება დაეუფლა, და ახლა, როცა თავისი ოცეულის ერთადერთ ქვემეხზე იძლეოდა განკარგულებას, ბრაზით იგინებოდა, ტიროდა და მუჭით ითხაპნიდა ცრემლებს დენთის ჭვარტლით დალარულ სახეზე.

ქვეითი ჯარი რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე: ჯარისკაცები ხან დაწვებოდნენ, ხან წამოხტებოდნენ დასტვენაზე, შეძახილზე თუ რაკეტის გასროლაზე. მალე მინდორი გერმანელთა ტრანშეებამდე დახოცილთა გროვებმა დაფარა. უკანასკნელი შეტევა სულ მთლად უძლური გამოდგა. მხოლოდ რამდენიმე კაცი მოსწყდა მიწას და მგეზავი ტყვიების ცეცხლოვან ქარში გადაეშვნენ.

ჩამობნელდა. ბრძოლა დამთავრდა. ყველაფერი მიყუჩდა. ქვეითმა ჯარმა, რომელმაც დღის განმავლობაში ამას წინათ შესავსებლად მოსულ ჯარისკაცთა ნახევარი დაკარგა, როგორც იქნა, ხელთ იგდო გერმანელთა სანგრები, ტყეში შევიდა და გვიან საღამოს ტყის იქით მდებარე რკინიგზის სადგური დაიკავა.

ქვემეხებს ცბრძანათ იქაურობა დაეტოვებინათ. რამზინის პირველი ოცეული ნაკაფის რაიონში უნდა გასულიყო, გზის ახლოს, ხოლო ვასილიევის მეორე ოცეული (ერთადერთი გადარჩენილი ქვემეხი) რკინიგზის გადასასვლელის პირდაპირ უნდა მდგარიყო. შუაღამისას მოაწყვეს საცეცხლე პოზიცია, გაჭრეს სრულპროფილიანი თხრილები, და მთელმა მეორე დღემ, გარინდულმა, ცხელმა, ძილ-ღვიძილში განვლო, როცა არც სიარულის თავი ჰქონდათ, არც ჭამის და არც ლაპარაკის, როცა ვლადიმირს, რომელიც თავისი თხრილიდან არ ამოდიოდა, ყურები უწიოდა და მეხსიერებიდან არ შორდებოდა ტანისამოსის გასისხლიანებული ნაჭრები ოფიცრის ლითონის ღილებით, ორმოები სადგურებს შორის, რაღაც ლაბისებრ-წითელი, ხშირთმიან ნადებად რომ მიეკვროდა დაფერდებული ქვემეხის ფარს, და მთელ მინდორზე დაზორავებული დახოცილები ამას წინათ მოსული შევსებიდან — ზურგთან უცნაურად ამოჩაჩული ახალი მაზარები, ფეხებზე სქლად დახვეული, ჯერაც გაუცვეთელი ტოლაღები...

დილით ქვემეხის მეთაურმა სერჟანტმა დიომინმა გაალვიძა და ყველასთან ერთად მოიპატიჟა მეფურ საუზმეზე — თაფლზე, კიტრზე, პამიდორზე, საზამთროზე, მაგრამ ვლადიმირმა ცივი უარი უთხრა: სულ თვალწინ ედგა დამსხვრეული ქვემეხის ფარზე შერჩენილი ლაბისებრი შენადედი, სულ გული ერეოდა, ცარიელი კუჭი უბრუნდებოდა, ხველება ახრჩობდა და დამამცირებელი ცრემლი სდიოდა, რასაც ჯარისკაცებს უმალავდა.

მას არ უნდოდა მოეგონებინა გუშინწინდელი ბრძოლა, არ უნდოდა ილიას სცოდნოდა კონტუზიის შესახებ, რადგან შურდა მისი პედანტურად გაპარსული შავგვრემანი პირისახისა, მისი უეჭველი ძალისა, ბატარეის მეთაურის ახალ თანამდებობას რომ იფერებდა. მისი უფროსული კილოც, რომლითაც ახლა სადა-

ზვერვო ათეულის მეთაურისადმი უნდობლობა გამოხატა, სიმტკიცითა და ქმედითობით აღსავსე იყო.

— მსუბუქი იყოს მისთვის მიწა, მაგრამ ლეიტენანტ კუროჩკინს აუტანლად გაუნებივრებია ლაზარევი, თავად ყველაფერს აკეთებდა მის მაგივრად, ის კი მხოლოდ ბაქიბუქობდა, — თქვა ილიამ. — აბა რაში გამომადგება ასეთი საარტილერიო დაზვერვა? ზუსტად არ იცის, სად არის გერმანელთა მო[illegible], ინდაურივით გაფხორილი კი დადის ბატარეაში!

— იცი, რომ ფრონტამდე ლაზარევი ციხეში იჯდა და საერთოდ ბნელი ტიპია, მაგასთან საქმის დაჭერას ყველა ერიდება.

— ვიცი, მაგრამ არ მინდა ვიცოდე, ფეხებზე მკიდია, რა იყო. ჩემთვის მთავარი ისაა, თუ რას წარმოადგენს ახლა. ლაზარევი უნდა გავაგდოთ დაზვერვიდან, სასწრაფოდ უნდა გავაგდოთ! კინწისკვრით! რა თქმა უნდა, მაკვირვებს, რომ ამ თქვენს ზემდეგს თავი დიდ ვინმედ მიაჩნია ბატარეაში. დამორჩილება არ უნდა, გესმით? ბრიყვი! მე მაგას ვუჩვენებ, როგორ უნდა მოვალეობის შეუსრულებლობა! ან სანიმუშო ჯარისკაცად ვაქცევ, ანდა კისერს მოვტეხ მაგ რეგვენს!

— მე მგონი, უკვე საკმარისად ასწავლე ჭკუა.

— ასე იყო საჭირო! მოკლედ, მაგას არაფერს არ ვაპატიებ.

— შენ უკეთ იცი, ილია, დაზვერვა და კავშირგაბმულობა შენ გემორჩილება.

— დიახაც მე მემორჩილება.

„განა შეიძლება დაეთანხმოს კაცი, რომ ილიას გადაწყვეტილებამ 1943 წლის ივლისის იმ დღეს გავლენა მოახდინა მის ბედზე, შეცვალა მთელი მისი ცხოვრება? და მე ვერაფერი ვერ გავაკეთე, ვერ განვჭვრიტე? მაგრამ შეიძლებოდა კი მისი შეჩერება"?

ისინი ქვემეხთან დაბრუნდნენ, და ილიამ გამოაცხადა მართვის ოცეულის ათმეთაურთა ადგილების გადანაცვლების შესახებ. ბრძანება რომ მოისმინა, ლაზარევმა გამჭოლავი მზერა შეავლო ჩასკვნილი ალნაგობის შაპკინს, მერე, გაბრაზებულმა, ზანტად გადააფურთხა ბრუსტვერს იქით და, საკუთარ სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული, ფიჭიან კარდალას მიუჯდა. ეს ადგილგადანაცვლება არსებითად არაფერს ცვლიდა ლაზარევის ცხოვრებაში („დაზვერვაც და ბატარეის კავშირგაბმულობაც ორივე ერთი ჭირია!"). მაგრამ იმის მიხედვით, თუ როგორ იჯდა ნესტოებდაბერილი ლაზარევი ქვემეხის სადგარზე, ფიჭას ღეჭავდა და თან მოჩვენებითი ინტერესით ადევნებდა თვალს კარდალის ირგვლივ მოტრიალე კელებს, იმის მიხედვით, თუ რა ჯიუტად დუმდა, შეატყობდით, როგორ უჭირდა მთლიანად დამორჩილებოდა სასტიკი ნებისყოფის მქონე ბატარეის მეთაურს, რომელმაც სულ მთლად წაართვა საცეცხლე ოცეულის მეთაურთა შორის მოპოვებული დამოუკიდებლობა. კალინკინმა შიშველი კისერი წაიგრძელა და შეფიქრიანებული შეუდგა ბრეზენტზე საზამთროს გაჭრას; დანარჩენები ბრუსტვერის ჩრდილში მიწოლილიყვნენ, კიტრს აბოამუნებდნენ და ვერავინ ვერ უსწორებდა თვალს ლაზარევს, რომელმაც თანდათანობით შეწყვიტა ღეჭვა და ღრანჭი გაიჩერა.

— ...აი რა, ორი ქვემეხი ტყის პირას გამოვიყვანოთ, ვასილიევის ოცეულის ქვემეხისაკენ, — თქვა ილიამ იმ ადამიანის ბრძანების კილოთი, რომელსაც არაფერში ეჭვი არ ეპარება. — გერმანელებთან დროებითი ზავი დამთავრებულია.

ბიბლიოთეკა

ეს უნდა შევიგნოთ, ლაზარევ. ხელაობასაც ბოლო უნდა მოეღოს. შაპკინმა დაუყოვნებლივ დაიკავოს და მოაწყოს მიწაყრილზე სათვალთვალო პუნქტი ბაღისა და სახლის მიდამოებში. საამისოდ ვაძლევ ორ საათს. ლაზარევსაც ამდენსავე დროს ვაძლევ ქვეითებთან კავშირის დასამყარებლად.

ზუსტად ორი საათის შემდეგ ილიას მოახსენეს, რომ სათვალთვალო პუნქტი მოწყობილია რკინიგზის მიწაყრილზე, დამყარებულია კავშირი ტყის პირას ჩასანგრებულ სამ ქვემეხთან, აგრეთვე მარჯვენა ფრთაზე მყოფ მსროლელთა ბატალიონთან, რომელსაც სადგური უკავია. ილია ნაკადულის გაღმა, მიწაყრილზე გადავიდა, რათა ბატარეის სათვალთვალო პუნქტზე დაფუძნებულიყო.

და კვლავ მზიანი დღის ზაფხულისეულმა მყუდროებამ იწყო დენა დაბურული ფიჭვნარიდან, სიცხე, სიჩუმესა და კალიების მონოტონურ ბზუილში ახვევდა ქვემეხებს, და ნასაუზმევ ჯარისკაცებს თვალზე რული ეკიდებოდათ. გუშაგი კალინკინი განცხრომით იჯდა განაპირა ქვემეხის სადგურზე, დროდადრო ზანტად ამთქნარებდა და დედაკაცივით დაკორძილ ხელს პირზე ირტყამდა, ხოლო ზემდეგი დიომინი, მკერდმაგარი, ბობრთმიანი მოხდენილი ჭაბუკი, ბრუსტვერქვეშ მოკალათებულიყო, შუბლზე პილოტურა ჩამოეფხატა და თვალებმოჭუტული შესცქეროდა ქულა ღრუბლებს, ცის ლაჟვარდში კიდეები რომ უბრწყინავდათ. დანარჩენი ჯარისკაცები მცხუნვარე მზეს გაქცეოდნენ. ქვემეხის გარშემო მოშიშვლებული ადგილი დაეტოვებინათ და ზოგი ღია თხრილში ჩამძვრალიყო, გრილ მიწასთან ახლოს, ზოგი ბრეზენტჩამოფარებულ ჭურვების წალოს შეჰფარებოდა.

ვლადიმირი ტყის პირას, ვეება ფიჭვის ძირში დაფენილ ლაბადა-კარავზე იწვა (ოდნავი სიგრილე ატანდა მიწიდან), გრძნობდა, როგორ ეშვებოდა თავის ტკივილი და თითქოს თავადაც ერწყმოდა მაძღრისი წუთების მშვიდ სიზანტეს, ნაირფერ ათინათებს, გულუხვი ზაფხულის მშვენებას, რომელიც დაბეჯითებით ჰპირდებოდა მარად უცვლელ ცხოვრებას სიყვარულით და სიხარულით აღსავსე მწვანე, სხივნათელი დღეებით, როგორიც ოდესღაც იყო მალახოვსკის აგარაკზე, სადაც იისფერი კვამლი ასდიოდა სამოვარს, იასამნებით დაღლილი შუქებიდან პატეფონის ჰანგები მოედინებოდა, მთვარით განათებული ტყის იქით კი ელექტრომატარებლის ნაგვიანევი საყვირი და დგანდგარი ისმოდა გახმოვანებულ ბინდბუნდში.

ყველაზე მწარე ის იყო, რომ ილია მამასგან ღებულობდა სამკუთხა ბარათებს, ცალხაზიანი სასკოლო რვეულის ფურცლებს, დამცინავად აწეული წარბებით წაიკითხავდა, რამდენიმე გაოცებით იტყოდა: „ა!“ — და დაუდევრად ჩაჩურთავდა საველე ჩანთაში. ვლადიმირმა ვერასოდეს ვერ სძლია თავს ეკითხა, თუ რას იწერებოდა იგი ტაშკენტიდან, ხოლო ილია, როცა მამას მოკითხვას გადასცემდა, ღიმილით დაუმატებდა: „წარმოგიდგენია, ისინი კვლავაც მერხებს უსხედან და გეომეტრიის ამოცანებს იყვანენ. ალტაცება, გულის აჩუყება, ბალში ჩიტების ჭიკჭიკი! აბა რა უნდა ვუპასუხო? ჩვენ კი, მამა, იცი, ტანკებს ვესერით-მეთქი? ჯობს შენ უპასუხე, გინდა?“

ილიას დამოკიდებულებაში მამას წერილებისადმი იყო ლმობიერი წყენა უფროსი ადამიანისა მოსწავლე გოგონას ბავშვური სიტყვებისადმი, რომელიც მრავალი წლის წინათ ენახა, ახლა კი არც მაინცდამაინც უნდოდა შეეწუხებინა თავი მასთან რეგულარული მიმოწერით. ვლადიმირი კი ხალისით სწერდა მამას, უფრო სწორად — ორივეს მაგივრად უპასუხებდა, მაგრამ წერილები უწინდე-

ბურად ილიას მოსდიოდა, და ვლადიმირი დროდადრო წყენისა და უსამართლობის გრძნობას განიცდიდა. ეტყობა, ხშირად არ უნდა ეფიქრა მასზე, ისე მოპყრობოდა იმ გულუბრყვილო, მოსწავლურ ქცევას, როგორც ეპყრობოდა წარსულს ილია, — იმ ოფიცრის მეგობრული შემწყნარებლობით, რომელმაც ბევრად უფრო მეტი გაიგო ომში, ვიდრე ვლადიმირმა — საარტილერიო სასწავლებელში ცხრა თვის სწავლით და ფრონტზე თორმეტი თვის ყოფნით. ორივენი საცეცხლე ოცეულებს მეთაურობდნენ და მხოლოდ იშვიათად შეხვდებოდნენ ერთმანეთს, როცა სხვადასხვა ბატალიონს ეხმარებოდნენ ქვემეხთა ცეცხლით.

ბატარეის მეთაურობისათვის ილია დიდი ხანია მზად იყო თავისი ბუნებით. ბატარეის ყოფილ მეთაურს ლეიტენანტ დრობიშევს, ხანში შესულ, გონებამძიმე, „ლოხ, უნდილ მოქალაქეთაგან" არმიაში გაწვეულ კაცს, ილია სერიოზულად არ ეკიდებოდა, თუმცა მის ბრძანებებს ხელოვნური გულმოდგინებით ასრულებდა და ამით მალავდა, რომ მისდამი ცუდად იყო განწყობილი.

„ახლა ბატარეაში ყველას აიძულებს, რომ დაუჯერონ, — ფიქრობდა ფიჭვის ძირას ლაბადა-კარავზე მწოლარე თვლემისაგან მოთენთილი ვლადიმირი. — ყველას აიძულებს, რომ თავიანთი მოვალეობები შეასრულონ და ზედმეტს არაფერს მოუთმენს".

მაღლა ფართო მწვანე კენწეროს იქით კვამლის უნაზეს ბოლქვებად იკმეოდნენ შუქით გამსჭვალული ღრუბლები, და მას ეჩვენებოდა, რომ ოდესღაც პაპანაქება დღეს ბანაობის შემდეგ იგი ასევე იწვა ნიჩბებჩაშვებულ ნავში და წყლის თქაფუნს უგდებდა ყურს; ყველაფერს ზაფხულის მდინარის, სველი პირსახოცის საოცარი სურნელი ასდიოდა, ხოლო გვერდით ჩაუდიოდა კლიაზმის სააგარაკო ნაპირები, და მიცურავდნენ ლელიანის გასწვრივ წყალში გადმოპირქვავებული ქულა ღრუბლები.

მთვლემარეს მოაგონდა ზაფხულის მიწურული მოსკოვში, როცა სწავლის დაწყებისას ჩამოდიოდნენ, — აგვისტოს გრძელი დღეები ეზოში, ზამოსკვორეჩიეს შესახვევებში სითბოს აფრქვევდა ასფალტი, სკოლის ბაღში მზის ჩასვლისას მოვარდისფერო მტვერი ასდიოდა ხალხმრავალ ფრენბურთის მოედანს, ხოლო როცა მაშას მიერ მიწოდებულ ბურთს მიიღებდა, ხედავდა, როგორ უფრიალებდა გახუნებული თმა, როგორ უბრწყინავდა სიამოვნებითა და სიცილით თვალები მოქნილი ტანისა და თავისი ძალის შეგრძნებისაგან, როცა ბიჭები მეტისმეტი ყურადღებით უცქეროდნენ მის მოოქროსფრო გარუჯულ მხრებს, რომლებსაც ბინდბუნდში ზღვის წყლისა და სამხრეთის მზისგან შოკოლადის ფერი დაჰკრავდათ...

ვლადიმირი შეირხა, წამოჯდა და ხეს მიეყრდნო. მას ტალღებად ევლებოდა ფისის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი, ხოლო ირგვლივ ყველაფერი გარინდული იყო მცხუნვარე თვლემითა და კუტკალიების ჭრიჭინით რეტდასხმული. ქვემეხიდან, ჭურვების წალოდან, ბრეზენტის ქვემოდან ისმოდა ჯარისკაცის ხვრინვა, რომელიც ურღვევ. შინაურულ გრძნობას აღუძრავდა ადამიანს, თითქოს გუშინწინ არ დაემარხათ საძმო საფლავში ქვემეხის მთელი მეოთხე გათვლა. გუშაგი კალინკინი, რომელსაც კარაბინი მუხლებზე დაედო, სადგარზე თვლემდა, ზანტად ამთქნარებდა და დროდადრო დაწითლებულ თვალებს ატრიალებდა, უეცრად დიომინის ფეხის გარტყმაზე გამოფხიზლდა და განაწყენებული შეეხმიანა:

— შენ ხომ არ გაგიჟდი?

დიომინმა ლამაზი ბობრთმიანი თავი წამოსწია და შემპარავად დაუძახა:

— კალინკინ!

— ა?

— ზახრუმა!

— მაინც არ მეშვები? რა დაგიშავე? რატომ მიგდებ აბუჩად? ჩვენ ხომ ერთი მიწაწყლის ხალხი ვართ, დიომინ? სულ რამდენი ვართ აქ ვორონეჟელი: თითო-ოროლა თუ ვიქნებით, — ოდნავ საყვედურით წარმოთქვა კალინკინმა და ყუმბარის ნამსხვრევით გაპობილი ზედა ტუჩი, კურდღლის ტუჩს რომ მიუგავდა, დამნაშავესავით მომუწა... — ნუ მაწყენინებ ხოლმე, თუ ღმერთი გწამს... თანამემამულეთაგან ორნილა დავრჩით. გუშინწინ მაკაროვი დაიღუპა... მალიე დვორიკიდან რომ იყო. ნამსხვრევმა გულმკერდი გაუფატრა. მე და შენღა დავრჩით.

ახალგაზრდა დიომინმა, რომელიც მიწაზე წამოწოლილი იზმორებოდა და განცხრომას ეძლეოდა, რაკი საქმე არ ჰქონდა, ისევ დაუძახა, ვითომდა შეფიქრიანებულმა:

— კალინკინ! გესმის, კალინკინ! რამ გამოგაყრუჩუნა?

— რა იყო, რა?

— ზახრუმა! ნამეტანი ჰკვიანი ხარ. იმიტომაც გეხვრინება აგრე. ეშმაკი ვინმე ხარ. მაინც საიდანა ხარ ეგეთი ეშმაკი?

— რას გადამეკიდე, დიომინ? — შესაბრალისად ჰკითხა კალინკინმა და, თითქოს იღიმებაო, დამახინჯებული ზედა ტუჩი დაემანჭა.

— ბაიყუში, როგორც არ ფიქრობ, ისე არ ფიქრობ, მაგრამ როცა იფიქრებ, რას ფიქრობ? — მოჩვენებითი აღტაცებით წარმოთქვა დიომინმა და ფართო მკერდით ამოისუნთქა ჰაერი. — თქვენი სოფლის სკივრებს მუდამ უმართლებთ, განსაკუთრებით — ვისაც პანტურა ყურები აქვთ, — აბუჩად ამგდებად გაწელა სიტყვები დიომინმა, რომელიც სიხარულით ადევნებდა თვალს ცაზე ღრუბლების ცვლილებას. — თქვენში კი ყურპანტურები ყოველ ეზოში არიან. კალინკინები ხომ ნახევარი სოფელი იქნებიან. საოცარია! სადაც არ უნდა გადააფურთხო, კალინკინს მოხვდება. ყველა ძროხას დუნკა ჰქვია და ყველა ძაღლს შარიკა. გაუგონარი სისულელეა!..

— ვერ გამიგია, რას გვერჩი? — გაუბედავად წაიდუდუნა კალინკინმა. — ჩვენი სოფელი პატარაა, სულ თხუთმეტი კომლი იქნება: კარგი ადამიანები არიან, გამრჯეები. თქვენს მიხაილოვში ბიჭები ჩხუბობენ ხოლმე, ჩვენთან, მალიე დვორიკში კი გარმონს უკრავენ, გოგოები იმღერიან. ჩვენ წყნარი ხალხი ვართ, ბაღები და სკები ბევრი გვაქვს. უწყინარი ხალხი ვართ.

— ჰოდა ,მეც მაგას გეუბნები, წმინდანი ხარ-მეთქი, ომის შემდეგ ას წელიწადს სულ გარმონის კვრაში გაატარებ, მერე კი ზეცაში ახვალ და პირდაპირ სამოთხეში მოხვდები, — უთხრა დიომინმა და გულიანად გაიცინა. ერთი წუთის შემდეგ კი ნაღვლიანად გასძახა: — კალინკინ!

— რა იყო?

— ხელნა მხარზე უნდა გაიდო!

— მაინც არ მეშვები? რა დაგიშავე, დიომინ?

— სერიოზულ რუსულ ენაზე გეკითხები, კალინკინ, რატომ არის, რომ თქვენთან კოლმეურნეობაში ყველა ძაღლს შარიკა ჰქვია?

უზრუნველი და უქმი იყო ეს ივლისის დღე, რომელიც ისე დაამახსოვრდა ვლადიმირს, როგორც მზის თვალისმომჭრელი ელვარება სიბნელის წინ...

## თავი მეთერთმეტე

როცა დაისის შემდეგ მუქ ვარდისფერ, საღამოსეულ წყალში ჩათვლემა იწყეს უძრავმა ფერფლისფერმა ღრუბლებმა, როცა ბალახის სინესტემ მოატანა, დაბლობიდან, სათვალთვალო პუნქტიდან ილიამ დაურეკა და უთხრა: გეყო ამდენი ძილი, ხეებქვეშ რომ სახლია, იქ მოდი და ხაშხაშიანი ჩაი დავლიოთო. ვლადიმირმა ქვემეხებთან დაყენებული გუშაგები შეამოწმა, ძილ[illegible] უკვე ჩაფერფლილი ღელის გაღმა გავიდა და ხელის ფათურით ჩაჰყვა ბაღში ჩამავალ ციცაბო ფერდობს. ბაღში წყვდიადმა შემწიფებული ვაშლის, ჯერ კიდევ გაუცივებელი ხმელი ტყრუშული ღობის სურნელი შემოასუნთქა.

სახლი ვაშლის ხეებში იყო ჩამალული, ვარსკვლავიანი ცის ქვეშ სახურავი ხშირ ფოთლებში ბინდისებურად ირეკლავდა თუნუქის სილურჯეს. შეთეთრებულ კედლებზე უსურვაზის ფოთლების მკრთალი ჩრდილები გარინდულიყვნენ, ჭიშკრიდან სამიოდე ნაბიჯზე ვერცხლისწყალივით ლაპლაპებდა ბაღის სიბნელით მოცული ოწინარის ლატანზე დაკიდებული გაპრიალებული ძველი ვედრო, — ყველაფერი სოფლურად მშვიდი და მყუდრო იყო. ბალახში ყრუ ხმით ეცემოდნენ გადამწიფებული ვაშლები. სახლს რომ მიადგა, მარტო ყოფნით გამოშტერებულმა გუშაგმა გამოსძახა: „სდექ, ვინ მოდის?“ — და ხეებშორის ბილიკზე გამოაბიჯა, თან ვაშლი ჩაკბიჩა და, მოსალოდნელი გამამხნევებელი საუბრით გახალისებულმა, თქვა:

— პირდაპირ სამოთხეა... არც რაკეტები, არც სროლა. თითქოს არც გერმანლები არიან სადმე. კუტკალიების გაბმული ტკრციალი ისმის მხოლოდ. გააფთრებით ისვრიან, შეიშალენ რაღა!..

პირგამოვსებული ლაპარაკობდა, თან ქსუტუნებდა და ვაშლის წვენს ყლაპავდა, — ამ ხმაშიც იყო რაღაც ძველი, დამამშვიდებელი, საუკუნეთა სიღრმიდან მოსული, — და ვლადიმირმაც გადააბიჯა სახლის ზღურბლს, თან რატომღაც ღელავდა.

სახლის პირველ ნახევარში მოთუხთუხე სამოვრის ოხშივარი იდგა, მაგიდაზე ნავთის მაღალი ლამპა ანათებდა დაჭრილი ღორის ქონით სავსე თეფშებს, ჩერით დაცობილ მწვანე შუშის ბოცას, მსხვილი ვაშლების გროვას, შუაზე გაჭრილ ვეება საზამთროს, შავი კურკები რომ მოუჩანდა, ლამბაქებზე დასხმულ ნარინჯისფერ თაფლს — მთელ სიმდიდრეს, სურნელოვანს, უხვს, რაც შეგახსენებდათ ცოცხალთა დაუსრულებელ ზეიმზე, რომელიც ადამიანებისგან დამოუკიდებლად დაიწყო გუშინწინ და საბედისწერო ჟამი გადასწია.

ილიას ცელულოიდის საყელოიანი გიმნასტურა გაეღეღა, საპატიო ადგილას, ნაქარგი ტილოთი შემკული ხატის წინ იჯდა და ალერსიანად შესცინოდა ოცდაათიოდე წლის ქალს, ალბათ დიასახლისს, რომელიც მხიარული მზერის პასუხად მშვიდად უღიმოდა გამოკვეთილი დიდი ტუჩებით და ამ ღიმილში დამნაშავური მორჩილება გამოკრთოდა.

ზემდეგი ლაზარევი მეკავშირესთან ერთად ტელეფონის აპარატთან ფუსფუსებდა, სხვადასხვა ადგილას რეკავდა, ქვემეხებს შორის კავშირს ამოწმებდა, თან ალმაცერად გასცქეროდა ილიას და ქალს, მაგრამ საუბარში არ ერეოდა და ბრძნულად იკავებდა თავს, რომ ბატარეის ახალი მეთაურის საქმეში ცხვირი არ ჩაეყო.

— აი ლეიტენანტი ვასილიევიც! გაიცანი, ვალოდია, სტუმართმოყვარე ოჯახის მომხიბლავი დიასახლისი! ხედავ, კიდევ რამდენი მშვენიერი ქალია ქვე-

ყნაღ? შენ კი ამბობდი, მეცხრამეტე საუკუნეში ყველაფერი დამთავრდა!.. — ხალისიანად წარმოთქვა ილიამ (ასე იცოდა ხოლმე, როცა კარგ გუნებაზე იყო), თითქოს მთელი თავისი დღე და მოსურება ქალების გულის მოგებას მეტს არაფერს აქეთებდა, და შავი თვალები შეავლო ქალის ჩამრგვალებულ კისერსა და სავსე მკერდს. — აი მოგკლავენ, ეშმაკმა წაიღოს, და ასეთ შესანიშნავ ეგზემპლარს ველარ ნახავ. რა გაეწყობა, მთელ საღამოს უნდა გ[illegible]ულები, ნადენკა.

ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ქალის თვალწარმტაც სილამაზეზე როცა ლაპარაკობდა, აზვიადებდა, მაგრამ აშკარად შესანიშნავ გუნებაზე კი იყო, როგორიც დიდი ხანია არ ენახა ვლადიმირს, სასიამოვნო ხუმრობის კილოთი ლაპარაკობდა, თანაც ეს კილო არავის წყენას არ ჰგვრიდა, პირიქით, მისი საუბრისადმი კეთილად განაწყობდა კაცს.

„მაინც კარგია, რომ ერთ ბატარეაში ვართ", — გაიფიქრა ვლადიმირმა და გაცნობის ნიშნად დიასახლისს თავი დაუკრა.

— თქვენ მე დამცინით, ილია პეტროვიჩ, — ნაზი ხმით თქვა ქალმა და მოკრძალებული თავის დაკვრით მიესალმა ვლადიმირს; თან პატარა ჩაიდანში ქაფქაფა წყალსასხამდა სამოვრიდან; ორთქლთან ერთად ალმური ასდიოდა მდუღარეთი გაჟღენთილ მოცხარის ფოთოლს. — დაჯექით, გეთაყვა, აგერ აქ დაჯექით, აქ უფრო კარგა იქნებით. — ძველ ქაღალდებაკრულ ფანჯარასთან მდგარ მერხზე მიუთითა ვლადიმირს და მისი ხმა ალერსის ამღერებულ. გულში ჩამწვდომ ტალღად შემოევლო ვლადიმირს. — მიირთვით რამე...

— სერიოზულად ვამბობ, ნადენკა, — განაგრძო ილიამ, გარუჯულ, ოდნავ უხეშ ხელში სწვდა, გალანტურად წამოდგა და გაბედულად აკოცა. — ხუმრობის გარეშე.

— როგორ გეკადრებათ... ეგრე როგორ იქნება!..

ნამზეურზე სიწითლემ გადაუარა, წინააღმდეგობა გაუწია, ხელის გათავისუფლება სცადა, მაგრამ ამაოდ, ილიამ არ გაუშვა, კიდევ უფრო მოუჭირა თითები, მიბნედილ თაფლისფერ თვალებში ჩახედა, გაუღიმა, მეორედ აკოცა. არ რცხვენოდა, დაუფარავად გაარშიყებოდა ქალს, რომელიც, ეტყობა, მოსწონდა, და ვლადიმირი მიხვდა, რომ მას არც ისე უბრალო საწადელი ჰქონდა გულში.

— თქვენთან რო გერმანელები იდგნენ, ვითომ მარტო ხელზე გკოცნიდნენ ქალებსა? თუ როგორ იყო? — გულუბრყვილოდ შეეკითხა ლაზარევი, ისე რომ ტელეფონის აპარატისთვის თვალი არ მოუშორებია. — ეგეთ რამეებში გერმანელები დი-იდი პრაფესორები არიან! ტყუილად კი არ დაათრევენ სურათებს ინსტრუქციებივით.

— ვერ გავიგე, რას გულისხმობთ კონკრეტულად, ლაზარევ? — ასევე გულუბრყვილოდ უთხრა ილიამ. — თქვენ გინდოდათ გეთქვათ, რომ გერმანელთა ტოპოგრაფიული რუკები არ მოგწონთ?

— ჩვენი ზოგ-ზოგი ქალები გააფუჭეს-მეთქი, იმას ვამბობ... ჰოდა, დაასნეულეს კიდევაცა, — დათაფლულად წარმოთქვა ლაზარევმა, ისე რომ ილიას შემარბილებელი ფრაზა ყურად არ უღია. — ეგრე გეძცეოდნენ, ლამაზო, გერმანელები? ხელებს გიკოცნიდნენ? — ისევ შეეკითხა და თაფლში საწამლავი გაურია, რომელიც ქალისთვის კი არა, უთუოდ ილიასთვის ჰქონდა მომზადებული. — თუ როგორ იყო.

ქალმა სამოვრის ონკანი დაკეტა, ჩაიდანს თავი დაახურა და დარეცხილ-დასუფთავებული ნაპირებჩამომტვრეული ფინჯნები მოსწია, მერე კრძალვით იბ-

რუნა პირი და იქით გაიხედა, სადაც ფანჯრებშუა ფიანდაზდაფენილ კომოდის თავზე მარაოსებურად ეკიდა რამდენიმე ძველი ფოტოსურათი, შუაგულში კი შენიშნავდით მკაცრი, ლაწვმაღალი სახის ჭაბუკს, რომელსაც რკინიგზელის ქუდი ეხურა და ქურთუკის პატარა ჯიბეზე ომამდელი ნიშანი ეკეთა; ქალმა აკანკალებული ხმით თქვა:

— სადგურზე იდგნენ, ჩემთან არ ყოფილან... ჩემი სახლი განაპირას დგას, იმათ კი ნაპირა სახლები არ უყვართ. ბარე ოთხჯერ მოვიდნენ მოტოციკლეტით. ...ედი, ქათამი, კვერცხი და შპეკი[1] მოგვეციო. ჭასთან პირი დაიბანეს, ვაშლები ჩამოყარეს, თაფლი წაიღეს და წავიდნენ.

ლაზარევმა მხრები აიჩეჩა.

— არავითარი მხეცობა არ ჩაუდენიათ? უყურე შენ!

— სადგურზე მასწავლებელი ქალი აწამეს და ჩამოახრჩვეს... ორმოცდაერთ წელში ჩამოვიდა ჩვენთან. კიევიდან. ისეთი კაი ლურჯთვალება გოგო იყო...

— მაშ შენთვის იმ მხეცებს ხელი არ უხლიათ, ლამაზო? მაშ სუფთა, თეთრფეხება ჩიტი ხარ? ეს კარგია. თორემ, იცი, თქვენი ქალები გერმანელებს თავად ეკიდებიან, მერე კი გაიხედავ და — პატარა სისვა ფრიცი დარბის მაგიდის ქვეშ. როგორ ფიქრობ, ლეიტენანტო, ჩვენს ლამაზ ქალს არ ეყოლება ამნაირი ღლაპი?

ეტყობა, ლაზარევს ვერ მოენელებინა ის საშინელი დამცირება, რომელიც დღეს განიცადა და ახლა არაპირდაპირი გზით უხდიდა სამაგიეროს. ილია კი კვლავ კეთილი ღიმილით უცქერდა ახალგაზრდა ქალს, იმას, თუ როგორ გადადგ-გადმოდგამდა ხოლმე იგი უმიზნოდ სამოვრის ონკანქვეშ ფინჯნებს, ჩაის დასხმა კი ვერ გაებედა. გამომეტყველი თაფლისფერთვალება სახე ერთ წამში გაეტანჯა.

— თქვენ ძლიერი ვაჟკაცი ხართ, ზემდეგო, მე ეს ვიცი, — დინჯად უთხრა ილიამ და ეს უცილობელი ამბავი ინტონაციითაც დაადასტურა. — მაგრამ თუ კიდევ წამოგიყრანტალებიათ ეგეთი რამ, ლაზარევ, ფანჯრიდან გადაგაგდებთ, რომ თქვენი ბუნდლა არ იყოს აქ, გასაგებია? გაიგე, ჭკუის კოლოფო, ბოლოს და ბოლოს, — უშფოთველი ცივი თავაზიანობით განაგრძობდა იგი და თან საჩვენებელი თითის ფრჩხილს უკაკუნებდა მაგიდას. — რამდენიმე წელიწადს იმიტომ კი არ ვმეცადინეობდი კრივსა და სამბოში, რომ შენისთანები თავზე დავისვა! ესეც გასაგებია? მაშ ასე. თუ თქვენ, დახვეწილი ინტელიგენტური ბუნების კაცს, დღეს ჭკუა ვერ გასწავლეთ, ამას ხვალ ვიზამ თქვენთვის ხელსაყრელ დროს.

ლაზარევს ბოროტი ნესტოები დაებერა, თვალები გადმოეკარკლა და ხრინწიანად ალმოხდა:

— წამიჭირე ყელში, ლეიტენანტო, დამახრჩვე! ოღონდ იცოდე, მეც შემიძლია დათვის წაქცევა. მე ნადირობა მიყვარს... წამიქცევია კიდეც...

დიდი ხელი მძიმედ, შემთხვევით შეეხო ფინური დანის ქარქაშს და იმწამსვე მოშორდა. საზარელი სანახავი იყო ლაზარევის სიძულვილით სავსე გათეთრებული თვალები, მაგრამ მუქარა ილიას ბოლომდე არ მოუსმენია, ცნობისმოყვარე მზერა მიაპყრო მის ანთებულ თვალებს და ხმადაბლა უბრძანა:

— ახლავე გასწით სათვალთვალო პუნქტში, ზემდეგო, თან ეცადეთ რაც შეიძლება ნაკლებად შემეჩხიროთ თვალში, სანამ ჭკუაზე მოხვალთ.

---

[1] ღორის ქონი (გერმ.).

— რატომაც არა? ამას მოვახერხებთ. ამას ახლავე. რაკი სათვალთვალო პუნქტში მიბრძანებთ წასვლას, წავალ, — გაიღრიჭა ლაზარევმა, ყალბი მორჩილებით გაიჯგიმა, სკამიდან ავტომატი აიღო და რწევა-რწევით მივიდა შეშინებულ დიასახლისთან: — გმადლობთ, ლამაზო, მასპინძლობისათვის. სამარის კარამდე მეხსომება ჩაიც, ღორის ქონიც და შინნახადი არაყიც. ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით.

— მე ხომ... თქვენ ხომ ჯერ არაფერი გიჭამიათ და [illegible]... — დაადევნა დაბნეულმა დიასახლისმა ლაზარევს, რომელმაც პირი იბრუნა და გარეთ გავიდა.

— არა უშავს. მაგისთანები, ნადენკა, შიმშილით არ იხოცებიან. ჰო, კარგი, — უზრუნველად თქვა ილიამ, ბოცას ჩვრის სახურავი მოხადა და ფინჯნებში არაყი ჩამოასხა. — ას-ასი გრამი, მე მგონი, შეიძლება, ა? რაო, ნადენკა, მოგვიჭახუნებთ? — გულკეთილად განაგრძო ილიამ, ფინჯანი ასწია და ისევ მიმართა დიასახლისს: — ნება მომეცით ნადენკა, თქვენი სადღეგრძელო შევსვა... ჩვენს ლამაზ, სტუმართმოყვარე დიასახლისს გაუმარჯოს! რას იტყვი, ვალოდია, მხარს უჭერ ჩემს სადღეგრძელოს? გაუმარჯოს ნადიას, იმას, რომ ჩვენ ბედმა გაგვიღიმა და ასეთი ლამაზი სტუმართმოყვარე ქალი შეგვახვედრა!

ილიას უნდოდა მოსწონებოდა და ატაცებული იყო ამ უაზრო არშიყობით, მსუბუქი ლაქლაქით, რომელიც არავითარ მოვალეობას არ აკისრებდა, ომისგან ხელშეუხებელი სუფთა სახლის თითქმის ქალაქური მყუდროებით, სადაც დიასახლისი ეულად, იდუმალად ცხოვრობდა და ახლა ბაგეებზე დაბნეულად მთრთოლვარე ღიმილით უპასუხებდა მის მხიარულ სიტყვებს. ვლადიმირმა თვალი შეავლო კომოდის თავზე დაკიდებულ ფოტოსურათს, რომელზედაც რკინიგზელის ქუდიანი მკაცრი სახის ჭაბუკი იყო გამოსახული, და უხერხულად ჰკითხა:

— ქმარი ფრონტზეა?

ქალმა მოდუნებული ღუღუნა ხმით მიუგო:

— ომი დაიწყო თუ არა, წავიდა და მისი არაფერი ისმის. ერთი წელი ვიცხოვრეთ მხოლოდ. მოკლული იქნება...

ვლადიმირს გაეღვიძა. ვიღაცა სწევდა, შეანჯღრია და ჩასჩურჩულა:

— ვალოდკა, ადექი!

მერხზე წამოჯდა, ძილისგან გამოერკვა და დახუთულ ოთახში ჩაესმა აპარატთან ჩათვლემილი მეკავშირის ნელი ფშვინვა, ღამის ღრმა სიჩუმე: მაგიდაზე ნავთის ლამპა ბჟუტავდა და გადახურებული გამჭვარტლული შუშის სუნი ტრიალებდა.

— ადექი-მეთქი!

მის წინ ილია იდგა ქამარშეხსნილი გიმნასტურითა და უქუდოდ. დროდადრო ხმა უწყდებოდა, ბინდბუნდში ოდნავი დაკმაყოფილებული დაღლილობა უნათებდა სახეს.

— რა იყო? — ჰკითხა ვლადიმირმა. — რა გინდა?

— მიდი, — უთხრა ილიამ და მხარში უბიძგა. — ის ქალი გელოდება.

— ვინ მელოდება? — ვერ მიუხვდა ვლადიმირი.

— ნადია. სათივეშია, ეზოში, მიუგო ილიამ და მის გვერდით მერხზე ჩამოჯდა, გახურებული, გაოფლილი, ოდნავ ჩაიცინა. — აი ქალიც ეს არის! — ტუჩი მოისინჯა, თვალები ალგზნებულად მოჭუტა და თქვა: — ხვალ თუ კბილები

არ დამაჩნდა, იღბალი მქონია. ქალი კი არა, სატანაა. მაგრამ იცი, არაფერზე უარს არ ამბობს, ოღონდ ერთი რამისა ეშინია... ვაჰ, რა ძუძუები აქვს, რა თეძოები!.. მიდი! შენ კი არა, ის მომწონსო, შენზე მითხრა. მიდი რა, ვალოდკა, რას მომჩერებიხარ? გელოდება-მეთქი.

ილიამ მხრებზე ხელი მოჰხვია, მეგობრულად წააქეზა და უბიძგა:

— აბა, წადი.

„წეღან ილია სათივეში იყო იმ ლამაზ ახალგაზრდა ქალთან. იქ უკოცნიდა გრძელ ტუჩებს... ახლა კი უნდა, რომ მე წავიდე? ნადიასთან მივიდე ილიას შემდეგ? განა შეიძლება ქალს ვინმეს შემდეგ აკოცო? არა, მე გამბედაობა არ მეყოფა. არ შემიძლია...“

მაგრამ ეს უცნობი ნადია ვლადიმირსაც მოსწონდა, ხოლო როცა იგი მათთან ერთად უჯდა სუფრას და ორივეს მასპინძლობდა, მისი სავსე მკერდის, მკვრივი თეძოების, მისი სალუქი, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა სხეულის სიახლოვისაგან გული ელეოდა, მისი თაფლისფერი, ზოგჯერ ნაზი, მორჩილი თვალების მზერა სულს უხუთავდა და მხოლოდ მაშინ უსწორებდა თვალს, როცა იგი მზრუნველი ქალური ხელებით მოცხარის ფოთლის ნაყენით სავსე ფინჯანს აწვდიდა.

— ვერ გამოფხიზლდი? რა ჯირკივით ზიხარ? მიდი! გეყო ფიქრი. სათივეს გახვალ თუ არა, დაინახავ. ხომ არ გაგაცილო?

— გეყოფა სისულელეები, ილია. თავად ვიცი, რა უნდა ვქნა.

ვლადიმირმა ოდნავ ჰკრა ხელი, კიბეს აჰყვა, პურის სუნით გაჟღენთილი მოციმციმე სარკმლიანი სამზარეულო გაიარა და ბაღის სიბნელეში ნამიან ჰაერზე გავიდა. ირგვლივ სიჩუმე იყო: ბალახზე, ხეთა ფოთლებზე გვიანი ღამის სიგრილე ჩამოწოლილიყო, ტოტებს ზემოთ კი ივლისის ვარსკვლავები ციაფობდნენ.

გუშაგი სახლის ახლოს არ იყო, არ ისმოდა მისი ნაბიჯების ხმა, ბალახის შარიშური — ალბათ სადმე ბაღში იდგა ან იჯდა და გვიანი ღამის მდუმარებას უგდებდა ყურს.

ეზოს ბოლოს შავ ლაქად მოჩანდა ფარდული. იქ სათივეში ელოდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც ილია მოურიდებლად ეძახდა ნადიას, ნადენკას, რომელიც ასე წითლდებოდა და ილიმებოდა ხან მოკრძალებული, ხან გაფართოებული თვალებით ნამზეურ სახეზე და ქერა კულულებჩამოყრილ ყელს იღერებდა, თითქოს ამდენ ხანს იმიტომ ელოდა სიმარტოვეში, რომ მათთვის მოეწონებინა თავისი შენახული ქალწულური ტანი, თავისი სისალუქე, რომელიც სოფლურ მუშაობას ვერ დაემახინჯებინა.

„ეს ლაჩრობაა. რა უბრალოდ ეარშიყებოდა ილია და რა ძნელად გამომდის მე ყველაფერი! რა საჭიროა ყოველივე ეს? მე არ მინდა... მე მაშაზე ვფიქრობ და ამ ქალთან ვერ მივალ... მაგრამ რას იფიქრებს ილია ჩემზე?..“

სათივე სახლიდან ოციოდე ნაბიჯზე იყო, ოღონდ შუა ეზოში მდგარი ალვებისა და ჰისთვის უნდა ჩაევლო, ღრიჭოდ დარჩენილ კართან მისულიყო და ჩუმად დაეძახა: „ნადია“, — იქ კი არაფრის არ შერცხვებოდა უკუნ წყვდიადში და მასთან ერთად, მის მკვრივ სხეულთან ერთად გადაეშვებოდა იმ უტკბესი ქაოსის დამღუპველ საშინელებაში, რაც ომამდე ერთხელ განეცადა და ისიც მთელი ძალით არა, თითქოსდა სიზმარში.

— ნადენკა, — თქვა მან, შეეცადა ხუმრობით წარმოეთქვა მისი სახელი, ისევე როგორც ილია წარმოთქვამდა, მაგრამ მიბაძვა დაძაბული, ნაძალადევი

გამოუვიდა და მან ჩურჩულით წარმოთქვა შიშისმომგვრელ ღიობში: — ნადია!.. ნადია, მომისმინეთ...

— მოდი, ბიჭო, მოდი. მოდი, რაღას უცდი!..

კედელზე ხელი მოაფათურა, თან გულის გაშმაგებული ბაყაყები ესმოდა, მერე ძველ ანჯამებზე დაკიდებულმა, ფარდულის კედლისკენ დაფერდებულმა კარმა გაიჭრიალა, წინიდან კი, სოფლური სუნით გაჟღენთილი სიბნელიდან, თავში ავარდნილი სისხლის ჩქაფუნში მის ყურამდე აღწევდა რაღაც ჩურჩული, ღუღუნა, სწრაფი, მშრალი თივის რეტდამსხმელი თაფლისმაგვარ სურნელში, და უცებ გადააწყდა ცხელ მარჯვე ხელებს, რომლებმაც თავისკენ მიიზიდეს, მხურვალედ მსუნთქავ ღია ტუჩებს დააწაფეს, იგრძნო სავსე გრილი მკერდის მტანჯველი სიახლოვე, მისი მუცლის ხავერდოვანი სითბო, მისი კისრისა და მხრების ფაქიზი, ნაზი, კიტრის მსგავსი სუნი, მასთან ერთად დაეცა თივაზე დაგებულ საბანზე, იგრძნო, როგორ დაჰყვნენ ქალის მუხლები მის მუხლებს, და უეცარი ქრქოლა მოჰგვარა მისმა ნამიანმა ტუჩ-კბილმა, მისმა ურცხვმა ხვევნა-ალერსმა, თრთოლვით მოდენილმა ჩურჩულმა, ნარინჯისფერ წრეებად რომ ევლებოდა გარს:

— ოხ, ჩემო საყვარელო ბიჭო... ის ლეიტენანტი... ძაან ყოჩაღია... იმან მითხრა, რომ შენ მოგწონვარ, მაშ მაკოცე. რაღას უცდი, საყვარელო ბიჭო!..

— ნადია, — წაიჩურჩულა აცახცახებულმა, არ იცოდა, რატომ არ შეეძლო მისთვის ნადენკა დაეძახა, როგორ შესანიშნავად შეეძლო ილიას, და, სირცხვილის ქრქოლისმომგვრელ ბურუსში გახვეული, იმეორებდა: — ნადია, ნადია... თქვენ ლამაზი ხართ, თქვენ მშვენიერი ხართ...

— ღმერთო, შემინდე, — გაიგონა ვლადიმირმა ქალის ყრუ, მავედრებელი ხმა. — ჩემი ქმარი დიდი ხანია მოკლულია, მე კი მწყერივით მარტო ვარ, თავად ვარ ქმარიცა და დიასახლისიც. ღმერთო!.. — წარმოთქვა ისევ. ვერ გაიგებდით, იცინოდა თუ ტიროდა. — რა ლამაზი და ჭკვიანი ბიჭი ხარ!.. ვალოდია გქვია, ხომ? ღმერთო, ჩემი პატარა ბიჭი! ვალოდენკა, ბიჭო!..

ნადიამ შესაბრალისად შეჰკივლა. იმავ წამს წყვდიადი მწვანე შუქმა გაანათა და გამოჩნდა მისი სახე, ფართოდ გახელილი ცრემლებჩამდგარი თვალები. მერე უცნაური შუქი სათივის ღია კარში გასხლტა, ბაღში გაიკრთომარა და ყველაფერი წყვდიადში დაინთქა.

თავდაპირველად ვლადიმირი ვერ მიხვდა, რა შუქი აიჭრა ბაღის თავზე, სათივე და მისი ყველა კუნჭული რომ გამსჭვალა, ვერ მიხვდა, რადგან სროლის ხმა არ გაუგონია. მაგრამ იქვე სულ ახლოს გაისმა ბათქი, შიშინი, რომელიც თანდათან გაძლიერდა, და მოწითალო მწვანე კომეტა გაიშალა მაღლა, რკინიგზის მიწაყრილის თავზე, მერე კი მინავლულ ნაღვერდლად დაეფრქვა ალვის ხეთა კენწეროებს. და ისევ გამოჩნდა ნახევრად შიშველი ქალის გადაწეული სახე, ფართოდ გახელილი ცრემლშეუშრობი თვალები, და ვლადიმირი, რომელიც უკვე თითქმის განყენებულად ფიქრობდა, რატომ იყო აქ, რომელიც უკვე წინასწარ გრძნობდა რაღაც უეცარს, გარდუვალს, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, ზეზე წამოხტა, ქამარი გზადაგზა შემოირტყა და ისე გამოვარდა მესამე რაკეტის ცეცხლოვან წვიმაში, თვალისმომჭრელი სიკაშკაშით რომ გაანათა მთელი ეზო, ოწინარიანი ჭა, მსხვილი ვაშლებით დახუნძლული ტოტები, ალვის ხეების პირამიდებს იქით მდებარე რკინიგზის მიწაყრილი.

ამ ხანმოკლე მონაკვეთში, რამდენიმე წამს რომ გაიჭიმა სინათლესა და წყვდიადს შორის. ვლადიმირმა დალანდა მიწაყრილზე მოძრავი ფიგურები.იქი-

დან მაშინვე მოისმა გაურკვეველი ველური ყვირილი, გეგონება, ვიღაცას ყელი ამოაგლჯეს, და თითქოს მის შესაწყვეტად, ჩასახშობად ზემოდან გადმოიგრიალა ავტომატის რამდენიმე ჯერმა. მგეზავმა ტყვიებმა ქოლოსფერ ილუმინაციასავით გადაუქროლეს ბაღის კენწეროებს და ტოტებში იისფერ ცეცხლებად გაიფან-ტნენ. ტყვიებით მოწყვეტილი ორი მწიფე ვაშლი ტყრუშულ ღობესთან დაეცა, ბილიკზე დაგორდა და ბალახში გაუჩინარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირმა საოცრად მკაფიოდ დაინახა ეს ვაშლები მის თვალწინ არყო-რცნილი რაკეტების მძვინვარე ქაოსში. ცად აჭრილი ფოიერვერკები ქანაობდნენ და რკინიგზის თავზე ეკიდებოდნენ, იქ კი ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმოდა ძრავების გუგუნი, რომელიც მთელ ტყეს ედებოდა და სულ უფრო იზრდებოდა. ვლადი-მირი განცვიფრდა: „საიდან გაჩნდნენ ტანკები, როცა ორ დღე-ღამეს ასეთი სი-წყნარე იყო?..“

სახლის კართან ილიას შეეჩეხა. ილია ჩაცმული, ქამარშემორტყმული, ყა-წიმებგადაჯვარედინებული გამოვარდა ეზოში, არც შეჩერებულა, ისე ახედა რა-კეტებით მოფენილ ცას და ვლადიმირს გამოსძახა:

— დაიწყეს? ღამით? რაღაც გერმანელთა მოქმედებას არ ჰგავს! ჩემთან ერ-თად წამო სათვალთვალო პუნქტში! იქ გავერკვევით!

როცა ბაღიდან გამორბოდნენ, განაპირა ალვებიდან, კიუვეტის გასწვრივ რომ იდგნენ, ვაშლის ხის ძირიდან შავი ფიგურა გამოფათურდა, ლაბადა-კარვით გაიშლიგინა ტოტებში და ღრიალი მორთო:

—ვინა ხართ? გესვრით!

— გუშაგო! — ომახიანად გასძახა ილიამ. — უკან გაბრუნდი! თქვენიანები ვართ! საით გარბოდი, ერთი მითხარი? სირბილით, ჩემთან!

გუშაგმა ფეხების ბლანდვით მოირბინა, წარამარა ყელი ეხრინწებოდა:

— ამხანაგო ბატარეის მეთაურო, ვიფიქრე, გერმანელები არიან-მეთქი... გერმანელები მეგონეთ...

— გაგიჟდი? გერმანელებს ბაღში რა უნდა?

— წეღან მომეჩვენა: მიწაყრილზე კენჭები ხრაშუნობდნენ თითქოს...

— როდის „წეღან“?

— ასე ათი წუთის წინ თითქოს ხრაშახრუში გაუდიოდათ...

„მეც დავლანდე რაღაც მოძრაობა მიწაყრილზე, — გაიფიქრა ვლადიმირმა. — ნუთუ მეც მომეჩვენა?“

— მერე რატომ მაშინვე არ ატეხე განგაში, გუშაგო? რაზე ოცნებობდი, ეშმაკის კერძო?! — ზიზღით სავსე სიშმაგით წარმოთქვა ილიამ და მარცხენა ხელი ისე ჰკრა ჯარისკაცს, რომ ამ უკანასკნელს ბალახში ჩექმები გაეხლართა და უკანალით ძირს დაეცა, თან წიკვინა ხმით შესძახა:

— არ მძინებია, ამხანაგო ლეიტენანტო!..

— აბა, მომწყდი თავიდან ,ნაძირალავ! — ზიზღით მიაძახა ილიამ.

როცა დაფერდებულ მიწაყრილზე აძვრნენ და მოკლე სანგარსავალს მი-ადგნენ, როცა აქ, სათვალთვალო პუნქტის სანგარში ნახეს ის, რამაც ყოველ-გვარი ეჭვი გაუფანტათ, ჯერ მოეჩვენათ, თითქოს გერმანელებმა უკვე გზა მო-უჭრეს და ზურგიდან მოუარეს — ორი რაკეტა აიჭრა ტყის თავზე, ნაკადულ-გაღმა, სამი ქვემეხის საცეცხლე პოზიციის შორიახლო, იდუმალად აკიაფდნენ და წამით ალმოდებულ წყალში ჩაქრნენ. სათვალთვალო პუნქტს შორის ასროლი-ლი ეს რაკეტები ისე მოულოდნელი და საშიში იყო, რომ ვლადიმირს აშკა-

რად მოესმა გერმანელ მეთაურთა ბრძანებები ტყის პირას, სადაც ქვემეხები იდგა, და სული ძლივს მოითქვა:

— ყველაფერი გასაგებია, ილია! მგონი, გერმანელებმა ზურგიდან მოგვიარეს! მე ბატარეას მივხედავ!

— მოიცა! ახლავე გავარკვევთ! პანიკას ნუ ეძლევი! — უბრძანა ილიამ, უკან, ტყის პირს მოავლო თვალი და მარცხნივ, სანგრის [illegible] გაქანდა: იქ მკერდით ბრუსტვერს დაყრდნობოდა და მოკლე ჯერით ისროდა რკინიგზის მიწაყრილის გასწვრივ სერჟანტი შაპკინი. — მარცხნიდან გვივლიან გვერდს? — შესძახა ილიამ. — რაო? მეავტომატეები? სათვალთვალო პუნქტს ალყას არტყამენ? ქვეითთა ორი მეტყვიამფრქვევე სადღაა?

შაპკინი შემოტრიალდა, მოვარდისფრო კბილები მხეცივით დაკრიჭა, მაგრამ გარკვევით ვერაფერი უპასუხა, მხოლოდ თავი გააქნია მგეზავი ტყვიებით, ძრავების გუგუნით, რაკეტების მოგიზგიზე რკალებით, ქვემეხთა თვალისმომჭრელი ცეცხლით სავსე სივრცისკენ.

გამოტყორცნილ ცეცხლსა და სიბნელეს შუა ვლადიმირმა რკინიგზის მიწაყრილს იქით, ტყის მარჯვნივ დაინახა თივის გრძელი ზვინებით მოფენილი მინდორი, რომელთა შორის მობობღავდნენ ტყიდან გამოსული ტანკები და გაშლილი კუთხით მოჰყვებოდნენ მინდორს, მარჯვნივ, ფრონტის გასწვრივ, სადგურის ბოლოსაკენ. ხოლო სადგურის განაპირა სახლების ახლოს, ქვეითთა ტრანშეების ბორცვებს უკან ხმაჩაწყვეტილად ისროდნენ ჩვენი ორმოცდახუთმილიმეტრიანი ზარბაზნები, თან გამალებით ილრინებოდნენ, ტანკები კი უვნებლად მოდიოდნენ, სულ უფრო უახლოვდებოდნენ სადგურის ბოლოს და, რაკეტების შუქზე მათი ჩრდილები ურჩხულებივით ირთხმებოდნენ.

— აბა, ქვემეხთან! — უბრძანა ილიამ ვლადიმირს. — ორმოცდახუთმილიმეტრიანებით მხოლოდ ბუზებს თუ დახოცავს კაცი. პირდაპირ დამიზნებაზე გამოიყვანე ქვემეხი, მიწაყრილზე დააყენე! აქედან უფრო მოხერხებული იქნება! აბა!..

— ლეიტენანტო! ბატალიონის მეთაურია ტელეფონთან! მეხუთე! ქვეითი ჯარი გთხოვს!

სანგრის განშტოებიდან გამოჩნდა ზემდეგი ლაზარევის სილუეტი, და სანგარსავალიდან გამოვარდნილმა ვლადიმირმა გაიგონა, როგორ ჩასძახა ილიამ ყურმილში „მეხუთეს", რომ ის ჯერჯერობით დაღუპულებში არ სწერია და ყვირილს არავის არ აპატიებს, რომ ტანკებს ხედავს, ახლავე შეეშველება ქვეითებს პირდაპირი დამიზნების ცეცხლით. შემდეგ კი ,ლაზარევისადმი მიმართული მისი ჩახშობილი ლანძღვა-გინება რომ გაიგონა, დაფერდებულ მიწაყრილზე დაცურდა ბაღის ბნელი ადგილისაკენ, რომელსაც წამდაუწუმ ანათებდა მოციალე რაკეტები.

ბილიკი არ უძებნია, პირდაპირ გაქანდა ღელეზე გადებული ხიდისაკენ, ეზოში ხეებქვეშ დაინახა ოწინარიანი ჭა, კარლია ფარდული, საიდანაც ახლახან პირისახეში მოხვდა ახალი თივის, ახალმოწველილი რძის სუნი და სადაც მაშინ ბინდბუნდში მოესმა ქალის მხურვალე ჩურჩული, დალანდა მისი გამოწვდილი ხელები, მისი სხეულის მოძრაობა, სირცხვილის ალმური რომ შემოუნთეს, — და მაშინვე გაუელვა გონებაში, რომ დაუყოვნებლივ უნდა უთხრას, გააფრთხილოს, ბრძოლა დაიწყო და აქ ყოფნა სახიფათოაო. ფარდულის უკუნ სიბნელეში შეირბინა და სულმოუთქმელად შესძახა: „ნადია, თქვენ გესმით ჩემი?" არავინ უპასუხა. შემდეგ წუთს ნაცნობ სახლს მიადგა, მხრით გაალო

კარი, კვლავ გასძახა პატარა სამზარეულოს კუთხეში მდგარი ნავთის ლამპის ნარინჯისფერ ათინათში: „ნადია! წადით აქედან. ახლავე წადით!“ — და მას შემდეგ, რაც შესაბრალისი ხმა გაისმა და ქალის სილუეტმა ლამპის შუქი დაჩრდილა, ვლადიმირი კარს მოსწყდა და პირდაპირ ბაღის ბოლოსაკენ გაეშურა, თან ბაღახში ჩამოცვენილ შემპალ ვაშლებზე უცურდებოდა ფეხი. ხოლო როცა წაქცეულ ტყრუშულ ღობეს გადაევლო და, ოფლში გახვ[illegible] ძელურ ხიდს მიადგა, უკვე სუნთქვა ეკვროდა. სისხლი მტკივნეულად [illegible] ქავდა კონტუზირებულ თავში, რაკეტების ფოიერვერკი ხტუნვა-ხტუნვით მოსდევდა ზურგიდან, ფიჭვნარის კენწეროებისაკენ მიექანებოდა, თვალს სჭრიდა, წინ, ტყის პირას იფანტებოდა, სადაც თითქოს წყვდიადიდან შიშველ სინათლეზე გამოხტოდნენ ქვემეხები, კუზიანებივით რომ ჩანდნენ. მათ ირგვლივ კი არნახულ ბუქნას უვლიდნენ და ცეკვავდნენ ადამიანები. მუხლები ეკვეთებოდა ,მიბარბაცებდა, ჩექმებით ქვიშაში ეფლობოდა, მაგრამ მაინც ქვემეხებისკენ ისწრაფოდა და ბრძანებას იძლეოდა:

— ორთვალები ბა-ატარ-რეისაკენ!..

„ორც ახლა მესმის! ისევ დავყრუვდი!“ — გაუელვა თავში, მფეთქავ ტკივილს რომ შეებოჭა, მაგრამ ამ დროს შორიახლო დაინახა გაფითრებული სახეები, ქვემეხების გვერდით რომ ფუსფუსებდნენ, დროდადრო ყრუდ ჩაესმოდა ჯარისკაცთა ხმები, გამეორებული ბრძანებები, ერთმანეთთან მისული სადგარების ჯახანი და ყოველივე ამას რატომღაც ერწყმოდა მესაკეტე კალინკინის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ტენორი: — ეს რა ხდება, ეს რა ხდება!..

ალბათ განგაშით გაღვიძებული ცხენების მძღოლები რიგიანად ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყვნენ, ორთვალებიანი ცხენები ტყის საფარიდან მაინც-დამაინც შეწყობილად ვერ გამოვიდნენ, ბორცვზე ხან მარჯვნივ გაიკრეს, ხან მარცხნივ, ბოლოს, როგორც იქნა, ქვემეხთა პოზიციებამდე ჩაგორდნენ, აქ კი მძღოლებმა ცხენებს შეუძახეს, უნაგირებზე უშნოდ აჯაყჯავებულებმა რის ვაივაგლახით გამართეს ორთვალები, ზიგზაგურად დასწიეს უკან და ქვემეხებს აკვები ისეთი რახარუხით ჩააბეს ,ხელნები აყირავდა და ცხენებს თავები აეწიათ. ვლადიმირი ადგილიდან დაძრული პირველი ქვემეხის ორთვალას ფეხსადგამზე შეხტა. ამავე ორთვალას მეორე ფეხსადგამზე აძვრა სერჟანტი დიომინი.

— ჩორთით! გზაზე! ხიდით! გადასასვლელისაკენ!

— გადასასვლელისკენ, თქვენი დედა... — დაიღრიალა დიომინმა და ცხენების მძღოლებისკენ გადაიხარა. — სწრა-ფა-ად!..

მძღოლებმა ცხენებს მათრახი გადაუჭირეს, ცხენები ადგილს მოსწყდნენ, ქვიშა ახრაშუნდა. საცეცხლე პოზიციის იქით მყის ჩაფლულ ბორბლებქვეშ, მერე ორთვალა ღრანტეებზე აჯაყჯაყდა და მარჯვნიდან მარცხნივ გადაქანდა. ვლადიმირმა ძლივს შეიმაგრა თავი, რომ არ გადავარდნილიყო, სახელურებს ჩაეჭიდა. მერე გზატკეცილზე თქარათქური გაისმა. ღელეზე გადებული ძელური ხიდი ბრაგაბრუგით გადაიარეს. თანდათან ახლოვდებოდა გადასასვლელის ზოლი. რკინიგზის მიწაყრილს იქით კასკადებად იფრქვეოდნენ შემხვედრი მგეზავი ტყვიებით გამსჭვალული რაკეტების კონები, ხოლო მარცხნივ, დაბლა, მოცახცახე სინათლეში ხან ჩნდებოდა და ხან უჩინარდებოდა ვაშლის ბაღი, ხეებში ჩაფლული სახლი, სადაც ურცხვხელება და სავსემკერდიანი ქალი იყო...

„ახლა გადასასვლელს გადავირბენთ, მარჯვნივ სათვალთვალო პუნქტისაკენ გავუხვევთ...“ — გაუელვა ვლადიმირს და დააპირა ცხენების მძღოლებისათვის

ბრძანება მიეცა, მაგრამ ვერ მოასწრო, ვერც ის გაიგო, თუ რა მოხდა შემდგომ წამს...

ქვემეხში შებმული ცხენები გადასასვლელზე, მიწაყრილის სიმაღლეზე აიჭრნენ. ცეცხლმოდებული სადგურის დასახლებისა და წინ [illegible] ტანკების თავზე, მარცხნიდან მარჯვნივ განაპირა სახლებისკენ რომ მიიწევდნენ, ჰოდა, აიჭრნენ თუ არა, ვლადიმირს ყურში ჩაესმა რკინის [illegible] და თვალი მოსჭრა ცხენების ფეხქვეშ ავარდნილმა ალმა. ორი გაჭენებული წინა ცხენი წინა ფეხებზე დაეცა, ხელნის ცხენები ხროტინით მიაწყდნენ მათ, ორთვალა აწია და გვერდზე გადავარდა. ვლადიმირი, რომელსაც კვამლის ბოლქვებად მოდენილი გერმანული ტოლის სუნი ეცა და საშინელმა ბიძგმა დაარეტიანა, გუმანით მიხვდა, რომ ქვემეხს მიბჯენით, ძალიან ახლო მანძილიდან ესროლეს, რადგანაც სროლის ხმა არ გაუგონია. მან წამოდგომა სცადა. ძალ-ღონე მოიკრიბა და მეორე ქვემეხის გათვლას გასძახა, რათა ქვემოთ გაჩერებულიყვნენ და გადასასვლელს, იმ მოტიტვლებულ ადგილს მორიდებოდნენ, და იმავე წამს მარჯვნივ სამოციოდე მეტრის მოშორებით დაინახა ზედ რკინიგზის მიწაყრილზე მდგარი მუქი ფერის უზარმაზარი უძრავი ტანკი, ძირს დაშვებული გრძელი მოცახცახე ლულით.

მეორე ჭურვი ზუსტად მეორე ქვემეხის შუაგულში დაეცა. წინა ცხენები ავარდნილი ალისგან დაფრთხნენ და ყალყზე შედგნენ, მძღოლები უნაგირიდან გადმოვარდნენ, ხელნის ცხენებმა მარცხნივ გააქანეს ორთვალა და ბრმად ჩაათრიეს ფერდობზე, სადაც იგი გადაბრუნდა და ღრჭიალით მოტყდა ორთვალის კავს, რომელიც ხელნის ცხენებთან ერთად დაბლა ჩაგორდა.

რკინიგზაზე გამოსული ტანკი მიბჯენით ესროდა საბრძოლველად მოუმზადებელ ქვემეხებს, და სიკვდილისწინა უძლურების სამარისებურმა სიცივემ დაჰბერა უეცრად. ვლადიმირი რაღაც ბრძანებებს იძლეოდა, ყვიროდა, ხედავდა, ქვემეხისაკენ როგორ მიფორთხავდნენ ჯარისკაცები, მაგრამ ცალ-ცალკეებით ვერავისამჩნევდა, თავისი თავიც და ისინიც ეზიზღებოდა, საძაგელი ჰიანჭველებივით რომ მილოღავდნენ ტანკის წინ, ულმობლად რომ ესროდა გადასასვლელზე ქვემეხებს, რომლებსაც ერთი გასროლაც ვერ მოესწროთ.

„ერთი მაინც გვასროლინა ტანკისთვის". — გაუელვა თავში. გადასასვლელზე მწოლიარეს, საკუთარი ხმა არ ესმოდა და კვლავ და კვლავ აძლევდა ჯარისკაცებს ბრძანებებს, ემუდარებოდა საბრძოლველად მოემზადებინათ ქვემეხი, ჩოქელა გაეტენათ, გაბრაზებული იგინებოდა და გრძნობდა, რომ უძლურების ცრემლი სდიოდა.

შემდეგ ტანკის მესამე გასროლის ხმა გაიგონა. ტანკმა ახლა მესამე ქვემეხს ესროლა, რკინიგზის მიწაყრილიდან სროლის შემდეგ გზიდან რომ გადაუხვია. ქვემეხი ფერდობზე, პირდაპირ დაბლობისკენ მიექანებოდა, ტყრუშული ღობისაკენ. ტანკის ნასროლი ჭურვი ფარს უკან აფეთქდა, მაგრამ არც ქვემეხს მოხვედრია და არც მის გათვლას, რომელიც დაბლობში გაიფანტა.

„ერთი მაინც გვასროლინა..." — ფიქრობდა ვლადიმირი, თითქოს ბოდავსო, ჯარისკაცებს აჩქარებდა, ხელებით ოფლიან მხრებსა და ზურგებს ეწყდებოდა, რკინის მძიმე სადგარის დაძვრაში ეშველებოდა, თან უხაროდა, რომ ტანკმა დამიზნების არიდან გამოუშვა მის მიერ გადასასვლელზე დატოვებული ორი ქვემეხი და ესროლა მესამეს, რომელსაც მისი ჭურვები ვერ სწვდებოდა. სულის მოთქმის ამ წუთს, რაც შემთხვევით მიეცა, რათა უკანასკნელად ცდილი-

ყო გაჰქცეოდა ამ საზარელ სიზმარს, სიშმაგის ქრუანტელს ჰგვრიდა ერთი და იგივე ფიქრი: „ერთი მაინც მასროლინა, ერთი მაინც“.

რა იცოდა მაშინ, რომ ამ გასროლისგან აშორებდა მთელი საუკუნე, ათასი შესაძლებელი შემთხვევითობა, ადამიანის მთელი სიცოცხლე და ცეცხლის სამიზნეში წამით გაელვებული ვიღაცის თვალი. მაგრამ ის კი ძალიან ზუსტად იცოდა, რომ მისი ფარგამობურცული ქვემეხი სამიზნესავით ალმართულიყო [illegible] გადასასვლელზე ტანკისგან სამოცი მეტრის მოშორებით, — და [illegible] მიშველე!“) ყველაფერი ადვილად მისაწვდომი იყო რკინასავით ცივი სიკვდილისათვის. მაშინ ის მზად არ იყო საამისოდ, ამ უდიდესი უსამართლობისათვის, და ჯარისკაცების თვალებში, სერჟანტ დიომინის მტაცებლურად გარინდულ სახეში ,ნადირივით რომ ეპარებოდა სამიზნეს, ხახადაფჩენილ საჭურვესა და პრიალა რელსებში ბიჯგებგადგმულ სადგარს, კალინკინის აკანკალებულ ნიკაპზე, ჭურვის გაპობილ ყუთთან რომ მოკუზულიყო, სადგარიდან მისი გადმოვარდნის წუთს, როცა აფეთქებისაგან რეტდასხმული ხელნის ცხენები ჭურვის ნამსხვრევებით დახოცილ წინა ცხენებს მიაწყდნენ. — იგი ხედავდა ბუნდოვან შიშს, ჩლუნგ სასოწარკვეთას, უკანასკნელი წამის მოლოდინს.

„სად არის ილია? ილიას ხომ უნდა დაენახა სათვალთვალო პუნქტიდან, რაც გადასასვლელზე დაგვემართა“, — ცდილობდა მოესაზრებინა, როცა გაიძახოდა ერთსა და იმავე ბრძანებას, რომელიც ყველასათვის საერთო დაღუპვას ნიშნავდა. თავდავიწყებამდე გაშმაგებულმა, კალინკინს დაასწრო, ყუთიდან ჭურვი ამოიღო, სადგართან მუხლიჩოქვით მივიდა და საჭურვეში შეაგდო.

როცა სახეში დამწვარი დენთის მჟავე ჰაერი ეცა, ალით თვალმოჭრილმა ვერ გაარჩია, სად მოხვდა გასროლილი ჭურვი, ოღონდ იმწამსვე ცეცხლოვანმა გრიგალმა გადაუზუზუნა თავზე და რკინაზე ასხლტა. ქვემეხის ახლოს ვიღაცამ შესძახა: „ეს რა ხდება, ეს რა ხდება, ზურგიდან გვირტყამენ!“ — და სერჟანტმა დიომინმა შეშლილი თვალები მოსწყვიტა სამიზნეს. ქვემოდან გადასასვლელისაკენ ჩორთით მოდიოდა მესამე ქვემეხი, წინ მორბოდა კისერზე ავტომატჩამოკიდებული ილია, რაღაცას უყვიროდა ცხენების მძღოლებს, რომლებიც შეშინებულნი წახრილიყვნენ ცხენების ზურგებისაკენ, ხოლო უკნიდან ფიჭვნარის მხრიდან, სადაც ახლახან იდგნენ ქვემეხები, მგეზავი ტყვიების ჯერს აყრიდა გერმანული ტყვიამფრქვევი. ვლადიმირი მიხვდა, რომ ილია, რომელმაც სათვალთვალო პუნქტიდან დაინახა, რაც გადასასვლელზე ხდებოდა, მესამე ქვემეხის შესახვედრად გამოეშურა, რათა იგი სადგურის დასახლების მოიერიშე ტანკების წინააღმდეგ საცეცხლე პოზიციაზე გამოეყვანა. მაგრამ მხოლოდ წამით გაიელვეს გზაზე ავტომატით მორბენალმა ილიამ, ქვემეხის შებმულობამ, გერმანელთა ტყვიამფრქვევის ახლოდან ნასროლმა ჯერმა და ყველაფერი ალში, კვამლში, გრუხუნში, წივილსა და გერმანული ტოლის მხუთრში ჩაიკარგა. ქვემეხი მძვინვარე აფეთქებებისაგან ხტოდა გადასასვლელზე. ცეცხლის ენებით დაკბილული ალი გარს უვლიდა ფარს, ქვემეხის გათელა სულს ძლივს იბრუნებდა, ხვეულებ-ხვეულებით მიწაყრილს ეფარებოდა და ამ თვალისმომჭრელ ელვაში ხან გამოჩნდებოდა და ხან უჩინარდებოდა სერჟანტ დიომინის მოკუზული ზურგი. და ამ ყრუ ძახილში („დიომინ, დიომინ!“), გავარვარებული ქარის საზარელი ნამზღვლევისაგან უკუქცეულმა ვლადიმირმა სინათლის გაკვამლულ ჭრილში შეამჩნია გადასასვლელზე გამოვარდნილ მესამე ქვემეხში შებმული ცხენების ზეცისკენ აწეული თავები, წინა ცხენების მძღოლის ილიასაკენ შიშით მიპყრობილი მზერა, ილია კი ჯიუტად

ექაჩებოდა სადავეში წინა ცხენებს, თან ბრაზით ავლებდა თვალს აფეთქებისას ჩაწოლილ გათვლას. „ადექით! ადექით! ქვემეხთან!“ ადამიანის ხმა ძლივძლივობით აღწევდა მოღრჭიალე ბგერების ქაოსიდან — ტკვრინვა-გრიალი შპალებს გლეჯდა ნიადაგიდან გადასასვლელის გარშემო, მიწას ხეთქავდა ქვემეხის მარჯვნივ და წინ, და ვლადიმირს მოეჩვენა, რომ უკვე რამდენიმე ტანკმა სადგურის დასახლება გადაჭრა, ზვინებს შორის გამძვრნენ მინდორში გავიდნენ და დაბლობიდან რკინიგზის მიწაყრილზე ამობობღდნენ, სადაც შავად ბოლავდა პირველი ტანკი („მოვახვედრე, მოვახვედრე!“) და ჯვარედინი მგეზავი ჭურვები ორივე მხრიდან ქარბორბალასავით ფეთქდებოდნენ გადასასვლელზე. მას უნდოდა ზუსტად გაერკვია, საიდან ურტყამდნენ ტანკები, და მხუთრისაგან სუნთქვაშეკრულმა, ძლივძლივობით წამოსწია ლოდივით დამძიმებული თავი.

აღარც მესამე ქვემეხი იყო და აღარც შიშისგან სახეშეშლილი წინა ცხენების მძღოლი, ილიასკენ რომ იცქირებოდა, აღარც ილია იყო, წელან თავგანწირვით რომ ექაჩებოდა სადავეში ცხენებს, — ყოველივე ის, რაც ერთი წუთის წინ გადასასვლელზე წარმოიშვა, შავი აბურდული გორგალივით დაგორდა დაღმართზე, იქით, დაბლობისაკენ, საიდანაც ახლახან გამოჰყავდა შებმულობა ილიას. ქვემეხი, რომელსაც აღარავინ აკავებდა („სად არიან? ყველანი დაიღუპნენ?“), რომელიც რკინის სიმძიმის ძალით მიათრევდა გვერდზე გადაყანთულ ორთვალას, ოთხ უმძღოლო ცხენს, ტკივილისაგან რომ ჭიხვინებდნენ და ყალყზე დგებოდნენ, მუხლებზე ეცემოდნენ და ფეხებს იტეხდნენ, აბურდული, დანგრეული, თავის ნებაზე მიშვებული შებმულობა მიწაყრილზე ეშვებოდა, ხოლო ფიჭვნარიდან და უკვე ბაღიდანაც წყვდიადს ცხრილავდნენ ზურგიდან შემოსულ გერმანელთა ავტომატის ჯერები, ამ უზარმაზარ გორგალს მსჭვალავდნენ და ტანკების ჭურვთა აფეთქებებით გაშმაგებულ ცხენებს ბოლოს უღებდნენ.

„ნუთუ უნდა დავიღუპოთ?.. აგერ აქ? ახლა?..“ — საფეთქლებში სცემდა ჭურვების გავარვარებული ნამსხვრევების ზუზუნისაგან შპალებზე გაკრულ ვლადიმირს. მის ქვეშ შპალები ზანზარებდნენ, მკერდზე ეხათქუნებოდნენ. კონტუზირებული, ბულისზიდვით შეწუხებული, ის აღარ ელოდა, როდის დაუფლეთდა ნამსხვრევები სხეულს, როდის იგრძნობდა ხორცთან გამოსათხოვარ ტკივილს; იგი ელოდა როდის ჩაერჭობოდა თავში რაღაც და წყვდიადში ჩაძირავდა... საკუთარი საძაგელი ძრწოლისადმი ზიზღით მიწას გართხმული ცდილობდა მოესაზრებინა, რომ საჭირო იყო წამოდგომა და ქვემეხთან მისვლა, სროლის განგრძობა. ცდილობდა თავი აეწია.

„ილია! სად არის ილია? სად არის ილია? სად არის დიომინი? სად არის კალინკინი?..“

— ვალოდკა! ცოცხალი ხარ?..

ვიღაცა მძიმედ დაეცა მის გვერდით, გაავებით ჩაათრინდა მხარში, და ვალოდიამ ახლოდან დაინახა მძვინვარებით ალსავსე ილიას თვალები, მისი მოღრეცილი პირი, ოფლიან საფეთქელზე ცერად მიკრული მისი შავი თმა. ილია გაშმაგებით უყვიროდა:

— რას წევხარ! ნუთუ უნდა ჩავძაღლდეთ?.. ორი ოფიცერი ვართ ქვემეხთან და ორივენი უნდა ჩავძაღლდეთ? გატენე! გატენე, გატენე, ვალოდკა, გატენე!..

ჭერუ ვლადიმირის მხარს მოსწყდა, მუხლებზე წამოდგა და საშიზნეს მის...

წვდა. მაგრამ მისი მარცხენა ხელი მოუქნელად მიფორთხავდა მქნევარასაკენ, ხოლო მთელი მკლავი და გიმნასტურის სახელო რატომღაც შავად მოთხვრილა მიწით, ისე რომ ხელი ვერ შემოაწვდინა ამწე მექანიზმის მქნევარას, ტალახით მოთხვრილი მისი ხელები მხოლოდ უსიცოცხლოდ შემოევლნენ ლითონს.

ეროვნული

— რა? რა? — გასძახა ვლადიმირმა და, მუხლებზე დაჩოქილმა, ჭურვი ზარბაზნის ლულაში შეაგდო. — რა, ილია?

— გატენე! ჩაძაღლებას მერეც მოვესწრებით! მე-ერეც!.. — გაშმაგებული ჩურჩულით ამოიხრიალა ილიამ, მთელი ტანით გადაიხარა, თან მარჯვენა ხელით რიგრიგობით ატრიალებდა მქნევარებს, მერე სამიზნეში გაიჭვრიტა, კბილები დაკრიჭა და სასხლეტს დააჭირა.

წინა ტანკები სადგურის დასახლებაში შემოდიოდნენ, განაპირა სახლები ცეცხლში იყო გახვეული. შუკებში წითელი კვამლის ბოლქვები ნაპერწკლებთან ერთად მოგორავდნენ და დაბლობს ნთქავდნენ, რკინიგზამდე ჩადიოდნენ სადგურის შენობის ახლოს, სადაც ცეცხლოვან ქაოსში დაბორიალებდნენ ნაცრისფერი ადამიანები, ერთმანეთს აწყდებოდნენ ავტომატების მგეზავი ტყვიები და პაკჰაუზის სახურავს იქით ლიანდაგებზე კვამლის ბოლქვებით აბნელებდა ცას ალმოდებული ნავთობის ცისტერნა. იქ, პაკჰაუზის ახლოს ხანძრით განათებული ტანკები რკინიგზაზე ადიოდნენ, მიწაყრილს ანგრევდნენ, ღელის გაღმა გადიოდნენ და ჩვენი ქვეითი ჯარის დაცვას არღვევდნენ...

...მათ უკვე ორი ყუთი ჭურვი ესროლეს ტანკებს, სროლის გრიალით დაყრუებულებს, ერთმანეთის ბრძანებები აღარ ესმოდათ, თითქმის ინსტიქტურად ხვდებოდნენ მგეზავი ჭურვების ნიშანში მოხვედრას. უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ ტანკის ჯავშანზე ალის ავარდნისას, მაგრამ ჭურვის უეცარ აფეთქებას უჩვეულო სიჩუმე ახშობდა. უკნიდან და მარჯვნიდან გამოშვებული ავტომატთა ჯერები ყლრიალით მოაწყდა ქვემეხის კორპუსს. სამიზნესთან ჩამუხლებული ილია გვერდზე გადაქანდა, მგეზავი ჭურვით დაბრმავებულმა, თვალებმოწკურულმა გაიხედა იქით, საიდანაც ის მოფრინავდა, ბრაზისაგან დამანჭული სახით დაეცა გულდაღმა სადგარებს შორის და ბუდიდან დამბაჩა ამოიღო:

— ოხ, არამზადები! ზურგიდან მოგვიარეს!

გაშლილი ხელი დააყრდნო სადგარს და რამდენიმე ტყვია ზედიზედ ესროლა ძელურ ხიდზე ჯგუფად მომავალ ადამიანებს, საიდანაც მოფრინავდნენ მოციმციმე ცეცხლები. ამ დროს ვლადიმირმა ხანძრის ალში მიწაყრილზე შეამჩნია მწკრივად გაშლილი გერმანელები, რომლებიც ლიანდაგის გასწვრივ გადასასვლელისაკენ მოიწევდნენ და თან ავტომატებით ცხრილავდნენ იქაურობას, ხოლო ქვემოდან, ბაღიდან, ფერდობზე ლანდები ამორბოდნენ, ხიდსაც, გზასაც ცხრილავდნენ და მსჭვალავდნენ ავტომატის ცეცხლით — ხლეჩადი ტყვიების საზარელი ცეცხლოვანი გრიგალი როკავდა ფერდობის ბალახში, რკინიგზის ლიანდაგზე, მომაკვდინებელი გრიგალისებური სიმხურვალით წვავდა იქაურობას, და თავის წამოწევა შეუძლებელი იყო.

— გზა მოგვიჭრეს, ილია! ხედავ?

— მორჩა! — მოაღწია ვლადიმირამდე მისმა ჩახრინწულმა, შეხუთულმა ხმამ. — ალყა შემოგვარტყეს არამზადებმა! წავიდეთ! მორჩა! ღელეს გასწვრივ! სადგურისაკენ!.. მომყევი!..

## თავი მეთორმეტე

ზუსტად არ ახსოვდა ვლადიმირს, როგორ გაიჭრნენ ღელისაკენ, მიწაყრილზე დაეშვნენ. აქ, დაბლობზე, რამდენიმე წამს შეყოვნდნენ, ჩამორჩენილებს დაელოდნენ, ვინც ილიას ბრძანებაზე მათ გაჰყვა, და სამივე მხრიდან მოვარდნილი ცეცხლის გამო ხელახლა გაწვნენ მიწაზე, და აქ, დაბლობზე, ამ შესვენების წუთს, ვლადიმირმა, როგორც იქნა, დაინახა, რომ მარცხენა ხელის თითები, რომლებიც სროლის წინ ილიამ უსიცოცხლოდ შემოავლო ქვემეხის მქნევარას. ტალახით კი არა, სისხლით მოთხვროდა, და მიხვდა, რომ იგი დაჭრილი იყო. ილია მიწაზე წამოჯდა, დამბაჩა ქამარში გაირჭო, კბილებით გაგლიჯა ინდივიდუალური პაკეტი და სახელდახელოდ შეუდგა ბინტით ხელის შეხვევას. სახე მოღრეცოდა. მან თავის გაქნევით უბრძანა ვლადიმირს, რომ ბინტის ჩამოვარდნილი ბოლო შეესკვნა, და სხაპასხუპით თქვა:

— სულ გამიშეშდა ეს ოხერი!

ეს იყო უკანასკნელი ბგერა, რომელიც გარკვევით ჩაესმა ვლადიმირს სროლის ბგერებთან ერთად. მერე ყველაფერი ბლანტ აწივლებულ სიჩუმეში გაცურდა. მან დაინახა ბრძანებით შემართული დამბაჩა, რომელიც ილიას მარჯვენა ხელში ჩაებღუჯა, მერე ხანძრით მეწამულისფრად განათებული დიომინისა და კალინკინის დაძაბული, თვალებგადმოკარკლული სახეები, სულშეგუბებული. პირდაბჩენილი ზემდეგი ლაზარევი, კისრისტეხით რომ ჩამორბოდა ფერდობზე, სერჟანტ შაპკინის მხეცურად დაკრეჭილი სისხლივით წითელი კბილები, ყოველი ჯერის გასროლისას ავტომატს მხარზე რომ გადაიგდებდა ხოლმე და როგორღაც გვერდულად მიფორთხავდა ღელის ნაპირისაკენ ჩამავალ ფლატეზე.

ვლადიმირი ხან ყრუ, გაბმულ ზარის რეკვაში ჩაყვინთავდა ხოლმე, ხან თავზარდამცემ რეალურობაში ამოყურყუმელავდებოდა. თვალწინ ედგა იმ ღამის სასტიკი მოულოდნელი ამბები. მაგრამ ვითარების მთელი ულმობლობა მაშინ შეიგრძნეს, როგორც კი ორიოდე კილომეტრი გაირბინეს ღელის დაბლობზე, ტყეში გაიჭრნენ, და აქ ილიამ ყველა გააჩერა, დაჭრილ ხელს ხელი შეაშველა, ჯარისკაცებს ზიზღით შეავლო თვალი და სულშეხუთულმა ჩაილაპარაკა:

— მაშ ქვემეხები მივატოვეთ? ჩვენ?..

— ტყვედ ჩავარდნა ხომ არ მოგინდათ, ლეიტენანტო? — უხეშად შესძახა შაპკინმა და გაოფლილი კისერი პილოტურათი მოიწმინდა, — კიდევ ცოტაც, და „ჰენდე ჰოჰ, ბიტე!“ — გაგვაცურეს გერმანელებმა...

— სისაძაგლეა! — წარმოთქვა ილიამ. სიძულვილი არ გაქრობია თვალებში, — სისაძაგლე, სისაძაგლე...

ბრძოლის ხმები უკან რჩებოდა, მაგრამ მალე სროლა და აფეთქებათა გრგვინვა-გრიალი წინიდან და მარცხნიდან მოახლოვდა, ხოლო როცა ტყის ზოლი გაიარეს, ტყის შუაგულში, განთიადისას მტრედისფერ ჰაერში თვალწინ გადაეშალათ ამწვანებული მინდორი და ფიჭვებით დაფარული მაღლობი. იქ, გზაზე, მაღლობის ძირას იდგა ორი მტვრით დაფარული ჯავშანტრანსპორტიორი, შორიახლოს, ღრმა კიუვეტში, ნაღმსატყორცნთა აწეული ლულების გვერდით ჩნდებოდნენ და გასროლისას უკანვე ხტებოდნენ ჯარისკაცები. ღმუილით მიექანებოდნენ ნაღმები ცაში, აფეთქებები მაღლა იტაცებდნენ მიწას მინდვრის ბოლოს, სადაც მოკლე გადარბენებით უკუიქცეოდა ჩვენი ქვეითი ჯარი

და იქვე სანგრებს თხრიდა და მაგრდებოდა მაღლობის კალთაზე, გზის ახლოს, პურის ყანის გაღმით სადგურში რომ შედიოდა. სადგურის დასახლება, რომელსაც გერმანელებმა ღამით ალყა შემოარტყეს და განთიადისას აიღეს, ამ პურის ყანის იქით, რკინიგზის გადაღმა იწვოდა და კვამლის ბოლქვებით ფარავდა ნათელშემდგარ ცას. ამ ბოლქვებქვეშ კი ფართო კვადრატებად გადმოდიოდნენ მიწაყრილზე ტანკები. სადღაც სადგურის მარცხნივ, ტყვიამსროლელები მიბობღავდნენ და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები მიწაყრილებიდან მთელ ყანასა და მაღლობს ცხრილავდნენ.

ორ ჯავშანტრანსპორტიორთან შექუჩულიყვნენ ქვეითი ოფიცრები, უძილო ღამით დაღლილები, წვერმოზრდილები; ხარბად ეწეოდნენ თუთუნს, მეკავშირეებს ბრძანებებს აძლევდნენ, ბინოკლებით ათვალიერებდნენ სადგურს. ერთმა მათგანმა, მრისხანე გადმოკარკლული თვალებით, ლაბადა-კარვიდან ხელი გაითავისუფლა და უფროსულად შესძახა:

— ეს რა ხალხია? სა-იდან? — მაგრამ იმწამსვე იცნო არტილერისტები, ილიასკენ დაიძრა და განცვიფრებულმა წარმოთქვა: — აჰ, პოლკის ბატარეა? მერე, ქვემეხები სადღაა? სად არის ქვემეხები, ლეიტენანტო? საით მიგყავს ხალხი, საინტერესოა? დასახლების შემოგარენი ხომ არ გინდა დაათვალიერებინო? ქვემეხები სად არის?

— პოლკის მეთაურს უნდა მოვახსენო, — გაუბედავად წარმოთქვა ილიამ, რომელიც აქამდე არასდროს არ დაიმდაბლებდა თავს წოდებით უფროსი ოფიცრის წინაშე, და ნიკაპი ხმასთან ერთად აუკანკალდა.

თვალთვალით გართულმა ოფიცრებმა ბინოკლები დაუშვეს, ეჭვით, მტრულად გახედეს ილიას, შექუჩულ არტილერისტებს, გასავათებულებს, აქოშინებულებს, ტილის ნამწვით გამქვარტლულებს, თვალებდაცვეცებულებს. ასეთი მზერა აქვთ ადამიანებს, რომლებმაც ახლახან თვალებში ჩახედეს სიკვდილს. განაწამებ ჯარისკაცთა შესახედაობამ, მოშვებულმა ქამრებმა, ჩაცვივნულმა გაჯაგრულმა ლოყებმა გააღიზიანა და მტრულად განაწყო ქვეითი ოფიცრები, ვიღაცამ უსიამო ხმით წარმოთქვა გამანადგურებელი განაჩენი:

— ქვემეხები მიატოვეთ და მოცოცხეთ, ლაჩრებო? ქვეითებში უკარით მაგათ თავი, კაპიტანო გუქავინ! ბრძოლის შემდეგ კი ტრიბუნალს გადავცეთ!

ვლადიმირს ბოლმა ახრჩობდა ამ წიკვინა ხმის კაცის დანახვაზე, რომელმაც ისეთი ულმობელი გულგრილობით გამოუტანა განაჩენი, თითქოს ამ წუთიდან სუყველაფერი შეიცვალა, ყველაფერი დაექვემდებარა ომის დაუწერელ კანონს, თვალის დახამხამებაში გააუფასურა მათი ცხოვრება, უცნობი ქვეითი ოფიცრების წინაშე გააშიშვლა რაღაც უგვანო, ულირსი, დამამცირებელი, და ახლა არ იყო ქვეყნად არც გაგება, არც პატიება სამარცხვინოდ ჩადენილი დანაშაულის შემდეგ.

— აბა! ქვეითებთან! ყველა! ოფიცრების გარდა! აქეთ მოდით! — ბრძანება გასცა კაპიტანმა გუქავინმა და მრისხანე თვალებით ანიშნა გაჭყოლოდნენ მაღლობისაკენ, სადაც ქვეითი ჯარი თხრიდა სანგრებს, — სირბილით!

— არა, — თქვა ილიამ და, სახეგაფითრებულმა, კაპიტნისკენ ნაბიჯი წარდგა. — ჩემ ხალხს არავის დავანებებ! სანამ პოლკის მეთაურს არ მოვახსენებ!..

— გა-ჩუმ-დით! — გამკივანი ხმით შესძახა გუქავინმა, ლაბადა-კარვის კალთა გადაიგდო და მარჯვენა ხელი დამბაჩის ბუდეზე გაივლო. — ძალით წაგვიყვანთ, როგორც დეზერტირებს, ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს!

— თქვენც გა-აჩუმ-დით! — დასჭყივლა ილიამ, რომელიც რაღაცნაირმა სიშმაგემ მოიცვა, და იმის მიხედვით, თუ როგორი გაფთრებით იძრო გახსნილი ბუდიდან დამბაჩა, იმის მიხედვით, თუ როგორ მოკუმა გალურჯებული ტუჩები, ჩანდა, რომ მძვინვარე წინააღმდეგობისას მზად იყო უკიდურესი გადაწყვეტილებისათვის მიემართა.

— რა თქვი, ლეიტენანტო, რაა?

— რაც გაიგონეთ, კაპიტანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირი გრძნობდა, რომ ახლა კაპიტან გუქავინსა და ილიას შორის გამოუსწორებელი რამ მოხდებოდა, მაგრამ ყველაფერი, რაც წუხელ განიცადა — ცხენების დაღუპვა, ტანკებისაგან დაცხრილული ქვემეხები გადასასვლელზე, ბატარეიდან გადარჩენილი შვიდი კაცის გამოქცევა ალყიდან, — ყოველივე ეს ქვეით ოფიცერთა თვალში გამოიყურებოდა მიტოვებულ ქვემეხთა ფასად სიცოცხლის მიუტევებელ გადარჩენად, და ილიას ეს წინააღმდეგობა მათ თვალში უაზრო თავდაცვის უსუსური ცდა იყო.

კაპიტანმა ჯერ შეიცადა, მერე კი აბუჩად ამგდები თანხმობით უთხრა:

— მიდი, მიდი, გმირო, პოლკის მეთაურს მოახსენე! ეგებ სიმამაცისათვის ორდენზე წარგადგინოს! საუზმედ ცხრა გრამს მიიღებ. ანდა ჯილდოდ რიგით მებრძოლად გიკრავენ თავს საჯარიმო ბატალიონში! წავიდეთ, მიგიყვანთ. წავიდეთ! გმირები ქალაქ დრაპოვიდან! ვაჟკაცობ კიდეც! მარმელადის ინტელიგენტო! ყოჩაღ!..

ბოროტად გადაიხარხარა, კიუვეტზე გადახტა და, გაბედული, შეურიგებელი, გამართული ნაბიჯით შეუყვა აღმართს, თან მაგრად და მტკიცედ ადგამდა ქრომის ჩექმებს.

ილიამ დამბაჩა ბუდეში ჩააბრუნა და გაჰყვა, ისე მიირწეოდა, თითქოს საღაცაა, წაიქცევაო. სველი ბალახი შარიშურით ედებოდა მის ჩექმებს, ჩოლო გარიჟრაჟის ნისლი ბოლავდა, კულულებივით ეფინებოდა მაღლობის კალთებს, კვამლის დაგლეჯილი ბოლქვებივით ევლებოდა ბუჩქებს.

უკან ბრძოლა არ ცხრებოდა, აქ კი, მაღლობზე, ძეხორციელი არ იყო, ბინდი იწვა და მოახლოებული დილის ჩხსტიანი გრილი ჰაერი ელამუნებოდა ვლადიმირის გაოფლილ სახეს. და კვლავ გულისზიდვას გრძნობდა იგი შურისმგებლის მტკიცე ნაბიჯით აღმართზე მიმავალი კაპიტნის ავი დუმილისა და ილიას პირქუში გულჩათხრობილობის გამო, რომელსაც კბილზე კბილი დაეჭირა და ერთხელაც არ მოუხედავს ჯარისკაცებისაკენ, რომლებიც შეშინებული მისდევდნენ კუდში ოფიცრებს. უცებ ვლადიმირმა გაიფიქრა, რომ ისინი სიკვდილით დასაჯელად მიჰყავდათ, რომ მათ არაფერი უშველიდათ და ვერც ერთი მათგანი ვერ გაამართლებდა რკინიგზის გადასასვლელზე მომხდარ ამბებს და იმ ყოვლად გაუთვალისწინებელ წუთებს, როცა ბატარეა მეავტომატეებმა ალყაში მოაქციეს და როცა სამი მხრიდან ჯიქური სროლის გამო იძულებული შეიქნენ ქვემეხები მიეტოვებინათ... „რა არის ეს? რა დაგვემართა? რატომ არ დავრჩით საბრძოლველად ალყაში და რატომ არ დავიღუპეთ იქ?..“

მაღლობის წვეროზე წარაფში იდგა სამი „ვილისი“ და შტაბის კარგალუბული მანქანა, საიდანაც რადიოსადგურის ტკაცანი მოისმოდა. მანქანის ახლოს ოთხი ჯარისკაცი მუშაობდა ქამარშეხსნილი გიმნასტურებით; ორმოებს თხრიდნენ, ეტყობა, შტაბის ოფიცრებისთვის; ისინი კუნძზე გაშლილ რუკაზე დახრილიყვნენ, რომლის გვერდითაც ორი მეკავშირე ტელეფონის აპარატს დგამდა თუ ამიწებდა. მათთან ახლოს ლაბადა-კარავზე მოკალათებულიყო

პირხმელი, საფეთქლებშეჭაღარავებული მაიორი ვოროტიუკი. იგი ზიზღით ღეჭავდა ბუტერბროდს, კარაქწასმულ თეთრ ორცხობილას, ასევე ზიზღით აყოლებდა რძეს, რომელსაც რკინის კათხიდან სვამდა და თან დროდადრო შეავლებდა ხოლმე ოფიცრებს გამჭოლავ, თაფლისფერ, კაუჭა ცხვირთან ახლო მდებარე თვალებს, რაც მას ქორისებრ გამომეტყველებას ანიჭებდა და რის გამოც მის მზერას ყველა გაურბოდა. შორიახლოს მჭიდროდ შემოჭერილი მაუდის კაბისაგან მოშიშვლებული მკვრივი მუხლები შეეტყუპებინა და [illegible] და ქერათმიანი, თითქოს ძვირფასი თეთრი ძვლისაგან გამოთლილი ახალგაზრდა ფერშალი ქალი სამედიცინო ბატალიონიდან, პოლკის მეთაურის „ფრონტელი მეგობარი", როგორც ამბობდა ზოგიერთი ოფიცერი, უფრო სწორად — მისი ცოლი, რომელიც მაიორს გაგიჟებით უყვარდა. უფროსობის საყვედურებს არ ერიდებოდა და სულ თან დაჰყავდა. მაიორ ვოროტიუკს, დივიზიის უმამაცესსა და გულმოდგინე ოფიცერს, რომლის ბატალიონებიც მუდამ კისრულობდნენ ყველაზე მძიმე ჯარისკაცული ჯვრის ტვირთვას (მაღლობის აღება, მდინარეთა ფორსირება, ბრძოლით დაზვერვა), ბევრი რამ ეპატიებოდა მით უმეტეს, რომ წყლულოვანი დაავადება უფლებას აძლევდა დაუბრკოლებლად დაწოლილიყო განსაკურნავად ჰოსპიტალში, რაზედაც უარს აცხადებდა ბრძოლების მინელების პერიოდში.

ვოროტიუკი სქელი ტუჩებით უხალისოდ, წამალსავით წრუპავდა კათხიდან რძეს, ქერათმიან ფერშალ ქალს წამწამები დაეხარა და ასე ემალებოდა ორმოს მთხრელი ახალგაზრდა ჯარისკაცების მალულ შემოხედვას, ისიც საუზმობდა, ორცხობილას ლოღნიდა, თეფშზე დასხმულ თაფლში აწებდა, მჭმუნვარე პოლკის ზემდეგს რომ დაედგა შუაგულ მინდორში გაშლილ ვეება ქათქათა სუფრაზე, რომელზედაც ეწყო დიეტური საჭმელი — რძე, კარაქი, ორცხობილები, რასაც სჯერდებოდა მაიორი ვოროტიუკი.

ვლადიმირს არასოდეს უნახავს ასეთ ვითარებაში პოლკის მეთაური, ყოველად ჩვეულებრივად რომ უჯდა საუზმეს, და ეს მაშინ, როცა მისთვის უნდა მოეხსენებინათ რკინიგზის გადასასვლელზე ღამით გაჩაღებული წარუმატებელი ბრძოლის, გამოუვალ მდგომარეობაში მიტოვებული სამი ქვემეხის შესახებ. მოახლოებული ხიფათის გრძნობამ ჟრუანტელივით დაუარა ჩამიან ზურგზე იმ წუთას, როცა კაპიტანი გუცავინი თეთრ სუფრასთან გაჩერდა, ლაბადაკარვიდან მარჯვენა ხელი გაითავისუფლა და აშკარა ბრაზით მოახსენა ვოროტიუკს. მაიორმა ქორისებრ გამჭოლავი თვალები შეავლო ილიას, მერე არტილერისტთა ჯგუფს გადახედა, დამნაშავეებივით რომ გარინდებულიყვნენ, და ამ მტაცებლურად ჩაცივებულ მზერაში თანდათან ილესებოდა ის ულმობელი მახვილი, რომლის შესაგებებლადაც მაშინ თავგანწირული ნაბიჯი გადადგა ილიამ და ყრუდ წარმოთქვა:

— ამხანაგო მაიორო...

— გაჩუმდი, — ძლივს გასაგონად თქვა ვოროტიუკმა ხრინწიანი წვრილი ხმით და რძიანი კათხა ორცხობილების გროვის გვერდით ლადგა სუფრაზე. — როცა გკითხო, მაშინ მიპასუხე. მე შენ ბატარეის მეთაურად დაგნიშნე, ლეიტენანტო რამზინ, და შეცდომა დავუშვი. შესახედაობა ჰუსარისა გაქვს, გული კი კურდღლისა. ასე კისრისტეხით როგორ მოუსვით? რატომ შუბლში არ დაიხალე ტყვია მაგნაირი შერცხვენის შემდეგ? — ბავშვური თითებით მოისრისა მუცელი, ალბათ ტკივილი აწუხებდა, და ერთხანს დუმდა, გამჭოლავი თვალებით მისჩერებოდა ილიას. — კარგად იცი, რა ეკუთვნის ოფიცერს ბრძოლის ველიდან გამოქცევისათვის?

მხედრულად წელში გამართული ილია ყველაზე წინ იდგა, პოლკის მეთაურისგან სამი ნაბიჯის მოშორებით, და შეამჩნევდით, როგორ ფაძაბვოდა ბეჭები გალუმპული გიმნასტურის ქვეშ.

— თქვენ, ომის ღმერთებო, კარგად იცოდით, რას უშვრებიან დეზერტირებს? — წვრილი ღრჭიალა ხმით გაიმეორა ვოროტიუკმა და გამჭოლავი მზერა მიაპყრო ჯერ ვლადიმირს, მერე კი არტილერისტთა [illegible] ქვემეხები მიატოვეთ და გამოიქეცით, იცოდით, რომ თქვენ უკვე მეომრები კი არა, მკვდრები ხართ? იცოდით, რომ თქვენ, როგორც ლაჩრებს და დეზერტირებს, ორას ოცდამეშვიდე ბრძანების თანახმად ჩაგაძაღლებდნენ? რომელი ტყვია უფრო ტკბილია — გერმანული თუ რუსული? მე კი მეგონა, რომ თქვენ გმირულად დაიღუპეთ! ყველა ჭურვი დახარჯეთ და ტანკებს ჩაუვარდით მუხლუხებქვეშ. მაგრამ არსად წასულხართ, არ გამოქცეულხართ!.. ჰაი, თქვე ლაჩრებო, ლაჩრებო!

უკანასკნელი სიტყვები ზიზღიანი სინანულით წარმოთქვა, მაგრამ მთელი მისი გარეგნობა — უკვე შეჭაღარავებული ბიჭის გამხდარი ტანი, ოქრო-ვერცხლით მოელვარე გულმკერდი, ჩამოგრძელებული გამხდარი პირისახე — უდრეკი, მკაცრი და ცივი იყო.

— ნებას მომცემთ, სრული სიმართლე გითხრათ, ამხანაგო მაიორო?

— ეს ვილა არის? კიდევ რა სიმართლე დარჩა სათქმელი?

— ჩვენ არ წამოვიდოდით, ამხანაგო მაიორო, რომ არ გვიბრძანებინათ... — გაისმა ხშირი სუნთქვის გამო ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმული მძიმე ხმა, და გარდუვალი უბედურების უეცარმა შეგრძნებამ სულის შემხუთველი ფრთასავით გაუქცნწლა საფეთქელი ვლადიმირს, თან ბაგაბუგით გაუარა თავში: „რა თქვა ლაზარევმა? რაო? რა ბრძანებაო?“ — ბრძანება რომ არა, ბოლომდე ვიდგებოდით და არც ტანკებს მივუშვებდით სადგურამდე. ოფიცრის ბრძანება კი ჯარისკაცისთვის კანონია...

მაიორმა ვოროტიუკმა მოუთმენლი შეძახილით შეაწყვეტინა:

— მაინც ვინ გიბრძანათ, რომ ქვემეხები მიგეტოვებინათ? ვინ?

— არ მივატოვებდით, ამხანაგო მაიორო. პირველად როდი გვიხდება ტანკებთან ბრძოლა, — მორჩილად აბუბუნდა ლაზარევი. — ლეიტენანტმა რამზინმა გვიბრძანა, თუ გინდათ სრული სიმართლე...

დაბლა გრგვინვა-გრიალით სკდებოდნენ ტანკის ჭურვები, ტყვიამფრქვევების ჯერს აზმორებდნენ, მინდვრის კიდეებზე ბალახს დაჰფარფატებდა უმსუბუქესი ნისლი. რატომღაც ბალახზე გაშლილი ქათქათა სუფრის არაბუნებრიობამ ორცხობილების გროვამ, მოლურჯო რძით სავსე კარდალამ, ფეხმორთხმით მჯდარი ვოროტიუკის პატარა, გამოკვეთილმა ფიგურამ, მისი ცოლის ზვიადად დახრილმა წამწამებმა, ორცხობილების ლოღნას რომ თავი ანება, ვითომდა სამართლიანობისა და სიმართლის წადილის აღვსებული ზემდეგი ლაზარევის მოთავხედო, უხეშმა ბანმა უეცრივ ხიფათის გრძნობა აღუძრა ვლადიმირს და გამოაფხიზლა. ალბათ იმიტომ, რომ დენთისაგან შერუჯული თვალები ასტკივდა. მან მაინცდამაინც კარგად ვერ გაარჩია წინ წამომდგარი ლაზარევი, სულ მთლად გაოფლილი. წელამდე ტალახში ამოთხვრილი (თავდაპირველად ღელის ლაფიან ნაპირზე მოუხდათ სირბილი), იგი მორჩილი მზადყოფნის პოზაში გარინდულიყო. სუფრიდან სამიოდე ნაბიჯის მოშორებით იდგა და ნესტოებს ბოროტად ბერავდა.

— რა ბრძანებაზე ლაპარაკობთ? — თითქოს ვერ მიხვდაო, დააყოვნა

ვლადიმირმა. — რაღაც არ მახსოვს, თქვენ ქვემეხებთან ახლოს ყოფილიყავით, როცა ჩვენ ტანკებს ვესროდით...

— ნება მომეცით, სრული სიმართლე ვუთხრა ამხანაგ მაიორს! პირში ბურთს ნუ მჩრით! — კიდევ უფრო აბუბუნდა ლაზარევი და თავისი ყბებგაბნიერი სახით პირფერულად შეეცადა ვოროტიუკის ყურადღება მიეპყრო. — ლეიტენანტ რამზინს რომ.. .ბოდიშს ვიხდი, ამხანაგო მაიორო, ღამე ქალთან არ გაეტარებინა, მიწაყრილზე საცეცხლო პოზიციის დაკავებას მოვასწრებდით და ტანკებს პირდაპირ დამიზნებით დავუშენდით. ცეცხლის დაშენა დაგვიგვიანდა.

— რა ქალი, რის ქალი, რას რატრატებ, ზემდეგო? — ისევ შეაწყვეტინა ვოროტიუკმა, რომელსაც წვრილი, თეთრი კბილები გამოუჩნდა, და ცერად გახედა თავისი ახალგაზრდა ცოლის ვარდისფრად შეფაკლულ სახეს, ეტყობა, ლაზარევის განმარტება არ ესიამოვნა. — ქალი საიდანღა გაჩნდა ბატარეაში?

ლაზარევმა ჩაისუნთქა, ღონიერი გულმკერდი გამობურცა და ალალმართალი კაცის ხმადაბალი ტონით მიუგო:

— ახალგაზრდა ქალი იყო სახლში, ჩვენი სათვალთვალო პუნქტის ახლოს, ამხანაგო მაიორო. იმასთან გააბა ლეიტენანტმა რამზინმა სიყვარულობანა. გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ, ლეიტენანტი კი სათვალთვალო პუნქტში არ აღმოჩნდა. ქალთან ერთობოდა ფარდულში...

„ცილს სწამებს ილიას", — გაუელვა თავში ვლადიმირს, რომელიც ილიას დუმილმა გააოცა, ილია კი ადრინდელივით ყველაზე წინ იდგა, ქუსლები შეეტყუპებინა, მხრები გაეშალა და, როგორც სანიმუშოდ გაწვრთნილი ოფიცერი, რომელსაც უმაღლესი უფროსობის წინაშე დანაშაული აქვს ჩადენილი, ისე გაჯგიმულიყო წელში.

— რა სისულელეა... — თქვა ვლადიმირმა უსუსური, ძალაგამოლეული ხმით, როგორც ბოდვისას ხდება ხოლმე, როცა გინდა წამოიყვირო, ხმა ყელში გაწვება, მაგრამ მხოლოდ უძლურ ბგერებად აღმოგხდება. — ქალთან ლეიტენანტი რამზინი კი არა, მე ვიყავი! — მტკიცედ წარმოთქვა მან. ახლა უკვე თავდავიწყებით მიექანებოდა შეუპოვრობითა და გზნებით აღსავსე უმართავ ზეციურ მხარეში; გონებამ კი არა, სირცხვილმა აგრძნობინა ჭეშმარიტების აუცილებლობა, ყველაფრისგან დამოუკიდებლად, იმის გაფიქრებაზე, რომ შეიძლებოდა ეღალატა ილიასათვის, წარსულისათვის, ყველაფრისათვის, რაც მათ შორის არსებობდა! მზად იყო თვითონ შერცხვენილიყო და ამ გულწრფელობით უკიდურესად დაესაჯა თავი. — ლეიტენანტი რამზინი სათვალთვალო პუნქტში იყო, მე კი... მე ფარდულში ვიყავი, — განაგრძო ვლადიმირმა, რომელსაც საფეთქლები ტკივილისაგან ლამის გასკდომოდა. — როცა ბრძოლა დაიწყო, ლეიტენანტმა რამზინმა მიბრძანა ახალ პოზიციაზე დამედგა ქვემეხები ტანკების წინააღმდეგ... გერმანელებმა შემოგვიტიეს. ჩვენც დავუშინეთ ცეცხლი. საქმე ის არის, რომ დავიგვიანეთ.. ქვემეხებში შებმული ცხენები დაგვეხოცა. გადასასვლელზე ალყა შემოგვარტყეს. რა შუაშია აქ ქალი?

— ამხანაგო მაიორო, ნება მომეცით ვთქვა! — მართალი კაცის გულდაჯერებით წარმოთქვა ლაზარევმა და თან ვოროტიუკისაკენ ნაბიჯი წარდგა. — ამხანაგო მაიორო, ჩემსას ვინ რას იწამებს, მე ხომ ოფიცერი არა ვარ. ლეიტენანტები კი სკოლის მეგობრები არიან. ქალიც, ბოდიშს ვიხდი, ორივემ ერთად იხმარეს, რის თქმაც არ მინდოდა.. .ახლა კი ისე გამოდის, თითქოს

მე ყველაფერს ვიტყუები. ფიცივით მინდა გითხრათ: ჯარისკაცებს ბრალი არ მიუძღვით. ლეიტენანტმა რამზინმა გვიბრძანა და ქვემეხები მივატოვეთ...

— მაშ, ბრძანება შეასრულეთ, — მხურვალედ ჩურჩულით ჩაეკითხა ვოროტიუკი, — და ქვემეხები მიატოვეთ? კისრისტეხით მოუსვით? ტანკები სადგურში შემოუშვით? აგერ, შეხეთ, სად არიან!.. აბა [illegible], თქვე შობელძაღლებო, ჩერჩეტო არტილერისტებო! — წივანა ხმით წამოიყვირა და ზეზე წამოხტა. ტანდაბალი იყო, საუცხოო ბრეზენტის ჩექმები ეცვა. ორდენები შეერხა მკერდზე, ბრტყელი ტუჩები მოებრიცა. — ვის უნდა შეეჩერებინა ისინი? ქრისტეს? თუ ვის?..

— ამხანაგო მაიორო, პირველი გეძახით... დივიზიის მეთაური...

— პირველი? — გაცეცხლებულმა ვოროტიუკმა გამოწვდილი ყურმილი გამოგლიჯა მეკავშირეს, „მეოთხე გისმენთ!" — ამოთქვა და მუცელი ნერვულად მოისრისა, გამხდარი სახე კიდევ უფრო ჩამოუგრძელდა და ჩაუყვითლდა. ხვნეშით იმეორებდა: — დიახ, ამხანაგო პირველო, კონტრშეტევაზე გადავალ. პოლკის ბატარეა პირდაპირი დამიზნებისას დაიღუპა, ტანკები სადგურში შეიჭრნენ. ჩემი ბრალია. მე გამოვისყიდი. ნება მომეცით ვითარების შესახებ ორი საათის შემდეგ მოგახსენოთ, ამხანაგო პირველო!

მთელი მაღლობი, სველი მინდორი, ხეები და ბუჩქები, გაცივებულ ბალახზე ტალღისებურად მცურავი ნისლი უკვე მკაფიოდ მოჩანდა ივლისის განთიადის გამჭვირვალე ჰაერში, დაბლა კი, იმ მხარეს, საითაც ციცაბო კალთას მიუყვებოდნენ ფიჭვები, სადაც დილისაგან გაცრეცილი ხანძართა კვამლი შეერთებულიყო, სადგურში სულ უფრო ხშირად ისმოდა გამსკდარი ჭურვების გრგვინვა, შავად მოჩანდნენ ცეცხლმოდებულ სახლებს შორის გერმანელთა ტანკები და ძრავების გუგუნთან ერთად ყურს ხვრეტდა მაიორ ვოროტიუკის აბეზარი ხმა, რომელსაც უკვე დაემთავრებინა დივიზიის უფროსთან ლაპარაკი.

— მაშ, ვის უნდა შეეჩერებინა ტანკები? ვის, შენ გეკითხები, ლეიტენანტო? მე? დივიზიის მეთაურს? არმიის სარდალს? ვის, შენ გეკითხები? ნუთუ თქვენ შორის ერთი მატროსოვიც არ აღმოჩნდა? ხელყუმბარები შეგებათ წელზე და ტანკებს ჩავარდნოდით, თუ სხვა გამოსავალი არ იყო! — ცხვირთან ახლოს მდებარე თვალები შთანთქმას უქადნენ ილიას და, რისხვით გადამოკარკლულნი, შეშლილნი და დაუოკებელნი გამხდარიყვნენ. — ეჰ, ჩემი პოლკის გმირებო! გერმანელმა კაცუნებმა ბატარეას ალყა შემოარტყეს, თქვენ კი კისრისტეხით მოუსვით? ძვირფასი თავი გადაირჩინეთ? რას გაჩუმებულხარ, ბატარეის მეთაურო (წელში გაჯგიმული ილია გაქვავებულიყო და ადგილიდან არ იძროდა)? აი ჩემი ბრძანება, ლეიტენანტო, ყური მიგდე, თუ სიცოცხლე არ მოგბეზრებია! ყველანი უკან—ქვემეხებისაკენ! როგორც მიატოვეთ, ისევე დაიბრუნეთ! რაც გინდათ, ის ჰქენით — შეუტიეთ, მოიპარეთ, ნაწილ-ნაწილ გამოიტანეთ ალყიდან! რაც გინდა ის ჰქენი, ბატარეის მეთაურო, ოღონდ ქვემეხები პოლკში იყოს! უსიკვდილოდ აქ უნდა იყოს! აი აქ, მაღლობთან! არ იქნება და ტრიბუნალს გადაგცემთ! პირველ რიგში შენ, ბატარეის მეთაურო! მერე დანარჩენებიც მოგყვებიან! ყველაფერზე შენ აგებ პასუხს! გასაგებია, ლეიტენანტო? ახლა წადი და იფიქრე, რომელი ტყვია უფრო ტკბილია! ჩვენი თუ გერმანელების! წადი! გა-ასწი აქედან! წაიყვანე ხალხი! გა-ასწი!..

ჰაერში ხელი გაიქნია და ამით ყოველგვარი სხვა შესაძლებლობა მოუჭრა. იმ წუთას ვლადიმირმა გაიფიქრა, რომ განრისხებული ვოროტიუკი არა-

ფერზე უკან არ დაიხევდა ბატარეის დასჯისას, ბატარეისა, რომელმაც ვერ შეაჩერა ტანკები იმ სადგურის მისადგომებთან, რაც ორი დღის წინ წარმატებით აიღო მისმა პოლკმა.

— მოიცა, ლეიტენანტო, — უთხრა ქერათმიანმა, ტანწვრილმა, მოღრუშულმა, ფერშალმა ქალმა და წამოდგა, იდაყვში სწვდა ილიას, ხელის მტევანზე დადებული ნახვევი შეათვალიერა. — მოითმინე, სუფთა ბინტით შეგიხვევ, თორემ ტეტანუსი დაგემართება.

ილიამ ხელი გაითავისუფლა, არაფერი უპასუხია.

— გასაგებია ბრძანება, ლეიტენანტო? გასაგებია? — გაიმეორა გაცხარებულმა ვოროტიუკმა, თან მუცელი მოისრისა, ეტყობა, გაემწარებინა წყლულის შეტევას და იმასაც, რომ ილია წინანდებურად დუმდა გაწვრთნილი ოფიცრის იმავე პოზაში. — მაშ ასე, დაიმახსოვრე, ლეიტენანტო! თუ ქვემეხები არ მოგიტანია, როგორც დეზერტირსა და ლაჩარს, მყის სამსჯავროზე გაგიყვან! გასაგებია თუ არა?

— გასაგებია, მაგრამ მე არ მინდა, რომ ეგ სიამოვნება თქვენ მოგანიჭოთ,— ჩუმი სიშმაგით უთხრა ილიამ და კაცმა არ იცის, გაიცინა თუ ამოისლუკუნა, ყელში ცრემლებმომდგარმა. — პირადად თქვენ, ამხანაგო მაიორო.

ყველანი ილიას უცქეროდნენ.

რამზინს არარაფერი უთქვამს, მკვეთრად შებრუნდა, თითქოს რაღაც ზამბარამ აამოძრავაო, და ამ დროს გამოჩნდა ყინულივით ცივი, დაწმედილი, ფერწასული სახე წმინდანისა, რომელსაც მოწამებრივი სიკვდილი აურჩევია, — ხოლო როცა ვოროტიუკს სწრაფად განშორდა, თავი ასწია, მისი მზერა ლაზარევს შეეფეთა და თითქოს ზიზღის ფიზიკური ბიძგით გვერდზე გადააგდო იგი.

— ეს ზემდეგი საძაგელი კაცია, — ჩაილაპარაკა ფერშალმა ქალმა და გამომწვევად შეხედა ვოროტიუკს. — ვერ ხედავთ, ამხანაგო მაიორო, რომ ცრუობს? ცრუპენტელასავით იტყუება!

— ჯობს ყველანი გმირებად დაიხოცონ, ვიდრე მიწაში მძორებად დალპენ! — წარმოთქვა ვოროტიუკმა. — რომელი მათგანი ცრუობს — საქმეს არ ცვლის! რაკი ტანკები გაუშვეს, სისხლით, სისხლით გამოისყიდონ დანაშაული!..

— მომყევით, — ხრინწიანად თქვა ილიამ, და ისინი, ვინც შიშით ელოდა ამ ბრძანებას, ისევ იმ მინდვრით დაბრუნდნენ, ბუჩქნარით დაფარულ კალთას ჩაჰყვნენ და იქით გაემართნენ, სადაც ტანკების ძრავათა გუგუნი გლეჯდა, აქუცმაცებდა და ათრთოლებდა დაბლობში ჩაწოლილი ნისლის ნაფლეთებს და დაქუცმაცებული ნესტიანი ჰაერი ცივად ეფინებოდათ სახეებზე.

ლაბადაკარვეიანმა ოფიცერმა, კაპიტანმა გუჟავინმა, რომელიც საუბრისას ბოროტად წიწკნიდა ბალახის ღეროს, თითის მოძრაობით იხმო ლაზარევი. ისინი ჩამორჩნენ და ახლა ყველაზე ბოლოს ჩადიოდნენ დაბლა.

გაგრძელება იქნება

# ვლადიმირ კოროლენკო

თარგმნა რუსუდან ქებულაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები ლუნაჩარსკის

### წერილი პირველი

ანატოლი ვასილიევიჩ

ცხადია, მე არ დამვიწყებია ჩემი პირობა დამეწერა დაწვრილებითი წერილი, მეტადრე, რომ ეს თავადაც გულწრფელად მსურდა. გულახდილად და დაუფარავად გამოთქმა ჩემი აზრების საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოტივებზე კარგა ხანია იქცა ჩემთვის, როგორც მრავალი სხვა გულწრფელი მწერლისთვის, ყველაზე მწვავე და მძაფრ მოთხოვნილებად. ამჟამად გამეფებული „სიტყვის თავისუფლების" წყალობით ამ მოთხოვნილებას დაკმაყოფილება არ უწერია. ჩვენ, სხვაგვარად მოაზროვნეთ, არათუ წერილების, მოხსენებითი ბარათების წერა უფრო გვიხდება. მე ისე მგონია, რომ თქვენთან ეს გაცილებით გამიადვილდება. იმ შთაბეჭდილების შემდეგ, რაც თქვენმა ჩამოსვლამ მოახდინა ჩემზე, კიდევ მეტად განმიმტკიცდა ეს განზრახვა და დროხლა ველოდი, როცა მაგიდას მივუჯდებოდი და ჩემს შეხედულებებს გავუზიარებდი ამხანაგ მწერალს თანამედროვეობის მტკივნეულ საკითხებზე.

მაგრამ თქვენი ჩამოსვლის ხანს ის საზარელი ამბები ხალხის ხვრეტისა ჩვენ შორის ისეთ ზღუდედ გაწვა, არ შემიძლია სხვა რამეზე ვილაპარაკო, ვინემ სულს მისგან არ გავითავისუფლებ. ისე რომ, უნებურად მიხდება ამ ამბებიდან დავიწყო.

უკვე მიტინგის წინ თქვენთან ლაპარაკს (უკეთ, შუამდგომლობას) რომ ვაპირებდი, ღელვამ მომიცვა. გული ყრუდ მითქვამდა, რომ ფუჭი სიტყვების დახარჯვა მომიხდებოდა ახლად ამოვსებულ საფლავის თავზე. და მაინც მინდოდა მერწმუნა, რომ საგანგ. კომისიის უფროსის სიტყვებს რაღაც მნიშვნელობა ექნებოდა და ხუთი სიცოცხლის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა. მართალია, თქვენი სიტყვის საერთო განწყობილებით უკვე ვიგრძენი, რომ ამ საზარელ ამბავს თქვენც ჩვეულებრივ ამბად თვლიდით... არადა... არადა, ადამიანის ბედს ასე იოლად ვერ გადაიწყვეტს..

და აი, მეორე დღეს, თქვენი ბარათის მიღებამდე, მე შევიტყვე, რომ ის, რასაც გული ყრუდ მითქვამდა, უკვე მომხდარი ფაქტი იყო: ხუთი კაცის დახვრეტა გასამართლების გარეშე. ხუთი ცხედარი დგას ჩემს მაშინდელ შთაბეჭდილებებსა და ამ წუთს შორის, როცა გულშეკუმშული ვიღებ ხელთ კალამს. მხოლოდ ორი-სამი დღის წინ გვაცნობა ადგილობრივმა „იზვესტიამ" მსხვერპლთა გვარები. თქვენთან შეხვედრამდე მე ვნახე არონოვისა და მირკინის ახლობლები, რამაც პიროვნული დრამატიზმის შუქი ასხივა ჩემთვის ამ უცნობ ჩრდილებს. მაშინ მე მიტინგზე მოვიტანე, ჯერ ერთი, იმ პირის ოფიციალური დასკვნის ასლი, ვისაც სურსათ-სანოვაგე ებარებოდა. იქ ეწერა, რომ არონოვის მოქმედება სურსათ-სანოვაგის ხელისუფალთ დეკრეტთა დარღვევად არ მიაჩნიათ. მეორეც, მე მოვიტანე წისქვილის მუშათა შუამდგომლობა, რაიც ამტკიცებდა, რომ მუშები მას უხეშ ექსპლოატატორად და სპეკულიანტად არ თვლიდნენ, ამგვარად, ამ ორ ადამიანზე სხვადასხვა ოფიციალური აზრებიც იყო. ასე თუ ისე სიფრთხილესა და შემოწმებას რომ თხოულობდა. და მართლაც, კვირანახევრის წინ ამ ამბამდე, საგანგებო კომისიამ საგუბერნიო აღმასკომიდან წინადადება მიიღო, იურისკონსულტის

...ქნის თანახმად, არონოვი გაეთავისუფლებინა ან მისი საქმე რევოლუციური ტრიბუნალისთვის გადაეცა.

...ის ნაცვლად იგი ადმინისტრაციული წესით დაიხვრიტა.

მოგახსენებთ, რომ ჩემი ლიტერატურული მოღვაწეობის ხანს მე „მარტო ვარდები არ მომიკრეფია“* მეფის ხელისუფლების დროს მე ...ხა ვწერდი სიკვდილით დასჯის თაობაზე ...კიდეც მოვიპოვე უფლება უფრო მე... ...ლაპარაკა და დამებეჭდა ამაზე, ვი... საერთოდ ცენზურის მიერ იყო ნებადართული. ზოგჯერ გადამირჩენია კიდეც სამხედრო სასამართლოების მსხვერპლთა სიცოცხლე და იყო შემთხვევებიც, როცა სასჯელის გადადების შემდეგ საბუთებიც აღმოჩენილა მათი უდანაშაულობის შესახებ და ისინი გაუთავისუფლებიათ (მაგ. იუსუპოვის საქმე), თუმცა ისეც მომხდარა, რომ საბუთებს მეტისმეტად დაგვიანებიათ (გლუსკერის საქმე და სხვ.).

მაგრამ სიკვდილის დასჯა გაუსამართლებლად, სიკვდილით დასჯა ადმინისტრაციული წესით — ეს მაშინაც კი ძალზე დიდი იშვიათობა იყო. მე მახსოვს ერთი შემთხვევა, როცა განრისხებულმა სკალონმა (ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა) გაუსამართლებლად დახვრიტა ერთი ყმაწვილი. მაგრამ ამ ამბავმა ისეთი აღშფოთება გამოიწვია სამხედრო-სასამართლო წრეებშიაც კი, რომ მხოლოდ უგუნური მეფის „მოწონებამ“ გადაარჩინა სკალონი სასამართლოში მიცემას. მთავარი სამხედრო-სასამართლოს წევრებიც კი მარწმუნებდნენ, ასეთი საქმის გამეორება აწ ყოვლად შეუძლებელიაო.

ამ დროსაც და შემდეგაც ბევრ წარმოუდგენელ უმსგავსობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ პირველი აღიარება იმისა, რომ შეიძლება საყოვლისმძლებლო ხელისუფლებისა და იმ ხელისუფლების გაერთიანება, განაჩენი რომ გამოაქვს (სიკვდილით დასჯისა), მაშინაც არ მომხდარა. ეს ბოლშევიკური საგანგ. საგამომძ. კომისიების მოღვაწეობა იქნებ ერთადერთ მაგალითს წარმოადგენს კულტურულ ხალხთა ისტორიაში. ახლახან სრულიად უკრაინის საგანგ. კომისიის ერთ-ერთი გამოჩენილი წევრი რომ შეხვდა პოლტავის საგანგ. კომ-ში, სადაც მაშინაც ხშირად დავდიოდი სხვადასხვა შუამდგომლობაზე, და მკითხა, რა შთაბეჭდილებისა ბრძანდებით, მე ვუპასუხე: მეფის ხელისუფლების ...ვრის საოლქო საჟანდარმერიო სამმართველოებს გაციმბირების გარდა სიკვდილით დასჯის უფლებაც რომ ჰქონოდათ, ეს იგივე იქნებოდა, რასაც ახლა ვხედავ-მეთქი.

* როგორც თქვენ გამოთქვით ერთ-ერთ წერილში ჩემზე (ვ. კოროლენკოს შენიშ.).

ჩემმა მოსაუბრემ კი ასე მომიგო:

— მაგრამ ეს ხომ ხალხის საკეთილდღეოდ ხდება.

ჩემი ფიქრით, არ შეიძლება მართლა ყველა საშუალება გამოდგეს ხალხის საკეთილდღეოდ და არც ისაა ჩემთვის საეჭვო, რომ ადმინისტრაციულ დახვრეტებს, ეს ორი წელი უკვე სისტემად ქცეულთ, მათ რიცხვს ვერ [illegible]თვნებთ. შარშან მე აღვუწერე წერილში ქრისტ. გეორგ. რაკოვსკის ერთი ამბავი, როცა ჩეკისტებმა ქუჩაში დახვრიტეს რამდენიმე ეგრეთ წოდებული კონტრრევოლუციონერი. ისინი უკვე მიჰყავდათ ბნელ ღამეს სასაფლაოზე, სადაც მაშინ დახვრეტებს ღია საფლავთან აწყობდნენ და უცერემონიოდ ესროდნენ კეფაში. იქნებ მათ მართლაც სცადეს გაქცევა (ან რაა გასაკვირი) და ამიტომ იქვე ქუჩაში მოკლეს ხელის ტყვიამფრქვევებით. ასე იყო თუ ისე დილას ბაზარში ჩამოსულმა ხალხმა ნახა, როგორ ტლეკდნენ სისხლის გუბეებს ძაღლები, და მოისმინეს ახლომახლო მაცხოვრებელთა მონაყოლი იმღამინდელ ამბავზე. მე მაშინ შევეკითხე ქ. გ. რაკოვსკის: როგორ გგონიათ, ეს რამდენიმე კაცი თუნდაც რომ ყველაზე გაქანებული აგიტატორები ყოფილიყვნენ, ამ სურათზე ამაღელვებელ ამბავს განა რას მოამყვებოდნენ-მეთქი? უნდა ვთქვა, რომ მაშინ ადგილობრივმა საგუბერნიო აღმასკომმაც და კიევის ცენტრალურმა ხელისუფლებამაც დაუყოვნებლივ შეაწყვეტინეს (ორჯერ) ასეთი კოლექტიურ დახვრეტათა ცდები და მოითხოვეს საქმეები რევოლუციური ტრიბუნალისთვის გადაეცათ. სასამართლომ საგანგ. კომისიის მიერ ერთი ასეთი დასახვრეტად განწირული გაამართლა და ამ განაჩენს მთელი დამსწრე საზოგადოება ტაშით შეხვდა, ტაშს უკრავდნენ წითელარმიელი გუშაგებიც, თოფები განზე რომ გადაედოთ. როცა დენიკინელები შემოვიდნენ. მათ ამოთხარეს საერთო ორმოდან თექვსმეტი გახრწნილი გვამი და ყველას დასანახად გამოაფინეს. ეს შემზარავი სანახაობა იყო, მაგრამ — იმხანად მათ თვითონ უკვე ასევე გაუსამართლებლად დახვრიტეს რამდენიმე კაცი. მე ვკითხე მათ მიმდევრებს: როგორ ფიქრობთ, თქვენი დახვრეტილების გვამები ორმოდან რომ ამოთხარონ, ვითომ უფრო მიმზიდველი სანახავი იქნებიან-მეთქი? დიახ, ორივე მხრის გამხეცებამ უკვე უკიდურეს საზღვარს მიაღწია, და ჩემთვის მწარე გახლავთ იმაზე ფიქრი, რომ ისტორიკოსმა უნდა ჩაწეროს საგანგებო კომისიის „ადმინისტრაციული მოღვაწეობის“ ეს ფურცელი რუსეთის პირველი რესპუბლიკის ისტორიაში, თანაც არა XVIII, არამედ XIX საუკუნისა.

არ თქვათ, რევოლუციას თავისი კანონები

აქვსო. რა თქმა უნდა, იყო ხოლმე რევოლუციური ბრბოს ვნებათწყვეტება, რომელსაც სისხლით მოურწყავს ქუჩები XIX საუკუნეშიც. მაგრამ ეს იყო წყვეტება სტიქიური და სისტემად ქცეული გააფთრებისა. ისინი კიდევაც ხანგრძლივად დარჩნენ (მაგალითად, კომუნარების მიერ მძევალთა დახვრეტა) სისხლიან შუქურებად, არა მარტო ვერსალელთა პირფერული აღშფოთება რომ გამოიწვიეს, არამედ თვით მუშებისა და მათი მეგობრებისაც... და კიდევაც ხანგრძლივ მოჰფინეს შავი და მომშთობი ჩრდილი თვით სოციალისტურ მოძრაობასაც.

არონსონისა და მირკინის დახვრეტის ცნობა, 11-სა და 12 ივნისს რომ გამოქვეყნდა ბოლოს და ბოლოს „იზვესტიაში", გვაუწყებს, რომ ისინი დაისაჯნენ პურის სპეკულაციისათვის.. ვთქვათ, ასეც იყო, თუმცაღა უნებლიეთ გაგონდება, რომ ეს ამბავი სურსათ-სანოვაგის მესვეურთ დეკრეტების დარღვევად რა მიუჩნევიათ და ასეთი აზრთა სხვაობა სასამართლო შემოწმებას მაინც იმსახურებდა. საერთოდ, მთელი ეს სამწუხარო ამბავი საფრანგეთის დიდი რევოლუციის საზოგადოებრივ ეპიზოდს გვაგონებს. მაშინაც სიძვირე იყო. ეს ყოველივე ასეთივე სიბეცით — არისტოკრატთა და სპეკულიანტთა გაიძვერობით აიხსნებოდა და ხალხის ბრმა გააფთრებას იწვევდა. კონვენტი „დამყვა ხალხის ნება-სურვილს" და ათობით მაშინდელ არონსონებსა და მირკინებს გილიოტინაზე თავები დააყრევინა. მაგრამ არც ამან გასჭრა, სიძვირე თანდათან მატულობდა. პარიზელი მუშები პირველები მოეგნენ გონს, მათ კონვენტს მიმართეს შემდეგი პეტიციით: „ჩვენ გთხოვთ პურს, თქვენ კი სიკვდილით გვაპურებთ". მიშლეს, ამ ისტორიკოს-სოციალისტის აზრით, ამდენი სიკვდილით დასჯა გახდა იმის მიზეზი, რომ ს. ანტუანის უბანში პირველმა კონტრრევოლუციურმა აჯანყებებმა იფეთქა.

განა ადმინისტრაციული წესით ხალხის დახვრეტა გილიოტინაზე უკეთ მოაგვარებს ფასების ამბავს?

ოფიციალური გაზეთის ცნობა მხოლოდ ოთხ გვარს ასახელებდა 30 მაისს დახვრეტილთაგან, მაშინ როცა გარკვევით იყო ლაპარაკი ხუთზე. შეშფოთებულმა მოსახლეობამ მის კვალობაზე დაასკვნა, სია სრული არ უნდა იყოსო.. ასახელებენ სხვა გვარებსაც... არადა, საჯაროობა თუ სადმეა მთავარი, სწორედ ადამიანთა სიცოცხლის საკითხშია. აქ ყოველი ნაბიჯი ნათელი უნდა იყოს. ყველას აქვს უფლება იცოდეს, ვინ გამოასალმეს სიცოცხლეს. თუკი ეს აუცილებლად იქნა მიჩნეული, რა მიზეზით და ვისი განაჩენით. ეს ყველაზე მცირეა, რაც ხელისუფლებას მოეთხოვება. ახლა მოსახლეობა შიშის ზარის ქვეშ ცხოვრობს. ამბობენ, თითქოს სიაში მხოლოდ ნაწილია (დახვრეტილებისა) მოყვანილიო. საზარელი ხმებიც ვრცელდება, ვითომდა ძველი შეთქმული კიდევ უფრო გააქტივდება, ყოველგვარ ფორმას დაჰკარგავს, ისე რომ, ახლა ბრალდებულს აღარც დაჰკითხავენ. მე მგონი, ეს მხოლოდ შიშით გამოწვეული ბოდვაა.... მაგრამ — როგორ გინდა თავიდან ამოუგდო მოსახლეობას ის აზრი, რომ ახლა ზოგჯერ თვით სინამდვილეც ბოდვაა ხოლმე?..

მე ძალზე მწყინს იმაზე ფიქრი, რომ თქვენც, ანატოლი ვასილიევიჩ, იმის მაგივრად, ხალხს გონზე მოსვლისკენ მოუწოდოთ, მოაგონოთ სამართლიანობა, მოაგონოთ, რომ ადამიანის სიცოცხლეს გაფრთხილება უნდა, რამეთუ ეს ახლა მეტისმეტად გაიაფდა, — თქვენს სიტყვაში თითქოსდა სოლიდარობა გამოუცხადეთ ამ „ადმინისტრაციულ დახვრეტებს". ადგილობრივ გაზეთთა გადმოცემაში ეს სწორედ ასე ჟღერს. სულით და გულით მწადია, რომ თქვენს გულში კვლავაც აჟღერდეს იმ განწყობილებათა გამოძახილი, ოდესღაც რომ ასე გვაახლოებდა მთავარ საკითხებში, როცა ორივეს [illegible] გვაჩნდა, რომ გზა სოციალიზმისკენ ადამიანის ბუნების საუკეთესო მხარეებს უნდა ეყრდნობოდეს, გულისხმობდეს ვაჟკაცობას პირისპირ ბრძოლაში და ადამიანურ გრძნობებს მოწინააღმდეგეთა მიმართაც კი. დაე, მხეცობა და ბრმა უსამართლობა მთლიანად დრომოჭმულ წარსულის წილად დარჩეს და მომავალში ნუღა შეაღწევს...

აი, გამოვთქვი ყველაფერი, რაც ლოდივით მაწვა გულზე და ვგონებ, ახლა აღარ შეუშლის ხელს ჩემს სურვილს — ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ საერთო საკითხებზე.

შემდგომ წერილამდე.
19 ივნისი, 1920 წ.

## წერილი მეორე

ამ მეორე წერილს კონკრეტული მაგალითით დავიწყებ. ასე უფრო მეადვილება. მე არც პოლიტიკოსი ვარ და არც ეკონომისტი. მე ვარ კაცი, ვინც ხალხის ცხოვრებას კარგა ხანია აკვირდებოდა და მისი მოვლენებისადმი რაღაც ალღო შეიმუშავა.

1893 წელს მე მსოფლიო გამოფენაზე გახლდით ჩიკაგოში. გამოფენის მზადებამ და თვით გამოფენამაც ჩიკაგოში უამრავ მუშას მოუყარა თავი. გამოფენის შემდეგ დიდმა არეულობამ იფეთქა, უმუშევრობით გამოწვეულმა, ისე რომ, ერთხანს პულმანის პატარა ქალაქი ჩიკაგოს ახლოს და თვით ჩიკაგოც აჯანყებულ

…ხელში მოექცა. გაითვალისწინა რა ეს მდგომარეობა, ილინოისის შტატის გუბერნატორმა, გვარად ალტგელდმა, კაცმა თავისუფალმა და პირდაპირ სოციალური გაბედული აზროვნებისა და მოქმედების უნარის პატრონმა, ამერიკული დემოკრატიის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ჯერ გამოფენის დამთავრებამდე თვით მოუწოდა მუშებს, რომ … დაფიქრებოდნენ თავიანთ მდგომარეობას და ეცადათ ურთიერთდახმარების ორგანიზაცია თავადვე მოეგვარებინათ.

და აი ერთხელ ეგრეთ წოდებულ ხელოვნების სასახლის ვეებერთელა მოედანზე, მიჩიგანის ნაპირის ახლოს, უმუშევართა მიტინგი გაიმართა. როგორც ყველაფერი ამერიკაში, ისიც ისევე უზარმაზარი იყო. ვეება მოედანი ზღვა ხალხს გაევსო. მონაწილეთა რიცხვმა, პოლიციის წინასწარი გამოანგარიშებით, ორასი ათასს გადააჭარბა მიტინგის გახსნამდე კარგა ხნით ადრე.

მეც წავედი იქ, სურათი ფრიად თავისებური გახლდათ: ზღვა ხალხის ზემოთ ბაქნები ჩანდა, ორ ძალზე მაღალ ბორბალზე მდგარი, ყოველი ბაქნიდან კი ცალკეული ორატორი მოუწოდებდა ხალხს. მე მოვუსმინე იქ სახელგანთქმულ ჰენრი ჯორჯს, რომელიც თავის „ერთიანი გადასახადის“ ქადაგებდა, მიწის რენტის მოსპობის სოციალურ საკითხს რომ გადაჭრიდა. სოციალისტი მორგანი, უბრალო მჭედელი სახელოებაკაპიწებულ ხალათში, მუშათა კლასს თავის ძალის გამოჩენისკენ მოუხმობდა, ხელს იშვერდა ვეება მოედნის ირგვლივ აღმართულ უზარმაზარ შენობებისკენ და ამბობდა: „თქვენ შიმშილობთ, მაშინ როცა ეს ყველაფერი თქვენია“. მესამე ბაქნიდან გვიჭიკჭიკებდა იმხანად საკმაოდ პოპულარული ახალგაზრდა მისსი, გაცხარებით რომ ურჩევდა ხალხს... ცნობათა კანტორების შექმნას, ვითარც უმუშევრობის წამალს. იყო ისეთი მუშა-ორატორიც, რომელიც მხურვალედ ამტკიცებდა, რომ კაპიტალი, ქმნის რა წარმოებას, იმავდროულად მუშათა ინტერესებსაც ემსახურება და ამიტომაც ამ ორ კლასს — კაპიტალისტებსა და მუშათა შორის მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა უნდა დამყარდეს.

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ. მაგრამ ყოველი მათგანიდან თანამოაზრენი ლაპარაკობდნენ და თანაგვარი მოწოდებანი ისმოდა. მაყურებლებიც შესატყვისად ინაცვლებდნენ ადგილს ბაქნიდან ბაქნამდე. თითოეულს შეეძლო ყველა პარტიის მოსაზრებებს გასცნობოდა, განა იმიტომ, მიტინგის შედეგად ერთიანი აზრი გამოემუშავებინათ, არამედ თითოეულს საკუთარი დასკვნის გამოსატანად სხვადასხვამხრივი ცნობები მიეღო. დანარჩენი შემდგომად ყოველი პარტიის ცალკეულ აგიტაციაზე იქნებოდა დამოკიდებული.

ჩემ გვერდით ვიღაცამ ღრმად ამოიოხრა. ეს იყო მუშა, გაცვეთილი კოსტიუმი რომ ეცვა, ალბათ ისიც უმუშევარი.

— ეჰ... არა, ეს ის არაა, — მომმართა მე. — ჯერ ყველანი ერთმანეთთან უნდა შეთანხმებულიყვნენ და აქ ერთი დაკვრით მოსულიყვნენ. აი, მაშინ ექნებოდა რაღაცა აზრი.

მოსაუბრეში ჩვენი თანამემამულე შევიცანით, რუსი ებრაელი. იმ ხალხში, ვისთანაც ერთად მიტინგზე მივედი, ერთი ფრიად საინტერესო კაცი იყო. წარმოშობით რუსი. ამერიკაში ბავშვობაში ჩამოსულიყო, რუსული კი ესმოდა (ოჯახური ტრადიციების მიხედვით), მაგრამ ლაპარაკი უკვე უჭირდა. მას მისტერ სტონი ერქვა. როგორც მახსოვს, ხელოსანი იყო, მაგრამ ყურადღება კი უკვე მიიქცია თავისი წერილებით მუშათა საკითხების თაობაზე, ამიტომაც ერთი მხრივ გამოსაჩენ როლს თამაშობდა ჩიკაგოს სოციალისტურ პარტიაში, მეორე მხრივ კი — გუბერნატორმა ალტგელდმა შესაძლებლად მიიჩნია ფაბრიკაში ერთ-ერთი ინსპექტორის ადგილი შეეთავაზებინა მუშათა ინტერესების ოფიციალური დაცვისათვის. ამერიკაში ასეთი პარადოქსები არც ისე იშვიათია.

— როგორ ფიქრობთ, მისტერ სტონ? — ვკითხე მე, — ისურვებდით ჩვენი თანამემამულის სურვილი ამხდარიყო?

— ანუ? — მკითხა მისტერ სტონმა უფრო მეტად აზრის დასაზუსტებლად, ან იქნებ კარგად ვერ ჩასწვდა ნათქვამის აზრს.

— ანუ გსურთ თუ არა, რომ ყველა აქ მყოფის ტვინში რაღაც ლოგიკური მანქანა მოტრიალებულიყო, და მარტო მათ კი არა, მთელ ხალხს მოემართა თქვენთვის, სოციალისტებისათვის: „თქვენს ხელთა ვართ. მოგვიწყვეთ ცხოვრება“?

— ღმერთმა ნუ ქნას, — მტკიცედ მომიგო ამერიკელმა სოციალისტმა.

— ვითომ რატომ?

— არც ჩვენ, არც ეს ხალხი, არც ამერიკის დაწესებულებანი ჯერ საამისოდ მზად არა ვართ. მე მარქსისტი გახლავართ. ჩვენი აზრით, კაპიტალიზმს ჯერ არ მოუმთავრებია თავისი საქმე. ამას წინ აქ ენგელსი იყო. მან თქვა: „თქვენი კაპიტალი მშვენივრად ასრულებს თავის როლს. ყველა ეს შინა-მონასტრები ჩინებულად მოემსახურებიან საზოგადოების მომავალს. მაგრამ მათი როლი ჯერ დასრულებული არაა და კარგა ხანს არც დასრულდება“. ეს მართალი გახლავთ. ამერიკას ჯერჯერობით მარტოოდენ რკინიგზის მეურნეობის ნაციონალიზაცია შეუძლია. ის ახლაც უკვე რამდენი-

მე მილიარდერის ხელშია. მაგრამ ხათბობი კი... ასე უცბად მოფიქრება რკინიგზისა და ხათბობის მუშათა დამოკიდებულებისა — უფრო რთული საკითხია, თუმცა კი შესაძლებელი, ხოლო რაც შეეხება ამ უზარმაზარი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყოველმხრივ ორგანიზაციას სოციალისტურ საწყისებზე, ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენს პარტიას ჭერჭერობით ძალა არ შესწევს. მაგალითად — კვალიფიცირებული და შავი შრომის მუშათა შორის დამოკიდებულებამ შეიძლება დიდზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვიოს. ეს ადვილად გვარდება ქაღალდზე, „უტოპიებში". მაგრამ ჩვენ, მარქსისტებს, კარგად გვესმის, რომ საქმე გვექნება არა ერთბაშად ანგელოზებად ქცეულ ადამიანებთან, არამედ მილიონობით ცალკეულ, ასე ვთქვათ, ძლიერ ეგოიზმებთან, რომელთა მოსარიგებლად საჭირო გახდება როგორც სულთა, ისე გარდამავალ დაწესებულებათა გარდაქმნა, რაიც ძნელი და მძიმე საქმე გახლავთ... ამერიკა დიახაც წარმოადგენს შესანიშნავ ნიადაგს ხაამისოდ, მაგრამ ჭერჭერობით მხოლოდ და მხოლოდ ნიადაგს.

მიტინგის შემდეგ ჩვენს პატარა წრეში ისევ გაგრძელდა ამ საკითხზე მსჯელობა, ისე რომ, ნათლად გავარკვიე ჩემთვის ამერიკელი სოციალისტის თვალსაზრისი და ახლა შევეცდები ჩემი სიტყვებით ალვადგინო იგი.

საზოგადოება ორგანიზმი არ გახლავთ, მაგრამ საზოგადოებაში ბევრი რამ ორგანულია, თავისი კანონებით რომ ვითარდება. ახალი ფორმები ისევე მწიფდება მის სიღრმეში, როგორც მარჯნის რიფები ოკეანეში. ეს მარჯნის რიფები ერთმანეთში ჩახლართულია ცალკეული ცხოველებით, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის კანონებით ვითარდებიან, ასე ქმნიან ისინი მარჯნის მთებს, თანდათან რომ იზრდება და დიდდება. ის, რაც შეიძლება შევადაროთ სოციალურ რევოლუციას — გახლავთ ის მომენტი, როცა რიფი ოკეანის ზედაპირს ამოსცდება. მაშინ მას, ერთი მხრივ, მძვინვარედ აცხრება ოკეანის ტალღები ამ მოულოდნელი დაბრკოლების გასაცამტვერებლად. მეორე მხრივ, ატმოსფეროს გავლენა ცდილობს ამ ახალ ფუძეზე ჩასახოს სიცოცხლე.

ჰოდა, ჩანგრძლივი ორგანული მუშაობა იყო საჭირო წყალქვეშ, რა არის მკვიდრი და გამძლე ფუძე შექმნა მისთვის.

განა ასე არ არის საზოგადოებაშიც? საჭიროა მრავალი პირობა, როგორიცაა პოლიტიკური თავისუფლება, განათლება, საჭიროა ძველ ნიადაგზე ახალი საზოგადო ჩანასახართების გამომუშავება, საჭიროა თანდათან მზარდი ცვლილებანი დაწესებულებებში და ადამიანთა ზნესა და ნირში, ერთი სიტყვით, საჭიროა ის, რასაც ჩემმა ახლო ნაცნობმა და ხუ... გობარმა, რუმინეთის სოციალიზმის ფუძემდებელმა, ჭეშმარიტმა მარქსისტმა გერეა-დობროჯანუმ „სოციალური გადატრიალების ობიექტური და სუბიექტური პირობები" უწოდა.

ჩემი აზრით, ეს [illegible] მარქსის ფილოსოფიის საფუძველ[illegible] ამბობდა ცხვ... ლსი წინა საუკუნის დასასრულს, ამერიკა ჯერ მზად არ არის სოციალური გადატრიალებისთვის.

დობროჯანუს აღმოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი, რომლებიც, მაგალითად, ამბობენ, რუმინეთი უკვე მზადაა. მართალია, სინამდვილეში აქ არც ობიექტური, არც სუბიექტური პირობებია სოციალიზმისთვის. მაგრამ განა ჩვენ არ ვხედავთ, რომ სწორედ ის ქვეყნები, სადაც ყველაზე მეტად განვითარებულია ობიექტური თუ სუბიექტური პირობები, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი, ამერიკა, უარს აცხადებენ მოემხრონ სოციალურ რევოლუციას, მაშინ როცა, პირიქით, უნგრეთმა უკვე გამოაცხადა თავისთავ საბჭოთა რესპუბლიკა?* არა სოციალიზმის განვითარებაში მოწინავე გერმანიამ, სადაც სოციალისტური ორგანიზაციები ყველა ქვეყანაზე მეტად განვითარებული იყო, არამედ ჩამორჩენილმა რუსეთმა, რომელიც თებერვლის რევოლუციამდე სულაც არ იცნობდა ლეგალურ სოციალისტურ ორაგნიზაციებს, აღმართა სოციალური რევოლუციის დროშა. სწორედ აქედან გამოჰყავდათ დობროჯანუს მოწინააღმდეგეებს ვითომცდა დასკვნა: რაც უფრო ნაკლებია „ობიექტური თუ სუბიექტური პირობები ქვეყანაში", მით უფრო მზადაა იგი სოციალური გადატრიალებისათვის. ამ არგუმენტაციას ყველაფერი შეიძლება უწოდო, გარდა მარქსიზმისა.

ახლა ამ მოწინააღმდეგეებს შეუძლიათ კიდევ მიუმატონ მას ლითები. ინგლისელ მუშათა დელეგაციის ჩამოსვლა დამთავრდა ლენინის მწარე წერილით მათდამი, სადაც იმედგაცრუება იგრძნობა, სამაგიეროდ აღმოსავლეთიდან საბჭოთა რესპუბლიკა მგზნებარე მილოცვებს იღებს. მაგრამ — განა არ უნდა ჩავუფიქრდეთ, რას ნიშნავს ინგლისელ მუშა-სოციალისტთა ეს სიცივე და ფანატიკური აღმოსავლეთის ეს მილოცვები, რათა ნათლად შევიგნოთ მათი მნიშვნელობა.

ამ დღეებში ერთ-ერთ საბჭოურ გაზეთში წავიკითხე აღშფოთებული პასუხი თურქი „სოციალისტის", ხალილევის მიმართ, რომლის წერილები სომხების საკითხზე პირდაპირ სომხ-

---

* ეს პოლემიკა იმ დროს მიმდინარეობდა, როცა უნგრეთში, თუმცა მოკლე ხნით, საბჭოთა რესპუბლიკა დაარსდა.

...სიცვა-ულეტისკენ მოუწოდებდა. აი, როგორ გაბლავთ ეს აღმოსავლური სოციალიზმი ...კიძულ თურქეთშიაც კი. ხოლო თუ მოისურვებთ წარმოიდგინოთ ამ თავისებური აღმოსავლური მიტინგების სურათი მეჩეთების წინ, ...ებზე გამართული, სადაც მონტეიალე დერვიშები მუხლებზე ჩაცუცქულ მსმენელებს ...უწოდებენ ევროპელთა წინააღმდეგ წმინდა ომის გაჩაღებისკენ და ამავე დროს რუსეთის საბჭოების რესპუბლიკა მოულოცონ, არა ...თქვათ, რომ აქ ლაპარაკია პროგრესზე მარქსისა და ენგელსის გაგებით... უფრო ...ქვეთ: აზია ესმიანება იმას, რასაც ჩვენში ...ხედავს, აზიურს ხედავს.

შემდეგ წერილამდე.
11 ივლისი, 1920 წელი.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ჩემს თქვენდამი წერილებში კვლავ საკმაოდ ...ლი შესვენება მოხდა, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შეუძლოდ გახლდით, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ სხვა საქმით ვიყავ დაკავებული. „კონკრეტულმა შემთხვევებმა" კვლავაც არ მომცა მოცალეობა ...ერთო საკითხებისთვის. ალბათ არ გაგიძნელდებათ გამოცნობა, რა კონკრეტულ შემთხვევებსაც ვგულისხმობ. ესაა დახვრეტები გასამართლების გარეშე, რომლებიც ჩვენთან უკ... თეულობით დაითვლება და —კიდევ ჩე... დაკავებული ან უშედეგო შუამდგომლობანი, თქვენ მეტყვით: ამ შინაომების ჟამს რა ...ეროს სათნოების ქადაგებაო. არა, ახე არ გეგონოთ, ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ...ამ პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ჩერ კიდევ მეფის დროს „უოფითი მოგ...ნისაგან"* დაწყებული, როდესმე მოკრძალებულ პროტესტზე დავიდოდა სასამართლოს გარეშე დახვრეტებისა ან ბავშვთა კვლის წინააღმდეგ. აი ჩემი წერილი ჩვენი საგუბერნიო ...აღმასკომის თავმჯდომარე ამხანაგ პორაიკოსადმი, სადაც თქვენ ნახავთ, რა კონკრეტულმა შემთხვევებმა გადამახვევინა საერთო საკითხების მსჯელობიდან:

„ამხანაგო პორაიკო,

მე მივიღე თქვენი თავაზიანი წერილი ჩემს წერილზე. როგორც ჩანს, ჩემი სულიერი სიმშვიდისათვის თქვენ მაცნობეთ, რომ საქმე, რასაც მე გწერდით, „ხარკოვშია გადაცემული". მადლობელი გახლავართ ამ თავაზიანობისთვის პირადად ჩემდამი, მაგრამ მე გავიგე, რომ 9 კაცი უკვე წინადღეს დახვრიტეს.* მათ შორის 17 წლის გოგონა და კიდევ ორი მცირეწლოვანი. ახლა ჩემთვის ცნობილია, რომ საგანგ. კომის. „ახამართლებს" სხვა მირგოროდელებს და კვლავ მოსალოდნელია გასამართლების გარეშე დასჯანი. იმიტომ გეტყვი, გასამართლების გარეშე-მეთქი, რომ [illegible] არც ერთ ქვეყანაში საგამომძიებლო კომისიებს არ აკისრია განაჩენის გამოტანის უფლება, მით უმეტეს სიკვდილის განაჩენისა, საგამომძიებლო კომისიების მოქმედებას ყველგან სასამართლო ამოწმებს დამცველთა მონაწილეობით. ასე იყო მეფეების დროსაც.

რომ მაშინდელივით არ დავაგვიანო, მე წინასწარ ვაცხადებ პროტესტს. ვინემდე ძალა შესწევს ჩემს სუსტ ხმას, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ შევწყვეტ პროტესტს გასამართლების გარეშე დახვრეტათა და ბავშვთა მკვლელობის წინააღმდეგ".

იმავე დღეს (7 ივლისს) საღამოს მე მომიხდა იმავე პირისთვის დამატებითი წერილი გამეგზავნა.

„ჩემი დილანდელი წერილის შემდეგ ვიჩქარი დამატებით გაცნობოთ დიდად მნიშვნელოვანი ცნობა, რაიც მხოლოდ დღეს გავიგე უტყუვრად. შარშანდელი აჯანყების ჩახშობის შემდეგ, როცა მირგოროდში 14 კაცი დაიხვრიტა (დამსჯელი რაზმის მიერ), ბოლშევიკების ხელისუფლებამ თავი დაკმაყოფილებულად ჩათვალა და ქუჩებში გამოაკრა განცხადება ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲛᲜᲘᲡᲢᲘᲘᲡ შესახებ. ახლა გუბ. საგანგებ. კომ. ისევ იმ ხალხს ასამართლებს; რომლებიც, საბჭოთა ხელისუფლების სიტყვის უტყუარობაში დარწმუნებულნი, აღთქმულ ამნისტიას მიენდვნენ. ეს გარემოება ყველა მირგოროდელმა იცის, კარგად იცის ეს პოლტავის საგანგ. კომ. ერთ-ერთმა გამოჩენილმა წევრმა ამხ. ლიტვინმაც.

ნუთუ ასეთ გარემოებებშიაც შეიძლება ხალხის დახვრეტა? ეს ჭეშმარიტად დიდი სირცხვილი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის".

ამავე მიზეზით მომიხდა წერილის მიწერა კიდევ ქრისტიან გეორგიევიჩ რაკოვსკისა და სრულიად უკრაინის ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. პეტროვსკისათვის. ეს წერილიც საჭიროდ მიმაჩნია აქ მოვიტანო.

„დიდად პატივცემულო ამხანაგო პეტროვსკი,

მე უკვე მივმართე ამ საქმის თაობაზე ამხ. რაკოვსკის, ახლა გადავწყვიტე თქვენთვისაც მომემართა. ეს საქმე — შუამდგომლობა გახლავთ გლებ ევდოკია პიშჩალკას მცირეწლოვანი ქალიშვილის თაობაზე, ვისაც პოლტავის

* ზუსტად ისევე, ანატოლი ვასილიევიჩ, როგორც თქვენი ჩამოსვლის ხანს.

საგან. კომ. დახვრეტა მიუსაჯა. თორმეტი კაცი ამ საქმის გამო უკვე დახვრეტილია.* პიშჩალკა ჯერჯერობით ცოცხალი დატოვეს, ვინმე მის ბედს ხარკოვის ცენტრალურ დაწესებულებებში გადაწყვეტდნენ. მე ვერ დავიჯერებ რომ უმაღლეს ინსტანციებში შეიძლება მოიწონონ მცირეწლოვანი გოგონას დახვრეტის ამბავი, რაშიაც აქაურმა საგანგ. კომისიამაც ეჭვი შეიტანა. პიშჩალკას და თქვენთან მოემგზავრება, უკანასკნელი იმედი თქვენიღა აქვს. ნუთუ შეიძლება, რომ იმედმა არ გაუმართლოს და ეს გოგონა** — რომელმაც დახვრეტის მოლოდინში უკვე რამდენიმე საშინელი დღე გამოიარა — მაინც სიკვდილით დაისაჯოს?

ვსარგებლობ შემთხვევით, რათა შემდეგი ამბავი გაცნობოთ კიდევ: ახლა წყდება იმ რამდენიმე კაცის ბედი, რომლებიც სასამართლოში არიან მიცემულნი მირგოროდის შარშანდელ აჯანყებისთვის, თუმცა **ამის თაობაზე ამნისტია უკვე გამოცხადებული იყო.**

ამბობენ, ეს მირგოროდის საგანგებო კომისიის შეცდომაა, ვინაიდან არ ჰქონდა უფლება ამნისტიის გამოცხადებისა. ასეა თუ ისე, ის გამოცხადებული გახლდათ და მის შესახებ ოფიციალური განცხადებები იყო გაკრული მირგოროდის ქუჩებში იმის შემდეგ, რაც დამსჯელმა კაცმა 14 კაცი დახვრიტა. ეს ოფიციალურად იყო გაკეთებული საბჭოთა ხელისუფლების სახელით. მაგრამ შეიძლება კი, რომ ადამიანები, რომლებიც მიენდნენ საბჭოთა ხელისუფლების სიტყვას, დაიხვრიტონ პირობის პირდაპირ დარღვევის შედეგად?"

ამხ. პეტროვსკიმ პოლტავაში ტელეგრამა გაგზავნა — განაჩენი მცირეწლოვანზე სისრულეში არ მოიყვანოთ. როგორც ამბობენ, პიშჩალკა ხარკოვში გადაგზავნეს. მაგრამ რაკი „ხარკოვში გაგზავნა" ის ფორმულაა, ჩვენში რომ ტოლფასოვანი გახლავთ „იმქვეყნად გაგზავნისა" (ასე პასუხობენ ცნობათა ბიუროში ნათესავებს დახვრეტილთა თაობაზე), პიშჩალკას ბედი მოსახლეობის თვალში სამწუხარო და საეჭვო რჩება. როგორც ჩანს, აქამდე ასევე არაა დახვრეტილი ამნისტირებულებიც, რომლებიც ჯერჯერობით ციხეში იმყოფებიან, უნდა აღინიშნოს, რომ ამნისტიის შემდეგ ზოგი მათგანი საბჭოთა სამსახურებშიაც კი იმყოფებოდა და, როგორც ეტყობა, ახალ დანაშაულში ბრალი არ ედებათ.

ჩემი წერილის სწორედ ამ ადგილზე მაცნობეს, რომ ჩემთან ვიღაც გოგონა მოვიდა. გამოვედი და გავიგე, რომ ეს გოგონა სწორედ ის პიშჩალკა იყო. იგი ხარკოვიდან თავისუფლად დაბრუნდა. ამ ამბავმა დიდზე დიდი სიხარული მომგვარა მისი და მისი ოჯახის გამო. მაგრამ სიხარული კი ვერ ვიგრძენი სრული სამშობლოს გამო, სადაც შეიძლებოდა ამ ბავშვის დახვრეტაზე [illegible] ლაპარაკი და სადაც ის [illegible] იმათთან ერთად რომლებიც უკან აღარ დაბრუნებულან.

ვიცი, რომ ჩვენი დრო მრავალ ასეთ „კონკრეტულ შემთხვევას" ითვლის, კიდევ უფრო შემზარავსა და ტრაგიკულს. მაგრამ მათი აქ მოყვანა მე ზედმეტად არ მივიჩნიე. ვითარცა ფონი, რაზედაც მე და თქვენ ვმსჯელობთ საერთო საკითხებზე.*

ვუბრუნდები იმ პარალელს, წინა წერილს რომ წამოვაყენე.

რუსეთის თავზე ისტორიული ბედ-იღბლის სრბოლამ თითქმის ჯადოქრული და დიახაც ბოროტი ოინი მოახდინა. მილიონობით რუსის ტვინში ორ-სამ წელში უეცრივ რაღაც ლოგიკური მანქანა შეტრიალდა და თვითმპყრობელობის ბრმა გაღმერთებიდან, პოლიტიკისადმი სრული გულგრილობიდან ჩვენი ხალხი ხელდახელ... კომუნიზმისკენ გაესწრაფა, ყოველ შემთხვევაში, — კომუნისტური მთავრობისკენ.

ზნე და ნირი ძველებური დარჩა, ძველებური დარჩა ცხოვრების ყაიდაც. განათლების დონე ომის წლებში დიდად ვერ ამაღლდებოდა. მაგრამ დასკვნები რადიკალურად საწინააღმდეგო გახდა. თავად-აზნაურთა დიქტატურიდან („გაერთიანებულ თავად-აზნაურთა საბჭო") ჩვენ გადავედით „პროლეტარიატის დიქტატურაზე". თქვენ, ბოლშევიკთა პარტიამ, საჯაროდ გამოაცხადეთ იგი, ხალხიც პირდაპირ თვითმპყრობელობიდან მოვიდა თქვენთან და გითხრათ: „მოაწყვეთ ჩვენი ცხოვრება".

ხალხმა იწამა, რომ თქვენ ამის გაკეთება ხელეწიფებათ. თქვენ ამაზე უარი არ გითქვამთ. თქვენ ეს ადვილი გეგონათ და პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ უშუალოდ სოციალური რევოლუცია გააჩაღეთ.

თქვენთვის ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსი კარლეილი ამბობდა, რომ მთავრობებს ყველაზე ხშირად სიცრუე ღუპავთ. მე ვიცი, რომ ახლა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა ჭეშმარიტება ან სიცრუე, სიმართლე ან არასიმართლე, ყველაზე ნაკლებ იხმარება და „განყენებულ" ცნებებად ჩანს. ისტორიულ პროცესებზე მხოლოდ „ეგოიზმთა თამაში" მოქმედებს.

* მგონი, შეცდომაა. ოფიციალურ გაზეთში 9 კაცის გვარია ჩამოთვლილი.

** მას ახლახან შეუსრულდა 17 წელი.

* ამ წერილის გაგზავნის შემდეგ, აგვისტოს ბოლოს, ხარკოვიდან მოსულ განკარგულების შედეგად გაანთავისუფლეს ადრე ამნისტირებული მირგოროდელებიც.

კარლეილი დარწმუნებული იყო და ამტკიცებდა, რომ სიმართლისა თუ სიცრუის საკითხები ბოლოს და ბოლოს ამ „ეგოიზმთა თამაშის" რეალურ შედეგებზე ირეკლება, და ვფიქრობ, არც სცდება. თქვენს დიქტატურას წინ უძღოდა თავად-აზნაურთა დიქტატურა. იგი ემყარებოდა სიცრუეს, ანუ დიდხანს რომ ამძიმებდა რუსეთს. რა მიზეზით აღარ იმატებდა ჩვენში გლეხთა რეფორმის შემდეგ ქვეყნის დოვლათი, პირიქით, თანდათან იკლებდა და შიმშილობა უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა? თავად-აზნაურთა დიქტატურის პასუხი იყო: რომ ეს ხდება გლეხების სიზარმაცისა და ლოთობის გამო... რომ შიმშილი გახშირდა არა იმიტომ, ჩვენში მომაკვდინებელი უძრაობა გამეფდა, არა იმიტომ, ჩვენს მთავარ ძალას, მიწათმოქმედებას, უგვანო საადგილმამულო წესები ბორკავს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ზარმაცსა და ლოთ ხალხზე მეურვეობის უკმარისობის მეოხებითო. მე ამხანაგებთან ერთად შიმშილობის წლებში ბევრი ბრძოლა მიხდებოდა ლიტერატურაში თუ კრებებზე ამ საზარელ სიცრუესთან. ლოთები რომ ჩვენში მრავლად იყვნენ, ეს სიმართლეა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივი სიმართლე. მთავარი არსი გლეხობისა კი, როგორც კლასისა, გახლდათ არა ლოთობა, არამედ შრომა და თანაც ცუდად ანაზღაურებული შრომა, იმედის ნასახს რომ არ იძლეოდა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ცარიზმის მთელი პოლიტიკა უკანასკნელი ათწლეულებისა დაფუძნებული იყო ამ სიცრუეზე. აქედან მოდიოდა ერობის უფროსთა ყოვლისშემძლეობა და თავადაზნაურობის სიჭარბე ყველა სამოქალაქო წყობილებასა და ერობაში. ამ აღმაშფოთებელმა სიცრუემ გაუდინთა მთელი ჩვენი ცხოვრება... განათლებული საზოგადოება ცდილობდა მასთან ბრძოლას და ამ „ოპოზიციაში" მონაწილეობდნენ თვით თავადაზნაურობის საუკეთესო ელემენტები. მაგრამ ხალხის მასებს მხოლოდ მეფეებისა სწამდათ და ხელსაც უწყობდნენ მათ ყოვლგვარი თავისუფლებისმოყვარული მოძრაობის მოშთობაში. თვითმპყრობელურ წყობას არ აღმოაჩნდა ისეთი გონიერი ადამიანები, ვინც მიხვდებოდა, რომ ამ სიცრუეს, ბრმა ძალთა მხარდაჭერით, ყოვლად რეალურად მიჰყავს ეს წყობა დაღუპვისაკენ.

კარლეილის ფორმულა, როგორც ხედავთ, ვგონებ, გამოდგება თვითმპყრობელობის დაღუპვის მიზეზის გასარკვევად. იმის მაგივრად, რომ ყურად ეღო ჭეშმარიტება და შეჩერებულიყო, მან უფრო გააძლიერა სიცრუე. და ბოლოს ისეთ საზარელ შეუსაბამობამდე მივიდა, როგორიცაა „თვითმპყრობელური კონსტიტუცია", ესე იგი, ოცნებამდე სიცრუით შეენარჩუნებინა აბსოლუტიზმის არსი კონსტიტუციურ ფორმაში.

და წყობაც დაემხო.

ახლა მე გეკითხებით: განა თქვენს წყობაშიც ყველაფერი სიმართლეა? ხომ არ არის იმავე სიცრუის კვალი იმაში, რასაც თქვენ ხალხს ჩაუნერგეთ?

ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი სიცრუე არის და რაღაც საოცრებით იგი ასეთივე ფართო „კლასობრივ" ხასიათს ატარებს. თქვენ ჩაუნერგეთ აჯანყებულ და აღელვებულ ხალხს, რომ ეგრეთ წოდებული ბურჟუაზია („ბურჟუა") წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მუქთახორების, მძარცველების, ფულის მჭრელების კლასს და სხვა არაფერს.

მართალი კი არის ეს? შეგიძლიათ კი გულწრფელად თქვათ ეს?

მეტადრე თქვენ — მარქსისტებმა?

თქვენ, ანატოლი ვასილიევიჩ, ცხადია, კარგად გახსოვთ, არც ისე დიდი ხნის წინ თქვენ — მარქსისტები გააფთრებით ეკამათებოდით ხალხოსნებს. თქვენ ამტკიცებდით, რომ რუსეთისთვის აუცილებელია და სასიკეთოც გაიაროს „კაპიტალიზმის სტადია". ნეტა რას გულისხმობდით მაშინ ამ სასიკეთო სტადიის ქვეშ? ნუთუ მხოლოდ ბურჟუათა მუქთახორობასა და ფულის მჭრელობას?

როგორც ჩანს, მაშინ თქვენ სხვას გულისხმობდით. კაპიტალისტური კლასი თქვენ მაშინ მიგაჩნდათ იმ კლასად, ავად თუ კარგად წარმოების ორგანიზაციას რომ აწესრიგებს. ყველა ნაკლის მიუხედავად, თქვენ თვლიდით, მარქსის მოძღვრების თანახმად, რომ ასეთი ორგანიზაცია სასიკეთოა მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის, როგორებიცაა, მაგალითად, რუმინეთი, უნგრეთი და... რუსეთი.

მაშ რატომ გადაიქცა ეს უცხო სიტყვა „ბურჟუა" — უზარმაზარი და რთული ცნება — თქვენი წყალობით ჩვენი უბირი ხალხის თვალში, აქამდე რომ მას ცნობითაც არ იცნობდა, გამარტივებულ წარმოდგენად ბურჟუაზე, როგორც მხოლოდ მუქთახორაზე, როგორც მხოლოდ მძარცველზე, რომელსაც ფულის ჭრის მეტი სხვა არაფერი ეხერხება?

სავსებით ისევე, როგორც თავად-აზნაურთა დიქტატურის სიცრუემ შეცვალა გლეხობის კლასობრივი მნიშვნელობა ამ გლეხობის მუქთახორობისა და ლოთის წარმოდგენით, თქვენმა ფორმულამ ასევე შეცვალა წარმოების ორგანიზატორის — თუნდაც უხეირო ორგანიზატორის — როლი მხოლოდ და მხოლოდ მძარცველის წარმოდგენით. აბა დააკვირდით, რამდენად მართალია კარლეილი თავისი ფორმულით. მძარცველური ინსტინქტები ჩვენში ჯერ

რმმა და მერე არეულობებმა გაალღვეა, რაიც გარდუვალად ახლავს ყველა რევოლუციას. მისთვის ბრძოლის გამოცხადება აუცილებელი იყო ყველა რევოლუციური მთავრობისათვის. ამას კარნახობდა სამართლიანობის გრძნობაც, რაც ვალდებულს გხდიდათ თქვენ, მარქსისტებს, გულწრფელად და პატიოსნად აგეხსნათ თქვენი შეხედულება კაპიტალიზმის როლზე ჩამორჩენილ ქვეყნებში. თქვენ ეს არ გააკეთეთ. ტაქტიკურ მოსაზრებებს შეხწირეთ ჭეშმარიტების წინაშე ვალი. ტაქტიკურად თქვენთვის ხასარგებლო იყო გაგეღვივებინათ ხალხის სიძულვილი კაპიტალიზმისადმი და ხალხთა მასები მიგესიათ რუსულ კაპიტალიზმზე, როგორც ციხე-სიმაგრის უსევენ ხოლმე მებრძოლ რაზმს. თქვენ არ შეგაჩერათ ჭეშმარიტების დამახინჯების შიშმა, ნაწილობრივი სიმართლე თქვენ მთლიან ჭეშმარიტებად გაახაღეთ (ხომ იყო ლოთობაც). ახლა კი მან ნაყოფი გამოისხა. ციხე-სიმაგრე თქვენ აიღეთ და დინებასა და მარცვას მიანებეთ. ოღონდაც ის დაგავიწყდათ, რომ ეს ციხე ხალხის დოვლათი იყო, „სასიკეთო პროცესით" შექმნილი, რომ ამ აპარატს, რუსული კაპიტალიზმით შექმნილს, ბევრი ისეთი რამ გაჩნია, რასაც გაუმჯობესება, რასაც შემდგომი განვითარება სჭირდება და არა განადგურება. თქვენ ჩააგონეთ ხალხს, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ძარცვის ნაყოფია და თავის მხრივ გასაძარცვავი. ამ სიტყვებში განა მარტო მატერიალურ ფასეულობას — კაპიტალიზმის მიერ შექმნილ ფაბრიკა-ქარხნებს, მანქანებს, რკინიგზებს ვგულისხმობ, არამედ იმ ახალ პროცესებსა და ჩვევებს, იმ ახალ სოციალურ სტრუქტურას, რომელსაც თქვენ, მარქსისტები, თავად გულისხმობდით, როცა ამტკიცებდით „კაპიტალისტური სტადიის" მთელ სიკეთეს.

1902 წელს პოლტავისა და მის მეზობელ ხარკოვის გუბერნიების ზოგიერთ ადგილას დიდი აგრარული არეულობანი დაიწყო. გლეხები უეცრივ მემამულეთა ეკონომიებს შეესივნენ გასაძარცვავად, მერე კი, ხელისუფალთა ჩამოსვლის შემდეგ, მორჩილად დადგნენ მუხლებზე და ასევე მორჩილად გაწვნენ როზგებქვეშ. ხოლო როცა ისინი სასამართლოშიც მისცეს, ერთი ხანობა მე მომიხდა შუამდგომლობის გაწევა მათსა და შექმნილ დაცვას შორის. მაშინ ჩემს კაბინეტში საკმაო რაოდენობა გლეხობისა იყრიდა თავს პოლტავაში და მეც ვცდილობდი მათი შეხედულებანი გამერკვია მომხდარ ამბავზე. თავად ისინი არცთუ ისე კარგი აზრისა იყვნენ ამაზე. მთელ მოძრაობას „ძარცვაგლეჯას" ეძახდნენ. ყველაზე კეთილგონიერნი კი ამ „ძარცვა-გლეჯის" ამბავს თავისებურად ხსნიდნენ: „ბალღი ჩუ და დედაც ჩუო".

მათ ესმოდათ, რომ ძარცვა საუკეთესო საშუალება როდია რაიმეს გასაუმჯობესებლად, მაგრამ სასოწარკვეთილნი ცდილობდნენ რაღაცით მაინც მიექციათ „თვითგანვითარებული" მეფის ყურადღება მათი მდგომარეობისადმი. დანარჩენი კი ბრმა სიხარბემ დაატრიალა და მღელვარებამაც ფურცლებზე გაშალა. მაგრამ მეფის მთავრობა ბრმა და ყრუ გამოდგა. მან მხოლოდ იცოდა, რომ საჭირო იყო შემდგომი და შემდგომი მეურვეობა და „ურყევ ფუძეთა ფუძის მარადიულობა", ისე რომ, უეცრივ მრისხანედ მომხდარ „ძარცვისაგან" დასკვნის გამოტანა ვერ მოახერხა. პირველი სათათბიროს ცდა (საკმაოდ გონივრულიც) აგრარული რეფორმის მოხდენისა ჩახშობილ იქნა, ხოლო ის განზრახვანი, „ძარცვის" დროს გლეხთა მასებს რომ ამოძრავებდა, რევოლუციის დრომდე ასევე გადაუწყვეტელი დარჩა. თქვენ, ბოლშევიკებმა, საბოლოო ყალიბში ჩამოასხით ისინი, თქვენმა ლოზუნგმა „ნაძარცვი ძარცვე" ის ქნა, რომ სოფლების „ძარცვა", რამაც სასოფლო-სამეურნეო ქონება უზარმაზარი რაოდენობით გაანადგურა თქვენი კომუნიზმისთვის ყოვლად უნაყოფოდ, ქალაქსაც მოედო, სადაც სწრაფად იწყო ნგრევა კაპიტალისტური წყობის მიერ შექმნილმა საწარმოო აპარატმა.

ამ წყობასთან ბრძოლა მტრის ციხე-სიმაგრის ალყასა ჰგავდა. ალყაშემორტყმულ ციხეში ყველანაირი ნგრევა. ყველანაირი ხანძარი, ყველანაირი განადგურება მისი მარაგისა მოალყეთათვის სასარგებლოა. თქვენც ასევე გამარჯვებად თვლიდით კაპიტალისტურ წყობაში მომხდარ ყველა ნგრევას, ის კი გავიწყდებოდათ, რომ სოციალისტური რევოლუციის ჭეშმარიტი გამარჯვება, თუკი ამ რევოლუციას მოხდენა ეწერა, კაპიტალისტური საწარმოო აპარატის დანგრევა კი არ იქნებოდა, არამედ მისი დაუფლება და ახალ საწყისებზე ამუშავება.

ახლა უკვე მოეგეთ გონს. მაგრამ ვაი რომ ძალიან გვიან, როცა ქვეყანა საშინელი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თქვენ მიერ დავიწყებული ერთი ფრონტის წინაშე. ეს ფრონტი — ბუნების მტრული ძალები გახლავთ.

შემდგომ წერილამდე.
1 აგვისტო, 1920 წელი.

## წერილი მეოთხე

ამჯერად, მგონი, შემიძლია კონკრეტულ შემთხვევებს აღარ მივსდიო და ზოგადად გავიდე საერთო საკითხებზე, ვინემ სხვა ამბებმა განწყობა არ შემიცვალეს.

ამ წერილს ვიწყებ ინგლისის დელეგაციის

შთაბეჭდილების ქვეშ. ჩვენს ადგილობრივ ორგანოში დაბეჭდილი თუ საიდანღაც გადმობეჭდილი იყო სტატია „ჩვენი მწ... არება“, ლენინის წერილს რომ ახლდა ინგლისის მუშებისადმი.* შიგ პირდაპირაა ნათქვამი, ჩვენი რევოლუციის პირველობით აღძრულ სიამაყესთან ერთად რუსი კომუნისტები „მარტოობის ტრაგედიას“ განიცდიანო. ლენინის წერილში, ავტორის აზრით, გაკვირვებაც ჟღერს იმის თაობაზე, თუ რაოდენ „შესაძლებელია ჩვენს ცივილიზებულ ეპოქაში მუშათა მასების ისეთი „ბელადების“ არსებობა, როგორებიც არიან რუსეთში ჩამოსულ ინგლისელ დელეგატთა უმრავლესობა“.... „ინგლისელი ტრედ-უნიონისტები, რომლებმაც სინამდვილეში ვერაფერი ისწავლეს, ჯერ კიდევ შეადგენენ ინგლისის მუშათა უზარმაზარ მასებს“.

რაკი თქვენ, კომუნისტების პარტია, მხოლოდ წარმომადგენლები ბრძანდებით „რუსეთის პროლეტარიატის დიქტატურისა“, აქედან შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ ჩვენი პროლეტარიატის მასები საკმაოდ შორს წავიდნენ ინგლისის ტრედ-უნიონისტებთან შედარებით, რომელთა მოძრაობამ უკვე მთელი ისტორია შექმნა. სხვა საბჭოთა გაზეთებში, არაერთხელ გამეორებულა, რომ ძველი გერმანული სოციალიზმის ბელადები, ისეთებიც როგორიც კაუტსკია, საზიზღარ შემთანხმებლებს წარმოადგენენ და „ბურჟუაზიას“* მიჰყიდეს კიდეც სული.

თუ უკუვაგდებთ იმას, რაც შეიძლება აიხსნას პოლემიკური თავშეუკავებლობით და გატაცებით, ფაქტი მაინც ასეთი რჩება: ევროპის პროლეტარიატი თქვენ არ გამოგყვათ და მისი განწყობა მასიურად იმ ამერიკელი სოციალისტი სტონის განწყობასა ჰგავს, ვისი აზრიც მეორე წერილში მოვიყვანე. ისინი ფიქრობენ, რომ კაპიტალიზმს ევროპაშიაც კი არ დაუსრულებია თავისი საქმე და მისი მუშაობა შეიძლება მომავლისთვის იყოს გამოსადეგი. აწმყოდან იმ მომავალში გადასვლისას კი ყველაფერი როდია გასანადგურებელი და დასანგრევი. ისეთი საგნები, როგორიცაა აზრის, კრებების, სიტყვისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მათთვის უბრალო „ბურჟუაზიული ცრურწმენები“ კი არაა, არამედ აუცილებელი იარაღი შემდგომი მომავლისათვის, თავისებური პალადიუმი, რომელიც კაცობრიობამ ხანგრძლივი და არცთუ უნაყოფო ბრძოლისა და პროგრესის გზით მოიპოვა. მხოლოდ ჩვენ, რომლებსაც მთლიანად არ გვქონდა ნაზემი ეს თავისუფლებანი და არ ვიყავით დაუფლებულნი გვესარგებლა მათით ხალხთან ერთად: „ბურჟუაზიულ ცრურწმენებს“ ვარქმევთ მათ და ამით ვამუხრუჭებთ კიდეც სიმართლის საქმეს.

ეს თქვენი უზარმაზარი შეცდომაა, კიდევ და კიდევ რომ გვაგონებს სლავიანოფილების მით ჩვენს „ღვთის მატარებელ ხალხზე“ [illegible] კიდევ მეტსაც — ჩვენს ეროვნულ [illegible]კაზე, რომელმაც მეცნიერების გარეშე ყველა მეცნიერება სძლია და რომელიც ყველაფერში გაუკვირვებლად იმარჯვებს რაღაც სასწაულის წყალობით. ჩვენი ხალხის მასები ასე ადვილად რომ გაიყოლიეთ, უთითებს არა ჩვენს მზადყოფნაზე სოციალისტური წყობისათვის, არამედ ჩვენი ხალხის უმწიფარობაზე. მექანიკაში ცნობილია მარგი და მავნე წინააღმდეგობანი. მავნე ხელს უშლის მექანიზმს და ამიტომ მოშორებული უნდა იქნას. მაგრამ მარგი წინააღმდეგობის გარეშე მექანიზმი ფუჭად იტრიალებს, საჭირო სამუშაოს ვერ შეასრულებს. სწორედ ეს მოხდა ჩვენთან. თქვენ გადმოისროლეთ ყველაზე მაქსიმალისტური ლოზუნგები, თქვენ იბრძვით სოციალიზმისთვის, თქვენ იმარჯვებთ მისთვის ბრძოლის ველებზე, მაგრამ მთელი ეს ორომტრიალი კომუნიზმისთვის ოდნავადაც არ მოასწავებს მის გამარჯვებებს.

რუმინეთში, რომელიც ბევრ რამეში რუსეთს ჰგავს, მე მიამბეს ერთი შემთხვევა, ფრიად თვალსაჩინო, თითქოსდა განზრახ მოგონილი ანეკდოტი, მაგრამ მიუხედავად ამისა ნამდვილი. იქ კიდევაა შემორჩენილი მსხვილი მამულები ჩვენი ძველებური ბოიარობის მთელი ნიშნებით. მათ მფლობელებს ბოიარინებიც კი ჰქვიათ, ალბათ სლავური სიტყვიდან მომდინარე.

ზოგჯერ ასეთი ბოიარინები, მეტწილად ახალგაზრდები, უკიდურესი პარტიებისკენ ილტვიან, და ბევრი მათგანი დობროჯანუს სოციალიზმის სკოლას გადის. ერთხელ ერთი ასეთი ბოიარინი შვეიცარიაში მოგზაურობისას ანარქიზმით დაინტერესდა და სწავლულ მებაღე ანარქისტს გაეცნო. დალიეს ბრუდერშაფტი და ისე მოეწონათ ერთმანეთი, რომ ბოიარინმა მებაღეს შესთავაზა რუმინეთში წამოსულიყო — რუმინეთში უზარმაზარი მამულები მაქვს, მათ შორის ბევრი ტყიანი ადგილი და მინდა ნაწილი ამ ტყეებისა საზოგადოებრივ პარკად ვაქციოო. ეს ანარქისტის აზრებსაც ეთანხმებოდა: ბოიარინის მთელ მამულებს ის დიდი ხალისით აქცევდა საზოგადოებრივ საკუთრებად და კიდეც პატიოსნად უთხრა ეს თავის მეგობარს. იგი წინასწარ დარწმუნებულია, რომ რუმინელები, ვისაც ასეთი „ბოიარინები“ ჰყავს, ახალგაზრდა ერია, შვეიცარიელებივით ჯერ კიდევ არ არიან ალბათ ბურჟუაზიული

* პოლტავის „იზვესტია“ („ვისტი“) № 24, 27 ივნისი 1920 წ.

ცრურწმენებით მოწამლულები, ამიტომ იქ ანარქისტული იდეების გატარება ადვილი იქნება. ოღონდაც აქედანვე აფრთხილებს, რომ რევოლუციის პირველსავე ნიშნებზე არათუ დაიცავს ბოიარინის კერძო საკუთრებას, პირიქით, მყისვე ხალხს მიანებებს მას. ბოიარინი დათანხმდა — იქნებ იმიტომ, რომ საფრთხე არც ისე ახლო ეჩვენებოდა...

ბოლოს, რუმინეთის ერთ-ერთ კუთხეში განსწავლულმა ანარქისტმა მებაღემ ბოიარინის ფულით მის მიწაზე შესანიშნავი საზოგადოებრივი პარკი გააშენა. მაგრამ მალე იჩინა თავი „ერის ახალგაზრდობიდან" მომდინარე უხეირობამ: მაგიდებზე, სკამებზე, კედლებზე უწმაწური წარწერები გაჩნდა, ყვავილები უზოდიშოდ იგლიჯებოდა, უცხო, საკვირველ ხეებს ტოტებსამტვრევდნენ, რეტირადები კლოაკებად იქცა. ანარქისტმა ენამჭევრი მოწოდებით მიმართა და აუხსნა ხალხს, რომ პარკი მოსახლეობას საკუთრებად და დასაცავად ეძლევა, ამიტომ არაა საჭირო არც ყვავილების გლეჯა, არც ტოტების მტვრევა, არც უწმაწური წარწერების წერა... მაგრამ „ახალგაზრდა ერმა" თეორეტიკოს-ანარქისტის პათოსს თავისებური იუმორით უპასუხა: წარწერები უკვე დანით ამოჭრეს, ყვავილები და ხეები კიდევ უფრო ულმობლად გაანადგურეს, რეტირადები კიდევ უარესად გააბინძურეს. მაშინ მებაღე ეახლა ბოიარინს და უთხრა:

— მე ვერ ვიცხოვრებ თქვენს ქვეყანაში. ხალხი, ვინაც არ იცის, როგორ მოიქცეს საჯარო ადგილებში, ჯერ კიდევ კარგა შორსაა იმ ანარქიზმიდან, როგორიც მე მესმის.

ეს შემთხვევა ხსნის ჩემი აზრის არსს. ბურჟუაზიული საზოგადოების ჩვევების უქონლობის ყველა შემთხვევა როდი ნიშნავს სოციალიზმისთვის მზადყოფნას, ოდესღაც ჩვენმა ანარქისტმა ბაკუნინმა დაწერა: „...ჩვენ უნდა დავამყაროთ კავშირი რუსეთის მიწის ყველა ქურდსა და ყაჩაღთან". იგი უპირატესად თეორეტიკოსი და ანარქისტი გახლდათ, საკუთრებას თეორიულად რომ უარყოფდა. ქურდი მას პრაქტიკულად უარყოფს. და პრაქტიკა შეერწყას თეორიას. ჩვენ ახლა ასეთი მსჯელობა უდიდეს გულუბრყვილობად მიგვაჩნია: ფილოსოფოს-ანარქისტის მიერ საკუთრების უარყოფასა, რომელმაც მომავალი კარგა შორს განსჭვრიტა, და უბრალო ქურდის მიერ საკუთრების ასეთივე უარყოფას შორის მთელი უფსკრულია. ქურდი ჯერ უკან უნდა დაბრუნდეს, სხვისი საკუთრებისადმი პატივსაცემი მოპყრობა ჩვევად იქცეს, ანუ ის, რასაც „კაპიტალიზმის სტადია" ასწავლის, და მერე უკვე ინდივიდუალურად კი არა, ხალხთან ერთად იფიქროს საკუთრების საზოგადოებრივ უარყოფაზე.

თქვენ იტყვით, რომ ჩვენი ხალხი არ ჰგავს იმ რუმინელებს, ვისზედაც მოგახსენებთ. მე ვიცი: განსხვავება თვით რუმინეთშიაც არის. მაგრამ — მოდით, და[illegible] და ჭეშმარიტების სიყვარულით, [illegible] იმაზე, რას წარმოადგენს ახლა ჩვენი ხალხი.

მე მგონი, თქვენ არ უარყოფთ, რომ ყოველ ბოლშევიკზე არანაკლებ მიყვარს ჩემი ხალხი; არ უარყოფთ იმასაც, რომ მე ეს დავამტკიცე მთელი ჩემი აწ დასასრულს მიახლოებული სიცოცხლით... მაგრამ მე მიყვარს იგი არა ბრმად, როგორც ამა თუ იმ ცდებისთვის მოხერხებული ნიადაგი, არამედ ისეთი, როგორიც სინამდვილეშია. ამერიკაში რომ ვმოგზაურობდი, მაგალითად, მე სიხარულით ვფიქრობდი, რომ ჩვენში შეუძლებელია ისეთი ლინჩის სასამართლო, როგორიც იმხანად მოხდა ერთ-ერთ სამხრეთ შტატში: ზანგმა გააუპატიურა თეთრკანიანი ყმაწვილი ქალი და დანაშაულის დასამალად მოკლა იგი. ქალაქის მოსახლეობამ გაასამართლა ზანგი და ცოცხლად დაწვა იგი. კორესპონდენტები ნაბიჯ-ნაბიჯ დაწვრილებით აღწერდნენ ყველაფერს: როგორ გადაიწვა თოკები და როგორ ჩაცურდა ის უბედური კოცონში, როგორ დახდო ხალხმა პატივი მოკლული ყმაწვილი ქალის მამას და უფლება მისცა თავისი ღონიერი ხელებით აეყვანა და კვლავ ცეცხლში შეეგდო იგი.

ვფიქრობ, რომ ახლაც კი, ამ დიდზე დიდ გამხეცების ხანაში, ჩვენში ასეთი მოვლენა შეუძლებელია. ჩვენი ხალხის სლავური ბუნება გაცილებით ლბილია და ლმობიერი ანგლოსაქსურზე. ჩვენში სიკვდილით დასჯა ბერძნებმა შემოიტანეს ქრისტიანობასთან ერთად. მაგრამ მიუხედავად ამისა მე მაინც ვაღიარებ, რომ ამერიკა ზნეობრივი კულტურით ჩვენზე მაღლა დგას. ზანგის ამბავი იმდენად განსაკუთრებული შემთხვევაა, სწორედ ამ განსაკუთრებულობამ გამოიწვია ხალხის ასეთი მხეცური მსჯავრი. ჩვეულებრივად კი ყმაწვილ ქალებს იქ თავისუფლად შეუძლიათ ყოველგვარი შიშის გარეშე იმოგზაურონ მთელ ქვეყანაში, და მათ საზოგადოებრივი წეს-ჩვევები მტკიცედ იცავენ. შეიძლება კი იგივე ითქვას ჩვენს წეს-ჩვევებზე? ჩვენში ასეთი მოგზაური ქალი ყოველ ნაბიჯზე შეიძლება გახდეს ჩვენი საყოველთაო უზნეობისა და წარყვნილობის ბადეში. თავისთავად, ბუნებრივი მონაცემებით ჩვენი ხალხი მსოფლიოს არც ერთ საუკეთესო ერს არ ჩამოუვარდება და იმიტომაც იმსახურებს ჩვენს სიყვარულს. მაგრამ ზნეობრივი კულტურით იგი საკმაოდ ჩამორჩება სხვებს. მას არა აქვს საკუთარი თავის და პატივისცემა.

...ის გაიძულებს არ ჩაიდინო გარკვეული საქციელი, გინდაც ეს ვერა კაცმა ვერ შეიტყოს, ეს გულახდილად უნდა ვაღიაროთ და ...ლობილი დასკვნებიც გამოვიტანოთ.

ჩვენ მოგვიწევს საკმაოდ ხანგრძლივი და რთული სვლის გავლა. თქვენ ლაპარაკობთ კომუნიზმზე. იმაზე რომ არა ვთქვათ რა, რომ კომუნიზმი ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი და გაურკვეველი რამ გახლავთ და აქამდე ვერც კი გაგირკვევიათ, რას გულისხმობთ მასში — სოციალური გადატრიალებისთვის ამ მხრივ ძალ სხვა ზნე და ნორმა საჭირო. ნახშირბადის ერთსა და იმავე ნივთიერებიდან მიიღება როგორც დიდებული კრისტალი, ისევე ჩვეული ნახშირი. მაშასადამე, არსებობს რაღაც განსხვავება თვით ატომების აგებულებაში. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანურ ატომებზეც, რომლისგანაც შედგება საზოგადოება: მოცემული საზოგადოებიდან განა ყველა ...ეირმის კრისტალიზაცია შეიძლება მაშინვე. შვეიცარიის ბევრ ქალაქში უკვე ახლაც შეგიძლიათ უშიშრად დატოვოთ რაც გინდათ ბულვარზე და უკან დაბრუნებისას იმავე ადგილზე დაგხვდებათ. ჩვენში კი — მოდით გამოტყვით ვაღიაროთ... ასეთ საკითხში ზუსტ ანგარიშს ვერ გააკეთებ, მაგრამ თქვენ იცით, რა ანდაზაც არსებობს ჩვენში: „ქურდს ვინ აცთუნებს და ცუდი შემნახველიო". და ალბათ თქვენც დამეთანხმებით, რომ ათას კაცზე, ვინც ცუდად შენახულ ნივთს ჩაუვლის, ევროპაში შეცდენილთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იქნება, ვინემ რუსეთში, ასეთი სხვაობა კი განა ცოტას ნიშნავს დაკრისტალებისთვის. შარშან შემოდგომაზე მე უკრაინის სოფელში გახლდით და გლეხებს ბევრი ვესაუბრე მომხდარ ამბებზე. როცა ვუამბე, ტულუზაში ჩემმა ქალიშვილმა და მისმა ქმარმა მთელი წელი ისე იცხოვრეს მუშებით დასახლებულ ბინაში, რომ კარი ღამით ერთხელაც არ დაუკეტავთ-მეთქი — გლეხები ფრიად განცვიფრებულნი დარჩნენ.

— ჩვენში კი, — დაღონებით თქვა ერთმა ჩინებულმა და გონიერმა გლეხმა, — მით უმეტეს ახლანდელ დროში, პატარა ბიჭმა დედას რომ სხვისი რაღაცა მოუტანოს, ზოგი დედა კიდეც შეაქებს: ყოჩაღ, შინ რომ შემოგაქვს და არ გაგაქვსო.

ეს კი მას აქეთ, რაც თქვენ კომუნიზმი გამოაცხადეთ, ათასწილ უფრო გაიზარდა.

მოგიყვანთ პატარა, მაგრამ მრავლისმეტყველ მაგალითს: სანოვაგის ნაკლებობა რომ როგორმე შეემცირებინათ, პოლტავის ქალაქის მმართველობამ (ჯერ კიდევ „ბურჟუაზიულმა") წააქეზა ხალხი, მიწის ყველა თავისუფალი ნაკვეთი დაემუშავებინათ. ასე რომ ქუჩებში სახლების წინ მდებარე ნაკვეთები კარტოფილით, სტაფილოთი და სხვ. და სხვათი დაითესა. იგივე გაკეთდა ქალაქის ბაღის თავისუფალ ადგილებშიც. რამდენიმე წელში ეს უკვე ტრადიციად იქცა.

ამ წელს კარტოფილი ჩინებულად მოვიდა, მაგრამ... მაგრამ იგი ყველგან [illegible] კარგა ხნით ადრე ამოთხარეს. [illegible] ღამღამობით იპარავდნენ. ვინ იპარავდა — ამჯერად ამას მნიშვნელობა არა აქვს. ოღონდაც საქმე ისაა, რომ ერთმა ნაწილმა იმუშავა, მეორემ — ისარგებლა. მოსავლის მესამედი კი დაიღუპა, ვინაიდან კარტოფილს შემოსვლა არ დასცალდა. რაც დარჩა, ვერც მისი შენახვა მოხერხდა საზამთროდ, რადგან მოუმწიფებელი კარტოფილი დალპა. ჩემი თვალით ვნახე ქალების ჯგუფი, დილით რომ იდგნენ ღამით ამოგლეჯილ კვლებთან და ტიროდნენ. მათ იმუშავეს, დათესეს, გამარგლეს, სხვები კი მოვიდნენ, ბუჩქები დაგლიჯეს, ბევრი გადათელეს, წვრილ-წვრილი ამოყარეს, რომელიც მხოლოდ ორი თვის შემდეგ შემოვიდოდა, და ეს ყველაფერი რაღაც ერთ საათში მოხრეს.

ეს მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისეთი რამ, რასაც ხალხის ზნეობრივი თვისება ჰქვია, ციფრებით შეიძლება გამოიხატოს. ზნეობის ერთ დონეზე მოსავალი ამდენი და ამდენი იქნებოდა და ქალაქის მოსახლეობას გარკვეულწილად შიმშილი აცდებოდა ზამთარში. ჩვენს ხალხს „კომუნიზმის" დროს მოსავლის უზარმაზარი ნაწილი, პირდაპირ რომ ვთქვათ, დაეკარგა ჩვენი ზნე-ჩვეულების წყალობით. კიდევ უფრო მეტი ზარალი გველის იმის გამო, რომ გაისად ბევრი შეყოყმანდება ცარიელი ადგილების დამუშავებაზე — ვის ეხალისება ქურდებისთვის მოიწყვიტოს წელი... და ვერც დახვრეტებით უშველით ამ სტიქიას. აქ სხვა რამეა საჭირო, ყოველ შემთხვევაში, კომუნიზმამდე ჯერ კარგა შორსაა.

მე მინდოდა ამ წერილში კონკრეტულ შემთხვევებზე აღარ მელაპარაკა. მაგრამ ამ წერილის დამთავრება კი გამიჭირდა. ჩვენთან ისევ გრძელდება ყველაფერი. დროდადრო ღამღამობით სროლა ისმის. თუ ეს სამხრეთ-დასავლეთ მხარესაა — მაშასადამე, აჯანყებულები გადმოდიან იერიშზე, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთით, სასაფლაოსთან, — მაშასადამე, ვიღაცას (ან იქნებ ბევრსაც) ხვრეტენ. ორივე მხარე ერთმანეთს ეჯიბრება სისასტიკეში. მთელი ჩვენი პოლტავშჩინა თოფისწამლის საწყობსა გავს. ახლა უკვე ლაპარაკია მძევლების დახვრეტაზე, რომლებიც აჯანყებული ადგილებიდან წამოიყვანეს. ასეთი ზომების მიღება უაზრო სისასტიკე გახლავთ და იმათვე ავნებს, ვინც მათ მიმართავს. ომის დროს, მე-

[library watermark]

ტადრე ჩემი საფრანგეთში ყოფნისას, მე თვალს ვადევნებდი ამ ბარბაროსულ ინსტიტუტს, შუა საუკუნეებმა რომ გვიანდერძა, და უნდა ვაღიარო, რომ ომის დროსაც კი არ დაუხვრეტიათ მძევალნი, ფრანგები გერმანელებს სწამებდნენ ამაში ბრალს, გერმანელები — ფრანგებს. მაგრამ ვგონებ კი, რომ მძევლობა ერთმანეთის ბრალის შესაწყრად უფრო სჭიროდათ, ვინემ სინამდვილეში გამოსაყენებლად. იგივე შეიძლება ითქვას ჩვენზეც: ტყეში გაჭრილ ახალგაზრდებსა თუ მახნოს, შორიახლოს რომაა ჩასაფრებული, ნაკლებ ადარდებთ. რამდენიმე მოხუცს თუ დახვრეტენ. ეს მათ მხოლოდ ახალ მიმდევრებს შესძენთ და საბოლოოდ გააბოროტებს ნეიტრალურ მოსახლეობას. იქნებ სწორედ ამ მოსაზრების წყალობით მძევლები აქამდე ჯერ არ დაუხვრეტიათ. მაგრამ ისიც საკმარისია, რომ საპატიმროები ამ ხალხითაა გავსებული..* რამდენი მწუხარება მოუტანა ამ ამბავმა ოჯახებს — ამას მე თვალნათლივ ვხედავ იმათი მეოხებით, ვინც ჩემთან ატირებული მოდის. ან რამდენი მუშახელი მოსწყვიტეს ოჯახებს გაცხარებული მოსავლის აღების ხანს.

მახნომ კი, რომელიც, ბარემ აქვე ვიტყვი, თავს ანარქისტად აცხადებს, მის მიერ დაკავებულ ადგილებში თავისი ფული გამოუშვა. მე მითხრეს, მათზე ორი ორსტროფიანი ლექსი წერიაო: „გაგიხარდეს, ცოლიკო, მახნოს ფული გაუჩნდა“. და მეორე: „არ მოიხმარ ამ ფულებს, მახნო არ გაგახარებს“.

ისე კი ეს კაცი ფრიად კოლორიტული და გარკვეულწილად შესანიშნავი ვინმე გახლავთ. მახნო — უკრაინელი ხალხის საშუალო ჯამია (იქნებ უფრო მეტიც). ვერც ერთი მეომარი მხარე უმისოდ ფონს ვერ გასულა. თქვენ იგი მოგეხმარათ დონეცკის ბასეინის აღებისას. მერე მოხალისეთ წაეშველა, თუმცა კი პასიურად, ფრონტის გასაწმენდად. პოლტავის უკანასკნელ ბრძოლაში მახნოელები ისევ თქვენ გეხმარებოდნენ. შემდეგ კი საბჭოთა ხელისუფლებამ იგი კანონგარეშე გამოაცხადა. ის კი დასცინის ამ ამბავს და ეს მისი სიცილი ჭეშმარიტად მეფისტოფელის ღმეჭას ჰგავს რევოლუციის სახეზე.

19 აგვისტო 1920 წელი.

## წერილი მეხუთე

უნებლიეთ ჩაგაფიქრებს კაცს ის მიზეზები, რამაც განხეთქილება გამოიწვია დასავლეთ ევროპის სოციალიზმისა და თქვენ, რუსული კომუნიზმის ბელადებს შორის. თქვენი მონოპოლიური გაზეთები ამას იმ ამბით ხსნიან, რომ დასავლეთ ევროპის სოციალიზმის ბელადებს ბურჟუაზიის მიჰყიდეს სული. მაგრამ, მაპატიეთ და, ეს ისეთივე უხამსობაა, როგორც ის, როცა თქვენ გაბრალებენ, გერმანელებს მიეყიდეთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო არ გახლავთ ამ განხეთქილების ასახსნელად მდაბალ მიზეზთა ძიება. მას უფრო ღრმა ფესვები აქვს, რაიც განწყობათა უზარმაზარ სხვაობაში მდებარეობს. საქმე ისაა, რომ ევროპული სოციალიზმის ბელადები უკვე ათეული წლების მანძილზე ლეგალურად ხელმძღვანელობენ თავიანთი პროლეტარიატის მასიურ ბრძოლას, კარგა ხანია ჩაეღწიეს ამ მასების სიღრმეში, შექმნეს ფართო და მწყობრი ორგანიზაცია, მიაღწიეს მის ლეგალურ აღიარებას.

თქვენ ეს მდგომარეობა არასოდეს გქონიათ. თქვენ მხოლოდ კონსპირაციულად მუშაობდით, დიდი-დიდი კონსპირაციას ხელმძღვანელობდით, მუშათა წრეში შეღწევას რომ ცდილობდა. ეს კი სრულიად სხვა განწყობას, სრულიად სხვა ფსიქოლოგიას ქმნის.

სოციალიზმის ევროპელი ხელმძღვანელები მიჩვეულნი არიან, ამა თუ იმ გადაწყვეტილებას რომ მიიღებენ და მას თავიანთ მიმდევრებს შესთავაზებენ, ჯერ ყოველი მხრივ კარგად აწონ-დაწონონ ეს ნაბიჯი. როცა, მაგალითად, გაფიცვა ცხადდება, ხელმძღვანელებმა უნდა გაისაზრისონ არა მარტო მისი სააგიტაციო მნიშვნელობა ,არამედ მისი ყველა შედეგი თვით მუშათა წრისათვის, მათ რიცხვში მრეწველობის მოცემული მდგომარეობა. გაუძლებს კი მასა გაფიცვას, წავა კი დათმობაზე კაპიტალი ისე, რომ თვით წარმოებას ზიანი არ მოუვიდეს, რაც ისევ იმ მუშების თავზე გადატყდება? ერთი სიტყვით, ისინი პასუხისმგებლობას კისრულობენ არა მარტო ბრძოლის თაობაზე, არამედ იმაზეც, რა ზეგავლენას მოახდენს მათ მიერ რეკომენდებული ღონისძიება მუშათა კეთილდღეობაზე. ისინი მიჩვეული არიან იგრძნონ ურთიერთკავშირი კაპიტალსა და შრომას შორის.

თქვენ ასეთი მდგომარეობა არასოდეს გქონიათ, რამეთუ თვითმპყრობელობის უაზრო ძალადობის წყალობით ლეგალურად არასოდეს არ გიბრძოლიათ. თქვენ პირადადაც გიხდებოდათ რისკის გაწევა, გიხდებოდათ ციხეებში ყოფნა იმის გამო, რაც მთელ ევროპაში უკვე მასებისა და მისი ბელადების უფლებადაა მიჩნეული. დაპატიმრების, გადასახლების, კატორღების ეს რისკი კი თქვენ საკუთარსა თუ მუშათა თვალში გიწევდათ ყოველგვარი სხვა პა-

* ვაი რომ, ამის შემდეგ მძევალთა დახვრეტის თაობაზე ოფიციალურ „ნოვოსტებშიაც“ გამოაქვეყნეს ცნობა..

სუხისმგებლობის მაგიერობას. უკეთუ თქვენი რომელიმე გეგმა შემცდარი იქნებოდა და ამის გამო მუშებსა და მათ ოჯახებს ამაოდ მოუწევდათ შიმშილი თუ უკიდურესი გაჭირვების ატანა, თქვენც თქვენი წილი ტანჯვის გატანა გიხდებოდათ სხვა ფორმებში.

ამიტომაც მიეჩვიეთ თქვენ მუდამგზის უკიდურესი ზომებისაკენ, სქემის უკანასკნელი დასკვნისაკენ, საბოლოო შედეგისაკენ მოუწოდოთ ხალხს. ამიტომაც ვერ გამოიმუშავეთ ალღო ცხოვრებისა თუ თვით ბრძოლის რთული შესაძლებლობებისადმი და აქედანაა თქვენი ცალმხრივი წარმოდგენა კაპიტალზე, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მტაცებელ ნადირზე, წარმოების ორგანიზაციაში მისი როლის გამართულებული წარმოდგენის გარეშე.

აქედანაა თქვენი გულგაცრუება და გულგატეხილობა დასავლეთ-ევროპის სოციალიზმის მიმართ.

დასაწყისში მუშები თქვენ გამოგყვნენ. აბა როგორ. კაპიტალთან ბრძოლის ყველა ცდის იდიოტური დევნის შემდეგ თქვენ ხელდახელ გამოაცხადეთ პროლეტარიატის დიქტატურა. მუშებისთვის ეს სასიამოვნოც და ბევრის აღთქმელიც იყო... ისინი თქვენ უკანმოუხედავად მოგყვნენ ანუ მიჰყვნენ სოციალიზმის დაუყონებლივ განხორციელების ოცნებას.

მაგრამ სინამდვილე სინამდვილედ რჩება. მუშათა მასისათვის აქ მარტო უბრალო სქემა, მარტო საბოლოო შედეგი კი არაა. როგორც თქვენთვის, არამედ მათი და მათი ოჯახების უშუალო სიცოცხლისეული საკითხი. ჰოდა, მუშათა მასამაც ყველაზე პირველად საკუთარ თავზე იწვნია თქვენი სქემატურობის შედეგები. თქვენ გაიმარჯვეთ კაპიტალზე და ახლა ის თქვენს ფეხთა წინ გდია დასახიჩრებული და დამსხვრეული, ოღონდაც ის კი ვერ შეამჩნიეთ, რამდენ ცოცხალი ძაფებითაა იგი შეერთებული წარმოებასთან, რომ მისი მოკვლით წარმოებაც მოკალით. დენიკინელებზე, კოლჩაკზე, იუდენიჩზე და პოლონელებზე გამარჯვებით გახარებულებმა ის ვერ შეამჩნიეთ, რომ სრული დამარცხება იწვნიეთ უფრო დიდსა და მნიშვნელოვან ფრონტზე. ეს ის ფრონტია, რომლის მთელ სიგრძეზე ადამიანს ყოველი მხრიდან უტევს ბუნების მტრული ძალები. გაგიტაცათ რა კაპიტალისტური წყობის ცალმხრივმა განადგურებამ, არ აქცევდით რა სხვა არაფერს ყურადღებას ამ თქვენი სქემის დევნაში. ქვეყანა თქვენ საშინელ დღეში ჩააგდეთ. ოდესღაც ჩემს წიგნში „შიმშილობის წელს" მე შევეცადე დამეხატა ის საშინელი მდგომარეობა, საითაც თვითმპყრობელობას მიჰყავდა ქვეყანა: პურის. რუსეთის ვეებერთელა ოლქები შიმშილობდნენ და შიმშილობა უფრო და უფრო ძლიერდებოდა. ახლა უარესი ამბავი ხდება, შიმშილმა მოიცვა მთელი რუსეთი. სატახტო ქალაქიდან მოყოლებული, სადაც მშიერი ადამიანები შუა ქუჩაში უსულოდ ეცემიან. ამბობენ, ახლა თქვენ მოასწარით მოსკოვსა და პეტერბურგში საჭმლის საქმის მოგვარება (რამდენი ხნით ან რა ფასით? [illegible] შიმშილმა მოიცვა გაცილებით [illegible] ვინემ 1891-1892 წლებში პროვინციებში. რაც მთავარია — თქვენ დაანგრიეთ ის, რაც ორგანული იყო ქალაქის და სოფლის ურთიერთობაში: გაცვლა-გამოცვლის ბუნებრივი კავშირი. თქვენ იძულებული ხართ ხელოვნური ღონისძიებებით შეცვალოთ იგი, „იძულებითი გაუცხოებით", რეკვიზიციებით დამსჯელი რაზმების შემწეობით, როცა სოფელი არათუ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს არ იღებს, იძულებულია ნემსში 200 მანეთი თუ მეტიც გადაიხადოს — თქვენ ამ დროს ისეთ მტკიცე ფასებს აღებთ პურს, როგორიც სოფლისთვის აშკარად საზარალოა. თქვენს გაზეთებში თქვენ მიმართავთ სოფლელებს სტატიებით, სადაც ამტკიცებთ, რომ სოფლისთვის სარგოა თქვენთვის მხარის დაჭერა. მაგრამ იცილებთ რა თავიდან ჭერხნობით საკითხის არსს — თქვენ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობთ: ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ მიჩვეული არაა მოვლენათა განზოგადებას.

ყოველი მიწის მუშა ხედავს მხოლოდ, რომ მას ართმევენ მის ნამუშევარს იმ ფასად, რაც აშკარად არ წარმოადგენს მისი შრომის ეკვივალენტს და თავის დახკვნას აკეთებს: პურს ორმოებში მალავს. თქვენ ნახულობთ ამ პურს, რეკვიზაციას უკეთებთ, რუსეთსა და უკრაინის სოფლებზე გახურებული შანთით გადადიხართ. ბუგავთ მთელ სოფლებს და გიხარიათ სურსათ-სანოვაგის პოლიტიკის გამარჯვება. თუ ამას დავუმატებთ, რომ რუსეთის მრავალი ოლქი ასევე შიმშილითაა მოცული, რომ იქიდან ჩვენს უკრაინაში, მაგალითად, განუკითხავად მორბიან მშიერი ადამიანების ბრბოები, თანაც კურსკელი და რიაზანელი გლეხები, ოჯახის მამები, რაკი საქონელი არა ჰყავთ, თვითონ ებმებიან ურმებში და ისე მოათრევენ ბავშვებსა და ხაბაკუბაკს, — ეს იმაზე საოცარი სურათი გახლავთ, ვინემ აქამდე მინახავს თვალით შიმშილობის წლებში... მაგრამ ეს მარტო იქ როდი ხდება, სადაც მოუსავლიანი წელი იყო. უკვე ორი თვის წინათ ჩვენთან, პოლტავაში, მე შემხვდა კაცი, რომელსაც მთელი ექვსი დღე „პური თვალით აღარ ენახა" და რის ვაივაგლახით კარტოფილზე და ბოსტნეულზე გადადიოდა.. ახლა კი ზამთარიც მოადგა კარს და შიმშილს სიცივეც დაემატება. ახლომახლო ტყიდან მოტანილ ერთ ურემ

შეშაში 12 ათასს ითხოვენ. ეს ნიშნავს, რომ მცხოვრებლების დიდზე დიდი უმრავლესობა, თუნდაც შედარებით უზრუნველყოფილი, როგორიც თქვენი საბჭოთა მოსამსახურენი არიან, სრულიად უმწეონი აღმოჩნდებიან სიცივის წინაშე (გარდა კომუნისტებისა). ბინებში იგივე იქნება, რაც გარეთ. ამ ფრონტზე ქალაქის (და ნაწილობრივ სოფლის) მთელი მოსახლეობა თქვენ ბუნების მტრული ძალების ანაბარა მიაგდეთ და ამას ერთნაირად იგრძნობს როგორც გაკოტრებული ეჭვმიტანილი, „არასაიმედო“ სერთუკიანი კაცი, ისევე ბლუზიანი მუშა. ხალხმა უკვე ფორმულაც გამონახა, სადაც მოკლედ განაზოგადა ეს მდგომარეობა. ერთმა გლეხმა, რომელიც ქალაქში ცხოვრობს და ქირაზე დადის, ერთხელ მწარე და ბოღმიანი ღიმილით მითხრა:

როცა მიკოლა სულელი გვყავდა,
პური შაური ფასობდა მაშინ,
ახლა მოვიდნენ ეს ჭკვიანი კომუნისტები,
ხალხს აღარა აქვს უკვე საჭმელი,
პურს ვერა ფულზე ვეღარ იშოვი...

ამას განზრახ ვერ მოიგონებ, ეს ისაა, რაც ძირიდან, უშუალო შეგრძნებიდან, აშკარა ფაქტებიდან თავისთავად წარმოიშობა.

და აი მუშათა წრე უკვე გრძნობს თქვენს შეცდომას. მას ეუფლება ის განწყობა, რისთვისაც თქვენ ასე კიცხავთ დასავლეთევროპული სოციალისტების დიდ უმრავლესობას. მუშათა წრეში ძლიერდება მენშევიზმი ანუ სოციალიზმი, მაგრამ არა მაქსიმალისტური ხასიათისა. იგი არ ცნობს დაუყოვნებლივ და სრულ სოციალურ გადატრიალებას, რაც იწყება კაპიტალიზმის, როგორც მტრის ციხე-სიმაგრის, დანგრევით. იგი აღიარებს, რომ ბურჟუაზიული წყობის ზოგიერთი მიღწევანი საერთო სახალხო ქონებას წარმოადგენს. თქვენ ებრძვით ამ განწყობილებას. ოდესღაც იყო მიჩნეული, რომ რუსეთს თვითმპყრობელურად მართავს მეფის ნება. მაგრამ როგორც კი თავს იჩენდა სადმე ამ საცოდავი თვითმპყრობლის ნება, რომელიც არც მაინცდამაინც ესადაგებოდა მმართველი ბიუროკრატიის ზრახვებს, ამ უკანასკნელს ათასი საშუალება ჰქონდა თვითმპყრობელი დაემორჩილებინა. იგივე ხომ არაა ამ საცოდავის, ახლანდელი „დიქტატორის“ თავს? როგორ უნდა შეიტყოთ და გამოთქვათ მისი ნება? თავისუფალი პრესა ჩვენ არ გაგვაჩნია, ხმის მიცემის თავისუფლებაც — არა. თავისუფალი პრესა, თქვენი აზრით, მხოლოდ ბურჟუაზიული ცრურწმენაა. არადა, თავისუფალი პრესის უქონლობა ცხოვრების მოვლენებისადმი ბრმასა და ყრუს გხდით. თქვენს ოფიცოზებში ქვეყნის შინა კეთილდღეობა მეფობს, მაშინ როცა ხალხი ბრმად, „ცალ-ცალკე დახარბაცებს“ (ძველი რუსული გამოთქმა) შიმშილისაგან. საჯაროდ ცხადდება კომუნიზმის გამარჯვება უკრაინის სოფლებში, მაშინ როცა უკრაინის სოფლები სიძულვილით და რისხვით დუღან და საგანგაშო ხმები უკვე ფიქრობენ სოფლელ მძევალთა დახვრეტებზე. ქალაქებში შიმშილი დაიწყო, სასტიკი ზამთარი უკვე კარზეა მომდგარი, თქვენ კი მხოლოდ პროლეტარიატის აზრის ფალსიფიკაციაზე ზრუნავთ. საკმარისია სადმე მუშათა წრეში დამოუკიდებელმა აზრმა გაიჩუჩუნოს, თქვენი პოლიტიკის მიმართულების საწინააღმდეგოდ, კომუნისტები მყისვე თქვენებურ ზომებს იღებთ, პროფესიულ კავშირების ესა თუ ის გამგებლობა მაშინვე ინათლება თეთრად თუ ყვითლად. მის წევრებს აპატიმრებენ, თვით გამგებლობას შლიან, მერე კი გამარჯვებულ სტატიებს ბეჭდავთ თქვენს ოფიცოზებში: „გზა მივეცით წითელ მბეჭდავებს“ ან მუშათა სხვა წითელ ჯგუფს, აქამდე რომ მცირერიცხოვანს წარმოადგენდა. ასეთ მოვლენათა ჯამისგან დგება სწორედ ის, რასაც თქვენ „პროლეტარიატის დიქტატურას“ ეძახით. ახლა პოლტავაშიაც იგივე ხდება. საგანგებო კომისია, ამჟერად სხვა დაწესებულების სრული თანხმობით, მენშევიკებს მიყოლებით ატუსაღებს. „არასაიმედო“ სოციალისტური პოზიციის ყველა მეტნაკლებად გამოჩენილი ადამიანი ახლა ციხეში გიზით, რისთვისაც მოგიხდათ ბევრი მოგეწყვიტათ აუცილებელ მიმდინარე საქმეთაგან (რომლებსაც ამ „არასაიმედო“ მენშევიკების დახმარების გარეშე თავს მაინც ვერართმევთ). ასე და ამგვარად, კვლავ გვევლინება „ახალი გამარჯვება კომუნიზმისა“.*

ოღონდ გამარჯვება კია? ოდესღაც, ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს, არ ვიცი, ცენზურისა თუ თავისი ძალისხმევით განთავისუფლებული პრესის მეოხებით, ერთ-ერთ იუმორისტულ ორგანოში დახატული იყო ხიშტებზე მჯდარი თვითმპყრობელი. ქვევით კი ეწერა: „მოუხერხებელი მდგომარეობა“ — თუ რაღაც ამდაგვარი. ასეთსავე მოუხერხებელ მდგომარეობაშია ახლა თქვენი კომუნისტური მმართველი პარტიაც. სოფელში მისი მდგომარეობა პირდაპირ ტრაგიკულია, ჩამოჰყავთ და ჩამოჰყავთ იქიდან დასახიჩრებული თუ მოკლული კომუნისტები და კომისრები, ოფიცოზები ქება-დიდებით შემკულ ნეკროლოგებს აქვეყნებენ. თქვენი პარტია კი თავს იმით იმშვიდებს, რომ ეს მხოლოდ კურკულების (სოფ-

* ახლა ბევრი მძევალი მენშევიკებიდან ადმინისტრაციული წესით საქართველოშია გასახლებული.

ლის ბობოლებისა) ბრალია, რაც ზელს არ გიშლით ცეცხლს მისცეთ მთელი სოფლები, როგორც მდიდრები ისე ღარიბები. მაგრამ ქალაქებშიაც მხოლოდ სამხედრო ძალით გილგათ ხელი, თორემ თქვენი წარმომადგენლობა მალე ჩაიცვლებოდა. თქვენი უახლოესი მოკავშირენი სოციალისტ-მენშევიკები ციხეებში სხედან. ეს წამდაუწუმ მიხდება ასეთი მოვლენების ხილვა. 1905 წელს, როცა უფრო ჯანმრთელი და უფრო მოქმედი ვიყავი, ერთხანობას მე მიხდებოდა ბრძოლა ებრაელთა დარბევების თანდათან მომძლავრებულ განწყობასთან, რაიც, უეჭველია, მარტო ებრაელებს კი არა, გაფუცულ მუშებსაც გულისხმობდა. ამ დროს ადგილობრივი სტამბის ასოთამწყობები, შეწყვიტეს რა გაფიცვა, გაზეთ „პოლტავშჩინას" და სხვა მოწოდებებს ბეჭდავდნენ. ამ ამბავმა ჩემში უნებლიეთ დამაახლოვა ასოთამწყობთა წრესთან. მახსოვს ერთი მუშა, იგი უთუოდ ჩასარცხენე მიმართულებისა იყო და ფრიად ფიცხი ბუნების. მისმა გამოსვლებმა ჟანდარმების ხელისუფლების ყურადღება მიიპყრო და რეაქციის დაწყების შემდეგ ჯერ პოლტავაში გაასახლეს, მერე უსტ-სისოლსკში; მისი გვარი ნავროცკია. ახლა იგი პოლტავაშია და... ჩვენმა საგანგ. კომ. დაიჭირა მბეჭდავთა კრებაზე გამოსვლის გამო.* როცა ახლა ვკითხულობ მოსკოვისა და პეტერბურგის „ყვითელ" მბეჭდავებზე, უნებურად ვფიქრობ: რამდენ ისეთ ნავროცკის, მეფის რეაქციასთან ბრძოლაში თავიანთი ერთგულება რომ დაამტკიცეს მუშათა ჭეშმარიტი განთავისუფლებისთვის, აპატიმრებენ საგ. კომ. და კომუნისტები „ყვითლების" ანუ „არაიმედო სოციალისტების" სახით. ერთი პირობა ნავროცკის დახვრეტის საკითხიც იდგა, როცა იგი სიტყვით გამოვიდა მუშათა წრეში თავისუფალი აზრის ახალი შევიწროების გამო. ეს დიახაც ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო და მაშინ ნათლად გაირკვეოდა სხვაობა საგ. კომ.-ებსა და ძველ ჟანდარმთა სამმართველოებს შორის. ჟანდარმებს დახვრეტის უფლება არ ჰქონდათ — თქვენს საგ. კომ.-ებს კი ამის უფლება აქვთ.

* ნავროცკი ოქტომბერში გადაასახლეს საგ. კომ. გადაწყვეტილებით ჩრდილოეთ გუბერნიებში. ამის თაობაზე მე ხარკოვში მომიხდა წერილის გაგზავნა — ჩემს „მოხსენებით ბარათებს" უფროსებისადმი წარმატება არ ჰქონია. ახლა ნავროცკი თავისუფალია, სამაგიეროდ ჩრდილოეთ გუბერნიებში მისი ვაჟი გაგზავნეს, რომელიც ერთხელ უკვე ბავშვობისას იყო გადასახლებაში მამასთან ერთად, როგორც ჩანს, ისტორია მეორდება.

რითაც თავისუფლად და ადვილად სარგებლობენ.

## წერილი მეექვსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა მიზეზით დაშორდით ევროპ... ლიზმის ბელადებს და უფრო ... დებით საკუთარ მუშათა წრეს? პასუხი ამაზე ზემოთ მოგახსენეთ: თქვენი მაქსიმალიზმის გამო.

ლოგიკურად ეს ვითარება ყველაზე იოლია: ყველაფერი ერთბაშად მოითხოვო და ყველას, ვისაც უეცრად შეაჩერებს ამოცანის სირთულე და ზოგჯერ შესრულების შეუძლებლობაც, უწოდო არათანამიმდევარნი, სულელები, ხანდახან კი სოციალიზმის საქმის ორგულნი, შემთანხმებელნი, კოლჩაკელები, დენიკინელები, ერთი სიტყვით, მოღალატენი.

ამ ხერხის სიძნელე ისაა, რომ თქვენ თავადაც არ ძალგიძთ ყველაფრის ერთბაშად განხორციელება. თქვენ, მაგალითად, დაუშვით ფულის სისტემა, ცხადია, მხოლოდ „პირველ ხანებში", სანამ „გაცვლა-გამოცვლის ახალი აპარატი" მოგვარდება, მაგალითად, საზოგადოებრივი მომარაგება. მაგრამ ამას ხომ დიდი ხნის ლოდინი დასჭირდება, რომელიმე თქვენზე უფრო მეტ მაქსიმალისტს, შემდეგში ფულის სისტემის შედეგებს რომ ახახავს, კაპიტალისტური წყობის მართლაც ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშან-თვისებას, შეუძლია ლოგიკურად თქვენც გისაყვედუროთ: თქვენ დაუშვით იგი, მაშასადამე, თქვენ მიიღებთ მის შედეგებსაც, შემდეგ კი მის რამდენიმე ლოგიკურ საფეხურებს გაივლით და თქვენც — კოლჩაკელები, დენიკინელები, სოციალიზმის საქმის მოღალატენი ხართ. და ნურც იმას იტყვით, რომ თქვენთვის ეს მხოლოდ დროებითი ეტაპია: მთელი ეს საკითხი შეიცავს იდეალის კომპრომისს სინამდვილესთან, როგორსაც „დროებით" იღებენ დასავლეთევროპელი სოციალისტებიც და თქვენც. ოღონდ თქვენ სქემატიკოსები და მაქსიმალისტები ხართ, ისინი კი რევოლუციური შესაძლებლობის საზომს ეძებენ. თქვენთვის შესაძლებელი არ აღმოჩნდა ერთბაშად ფულადი სისტემის გაუქმება, ისინი კი შეუძლებელს ბევრ სხვას მიიჩნევენ „ერთბაშად განსახორციელებლად.

ლოგიკა — აზროვნების ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია, მაგრამ სულაც ერთადერთი არაა: არსებობს კიდევ წარმოსახვა, კონკრეტულ მოვლენათა სირთულის გათვალისწინების საშუალებას რომ გვაძლევს, ეს თვისება აუცილებელია ისეთი საქმისთვის, როგორიც უზარმაზარი ქვეყნის მართვა წარმოადგენს. თქვენ

სქემამ სრულიად ჩაგიხშოთ წარმოდგენა. თქვენ ნათლად არა გაქვთ წარმოდგენილი სინამდვილის მთელი სირთულე. მათემატიკოსს, მაგალითად, შეუძლია გაიანგარიშოს, რამდენ ხანში მიფრინდება ამა და სიჩქარით გატყორცნილი ბირთვი მთვარემდე, მაგრამ ფიზიკოსი უკვე გარკვევით წარმოიდგენს თავისთვის ამოცანის მთელ შეუძლებლობას, ყოველ შემთხვევაში, ტექნიკის ამჟამინდელ დონეზე. თქვენ სოციალიზმის მხოლოდ მათემატიკოსები ხართ, მისი ლოგიკოსები და სქემატიკოსები. თქვენ ამბობთ: ჩვენ უკვე ყველაფერს მივაღწევდით, უკეთუ ხელი არ შეეშალათ მხოფლიო ბურჟუებსა და ევროპული სოციალიზმის ბელადებს, მათ კვალდაკვალ კი მუშათა უმრავლესობასაც არ ეღალატა ჩვენთვის: ისინი არ აკეთებენ თავისთან იმას, რასაც ჩვენ აქ, — არ ანგრევენ კაპიტალიზმს.

მაგრამ პირველ ყოვლისა თქვენ ყველაზე იოლი საქმე გააკეთეთ: მოსპეთ რუსი ბურჟუა, არაორგანიზებული, არაგონიერი და სუსტი. თქვენ იცით, რომ ევროპული ბურჟუა გაცილებით ძლიერია, ხოლო ევროპელი მუშები არც ისეთი ბრმა ფარა, რომ მაქსიმალიზმში გადატყორცნო პირველივე მოწოდებით. მათ ესმით, რომ ყველა აპარატის განადგურებას დიდი დრო არ უნდა, მაგრამ მისი შეცვლა კი მოცემულ შემთხვევაში მუშაობის დროს გიხდება, რათა არ გაანადგურო წარმოება, რის შემწეობითაც იცავს თავს მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი ბუნების მარად მტრული ძალებისაგან. დასავლეთევროპელ მუშებს სინამდვილის უფრო მეტი შეგნება აქვთ, ვინემ თქვენ, კომუნიზმის ბელადებს, და იმიტომაც მაქსიმალისტები არ არიან. სეგრიუსა და ლენინის მიწერ-მოწერის შემდეგ — საქმე ნათელია: ევროპელ მუშათა მასა მხარს არ დაგიჭერთ მაქსიმალიზმში. იგი ნეიტრალური რჩება კომპრომისის საზღვრებში.

ჩვენთან პოლტავაში რევოლუციის შემდეგ მყის შეიცვალა ქალაქის თვითმმართველობა. იგი უფრო დემოკრატიული გახდა და ადრინდელი მომარაგების საქმეში ჩაერია. სხვათა შორის მან დაარსა ქალაქის შეშის საწყობი, და როცა ვაჭრები მეტისმეტად ბერავდნენ ფასებს, ქალაქის მმართველობას მყის უფრო მეტი შეშა გამოჰქონდა გასაყიდად და ფასებიც იკლებდა. მაშინ გაჰყვიროდნენ, ესეც სოციალიზმიაო. კაპიტალის მართლმორწმუნე მიმდევრები ამჯობინებენ სრულიად „თავისუფალ გაყიდვას“, ყოველგვარი ჩარევის გარეშე. თქვენ ეს მეტისმეტად მცირედ მოგეჩვენებოდათ... მაგრამ პოლტავა კი ამან ზამთრის ყინვებს გადაარჩინა.

ეს, რა თქმა უნდა წვრილმანია, მაგრამ იგი ცხადლივ გამოხატავს ჩემს აზრს. მხოლოდ ასე შეიძლება ჩაერიო მომარაგების საქმეში მუშაობის შეუჩერებლივ. არ დაარღვიოთ და არ გაანადგუროთ იგი. მერე და მერე, გამოცდილების მიხედვით, ეს ჩარევა შეიძლება გაძლიერდეს, უფრო და უფრო ფართო გასაქანი მისცე, ვინემ საზოგადოებრივ-სოციალიზმში არ გადავა. ეს ნელი, მაგრამ ერთადერთი შესაძლებელი გზაა. თქვენ კი ხელდახელ შეწყვიტეთ პირველი, მოხმარების საგნების, მოწოდების ბურჟუაზიული საშუალებანი, ისე რომ, ახლა პოლტავა, პურის მოსავლის ცენტრი, გარშემორტყმული ტყეებით, შიმშილისა და მოახლოებული ზამთრის წინაშე სრულიად უმწეო დარჩა. ასეა ყველგან, მომარაგების ყველა დარგში. თქვენი გაზეთები ზარზეიმით აცხადებენ, რომ ყირიმში ვრანგელთან გირვანქა პური უკვე 150 მანეთი ღირს. მაგრამ ჩვენთან (ანუ თქვენთან) პოლტავაში, რუსეთის პურის ბეღელში, გირვანქა 450 მანეთი გახდა, ანუ სამჯერ ძვირი. ასეა ყველაფერში.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ პოლტავაში ტრადიციად იქცა — მცხოვრებლები ჩემთან მოსულიყვნენ, როგორც მწერალთან, ვისაც შეუძლია შიგადაშიგ ცენზურის ჩარჩოები გაარღვიოს. ადრე ჩემთან მოდიოდნენ მეფის ხელისუფალთა მიერ შევიწროებული ადამიანები, ახლა — თქვენ მიერ დაჭერილთა ნათესავები. უკანასკნელთა შორის ბევრი დაბალია. ცხოვრებას თავისი გააქვს: მიუხედავად თქვენი აკრძალვისა, კუსტარ დაბალებს ხშირად გამოჰყავთ ტყავი და ამგვარად აკმაყოფილებენ ზამთრის მოახლოებისას უსაჭიროეს მოთხოვნილებებს ფეხსაცმლის სახით. დროდადრო სათემო ალმასკომები თავის სანქციას იძლევიან ამაზე და ტყავიც ნელ-ნელა ჩნდება, ვინემ... ამ ბოროტმოქმედების ამბავს თქვენი ხელისუფალნი არ შეიტყობენ და არ შეაწყვეტინებენ მუშაობას. თქვენ გინდათ, რომ წარმოება „ერთბაშად“ დადგეს სოციალიზმის ნიადაგზე, კომუნისტურზეც კი და კომპრომისს შეუთანხმებლობად აქცევთ წარმოების ბურჟუაზიული ფორმებით. რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ უკვე გაქვთ აქა-იქ „საბჭოთა სადაბალოები“, მაგრამ რას შველის ეს ბიუროკრატიული წამოწყებანი ოკეანესავით მომსკდარ მოთხოვნილებას, ამის შემდეგად კი აბა შეხედეთ, რა აცვიათ თქვენს წითელარმიელებს და თქვენთან მომსახურე ინტელიგენციას: წითელარმიელებს ხშირად ქალამნებში ნახავთ, მომსახურე ინტელიგენციას კი გამოჩორკნილ ხის სანდლებში, რაიც, თუმცა კლასიკურ ძველ ხანას მოგაგონებს, მაგრამ საზამთროდ ვერაფერი გამოსადეგია, თუ ჰკითხავ. ზამთარში

რას აპირებთ, პასუხად ზოგჯერ მხოლოდ ცრემლებია.

ისე კი არ შეიძლება გული არ შეგეკუმშოს რუსული საზოგადოების იმ ფენის ბედ-იღბალზე, ინტელიგენციას რომ ეძახიან. დახედეთ აბა თქვენი ჯამაგირების განაკვეთებს და შეუდარეთ თუნდაც პურის ფასს. მაშინ ნახავთ, რა სასაცილო, უფრო სწორად, რა ტრაგიკული შეუსაბამობაა. და მაინც ცხოვრობენ... დიახ, ოღონდაც რით? — ძველი ქონების ნარჩენებით, ანუ: სუფრებს, შალებს, კოფთებს, პალტოებს, პიჯაკებს, შარვლებს ჰყიდიან. მხატვრულად რომ ვთქვათ, ისინი ახლა თავს ირჩენენ ბურჟუაზიულ წყობაში დაგროვილი ქონებით, რომელმაც ამის დაგროვების საშუალება მისცათ. ახლა კი აუცილებელი საგნებიც აკლიათ და ეს ნაკლებობა ლავასავით თანდათან ზვავდება. თქვენ მოსპეთ ბურჟუაზიული მრეწველობა, სანაცვლოდ კი ვერაფერი შექმენით. თქვენი კომუნა უზარმაზარი პარაზიტია, მისი ლეშით რომ იკვებება. ინგრევა ყველაფერი. ინგრევა სახლები, რომლებიც ძველ მეპატრონეთ წაართვით და შემკეთებელი აღარავინა ჰყავს, იმტვრევა მერხები, შეშად რომ იხმარება, ერთი სიტყვით, მიდის მთლიანი ნგრევა და რღვევა.

ცხადია, რომ ასე არ შეიძლება გაგრძელდეს და რომ ქვეყანას გაუგონარი უბედურებანი მოელის. პირველი მათი მსხვერპლი ინტელიგენცია იქნება. მერე ქალაქის მუშები. ყველაზე დიდხანს გაძლებენ კარგ ადგილებზე მსხდარი კომუნისტები და წითელი არმია. მაგრამ ამ წრის კეთილსინდისიერ ადამიანებსაც უკვე გამათხოვრების დაღი ემჩნევათ. ყველაზე უკეთ ცხოვრობენ ყველანაირი ჯურის მძარცველები. ან კი რა გასაკვირია: თქვენ ყველაფერს ეგოიზმზე ამყარებთ, თავად კი თავგანწირვას ითხოვთ. აბა დაამტკიცეთ, რომ შეიარაღებული ადამიანი უმალ შიმშილით სიკვდილს ამჯობინებს, ვინემ უიარაღოს გაძარცვას.

ზემოთ მოგახსენეთ წმინდა ყოფითი ხასიათის ერთ დამახასიათებელ წვრილმანზე—ბოსტნების ძარცვაზე. რამაც ისეთი გაქანება მიიღო, რომ შესაძლოა მომავალში შრომისადმი ყოველგვარი ლტოლვა ჩაკლას, ოღონდ არ მითქვამს, რა როლს ასრულებენ ამ დროს წითელარმიელები. დროდადრო ბოსტნის პატრონები უსაფრდებოდნენ ხოლმე ქურდებს. თუ სამოქალაქო პირებს გამოიჭერდნენ, ეს უკანასკნელები შერცხვენილები გარბოდნენ. მარტო წითელარმიელები პასუხობდნენ უბრალოდ: მაშ რა ვქნათ, მშივრები ვისხდეთო? და იმ ბოსტნიდან მეორე, მეზობლის ბოსტანში გადადიოდნენ. ახლა კიდევ ერთი ასეთი წვრილმანიც. ამ ორიოდე კვირის წინათ პოლტავიდან ფრონტზე წითელარმიელთა პოლკი უნდა წასულიყო. მისი შტაბი ჩემი ბინის გვერდით მდებარეობდა. ამიტომაც დილიდანვე ჩვენი ქუჩის გასწვრივ ჯარისკაცების მწკრივები იდგა. იმ სახლის ეზოში, სადაც მე ვცხოვრობ, რამდენიმე კაკლის ხე არის. ამან მიიზიდა ჯარისკაცთა ყურადღება და ჩვენი ეზო წითელარმიელებით გადაივსო. ვერ აგიწერთ, იქ რა ხდებოდა. ძვრებოდნენ ხეებზე, ამტვრევდნენ ტოტებს, თანდათან ისე შეხურდნენ, რომ ბალღებივით, აბა მე, ჩქარა, შეშის ღერები, აგურები, ქვები დაუშინეს ამ ხეებს, იმას აღარ დარიდებიან, რომ ეს ყველაფერი ვაითუ ხეებზე ამძვრალთ ან ჩვენი სახლის ფანჯრებს მოხვედროდა. კიდევ ბედი, რომ შეშის ღერები რამდენჯერმე მხოლოდ ჩარჩოს მოხვდა და არა შუშას. ხოლო რას ნიშნავს ახლა შუშის ჩატეხა, კარგად მოგეხსენებათ. ისე რომ, იძულებული გავხდით უფროსობისთვის მიგვემართა, მაგრამ უფროსობამ მხოლოდ ძალზე მცირე ხნით შეძლო მათი შეჩერება. ერთი წუთის შემდეგ ეზო ისევ ჯარისკაცებით იყო სავსე. ძლივძლივობით დავიყოლიე, რომ ფანჯრებისთვის აღარ დაეშინათ შეშის ღერები და ქვები და შუშები არ ჩაელეწათ. წითელარმიელები მაშინღა წავიდნენ, როცა ხეებს ყველაფერი შემოაგლიჯეს და როცა მათმა მეთაურმა საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, წითელი არმია ახალი საზოგადოების ასაშენებლად მიდისო..., მე კი დამწუხრებული ვფიქრობდი, თუ რა უბედურება გველის, როცა კაკლის კი არადა, პურის, სათბობის, სამოსის, ფეხსაცმლის ნაკლებობა აიძულებთ მათ ბალღის საშიში გულუბრყვილობით ასევე დააცხრნენ და დაეძგერონ პირველმოხმარების საგნებს. მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ თურმე მამლუქთა მსგავსი ტლანქი ჯარისკაცული ძალა შემოგვიყვანია.

მე უკვე გითხარით პირადად შეხვედრისას, რა განსხვავება იყო, როცა პოლტავა წითელარმიელებმა დაიკავეს და როცა — მოხალისეებმა. მოხალისეები სამ დღეზე მეტი დაუფარავად ძარცვავდნენ ქალაქს „უფროსობის" დასტურით. წითელარმიელები პოლტავაში დისციპლინირებული ჯარის კვალობაზე შემოვიდნენ. მყის შეწყდა ნაირ-ნაირი ბანდიტების მიერ ძარცვა და გლეჯა. მხოლოდ შემდეგში, როცა გასამართლების გარეშე დახვრეტები და ბინების რეკვიზიცია დაიწყეთ (ხშირად მშრომელთა კლასებსაც რომ ატყდებოდა თავს), ეს შთაბეჭდილება სხვა გრძნობამ შეცვალა. ახალ ადგილებს თქვენ მოხალისეებზე უფრო უკეთ იპყრობთ, ოღონდაც მათსავით ვერც თქვენ ინარჩუნებთ დიდხანს — ასე დავამთავრე მაშინ. ახლა კიევიდან ჩამოსულები ჰყვებიან, რომ

წითელ არმიას ბრძოლის წინ შესთავაზეს, „ბურჟუაზიის ხარჯზე" შეიმოსეთო. თუ ეს დამტკიცდა, არადა, ყველა ნიშნით ეს ცნობა უტყუარი ჩანს, მაშასადამე, სახიფათო სიმპტომმა უკვე იჩინა თავი: თქვენ იმით ამთავრებთ, რითაც დენიკინელებმა დაიწყეს. ჩამოსულები ამბობენ, ამჯერად ძარცვა ერთ კვირაზე მეტხანს გაგრძელდაო, ეს კი, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ტრაგედიის უკანასკნელი მოქმედების დასაწყისზე გვაუწყებს.

ვგრძნობ, რომ დროა წერა დავამთავრო. წერილები ძალზე გამიგრძელდა და ხელსაც მიშლის სხვა სამუშაოს მივმართო. თანაც ამ საგანზე საჭიროა უფრო მეტის თქმა და მისი უკეთ შესწავლაც, რის საშუალებას არც დრო და არც ჯანმრთელობა არ მაძლევს. ამიტომ მოკლედ მოვჭრი: თქვენ იოლად შეუდექით თქვენს სქემატურ ექსპერიმენტს იმ იმედით, რომ ეს მხოლოდ ნიშანი იქნება მსოფლიო მაქსიმალური რევოლუციის დასაწყებად. ვფიქრობ, უკვე თავადვე უნდა ხედავდეთ, რომ ამაში შეცდით: სევრიუს წერილებისა და ლენინის პასუხის შემდეგ ეს ოცნება თქვენისთანა ოპტიმიზმის პატრონებსაც უნდა გაუქრეს: თქვენ გიხდებათ დასჯერდეთ თანმიმდევრული სქემატური ოპტიმიზმის იოლ გამარჯვებას „შემთანხმებლებზე", მაგრამ უკვე ნათელია, რომ მუშური ევროპა თქვენი გზით არ წავა, და რუსეთიც, რომელიც მიჩვეულია ყველანაირ ჩაგვრას ქედმოდრეკით დაემორჩილოს, რომელსაც არ გამოუმუშავებია თავისი ჭეშმარიტი აზრის გამომხატველი ფორმა, იძულებულია ამ სავალალო, ამ ბნელით მოცულ გზას მარტოდმარტო გაუდგეს.

მაგრამ საითკენ? რას წარმოადგენს თქვენი ფანტასტიკური კომუნიზმი? ცნობილია, რომ ჯერ კიდევ წინა საუკუნეში იყო ცდები კომუნისტური ოცნებისთვის ხორცი შეესხათ. თქვენ იცით, რითაც დამთავრდა. რობერტ ოუენის, ფურიეს, სენსიმონის, კაბეს მიმდევრები — აი, გრძელი მწკრივი კომუნისტური მცდელობისა ევროპასა თუ ამერიკაში. ყველა სამწუხარო მარცხით, განხეთქილებითა და ტრაგედიებით დამთავრდა მისი ინიციატორებისთვის, კაბეს ტრაგედიის მსგავსად. და ყველა ეს კეთილშობილი მეოცნებენი საბოლოოდ იმ აზრამდე მიდიოდნენ, რომ კაცობრიობა ჯერ თვითონ უნდა გარდაიქმნას, ვინემ საკუთრებას მოსპობდეს და ცხოვრების კომუნალურ ფორმებზე გადავიდოდეს (თუკი საერთოდ კომუნის განხორციელება შესაძლებელი იქნება). სოციალისტი ისტორიკოსი რენარი ამბობს, რომ კაბე და მისი ყაიდის კომუნისტები საკითხს მეტად გაუბრალოებულად წყვეტდნენ: „ჩვენს ირგვლივ მყოფ საგანთა შორის არის ისეთები, რომლებიც შეიძლება და უნდა დარჩნენ ინდივიდუალურ მფლობელობაში, და ისეთებიც, რომლებიც კოლექტიურ საკუთრებად უნდა იქცნენ". საერთოდ ამ განაწილების პროცესი, რომელიც თქვენ ასე გულარხეინად წამოიწყეთ „ობიექტური და სუბიექტური პირობების" მძიმე და ხანგრძლივი მომწიფების პროცესია, რომლისთვისაც აუცილებელია საერთო თვითშემოქმედებისა და, რაც მთავარია, თავისუფლების მთელი დაძაბვა. მხოლოდ ასეთმა თვითშემოქმედებამ, მხოლოდ თავისუფლებამ ყველანაირი ცდისა და მცდელობისა შეიძლება გვიჩვენოს, რომელი გაუძლებს პრაქტიკულ ცხოვრების კრიტიკას და რომელია განწირული დასაღუპავად. „კაბემ, — ამბობს რენარი, (და სხვა უტოპისტებმაც, მე დავუმატებ), — ჯერ კიდევ ვერ შეიძლო იმ პრინციპის მონახვა, რომელიც დაადგენდა ამ გამმიჯნავ ხაზს, იგი მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ძალაუფლებასა და ერთიანობას. სახელმწიფო-თემი, რომელზედაც იგი ოცნებობდა, პანსიონს მოაგავს, სადაც ყმაწვილებს უზრუნველყოფენ საღი, ზომიერი საკვებით, სადაც, როგორც სხეულს, ისევე ჭკუას მუნდირს ჩამოაცვამენ, შეაჩვევენ მუშაობას, ჭამას, ზარზე ადგომას. ამ მკაცრი დისციპლინის ერთფეროვნება მოწყენასა და ზიზღს იწვევს. ეს მონასტრული ინტერნატი იმდენად ვიწროა, რომ კაცობრიობამ მოძრაობისას არ შეიძლება იგი არ დაანგრიოს". მონასტრის ინტერნატის ნაცვლად თქვენი კომუნიზმი თქვენ ყაზარმაში შეიყვანეთ (საკმარისია „შრომის მილიტარიზაცია" გავიხსენოთ).

ჩვეულებისამებრ თავდაჯერებით, დიდი ფიქრისა და განსჯის გარეშე ამ გამმიჯნავ ხაზზე, თქვენ დაარღვიეთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და თავისუფლება, შეიჭერით ბინებში („ჩემი სახლი — ჩემი ციხე-სიმაგრე", — ამბობენ ინგლისელები), მყის მოჰყევით ყველაზე აუცილებელ ნივთთა დანაწილებას, გემოვნებისა და ინტელექტის ინტიმური გამოვლინების პირობაზე, მიისაკუთრეთ სურათებისა და წიგნების კერძო კოლექციები... არ შეგიქმნიათ თითქმის არაფერი, დაანგრიეთ კი ძალიან ბევრი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოიტანეთ რა დაუყონებლივი კომუნიზმი, თქვენ კარგა დიდი ხნით ჩვეულებრივი სოციალიზმის ხალისიც კი დაუკარგეთ ხალხს, თუმცაღა იგი თანამედროვეობის ყველაზე არსებით ამოცანას წარმოადგენს.

ერთმა კაცმა მიამბო, რა სურათის მოწმე იყო თავად: თემის კომიტეტების რწმუნებულები რომელიღაც ყრილობიდან ბრუნდებოდნენ. ამ ყრილობაზე ჩვეულებისამებრ წმინდაწყლის კომუნისტური რეზოლუციები იქნა მიღებული.

ტყვეები, ვინც ამ რევოლუციებს ხელი მოჰკიდეს, ერთად უცნაურ გუნებაზე იყვნენ, ვინაიდან სოფლებში, სადაც უნდა დაბრუნებულიყვნენ, სულაც არ მეფობდა კომუნისტური წყობა. მათთან ერთად მოდიოდა ერთი ფე[illegible]ქი და, როგორც ჩანს, მტკიცე კომუნისტი, რომელიც კომუნისტური წყობის უპირატესობას ამტკიცებდა. მისი მხურვალე ტირადების ნაცვლად უცნაური სიჩუმე იყო. მაშინ გადავწყვიტე ჭიქურ შეეტია და პირდაპირ მკითხა ერთ ჰკვიან, დარბაისელ გლეხს: რატომ დუმხართ და ან რას ფიქრობთ იმაზე, რაც მე [illegible]ხარითო?

— რაც გვითხარით, — მიუგო დინჯად გლეხმა, — იქნებ ყველაფერი მართალი იყოს... მაგრამ, საუბედუროდ, ადამიანის ხელს თავისკენ მითლა უფრო ემარჯვება, ვინემ სხვისაკენ.

როგორც ნახეთ, სწორედ ამ დასკვნამდე მიდის უტოპიური კომუნიზმის ყველა მეოცნებე[illegible]ცდის დასასრული. თავიდათავი, რა თქმა უნდა, ადამიანის სულია და არა ხელი. ამიტომ ჯერ სული უნდა გარდაიქმნას ადამიანებისა. საამისოდ კი საჭიროა პირველ ყოვლისა დაწესებულებები გარდაიქმნას. ეს კი, თავის მხრივ, აზროვნებისა და წამოწყებათა თავისუფლებას მოითხოვს ცხოვრების ახალი ფორმების შესაქმნელად: ამ თვითშემოქმედების იძულებითი შეჩერება საზოგადოებასა და ხალხში — ეს ის ბოროტმოქმედებაა, რაც ჩვენმა ამ ცოტა ხნის წინ "დამხობილმა" ხელისუფლებამ ჩაიდინა. მაგრამ არც მეორე ბოროტმოქმედებაა ნაკლები — ანუ ძალით მოახვიო ხალხს თავზე ცხოვრების ის ახალი ფორმები, რომლის მადლი ჯერ არ შეუგნია და არც შემოქმედებითი გამოცდილებით გაუცნია. ამაში დამნაშავენი კი თქვენა ხართ. ინსტინქტი თქვენ ბრძანებით შეცვალეთ და ახლა მოელით, რომ ადამიანის ბუნებაც ბრძანებით შეიცვალოს. ხალხის თვითგამორკვევის უფლების ხელყოფისათვის კი თქვენ ზღვევა მოგელით.

სოციალური სამართლიანობა — დიახაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმეა და სწორიც ბრძანდებით, როცა უთითებთ, მის გარეშე სრული თავისუფლება ვერ იარსებებსო. მაგრამ არც თავისუფლების გარეშე შეიძლება სამართლიანობის მიღწევა, მომავლის ხომალდი მონობის სკილასა და უსამართლობის ქარიბდას შორის ისე უნდა გაატარო, თვალი არც ერთს არ მოაცილო. რამდენიც არ უნდა ამტკიცოთ, რომ ბურჟუაზიული თავისუფლება მხოლოდ მოტყუებაა, მუშათა კლასის დამამონებელი, ამაში ვერც ვერ დაარწმუნებთ ევროპელ მუშებს. ინგლისელი მუშები, ახლა რომ იმედოვნებენ თქვენი გამოცდილება (ცხადია, წარმატებით თუკი დამთავრდა) პარლამენტის გზით გაატარონ, იმას ვერ დაივიწყებენ, რომ ბურჟუა გლადსტონი, თვითკმარი თავისუფლების ფარგლებში რომ მოქმედებდა, ლამის მთელი სიცოცხლე იბრძოდა მათი საარჩევნო უფლებების გადიდებისთვის. ყოველგვარი პოლიტიკური გარდაქმნა ამ მხრივ სოციალური სამართლიანობის ბრძოლასაც ხდიდა შესაძლებელს, ხოლო ყოველგვარი პოლიტიკური რეაქცია საწინააღმდეგო შედეგებს იძლეოდა. პოლიტიკური რევოლუციები ბევრჯერ მომხდარა, სოციალური არც ერთხელ. თქვენ პირველებმა სცადეთ სოციალიზმი თავისუფლების დათრგუნვით შემოგეყვანათ.

რა გამოვა აქედან? სულაც არ მინდა წინასწარმეტყველი ვიყო, მაგრამ გული კი მიგრძნობს, რომ ჩვენ ჯერ მხოლოდ ზღურბლზე ვდგავართ ისეთი უბედურებებისა, რომელთა წინაშე არარად მოგვეჩვენება ყველაფერი, რასაც ახლა განვიცდით. რუსეთი ის კოლოსია, რომელსაც ნელ-ნელა აცლის ძალას ხანგრძლივი ხურვება, შიმშილი და გაჭირვება. ანტანტას, მგონი, დიდხანს ბრძოლა არ დასჭირდება ჩვენს დასამორჩილებლად. მის მაგივრად ამას ჩვენში დაწყებული რღვევა და ნგრევა შეძლებს. დადგება დრო, როცა ჯანცგამოლეული კოლოსი შველას მოითხოვს პირობებისდა დაუკითხავად... პირობები კი, ცხადია, მძიმე იქნება.

●

მე ვამთავრებ. გამოსავალი სადაა? შარშან, 1919 წელს მე მეწვია თქვენი სახელმწიფო სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტი, რათა რამდენიმე კითხვა მოეცა იმის თაობაზე, თუ რას ვფიქრობ მომხდარ ამბებზე. მე არ მიყვარს ასეთი ინტერვიუები. გარდა იმისა, რომ მწერალი ვარ და თავად შემიძლია ჩემი მოსაზრებანი ჩამოვაყალიბო — ეს ინტერვიუები თითქმის არასოდეს ზუსტი არაა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მე მწერალი ვარ, ანუ კაცი, ვინც ესწრაფვის თავისი მოსაზრებანი ცნობილი გახადოს. თქვენ კი ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება ჩაკალით. ამიტომაც დავთანხმდი კორესპონდენტისთვის მეპასუხა, თუმცაღა ეჭვი გამოვთქვი, რომ ჩემს მოსაზრებებს ბოლშევიკურ პრესაში ადგილი დაეთმობოდა. მან მომიგო, ამას ვერ დაგპირდებით, მაგრამ სააგენტო კი ამ ინტერვიუს საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელებს დაუგზავნისო.

ინტერვიუ არ დაბეჭდილა. არ ვიცი, თქვენ გამოგეგზავნათ თუ არა, ან თუ გამონახეთ დრო მის წასაკითხად, ისე კი იქაც იგივეს ვამბობდი, რასაც ახლა ვიმეორებ: თქვენ ძალგიძთ ახალი ადგილების დაკავება, მათი შენარჩუნება კი არა, და მე ვგრძნობ, რომ უკრაინაში თქვენ

უკვე ფეხქვეშ ნიადაგი გეცლებათ. ჩემი ეს წინათგრძნობა მომხდარმა ამბებმა გაამართლეს: თვენახევრის წინ დენიკინელების შეტევამ თქვენ უკრაინა დაგატოვებინათ. ახლა ისევ საავდრო ღრუბლები იყრის თავს უკრაინაში თქვენს ბატონობაზე.

ის რუმინელი ანარქისტი, ვისზედაც ზემოთ მოგახსენეთ, იმ დასკვნამდე მივიდა, როცა ხალხმა არ იცის, როგორ მოიქცეს საზოგადოებრივ ადგილებში, იგი ჯერ კიდევ ძალზე შორსაა იდეალური წყობიდან. მე სხვანაირად ვიტყოდი: ხალხი, ვინც ჯერ კიდევ ვერ დაუფლებია ხმის მიცემის აპარატს,ვისაც არ ეხერხება ჩამოაყალიბოს მის წიაღში გაბატონებული შეხედულება, ვინც სოციალური სამართლიანობის მოწყობას ინდივიდუალური ძარცვა-გლეჯის გზით იწყებს (თქვენი: „ძარცვე ნაძარცვიო"), ვინც სამართლიანობის მეუფებას გასამართლების გარეშე მასიური დახვრეტების დაშვებით იწყებს წლების და წლების მანძილზე, ასეთი ხალხი ჯერ კიდევ შორსაა კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებათა მესვეური გახდეს. მან ჯერ თვითონ უნდა ისწავლოს და არა სხვას ასწავლოს.

თქვენ დაამარცხეთ დენიკინის მოხალისენი, დაამარცხეთ იუდენიჩი, კოლჩაკი, ალბათ ვრანგელსაც დაამარცხებთ. შესაძლოა ანტანტის შეჩადებული ჩარევაც თქვენი გამარჯვებით დამთავრდეს: ის ხალხში პატრიოტულ სულისკვეთებას გააღვიძებს, რომლის ჩაკვლაც ამაოდ სცადეს ინტერნაციონალიზმის სახელით, დაგავიწყდათ რა, რომ სამშობლოს იდეა დღემდე ჯერ კიდევ ყველაზე დიდი მიღწევაა კაცობრიობის გზაზე ერთობისაკენ, რაიც ალბათ მხოლოდ სამშობლოთა გაერთიანებით იქნება მიღწეული. ერთი სიტყვით, თქვენ ყველა ფრონტზე გაიმარჯვეთ, ის კი ვერ შეამჩნიეთ, რომ შინაგანი ხენი თქვენ უძლურსა გხდით ბუნების ფრონტის წინაშე...

როგორც ხედავთ, მე არც ანტანტის ჩარევას ველი, არც გენერლების გამარჯვებას. რუსეთი ჩაფიქრებული დგას ორ უტოპიას, წარსულის უტოპიასა და მომავლის უტოპიას შორის და არჩევს, რომელი უტოპიისკენ გაესწრაფოს. გარეშე ჩარევა ცდას ბუნდოვანს გახდიდა. გენერლები კი ალბათ იმ ელემენტებს ხელმძღვანელობენ, რომლებიც წარსულს მისტირიან და მზად არიან წარსულის გულისთვის ისევე ბოროტად გამოიყენონ ძალაუფლება, როგორც თქვენ მომავლის გულისთვის; ბევრის აზრით, რუსეთის მდგომარეობა ახლა ისეთია, რომ სასწაულის იმედზე უნდა ვიყოთ. კორესპონდენტთან საუბარი, რაზედაც ზემოთ ვთქვი, მე იმით დავამთავრე, რომ მოგმართეთ თქვენ, ნაადრევი კომუნიზმის ბელადებს, უარი განაცხადოთ ექსპერიმენტზე და ჩაუდგეთ სათავეში ხალ რეაქციას, რათა შეძლოთ დაეუფლოთ მას და ლაგამი ამოსდოთ არახალ, მძვინვარესა და უგუნურ რეაქციას. მე მეუბნებიან, ეს ნიშნავს, სასწაულის იმედი გქონდეს. იქნებ მართალიც იყოს. რა თქმა უნდა, საამისოდ საჭიროა მთელი პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების მოხმობა, რომ აღიაროთ თქვენი უდიდესი შეცდომა, რომ მოთოკოთ თავმოყვარეობა და სხვა გზაზე გადაუხვიოთ ანუ იმ გზაზე, თქვენ რომ შემთანხმებლობას ეძახით.

ვიცი, რომ ამ ვარაუდში ბევრი რამ გულუბრყვილოა, მაგრამ მე ოპტიმისტი და შემოქმედი ვარ, ეს გზა კი ერთადერთ გზად მიმაჩნია, რუსეთს რომ საშუალებას მისცემს ღირსეულად გამოვიდეს ამჟამინდელი გაუსაძლისი ვითარებიდან. თანაც ოდინდელი ნათქვამია, ყოველი ხალხი იმ მთავრობას იმსახურებს, როგორიც ჰყავსო. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა თქვენ დაგიმსახურათ. თქვენ წარმოადგენთ მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ქვეყნის წარსულის აბლანდელ გამოხატვას, რომელიც მაშინაც კი ყურმოჭრილი ყმა იყო თვითმპყრობელობის, როცა მას გლეხთა და ამის შემდგომმა რამდენიმე რეფორმამ ყველა შემოქმედებითი ძალა გამოაცალა და ბრმა რეაქციის გზას გაუყენა, მრავალი წლის მანძილზე ქვეყნის ორგანულ ზრდას რომ თრგუნავდა. ამ დროს ხალხი მის მხარეზე იდგა, რუსეთი კი განწირული იყო ლპობისა და გახრწნისათვის. ნორმალურია, თუკი ქვეყანაში ყველანაირი ჯურისა და ყაიდის აზრია წარმოდგენილი,, თუნდაც ყველაზე უკიდურესი, ზოგჯერ უგუნურიც კი. ბრძოლა და ჭიდილი ხელს უშლის ხრწნას და უგუნური მისწრაფებებიც კი ერთგვარ აცრასაც წარმოადგენს ქვეყნისათვის: ის, რაც არაგონივრული და მავნე შეიძლება იყოს ამ დროისათვის, ხშირად მომავლისთვის ძალას ინარჩუნებს.

თუმცა ჯიქურად რეტროგრადული მთავრობის გავლენით ჩვენში ასე არ მოხდა. საზოგადოების აზრს ძრაობას აწყვეტინებდნენ და იძულების წესით ერთ საზომზე კრეჭდნენ. მიწათმოქმედებაში უიმედო უძრაობა გამეფდა, სამრეწველო მუშათა თანდათან მზარდ ფენებს შესაძლებლობა არ ჰქონდათ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ებრძოლათ. მშრომელი ხალხის მეგობარი ინტელიგენცია იძულებული იყო არალეგალურ მუშაობაზე გადასულიყო, მას ციმბირში ასახლებდნენ ან ემიგრაციაში წასვლა უხდებოდა, სადაც მეოცნებე-გაბოროტებულ ცხოვრებას უნდა ეწეოდა, მშობლიურ სინამდვილესთან აშკარა ურთიერთობას მოწყვეტილი. ეს კი თავის მხრივ ინტელიგენტურ აზროვნებას ამახინჯებ-

და და სქემატიზმისა და მაქსიმალიზმის გზისკენ მიმართავდა.

შემდეგ ისტორიის შემთხვევითობამ დაანგრია ხალხსა და ინტელიგენციას შორის არსებული ეს ტიხარი, ხალხისა, ვინც ამდენ ხანს პოლიტიკური აზროვნების გარეშე იმყოფებოდა და ინტელიგენციისა, რომელიც ხალხთან ან სინამდვილესთან კავშირის გარეშე ცხოვრობდა. მოდა, როცა ტიხარი უეცრივ დაინგრა, ერთმანეთისთვის ასე დიდხანს უცხოდ ქცეული ელემენტების აღრევა მომწამვლელი გამოდგა. მოხდა აფეთქება, ოღონდაც არა ის სასარგებლო აფეთქება, რომელიც მხოლოდ იმას ანგრევს, რაც ქვეყნის ნორმალურ განვითარებას აფერხებს, არამედ ისეთი, რომელმაც დიდად და ღრმად დააზიანა საზოგადოებრივი ორგანიზმის ცოცხალი ქსოვილი. და თქვენც აღმოჩნდით ბუნებრივ წარმომადგენლებად იმ რუსი ხალხისა, ვინც მიჩვეულია თვითნებობას, ვინც ასე გულუბრყვილოდ „მოელის „ყველაფერს ერთბაშად", ვისაც საწყისებიც კი არ გააჩნია გონივრული ორგანიზაციისა და შემოქმედების. რა გასაკვირია, რომ აფეთქებამ მხოლოდ ნგრევა გამოიწვია, შექმნით კი ვერარა შექმნა.

მოდა, ჭეშმარიტად სიკეთის მომტანი სასწაული ის იქნებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს შეგეცნოთ არა მხოლოდ თქვენი მარტოობა ევროპული სოციალიზმის წრეში, არამედ ისიც, რომ თქვენგან უკვე მიდის თქვენი საკუთარი მუშათა წრე, რომ არაფერი ვთქვათ სოფლის სიძულვილზე თქვენი კომუნიზმის მიმართ — შეგეცნოთ და უარი გეთქვათ ძალმობის დამღუპველ გზაზე მაგრამ ეს [illegible] და სრულად უნდა გაკეთდეს. იქნებ ჯერ კიდევ მოგდევთ საკმაო ძალა, რომ [illegible] გზაზე გადაუხვიოთ. თქვენ დაუფარავად უნდა [illegible] თქვენი შეცდომები, თქვენს ხალხთან ერთად რომ ჩაიდინეთ. მთავარი შეცდომა კი ისაა, რომ ბევრი რამ კაპიტალისტურ წყობაში თქვენ ნაადრევად გააუქმეთ და რომ სოციალიზმის შესაძლებელი ლონისძიება მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში შეიძლება გატარდეს

მთავრობებს სიცრუე ღუპავთ... იქნებ ჯერ კიდევ არაა გვიან სიმართლეს დაუბრუნდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ხალხს, ვინც ასე ბრმად გამოჰყვათ ძალადობის გზაზე, შეგნება გაეღვიძება და სიხარულით დაუბრუნდება თავისუფლებისკენ მიმავალ გზას. თუ თქვენთვის ან თქვენი მთავრობისთვის არა, თვით ქვეყნისა და მისი სოციალისტური შეგნების გაზრდისთვის იქნება ეს სასიკეთო.

მაგრამ... განა შეძლებთ კი ამას? განა უკვე გვიან არაა, ეს რომ კიდევაც მოინდომოთ?

22 სექტემბერი 1920 წელი.

□

---

**ვ. გ. კოროლენკოს** (1853—1921) წერილები ა. ვ. ლუნაჩარსკისადმი საბჭოთა კავშირში პირველად იბეჭდება. (ეს წერილები გამოქვეყნდა პარიზში 1922 წ. „ზადრუგა.") კოროლენკომ ეს წერილები პოლტავაში დაწერა 1920 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის გადმოცემით, მიწერ-მოწერის იდეა ვ. ი. ლენინს ეკუთვნოდა: „უნდა ვთხოვოთ ა. ვ. ლუნაჩარსკის მიწერ-მოწერა გამართოს მასთან: როგორც სახალხო განათლების კომისარსა და თანაც მწერალს, ეს მას უფრო ეგების" („ვ. გ. კოროლენკო თანამედროვეთა მოგონებებში". მ., 1962, გვ. 508).

როცა პოლტავაში ლუნაჩარსკიმ კოროლენკო მოინახულა, კოროლენკომ მას ექვსი წერილი გაუგზავნა, თუმცაღა პასუხი არც ერთზე არ მიუღია. თვით ლუნაჩარსკიმ 1930 წელს პროფესორ ნ. კ. პიკსანოვის შეკითხვაზე, თქვენი მიწერ-მოწერა კოროლენკოსთან, ხომ არ გამოაქვეყნოთო, პასუხად მისწერა: „რაც შეეხება კოროლენკოსთან ჩემს მიწერ-მოწერას, მისი გამოცემა არამც და არამც არ შეიძლება, ვინაიდან მიწერ-მოწერა არ ყოფილა" (რუსული ლიტერატურის ინსტიტუტი (პუშკინის სახლი);. ნ. კ. პიკსანოვის ფონდი). იმ ამბავს, რომ პასუხები არ გაუგზავნა, ლუნაჩარსკი სხვადასხვა მიზეზით ხსნიდა.

წერილები ჯერ ხელნაწერების სახით გავრცელდა, შემდეგ 1922 წელს ისინი გამომცემლობა „ზადრუგამ" დასტამბა პარიზში. საზღვარგარეთული გამოცემის ეგზემპლარი ვ. ი. ლენინის კრემლისეულ ბიბლიოთეკაში ინახება. „პრავდის" რედაქციის შეკითხვაზე (1922 წ. 24 სექტემბრის დამატება, კარი „ამხ. ლენინი დასვენების დროს"): „რით არის დაინტერესებული ვლადიმირ ილიჩი?" — გორკაში ლენინთან მყოფმა ლ. ბ. კამენევმა ასე უპასუხა: „...ახლახან გამოქვეყნებული კოროლენკოს წერილებით ლუნაჩარსკისადმი".

„ნოვი მირ". № 10, 1988

# ლიტერატურული პროცესების ერთიანობა, განსხვავება და ურთიერთგავლენა[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ელზა ახვლედიანმა

ამ თემას მიეძღვნა შეხვედრა, რომელიც მოსკოვის მწერალთა ორგანიზაციის კრიტიკოსთა და ლიტერატურათმცოდნეთა შემოქმედებითმა გაერთიანებამ მოაწყო ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ჟურნალ „ლათინური ამერიკის" თანამშრომლებთან და ავტორებთან ერთად. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: **ვლ. გუსევი, ვ. ბონდარენკო, ვ. ორლოვი, ლ. ანინსკი, ი. ტერტერიანი, დ. ურნოვი, ა. ბაიგუშევი, ვ. სილიუნასი, ვ. ზემსკოვი,** გამომცემლობა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურა"-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე **ვ. რინკევიჩი,** „ლათინური ამერიკის" რედაქციის მხრიდან მთავარი რედაქტორი **ს. მიქოიანი,** კულტურის განყოფილების რედაქტორი **ი. შატუნოვსკაია,** კორესპონდენტი **ლ. შლეიფერი.**

## ვლ. გუსევი

...ჩვენს მეოცე საუკუნეში არის ბევრი ისეთი რამ, რომლის არსებობაშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება. აქედან ერთ-ერთ მათგანს ლათინური ამერიკა ჰქვია... ამ კონტინენტთან ერთად მოიხსენიება კიდევ ერთი რამ, რომლის არსებობაშიც არ შეიძლება ასევე ეჭვის შეტანა და მას თავისუფლება ჰქვია, თავისუფლებისთვის მებრძოლი ხალხი კი მუდამ იყო ღირსი განსაკუთრებული პატივისცემისა.

დიდია ჩვენი ქვეყნის ხალხების ინტერესი ამ რეგიონისადმი... „ლათინურამერიკულში" არის რაღაც ისეთი, რაც განსაკუთრებით ახლობელია ჩვენთვის (კუბის რევოლუცია).

ჯერ კიდევ ამოუცნობია იდუმალი სიღრმეები, ჯერ კიდევ ლოგიკურად დაუსაბუთებელია ჩვენი ქვეყნის კავშირი ყოველივე იმასთან, რასაც ლათინური ამერიკა ჰქვია. მართლაცდა, თითქოს რა უნდა ჰქონდეთ მათ საერთო! საოცარია, მაშინ, როცა მე-19 საუკუნის დასაწყისში იქ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა, რუსეთის პრესა დიდ დაინტერესებას იჩენდა ამ მოვლენისადმი. კაცმა რომ თქვას, რა მისი საქმე იყო, საკუთარი პრობლემაც ბევრი ჰქონდა მოსაგვარებელი, მაგრამ მაინც იყო რელაციები „რუსკი ვესტნიკ"-ში, იყო ნ. გნედიჩის ცნობილი ლექსები „პერუელი მიმართავს ესპანელს", იყო მოწოდებები ლათინური ამერიკის ხალხების მხარდასაჭერად, იყვნენ რუსი ვოლონტიორებიც ბოლივარის ლაშქარში... დიახ, ეს ყველაფერი იყო და ელოდება სინათლეს, კონკრეტულ სახელებს...

ჟურნალი „ლათინური ამერიკა" დაარსდა 1969 წელს, იგი იგზავნება არა მხოლოდ ესპანურენოვან, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ჟურნალისადმი დიდ ინტერესს იჩენენ როგორც ახალგაზრდა, ასევე საშუალო თაობის ლიტერატორები, კრიტიკოსები...

ჟურნალის ფურცლებზე მოეწყო დისკუსია ლიტერატურათა ტიპოლოგიაზე („ლათინურამერიკული რომანი და საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა", 1988, № 1-3), ამ დისკუსიაზე ბევრი საინტერესო მოსაზრება გამოითქვა...[1]

აქ გვესწრებიან არა მარტო კრიტიკოსები, არამედ პროზაიკოსებიც. ზოგიერთი მათგანი

---

1 იბეჭდება შემოკლებით.

1 დისკუსიაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა ქართველი მწერალი თამაზ ჭილაძე (მთარგმ.).

ცნობილია ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, მათ შორის ესპანურენოვან ქვეყნებში. აქ დამსწრეთა უმრავლესობა არ არის ლათინური ამერიკის ლიტერატურის სპეციალისტი, მაგრამ გულითადად გამოეხმაურნენ ჩვენს მოწვევას. ასე რომ, დღეს ლათინურმა ამერიკამ შეგვახვედრა და დაგვაკავშირა ერთმანეთთან.

### ს. მიქოიანი

მე მოკლედ გეტყვით სათქმელს, რადგან დასასრულს ალბათ კიდევ მომიწევს გამოსვლა „დამცველის" სიტყვით, რათა ვუპასუხო კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც, ვიმედოვნებ, აქ გამოითქმება.

ჟურნალი დაარსდა 1969 წელს. პირველ ხანებში ორ თვეში ერთხელ გამოდიოდა რუსულ ენაზე. ჟურნალის პროფილიც სწორედ ამ პირველ ხანებში გამოიკვეთა პრაქტიკულად. მისი პრობლემატიკა ფართო არეს მოიცავს: პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ საკითხებს, ისტორიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურას, მხატვრობას, ქანდაკებას, არქიტექტურას, ხელოვნების ფოლკლორულ ფორმებს, ძველი ამერიკის კულტურის კვლევასა და აღმოჩენებს. მრავალფეროვანმა თემატიკამ წარმოშვა სხვადასხვა ჟანრი: ინტერვიუ, „მრგვალი მაგიდა", სხვადასხვა ხასიათის დისკუსიები. მათ კანონიერად დაიმკვიდრეს ერთ-ერთი საჩინო ადგილი ჟურნალის მუშაობაში, რამეთუ ჩვენი კვლევის საგანი სავსეა „თეთრი ლაქებით", სადავო საკითხებით, გაურკვევლობით...

მალე ჩვენი ჟურნალით დაინტერესდნენ საზღვარგარეთ, უპირველეს ყოვლისა — ლათინურ ამერიკაში. ამან კი გამოიწვია ის, რომ 1974 წლიდან ჟურნალმა უკვე ესპანურ ენაზეც დაიწყო გამოსვლა სამ თვეში ერთხელ. გაიზარდა საბჭოთა ლათინურამერიკანისტიკა. ვფიქრობ, ეს ჩვენი ჟურნალის დამსახურებაცაა, მაგრამ ამავე დროს იზრდებოდა თვით ჟურნალის დონეც — გაიზარდა ავტორთა აქტივიც, მათ შორის ლიტერატორებისაც... მოკლე ხანში გაირკვა, რომ სამთვიური ესპანური გამოცემა და ორთვიური რუსული გამოცემა ვეღარ მისდევდა კვალში ლათინურ ამერიკაში მომხდარ ძლევამოსილ მოვლენებს... ერთი სიტყვით, დადგა საკითხი ჟურნალი ერთთვიური გამხდარიყო, რათა დროულად და აქტიურად გამოხმაურებოდა ამ კონტინენტის ხალხთა ცხოვრებაში მომხდარ ძირეულ ძვრებს. ამას თხოულობდა საბჭოთა და საზღვარგარეთელი მკითხველიც. ამრიგად, 1980 წლიდან ჟურნალი გახდა ყოველთვიური და იბეჭდება რუსულ და ესპანურ ენებზე...

შორეული ლათინური ამერიკა ახლობელი გახდა ჩვენთვის განსაკუთრებით კუბის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. მას შემდეგ, რაც სოციალიზმმა შეაბიჯა ატლანტიკის მიღმა...

### ვ. ბონდარენკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არაერთხელ მითქვამს, რომ [illegible] ლიტერატურულ დისკუსიათა შორის [illegible] ხანებში საუკეთესო, შესაძლოა ერთადერთი, ნამდვილად მებრძოლური და ნამდვილად დისკუსიური დისკუსია იყო „ლათინურამერიკული რომანი და საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა", რომლის მასალებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „ლათინური ამერიკის" ფურცლებზე... კარგი იქნებოდა ლიტერატურულ ჟურნალებს ესწავლათ ისეთი გულახდილი კამათი, გადმოსდებოდათ ის ვნებათაღელვა და ცეცხლი, კამათის ყველა მონაწილის ის მოქალაქეობრივი პოზიცია, რაც ასე უხვად გადმოგვიშალა „ლათინურმა ამერიკამ".

დიახ, მე აშკარა აპოლოგეტი ვარ იმ „მრგვალი მაგიდისა", მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იქ გამოსულთა ყველა მოსაზრებას ვიზიარებ. არ ვეთანხმები, მაგალითად, იური პოკალჩუკის მტკიცებას იმის თაობაზე, თითქოსდა რუსულ პროზას თავისივე ტრადიციულობის ძალა კლავდეს. პოკალჩუკი ამბობს: რას ვიზამთ, რუსული ლიტერატურა „კვლავ ტყვეა თავისი უძლიერესი ლიტერატურული ტრადიციებისაო" და ამიტომაც ახალი ოსტატების ახალი ნაწარმოებები ეპიგონობა თუ არა — ამ სიტყვისა, ეტყობა, შეეშინდა პოკალჩუკს, — „ამავე ლიტერატურის ტრადიციების გაგრძელება" მაინც არისო. იგი „თანამედროვე მსოფლიო პროზის მოვლენებზე" ლაპარაკისას იხსენიებს „თეთრ ხომალდს", „...და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე", „დათა თუთაშხიას", რაც შეეხება ბონდარევს, ბელოვს, რასპუტინს, ასტაფიევს, შუკშინს, ტენდრიაკოვს, — გამოდის, რომ ისინი „გამგრძელებლები" არიან და „თანამედროვე მსოფლიო პროზის მოვლენებამდე" — აითმატოვსა და ამირეჯიბამდე — ხელი ვერ მიუწვდებათ. არა მგონია, ამ უკანასკნელთ გაუხარდეთ ასეთი საეჭვო შექება რუსული პროზის ხარჯზე. გამაკვირვა აგრეთვე იმანაც, რომ კოვალჩუკის მოსაზრებას, — „დღესდღეობით საბჭოთა კავშირში მხოლოდ არარუსი ხალხის ლიტერატურულ ცხოვრებაში ხდება საინტერესო მოვლენებიო" — დავა არ გამოუწვევია. ნუთუ ყველას ასე მიაჩნია? არ იფიქროთ იმიტომ შემტკივა გული, რომ „ჩემიანებზეა" ლაპარაკი. კოვალჩუკი, რა თქმა უნდა, ავტორებს „რუსულობისთვის" არ საყვედურობს. მისი მსჯელობის ლოგიკის მიხედვით ასევე შეიძლება გავაკრიტიკოთ უკრაინელი, ქართველი, ესტონელი პროზაიკოსები, ყველანი, ვინც მიმ-

ქვება ძველ ლიტერატურულ ტრადიციებს და „დაჩქარებული ტემპით" არ ითქვიფებიან მხო[illegible]რატურის დღევანდელი გამოცდილების ერთიან „კულტურულ სინკრეტიზმში". იქნებ ეს მოსაზრება იმის შედეგია, რომ საკმარისად არ ვიცნობთ სხვა ლიტერატურათა ეროვნულ ტრადიციებს? როცა არ იცი სხვა ქვეყნების, კონტინენტების ეროვნული კულტურა, გეჩვენება, რომ რუსულ ლიტერატურულ ტრადიციას აღარ ძალუძს რაიმე ახალი შექმნას, აი, უტრადიციოდ კი შეიძლება. რა გამოდის, სხვა ქვეყნებში საკუთარი ტრადიციები არ ჰქონდათ?

სადავოდ მიმაჩნია იმის მტკიცებაც, თითქოს არსებობდეს რაღაც ერთი რუსული ლიტერატურული ტრადიცია. ნუთუ გოგოლი და სალტიკოვ-შჩედრინი, ნეკრასოვი და ფეტი, დოსტოევსკი და ჩეხოვი, ბლოკი და მაიაკოვსკი ბუნინი და ხლებნიკოვი, შოლოხოვი და ბულგაკოვი, პაუსტოვსკი და პლატონოვი, დავიჯეროთ, ნახევარი საუკუნე იმისათვის წერდნენ, რომ — მართალია, გამორჩეული და ძლიერი, მაგრამ მაინც ერთი „ახლისანი" ყოფილიყვნენ? ნუთუ ისინი სიამის ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს, რომელთა დაშორიშორებაც შეუძლებელი იყო? ჰოდა, მოვიდა აგერ ქართველი ამირეჯიბი, მიაფურთხა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. მოახდინა „დაჩქარებული განვითარების პროცესი" და ამის შედეგად შექმნა „დათა თუთაშხია" — „ლიტერატურული ფენომენი". როგორ შეიძლება ახალი ლიტერატურის განვითარების იდეა ამირეჯიბის ან ჰრანტ მათევოსიანის მაგალითით დაასაბუთო?!

ჩემი აზრით, ლათინური ამერიკის ლიტერატურა ისეთივე ტრადიციული ლიტერატურაა, როგორც რუსული, სომხური, უკრაინული ან ფრანგული, ინგლისური, გერმანული. ყველა ლიტერატურას აქვს ბევრი საერთო ნიშან-თვისება, მაგრამ ყველა ლიტერატურას აქვს სწორედ რომ თავისი მყარი ტრადიცია და ჩვენც უნდა ვეცადოთ გავარკვიოთ ამ ტრადიციების ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთშეღწევა; უნდა გავარკვიოთ, მართლა რითი ჰგავს მაგალითად, ლათინურამერიკული ლიტერატურა და რუსული ლიტერატურა ერთმანეთს.

ვიმედოვნებ, რომ მხოლოდ ლიტერატურული მოდა არ არის მთავარი. ასე ვთქვათ, ჰემინგუეის, ფოლკნერის, გარსია მარკესის მოდა... ნამდვილად კარგი მწერლები არიან, მაგრამ აბა თქვი დღეს სადმე „ელიტურ" წრეში, რა კარგია ჰემინგუეი, რა ძლიერი და ორიგინალურიო, და მაშინვე სიცილს დაგაყრიან: რა დროს ჰემინგუეია, შენ რა, ჭურში ზიხარ, დღევანდელი კერპი ხომ გარსია მარკესიაო? მაშასადამე, გავა კიდევ ათიოდე წელიწადი და მარკესიც გადავა მოდიდან! დღეს კი „მრგვალი მაგიდის" ზოგი მონაწილე ლამის მთელ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას მარკესის შემოქმედებას უკავშირებს [illegible] ეს იქნება აითმატოვი, მათევოსიანი, [illegible] ამირეჯიბი, რასპუტინი თუ ოთ. ჭილაძე.

მე გული შემტკივა ისევ არა ჩვენი ლიტერატურის გამო, არამედ თვით გარსია მარკესის გამო, რომელსაც, არა მგონია, ასეთი ქათინაურები მოეწონოს. ცუდია, როცა მწერალი ბრბოს კერპი ხდება. ჩემი აზრით, კერპების ადგილი მასობრივ კულტურაში — სპორტში უნდა იყოს და არა ნამდვილ ხელოვნებაში. „კერპობამ" თავის დროზე დიდად დააზარალა ევტუშენკოსა და ანდრ. ვოზნესენსკის შემოქმედება. ლიტერატურაში შემოტანილი ამ სნეულების კვალი დღესაც ამჩნევია ამ ორი საკმაოდ პოპულარული შემოქმედის ნაწარმოებებს. მათ შემოქმედებასაც უკავშირებდნენ 70-იანი წლების ახალ პოეზიას, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ჩვენს ლიტერატურულ პროცესზე მათი რეალური გავლენა ძალზე გაზვიადებული იყო. ვოზნესენსკი თავის შესანიშნავ მოგონებებში პასტერნაკზე წერს: მახსოვს, ჯერ კიდევ მთლად ახალგაზრდა, რა კრძალვითა და სულათრთოლებული მივდიოდი ჩემს ნამდვილ მასწავლებელთან ლექსებით ხელში. ძველ ოსტატებს მართლაც რომ ჰქონდათ ნაღდი „არავარსკვლავური" ავტორიტეტი! დღეს კი წავა რომელიმე ახალგაზრდა პოეტი ასეთი სულათრთოლებული ვოზნესენსკისთან? სამწუხაროდ, ვეჭვობ. კერპი ვერ იქნება სულიერი აღმზრდელი.

მე ასე მგონია, თვით ლათინოამერიკანისტმა ლიტმცოდნეებმა შექმნეს კერპი გარსია მარკესისაგან და ცდილობენ გამოჩხრიკონ მისი გავლენა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. მათდა სამწუხაროდ, იმ „მრგვალ მაგიდაში" მონაწილეობდნენ ის პროზაიკოსებიც, რომლებიც ვითომდა ლათინური ამერიკის მწერლებზე არიან დამოკიდებული. მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე რუსული ლიტერატურული პროცესის კარგი მცოდნე კრიტიკოსებიც. ჰოდა, სწორედ მაშინ არ გაუმართლდათ ლათინოამერიკანისტებს: როდესაც ვ. ზემსკოვმა გამოთქვა აზრი, არსებობს „ღრმა სიახლოვეო", როდესაც მას მხარი აუბა ლიტველმა კრიტიკოსმა ვ. კუბილიუსმაც, ამ დროს სიტყვა მოითხოვა მწერალმა ოთარ ჭილაძემ. მან თქვა: „მეტისმეტად ხომ არ ვაზვიადებთ ლათინურამერიკული რომანის მნიშვნელობას?" არის ნიჭიერი მწერალი გარსია მარკესი, მაგრამ საჭიროა განა იგი შევადაროთ მათევოსიანს? მე დავუმატებ: ხომ

არ ვურევთ ერთმანეთში გავლენას მწერალზე და გავლენას მკითხველზე? ლათინურამერიკული ლიტერატურა ხომ ძალზე პოპულარულია საბჭოთა მკითხველებში, მწერლებზე გავლენას კი, როგორც არ უნდა მოინდომოს, იგი ვერ მოახდენს, ყოველ შემთხვევაში ხუთ-ექვს წელიწადზე ადრე მაინც. „პატრიარქის შემოდგომით" დამოძღვრილი ახალგაზრდა მწერლები ჯერ როდის გამოაქვეყნებენ თავიანთ ნაწარმოებებს! იმ „მრგვალი მაგიდიდან" მახსენდება კიდევ მოკლე დიალოგები. ვ. ორლოვი: „ლათინურამერიკელმა მწერლებმა მე პირადად არაფერი შემმატეს". ლ. ანინსკი: "...ლათინურამერიკული გავლენა როგორღაც არ შეიმჩნევა ესტონურ ლიტერატურაში". ვ. ზემსკოვი: „ეს ყველამ იცის"...

ძალზე განსხვავებული გეოგრაფიული, ისტორიული, ესთეტიკური და, თუ გნებავთ, ყოფითი ეთიკური პირობების გამოც ყოვლად შეუძლებელია კორტასარის, ბორხესის, გარსია მარკესისა და კარპენტიერის კითხვისას მიღებულმა ყველაზე ძლიერმა შთაბეჭდილებამაც კი გავლენა მოახდინოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებაზე. მიბაძვა? — რამდენიც გნებავთ! ამის შესანიშნავი მაგალითია ევგ. ევტუშენკოს რომანი «Ягодные места». მაგრამ გავლენის მოსახდენად, ჩემი აზრით, მარტო ესთეტიკური შთაბეჭდილება არ არის საკმარისი. აუცილებელია სოციალური, სულიერი, ისტორიული სიახლოვე. ლათინოამერიკანისტებისა და კრიტიკოსების მტკიცებას ამ ლიტერატორების სასურველი სიახლოვის შესახებ თვითონ მწერლები გამოეხმაურნენ. ა. კიმი: „...მე ვეთანხმები ორლოვს. რა საჭიროა თანამედროვე ლათინურამერიკული ლიტერატურის ასერიგად გაზვიადება?" და კიდევ ერთი უფრო გამოკვეთილი გამონათქვამი: „...მართალი გითხრათ, „მარტოობის ასმა წელიწადმა" მტანჯველი შთაბეჭდილება, რაღაცნაირი მტანჯველი მუსიკალური კვალი დამიტოვა წაკითხვის შემდეგ..."

საინტერესოა თვით დისკუსიის დრამატურგიული ქარგა. დასაწყისში ლათინოამერიკანისტები ყველანი შეთანხმებულად ირწმუნებოდნენ თავიანთი სამეურვეო მწერლების საყოველთაო გავლენაზე, შემდეგ მწერლებმა გაილაშქრეს არა ლათინურამერიკელ პროზაიკოსების წინააღმდეგ, არამედ მათი სიახლოვის შესახებ გამოგონილი მითის წინააღმდეგ, ბოლოს კი ლათინოამერიკანისტები იძულებული გახდნენ თავი ემართლებინათ ლათინური ამერიკის ქვეყნებში გამეფებული ცხოვრების თავისებურებებითა და მათი აღქმის სირთულით. იგივე ზემსკოვი, რომელიც თავის სამეურვეო მწერლების გავლენას ლამის ყველგან ამჩნევდა, ახლა უცებ აცხადებს: „...ლათინური ამერიკის მწერალთა აღქმას შეიძლება ხელი შეუშალოს ჩვენს კულტურაში საკუთარი გამოცდილების საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ტრადიციულმა მწერლურმა სტერეოტიპმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დამრიგებლური, სინდისის ქენჯნით გამოხატული თემა და თანაგრძნობის ელემენტები. ეს „გარეგნობა" რუსულ კლასიკაში, რა თქმა უნდა, დაკავშირებულია ქრისტიანულ-რუსოისტულ შეხედულებებთან. არაფერი ამდაგვარი არ არის ლათინურამერიკულ რომანში. მისი შემქმნელები სხვა გაგების ადამიანები არიან". მაშ, რა მოხდა? დისკუსიის დასაწყისში რასაც გვიმტკიცებდა ზემსკოვი, ახლა პირიქით, იმის საწინააღმდეგოს ამბობს და უკვე „გარსია მარკესის აღქმაც უძნელდებათ მწერლებს (მხედველობაში გვყავს დისკუსიაში მონაწილე მწერლები) იმის გამო, რომ სიცილს არა ვართ დაჩვეული ჩვენს ლიტერატურაში". აქ უკვე სრული უთანხმოება გამოჩნდა ორლოვთან, კიმთან, ჭილაძესთან, კარიაკინთან, ანინსკისთან. მათ ერთ-ორ ლათინურამერიკელ მწერალს, მართალია, მაღალი შეფასება მისცეს, მაგრამ ისიც დასძინეს, ვერავითარ „მსოფლიო ფენომენს" ვერ ვხედავთ, რომელსაც გინდა თუ არ გინდა ყველამ მხარი უნდა უსწოროსო...

არ დავმალავ, ყველაზე მეტად გამახარა იმან, რომ დისკუსია მიმდინარეობდა არა წინასწარ მოფიქრებული გეგმით, არამედ ჩვენი ყოფიდან, ჩვენი რეალური ლიტერატურიდან გამომდინარე ასევე რეალური და ორგანული დინებით. სწორედ ამიტომაც მიმაჩნია მნიშვნელოვნად ის მიზანი, რისთვისაც აქ შევიკრიბეთ. ბოლოს და ბოლოს მართლაც საინტერესოა, რა გვაქვს საერთო ჩვენ და ლათინურამერიკელ მწერლებს.

საერთო გვაქვს ცხოვრების რეალურობა, ლიტერატურის რეალურობა. ნამდვილი მწერლისათვის ცოტაა წარსულის გაცოცხლება. იგი ისწრაფვის ჩასწვდეს აწმყოს, გაერკვეს დროის ყოველ ბუნდოვანებაში, გამოხატოს თანამედროვე აზროვნება და მსოფლშეგრძნება, ხოლო რადგანაც იგი დღევანდელ მოვლენებში ცდილობს გაერკვეს სუბიექტური ლოგიკის კანონებით, ამიტომ რეალური ლიტერატურა სავსეა წინააღმდეგობებით. შესაძლოა, სწორედ ეს არის ლიტერატურის გაგების საერთო ფაქტორი. სულიერი აზროვნება რუსეთში ძველი დროიდან ვითარდებოდა ქვეყნისათვის ორგანული ორი უძლიერესი მიმართულებით: ნიკონისა და ავაკუმის, დასავლეთელებისა და სლავოფილების, ესენინისა და მაიაკოვსკის მიმართულებით და ა. შ. არქაისტების ადგილს იკავებდნენ ნოვატორები, შემდეგ მოდიოდნენ კვლავ ახალი არქაისტები და კვლავ ახალი ნოვატორები. ნამდვილი დაჯგუფება კი ლიტერატურაში იგივე

რჩებოდა: რეალური და მოგონილი. მოგონილი ყოველთვის ერთფეროვანია, ყოველთვის არაკრიტიკაბელურია, ყოველთვის თხოულობს დაცვასა და მფარველობას. რეალურს არ ეშინია კრიტიკისა, საკამათოა ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან, საკამათოა საკუთარ თავთან. მაგრამ სწორედ მას შეუძლია დროის ნამდვილი შეფასება მაშინ, როცა სხვები დუმან. დღეს ბევრი დავობს, ბევრს აკრიტიკებენ, ვთქვათ, მაკანინსა და კიმს, კრუპინსა და კირეევს, მაგრამ სამაგიეროდ, სრული თანხმობაა ვ. პოვოლიაევის პროზის შეფასებისას.

იქნებ ასეა ლათინურამერიკულ რეალურ პროზაშიც? იქნებ კიდევ არის ერთი მითი მის მწერლებზე — როგორც რაღაც ერთიანზე? ჩამოთვლიან უამრავ ლათინურამერიკელ პროზაიკოსს—ყოველთვის ერთი და იგივეს—და გონიერი მკითხველიც ფიქრობს, ნეტავ რა აქვთ საერთო გარსია მარკესსა და ამადუს, ოტერო სილვასა და ბორხესს, ვარგას ლიოსასა და რო ბასტოსს? ისინი ხომ ძალზე ხშირად არათუ არა გვვანან ერთმანეთს, პირიქით, საწინააღმდეგონიც კი არიან ერთმანეთისა. ერთ მთლიანურში ასეთ წინააღმდეგობებს დღეს ჩვენ ვხვდებით „ორმოცწლიანთა“ ნეორეალისტების მოსკოვის სკოლაში... ლათინურამერიკული ლიტერატურა და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაც ეძიებენ ცხოვრების მაჯისცემას. როგორი სიტუაციაა ლათინურ ამერიკაში საერთოდ და არა მხოლოდ ლიტერატურაში? ინგრევა მსოფლშეგრძნების ძველი სტერეოტიპები. ჯერჯერობით ისტორიის ბევრ სახელმძღვანელოში მხარს უჭერენ ევროპოცენტრისტულ თვალთახედვას. იშვიათად იხსენიება იაპონია, აშშ და რუსეთი. სამაგიეროდ დიდი ადგილი უჭირავს ძველ საბერძნეთს, რომს, შუა საუკუნეების ევროპას, აღორძინების ხანას, ბურჟუაზიულ რევოლუციებს, ცოტა აზიას, ცოტაც ამერიკას. და, აი, უცებ დღეს ამ ძველისძველ სტერეოტიპებს ანგრევენ ახალი რეგიონები, ფარდას ხდიან კიდევ უფრო უზარმაზარ სამყაროს: აცტეკებს, ინკებს, უძველეს აფრიკულ ცივილიზაციებს, ჩინეთს, დიდ მონგოლებს. ამრიგად, წინათ უცნობი ქვეყნების დღევანდელი მტკიცე ნაბიჯი გვაიძულებს შესწორება შევიტანოთ მსოფლიო ისტორიაში...

ბუნებრივია, ახალი რეგიონების მწერლებსაც მოაკლდათ ძველი სტერეოტიპები — ევროპული ლიტერატურის მშვენიერი კლასიკური სტერეოტიპები. ახალი დროება ახალ სტერეოტიპებს ამკვიდრებს ლიტერატურაში. ნუ შეგვეშინდება ამ სიტყვისა, სტერეოტიპების გარეშე არ შეიძლება! არ მოიპოვება მწერალი, თვით დოსტოევსკიდან დაწყებული გარსია მარკესამდე დამთავრებული, რომელსაც ესა თუ ის სტერეოტიპი არ ჰყოლია. სხვა საქმეა, რომ ახალი სტერეოტიპის მოძებნა უფრო ძნელია ცხოვრებაში, ვიდრე თავად ცხოვრება წარსულის შესანიშნავ სტერეოტიპთა შორის. ლათინურმა ამერიკამ თავისი ყოფითაც და ლიტერატურითაც ქვეყნიერებას მოუტანა წარმოდგენა ჩვენთვის ახალ სტერეოტიპებზე. აი, სწორედ აქ შეიძლება აღმოვაჩინოთ კავშირი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურასთან, რადგანაც ჩვენი საუკეთესო მწერლებიც ანგრევენ — იქნებ ოდნავ თავისებურად, მაგრამ კანონზომიერად ყოველ შემთხვევაში, მშვენიერად გამოხატულ — ძველ სტერეოტიპებს და ეძიებენ რაღაც ახალს. რა თქმა უნდა, ამ ძიებას თან ახლავს წაფორხილება, შეცდომები, მაგრამ, რაც მთავარია, იკვეთება თანამედროვე ცხოვრების მაჯისცემისაკენ სწრაფვა. ის იყო, ახალგაზრდებს რასპუტინის მიხედვით დავუწყეთ სწავლება, ასე ტრადიციულად უნდა წერა-თქო, რომ ვხედავთ, თვით რასპუტინმა თავის ახალ მოთხრობებში უარყო მასალისადმი ძველი მიდგომა. მან კარგად იცის, რომ აღარსადაა ძველი სოფელი და ძველი გმირები, ძველი ყოფის სტერეოტიპები თანდათან ქრებიან. ლათინურამერიკელი მწერლებივით — ოღონდ არა მათგან ნასწავლის წყალობით, არამედ ჭეშმარიტი ნიჭის საყოველთაო ნათესაობის წყალობით, რასპუტინიც მოვიდა რაღაც ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი სურვილით ატანილი: თავისი სიტყვა თქვას ახალ ცხოვრებაზე, შექმნას „ახალი გმირი ახალი ზნეობრივი შეხედულებებით“.

ახალი გმირისაკენ პირველად „ორმოცწლიანი“ პროზაიკოსები „გაიჭრნენ“! ისინი თავიანთი გმირების ტოლსწორნი არიან. ამ მწერალთა გაბედულება მიუხედავად არაერთი განსხვავებისა, — ახლოა ლათინურამერიკელ მწერალთა გაბედულებასთან. ეს გაბედულება არის აქამდე ჩვეული სტილის, თემისა და გმირების გადალახვა, ეროვნული ლიტერატურის ყველაზე განსხვავებული ტრადიციების შემდგომი აყვავება. ეს გაბედულება არის დროებითი მარტოობა და ვერგაგება...

არა და არ სურთ ძველებიდან მავანთ და მავანთ აღიარონ ლათინურ ამერიკაში მომხდარი უმთავრესი თუ არა, მნიშვნელოვანი პროცესები მაინც. იგი ხომ ჯერაც მსოფლიოს „უკანა ეზოდ“ მიაჩნიათ: მადლობა ღმერთს, ქვეყნად ჯერ კიდევ არის ბრიტანული ლომი და ძველ სტერეოტიპთა ერთი-ორი წარმომადგენელი მაინც. ისტორიის გუშინდელი კატალიზატორი აშშ თანდათან გადადის ძველ სტერეოტიპებში, იგი არც ცდილობს გადააფასოს თავისი მდგომარეობა მსოფლიოში. ჩაეჭიდო ძველსა და დრომოჭმულს, უარი თქვა ყოველგვარ სიახლეზე — უაზრობაა. მსოფლიოს ყველა დიდი მწერალი იმით გვავს ერთმანეთს, რომ ყოველთვის პირველები აღმოაჩენენ ხოლმე ცხოვრებისეულ სტერეოტიპებს, ცხოვრების ახალ მაჯისცემას. ვფიქრობ, სწორედ ეს აერთიანებს დღევანდელი შეხვედრის მონაწილე მწერლ-

ებსა და კრიტიკოსებს ჟურნალ „ლათინურ ამერიკასთანაც“.

რ. ქირეევი, რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ჩემთვის „ლათინური ამერიკა“ არის ერთ-ერთი საინტერესო ლიტერატურულ-კრიტიკული ჟურნალი. საქმე მხოლოდ მაღალპროფესიული დონე როდია, რომელსაც მის ფურცლებზე ვხვდებით, არც ამ დისკუსიების დროულობა და სითამამეა. პირადად მე ჟურნალი საშუალებას მძლევს—მწერალი კაცისათვის ძალზე საჭიროსა და მნიშვნელოვანს — როგორღაც შორიდან გავავლო თვალი, რა ხდება საბჭოთა ლიტერატურაში. მე ხაზს ვუსვამ: არა ლათინური ამერიკის რეგიონის ლიტერატურაში, რაც, რა თქმა უნდა, ძალზე საინტერესოა, არამედ სწორედ ჩვენს ლიტერატურაში.

მაგალითად, ბევრი სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა ჩვენში ჩინგიზ აითმატოვის რომანზე „...და დღე იყო უფრო გრძელი წუთისოფელზე“, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტად ამ წიგნის თაობაზე სწორედ „ლათინური ამერიკის“ ფურცლებზე ითქვა და ითქვა ლევ ანინსკის მიერ.

გასაგებია, რაკი ჟურნალმა, რომელიც ლათინური ამერიკის პრობლემებს განიხილავს, სასწრაფოდ მოაწყო დისკუსია, მაშასადამე, აქ იმსჯელებენ მიმდინარე საბჭოთა ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურასთან და უპირველესად, ლათინური ამერიკის ლიტერატურასთან მიმართებაში. ეს არ არის უბრალო ფორმალობა. თუ კარგად დავუკვირდებით, შეიძლება საოცარი მსგავსება და ურთიერთკავშირიც აღმოვაჩინოთ.

ერთ-ერთ ჩემს სტატიაში ვცდილობდი გამერკვია, რატომ შესუსტდა სიყვარულის თემისადმი ინტერესი ჩვენს თანამედროვე პროზაში. მიზეზი ბევრია, მაგრამ ამ მიზეზებზე ლაპარაკისას არ შემიძლია არ გავიხსენო ინა ტერტერიანის გამონათქვამი „ლათინურ ამერიკაში“ მოწყობილ დისკუსიაზე: „ლათინური ამერიკის რომანის გამოცდილება და მსოფლიო ლიტერატურა“ (№ 5, 6. 1986 წ). „ლათინურამერიკულ რომანში სიყვარული ძალიან ცოტაა, ასე მაგალითად: მარიო ვარგას ლიოსას „დეიდა ხულია და მოკალმეში“, გაბრიელ გარსია მარკესის „წინასწარ გამოცხადებულ სიკვდილის ქრონიკაში“, კორტასარის ნაწარმოებებში მხოლოდ წყურვილია სიყვარულისა, ხოლო ონეტის ნაწარმოებებში — სრული შეუძლებლობა სიყვარულისა“.

წყურვილი სიყვარულისა და შეუძლებლობა სიყვარულისა... ეს სიტყვები შეიძლება მივუსადაგოთ ჩვენი მწერლების არაერთ ნაწარმოებსაც, თუმცა ამ მოვლენას სხვადასხვა მიზეზი გააჩნია. მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ეს არ არის შემთხვევითი ამბავი ან მოულოდნელი რაღაც. ისევე როგორც არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი ლათინური ამერიკის რომანისა და თანამედროვე საბჭოთა პროზის შედარებითი ანალიზის დაყენებული ცდები.

ვფიქრობ, ჩვენი ლიტერატურების მსგავსება მხოლოდ სასიყვარულო კოლიზიების სიმწირით არ ამოიწურება (აქ სასიყვარულო სექსზე არ ვლაპარაკობთ). ეს მსგავსება-დამთხვევა უფრო ფართოა და ღრმა. ამასთან ლიტერატურათა მსგავსება, — თუკი ეს, უბრალოდ, ეპიგონობა არ არის, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვხვდებით, — უცილობლად იწვევს რეალურობის განსაზღვრულ მსგავსებასაც. აი, რატომ მაინტერესებს მე ლათინური ამერიკის ლიტერატურა და არა მხოლოდ როგორც ჩემთვის უცნობი ცხოვრების მხატვრული აღწერა, არა მხოლოდ როგორც აშკარა ესთეტიკური ფენომენი, არამედ როგორც საბუთი ეპოქისა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, გარსია მარკესის, მარიო ვარგას ლიოსას ან კორტასარის კითხვისას მე ვხედავ არა მარტო კოლუმბიას, პერუს ან არგენტინას, არამედ მთელ უზარმაზარ სამყაროსაც. და არა მხოლოდ თანამედროვეს... ლათინურამერიკული ლიტერატურა ძალზე საინტერესო და დიდი ლიტერატურაა, მაგრამ ახალ, ძირეულ აღმოჩენებს მე მისგან მაინც არ ველი. რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, თუ ჩემი პროგნოზი — არა სპეციალისტის, არამედ მხოლოდ მკითხველის და თანაც მადლიერი მკითხველის პროგნოზი — მცდარი აღმოჩნდება.

ლევ ანინსკი. სანამ ლათინურამერიკელი მწერლების ერთი-ორი წიგნი მქონდა წაკითხული, მეტისმეტად გაბედულად ვმსჯელობდი მათზე, მაგრამ როცა ამ რეგიონის ლიტმცოდნეების დახმარებით გავიგე, რამდენი რამ არ ვიცოდი თურმე, შემეშინდა. და აი, ამ შიშში ვარ დღემდე. ლათინურამერიკულმა კულტურამ მოგვცა არა „ერთი-ორი წიგნი“ და არა ერთი-ორი დიდი მწერალი, არამედ მან შექმნა საკუთრივ თავისი უზარმაზარი სულიერი კოსმოსი. როგორ შემოვხვიოთ მას ხელი? როგორ შევხოთ? რისკი დიდია: ან ვერაფერს გავუგებთ, ან... მთელი ცხოვრება უკვალოდ უნდა ჩავკარგოთ შიგ. მაპატიეთ ეს ანალოგია, მაგრამ აქ „ერთი ღამე“ არ გეყოფა, აქ „კანონიერი ქორწინებაა“ საჭირო. და როდესაც ამას მივხვდი, მართლაც შემეშინდა: შემეშინდა განსჯისა. ჩვენ წინაშეა ლიტერატურა, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, თავისი კანონები, თავისი ტრაგედია და თავისი გამოცდილება აქვს ამ ტრაგედიაში, ის ფაქტი კი, რომ ჩვენს ლიტერატურულ ასპარეზზე ჩამოვარდა იქიდან წამოსული ორი-სამი გავარვარებული ქვა, — უკვე ჩვენი ბიოგრაფიის ნაწილია...

დარწმუნებული ვარ ყველაზე საინტერესო ამბები ხდება კონტაქტების, სხვადასხვა სულიერი სამყაროს შეხებისა და ურთიერთდაპირის-

პირებისას. სწორედ აქ ირკვევა ჭეშმარიტება, სწორედ აქ ხდება სულის გადაშლა. რუსული ლიტერატურა წარმოიშვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეხების წერტილში. ჩვენ ვსწავლობდით ბიზანტიისაგან, მერე ევროპისაგან. იყო პერიოდი, როცა ჩვენ მხოლოდ ვსწავლობდით. ცუდს ვერაფერს ვხედავ აქ. გარკვეულწილად ჩემთვის არ წარმოადგენს არსებითს, ვინ „შეგვინთო ცეცხლი". კრილოვი სწორედ იმიტომ არის დიდი, რომ მან ბევრი რამ გააკეთა რუსული აზროვნებისათვის, ხოლო ის ფაქტი, რომ ლაფონტენმა „შეუნთო ცეცხლი", შეგვიძლია სადმე ჩავინიშნოთ მხოლოდ. ბაირონმა ლერმონტოვს „შეუნთო ცეცხლი", ფილოსოფიაში გერმანელებმა შეგვინთეს ცეცხლი. ეს უკვე ჩვენი ბიოგრაფიაა, ჩვენთვის ბუნებრივი პროცესია.

ამიტომაც მე სულაც არ მაინტერესებს, პირველმა ვინ „ნახა" იქ რაღაცა და ვინ ვისგან „ისწავლა" რამე ან ახლანდელი ჩვენი მწერლებიდან ვინ რა იპოვა და გადმოიღო გარსია მარკესისა, ეს „ბატონმა ლიტერატორებმა" გაარკვიონ. ისინი კამათობენ, არის თუ არა კარგი მწერალი გარსია მარკესი... კარგა ხნის წინ როზანოვმა თქვა: რუსული ლიტერატურა სულს დაფავდა იმის გამო, რომ მტანჯველი ფიქრი არ შორდებოდა, „კარგად" ვწერ თუ „ცუდადო"? რა ამაოებაა!.. არსებობს პრაქტიკული მიმართულების სფერო, არსებობს მდგომარეობის სიმართლე, ბედის სიმართლე, ხოლო „ცუდად" არის ეს დაწერილი თუ „კარგად", დაე მომავალი თაობის მკითხველმა განსაზღვროს. ჯერ იტყვიან: „კარგია", მერე იტყვიან: „ცუდია", მერე ისევ „კარგია" და ა. შ. რამდენჯერ დაივიწყეს ტიუტჩევი! რამდენჯერ აღადგინეს! ამიხსენით, ბოლოს და ბოლოს როგორ წერდა ის, ცუდად თუ კარგად? იქნებ სულაც არ აქვს ამას მნიშვნელობა. მეიგიგუდინი თქვა დოსტოევსკიზე, არ მესმის, როგორ შეიძლება ასე ცუდად, ასე მეტისმეტად ცუდად წერო და მაინც ასე საჭირო იყო ცხოვრებაშიო... მე ვიცი, ე. ევტუშენკომ ვისგან აიღო და რა აიღო თავისი „Ягодные места"-სთვის, მაგრამ მე რომ ეს რომანი არ მომწონს, არ მომწონს არა იმიტომ, რომ ავტორმა ლათინურამერიკულიდან აიღო „არა ის" (ან „ის"), არამედ იმიტომ, რომ არ იგრძნობა საკუთარი მსოფლკონცეფცია. ეს კი სულ სხვა რამ არის. ვინ ვისგან რა ისწავლა და როდის ისწავლა, ეს მწერლის პროფესიული საქმეა და ამაზე ხალხი დიდხანს არ ილაპარაკებს...

გარსია მარკესის წიგნებში ჩვენ ვეძებთ არა „კარგ წასაკითხს", არამედ სულიერ გამოცდილებას. ეს არ არის წიგნის შეხვედრა წიგნთან. ეს არის გამოცდილების შეხვედრა გამოცდილებასთან, ტრაგედიის შეხვედრა ტრაგედიასთან. რუსეთმა, უფრო სწორად, მრავალეროვანმა კულტურულმა რეგიონმა ნახევარი საუკუნის მანძილზე სამი რევოლუცია და ორი მსოფლიო ომი გადაიტანა. მეტისმეტია ერთი ცხოვრებისთვის, მაგრამ რას იზამ, სამაგიეროდ ხელოვნებასა და ლიტერატურას ასეთი დრამატული პერიოდები საუკეთესოდ ასაზრდოებენ და საუკუნეთა ნაყოფსაც ისხამენ...

და აი, ლათინურ ამერიკაში მოიფრქვა ისტორიის ვულკანი და ჩვენამდე მოაღწია ამ კონტინენტის კულტურის ცეცხლოვანმა ალმა...— გარსია მარკესის სამყაროში გამეფებულმა მოშნუსხველმა დღესასწაულებმა და კატასტროფებმა...

ვ. ორლოვი. ...დღევანდელი ჩვენი შეხვედრა თითქოს დისკუსიური კი არა, უფრო ინფორმაციულია. და მაინც მინდა გამოვთქვა აზრი იმ გამოსვლებზე, რომელთაც მე არ ვეთანხმები. რუსლან კირეევის აზრით, ლათინურამერიკულმა ლიტერატურამ ისევე ამოწურა თავისი თავი, როგორც ტრადიციულმა რომანმა. ჩემი აზრით კი, ყველაფერი დამოკიდებულია შემოქმედზე, ნიჭზე, პიროვნებაზე, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურაში არსებობენ. შეიძლება რომელიმე ჟანრული ძიება „დაიღალოს", შეიძლება ადამიანებს აღარ აღელვებდეთ ესა თუ ის პრობლემა, თემა, სიტუაცია, მაგრამ თუკი არსებობენ ძლიერი ლიტერატურული პიროვნებები, თუკი არის ისტორიის მოძრაობა, რომელსაც ეს პიროვნებები გაითავისებენ, მაშინ ლიტერატურა არ „დაიღლება" და არც დაილევა. ლათინური ამერიკის პროზაში დღეს სწორედ ახეთი პიროვნებები მოვიდნენ და ვფიქრობ, რომ კიდევ მოვლენ ახალი ტალანტები. და მოვლენ თვით ლათინური ამერიკისთვისაც მოულოდნელად.

ერთი რამ კიდევ მინდა დავუმატო. ვინ თქვა, რომ ლათინურამერიკულ პროზაში არ არის სიყვარული? არის, მაგალითად, კარპენტიერის „წმიდათაწმიდა გაზაფხულში". ვარგას ლიოსასაც აქვს.

ი. შატუნოვსკაია. ჟურნალში გამართულ დისკუსიაზე თქვენ თქვით, რომ ძირითადად წაკითხული გაქვთ კორტასარი და ვარგას ლიოსა, და ისიც თქვით, რომ მომავალში უფრო გულდასმით ჩაუჯდებოდით ლათინურამერიკულ ლიტერატურას.

ვ. ორლოვი. ახლაც არის. ჩვენი გამომცემლობების წყალობით ლათინური ამერიკის ლიტერატურა ხელმისაწვდომია ყველასათვის. წავიკითხე კარპენტიერის, ონეტის, ბორხესის თითქმის ყველა წიგნი და მივხვდი, რომ ლათინური ამერიკის პროზა გიპყრობს არა მარტო ჩვენთვის უცნობი მხარისა და კულტურის უბრალო გაცნობით, არა მხოლოდ სამყაროს მისეული განსაკუთრებული ალქმითა და შეხედულებით, არამედ იმით, რომ ავტორთა უმრავლესობა უმ-

ალური რანგის ოსტატები, შესანიშნავი მწერლები არიან, ხშირად ცხოვრებისეულ სიმძიმეებსა და ტრაგედიებს ისინი აღწერენ განსაკუთრებული სინატიფით, მოხდენილობით, ლამის სამკაულებით რთავენ. შესაძლოა აქ მჟღავნდება ლათინურამერიკელთა საყვარელი ბაროკოსადმი... ისე არ გაიგოთ, თითქოს ლათინურამერიკულ პროზაში ყველა მწერალი კარგია, ალბათ იქ ხელოსანიც ბევრია, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი გამომცემლობები ასეთებს არ ბეჭდავენ.

ს. მიქოიანი. წინა გამოსვლაში თქვენ, მგონი, უარყოფდით ლათინური ამერიკის ლიტერატურის გავლენის შესაძლებლობას ჩვენს მწერლებზე.

მ. ორლოვი. მე ვამბობდი სულ სხვა რამეს. მინდოდა მიგექციათ ყურადღება გავლენასა და შთაბეჭდილებას შორის განსხვავებაზე. ჩემის აზრით, უკვე „მომწიფებულ“, ჩამოყალიბებულ, დამოუკიდებელი ბუნებისა და არსის მწერალზე ახალ თუ „ახალდაბადებულ“ წიგნებს, მცირე გამონაკლისის გარდა, შეუძლიათ მხოლოდ შთაბეჭდილება მოახდინონ და მეტი არაფერი-მეთქი. როცა ამას ვამბობდი, ვგულისხმობდი ამირეჯიბსა და აითმატოვს; ისინი ვერ იქნებოდნენ „დამოკიდებული“ ლათინური ამერიკის ლიტერატურაზე. ჩემი ღრმა რწმენით, ძლიერი ლიტერატურის გავლენა შეიძლება განიცადოს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელმა ახალგაზრდა მწერალმა, ან მთელმა ლიტერატურულმა თაობამ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უპოვია საკუთარი თავი. მართალია, ეს გავლენა როგორღაც გიპყრობს და გთრგუნავს, მაგრამ მაინც გარეგნულია. შეიძლება „აითვისო“ ხერხები, ინტონაცია, სახეთა გამომსახველი სისტემა, სიტუაცია, მაგრამ თუ პიროვნება არა ხარ და თანაც ტალანტი, — მაშინ მიმბაძველისა და იმიტატორის სახელს დაიმკვიდრებ.

მაგრამ ლიტერატურაში არის კიდევ სხვა სახის გავლენაც, უფრო ღრმა, ხანგრძლივი, ბუნებრივი და თითქოს შეუმჩნეველი. ეს გავლენა ჰგავს ნიადაგის გავლენას მცენარის ზრდა-განვითარებაზე, მაგალითად, გოგოლი დღესაც მონაწილეობს ჩვენი კულტურისა და ხალხის ცხოვრებაში. იგი ისევეა განფენილი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც ორგანული ნივთიერებები მიწაში და მისი „წვენი“ ჩვენს სისხლში, ჩვენი კულტურისა და სულის შრეებში აღწევს. ასევე საძირკველი გახდა დოსტოევსკი მე-20 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურისათვის, მაგრამ გახდა არა უცბად, არამედ მწერალთა და მკითხველთა რამდენიმე თაობის მერე. ვფიქრობ, სწორედ ასე, მომავალში წარმოჩინდება დღევანდელი ლათინურამერიკული ლიტერატურის გავლენა. დღეს კი იგი მხოლოდ შთაბეჭდილებით, თანაც ძლიერი შთაბეჭდილებით გვავსებს. შთაბეჭდილება კი გავლენას არ ნიშნავს. ისიც უნდა ითქვას, რომ ნამდვილ ოსტატს შეუძლია შთაბეჭდილების გავლენით გამოიყენოს სხვისი აღმოჩენილი, მაგრამ მაინც თავისთავადი დარჩეს, უმნიშვნელო ლიტერატორს კი მიმბაძველობა და პლაგიატობა ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. მიქოიანი. გარსია მარკესმა ჩვენი ჟურნალისადმი მიცემულ ინტერვიუში თქვა, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეს გამიჩნდა წერის სურვილი, მაგრამ არ ვიცოდი „როგორ“ უნდა „მეწერაო“. მერე, უკვე უნივერსიტეტის სტუდენტს წაუკითხავს თურმე კაფკას „გარდაქმნები“ და უფიქრია: თუკი ეს ნაწარმოები ვარგა ლიტერატურისათვის, მაშინ ღირს წერაო. ნიჭიერი კაცისათვის ეს იყო ბიძგი.

მ. ორლოვი. ეს სამართლიანიც არის. ალეს ადამოვიჩმა ჟურნალის დისკუსიაზე გაიხსენა კორტასარის „მოგებები“, სადაც მგზავრებს რაღაც მიზეზის გამო ეკრძალებათ გემის კიჩოზე სიარული. „ჩვენს ლიტერატურაშიც ხშირად ხდებოდა ასე: ყველაფერი შეიძლება, მაგრამ კიჩოზე სიარული არ შეიძლება“. კორტასარმა კი მაინც გაიარა კიჩოზე — ლიტერატურაში — და გვიჩვენა (გარსია მარკესივით), სხვებსაც შეგიძლიათ აქ იაროთო. ეს უკვე ადამიანური ქცევის გავლენაა ლიტერატურაში და ეს ჩვენთვის არსებითია.

ი. ტერტერიანი. ...ჩვენ ვდავობთ, აითმატოვია გარსია მარკესი თუ გარსია მარკესია რასპუტინი? რა აზრი აქვს ასეთ დავას?.. ჩვენ ვერაფერს ვერ მივაღწევთ, თუკი გაუთავებლად ვილაპარაკებთ ვიღაცის პრიორიტეტის დასამტკიცებლად... ჩემი აზრით, ჩვენი, კრიტიკოსების, ვალია, უპირველესად შევისწავლოთ და შევიცნოთ ლიტერატურული მოვლენები და არა ის, რომ მწერალი დავიცვათ გავლენისაგან. თუ გავლენაზე ვილაპარაკებთ, მაშინ უნდა შევისწავლოთ ამ გავლენის მიზეზები და გზები. მაგრამ მაინც კრიტიკოსისათვის საინტერესოა განსხვავებათა კვლევა, ე. ი. ის ფაქიზი დიფერენციაცია, რისგანაც ჩამოყალიბებულია მწერლის თავისებურება. საინტერესოა ჩავწვდეთ, გავიგოთ, რაში გამოიხატება ეს თავისებურება, როგორ ყალიბდება, რა ურთიერთკავშირშია მოვლენასთან, ე. ი. საინტერესოა შევისწავლოთ მხატვრული განვითარების შინაგანი ლოგიკა და არა ის, რომ თავი ვიმტვრიოთ ვინ ვისა ჰგავს...

ჩვენ, ლათინოამერიკანისტებს, და ამ ბოლო ხანებში არა მარტო ჩვენ, ჯერჯერობით ვერ ამოგვიხსნია ერთი კითხვა: რაში მდგომარეობს ლათინური ამერიკის ლიტერატურის მიმზიდველი თავისებურება? ეს კითხვა რომ ამოვხსნათ, სრულად უნდა ვიცოდეთ ამ ლიტერატურის ისტორია: ტრადიციები, რის საფუძველზეც ის განვითარდა და უნდა ვიცოდეთ თემა, რომელიც

მან მოიტანა მსოფლიო კულტურაში. ამ ხაზით ჩვენში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ რით გვიზიდავს ბოლოს და ბოლოს ლათინურამერიკული ლიტერატურა, მაინც უმეტესწილად ამოუხსნელი რჩება და რჩება იმიტომ, რომ ვერავითარ თემაში, ფორმულასა და ტრადიციაში ამ მიზიდულობას ვერ მოათავსებ. ბონდარენკომ თქვა: ლათინური ამერიკის ლიტერატურა ისეთივე ტრადიციულია, როგორც სხვა ლიტერატურები და იგი თავის ტრადიციებზე ვითარდებაო. ნაწილობრივ ეს ასეა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. სულ ახლახან გამოვიდა „ლათინური ამერიკის ლიტერატურის ისტორიის" პირველი ტომი, სადაც ლაპარაკია ტრადიციათა პრობლემებზე და მაინც ამ მიზიდულობის ამოხსნა გაჭირდება, თუ უგულებელვყოფთ თანამედროვე ლათინური ამერიკის ლიტერატურის დამოკიდებულებას ევროპულ მხატვრულ გამოცდილებასა და მის, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ სტრატეგიასთან. ტრადიციები ყველაფერს როდი ჰფენენ ნათელს. სამწუხაროდ, ჩვენში დაკანონდა რაღაცნაირი ჯენტლმენური პრანჭიაობა ლათინური ამერიკის ლიტერატურის მიმართ. გარსია მარკესის სახელს იმდენჯერ და იმდენგან ახსენებენ ყველანაირი საბაბით, რომ ეს უკვე გამაღიზიანებელი ხდება. ზოგჯერ წარმოუდგენელ რამეებსაც წერენ. ჟურნალმა „ლიტერატურნოე ობოზრენიემ" (№12, 1984 წ.) გამოაქვეყნა მწერლისა და კრიტიკოსის დიალოგი. მწერალი ვასილაკე აღიარებს, გარსია მარკესი ძალიან მომწონსო, მისი ფანტაზია ნამდვილად „ტერორისტულად" მოქმედებსო. მოჰყავს მისი სიტყვები: „მაგრამ მის ნაწარმოებებში ვერ ვიპოვე ერთი ჩვეულებრივი ადამიანიც კი, უფრო სწორად, ვერ ვიგრძენი ავტორის სიყვარული ამ ადამიანისადმი და მისი ადამიანური ღირსების შეგნების სურვილი". თუკი ამ მწერალს წაკითხული აქვს გარსია მარკესის „წინასწარ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა", როგორ შეუძლია ასეთი რამ თქვას? კოლუმბიელმა მწერალმა ისე აღწერა ერთი უბრალო ადამიანის სიკვდილი, როგორც მსოფლიო კატასტროფა.

საქმე კიდევ ის არის, რომ გარსია მარკესი არ წარმოადგენს ლათინური ამერიკის ერთადერთ და მე ვიტყოდი, ყველაზე ტიპიურ მწერალს. მე დიდ პატივს ვცემ მას, როგორც მწერალსა და ადამიანს, მაგრამ ჩემთვის ამ რეგიონის ლიტერატურა მის სახელთან არ არის გაიგივებული. მე ვიტყოდი, — შესაძლოა სუბიექტური მოსაზრების გამო, — ჩემთვის ის პირველიც კი არ არის ამ ლიტერატურაში. ჩვენი მკითხველები ნელ-ნელა ეცნობიან ამ კონტინენტის ლიტერატურაში სხვა მიმდინარეობებსა და ტრადიციებს.

რა თქმა უნდა, ბუნებრივ პროცესს ვერსად გავექცევი. მწერლები ბერდებიან, კორტასარი და ოტერო სილვა ცოცხლები აღარ არიან, ბორხესმა ოთხმოცდახუთს გადააბიჯა, ამადუც და ონეტიც მოხუცდნენ, მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ ჩაქრა ლათინურამერიკული ლიტერატურა? მალე რუსულ ენაზე გამოვა მარიო ვარგას ლიოსას ახალი რომანი. მერწმუნეთ, გაგაოცებთ: თანამედროვე პროზაში იშვიათია ასეთი ეპიკური სუნთქვის ნაწარმოები.

ლათინური ამერიკის ლიტერატურა გასაოცარი სერიოზულობით ეკიდება ყოველგვარ ექსპერიმენტს, ბოლო ამ ექსპერიმენტისას იგრძნობა ასევე გასაოცარი სრული თავგანწირვა, თამამი დამოკიდებულება ყველა ტრადიციის მიმართ, სხვისი გამოცდილების მიმართ, სწორედ ამიტომ შესძლო ლათინურამერიკულმა ლიტერატურამ ასე ღრმად და გაბედულად წამოეჭრა ისეთი პრობლემა, რომლებიც სხვა ქვეყნის შემოქმედებსაც აინტერესებთ — წმინდა მხატვრული თუ ზოგადსულიერი ხასიათის პრობლემები. თუნდაც ძალადობის პრობლემა, ხელისუფლების პრობლემა, პიროვნებისა და საზოგადოების პრობლემა და ბევრი ისეთი პრობლემა, ეგზისტენციალურს რომ უწოდებენ. წინ წამოსწია მითის პრობლემა თანამედროვე პროზაში, რაზეც ჩვენ ასე ხშირად ვმსჯელობთ. ეს კი ერთ-ერთია იმ პრობლემათაგან, ასე თამამად რომ წამოჭრა ლათინურამერიკულმა ლიტერატურამ. სხვათა შორის, ამ ლიტერატურამ ბევრი რამ მიიღო რუსული პროზიდან. კორტასარის საყვარელი რომანია დოსტოევსკის „იდიოტი". ასევე ჩვენს ლიტერატურასაც „გაუჩნდა" ლათინური ამერიკის კულტურის აღმოჩენები: ჩემი აზრით, ეს პროცესი აუცილებელიც არის და კარგიც. იგი უნდა შევისწავლოთ, იგი უნდა ვიცოდეთ, და არა გვეშინოდეს და თავს ვიცავდეთ მისგან. მით უმეტეს, რომ რუსი მწერალი სულ სხვა მდგომარეობაში იმყოფება: იგი მტკიცედ დგას საკუთარ ტრადიციებზე მაშინაც კი, როცა სწავლობს სხვის გამოცდილებას ან ასე თუ ისე იმყოფება სხვისი გავლენის ქვეშ, რაც აგრეთვე გარდუვალია. თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურაში მომწონს ის მწერლები, რომლებიც ეხმაურებიან გარეშე ქროლვას და ამავე დროს საკუთარი თავის ერთგულნიც რჩებიან...

ა. ბაიგუშევი. ბევრი ლათინურამერიკელი მწერალი წლობით არც ცხოვრობდა და არ ცხოვრობს ლათინურ ამერიკაში. განა შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ისინი კონტინენტის დღევანდელ რეალურ ცხოვრებას აღწერენ?

ი. ტერტერიანი. კორტასარი მართლაც თითქმის ოცდაათი წელიწადი ცხოვრობდა პარიზში, იგი ხომ არგენტინის სამხედრო რეჟიმის საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობდა და სამხედრო დიქტატურის ბოლო წლებში საჯაროდ დაწვეს კიდეც მისი წიგნები. თავად მას აკრძალული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება. კარპენტიერიც კარგა ხანს ცხოვრობდა ევროპაში,

მაგრამ ვინ იტყვის, რომ მის რომანებში არა ჩანს კონტინენტის რეალური ცხოვრების ღრმა ცოდნა? ასევე გარსია მარკესმა ბარსელონაში დაწერა თავისი „პატრიარქის შემოდგომა", მაგრამ განა ის ნამდვილად ლათინურამერიკული რომანი არ არის? ვარგას ლიოსაც კემბრიჯში მასწავლებლობდა. ამჟამად კი პერუში ცხოვრობს.

ი. შატუნოვსკაია. ჩვენი ლიტერატურის არაერთი ნაწარმოებიც რუსეთის გარეთ შეიქმნა. გოგოლი თავის „მკვდარ სულებზე" რომში მუშაობდა, დოსტოევსკი „მარადიულ ქმარს", „იდიოტს" დრეზდენში ქმნიდა. ტურგენევმა თავისი ნაწარმოებების უმეტესობა პარიზში დაწერა. მაგრამ განა ამ წიგნებში არა ჩანს შესანიშნავად გასული საუკუნის რუსეთის რეალური ცხოვრება?

ი. ტერტერიანი. ხშირად ხდება, ლათინურამერიკელ მწერალს პირველად ევროპაში აღიარებენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლათინური ამერიკის ლიტერატურაში ნათლად და რეალისტურად არის აღწერილი ამ კონტინენტის ქვეყნების ცხოვრება.

დ. ურნოვი. მე უკვე ვთქვი ერთხელ, რომ ჩვენ თვალწინ სრულიად უეცრად ამოქმედდა ერთი უზარმაზარი ლიტერატურული ვულკანი-მეთქი, მაგრამ ნათქვამს ახლა მინდა დავუმატო: იმის ნაცვლად, რომ ეს ლიტერატურული მოვლენა საფუძვლიანად გაგვეანალიზებინა, უფრო მის პროპაგანდას მოვუნდით. აბა რა ანალიზია, როცა მე, როგორც მკითხველს, მგრძნობიარე სიტყვებით მკარნახობენ მწერლისადმი პატივისცემას, ასე ვთქვათ, მირჩევენ „შევიყვარო" იგი. სად არის კვლევის, ძიების სისტემა, რომელიც დაგვეხმარებოდა ამა თუ იმ მწერლის ან ლათინური ამერიკის კონტინენტის ლიტერატურის განვითარების ერთი მთლიანი ხაზის ამოცნობასა და ჩამოყალიბებაში? რას ნიშნავს ეს გაუგონარი, უპრეცედენტო და მზამზარეული სახელწოდებები?

1985 წ. 29 მაისს „ლიტერატურნაია გაზეტამ" და ამავე წლის 7 აპრილს „ნიუ იორკ ტაიმს ბუკ რევიუმ" დაბეჭდეს სტატიები ერთ დიდ არგენტინელ მწერალზე, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ორ სხვადასხვა პროზაიკოსზე იყოს ლაპარაკი, ოღონდ ეს არის, „ორივეს" ერთი სახელი აქვია — ხორხე ლუის ბორხესი. ამ მწერლის ერთნაირ შეფასებას, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, მაგრამ მისი შემოქმედების ძირითადი ამოსავალი წერტილი ხომ ერთნაირად უნდა ყოფილიყო აღნიშნული? ამერიკული გაზეთიდან ვიგებ, რომ ეს მწერალი არის „მემარჯვენე მოდერნისტი", ისე ძლიერი მემარჯვენე, რომ ნობელის პრემიების კომიტეტმა უარყო მისი კანდიდატურა. ჩვენს გამოცემაში კი მსგავსი არაფერი წერია, არის მხოლოდ შემოზღუდული ფორმულა, რომელიც გვაუწყებს: ბორხესს „წარსულში" „რეაქციული ხასიათის ექსცენტრიკული გამონათქვამები" ჰქონდათ. „ეს ყველაფერი წარსულში იყო", — თითქოს გვამშვიდებენ მკითხველებს, მაგრამ ნათელს ვერ ჰფენენ, წარსულში და ახლაც მაინც რომელ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ პოზიციაზე დგას ბორხესი. ტერმინით რომ ვთქვათ, ვერ გვიხსნიან, რა მწერალია იგი.

იმავე სტატიაში მაღალფარდოვანი სიტყვები კაცობრიობის სულსა და ხალხთა ერთიანობაზე ზერელე და, არსებითად, უშინაარსოც არის, რადგან სულიერი მტკიცების საფუძველი, ადამიანთა ერთიანობის პრინციპი ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული და გარკვეული. ადამიანების გაერთიანება ხომ ცხვრის ფარასავითაც შეიძლება თუ ჩაუყენებ სათავეში „სულით მაღალ" ლიდერს, რომელიც მართლაც მემარჯვენე მოდერნიზმს გვთავაზობს. ბორხესი კი რას გვთავაზობს?

უკვე აღარას ვამბობ იმაზე, რომ მინიშნება „წარსულში" მეთოდოლოგიურად უსუსური სიტყვაა. რას ნიშნავს „წარსულში"? მწერალმა უკვე ოთხმოცდახუთს გადააბიჯა და მას გარკვეულწილად უკან აქვს მოტოვებული მთელი შემოქმედება, რასთანაც დაკავშირებული იყო მთელი მისი ლიტერატურული ავტორიტეტი და „რეაქციული ხასიათის გამონათქვამები". იქნებ გვინდა გადავაფასოთ ეს შემოქმედება მწერლის დაგვიანებული განცხადების გამო? ჯერ ერთი, რომელი ლიტერატურული მკვლევარი აკეთებს ასე? მეორეც, ის, რაც იყო წარსულში, რატომ არის ექსცენტრიკული ან, უბრალოდ, ეპატაჟი (როგორც ჩვენში ახლახან გამოცემულ ბორხესის ნაწარმოებთა ერთტომეულშია აღნიშნული), ხოლო შემდგომი, დაგვიანებული, ლიბერალური და მოტკბო გამონათქვამები — სერიოზული? ერთიც ვნახოთ, ვეტერანი მწერალი ექსცენტრიკოსისავით დაუბრუნდეს საწყის მდგომარეობას და კიდევ ერთი კულბიტის გაკეთება მოასწროს, — მაშინ რაღა ვთქვათ?

ისეთ მწერლებზე, რომლებმაც იმედები არ გაგვიმართლეს, ერთ დროს დაახლოებით ასე წერდნენ: „დღეს მათი წიგნების გადაკითხვისას ვხედავთ თურმე რა წვრილბურჟუაზიული ჩამორჩენილობითა და რუტინით ყოფილან სავსენი ეს უსუსური და ზედაპირული ნაწარმოებები" (.იხ. „კაპიტალიზმის კრიზისი და პროლეტარიატის მოკავშირეები დასავლეთის ლიტერატურაში", მოსკ., 1938). რატომ მაინცდამაინც „გადაკითხვისას" და თანაც „დღეს"? განა ცოტა უფრო ადრე არ შეიძლებოდა ამის დანახვა? განა არ შეიძლებოდა ცოტა უფრო ადრე აღმოგვეჩინა განსხვავება ზედაპირულსა

და არსებითს შორის, რუტინასა და ნოვატორობას შორის?

„ეს ხომ ვულგარული სოციოლოგიზმია!“ — შენიშნავთ ამრეზით ასეთი მსჯელობის გამო. მაგრამ რა არის აქ ვულგარული? ვულგარულია არა თვით ე. წ. იარლიყები, არამედ ის, რომ ეს იარლიყები აღმოჩნდა არაზუსტად და რაც მთავარია, კონიუნქტურულად მიკრული. ჰოდა, ამიტომაც მოგვიწია ამ იარლიყების გადაადგილებამ. ვულგარული სოციოლოგიზმის ასე უპატივცემულოდ ხსენებამ გვიშველა განა გავთავისუფლებულიყავით მცდარი მიახლოებითი ანალიზისაგან? განა ერთხელ და ორჯერ აღმოვჩენილვართ ასეთ სიტუაციაში? ყველას გვახსოვს, როგორ გაგვაოცა სტაინბეკის საქციელმა, როცა ის ვიეტნამში წავიდა და მერე თავის ნარკვევებში მკვლელი-მფრინავის ხელები ვირტუოზი მუსიკოსის ხელებს შეადარა! არადა, რა იყო აქ გასაოცარი? ასეთი არაადამიანურობა ხომ მან ადრეც, ვიეტნამამდე ოცდაათი წლით ადრეც გამოამჟღავნა თავის „წითელ პონში“! ჩვენ სანტიმენტალურობას ვაწერდით სტაინბეკს, იქამდე ვაუბრალოებდით (თუმცა სიტყვა „სირთულესაც“ ვიშველიებდით), ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს მთელი ხმით არ ალაპარაკდა და თავი არ გამოამჟღავნა. მაშინ კი ვიკადრეთ და ცინიზმს ისევ ცინიზმი დავარქვით. განა არ შეიძლებოდა თავიდანვე გვეთქვა ეს? ის კი არადა, ახლა რომ ვიხსენებ ამერიკელი და საბჭოთა კრიტიკოსების მიერ მაშინდელ გამოთქმულ აზრებს სტაინბეკზე, გაოცება მიპყრობს, გეგონება, ორ სხვადასხვა მწერალზე მსჯელობენ ორ სხვადასხვა ენაზეო. რასაც ამერიკელები, მაგალითად, ანარქიზმს უწოდებდნენ, ჩვენთან რატომღაც ჰუმანიზმი იყო. ამერიკელი კრიტიკოსებისა უფრო მჯერა-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ რატომ არის აზრთა ასეთი სხვადასხვაობა? განა ძნელია გავერკვეთ, სად არის ანარქიზმი და სად ჰუმანიზმი?

ესპანურენოვანი ლიტერატურის სპეციალისტი არა ვარ, ორიგინალში ამ ლიტერატურის კითხვა მიჭირს, ამიტომ, ბუნებრივია, სხვებთან ერთად მეც მინდა მადლობა გადავუხადო მთარგმნელებსა და ლიტმცოდნეებს, რომელთა წყალობითაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია ლათინური ამერიკის თანამედროვე მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწარმოებები. ძალიან კარგია, რომ იგივე ბორხესის ნაწარმოებები ბოლოს და ბოლოს გამოიცა, თანაც გამოიცა ორ წიგნად, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც საინტერესოა, ვინ არის ეს მწერალი? ადრინდელი წაკითხული მასალების მიხედვით, ბორხესზე სხვა შთაბეჭდილება მქონდა შექმნილი, ახლა კი (მთარგმნელებისა და მკვლევარების დახმარებით) შემიძლია სხვისი აზრები გადავამოწმო და ამის საფუძველზე საკუთარი აზრი ჩამოვაყალიბო. ჰოდა, მეც ეჭვი მიპყრობს: ხომ არ ურევენ ჩვენი სპეციალისტები ერთმანეთში სულიერ სიმაღლესა და ქედმაღლობას?.. დიახ, ბორხესი მოდერნისტია, თანაც მემარჯვენე. სხვანაირად რომ ვთქვათ, ადრინდელი წაკითხული წყაროებიდან მიღებული აზრი ძირითადად გამართლდა. მაგრამ არც ის მინდა, იმ წყაროებს — ბოლომდე ვერწმუნო. იქ (და ჩვენშიც) ბორხესის თვითმყოფადობას ერთობ აზვიადებენ. მე მგონია, იგი ძალზე ბაძავს თავისივე ტიპის ევროპულ ნიმუშებს. შეიძლება ითქვას, რომ იგი არის პოლ ვალერი, ოღონდ ატლანტიკისგაღმელი. ამის შესაბამისად მის სტილს ახასიათებს ღვლარჭნილი მწიგნობრულობა, სულს — ისტორიული და ეთიკური ნიჰილიზმი. ერთი სიტყვით, მასთან უსიცოცხლობა და სიცარიელე სუფევს. როგორც ხედავთ, მართლაც მივიღეთ ერთი სახელისა და გვარის მქონე ორი სხვადასხვა მწერალი. არ იფიქროთ, ჩემს აზრს ჯიუტად ვიცავდე. პირიქით, მინდა საკუთარი თავი ერთხელ კიდევ შევამოწმო და ბოლომდე გავერკვე ამ მოვლენაში — ბორხესში. მაგრამ როგორ ვიმსჯელო საფუძვლიანი ტერმინების სისტემის გარეშე?

ჩემის აზრით, სისრულე, სისავსე აკლია (დისკუსიისათვის) ლათინური ამერიკის „მაგიური რეალიზმის“ წარმომადგენლების დახასიათებასაც. მაგალითად, როგორია ამ მოვლენის ლიტერატურული გენეტიკა? ლათინურამერიკელ რომანისტებს ხან ძველ ფოლკლორს მიუსადაგებენ საფუძვლად, ხან გასული საუკუნის რუსულ მწერლობას. არადა, ვერ ამჩნევენ ევროპულ მოდერნიზმში მის ღრმად წასულ ფესვებს. უპირველესად ჯოისისაკენ მიდის ეს ფესვები, შემდეგ კი — ლორენს-ლაური-გედისისაკენ... როგორც არ უნდა გვიჩვენონ თავი ლათინურამერიკული ლიტერატურის წარმომადგენლებმა, როგორც არ უნდა ერჩივნოთ ტოლსტოი; „არისტოკრატიული“ ლიტერატურის მიმდევრები იყვნენ, ჩემი აზრით, სწორედ ჯოის-ლორენს-ლაური-გედისია „მაგიური რეალიზმის“ რეალური წინაისტორია. ფოლკნერიც? არ ვიცი, ვინც დროზე წაიკითხა ჯოისის „ულისე“, მისთვის (შემოქმედებით გაკვეთილად) ფოლკნერის წაკითხვა აღარ არის აუცილებელი. გარდა ამისა წინამორბედთა კითხვა თანამიმდევრულად როდი ხდება გაკვეთილებივით. ზოგი ანაქრონულად კითხულობს: ფოლკნერს კითხულობს ჯოისზე ადრე (მაგივრად). მაგრამ საბოლოო ანგარიშში ეცნობა იგივე მოდერნისტულ მითოლოგიურ შემოქმედებას, რომელიც ევროპის დეკადენტურ-ავანგარდისტულ გარემოში ჩამოყალიბდა მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე. რუს კლასიკოსებსაც უკვე ამ გამოცდილების თვალით კითხულობენ. ყოველ ახალ რომანისტს თავისი ეროვნული წინამორბედიც ჰყავდა. მაგალითად, გარსია მარკესი თავის უფროს თანამემამულეს

ტომას კარასკილიას მიჰყვება კვალში, თუმცა გარსია მარკესზე დაწერილ სტატიებში ეს ფაქტი რატომღაც ვერსად ამოვიკითხე. მაკონდოს მოდელი მარკესმა სწორედ კარასკილიას ანტიოკიიდან აიღო. რაც შეეხება ფოლკნერთან დამოკიდებულებას, თვით ვალტერ სკოტმაც აღიარა (გერმანული თარგმანების მიხედვით) შოტლანდიური ბალადების ლიტერატურული მნიშვნელობა, ამიტომ ასეთი პასტორალური სურათის დახატვა მხოლოდ იმ ჟურნალისტს შეეძლო, სულ ახლახან გარსია მარკესს რომ ჩამოართვა ინტერვიუ: „...იგი ზანდახან ჩამოდის კარტახენაში, კარიბის ზღვის სანაპიროზე, იმ ადგილების მახლობლად, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ეს მხარე არის მისი შემოქმედების დაუშრეტელი წყარო. ამ წყაროდან იღებს და ავსებს იგი თავის წარმოსახვას მითებითა და ამბებით, რომლებიც შემდეგ მის შემოქმედებას ამდიდრებენ" (ასე წერს „ნიუ იორკ ტაიმს ბუკ რევიუ"). ეს სიტყვები ზედგამოჭრილია მწერლის პოპულარიზაციისათვის, მაგრამ მისი შემოქმედების კვლევა-განხილვისათვის კი არ გამოდგება. გარსია მარკესს არა მარტო იცნობენ მთელს მსოფლიოში, არამედ მას, ისევე როგორც ზოგიერთ მის თანამემამულეს, მსოფლიო აღიარებასთან ერთად ადგილსაც უწინასწარმეტყველებენ კლასიკაში. ჩემის აზრით, ადრეა! რატომ ვფიქრობ ასე? რატომდა, არაერთი პრეცედენტი ვიცით ისტორიაში, მსოფლიო ლიტერატურის ავტორიტეტთა სისტემა დღემდე ყალიბდებოდა ლიტერატურათა საერთაშორისო გადაძახილის გზით. ერთი ლიტერატურა ეკითხებოდა, მეორე პასუხს სცემდა, ე. ი. იმ საკითხებს წყვეტდა შემოქმედებითად, წინამორბედებს რომ დარჩათ გადაუჭრელი. ასე მაგალითად, გასულ საუკუნეში ევროპულმა ლიტერატურებმა ეჭვქვეშ დააყენეს ახალი ეპოსის შესაძლებლობა — რუსულმა ლიტერატურამ ეს ეჭვი გააქარწყლა და ამის წყალობითაც დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიო ლიტერატურებში. გარსია მარკესი კი თავის შემოქმედებაში სულაც არ ეხება, გვერდს უვლის წინამორბედთა მიერ გადაუჭრელად დატოვებულ პრობლემებს. თხრობის დრო, სიტყვის გამომსახველობითი მოცულობა, პერსონაჟთა „თვითშემოქმედების" ხარისხი და ავტორის „ჩარევის" ზღვარი — ეს ყველაფერი უკვე გარკვეულია, ამ გზით რაც მისაღწევი იყო, უკვე მიღწეულია, „მარტოობის ასი წელიწადი" კი, როგორც მარკესის სხვა რომანებიც, არაფერს ახალს არ მატებენ ზემოთ ჩამოთვლილ ხერხებს. იქნებ სხვა ხერხებია კიდევ და იმას მატებენ რამეს? შეიძლება, მაგრამ „იმ სხვას" — უკვე აღარ აქვს სპეციფიური ლიტერატურული მნიშვნელობა, უფრო ლოგიკური სიმბოლიკისკენ არის გადახრილი. რა თქმა უნდა, თუ ლიტერატურა ძირფესვიანად შეიცვლის თავის ბუნებასა და საბოლოოდ გონებრივ თამაშად (და არა ფსიქოლოგიურად მოტივირებულ თხრობად) გადაიქცევა, მაშინ კლასიკის შემადგენლობა შესაბამისად გადაისინჯება და გარსია მარკესისათვისაც აღმოჩნდება ადგილი. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ლიტერატურული „ტექნიკა" (ნამდვილად ლიტერატურული), ახლა რომ ერთ ადგილზე დგას, [illegible]ში მაინც წაიწევს წინ და მაშინ, ორი-სამი თაობის შემდეგ, ალბათ გაოცებული ილაპარაკებენ იმ წარმატებასა და აღფრთოვანებაზე, დღეს რომ გამოიწვია ჩვენში სიტყვიერების ლოგისტიკამ...

„მაგიური რეალიზმის" შემოქმედებითი (უფრო სწორად: ანტიშემოქმედებითი) ხასიათი მაიძულებს ეჭვი შევიტანო მის საზოგადოებრივ მნიშვნელობაში. უფრო მეტიც: ხსენებული რეალიზმი სულაც არ უდგას მხარში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მიუხედავად თვით მწერლების აშკარა სიახლოვისა ამ მოძრაობასთან. მწერალთა დეკლარაციები და მოქმედება, რასაკვირველია, დიფერენციულად, თანაც თუკი იმსახურებენ, დადებითადაც უნდა შეფასდეს. მაგრამ თვით მეთოდი, ჩემი აზრით, წარმოადგენს ეროვნული თვითშეგნების ნგრევისაკენ მიმავალ გზას, მიუხედავად ამ თვითშეგნების განმტკიცების სურვილისა, ეს არის ეროვნული შეგნების დეზორიენტაცია, რომელსაც შეუძლია ამ შეგნებას პრაქტიკული ბრძოლიდან გადაახვევინოს ვითომ უფრო „ღრმა", მაგრამ სინამდვილეში კი ზედაპირული, პერიფერიული და თანაც მისტიფიცირებული პრობლემებისაკენ. განა შეუძლიათ ისტორიული აბსურდიზმით გაჟღენთილ ნაწარმოებებს (სხვა მე არ წამიკითხავს) ბრძოლისაკენ მოუწოდონ ხალხს? მეომრებს რომ საბრძოლველად აღანთებს ცნობილი მწერლის გამოჩენა მათ რიგებში, ეს გასაგებია. როცა მწერლის მოქალაქეობრივ პოზიციაზე ვლაპარაკობთ, ნუ შევეცდებით ერთის შეფასებაში ჩავტიოთ და ვიგულისხმოთ ანალიზი მეორისა — მისი ნაწარმოებებისა. ხომ შეიძლება ეს ორი რამ ერთმანეთს დავაშოროთ? შეიძლება! მაგალითად, რაც უფრო ვუკვირდებით ესპანეთის სამოქალაქო ომისა თუ საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობის გამოცდილებას, მით უფრო შესამჩნევია შემოქმედი კაცის სიტყვებისა თუ ფერების შესატყვისობა საერთო ბრძოლაში ამ შემოქმედის მონაწილეობის ხასიათთან. ერთიანობა აქ, რა თქმა უნდა, არის, სხვანაირად ჩვენს ყურადღებას ვერ მიიქცევდა ვერავითარი პიროვნება. ამიტომაც სასურველია ამოვიცნოთ ეს პიროვნება ისე ღრმულად და საფუძვლიანად, რომ მერე აღარ მოუწიოს ვინმეს მასზე იარლიყის შეცვლა...

3. ხილიუნასი. რომ გავიგოთ, რატომ იზიდავს ლათინური ამერიკის ლიტერატურა მრა-

ვალრიცხოვან მკითხველს, რატომ ძალუძს გავლენა მოახდინოს ჩვენს ლიტერატურაზე, კარგი იქნებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა ერთ პარადოქსზე.

ლათინური ამერიკის კულტურაში ძალზე თვალში საცემია გამონაგონი, უსაზღვრო და ფერადოვანი ფანტაზია. გარსია მარკესის „პატრიარქის შემოდგომაში" დიქტატორი თითქმის ასი წელიწადი დგას ქვეყნის სათავეში; მანუელ სკორსას ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟი ლამის 2216 თუ 2218 წლისაა, სხვა რომანში სოფლავებში ერთმანეთს ელაპარაკებიან მიცვალებულები, ფრინველები ცაში შეშდებიან... მაგრამ ამ გამონაგონთან ერთად ლათინური ამერიკის შემოქმედნი ნამდვილ ამბებსა და აქტუალურ მოვლენებსაც მიმართავენ. იგივე სკორსას თავის ერთ-ერთ რომანში დოკუმენტური სიზუსტით აქვს აღწერილი პერუელი ინდიელების ბრძოლა ჩრდილოეთ ამერიკის კომპანიების წინააღმდეგ. ინდიელთა ერთ-ერთი ბელადი წიგნში თავისი ნამდვილი სახელით არის გამოყვანილი და ა. შ. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში მჟღავნდება შემოქმედის წარმოსახვის უნარი, რის მეშვეობითაც იგი ცდილობს შექმნას სინამდვილის ილუზია, ხანდახან ამ ილუზიას საგანგებოდ არღვევს, მაგრამ რეალიზმს არ ღალატობს (ამის კლასიკური ნიმუშია გოგოლის „ცხვირი")...

„სასწაულებრივს" ლათინური ამერიკის კულტურაში უმდიდრესი ისტორია აქვს, თვით კონტინენტის სინამდვილეში მომხდარი ბევრი რამ ძნელი დასაჯერებელია ჩვეულებრივი ცხოვრებისეული და მხატვრული კანონების თვალსაზრისით... ამ საქმეში გარკვეული წვლილი კონკისტადორებმაც შეიტანეს თავის დროზე. ისინი ყოველ ნაბიჯზე ისეთ იდუმალსა და ჭკუაზე შემშლელ მოვლენებს აწყდებოდნენ, რომ მერე თავისებურად აღიქვამდნენ და ასევე თავისებურად გადმოსცემდნენ შუასაუკუნეთა ლეგენდებსა და რაინდულ რომანებში... მე-18 საუკუნის მწერლებს ხშირად არ ძალუძდათ ლათინური ამერიკის ცხოვრებაში ერთმანეთისაგან გაერჩიათ დაუჯერებელი, მაგრამ ზღაპრული ხილვებიდან წამოსული სინამდვილე. სასწაული დღემდე ინარჩუნებს თავის ადგილს კონტინენტის მხატვრულ კულტურაში, თუმცა დროს მაინც შეაქვს მასში გარკვეული კორექტივები.

„სასწაულებრივმა", როგორც კოლექტიური წარმოსახვის ნაყოფმა, დიდი გავლენა მოახდინა გარსია მარკესზეც, სკორსაზეც და სხვა მწერლებზეც, რომლებიც ისწრაფვიან ჩასწვდნენ ხალხურ მოვლენათა სიღრმეებს. მაგრამ ამით არ ამოიწურება ხელოვნებაში ფანტაზიის წვლილი. მექსიკელი მურალისტებივით თანამედროვე ლათინურამერიკელი პროზაიკოსებიც მიმართავენ სასწაულებრივს, ჰიპერბოლასა და გროტესკს, რათა რაც შეიძლება შთამბეჭდავად გახსნან მნიშვნელოვანი მოვლენების საზოგადოებრივი და ეთიკური არსი და გამოხატონ ეს ყოველივე მაქსიმალურად [illegible] შესაცნობად და ექსპრესიულად. [illegible] უკვე [illegible] ფანტაზიის ძალა, მისი სოციალური აქტივობა და პუბლიცისტური მიმართულება [illegible]: „პატრიარქის შემოდგომაში" [illegible] ერთი სურვილი კლავს: ყოველ ლატარიაზე მოიგოს რამე. იმისათვის, რომ ვერავინ მიხვდეს „ჩაწყობილ საქმეს", ლატარიაში მონაწილე ბავშვებს ამწყვდევენ ჯურღმულებში. ყოველ წელს მოჰყავთ და მოჰყავთ ბავშვები ქარისკაცებს. მშობლებმა ამბოხება მოაწყვეს, მთავრობა იძულებული გახდა ბავშვები მთებში გაეხიზნა. იქ თვითმფრინავებიდან უყრიდნენ საზრდოთ სანუქრებს, ერთ დღეს კი ყველანი ერთ დიდ ბარჟაზე მოათავსეს და ოკეანეში ჩაძირეს. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე გამონაგონია, მაგრამ ამ გამონაგონიდან ჟონავს სიმართლე საშინელ ტერორზე. გამონაგონს აქვს სიმართლისა და დამაჯერებლობის დიდი ძალა...

„პატრიარქის შემოდგომაში" ლათინურამერიკული ტრადიცია ერწყმის ევროპულ ტრადიციას (რაბლე, სვიფტი, სალტიკოვ-შჩედრინი და „ბალღინჯოსა" და „აბანოს" ავტორი მაიაკოვსკი), მრისხანე და შფოთიანი ხელოვნების ტრადიციას...

უჭვი არ არის, ლათინური ამერიკის ლიტერატურაში ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებენ ის მწერლები, ვის შემოქმედებაშიც ჩანს რევოლუციური ხედვა სინამდვილისა, როგორც რაღაც დინამიურისა, რომელსაც ხელეწიფება მოულოდნელი მეტამორფოზები და გადამწყვეტი ძვრები. ეს მწერლები ხელოვნებას აღიქვამენ როგორც რეალობის ამაფორიაქებელ ფერმენტს. ამიტომ გამონაგონი შეიძლება გახდეს საშუალება სინამდვილის განზოგადებული და გაცნდილი გამომზეურების საქმეში და ამავე დროს მეტი გასაქანი მისცეს შემოქმედების ძალებს, რომელთაც ძალუძთ სოციალური ცხოვრების ისტორიულად შეზღუდულ ფორმებს აჯობონ და ფართოდ გადაგვიშალონ მისი ჰორიზონტები და მომავალი.

ა. ბაიბუშევი. ...ლათინურმა ამერიკამ მე-20 საუკუნის ლიტერატურაში შემოიტანა არა მხოლოდ ცალკეული სახელები (ხოსე ეუსტასიო რივერა, კარპენტიერი, ბორხესი, გარსია მარკესი, კორტასარი), არამედ შემოიტანა პრინციპული მოვლენა და ახალი სიტყვა მსოფლიო პროზის ისტორიაში. ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად ნათლავენ, ერთნი „მაგიურ რეალიზმს" უწოდებენ, მეორენი — „ნეობაროკოს", პირადად ჩემი აზრით, ჭეშმარიტებასთან ახლოს არიან ისინი, ვისაც ლათინური ამერიკის რომანი პრაგმატული, საქმიანი და გამომშრალი

ადამიანებით გადაღლილი ჩვენი საუკუნისათვის რომანტიზმის მოვლენად მიაჩნიათ. ლათინურამერიკელები თავიანთი ტემპერამენტით მუდამ იყვნენ რომანტიული ხალხი, და ამასთან, შესაძლოა, ერთადერთი ხალხიც თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციაში, რომელმაც შეინარჩუნა ვნებათა მხურვალება. სწორედ ასეთადაც წარმოაჩინა იგი მსოფლიო კულტურის ასპარეზზე გამაოცარმა ლათინურამერიკულმა რომანმა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს მკითხველთან ლათინური ამერიკის რომანი რამდენადმე დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ სამაგიეროდ კი არ მოვიდა, არამედ ერთბაშად შემოიჭრა ქარიშხალივით და თან არაერთი სახელიც მოიყოლა. მან წარმოქმნა „მოდა", „ბუმი". პოპულარული ავტორებიც კი აიძულა, მისთვის მიებაძათ, მაგრამ, სამწუხაროდ, როცა საქმე მოდამდე მივიდა, — როგორც მოსალოდნელი იყო, — მიმბაძველების ხელში დიდებული გახდა სასაცილო. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში გაუმართლა და არც გაუმართლა გარსია მარკესს. ზოგიერთებმა მისგან შექმნეს არა იმდენად რჩეული, რამდენადაც კერპი. კერპთაყვანისმცემლობა კი ამახინჯებს რეალურ სახეს.

და აი, ჩემი აზრით, დროა, სწორედ ამ კერპთაყვანისმცემლობაში გავერკვეთ კრიტიკოსები, როგორ და რატომ გაჩნდა იგი? ვილაპარაკებ მხოლოდ კრიტიკაზე, რადგან მკითხველი, როგორც წესი, უფრო რეალურია — ის არ ქაქანებს, ვინ ვისზე მაღლა დგას, იგი თავის აზრს გამოთქვამს იმის მიხედვით, თუ რამდენი წიგნია ბიბლიოთეკებში ბევრი მკითხველის ხელში გამოვლილი, გაქუცული და ლამის დაფლეთილი და რამდენი კიდევ (უფრო მეტი) წაუკითხავი, შესაბრალისად ახალი და გადაუშლელი. მკითხველთა გამოკითხვით გაირკვა, რომ ა. ივანოვის მონუმენტური რომანი „მარადიული ძახილი" ჯერჯერობით პირველ ადგილზე დგას მტკიცედ. პოპულარობით სარგებლობენ რასპუტინი, ბელოვი, აბრამოვი, მაგრამ ჩვენში ლათინურამერიკულ რომანსაც კითხულობენ, განსაკუთრებით ინტელიგენცია. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ რა კეთდება ამ დროს კრიტიკაში? კრიტიკაში ერთიხანობა მხოლოდ გარსია მარკესი ახსენებდა. გაუგონარი წარმატება ხვდა მას წილად თეორიისკენ მიდრეკილ კრიტიკოსთა წრეში. ეს გასაგებიცაა: ახალი მოვლენაა, მოულოდნელი, საინტერესოა მასზე წერა, ლაპარაკი. თვით მასალის სიახლე იძლევა კრიტიკული სტატიის წარმატების საფუძველს მკითხველებში თუ არა, კრიტიკოსებში მაინც.

უნდა ვაღიაროთ: ჩვენს კრიტიკაში ლათინური ამერიკის რომანი ბედნიერ ვარსკვლავზეა მოსული. „მაგიური რეალიზმის" პოპულარიზაციას მიჰყვეს ხელი თავისი საქმის მცოდნე, ნიჭიერმა, კარგი სტატიების ავტორებმა, ცნობილმა კრიტიკოსებმა... პოდა, ახალგაზრდა მწერლებიც მიჰყვნენ ავტორიტეტულ კრიტიკოსებს, სადღაც უკრაში მიაგდეს თვითმყოფადი ხელნაწერები და მარკესის მიბაძვას მიჰყვეს ხელი, მისი მიბაძვა ადვილი გამოდგა. ლათინურამერიკულ ლიტერატურაში მარკესი უფრო „ევროპანი" მწერალია. ძალზე ეფექტური, დეკორატიული ხერხების გამომზეურებელია, ამ დროს კი, ვთქვათ, კარპენტიერსა და ბორხესს მეტი თავშეკავება, მეტი სიღრმე ახასიათებთ და ამდენად მისაბაძადაც ძნელი არიან.

აქ ყველანი ჩვენიანები ვართ და ნუ მიწყენენ ჩემი კოლეგები თუ ვიტყვი, რომ ვერც აქ დამსწრე კორნევმა და კიმმა, ვერც აითმატოვმა ვერ აჯობეს გარსია მარკესს, ის კი არადა, სულაც უკან გადადგეს ნაბიჯი — რაღაცაში დაკარგეს ორიგინალურობა, ექსპლოატაცია გაუწიეს მოდურ ხერხს. მაგრამ უარესი აღმოჩნდა, როცა კოლუმბიელი მწერლის მიბაძვა დაიწყეს ახალგაზრდებმა, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული საკუთარი სახე...

მიმბაძველთა წარუმატებლობის მიზეზი ის გახლავთ, რომ არ შეიძლება სრულიად განსხვავებული სოციალური ყოფითი მასალა „გახსნა" ერთი და იგივე ხერხით. შეიძლება სხვადასხვა ბოთლი გახსნა ერთი კორპსაძრობით, მაგრამ მხატვრული ხერხი (პროზის სტილისტიკა) კორპსაძრობი როდია! რეალური სოციალური სინამდვილე ყველა კონტინენტს, ყველა ეროვნულ კულტურას თავისეული და განუმეორებელი აქვს.

„მაგიური რეალიზმის" მითოლოგიზმი ორგანულია — ის მომდინარეობს იმ კონტინენტის თანამედროვე კულტურის სირთულეებიდან, სადაც საოცრად არის შერწყმული ერთმანეთთან ისტორიის სრულიად განსხვავებული შრეები, სადაც ჯერ კიდევ ახლაც, მე-20 საუკუნეშიც, მოსახლეობის გარკვეულ ფენებში ცოცხლობს რელიგიური მისტერიების ეპოქისეული წარმოდგენები. მაგრამ როცა ჩვენი გამორჩეულად ნიჭიერი მწერლები მაკანინი და კრუპინი რაღაც ნეომითს ქმნიან თანამედროვე რუსული სინამდვილიდან აღებული მასალისაგან, ეს უკვე — მიუხედავად ამ ავტორთა ნიჭიერებისა — უბრალოდ, საინტერესო ბელეტრისტული ანეკდოტებია და არა აღმოჩენები, როგორც ეს კარპენტიერს, ბორხესს, კორტასარს და თუნდაც მარკესს აქვთ.

მოდით, სინამდვილეს თვალებში შევხედოთ — ჩვენი ახალგაზრდა მწერლები უფრო იმიტომ ბაძავენ გარსია მარკესს, რომ უფრო უკეთ იცნობენ მის შემოქმედებას, ვიდრე კონრადისას, ჯოისისას, ლორენსისას, არადა, კოლუმბიელმა მწერალმა სწორედ მათგან შეითვისა არაერთი ძირითადი ხერხი თავის პროზაში.

ამ ფაქტს იმიტომ უნდა მიექცეს ყურადღება, რომ იმათ, ვინც მარკესის თვითმყოფადობას უსვამენ ხაზს, იცოდნენ: მთელი ლათინურამერიკული ლიტერატურიდან შეხაძლოა სწორედ ამ მწერლის შემოქმედებაში შეიმჩნევა მხოლოდ დასავლეთევროპული ტრადიცია (კინალამ წამომცდა „შეფუთვა“). მარკესმა თავისი პირველი მოთხრობებითა და ეტიუდებით „შეფუთა“ შემდგომში გახმაურებული რომანი და თანაც „შეფუთა“ ევროპაში ყოფნისას, დასავლეთევროპელ მკითხველთან (და გამომცემლებთან) ახლოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მისი ნაწარმოებები იღბლიანი აღმოჩნდნენ „საექსპორტოდ“. ლათინურამერიკული თვითმყოფადობა აქ ლამაზად არის ჩაწყობილ-ჩალაგებული, შელებილ-დამუშავებული დასავლეთევროპული მოდერნისტული რომანის ბოლო სიტყვის მიხედვით. სწორედ ამან განაპირობა ასე სწრაფად მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებაც — მოდურად შეფუთულ ქმნილებას ჟიურიც სწრაფად ამჩნევს ხოლმე. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ხაზი გადავუსვა მარკესის შემოქმედების მნიშვნელობას. ამას იმიტომ ვამბობ, რომ არ მინდა ჩვენს კრიტიკოსებს მარკესის მიღმა სხვები გამორჩეთ.

მე-19 საუკუნის რუსული ლიტერატურის დარად ლათინური ამერიკის რომანი რეგიონალური მოვლენიდან მსოფლიო კულტურულ მოვლენად იქცა. სასურველია, ეს მოვლენა ფართოდ და მრავალმხრივად წარვუდგინოთ საბჭოთა მკითხველს...

ვ. რინკევიჩი. ...ჟურნალ „ლათინური ამერიკის“ ამოცანაა მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურაზე. მან უნდა გამოაქვეყნოს საჭირო, საინტერესო/ყურადღებით მომცველი მასალები არა მარტო საბჭოთა, არამედ ლათინური ამერიკის ლიტერატურაზეც. ამის გამო მებადება ერთი შეკითხვა: ხომ არ არსებობს ერთგვარი ინდულგენცია ლათინური ამერიკის ლიტერატურისათვის, კერძოდ, ლათინური ამერიკის რომანისათვის სამამულო ან სხვა თარგმნილ ლიტერატურასთან შედარებით? აქ გამოსულ პროზაიკოსებს მინდა ვკითხო: იქნებ ასეთი ხმაურიანი წარმატების მიზეზი — ნაწილობრივ გარსია მარკესისაც — ის არის, რომ იმ ლიტერატურის ფონზე, რომელსაც ჩვენი მკითხველი შეეჩვია, გარსია მარკესის ნაწარმოებებში ლამის პორნოგრაფიულ სიუჟეტებს აწყდება?

მეორე შეკითხვა: გარსია მარკესზე საუბრისას რატომ ივიწყებენ ჩვენი კრიტიკოსები სამამულო კრიტიკის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს, რითაც ყოველთვის გამოირჩეოდა იგი? ჯერ არ წამიკითხავს ისეთი სტატია, სადაც მოხსენებული იქნებოდა იყენებს თუ არა ეს მწერალი ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად ელემენტს — მხატვრულ სახეს. ხომ არ აკლდა მის შემოქმედებას სახე?.. დიდი ხმაური ატყდა ბორხესის გამოც. მაგრამ, როგორც ვიცით, ჟურნალმა „იუნოსტმა“ მას უწოდა „ბრმა“, რომელსაც არასოდეს არ აეხილება თვალი“. როდესაც გამომცემლობა [illegible]ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურაში“ [illegible]მზადებული წიგნიდან უნდა ამოეღოთ ბორხესის მოთხრობა, ერთი ამბავი ატყდა ევტუშენკოდან დაწყებული საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის უცხოურ კომისიამდე დამთავრებული: როგორ, ბორხესს არ ბეჭდავენ?

ი. ტერტერიანი: არგენტინელ კომუნისტებს მიაჩნიათ, რომ ბორხესის ნაწარმოებები ცნობილი უნდა გახდეს ჩვენს ქვეყანაშიც.

ვ. რინკევიჩი: ეს მით უფრო ადასტურებს ლათინური ამერიკის ლიტერატურისადმი რამდენადმე სხვაგვარ დამოკიდებულებას. ზოგიერთები სამართლიანად ამბობენ, ათი წლის მერე თვითონ გაუკვირდებათ, მარკესი და ბორხესი დიდი მწერლები რომ ეგონათო. მეც ასე ვფიქრობ.

ჩვენს გამომცემლობას აქვს ლათინური ამერიკის ლიტერატურის რედაქცია. შემიძლია ხმამაღლა განვაცხადო, რომ ჩვენ არც ისე ცუდ ნაწარმოებებს ვაქვეყნებთ. გამოვეცით 30-იანი წლების კუბელი კომუნისტი პოეტის ანხელ აუგიერას ლექსები, ნიკარაგუელი მინისტრის ერნესტო კარდენალის ლექსები, დავიწყეთ ალმანახ „ლათინური ამერიკის“ გამოცემა, ე. ი. ჩემი აზრით, დიდ და სასარგებლო მუშაობას ვეწევით. მაგრამ ჩვენს გამომცემლობაშიც ვგრძნობ რაღაცნაირ თავისებურ დამოკიდებულებას ლათინურამერიკული ლიტერატურისადმი. ამას საწყენად არ ვამბობ. მალე აღვნიშნავთ ჩეხოვის დაბადების 125-ე წლისთავს. ყველამ იცის, რომ ჩეხოვის წერილები — ეს არის მისი თხზულებების მეორე კრებული, მაგრამ ზოგ-ზოგებს ასეთი აზრი გაუჩნდათ: ლიკა მიზინოვასადმი მიწერილი წერილები ხომ სიყვარულზეა; განა საჭიროა მისი დაბეჭდვა? არადა, ეს წერილები ღრმა და ჭკვიანური რომანია და როგორც იტყვიან, თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვებსაც შეუძლიათ წაიკითხონ. ლათინური ამერიკის ლიტერატურის მეორე ალმანახში მკითხველს წარვუდგინეთ მექსიკელი მწერალი ქალი ელენა პონიატოვსკაია. იგი ახალი ჟანრით მოგვევლინა. მე პირადად პირველად წავიკითხე ასეთი რამ: რეკონსტრუირებული წერილები, რომელიც ეყრდნობა დიდი მექსიკელი მხატვრის დიეგო რივერას მიმოწერას პირველი ცოლისადმი. ალბათ კვლავ ატყდება აღფრთოვანებული ხმაური: აჰ, ეს ახალი ჟანრი! აჰ, ეს ლათინური ამერიკის ლიტერატურა, მას ყველაფერი ხელეწიფება! მე მგონია, ჩვენ აქაც ვიძლევით ერთგვარ ინდულგენციას და ვბეჭდავთ იმას, რასაც

ჩვენი ლიტერატურიდან არ დავბეჭდავდით; დავივიწყებდით ფიქრს, ჭირდება თუ არა ჩვენს მკითხველს ასეთი რამე. ამიტომ ვთხოვ ჟურნალ „ლათინურ ამერიკასაც“ და ამ დარგში მოღვაწე ყველა ლიტმცოდნეს და კრიტიკოსსაც — ეცადონ რეალურად გააშუქონ ვითარება კულტურის ამ სფეროში.

ვ. ზემსკოვი.[1] ურნოვმა თავისი გამოსვლის დასასრულს მოკრივის ნახტომი და ცრუ მოძრაობა გააკეთა: ნურავინ იფიქრებს, ხაზი მინდა გავუსვა ლათინური ამერიკის ლიტერატურას. ეშმაკობს ურნოვი. ბორხესის იარლიყია „მემარჯვენე მოდერნისტი“, გარსია მარკესისა ალბათ „მემარცხენე მოდერნისტი“ იქნება. მწერლები ზუსტად შეარჩიეს, — ლათინური ამერიკის ლიტერატურის მართლაც რომ ორი უკიდურესი ნაპირი, რათა ერთი ხელის მოსმით გადაშალონ იგი მარჯვნიდან მარცხნივ ან მარცხნიდან მარჯვნივ. არსად არ ჩანს ნაპირი, არსად არა ჩანს კამკამა წყალი და მდინარება, ირგვლივ გუბეა და ჭაობი.

მტკიცება იმისა, რომ გარსია მარკესი „შლის“ და გვერდს უვლის „პრაქტიკულ ამოცანებს“, შესაძლოა არც იყოს პასუხის ღირსი, ამ არალიტერატურული დახასიათების უკან საერთო აზრი რომ არ ჩანდეს — ლათინურ ამერიკას არაფერი არ მოუტანია და არც მოაქვს მსოფლიო კულტურისთვისო. იქ მხოლოდ ჭაობია, უფერულობაა და „მაგიური რეალიზმის“ მომწამვლელი ხანგიო.

უპირველესად მინდა ვილაპარაკო მიმბაძველობის იდეასა და ლათინური ამერიკის ლიტერატურის მეორადობაზე. როგორც აქ გვარწმუნებენ, ეს ლიტერატურა თავის „ღვეზელებს“ თურმე მოდერნისტული ფქვილისაგან აცხობს, თანაც „კოლონიური სანელებლებითაც“ აზავებს...

ლიტმცოდნეობის ვულგარიზმის ყველა სახეობას აქვს ერთი საერთო სენი — წინასწარი უარყოფა თვით ხელოვნების არსისა: სახელდობრ, ესთეტიური ხარისხისა მაშინაც, როცა ლაპარაკია „ესთეტიური ფაქტების“ გაცვლაზე და მაშინაც, როცა ლაპარაკია მსოფლიო ლიტერატურულ პროცესზე. ვულგარული სოციოლოგიზმის მიხედვით, ლიტერატურათაშორისი ურთიერთმოქმედება წარმოადგენს „იდეოლოგიური პაკეტების“ გაცვლას, ფორმალიზმისთვის კი იგი „სტილური ბანდეროლების“ შეგზავნაა. აქედან მომდინარეობს „ლიტერატურული მეტროპოლიების“, „სულიერი კოლონიების“, პირველადობის, მეორადობის იდეები და ა. შ. ეს კი აძნელებს საქმის არსში წვდომას. არსი კი ნიშნავს არა იდეის პასიურ აღქმას ან წერის „ტექნიკას“, არამედ *მხატვრული ხარისხობრიობის* განვითარებას. უნდა ითქვას, რათა შესძინო ახალი ხარისხი, რომელიც წარმოადგენს სწორედ იმ ბირთვს, ყველა იდეურ თუ ფორმალურ ასპექტს რომ აერთიანებს და ამავე დროს წარმოადგენს ლიტმცოდნეობის მსჯელობის საგანს.

აზრი არა აქვს კამათს, დარჩება თუ არა გარსია მარკესი „კლასიკაში“. ამას დრო გვიჩვენებს, აქ სულ სხვა რამეა აღსანიშნავი, სახელდობრ, არგუმენტაცია იმის თაობაზე, თუ რატომ უნდა მოხვდეს მარკესი (და სხვებიც მის გვერდით მდგომნიც); „წმიდათაწმიდა სახელების“ პანთეონში. ამ პანთეონის კარი მარკესისთვის თურმე არ გაიღება იმიტომ, რომ მას დასავლეთის მწერლებთან შედარებით ახალი არაფერი გაუკეთებია „თხრობის დროის, სიტყვიერი გამომსახველობის, პერსონაჟთა „თვითშემოქმედების“ ხარისხისა და ავტორის ჩარევის საქმეში“...

მწერალი წერს სილამაზესა და ტკივილზე, შენ კი ეუბნები, ახალი არაფერი აღმოგიჩენია „თხრობის დროშიო“. აღმოაჩინა! აღმოაჩინა! მარკესივით ჯერ არავის მოქცევია დროს ასე თავისუფლად, თამამად, ჰარმონიულად („მარტოობის ასი წელიწადი“), მაგრამ მთავარი ეს როდია.

თავს არ ვიიმედებ, რომ ლაპარაკით შევძლებ დაგარწმუნოთ, რომ გარსია მარკესს ლიტერატურაში განაღდებული აქვს ადგილი (არ არის საჭირო დაზუსტება — რომელი ადგილი) *სილამაზისა და პოეზიის* წყალობით. დიახ, ამ სიტყვებს ვწერ დიდი ასოებით, როგორც ძველად წერდნენ რიტორიკის სახელმძღვანელოებში, ხოლო აზრს კი ამ სიტყვებში ლევ ტოლსტოისას ვდებ, რამეთუ საერთოდ „ლიტერატურა“ მისთვის „პოეზია“ იყო. იარლიყების თეორიის გამო პოეზიაზე საუბარი შეუძლებელია, მაგრამ ნება მომეცით, გულუბრყვილოდ მოვიშველიო ეს გულუბრყვილო „კატეგორიები“ და დაგარწმუნოთ: გარსია მარკესმა თავის შემოქმედებაში თითქოს თავი მოუყარა ჩვენი საუკუნის ლათინური ამერიკის „დიდი“ ლიტერატურის ყველა საუკეთესო მხარეს და ჩვენამდე მოიტანა სწორედ რომ ბუნებრივი და ჯანსაღი პოეზიით, რომელმაც თითქმის განკურნა საუკუნის გაღარიბებული სულიერი ეკოლოგია.

გაიხსენეთ, „შემოდგომის პატრიარქში“ ვისი ეშინოდა დაჩაჩანაკებულ, მიხრწნილ დიქტატორს? ვის წინაშე გრძნობდა სრულ უძლურებას? — რუბენ დარიოს წინაშე, პოეზიის შემქმნელის წინაშე, პოეზიისა, რომელიც არის ძა-

1. ტექსტი წერილობით არის წარმოდგენილი.

ლა სიმტკიციხა; კოსმოსისა და მიწის ძლიერების და სილამაზის ლამტევი. მათი სიმბოლოებია — კომეტა, რის „დამორჩილებაც" სურს დიქტატორს, და ოკეანე — ხალხი. პოეზია — ხელოვნების ეს ბუნებრივი და ნორმალური მიზანი დავიწყებული აქვთ იმათ, ვისაც ურნოვი მარკესის წინამორბედებად მიიჩნევს. მარკესმა კი პოეზიას სწორედ იმათ გარეშე მიაღწია, ვისგანაც სწავლობდა.

იყო თუ არა ჯოისი მარკესის წინამორბედთა შორის? ნამდვილად იყო. ხოლო რაღაც არავარ დარწმუნებული, მარკესს წაკითხული ჰქონდეს ეს ზიზისმომგვრელად მოსასმენი „ლორენსი — ლაური — გედისი", რომელთაც ასე დაჟინებით მიიჩნევენ მის „მამილოებად", ყოველ შემთხვევაში, მე რატომღაც არ მახსოვს. მარკესს ხადმე გაკვრით მაინც მოეხსენებინოს ისინი. წინამორბედთა შორის იყო კაფკაც — ჯოისზე უფრო მეტადაც. იყო აგრეთვე ფოლკნერიც, ვისი გავლენაც მან დასძლია, რათა შეენარჩუნებინა თავისთავადობა, დარჩენილიყო ის, რაც არის. ერთი სიტყვით, არა მგონია, ამაზე ლაპარაკი ღირდეს.

„იმათ გარეშე"-მეთქი, ზემოთ ვთქვი, განა ასე არ ხდება ხოლმე? გადავხედოთ ევროპას. მაიაკოვსკი აღიზარდა ფუტურიზმზე, არაგონი და ელუარი — სიურრეალიზმზე, ბრეხტი — ექსპრესიონიზმზე და ეს მოხდა ისე, ვინმეს გარეშე, „იმათ გარეშე", მაგრამ ვის შეუძლია თქვას ახლა, რომ ეს ავტორები „შლიან" და არა „განამტკიცებენ"?

როდესაც ვლაპარაკობთ მხატვრულ ხარისხობრივ გაცვლაზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ვის მიერ, როგორ და რა საზოგადოებრივ კონტექსტში აღიქმებიან ისინი, როგორ ტრანსფორმირდებიან, დიახ, შეიძლება მოხდეს პასიური აღქმა, ეს უკვე მიბაძვა იქნება, მაგრამ აღქმას „იმათ გარეშე" და საკუთარი ინტერესებისათვის, აი ასე აღქმას კი შეუძლია მოულოდნელად უბიძგოს მწერალს საკუთარი პოტენციისაკენ და ამის შედეგად წარმოიშვას სულ სხვა ახალი ხარისხი, ეს არის კულტურის განვითარების ლოგიკა და არაფრით არ ესადაგება საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებს.

ხოსე მარტი თავის ესეში — „ჩვენი ამერიკა" ამბობდა: „დე მსოფლიო კულტურის ლერწები დაემყნოს ჩვენი რესპუბლიკების კულტურას, მაგრამ ღერო ჩვენი რესპუბლიკები უნდა იყოს". ლათინური ამერიკის რომანს, გარსია მარკესს თავისი, საკუთარი ღერო აქვთ. „კოლონიურ სანელებლებს" კი არ ურევენ უცხოურ ფქვილში, არამედ ღეროს ზრდიან და გაზარდეს კიდეც.

ფლორალური ტერმინოლოგია გეოპოლიტიკურ ენაზე რომ გადავიტანოთ, ლათინური ამერიკის კულტურამ — ისე რომ გეოგრაფიული თვალსაზრისით ფეხი არ მოუცვლია ადგილიდან — შეინარჩუნა თავისთავადობა და მხატვრულ-იდეოლოგიური თვალსაზრისით იგი აღარ არის დასავლეთის კულტურა. შეუძლებელია საჟურნალო დისკუსიებზე გადაწყდეს ლათინური ამერიკის კულტურის ზოგადთეორიული პრობლემები, მაგრამ ერთხელ უკვე გამოთქმულ თეზისს კვლავ ვიმეორებ: მართალია, ლათინური ამერიკის კულტურა დასავლეთის კულტურის ჩარჩოებში ვითარდებოდა, მაგრამ ამ პროცესის დროს იგი გვერდს უვლიდა დასავლეთის კულტურის არაერთსა თუ ორ ფილოსოფიურსა და ესთეტურ თეორიას, გზადაგზა ირჩევდა იმას, რაც მის ინტერესებს ესადაგებოდა და მერე საკუთარი ისტორიის კარნახით ამუშავებდა საზოგადოებრივ კონტექსტში. ამ მაგისტრალურმა ხაზმა მოგვცა დღეს კუბისა და ნიკარაგუას რევოლუციები და საერთოდ, განმათავისუფლებელი მოძრაობა. ლათინური ამერიკის კულტურამ თავისი უმაღლესი გამოვლინებებით თავი დააღწია დასავლეთის კულტურის „წრეს", რათა გამხდარიყო ლათინური ამერიკის კულტურა. გეოგრაფიიდან იგი გადაიქცა ისტორიად, როგორც თავის დროზე იწინასწარმეტყველა მეგელმა.

ჩავუფიქრდეთ, სად არის ფესვები იმ აჟიოტაჟისა, დასავლეთში რომ გამოიწვია ლათინური ამერიკის ლიტერატურამ და „ბუმადაც" მონათლეს. მაინც რა „სიახლე" აღმოაჩინეს დასავლეთელმა გამომცემლებმა? დიახ, ყველაფერი მომდინარეობს უკმარისობის პრინციპიდან. იღებენ იმას, რაც თვითონ აკლიათ და რასაც საერთოდ ვერ უპოვით ვერც ჯოისს, ვერც კაფკას და ვერც ლორენს-ლაური-გედისს. ეანგბადის ბალიშივით დაეწაფნენ ლათინური ამერიკის ლიტერატურას, შეისუნთქეს პოეზია, სილაღე, სითამამე, თავისუფლება, ის, რაც არცერთ ვარიანტში არ შეიძლება გააჩნდეს დასავლურ მოდერნიზმს, თუნდაც ათასგზის გადამოწმებული პარაბოლები გააშალაშინონ, მითები შეთხზან, ტექსტები გამოიგონონ, რეალობა „დააფიქსირონ", ერთი სიტყვით, შეისუნთქეს ის, რისი მოცემაც არ შეუძლია „მექანიზებულ", კონსტრუქტორივით აწყობილ მასობრივ ბელეტრისტიკას... ვერსად გავექცევით იმ ფაქტს, რომ მე-20 საუკუნის დასავლეთის კულტურაში ხშირად ვხვდებით ამ კულტურის მიერვე შექმნილ მოლვაწის ტიპს, საზოგადოების მიერ გასრესილ და საზოგადოებისაგან განდგომილ, შეშინებულსა და სასოწარკვეთილ მწერალს, რომელიც შუბლით მიყრდნობია „ისტორიის აბსურდის" კედელს. დასავლეთის კულტურის „აპოკალიფსურ ბაზრობაზე" დაეხეტება არაერთი დავრო-

ნი. ისინი ქმნიან დიდ, მწველ პოეზიას ან მექანიკურ, გამოფიტულ ტექსტებს. ვერსად გავექცევით იმ ფაქტსაც, რომ ავტომატიზებული დასავლეთის საზოგადოება შობს ესქატოლოგიური ყოფიერების ჩრდილოვან ასპექტებს. ლათინური ამერიკის რევოლუციურმა სინამდვილემ დაამსხვრია ყოველგვარი სტატიკა და წინ წამოსწია უფრო ავტორიტეტული, სრულიად განსხვავებული ტიპი მწერლისა, მხატვრული აზროვნების სრულიად განსხვავებული ტიპი.

ახლა კი „მაგიურ რეალიზმზე" მინდა მოგახსენოთ, რომელიც, ურნოვის აზრით, დასავლეთის ლიტერატურის მიერ უკვე ნათქვამის ტრივიალური განმეორებაა. ეს ტერმინი მართლაც არის ნასესხები დასავლეთ ევროპის კულტურიდან. იგი პირველად გამოიყენეს ექსპრესიონისტული მხატვრობის დასახასიათებლად, შემდეგ კაფკაზე მსჯელობისას, უფრო მოგვიანებით კი „ჰალუცინაციურ" გერმანულ პროზაზე ლაპარაკისას.

გარსია მარკესი იყენებს სრულიად სხვა ტერმინს — „ფანტასტიკურ სინამდვილეს", რომელიც ზედმიწევნით ემთხვევა დოსტოევსკის „ფანტასტიკური სინამდვილის" ფორმულირებას, თვითონ რომ ჩამოაყალიბა თავისსავე რომანზე „იდიოტზე". ნუ დავიწყებთ ახლა შეკითხვებს, საიდან მოდის ასეთი დამთხვევა, თუმცა ეს თემა სერიოზული მსჯელობის თემა გახლავთ თავისთავად. ახლა ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ერთ სიტყვას: სინამდვილე. როდესაც გარსია მარკესს ჰკითხეს, რომელი უფრო მიგაჩნიათ სწორად, „მაგიური რეალიზმი" თუ ალეხო კარპენტიერის მიერ წამოყენებული დებულება „სასწაულებრივი რეალურობა" და „სასწაულებრივი სინამდვილე", მან ულაპარაკოდ ამოირჩია „სასწაულებრივი რეალურობა". გრძნობთ განსხვავებას? სინამდვილე. ეს არის დასაწყისიც და მიზანიც. ალეხო კარპენტიერმა თავისი რომანის „მიწიერი სამეფოს" პროლოგში ჩამოაყალიბა „სასწაულებრივი რეალურობის" კონცეფცია. ამ რომანით განამტკიცა მან თავისი დიდიხნისწინანდელი განხეთქილება სიურრეალიზმთან (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სიურრეალისტური მოძრაობიდან მასთან ერთად გამოვიდნენ არაგონი და ელუარიც), გაავლო სასაზღვრო ზოლები. სიურრეალისტთა ფაბრიკულ-რაციონალურ და ავადმყოფურ „სასწაულს" მან დაუპირისპირა ჩვეულებრივი, ასე ვთქვათ, „ნორმალური" სასწაული, რომელიც შვა ხალხურმა მითოლოგიზებულმა ცნობიერებამ და რომელიც შეადგენს ხალხური ყოფიერების განუყოფელ ნაწილს ლათინურ ამერიკაში. აქვე გაავლო მან სასაზღვრო ზოლი დასავლეთევროპული მოდერნიზმის მეორე ყველაზე ავტორიტეტულ მიმდინარეობასთან — ეგზისტენციალიზმთან. თვით ზემოხსენებული რომანით კი კარპენტიერმა სადავო გახადა ამ მიმდინარეობის იდეა ისტორიის „სიზიფეს აბსურდულობაზე". გაუცხოებული, მარტოსული კაცის პოზიციიდან დანახულ ისტორიის „უაზრობის" პირქუშ იდეას მან დაუპირისპირა ძალითა და ოპტიმიზმით აღსავსე იდეა საერთო სახალხო ყოფიერების ამოუწურაობისა. ასეთია ლათინური ამერიკის პოეზიის პირველწყარო და არა მოდერნისტული სიახლეებით სავსე „პაკეტი": ლორენსი—ლაური—გედისი, რომელიც გულუბრყვილო აბორიგენებს გაუგზავნეს სადღაც იქ, „სადაც ხარობს ყავა და ბანანი".

არსებითად, რულფო, ასტურიასი, გარსია მარკესიც და ამადუც, თვითეული ცალ-ცალკე ქმნიდა ლათინური ამერიკის ხალხური ყოფიერების ერთიანი, სპეციფიური ლათინურ-ამერიკული მხატვრული კონცეფციის საკუთარ ვარიანტს. ერთიანს-მეთქი რომ ვამბობ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ზემოხსენებულმა ავტორებმა ერთმანეთს შეუთანხმეს თავიანთი ძიებები და აღმოჩენები, ეს ნიშნავს იმას, რომ ერთიანია ისტორია და ერთიანია ლათინური ამერიკის სინამდვილეც კონკრეტულ ფარგლებში. ძიებათა ერთიანობა და ინდივიდუალურ აღმოჩენათა პრინციპული სიახლოვე — აი, ეს არის ლათინური ამერიკის ლიტერატურის პასუხი ეპოქის შეკითხვაზე.

მაინც რომელ შეკითხვას გასცა პასუხი ლათინური ამერიკის ლიტერატურამ და რაში მდგომარეობს ამ პასუხის არსი? გამაღიზიანებელი იდუმალება პასუხისა მდგომარეობს იმაში, რომ იგი — როგორც ეს ნამდვილ ხელოვნებას ახასიათებს — იმალება თავისსავე ბუნებაში, ვერც შეკითხვას, ვერც პასუხს ვერ ამოიკითხავთ ტექსტებში. ისინი მხატვრულ მთლიანობაში არიან, რაც დიდად ემიჯნება დასავლეთის მოდერნიზმსა და დოგმატირებული ცნობიერების ყველა ვარიანტს, იქნება ეს ესქატოლოგიური ცნობიერების „აზრდაკარგული" ისტორია თუ „გამასხებული", ავტომატური, ჩვენი თანამედროვეობის პრობლემებისადმი გულგრილ-ნეიტრალური ცნობიერება, ლათინური ამერიკის ლიტერატურამ თითქოს ერთ ფეთქებად ბირთვში მოაქცია ისტორიაში ღრმად წასული ცეცხლოვანი ჰუმანური პრობლემები. შეუძლია თუ არა კაცობრიობას შემოქმედებითად გადაწყვიტოს კოლოსალური, უკიდურესი კონცენტრაციით მიღწეული წინააღმდეგობანი, შეუძლია თუ არა ხარისხობრივად ისე შეცვალოს სამყარო და ადამიანი, რომ მომავლის სადავეები მათ მისცეს ხელში, — ამ შეკითხვაზე პა-

ხუბს იძლევა თვით „ფანტასტიკური" თუ „სასწაულებრივი" სინამდვილის კონცეფცია, რომელიც უარყოფს სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთწინააღმდეგობის ძალთა ყოველგვარ უმოქმედობას, ხოლო ყოფიერების დიალექტიკის მხატვრული აღქმა — სწორედ ეს არის პოეზია. „სასწაულის" იდეას აქ პრინციპული მნიშვნელობა აქვს. მოდერნისტული ცნობიერების ყველა სახეობა უდავოს ხდის სინამდვილის უნაყოფობას, მის უძლურებას ხარისხობრივი მეტამორფოზის მიმართ, „სასწაული" კი ლათინური ამერიკის რომანში უდავოს ხდის ისტორიის, კაცობრიობის, ხალხის უძლიერეს პოტენციას — ძირფესვიანად შეცვალოს სინამდვილე, რომლის წიაღშიც აურაცხელი შესაძლებლობა ინახება განვითარებისათვის.

გარსია მარკესის „ფანტასტიკურ სინამდვილეშიც" და კარპენტიერის „სასწაულებრივ რეალურობაშიც" სასწაული არის ყოფიერების სილამაზისა და ძალის მხატვრული ნაყოფი და სიმბოლო. ერთ-ერთ თავის ბოლო გამოსვლაში კარპენტიერმა ყველას გაუმხილა რა იყო მისი შემოქმედების წყარო: თანამედროვეობის ერთ-ერთ სასწაულად კუბის რევოლუცია დაასახელა და იქვე დასძინა: ასეთი სასწაული — საოცრება კიდევ ბევრი მოხდება ლათინურ ამერიკაშიო. გარსია მარკესისა და კარპენტიერის მხატვრული აზროვნების იდეოლოგიური კოორდინატები ბრწყინვალე სიმბოლურობით გამოჩნდა მათივე რომანების სათაურებში: „პატრიარქის შემოდგომა" და „მღვდლის გაზაფხული". კაცობრიობის შემოდგომა და გაზაფხული — ეს არის ძველი წესების კვდომა და ძირფესვიანი გარდაქმნა სამყაროსი.

მაშ, რომელი იარლიყი დავკიდოთ მათ? უვლიან თუ არ უვლიან ისინი გვერდს „პრაქტიკულ ამოცანებს"? შლიან თუ განამტკიცებენ?

საშიში სიმართლეც უბერავს იარლიყების თეორიიდან.

ს. მიქოიანი. უპირველეს ყოვლისა მინდა მადლობა გადავუხადო ყველა აქ დამსწრე მწერალსა და კრიტიკოსს, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენს მეტად საინტერესო საუბარში... რა თქმა უნდა, ყველა აქ გამომსვლელის აზრს ჩვენ, რედაქციის თანამშრომლები, არ ვეთანხმებით, მაგრამ თვით არსი კამათისა — დაიცვა ის, რაც ჭეშმარიტებად მიგაჩნია — თავისთავად სასარგებლოა და აუცილებელიც მეცნიერული ძიებებისათვის, ამა თუ იმ საკითხის დადგენისათვის და ამავე დროს საკუთარი თუ სხვისი მოსაზრების კორექტირებისათვის...

რინკევიჩმა ლათინურ ამერიკანისტებს და თავისივე გამომცემლობის თანამშრომლებსაც გვისაყვედურა ლათინური ამერიკის ლიტერატურისადმი თითქოსდა რაღაც განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, ასეთივე აზრისაა ურნოვიც. იყო ლაპარაკი „ინდულგენციაზეც" და იმაზეც, რომ ლათინური ამერიკის პროზაიკოსებს თითქოს ჩვენ ყველაფრის ნებას ვრთავთ, ყველაფერს ვპატიობთ, ჩვენსას კი — ვუკრძალავთ, ვუწუნებთ.

ამ მოსაზრებებს არ ვეთანხმები. ჩეხოვისა და მიზინოვას მიმოწერის მაგალითი ვერაფერი მამტკიცებელი საბუთია. ჩემის აზრით, სასაცილონი არიან ისინი, ვისაც ეს წერილები გამოსაქვეყნებლად არ მიაჩნია. საოცარია, ნუთუ ჩვენში ჯერ კიდევ მოიძებნებიან ასეთი რეტროგრადული პოზიციის მომხრე, ვითომდა დიდი მწერლის სახელის სიწმინდისათვის მებრძოლი კრიტიკოსები? ჩეხოვს არ სჭირდება მათი დაცვა, ის იყო ლამაზი პიროვნება ყველანაირი გაგებით, ის იყო დიდი და ფაქიზი პიროვნება ფიქრითაც და საქმითაც, ასეთივე დარჩება ჩვენი ხალხისა და საერთოდ, ყველა ხალხის გულში. პონიატოვსკაიას წიგნი კი სრულიად სხვა რამ არის. ეს არის ეპისტოლარული ფორმის რომანი, ე. ი. ჟანრი, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია უკვე არაერთი საუკუნე. რა არის აქ გასაკვირი? ოღონდ ნიჭიერება აჩნდეს და ჟანრი თუ გინდა ნებისმიერი იყოს.

დავუბრუნდეთ ჩვენს ჟურნალს. ჩვენ გავითვალისწინებთ რინკევიჩის შენიშვნას ლათინური ამერიკის ლიტერატურის ინტერპრეტაციის თაობაზე. თუმცა ახლავე შემიძლია ვთქვა, რომ ჟურნალის თანამშრომლებმა, რა თქმა უნდა, ვიცით, ხელოვნური ნაკეთობებიც რომ გვხვდება ამ ლიტერატურაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნების ლიტერატურებში და ჩვენსაში. ჟურნალში იბეჭდება ინტერვიუები კონტინენტის კულტურის მოღვაწეებთან. ისინი თვითონ ლაპარაკობენ თავიანთ ნაკლზეც და ღირსებაზეც. ჩვენი კრიტიკოსებიც ხშირად აღნიშნავენ, რომ ლიტერატურული პროცესი ლათინურ ამერიკაში ისევე მიმდინარეობს, როგორც ყველგან, მთელს მსოფლიოში: ნიჭიერი ნაწარმოებების გვერდით ქვეყნდება სუსტი, მოწაფური, მიმბაძველური ნაწარმოებებიც. მაგრამ ღირს განა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მოვყვეთ მათ განხილვას? უფრო მართებული ხომ არ არის, კულტურული პროცესის მხოლოდ მნიშვნელოვან მოვლენათა ანალიზს დავუთმოთ ადგილი? ჩვენი რედაქციის კულტურის განყოფილების ამოცანაც ხომ, ბუნებრივია, ცოტა სხვაგვარი ხასიათისაა, ვიდრე საბჭოთა კრიტიკისა ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის მიმართ, კრიტიკისა, რომელსაც ევალება აღნიშნოს სისუსტეც, ხელოსნობაც, გრაფომანობაც, ეპიგონობაც, რათა

ჩვენს ლიტერატურაში ხელი შეუწყოს ჯანსაღი ყლორტების აღმოზრდას და მკითხველს გეზი მისცეს ჩვენში გამოცემულ ზღვა წიგნებში გასაკვლევად.

„ინდულგენციის" თაობაზე მინდა მოგახსენოთ. არაფრით არ გეთანხმებით ამ საკითხში. ინდულგენციას ჩვენ არავის ვაძლევთ. სხვა ჟურნალებივით არც ჩვენ ვაქვეყნებთ პორნოგრაფიულ მასალებს და არც დადებითად ვაფასებთ მათ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს გვეშინოდეს სიყვარულისა და სექსისა ლიტერატურულ ნაწარმოებში. რინკევიჩი კი სწორედ ამას გულისხმობს. ჩვენთვის ყველასთვის ცნობილია საუკუნეების მანძილზე ფესვგადგმული ფარისევლობა და მლიქვნელობა ეკლესიის მსახურებისა. ისინი სექსსა და სიყვარულს დიდ ცოდვად აცხადებდნენ, თვითონ კი თავიანთივე ქადაგების საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ. ის კი არადა, სახარებაშიც ბლომად გაპარეს ეროტიული სიუჟეტები. არსებობს ეს პრობლემა დიდ ლიტერატურაში დღეს? მე მგონი, არა. არის მხოლოდ გარკვეული განსხვავებანი ეროვნულ ტრადიციებში, სხვანაირად აბა როგორ იქნება? მაგრამ ძირეული განსხვავება ნამდვილ ლიტერატურასა და ბიზნესურ ლიტერატურას შორის სულ სხვაა. ბიზნესური ლიტერატურა მასებს ხრწნის, პორნოგრაფიით ათრობს.

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერი უკვე დასაბეჭდად იყო მომზადებული, რომ შემთხვევით წავაწყდი ურნოვის კომენტარებს ინგლისელი მწერლის დ. ჰ. ლორენსის შემოქმედებაზე („ინოსტრანნაია ლიტერატურა" № 8, 1988 წ.). ამ მწერლის რომანი „ლედი ჩატერლეის საყვარელი" 1960 წლამდე არ იბეჭდებოდა. ინგლისურმა ცენზურამ აკრძალა იგი, როგორც პორნოგრაფიული ნაწარმოები. ურნოვი ინგლისელი მწერლის გადახრას პორნოგრაფიისაკენ შემდეგნაირად ხსნის: „სიტყვა „სექსი" მჭიდროდ მიკრული აღმოჩნდა ლორენსის სახელთან. ეს სამართლიანიც არის და უსამართლოც. ლორენსი ხშირად ლაპარაკობდა ხორციელსა და სქესობრივ პრობლემებზე, მაგრამ არა პორნოგრაფიისათვის"...

„... ნამდვილად ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, ლორენსი პორნოგრაფიული მწერალიაო, ლამის არციბაშევის მსგავსიო. სინამდვილეში ის არის, — რა პარადოქსულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, — პურიტანელი მწერალი... რა შეჰმატა ლორენსმა ლიტერატურას? ადამიანის ბუნების აღწერის ახალი მეთოდი, პიროვნების განმსაზღვრელი იმპულსების, მიზეზების, აზრისა და ქცევის ერთიანობა... ადამიანი არის შედეგი სხვადასხვა ფაქტორთა ურთიერთმოქმედებისა. ეს ფაქტორებია: საზოგადოებრივი, ოჯახური, ინდივიდუალური, და ეს ყველაფერი მოიცავს არა მხოლოდ ფსიქიკას, არამედ ფიზიოლოგიასაც კი. გვიჩვენოს ადამიანი ასეთი სისავსით— ჩვენთვის სწორედ ამ მიზანსწრაფულობის გამო ლორენსი საინტერესო, როგორც ნოვატორი... ის, რაც ოდესღაც პირველმა მან შეამჩნია, შემდეგში გახდა მთელი ლიტერატურის თემა და ადგილი დაიმკვიდრა საერთაშორისო ლიტერატურის არსენალში".

ჩემი აზრით, ეს სიტყვები კიდევ ერთი დადასტურებაა „ორმაგი საზომისა": ერთი საზომით იზომება ანგლოსაქსონური, ხოლო მეორეთი — ლათინური ამერიკის მწერლობა. პირველთან მიმართებაში ზოგიერთი კრიტიკოსის შენიშვნა ჩვეულებრივ გამოირჩევა ამა თუ იმ მწერლის რთულსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაფიქრში ღრმა წვდომით, ამასთან ყოველმხრივი (და არა ცალმხრივი) შეფასება ეძლევა ყოველგვარი პრიმიტივიზმისა, მიკერძოებისა და წინასწარ აკვიატებული აზრის გარეშე. ქება და მადლობა მათ ამისათვის, მაგრამ რა დააშავა ლათინური ამერიკის მწერლობამ? რატომ ვუწუნებთ იმას, რასაც ანგლოსაქსონელებს ვუწონებთ?

რა თქმა უნდა, ლორენსსა და მარკესს შორის დიდი უფსკრულია ამ ასპექტში — მარკესი ძალზე შორსა დგას ლორენსის შემოქმედებისათვის სპეციფიკური ნიშან-თვისებებიდან, რომლებიც ურნოვის გულმოდგინე დაკვირვების საგანს წარმოადგენენ.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა სწორედ მის გამოსვლაზე. სავსებით ვეთანხმები ზემსკოვს და სილიუნასს, რომლებმაც ურნოვის ბევრ შენიშვნას შინაარსიანი და დასაბუთებული პასუხი გასცეს. მე პირადად ძალიან მიკვირს, გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსისა" და ამ გაზეთის მიერ ერთი-ორი მწერლის შეფასებით რომ სურს ურნოვს ჩვენი, ლათინურამერიკანისტების, დარწმუნება. დიდი ბოდიში, მაგრამ რაში გვჭირდება ჩვენ ამ გაზეთის შეფასება? თუმცა ურნოვი ყოველნაირად ცდილობს დაგვანახოს, რომ იგი მხოლოდ „სიფრთხილისათვის" აძლევს მკაცრ პოლიტიკურ შეფასებას ლათინური ამერიკის მწერალთა შემოქმედებაში ფეხმოკიდებულ „მაგიურ რეალიზმსა" და დაუდგრომელ ფანტაზიას, ამავე დროს წუთს არ კარგავს, წამდაუწუმ არ გაიხედოს ლათინური ამერიკის ჩრდილოელი მეზობლისაკენ. ვშიშობ, ურნოვს თავისი ნაცადი და, რა თქმა უნდა, ძალზე ნაყოფიერი ანგლოსაქსონური შტუდიების შემოქმედებით შეუსუსტდა ანგლოსაქსონური სამყაროს „პერიფერიის" მწერალთა შემოქმედების ობიექტური, დამოუკიდებელი შეფასების უნარი.

ამ გარემოებას გაკვრით შეეხო სილიუნასი.

მე კი დავუმატებ: ურნოვი წარმატებით ინარჩუნებს რა „სიმშვიდის დამრღვევის" სახელს, „მაგიურ რეალიზმსა" და „სასწაულებრივ რეალურობას", — არც მეტი, არც ნაკლები — „ისტორიულ აბსურდიზმს" უწოდებს. იგი გადაჭრით მკიცხავს მითისკენ სწრაფვას, ასევე გადაჭრით არ მოსწონს მათი ფანტაზია, ამბობს, ფანტაზია თუ არ იბრძვის, უსარგებლოაო.

მაგრამ საკითხავია, რატომ იყენებს ურნოვი ასე გულმოდგინედ სხვადასხვა ხაზომებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომასაც კი ანგლოსაქსონურ და ლათინურამერიკელი მწერლებისადმი?

აი, ციტატაც: „ჭეშმარიტება" (დეფო „მართალ სიცრუეს" რომ ეძახდა) არის შემოქმედებითი ძალა, რომელიც ქმნის „მეორე სინამდვილეს". ერთნი რომ აიღებენ ასეთ წიგნს, გულუბრყვილოდ სჯერათ, აქ ყველაფერი „სიმართლეაო", მეორენი ხვდებიან, რომ მათ ეშმაკურ ლიტერატურულ თამაშს სთავაზობენ, მაგრამ ერთსაც და მეორესაც „მოსწონთ სიცრუე", რადგან ავტორმა ბოლომდე შეასრულა თავისი როლი".

„კიდევ ერთი ციტატა: „სამყარო ყდაში"— „ჭეშმარიტად რომ კარგი წიგნის ნაზომია, მკითხველი გადაშლის წიგნს და თითქოს სხვისი ცხოვრებისკენ გაჭრილ ფანჯარაში გაიხედაო, ამბავს კვალდაკვალ მიჰყვება. სულაც არ არის აუცილებელი გამოგონილი „სამყარო" მაინცდამაინც დავიჯეროთ. სულაც არ არის აუცილებელი, წიგნისეული „ცხოვრება" ჰგავდეს ნამდვილ ცხოვრებას. მკითხველი დაიჯერებს პირობითობას, თუ იგი ცოცხალი და სრულყოფილი იქნება. საოცრებათა მექანიკა და ლუის კეროლის „სისულელეები" მხოლოდ ახლა გახდა სრულად გასაგები... მაგრამ მაშინაც და ასი წლის წინათაც ხომ მიხვდნენ იმას, რასაც უნდა მიხვდეს მკითხველი: „მშვენიერი წიგნია!"

შემდეგ: „ალისას თავგადასავალს" კითხულობდნენ და ახლაც კითხულობენ სიამოვნებით და აზრადაც არავის მოსდის, რომ ამ წიგნში იმალება კიბერნეტიკა ფარდობითობის თეორიასთან ერთად..."

ეს ციტატები, როგორც მიხვდით, ურნოვს ეკუთვნის. იგი ამოღებულია ინგლისურიდან თარგმნილ დ. ვინტერიხის „ცნობილ წიგნთა თავგადასავლების" წინასიტყვაობიდან.

ამრიგად, სვიფტს, დეფოს, კეროლს შეუძლიათ ასე წერონ და მარკესს, კარპენტიერსა და კორტასარს არ შეუძლიათ? რატომ? რატომ არის, რომ ინგლისური და ჩრდილოამერიკული ლიტერატურის ქვეყანა სახეობა მკვლევარი ასე გადაჭრით არ სცნობს ლიტერატურას, რომლის განვითარებაც შეიმჩნევა რიო გრანდედან სამხრეთისაკენ?

თუკი სვიფტთან და კეროლთან „მართალი სიცრუე" „მეორე სინამდვილეს" ნიშნავს და კიდევ „კიბერნეტიკასაც ნიშნავს ფარდობითობის თეორიასთან ერთად", ლათინურამერიკელებისათვის რატომ არის ისტორიული აბსურდიზმი"?

ჩემის აზრით, ეს არის ტიპიური ევროპოცენტრიზმი ან რამდენადმე ძნელად გამოსაცნობი ანგლოსაქსოცენტრიზმი, ე. ი. ეს არის იმ ხალხების ლიტერატურის შესაძლებლობებისა და მნიშვნელობის შეუფასებლობა, რომლებიც ურნოვის თვალში ღირსნი არ არიან ევროპულ ცივილიზაციაში იხსენიებოდნენ.

უნდა აღვნიშნო აგრეთვე პოლიტიკური შეფასების შესახებაც. აქ ყველაფერი სავსებით გასაგებია. სულაც არ გვჭირდება „ნოუ-თორკტაიმსი", ისედაც ვიცით, რომ ლათინური ამერიკის კულტურის მცირერიცხოვან წარმომადგენელთაგან მხოლოდ ბორხესია რეაქციული პოზიციისა, ასევე კარგად ვიცით, ვარგას ლიოსას მერყევი პოლიტიკური შეხედულებებიც. მაგრამ განა ყველამ არ ვიცით, რა დიდი განსხვავებაა ძევს ხოლმე მეგობრებთან და ჟურნალისტებთან მწერლის ნათქვამსა და მკითხველისათვის განკუთვნილ მისივე შემოქმედებას შორის?

გავიხსენოთ მაგალითები, ჩვენი ლიტერატურიდან, რა პოლიტიკური შეხედულებები ჰქონდათ გოგოლსა და დოსტოევსკის.

დ. ურნოვი. სამაგიეროდ, გამოკვეთილი პოლიტიკური შეფასებაც ჰქონდათ.

ს. მიქოიანი. დიახ. მწერლის შემოქმედებისა და მწერლის პიროვნების (ალბათ „ბრძოლის უარმყოფელისაც") ყოველმხრივი შეფასების ნიმუში, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ნათლად ჩანს ლენინის სტატიაში — „ლევ ტოლსტოი, რუსული რევოლუციის სარკე". აი, რა არის მთავარი: დიალექტიკური მიდგომა, ნამდვილი ისტორიზმი, მწერლის შემოქმედებისა და მისი როლის ანალიზი თანამედროვე საზოგადოებაში, მასალის კარგი ცოდნა, ე. ი. იმ საზოგადოების რეალიებში ღრმა წვდომა, რომელიც წარმოადგენს, ასე ვთქვათ, მწერლის აუდიტორიას და ამავე დროს მისი შემოქმედების ობიექტსაც. ეს არის ის მიდგომა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი იარლიყები, რის სწორად მიკვრასაც თქვენ ასე ესწრაფვით.

ჩვენ ყველას უნდა შეგვეძლოს ასეთი პოლიტიკური შეფასება. რა თქმა უნდა, ეს არ არის ადვილი, მაგრამ სამაგიეროდ გვაქვს ნიმუში, მაგალითი, ორიენტირი.

ბორხესისაგან განსხვავებით, ლათინური ამერიკის კულტურის მოღვაწეთა უმრავლესობა

პატრიოტულ პოზიციაზე დგას. რა თქმა უნდა, ხუერი ჩრდილიც არის, მაგრამ მთლიანობაში ეს პოზიცია ანტიიმპერიალისტურია. მხარს უჭერს დემოკრატიას, მშვიდობას, სოციალურ სამართლიანობას და პროგრესს. თუ ვილაპარაკებთ ისეთ მწერლებზე, როგორიც არიან კარპენტიერი და კორტასარი, გარსია მარკესი და კარდენალი, ჟორჟე ამადუ და ოტერო სილვა, ბენედეტი და ბასტოსი, ან ისეთ მხატვრებზე, როგორიც არის გუაიასამინი ბრაზი და მრავალი სხვა, — მაშინ ერთ შედარებას მოვიყვანდი იმათთვის, ვისაც დიდი სამამულო ომის წლები ახსოვს. თავად მე ეს შედარება გავიაზრე სულ ახლახანს, როცა წავიკითხე ომის წლების პუბლიცისტიკის კრებული. ამ კრებულში დაბეჭდილი იყო ერენბურგის, სიმონოვის, პოლევოის და სხვათა პუბლიცისტური წერილები. სკოლის მოწაფე ვიყავი მაშინ და მახსოვს ამბობდნენ: ერენბურგი ერთ დივიზიად ღირსო. რა თქმა უნდა, ეს გამოთქმა ხატოვანია, მაგრამ ძველსა და ახალს შორის ბრძოლაში, რეაქციასა და პროგრესს შორის ბრძოლაში, ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის ბრძოლაში (შეიარაღებულ თუ შეუიარაღებელ ბრძოლაში), რომელიც სწარმოებს დღეს სალვადორსა და ნიკარაგუაში (სხვაგანაც), ასევე იმპერიალიზმის ბრძოლაში სოციალისტური კუბის წინააღმდეგ — არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩემ მიერ ზემოთ ჩამოთვლილი (და ჩამოუთვლელიც) ლათინურამერიკელი მოღვაწენი მართლაც რომ „დივიზიად ღირან". მკვდრებიც კი. მათი სიტყვა და საქმე ხალხს ძალას მატებს, პატრიოტულ გრძნობას უღვიძებს იმპერიალიზმისა და ადგილობრივი ოლიგარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში, პინოჩეტისა და სტროესნერის, სამოსასა და დიუვალიეს, სალვადორულ „გორილებსა" და ნიკარაგუელ „კონტრას" წინააღმდეგ ბრძოლაში.

მინდა შევეხო ზაიგუშევის გამოსვლასაც. მან ილაპარაკა გარსია მარკესის „მოხერხებულ საექსპორტო შეფუთვაზე", როგორც ამ მწერლის პოპულარობის ფაქტორზე. სამწუხაროდ, ესეც ერთ-ერთი ნიმუშია ევროპოცენტრიზმისა...

მექსიკელმა ფილოსოფოსმა ლეოპოლდო სეამ ჩვენს რედაქციაში სტუმრობისას მოიგონა თავისი საუბარი ანდრე მალროსთან, რომელსაც უთქვამს თურმე მისთვის: თქვენ, მექსიკელები, ისევე უნდა ამაყობდეთ აცტეკებისა და მაიას კულტურით, როგორც ჩვენ, ევროპელები, ვამაყობთ ბერძნული და რომაული კულტურით. სეას უპასუხნია: ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს სიამაყისა. როცა მალროს გაკვირვებია მისი პასუხი, სეას დაუმატებია: „... აცტეკებისა და მაიას კულტურა ჩვენი მემკვიდრეობაა, ისევე როგორც ბერძნულ-რომაული კულტურა და ამიტომაც ჩვენი კულტურა უფრო მდიდარია". მართალი ბრძანდებით, უთქვამს მალროს.

რატომ მოვიშველიე ახლა ეს საუბარი? გარსია მარკესი ღრმად ლათინურამერიკელი მწერალია, არავითარი „შეფუთვა" [illegible] სჭირდება, არცა აქვს „შეფუთვა" [illegible] რომანი (ლაპარაკია „მარტოობის ას წელიწადზე"), რისკენაც იგი მთელი ცხოვრება, ლამის ბავშვობიდან ისწრაფვოდა და სადაც ყველაფერი — სახეები, სიტუაციები, ისტორიული ფონი, ემოციები, ქცევები, პეიზაჟი, სურნელება ხალებაგები — თვითმყოფადია და სწორედ ლათინური ამერიკისთვის დამახასიათებელი, ის კი არადა, უფრო ზუსტად: კარიბის აუზისთვის დამახასიათებელია. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ გარსია მარკესს არ ძალუძს იყოს მემკვიდრე მთელი ევროპული კულტურისა დაწყებული რაბლეთი, სერვანტესით, ჰოფმანით და დამთავრებული ტოლსტოით, კაფკათითა და ჯოისით? რა შუაშია აქ „საექსპორტო შეფუთვა"? თითქოს ლაპარაკი იყოს ტროპიკულ სანელებლებზე და არა ბრწყინვალე, დამოუკიდებელ, მაგრამ ამავე დროს მსოფლიო კულტურიდან გამომდინარე ლიტერატურაზე!

ზაიგუშევის ევროპოცენტრიზმი კიდევ იმაში ჩანს, რომ მას არც სურს გაიგოს, რა პოპულარულია გარსია მარკესი თვით ლათინურ ამერიკაში. იქ მისი წიგნები ათეული მილიონობით ეგზემპლარი გამოდის (თქვენ გესმით, რა ბევრია ეს საზღვარგარეთული სტანდარტებით? ჩვენთანაც იბეჭდება იგი შვიდრიცხვიანი ტირაჟით. ამ რიცხვებში ჩანს მწერლის საყოველთაო აღიარება).

საერთოდ, მინდა ვურჩიო იმ კრიტიკოსებს, ვისთანაც პოლემიკა გვიწევს ამ საკითხზე, ერთი-ორი პარალელი გაავლონ რუსული და ლათინური ამერიკის ლიტერატურას შორის. ორივენი ვითარდებოდნენ „შიგნით" და გარედან გავლენითაც — ოღონდ ასობით წლის შუალედით. აქ უკვე გამოითქვა აზრი: არ არის მთავარი, ვინ ვის „დაანთო": ბაირონმა პუშკინი და ლერმონტოვი და ა. შ. ალბათ ლევ ტოლსტოი და ტურგენევიც თავიანთი შემოქმედების სასარგებლოდ კითხულობდნენ ბალზაკსა და მერიმეს. სამაგიეროდ შემდეგში გოლზუორთი, ჰემინგუეი, ფოლკნერი, ფრიში და დარწმუნებული ვარ, პრუსტიც — თავ-თავიანთი შემოქმედებისათვის არანაკლები სარგებლიანობისათვის კითხულობდნენ ტოლსტოის, დოსტოევსკის, ჩეხოვს და სწავლობდნენ კიდეც მათგან.

საინტერესოა, რას ვიტყოდით, დასავლეთში რომელიმე კრიტიკოსს რომ განეცხადებინა, ჩე-

ხოლო პოპულარულია ჩვენში მოხერხებული „საექსპორტო შეფუთვის" წყალობით? ან შოლოხოვზე? ან ბულგაკოვზე? მე საგანგებოდ ვახსენებ ისეთ მწერლებს, რომლებიც ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შემოქმედებითი ხასიათით. ბაიგუშევისა და ჩემი ეს განცხადება, რა თქმა უნდა, ორივე აბსურდულია...

დასასრულს მინდა გამოვთქვა აზრი, რომ ჩვენი დღევანდელი შეხვედრა წარმოადგენს ლათინური ამერიკის აქტუალურ საკითხებზე მრავალმხრივი დისკუსიების საინტერესო გაგრძელებას და მკითხველისათვის მიგვინდვია აქ გამოთქმულ მოსაზრებათა განსჯა.

ვლ. ბუსაევი. ...ჩვენი დღევანდელი შეხვედრა პირველი იყო არა მხოლოდ არსით, არამედ ჟანრითაც. საკითხი დაისვა საერთო ფორმით. კონკრეტიზაცია წინაა, მაგრამ ასეთ პირველ შეხვედრებს თავიანთი უპირატესობაც გააჩნიათ: მართალია, არასაკმარისად სპეციალური არიან, საუბარი მეტისმეტად გლობალურია, მაგრამ სამაგიეროდ თავისუფალი, გაბედული და შემოქმედებითი ბუნებისანი არიან. ჭერჭერობით ჩვენ ვისწრაფით ჩვენი კულტურების, ჩვენი ლიტერატურების მთავარი კონსტანტების გამოსავლენად, ამისათვის კი ყოველთვის არ არის საჭირო კონკრეტულობა. მთავარია, ერთმანეთის თანხმობით შევაღწიოთ ატმოსფეროში და კონკრეტულობაც თვითონ მოვა. გულახდილობამ ნათლად წარმოაჩინა პოზიციები, თუმცა ყველას როდი შეუძლება მხარი დაუჭიროს.

დასაწყისში მე ვახსენე ორი სამყარო — რუსული (განსაკუთრებით მე-19 ს.) და ლათინურამერიკული, თუმცა ისინი სრულიადაც არ მგვანან ერთმანეთს გარეგნული „კონკრეტიკებით" (როგორც კრიტიკოსები ამბობენ ახლა). მაგრამ მათ შორის კარგა ხანია არსებობს „იდუმალი სიმპათია", იდუმალი დამთხვევები. მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი კოლოსალური განსხვავებანია. ამ ლიტერატურებში არის რაღაც განსაკუთრებული მსგავსებანი. მაგალითად, გულისხმიერება ხალხის მიმართ. სწორედ ეს ხაზი ჩანს გარსია მარკესის შემოქმედებაში, ოღონდ ის წერს სხვანაირად, რუსებისაგან განსხვავებულად.

ამაღლებული გულისხმიერება და ყურადღება ხალხისადმი — როგორც მასისადმი, მასების ცხოვრებისადმი — როგორც უძლიერეს ძალისადმი, აი, სწორედ ეს არის რუსული და ლათინური ამერიკის ტრადიციების შეპირაპირების წერტილი. პრობლემა „პიროვნება და ხალხი" ოკეანისგაღმა ისე გაიჟრა, რომ არ შეხებია არც დასავლეთ ევროპას და არც ჩრდილო ამერიკას. დედამიწაზე ჩვენ ურთიერთსაწინააღმდეგო გეოგრაფიული მდებარეობა გვიჭირავს, მაგრამ იქნებ სწორედ ეს არის სულიერ პრობლემათა მსგავსების თავისებური მიზეზი?..

მე მგონი, ლათინური ამერიკის ლიტერატურამ განსაკუთრებული ძალით წამოჭრა კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ჩვენმა თანამედროვე ლიტერატურამ ჭერ კიდევ ვერ წამოსწია წინ ჭეროვნად. მე-20 ს. დასასრულის ეს მწვავე პრობლემა არის ხალხი და ინტელექტი. ლათინური ამერიკის ლიტერატურამ ეს პრობლემა წამოჭრა არა გმირების დონეზე, არამედ ავტორის შეგნებისა და მასალის ურთიერთობის დონეზე. მაგრამ წამოჭრა მხოლოდ.

დასასრულს, ჩვენი შეხვედრის შემოქმედებითი, გულახდილი საუბარი ნებას მაძლევს გამოვთქვა აზრი, რომ გაცნობა გამოგვივიდა.

# კონრად ლორენცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თარგმნა ლამარა ნაროუშვილმა

## ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა

ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი ბუნებისმეცნიერი, ნობელის პრემიის ლაურეატი კონრად ლორენცი წიგნში „ცივილიზებული კაცობრიობის რვა მომაკვდინებელი ცოდვა" განიხილავს დეჰუმანიზაციის პროცესებს, რომლებიც განადგურებას უქადიან არა მარტო დღევანდელ ცივილიზაციასა და კულტურას, არამედ მთელ კაცობრიობას... ესაა უპირველესად ბუნებრივი სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება, ადამიანის შეჯიბრი საკუთარ თავთან, ძლიერ გრძნობათა გაქრობა, გენეტიკური რღვევა, ტრადიციისაგან მოწყვეტა, ბირთვული იარაღი და სხვა.

### ოპტიმისტური წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი დავწერე ჩემი მეგობრის, ედუარდ ბაუმგარტენის დაბადების სამოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულისათვის. თავისი ხასიათით იგი არ შეეფერება არც ასეთ სასიხარულო ფაქტს და არც იუბილარის ნათელ ბუნებას, რადგან იგი, გულახდილად რომ ვთქვათ, უფრო იერემიასებური მოთქმა-გოდებაა, მთელი კაცობრიობისადმი მიმართული მოწოდებაა მონანიებისა და შემობრუნებისათვის, რომელიც სახელმოხვეჭილი ვენელი ავგუსტინელის, აბრაამ სანტა კლარისნაირ საეკლესიო მქადაგებელს უფრო შეეფერება, ვიდრე ბუნების მკვლევარს. მაგრამ ჩვენ ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, როცა რაიმე ხიფათს სწორედ ბუნების მკვლევარი ხედავს ყველაზე ცხადად და ქადაგებაც, მაშასადამე, მისი მოვალეობაა.

ჩემმა ქადაგებამ, რომელიც რადიომ გადასცა, დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამან ძლიერ გამაოცა. უთვალავი წერილი მივიღე: მოითხოვდნენ ჩემი გამოსვლის დაბეჭდვას. ბოლოს, უახლოესმა მეგობრებმა კატეგორიულად მომთხოვეს, ნაშრომი ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გამეხადა.

ყველაფერი ეს უკვე საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჩემს ნაშრომში გამოხატული პესიმიზმი გამტყუნებულიყო: კაცს, რომელსაც ეგონა, რომ უდაბნოსა შინა მღაღადებლისა მსგავსად, არავინ მოუსმენდა, თურმე უშქარი და, თანაც, გამგები მსმენელის წინაშე უქადაგია! უფრო მეტიც: ნაწერის გადაკითხვისას ზოგი ფრაზა გაზვიადებულიც კი მეჩვენა. დღეს ისინი აღარ შეესაბამება სიმართლეს. ასე მაგალითად, ერთ-ერთ გვერდზე მიწერია, რომ ეკოლოგია მეცნიერებაა, რომლის მნიშვნელობა ჯერაც არ გვესმის ჯეროვნად. დღეს ამის მტკიცება მართლაც აღარ შეიძლება, რადგან ჩვენს ბავარიულ „ეკოლოგიის ჯგუფს" პასუხისმგებელ ინსტანციებში უსმენენ და მათ აზრს ყურადღებ იღებენ. მოსახლეობის სიჭარბისა და ზრდის იდეოლოგიის საფრთხე გონიერ და პასუხისმგებელ ადამიანთა ფართო წრემ სწორად შეაფასა. სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგების წინააღმდეგ მიღებულია ზომები, რომლებიც თუმცა საქმეს ჯერ ვერ შველიან, მაგრამ იმედს გვიტოვებს, რომ მომავალში უკეთესი მდგომარეობა იქნება.

სხვა თვალსაზრისითაც მინდა ჩემს ნათქვამში სასიამოვნო შესწორებანი შევიტანო. ბიჰევიორისტული დოქტრინის განხილვისას მე ვწერდი, რომ მას შეერთებული შტატებისათვის მორალური და კულტურული კატასტროფის საფრთხის შექმნაში აშკარად დიდი ბრალი მიუძღვის. ამასობაში თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაისმა არა ერთი ენერგიული ხმა ამ ცრუმოძღვრების წინააღმდეგ. მართალია, მათ ყველა საშუალებით ებრძვიან, მაგრამ ეს ხმები ყურად იღეს. ჭეშმარიტება კი მხოლოდ მაშინ შეიძლება დიდი ხნით ჩაახშო, თუ მას დაამუნჯებ. ამერიკიდან მოსული ჩვენი დროის ეპიდემიური ინტელექტუალური დაავადებანი ევროპაში დაგვიანებით იფეთქებს ხოლმე. ამერიკაში ბიჰევიორიზმი ცხრება, ევროპელ ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს კი სწორედ ახლა შეეყარათ ეს სენი. შეიძლება დარწმუნებით ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ეს ეპიდემიაც ჩაივლის.

დასასრულ, მინდა თაობათა შორის მტრობის საკითხშიც მცირე შესწორება შევიტანო. თუ ახალგაზრდობა პოლიტიკურად არ არის წაქეზებული, ან საერთოდ არ დაუკარგავს უნარი უფროს ადამიანს რამე დაუჯეროს, გულისყურით მოგისმენს, როცა ფუძემდებლურ ბიოლოგიურ ჭეშმარიტებებზე ესაუბრები. სავსებით შესაძლებელია, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა დაარწმუნო იმ ჭეშმარიტებაში, რომლის შესახებაც ამ წიგნის მეშვიდე თავში გვექნება მსჯელობა.

მიუტევებელი ქედმაღლობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმას, რაც თავად დარწმუნებით ვიცით, სხვას კარგად ვერ გავაგებინებთ. ყველაფერი, რაც ამ წიგნში წერია, ბევრად უფრო ადვილად გასაგებია, ვიდრე, მაგალითად, ინტეგრალური და დიფერენციალური აღრიცხვა, რომელსაც ყოველი ზედა კლასის მოწაფე სწავლობს. ყოველი საფრთხე ნაკლებ საშიშია, თუ მისი გამომწვევი მიზეზები ვიცით. მეც მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ეს პატარა წიგნი თავის მცირე წვლილს შეიტანს იმ საფრთხეთა შემცირებაში, კაცობრიობას რომ ემუქრება.

კონრად ლორენცი

ზეევიზენი, 1972

## 1. ცოცხალ სისტემათა სტრუქტურული თავისებურებანი და დარღვევები

ეთოლოგია შეიძლება განვმარტოთ, როგორც მეცნიერების ის დარგი, რომელიც წარმოიშვა მას შემდეგ, რაც ბიოლოგიის ყველა დანარჩენ დარგში დარვინის შემდეგ საყოველთაოდ მიღებული და სავალდებულო საკითხების დასმის წესი თუ მეთოდები ადამიანსა და ცხოველის ქცევის შესასწავლადაც გამოიყენეს. ეს რომ ასე გვიან მოხდა, ამას თავისი გამართლება აქვს ქცევის კვლევის ისტორიაში. ჩვენ მას ქვემოთ ინდოქტრინაციის თავში შევეხებით. მაშასადამე, ეთოლოგია შეისწავლის ცხოველისა და ადამიანის ქცევას, როგორც რაღაც **სისტემის** ფუნქციას, რომელიც თავის არსებობას და განსაკუთრებულ ფორმას იმ **ისტორიული** განვითარების პროცესს უმადლის, რომელიც მოდგმის ისტორიამ, ინდივიდის განვითარებამ, ხოლო ადამიანის შემთხვევაში, კულტურის ისტორიამ გაიარა. თუ **რატომ** აზასიათებს ამა თუ იმ სისტემას სწორედ ასეთი თვისებები,ამაზე პასუხს მხოლოდ მისი ბუნებრივი ჩამოყალიბების პროცესი მოგვცემს.

ყოველგვარი ორგანული ქმნადობის მიზეზთა შორის, მუტაციის პროცესებისა და გენების ახალი კომბინაციების გვერდით, უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ბუნებრივ **შერჩევას**, ანუ **სელექციას**. იგი ხელს უწყობს იმას, რასაც ჩვენ **შეგუებას** ვუწოდებთ, ჭეშმარიტად შემეცნებით პროცესს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზმი იძენს იმ ინფორმაციას გარესამყაროს შესახებ, რაც მისი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ფრიად მნიშვნელოვანია; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი მეშვეობით ის იძენს **ცოდნას** თავისი გარემოს შესახებ.

შეგუების გზით წარმოქმნილ სტრუქტურათა და ფუნქციათა არსებობა დამახასიათებელია მხოლოდ ცოცხალ არსებათათვის. არაორგანულ სამყაროში მსგავსი რამ არ გვხვდება. ამიტომ მათ მკვლევარს ისეთი კითხვა უჩნდება, რომელიც ფიზიკოსისა ან ქიმიკოსისათვის უცნობია, კერძოდ, კითხვა „რისთვის?" როცა ბიოლოგი ამ კითხვას სვამს, იგი არ ეძებს ტელეოლოგიურ ახსნას, არამედ, ბევრად უფრო მოკრძალებულად, ეძებს სახეობის შემანარჩუნებელი თვისების მოქმედებას. თუ ვიკითხავთ, რატომ აქვს კატას მოღუნული ბრჭყალები და ვუპასუხებთ, თაგვების დასაჭერადო, ეს იქნებოდა მოკლე, შემაჯამებელი პასუხი იმის შესახებ, თუ რა როლი შეასრულა კატის, როგორც სახეობის, შენარჩუნებაში ბრჭყალების ამ ფორმამ.

თუ, როგორც მკვლევარი, თქვენი ცხოვრების გრძელ გზაზე კვლავ და კვლავ დაბრუნებიხართ ამ კითხვას და იგი უცნაური სტრუქტურებისა და ქცევების მიმართ დაგისვამთ, ბო-

ლი მასზე კვლავ და კვლავ დამაჯერებელი პასუხი მიგვიღიათ, ირწმუნეთ, რომ სხეულის აგებულებისა და ქცევის კომპლექსური და მეტად უცნაური წარმონაქმნები საერთოდ შეუძლებელია გაჩენილიყო სელექციისა და შეგუების გარეშე. მაგრამ ეს რწმენა მაშინვე შევარყევთ, თუ კითხვით — „რისთვის?“ — ცივილიზებული კაცობრიობის ამა თუ იმ, ყოველ ნაბიჯზე თვალში საცემ, ქცევას მიუბრუნდებით. რაში არგია კაცობრიობას თავისი უზომო გამრავლება, სიგიჟემდე მისული თავდავიწყებული შეჯიბრი, სულ უფრო საშიში, მზარდი შეიარაღება, გაქალაქებული ადამიანის სულ უფრო მეტად გააზიზება და ა. შ. მაგრამ თუ უფრო ახლოს დავაკვირდებით, გამოირკვევა, რომ ყველა ეს ზადი სრულიად გარკვეული, თავდაპირველად სახეობის შენარჩუნებაზე მზრუნველი ქცევის მექანიზმების მოშლილობაა, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, — ისინი **პათოლოგიურად** უნდა ვცნოთ.

იმ ორგანული სისტემის ანალიზი, ადამიანის სოციალურ ქცევას რომ უდევს საფუძვლად, ერთი უძნელესი და თავმოსაწონებელი ამოცანათაგანია, რომელიც კი შეიძლება ბუნებისმეცნიერებამ საკუთარ თავს დაუსვას, რადგან ეს სისტემა დედამიწის ზურგზე ყველაზე რთულია. შეიძლება გვეფიქრა კიდეც, ეს ისედაც ძნელი წამოწყება ვაითუ ამაო გარჯად გადაგვექცეს, რადგან ადამიანის ქცევა მრავალგზის და წინასწარ განუჭვრეტელმა პათოლოგიურმა მოვლენებმა დაფარეს და შეცვალეს. საბედნიეროდ, ეს ასე არ არის. ორგანული სისტემის პათოლოგიური დარღვევა სულაც არ გვევლინება ამ სისტემის ანალიზისათვის დაუძლეველ დაბრკოლებად, პირიქით, იგი ხშირად გასაღებს გვაწვდის მის გასაგებად. ფიზიოლოგიის ისტორიიდან ბევრი შემთხვევა ვიცით, როცა მკვლევარს რომელიმე მნიშვნელოვანი ორგანული სისტემის არსებობაზე მას შემდეგ გაუმახვილებია ყურადღება, როცა პათოლოგიურ დარღვევას ავადმყოფობა გამოუწვევია. ე. თ. კოხერმა სცადა ე. წ. ბაზედოვის დაავადებისთვის ფარისებრი ჯირკვლების ამოკვეთით ემკურნალა, შედეგად მიიღო ტეტანუსი, კრუნჩხვები, რადგან მან ფარისებრ ჯირკვლებს თანმხლები ჯირკვლებიც მოაყოლა, რომლებიც ორგანიზმში კირის ცვლას არეგულირებდნენ. როცა ეს შეცდომა გამოასწორა, ფარისებრი ჯირკვლების ამოკვეთამ გამოიწვია სიმპტომთა მთელი კომპლექსი, რომელსაც მან Kachexia thyreopriva უწოდა. ამ კომპლექსს ერთგვარი მსგავსება ჰქონდა ალპებში მცხოვრებთა შორის გავრცელებულ იდიოტიზმის მსგავს დაავადებებთან, რაც იქაურ წყალში იოდის ნაკლებობით იყო გამოწვეული. ამ და მსგავსი მონაცემების საფუძველზე გამოირკვა, რომ ეს ჯირკვლები შინაგან სეკრეციასთან ერთად ერთიან სისტემას ქმნიან, სადაც ყველაფერი ყველაფერთანაა მიზეზობრივად დაკავშირებული. ის, რასაც ენდოკრინული ჯირკვლები სისხლში გამოყოფენ, ორგანიზმზე სრულიად გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს, ეს ეხება ნივთიერებათა ცვლას, ზრდის პროცესს, ქცევას და სხვ. ამიტომ მათ ჰორმონებს (ბერძნ. hormao — ვამოძრავებ) უწოდებენ. ორი ჰორმონის მოქმედება შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგოც იყოს. ისინი „ანტაგონისტურია“ ისევე, როგორც ორი კუნთის მოქმედება, რომელთა ურთიერთქმედებაც კიდურის სასურველი მდგომარეობის მიღებას უწყობს ხელს. ვიდრე ჰორმონალური წონასწორობა დაცულია, ვერ ვამჩნევთ, რომ ენდოკრინული ჯირკვლების სისტემა ნაწილობრივი ფუნქციებისგანაა აგებული. მაგრამ საკმარისია ზემოქმედებათა და ურთიერთმოქმედებათა ჰარმონია სულ მცირედ დაირღვეს, რომ ორგანიზმის მთლიანი მდგომარეობა სასურველ „საწყის მნიშვნელობას“ კარგავს, ეს კი ნიშნავს, რომ იგი ავადაა. ფარისებრი ჯირკვლების ჰორმონთა სიჭარბე წარმოშობს ბაზედოვის დაავადებას, ნაკლულობა — მიქსოდემას.

ენდოკრინული ჯირკვლების სისტემა და მისი შესწავლის ისტორია საგულისხმო მაგალითია, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ადამიანურ იმპულსთა მთლიანი სისტემის გასაგებად. თავისთავად ცხადია, ეს სისტემა ბევრად უფრო რთულია თავისი აგებულებით, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ენდოკრინულ ჯირკვლებსაც მოიცავს, როგორც ქვესისტემას. ადამიანს, როგორც ჩანს, იმპულსის დამოუკიდებელ წყაროთა უსაზღვროდ დიდი რაოდენობა გააჩნია, რომელთა შორისაც ძლიერ ბევრი ფილოგენეტურად წარმოქმნილ ქცევის პროგრამებზე — „ინსტინქტებზე“ დაიყვანება. შეცდომაა, ადამიანი „ინსტინქტებით შეზღუდულ არსებად“ მივიჩნიოთ, როგორც ამას უწინ ვაკეთებდით. თუმცა ისიც სწორია, რომ თანდაყოლილ ქცევათა გრძელი, თავის თავში ჩაკეტილი ჯაჭვები გვარის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე, სწავლის უნარისა და გონიერების მატების გამო, იქნებ კიდეც „დაიშალონ“ იმ თვალსაზრისით, რომ მის ნაწილებს შორის სავალდებულო კავშირი დაიკარგოს და ეს ცალკე ნაწილები მოქმედი სუბიექტის განკარგულებაში სრულიად დამოუკიდებლად იმყოფებოდეს, როგორც ეს პ. ლაიჰაუზენმა დამაჯერებლად ცხადყო კატისებრი მტაცებელი ცხოველების მაგალითზე. ამით თითოეული ამ ცალკე გამოსაყენებელ ნაწილთაგანი, როგორც ეს ლაიჰაუზენმა გვიჩვენა, დამოუკიდებელ იმპულსად

გადაიქცევა, ივითარებს რა საკუთარი განხორციელებისაკენ მსწრაფველ მიზანდასახულ ქცევას. უდავოა, ადამიანს აკლია ინსტინქტურ მოძრაობათა ერთმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებული გრძელი ჯაჭვები, მაგრამ რამდენადაც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ძუძუმწოვართა მონაცემების ექსტრაპოლაცია ამის საშუალებას გვაძლევს, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადამიანს არათუ ნაკლები, არამედ ნებისმიერ ცხოველზე მეტი ჭეშმარიტად ინსტინქტური იმპულსები აქვს. სისტემის ანალიზის დროს ამ შესაძლებლობას უთუოდ უნდა გაეწიოს ანგარიში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს პათოლოგიურად დარღვეული ქცევის განხილვისას. ნაადრევად გარდაცვლილი ფსიქიატრი რონალდ ჰარგრივსი თავის ერთ-ერთ ბოლო წერილში მწერდა, მეთოდურ ჩვევად გავიხადე, ფსიქიური აშლილობის შესწავლისას ერთდროულად ორი კითხვა დამესვა: პირველი — როგორია დარღვეული სისტემის ნორმალური სახეობის შემანარჩუნებელი მოქმედება, და მეორე — როგორია ეს დარღვევა, განსაკუთრებით კი — რამ გამოიწვია იგი, რომელიმე ნაწილობრივი სისტემის ზე თუ ქვე — ფუნქციამ. კომპლექსური ორგანული მთელის ნაწილობრივი სისტემები ისე უშუალოდ ურთიერთმოქმედებენ, რომ ჭირს მათი ფუნქციების ზუსტად გამიჯვნა; ნორმალურ მდგომარეობაში წარმოუდგენელია რომელიმე მათგანი ყველა დანარჩენის გარეშე მოვიაზროთ. უფრო მეტიც, ნაწილობრივი სისტემების სტრუქტურების განსაზღვრაც კი ჭირს ზოგჯერ. ამ თვალსაზრისით სრულიად გასაგებია, როცა პაულ ვაისი თავის უაღრესად საყურადღებო ნაშრომში? „Determinism Statified („შრეებრივი დეტერმინიზმი") ქვესისტემებზე წერს: „სისტემა არის ყველაფერი ის, რაც იმსახურებს ერთობლივად, სისტემის სახელს".

ადამიანის იმპულსები, რომლებიც საკმარისად გამოკვეთილია, რათა სასაუბრო ენაში სახელი მოეძებნოს, ბევრია. ისეთი სიტყვები, როგორიცაა სიძულვილი, სიყვარული, მეგობრობა, ბრაზი, ერთგულება, ნდობა, უნდობლობა და სხვა. — ყველა მიუთითებს ისეთ მდგომარეობებზე, რომლებიც შეესაბამებიან სრულიად გარკვეულ ქცევათა მიმართ მზადყოფნას. ქცევის შემსწავლელი მეცნიერება მათ უწოდებს: აგრესიულობას, ტერიტორიალობას, რანგობრივი წესრიგისადმი სწრაფვას და ა. შ. ასევეა ყველა რაღაც „განწყობასთან" შეწყვილებული ტერმინიც, როგორიცაა: კრუხვის განწყობილება, მეპლაობის, ფრენისა და ა. შ. ჩვენ სრული უფლება გვაქვს, იმ მგრძნობიარობას, რაც ჩვენს ბუნებრივ ენას გააჩნია ღრმა ფსიქოლოგიურ ურთიერთკავშირთა გამოსახატავად, ისევე ვენდოთ, როგორც ცხოველებზე დამკვირვებელ მეცნიერთა ინტუიციას ვენდობით, და ჯერ მხოლოდ როგორც სამუშაო ჰიპოთეზა, დავუშვათ, რომ ადამიანის სუბიექტური მდგომარეობის და სამოქმედო განწყობის ყველა ასეთ ენობრივ აღნიშვნას შეესატყვისება იმპულსების რეალური სისტემა, სადაც თავიდან არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა ოდენობით იღებს სათანადო იმპულსები თავის ენერგიას ფილოგენეტიკური ან კულტურული წყაროებიდან. ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ, რომ თითოეული ამ იმპულსთაგანი კარგად მოწესრიგებული, ჰარმონიულად მომუშავე სისტემის წევრია, და როგორც ასეთი, შეუცვლელია. კითხვა იმის შესახებ, სიძულვილი, სიყვარული, ერთგულება, უნდობლობა და ა. შ. „კარგია" თუ „ცუდი", ამ მთელის სისტემური მოქმედების სრულ უცოდინარობას ნიშნავს და ისევე სულელურია, ვინმემ რომ იკითხოს, ფარისებრი ჯირკვლები კარგია, თუ ცუდიაო. მოარული წარმოდგენა, თითქოს ამგვარი ფუნქციები შეგვიძლია დავყოთ „კარგებად" და „ცუდებად", თითქოს სიყვარული, ერთგულება, ნდობა, თავისთავად კარგია, სიძულვილი, ორგულობა და უნდობლობა კი თავისთავად ცუდია, მხოლოდ იქიდან მოდის, რომ ჩვენს საზოგადოებაში პირველის ნაკლებობაა და მეორის სიჭარბე. გადაჭარბებულ სიყვარულს წაუხდენია ძალიან ბევრი შესანიშნავი ბავშვი. „ნიბელუნგების ერთგულების" თვითღირებულების გააბსოლუტებამ სატანური შედეგი გამოიღო; ამ ცოტა ხნის წინათ ერიკ ერიკსონმა დამაჯერებლად დაასაბუთა უნდობლობის აუცილებლობა.

ყველა უფრო რთულად შერწყმული ორგანული სისტემის ერთ-ერთ თავისებურებად გვევლინება რეგულირება, რომელსაც ახორციელებს ეგრეთ წოდებული მარეგულირებელი წრეები ,ანუ ჰომეოსტაზები. მათი მოქმედება რომ ნათელვყოთ, ჯერ წარმოვიდგინოთ მოქმედი სტრუქტურა, რომელიც შედგება სისტემათა რაღაც რაოდენობისაგან, თავიანთი ფუნქციებით ერთმანეთს რომ აძლიერებენ და თანაც ისე, რომ მაგ., a სისტემა ხელს უწყობს b-ს, b თავის მხრივ c-ს და ა. შ., ვიდრე, ბოლოს z თავის მხრივ a-ს მოქმედებას კიდევ უფრო გააძლიერებს. „დადებით უკუკავშირთა" ასეთ წრეს, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ ლაბილური წონასწორობა ჰქონდეს. რომელიმე მოქმედების უმნიშვნელო გაძლიერებას შეიძლება სისტემის ყველა ფუნქციის მოზღვავება მოჰყვეს, ხოლო უმნიშვნელო შემცირებას — მთელი აქტივობის დაქვეითება. ასეთი ლაბილური სისტემა, როგორც ეს ტექნიკამ კარგა ხანია აღმოაჩინა, შეიძლება სტაბილური გავ-

ხედოთ, თუ ამ წრიულ პროცესში ერთადერთ წევრს შევიყვანთ, რომლის ზემოქმედებაც მოქმედების ჯაჭვში შემდგომ წევრზე მით უფრო სუსტი იქნება, რაც უფრო ძლიერ იქნება მასზე წინმყოფი წევრის ზემოქმედება. ასე წარმოიქმნება მარეგულირებელი წრე, ჰომეოსტაზი, ანუ „ნეგატიური უკუკავშირი". იგი ერთი იმ მცირერიცხოვან მოვლენათაგანია, რომელიც ტექნიკოსებმა მანამდე გამოიგონეს, ვიდრე მას ბუნების მკვლევარები ორგანულ ბუნებაში აღმოაჩენდნენ.

ცოცხალ ბუნებაში უშქარი მაწესრიგებელი წრეა. ისინი სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ისეთი შეუცვლელნი არიან, რომ სიცოცხლის წარმოშობას ვერ წარმოვიდგენთ ამ მარეგულირებელი წრის იმავდროულად გაჩენის გარეშე. დადებითი უკუკავშირთა წრეები ბუნებაში არ გვხვდება, ან თუ გვხვდება, ანაზდად აფეთქებული და იქვე ჩამცხრალი მოვლენის სახით, მაგალითად, ზვავის ან ტრამალის ხანძრის მსგავსად. საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი პათოლოგიური დარღვევა გვაგონებს მათ, ისინი ფრიდრიხ შილერის სიტყვებს გვახსენებენ, ცეცხლის ძალაზე თქმულს, ლექსში „ზარი": „მაგრამ ვაი თუ თავი აიწყვიტა!". მაწესრიგებელი წრის უარყოფითი უკუკავშირის წყალობით საჭირო აღარ არის, ყოველი მასში მონაწილე ქვესისტემის მოქმედების ზომა ზუსტად განისაზღვროს. უმნიშვნელოდ აწეული ან დაწეული ფუნქცია კვლავ ადვილად გაწონასწორდება. სისტემის მთლიანობის საშიში დარღვევა მაშინ გვხვდება, თუ ნაწილობრივი ფუნქცია იმ ზომით გაძლიერდება, ან შესუსტდება, რომ ჰომეოსტაზი ვეღარ შეძლებს მის გაწონასწორებას, ან თუ თავად მარეგულირებელ მექანიზმში რაღაც დაირღვა. ამის მაგალითებს შემდგომ თავებში გავეცნობით.

## II. ჭარბი მოსახლეობა

ცალკე ორგანიზმში ძნელად შევხვდებით დადებითი უკუკავშირის წრეს. მხოლოდ სიცოცხლეს, როგორც მთლიანობას, შეუძლია ამ განუსაზღვრელობას დაუსჯელად აჰყვეს. ორგანული სიცოცხლე, როგორც უცნაური კაშხალი, გაფანტვადი მსოფლიო ენერგიის ნაკადში ჩაშენდა. იგი „ნთქავს" უარყოფით ენტროპიას, თავისკენ ეზიდება ენერგიას და იზრდება. ზრდასთან ერთად ძლიერდება მისი უნარიც, — მეტი და მეტი ენერგია მიიზიდოს, და მით უფრო სწრაფად, რაც უფრო მეტი ენერგია აქვს მიტაცებული. ამან აქამდე უზომო ზრდასა და კატასტროფამდე რომ არ მიგვიყვანა, არაორგანული ბუნების უგრძნობელ ძალებს, — ალბათობის კანონებს — უნდა ვუმადლოდეთ, რომლებიც ცოცხალ არსებათა გამრავლებას საზღვრებს უწესებს; მეორეც — იმას, რომ ცოცხალ არსებათა სხვადასხვა სახეობის შიგნით მარეგულირებელი წრეები გაჩნდა. თუ როგორ მოქმედებენ ისინი, ამას მოკლედ შევეხებით შემდეგ თავში, სადაც საუბარი გვექნება ადამიანის სასიცოცხლო სივრცის ნგრევის შესახებ. ადამიანთა უზომო გამრავლებას პირველ რიგში იმიტომაც განვიხილავთ, რომ ბევრი იმ მოვლენათაგანი, რაზედაც შემდეგ თავებში, გვექნება საუბარი, მისი უშუალო შედეგია.

ყველა ის სიკეთე, რაც ადამიანს ეძლევა მის მიერ გარემომცველი ბუნების ღრმა წვდომის მეშვეობით, ტექნოლოგიის წინსვლა, ქიმიურ და სამედიცინო მეცნიერებათა განვითარება, თუ სხვა, ყველაფერი, რაც თითქოს მოწოდებულია ადამიანს ტანჯვა შეუმსუბუქოს, ავბედითად და პარადოქსულად სწორედ კაცობრიობის დასაღუპავად იღვწის. იგი მას სწორედ იმით ემუქრება, რაც ცოცხალ სისტემებს ჩვეულებრივ არ ემართებათ, კერძოდ — საკუთარ თავში ჩახრჩობით. ყველაზე საშინელი კი ისაა, რომ ამ აპოკალიფსურ პროცესში ადამიანის ყველაზე მაღალი და კეთილშობილი თვისებები და უნარები, სწორედ ის, რაც სამართლიანად მიგვაჩნია სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებად და ესოდენ ვაფასებთ, ყველა ნიშნის მიხედვით პირველნი ნადგურდებიან.

ჩვენ ყველამ, ვინც მჭიდროდ დასახლებულ კულტურულ ქვეყნებში, ან დიდ ქალაქებში ვცხოვრობთ, თვითონაც აღარ ვიცით, რა ძლიერ გვაკლია ყოვლისმომცველი წრფელი და გულთბილი ადამიანური სიყვარული. ერთხელ მაინც უნდა ჩავხედოთ თხლად დასახლებულ ქვეყნებში, სადაც ცუდი გზები კილომეტრებით აშორებენ მეზობლებს, და დაუპატიჟებელ სტუმრად მივადგეთ რომელიმე მოსახლეს, რათა დავრწმუნდეთ, როგორი სტუმართმოყვარე და მოყვასის მოყვარულია ადამიანი მაშინ, როცა მისი სოციალური კონტაქტის უნარს არ უყენებენ გადაჭარბებულ მოთხოვნილებას. ერთმა დაუვიწყარმა შემთხვევამ მიმიყვანა ამის გაცნობიერებამდე. ერთხელ ჩემთან სტუმრად ჩამოვიდა ამერიკელი ცოლ-ქმარი ვისკონსინიდან, რომლებიც პროფესიით ბუნების დამცველები იყვნენ და ტყეში, განმარტოებით ცხოვრობდნენ. ის იყო ვახშმად ვსხდებოდით, რომ კარზე ვიღაცამ დარეკა. მე უკმაყოფილოდ წავიბუზღუნე: „ვინ უნდა იყოს ახლა გვიან!" რაღაც უშვერი რომ მეთქვა, ჩემს სტუმრებს, ალბათ, უფრო ძლიერ ვერ გავაოგნებდი. კარზე მოულოდნელ ზარს თუ შეიძლებოდა სიხარულის გარდა სხვა გრძნობა გამოეწვია, მათთვის გაუგონარი ამბავი იყო.

თანამედროვე უზარმაზარ ქალაქებში ადამი-

ანთა მასების დაგუბებას დიდი ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ამ კალეიდოსკოპივით მბრუნავ ადამიანთა ორომტრიალში ზოგჯერ მახლობელსაც კი ველარ ვამჩნევთ. მოყვასის სიყვარული მოყვასის მასად ქცევის გამო, და იმის გამოც, რომ ეს მოყვასი ასე უსაშველოდ ახლოსაა, ისე იწრიტება, რომ ბოლოს მისი კვალიც ქრება. ვისაც სურვილი აქვს, წრფელი და თბილი გრძნობა შეინარჩუნოს თანამოძმეთა მიმართ, მეგობრების ვიწრო წრით უნდა შემოიზღუდოს თავი, რადგან ჩვენ ბუნებით არა ვართ ისე შექმნილი, რომ ყველა ადამიანის სიყვარული შევძლოთ, რაც უნდა სწორი და ეთიკური იყოს ამის მოთხოვნა. მაშასადამე, ჩვენ უნდა მოვახდინოთ ,არჩევანი და სხვა ადამიანები, რომლებიც, შესაძლოა, ასევე ღირსნი იყვნენ ჩვენი მეგობრობისა, გრძნობის კარნახით, „თავიდან მოვიშოროთ". „Not to get emotionally envolved" (არ ჩაგვითრიოს ემოციამ) დიდი ქალაქების ადამიანთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია. ასეთ დამოკიდებულებას, რომელსაც სავსებით ვერც ერთი ჩვენგანი ვერ აიცილებს თავიდან, არაკაცობის ავბედითი ელფერი დაჰკრავს; იგი ძველი ამერიკელი პლანტატორის ქცევას მაგონებს, რომელიც თავის „შინაურ ზანგებს" ადამიანურად ეპყრობოდა, ხოლო პლანტაციებში მომუშავე მონებს — როგორც მეტ-ნაკლებად ღირებულ შინაურ საქონელს. თუ ადამიანური კონტაქტებისადმი თავის არიდება უფრო შორს წავა, მაშინ იგი შემდეგ თავებში განხილულ გრძნობის გალარიბებასთან ერთად გულგრილობის იმ შემზარავ გამოვლინებამდე მიგვიყვანს, რის შესახებაც გაზეთები ყოველდღე გვატყობინებენ. რაც უფრო შორს მიდის ადამიანთა მასად ქცევა, მით უფრო უცილო ხდება ცალკე ინდივიდისათვის „არ იყოს ჩართული". ამიტომაც დღეს, სწორედ დიდ ქალაქებში, დღისით-მზისით ვიღაცას ძარცვავენ, კლავენ, აუპატიურებენ, თანაც ხალხმრავალ ქუჩებში და ისე, რომ არც ერთი „გამვლელი" ხელის შეშლას არ ცდილობს.

ბევრი ადამიანის უმცირეს ფართობზე თავმოყრის შედეგად მოაქვს არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების გაღარიბება და ჩაქვრობა, არა მარტო ადამიანური სახის დაკარგვა, არამედ იგი უშუალოდ წარმოშობს აგრესიულ ქცევასაც. ცხოველებზე დაკვირვებიდან ვიცით, რომ ერთ ადგილზე ცხოველთა თავმოყრა ერთი სახეობის შიგნით აგრესიას აძლიერებს. ვისაც არ გამოუცდია ომში ტყვედ ყოფნა, ან სხვაგან, ნაძალადევად თავშეყრილ ხალხში არ მოხვედრილა, ვერ წარმოიდგენს, რა ზომამდე შეიძლება მივიდეს გაღიზიანება რაღაც წვრილმანის გამო, რომელიც ადამიანს ასეთ გარემოში შეიძლება გაუჩნდეს სწორედ მაშინ, როცა გვსურს როგორღაც თავი მოვთოკოთ და მოწადინებული ვართ სხვების მიმართ თავაზიანი, მაშასადამე, გულითადი დამოკიდებულება გამოვამჟღავნოთ; ეს მდგომარეობა ტანჯვად გადაგვექცევა ხოლმე: უკმეხობა და სიტლანქე, რასაც ყველა დიდ ქალაქში ვაწყდებით, სავსებით პროპორციულია ამა თუ იმ ადგილზე ადამიანთა დაზვავებისა. დიდ სარკინიგზო სადგურებზე ან, მაგალითად, ნიუ-იორკის ავტოსადგურებში იგი საგანგაშო ზღვარს აღწევს.

ჭარბი მოსახლეობა პირდაპირ ხელს უწყობს იმ რღვევას და დაცემას, რასაც ჩვენ შემდგომ შვიდ თავში შევეხებით. შეხედულება, თითქოს შესატყვისი „კონდიციონირებით" შევძლებთ ადამიანის ახალი ჯიშის შექმნას, რომელიც დაზღვეული იქნება დიდი მასების ერთ ადგილზე თავმოყრიდან გამომდინარე მავნე შედეგებისაგან, მეტად საშიშ ილუზიად მიმაჩნია.

## III. სასიცოცხლო სივრცის გაჩანაგება

საყოველთაოდ გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს „ბუნება" ამოუწურავია. ცხოველის, მცენარის თუ სოკოს ყოველი სახეობა მისადაგებულია თავის გარემოს. ამ გარემოს კი, თავისთავად ცხადია, განეკუთვნება არა მხოლოდ არაორგანული შემადგენელი ნაწილები ამა თუ იმ ადგილმდებარეობისა, არამედ მისი ყველა ცოცხალი ბინადარიც. მაშასადამე, ერთი სასიცოცხლო სივრცის ყველა ცოცხალი არსება **ერთმანეთსაა** მორგებული. ეს ეხება იმათაც, ვინც ერთმანეთს თითქოს მტრულად უპირისპირდება, როგორც, მაგალითად, მტაცებელი ცხოველი და მისი მსხვერპლი, ვინც ჭამს და ვისაც ჭამენ. თუ უკეთ დავაკვირდებით, გამოირკვევა, რომ ეს არსებები, თუ მათ შევხედავთ არა როგორც ინდივიდებს, არამედ როგორც სახეობებს, ერთმანეთს არაფერს ვნებენ, პირიქით, ზოგჯერ საერთო ინტერესებიც აქვთ. სრულიად გასაგებია, რომ მჭამელი ფრიად დაინტერესებულია იმ სახეობის სიცოცხლისუნარიანობით, რომელიც მის საზრდოს შეადგენს, ცხოველი იქნება ეს თუ მცენარე. რაც უფრო მეტადაა იგი კვების ერთ სახეობაზე დასპეციალებული, მით უფრო დიდია შესაბამისად მისი ინტერესიც. ასეთ შემთხვევაში მტაცებელი თავის სანადირო ობიექტს არასოდეს არ გადააშენებს. მტაცებლის უკანასკნელი წყვილი დიდი ხანია შიმშილით ამოწყდებოდა, ვიდრე იგი ნადავლ სახეობის უკანასკნელ წყვილს მიაკვლევდა. თუ ნადავლის დასახლების სიმჭიდროვე ნორმაზე დაბლა დაიწევს, მტაცებელი იღუპება. როცა დინგო, თავდაპირველად შინაური ძაღლი, ავსტრალია

ში მოხვდა და იქ გაველურდა. მას არც ერთი ცხოველი არ მოუსპია, რომლითაც იკვებებოდა, მაგრამ ორი დიდი მტაცებელი ნადირი — ჩანთოსანი მგელი (Thylacinus) და სარკოფილუსი (Sarcophilus) — გადააშენა, საშინელი ყბებით აღჭურვილი ეს ჩანთოსანი მტაცებლები დინგოს ბევრად აღემატებოდნენ ღონით, მაგრამ თავიანთი უფრო პრიმიტიული ტვინის გამო ცხოველების გაცილებით უფრო მჭიდრო დასახლებას საჭიროებდნენ, ვიდრე მათზე ჭკვიანი, გაველურებული ძაღლი. დინგომ კი არ დაკბინა ისინი სასიკვდილოდ. კონკურენციით აჯობა და შიმშილით დახოცა.

იშვიათად მომხდარა, რომ რომელიმე ცხოველის გამრავლებას არსებული საკვების რაოდენობა აწესრიგებდეს. ეს ერთნაირად არაეკონომიური იქნებოდა როგორც მძარცველის, ასევე გაძარცვულის ინტერესებისათვის. მეთევზე, რომელიც თავისი წყლის სარეწის შემოსავლით ცხოვრობს, გონივრულად მოიქცევა, თუ მხოლოდ იმდენ თევზს დაიჭერს, რომ დარჩენილებმა შთამომავლობის მაქსიმუმის მოცემა შეძლონ, რაც დაჭერილ თევზთა რაოდენობას შეავსებს. სად არის ოპტიმალობა, — ამას მხოლოდ მეტად რთული მაქსიმუმ-მინიმუმის გაანგარიშება გვეტყვის. თუ მეთევზე საჭიროზე ნაკლებს დაიჭერს, მაშინ ტბა თევზით გადაიტვირთება და ნამატიც მაინცდამაინც კარგი არ იქნება; თუ ზედმეტად ბევრს დაიჭერს, მაშინ საჯიშე თევზი ცოტა დარჩება იმისათვის, რომ შთამომავლობა იმ რაოდენობით გააჩინოს, რასაც წყალი გამოკვებავდა და გაზრდიდა. ეკონომიის მსგავს ანალოგიას შევხვდებით, როგორც უ. ქ. უინი-ედუარდსმა გვიჩვენა, ცხოველის ძალიან ბევრ სახეობაში. ტერიტორიების გადალობვის გარდა, რაც ხელს უშლის ერთმანეთის გვერდით ზედმეტად მჭიდრო დასახლებას, არსებობს სხვა საშუალებანიც, რომლებიც აფერხებენ არსებული საკვების გადაჭარბებულ ექსპლოატაციას.

არცთუ იშვიათია, რომ იმ სახეობებს, რომლებიც მტაცებლის საკვებადაა განკუთვნილი, მკვეთრად გამოხატული უპირატესობა გააჩნიათ თავიანთ მჭამელთა წინაშე. ეს არის საკვები ცხოველისა თუ საკვები მცენარის მოშენების ციფრის ისეთი ორიენტირება ერთ მომხმარებელზე, რომ თუ ეს ფაქტორი არა, მტაცებელთა სიცოცხლის წონასწორობა დაირღვეოდა, პოპულაციის დიდი კატასტროფები, რასაც ვაკვირდებით სწრაფად გამრავლებად მღრღნელებზე მას შემდეგ, რაც მათი დასახლების სიმჭიდროვე უაღრესად გაიზარდა, გაცილებით საშიშია სახეობის შენარჩუნებისათვის, ვიდრე საშუალო რაოდენობის პროპორციული შენარჩუნება, რომელიც ხორციელდება მტაცებლის მიერ ჭარბი ცხოველების „გაწმენდით". მტაცებლისა და მისი მსხვერპლის სიმბიოზი ზოგჯერ ძალიან შორს მიდის. არსებობს ბალახის ბევრი ჯიში, რომლებიც აშკარად ისე არიან „კონსტრუირებული", რომ მსხვილმა ჩლიქოსანმა ცხოველებმა კარგა ხანს ძოვონ და კიდევაც გადათელონ, რასაც ხელოვნურ გაზონებზე ხანგრძლივი მოთიბვით და ტკეპნით ვაღწევთ ხოლმე. თუ ეს ფაქტორები არ იქნება, ამ ბალახებს მალე ბალახის სხვა ჯიში განდევნის, რომელიც თუმცა ასეთ მოპყრობას ვერ იტანს, სამაგიეროდ სხვა თვალსაზრისით უფრო სიცოცხლისუნარიანია. მოკლედ, ორი ცოცხალი ფორმა შეიძლება ერთმანეთის მიმართ ისეთსავე ურთიერთდამოკიდებულებაში აღმოჩნდეს, ადამიანს რომ აქვს შინაური ცხოველებისა და კულტურულ მცენარეთა მიმართ. კანონზომიერებანი, რომლებიც ასეთ ურთიერთზემოქმედებას აწესრიგებენ, ზოგჯერ ადამიანთა ეკონომიის კანონზომიერებას წააგავს, რაც გამოიხატა კიდევაც იმ ტერმინში, ამ ურთიერთზემოქმედების შემსწავლელ მეცნიერებას — ეკოლოგიას რომ დაერქვა. არის ერთი ცნება, რომელსაც ჩვენ შემდგომ დავუბრუნდებით და რომელიც ცხოველთა და მცენარეთა ეკოლოგიაში არ გვხვდება. ეს გახლავთ გარესამყაროსადმი ბარბაროსული, მტაცებლური დამოკიდებულების ცნება — Raubbau.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთზემოქმედებანი იმ უამრავი ცხოველის, მცენარის თუ სოკოს სახეობათა სტრუქტურაში, რომლებიც ერთ სასიცოცხლო სივრცეში ცხოვრობენ და სასიცოცხლო ერთობას, ანუ ბიოცენოზს ქმნიან, წარმოუდგენლად მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ცოცხალ არსებათა სხვადასხვა სახეობის ურთიერთშეგუებამ, რომელიც დროთა განმავლობაში განხორციელდა, და რომელთა დროული მასშტაბიც გეოლოგიას შეესატყვისება და არა ადამიანის ისტორიას, საკვირველ და ამავე დროს ადვილად დასარღვევ წონასწორობის მდგომარეობამდე მიგვიყვანა. მრავალი მარეგულირებელი პროცესი იცავს მას ამინდით გამოწვეულ თუ სხვა მსგავს უცილობელ შეფერხებათაგან. ყოველი ცვლილება, რომელიც ნელა ხდება (როგორიცაა სახეობათა ევოლუციის ან ჰავის თანდათანობითი შეცვლით გამოწვეული ცვლილებები), სასიცოცხლო სივრცის წონასწორობას არ აგდებს საფრთხეში. მაგრამ ანაზდეულად ზემოქმედებას, მაშინაც, თუ ის თითქოს უმნიშვნელოა, შეიძლება მოულოდნელად დიდი, უფრო მეტიც — კატასტროფული შედეგები მოჰყვეს. ასე მაგალითად, სრულიად უწყინარი ცხოველის უცხო გარემოში შეყვანამ შეიძლება ვეებერთელა მი-

წის ფართობი გააჩანაგოს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ეს ავსტრალიაში მოხდა ბოცვერის მოშენებით. ბიოტოპის წონასწორობაში შეჭრა აქ ადამიანის ხელით განხორციელდა. პრაქტიკულად დასაშვებია მსგავსი რამ მისი ჩარევის გარეშეც მოხდეს, თუმცა ბევრად უფრო იშვიათად.

ადამიანის ეკოლოგია ბევრად უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისა. მის ტემპს განსაზღვრავს ტექნოლოგიის პროგრესი, რომელიც განუწყვეტლივ და გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ადამიანი ვერ ასცდება იმას, რომ შორს მიმავალი ცვლილებები, ხშირად კი — ტოტალური გაჩანაგება არ გამოიწვიოს იმ სასიცოცხლო ერთობაში, რომელშიც და რომლითაც ცხოვრობს. გამონაკლისია მხოლოდ „ველური ტომები", როგორიც მაგალითად სამხრეთ ამერიკის უსიერ ტყეში მობინადრე ინდიელები, რომლებიც მცენარეთა ნაყოფით და ნადავლით იკვებებიან, ან ოკეანიის ზოგიერთი კუნძულის მცხოვრებლები, რომლებიც ნაწილობრივ მიწათმოქმედებას მისდევენ, ძირითადად კი ქოქოსის კაკლით და ზღვის ცხოველებით ირჩენენ თავს. ასეთი კულტურები თავიანთ ბიოტოპზე ისეთსავე ზემოქმედებას ახდენენ, როგორც ცხოველების რომელიმე სახეობის პოპულაციები. ეს თეორიულად ერთი შესაძლებელი შემთხვევაა, სადაც ადამიანს თავის ბიოტოპთან ჰარმონიაში შეუძლია იცხოვროს. სხვა შესაძლებლობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი, როგორც მიწათმოქმედი და მესაქონლე, ახალს, მთლიანად მისი მოთხოვნილებების შესაბამის სასიცოცხლო ერთობას შექმნის, რომელსაც პრინციპში შეიძლება ისეთივე ხანგრძლივი არსებობის უნარი გააჩნდეს, როგორიც აქვს სხვას, მისი ჩარევის გარეშე წარმოქმნილს. ეს ეხება ზოგიერთ ძველ სამეურნეო კულტურას, როცა ადამიანები მრავალი თაობის მანძილზე ერთ მიწაზე სახლობენ, უყვართ იგი და ჭეშმარიტად კარგი, პრაქტიკით მოპოვებული ეკოლოგიური ცოდნით მიწას უბრუნებენ იმას, რასაც მისგან ღებულობენ.

გლეხმა იცის ის, რაც მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ დაივიწყა — სახელდობრ ის, რომ მთელი პლანეტის სასიცოცხლო მარაგი ᲐᲛᲝᲣᲬᲣᲠᲐᲕᲘ როდია. მას შემდეგ, რაც ამერიკაში ეროზიამ, რომელიც მიწის ბარბაროსულ დამუშავებას მოჰყვა, ვრცელი, ნაყოფიერი მიწები უდაბნოდ აქცია, მას შემდეგ, რაც დიდი ფართობები გაჩეხვის შედეგად კარსტული გახდა და უამრავი სასარგებლო ცხოველის ჯიში გადაშენდა, ეს ფაქტები თანდათან თავიდან გაიცნობიერეს, უმთავრესად კი იმიტომ, რომ ამა თუ იმ აგროკულტურამ, თევზის და ვეშაპმჭერმა ინდუსტრიულმა სარეწებმა კომერციული თვალსაზრისით ეს საქმე ოდ მტკივნეულად იგრძნეს, მაგრამ ეს ფაქტები დღესაც საყოველთაოდ აღიარებული და საზოგადოების ცნობიერებაში დამკვიდრებული არ არის!

ჩვენი დროის სულმოუთქმელობა, რაზედაც შემდგომ თავში ვისაუბრებთ, ადამიანს არ უტოვებს დროს რაიმე აწონ-დაწონოს და ამოქმედებამდე გამოსცადოს. შემდეგ ბრიყვნი ბეღლუბრყვილოდ იკვეხნიან კიდეც, „მქიმიებლები" ვართო, მაშინ როცა ბუნებისა და საკუთარი თავის მიმართ ბოროტმოქმედებას სჩადიან. დღეს ბოროტმოქმედება ხდება ყველგან, სადაც ქიმიურ საშუალებებს იყენებენ. მაგალითად, ხილის მეურნეობაში მავნე მწერების განადგურების მიზნით, განსაკუთრებით მებაღეობამეხილეობაში. მაგრამ ასეთსავე სიბეცეს იჩენენ ფარმაკოპეაშიც. იმუნოლოგებს სერიოზული ეჭვი უჩნდებათ საყოველთაოდ მიღებული მედიკამენტების მიმართ. „მუისვე ხელში ჩაგდების სურვილი", რომელსაც მეოთხე თავში დავუბრუნდები, ქიმიური ინდუსტრიის ზოგ დარგს შეუწყნარებლად ქარაფშუტულს ხდის თავისი პროდუქციის წარმოება-გავრცელებით, რომლის შედეგების გათვალისწინებაც მომავლისათვის საერთოდ შეუძლებელია. რაც შეეხება მიწათმოქმედების ეკოლოგიურ მომავალს, სამედიცინო მოთხოვნილებების თვალსაზრისითაც, აქ თითქმის დაუჯერებელი უდარდელობა სუფევს, გამფრთხილებლებს, რომლებიც ქიმიის დაუფიქრებელი გამოყენების წინააღმდეგ გამოდიან, ვერაგულად აბიაბრუებენ და პირს უქოლავენ.

ცივილიზებული კაცობრიობა თავის გარემომცველ და მარჩენალ ცოცხალ ბუნებას, ბრმად და ბარბაროსულად რომ აჩანაგებს, ამით საკუთარ თავს აყენებს ეკოლოგიური განადგურების საფრთხის წინაშე. თუ იგი ამას ოდესმე ეკონომიკურად იგრძნობს, შეიძლება კიდეც მიხვდეს თავის შეცდომას, მაგრამ ვაითუ ეს მიხვედრა უკვე დაგვიანებული აღმოჩნდეს. ყველაზე ნაკლებად კი კაცობრიობა იმას ამჩნევს, ეს ბარბაროსული პროცესი რა ძლიერ ვნებს მის საკუთარ სულს. ცოცხალი ბუნებისაგან საყოველთაო და მზარდ გაუცხოებას დიდი ბრალი მიუძღვის ცივილიზებული ადამიანის ესთეტიკურ და ეთიკურ გაუხეშებაში. საიდან უნდა გაუჩნდეს მოზარდს რაიმეს წინაშე ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲡ გრძნობა, თუ ყველაფერი, რასაც გარშემო ხედავს, ადამიანის ნახელავია და, თანაც, იაფფასიანი და უშნო ნახელავი? ქალაქელისათვის თვით ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც მაღლივი სახლებით და ქიმიური გამონაბოლქვითაა დაფარული. აღარც არის გასაკვი-

…ია, თუ ცივილიზაციის წინსვლას ქალაქისა და სოფლის გულსაკლავი დამახინჯება მოსდევს. შეადარეთ რომელიმე გერმანული ქალაქის ძველი ცენტრი მის თანამედროვე პერიფერიებს, და თვითონ ეს გარემოში მძაფრად შეჭრილი კულტურის სამარცხვინო ლაქა — მის მიერ ჯერ ხელუხლებელ ადგილებს. შემდეგ შეადარეთ ნორმალური სხეულის ქსოვილის ჰისტოლოგიური სურათი ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულისას: გასაოცარ ანალოგიებს აღმოაჩენთ! თუ ობიექტურად განვიხილავთ და ესთეტიკურიდან ანგარიშის ენაზე გადავიტანთ, ეს განსხვავება არსებითად ემყარება ინფორმაციის დაკარგვას.

ავთვისებიანი სიმსივნის უჯრედი ჯანმრთელი სხეულის უჯრედისაგან უპირველესად იმით განსხვავდება, რომ მას დაკარგული აქვს ის გენეტიკური ინფორმაცია, რომელიც სჭირდება, რათა შეასრულოს თავისი როლი, როგორც სხეულის საერთო ინტერესებში ჩაბმულმა წევრმა. ამიტომ იგი ისე იქცევა, როგორც ცალკეული ცხოველი ან, უფრო ზუსტად, როგორც ისრის ემბრიონალური უჯრედი. მას აკლია განსაკუთრებული სტრუქტურები; იგი უზომოდ და უანგარიშოდ იყოფა ისე, რომ ავთვისებიანი სიმსივნის ქსოვილი ჯანსაღ მეზობელ ქსოვილს შეეზრდება და ანადგურებს. თვალშისაცემი ანალოგიები ქალაქის პერიფერიის სურათსა და ავთვისებიან სიმსივნეს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ერთშიც და მეორეშიც, ჯერ ისევ ჯანმრთელ სივრცეში მრავალი, ძლიერ განსხვავებული, მაგრამ წმინდად დიფერენცირებული და ერთმანეთის შემავსები სამშენებლო გეგმებია განხორციელებული, რომლებიც თავიანთ ბრძნულ სიმეტრიას იმ ინფორმაციას უმადლიან, რომელიც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პერიოდში დაგროვდა, მაშინ როცა ავთვისებიანი სიმსივნე ან თანამედროვე ტექნოლოგიის მიერ გავერანებული ქალაქის გარეუბანი მხოლოდ მცირე, უკიდურესად მარტივ კონსტრუქციათა სურათს გვთავაზობს. სიმსივნის უჯრედების სრულიად ერთფეროვან, სტრუქტურულად ღარიბ ჰისტოლოგიურ სურათს ავბედითი მსგავსება აქვს თანამედროვე ქალაქის შემოგარენის ზემოდან გადაღებულ სურათთან, რომელზედაც მოჩანს კულტურულად გაღარიბებული, შეჯიბრების ციებით შეპყრობილი არქიტექტორების მიერ ნაჩქარევად დაპროექტებული ერთფეროვანი სტანდარტული სახლები. კაცობრიობის შეჯიბრმა საკუთარ თავთან, რაზედაც შემდეგ თავში ვისაუბრებთ, ბინათმშენებლობაზე გამანადგურებელი ზეგავლენა მოახდინა. არა მარტო კომერციულმა მოსაზრებამ, რომ მასობრივად დამზადებული მშენებლობის ნაწილები უფრო იაფი ჯდება, არამედ ყველაფრის გამაუფასურებელმა მოდამ ის მოიტანა შედეგად, რომ ყველა ცივილიზებული ქვეყნის ქალაქების გარეუბნებში ასეთი სახლები ასიათასობით შენდება; მათ მხოლოდ ნომერი განასხვავებს ერთმანეთისაგან და „სახლის" სახელს არც იმსახურებენ. უკეთეს შემთხვევაში, ისინი ბოსლების წყებაა „სასარგებლო ადამიანებისათვის" აგებული, ეს გამოთქმა „სასარგებლო ცხოველის" ანალოგიით რომ ვიხმაროთ.

ლეგორნის ჯიშის ქათამი ბატარეებში იყოლიო — სრულიად სამართლიანად ითვლება ფრინველის წამებად და კულტურის სირცხვილად. სამაგიეროდ, მსგავსი რამ ადამიანს აკადრო, — რატომღაც ნორმალურად მიაჩნიათ, თუმცა სწორედ ადამიანი იტანს ყველაზე ნაკლებად ადამიანისათვის უღირს მოპყრობას. ნორმალური ადამიანის თვითშეფასება სრული უფლებით მოითხოვს საკუთარი ინდივიდუალობის განმტკიცებას. ადამიანი ჭიანჭველასავით ან ტერმიტივით არ არის თავისი ფილოგენეზით ისე მოწყობილი, რომ ეს აიტანოს, იყოს ანონიმური და ადვილად შენაცვლებადი ელემენტი ერთი სახეობის მილიონ მსგავსს შორის. საკმარისია თვალი შევავლოთ ქალაქის გარეუბანში რომელიმე დასახლებას, ამ პატარა ბაღ-ვენახებსა და შიგ ჩადგმულ სახლებს, რათა დავრწმუნდეთ, თუ რა შედეგი მოაქვს ადამიანის სწრაფვას საკუთარი ინდივიდუალობის გამოხატვისაკენ. ულიმღამო სადგომთა წყებაში მცხოვრებ ადამიანს მხოლოდ ერთი გზაღა დარჩენია საკუთარი თავისადმი პატივისცემის შესანარჩუნებლად: ბევრი მის ბედში მოხვედრილი თანამოძმე ცნობიერებიდან განდევნოს, ხოლო კარის მეზობელს მკაცრად გაემიჯნოს. ძალიან ბევრ საცხოვრებელ მასივში, ცალკე ბინებს შორის აივნებზე კედელია ჩადგმული, რომელიც მეზობელს უხილავს ხდის. არც სურვილი და არც საამისო ძალა არ გააჩნიათ, „ღობის იქით" მასთან სოციალური კონტაქტი დაამყარონ, რადგან შიში აკავებთ — მეზობლის სახეში საკუთარი სასოწარკვეთილება არ ამოიკითხონ. გამასობრივებას ამ გზითაც მივყავართ მარტოსულობისა და მოყვასის მიმართ გულგრილობისაკენ.

ესთეტიკური და ეთიკური გრძნობა, როგორც ჩანს, ერთმანეთთან უმჭიდროესადაა დაკავშირებული, ხოლო ადამიანები, რომლებიც იძულებული არიან ზემოთ აღწერილ პირობებში იცხოვრონ, ორივეს მიმართ აშკარა ატროფიას განიცდიან. ბუნების სილამაზე და ადამიანის მიერ შექმნილი კულტურული გარემოს სილამაზე — ორივე სრულიად აუცილებელია, რათა ადამიანი სულიერად და ინტელექტუალურად ჯანმრთელი დარჩეს. ტო-

ტალური სულიერი სიბრმავე ყოველივე მშვენიერის მიმართ, რომელიც დღესდღეობით ასე სწრაფად იკიდებს ფეხს, სულიერი დაავადებაა, რომელსაც თუნდაც იმიტომ უნდა მოვეკიდოთ მთელი სერიოზულობით, რომ იგი ეთიკურად მიუღებლის მიმართ უგრძნობლობას ამკვიდრებს.

იმათ, ვინც წყვეტს, სად ქუჩა გაიჭრას, სად — საავტომობილო ქარხანა თუ ფაბრიკა აშენდეს, თუნდაც ამით მშვენიერი შემოგარენის საკმაოდ მოზრდილი ნაწილი სამუდამოდ დამახინჯდეს, ესთეტიკური მოსაზრებები საერთოდ არ აწუხებთ. პატარა დაბის ბურგომისტრიდან დიდი სახელმწიფო მეურნეობის მინისტრამდე სრული თანხმობა სუფევს იმ საკითხში, რომ ბუნების სილამაზისათვის არავითარი ეკონომიკური (ან მით უმეტეს პოლიტიკური) მსხვერპლი არ შეიძლება გავიღოთ. ის მცირერიცხოვანი ბუნების დამცველები და მეცნიერები, რომლებიც ხედავენ ამ თავსდატეხილ უბედურებას, სრულიად უღონონი არიან. თუ ყურს მოჰკრავენ, რომელიმე სოფლის თემის საკუთრებაში მყოფ პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებზე, ტყის პირას ფასი აიწევს, თუ იქამდე გზა იქნება გაყვანილიო, პაწია, თვალწარმტაც ნაკადულს, თავისთვის რომ მირაკრაკებს სოფელში და თვალს ახარებს, მაშინვე მილებში გამოამწყვდევენ, მიწას დააყრიან, მოასწორებენ და მშვენიერი სოფლის ქუჩას ქალაქის გარეუბნის ერთ-ერთ ტიპიურ, უსახურ ქუჩას დაამსგავსებენ.

## IV შეჯიბრი საკუთარ თავთან

პირველი თავის დასაწყისში ჩვენ განვმარტეთ, თუ რატომაა აუცილებელი მყარი მდგომარეობის (steady state) შესანარჩუნებლად ცოცხალ სისტემებში რეგულარულ წრეთა ანუ ნეგატიურ უკუკავშირთა ფუნქცია; ასევე, თუ რატომ იწვევს დადებითი უკუკავშირების წრიული მოქმედებანი ცალკეული მოქმედების ზვავად ჩამოწოლის საშიშროებას. დადებითი უკუკავშირების სპეციალური შემთხვევაა, როცა ერთი სახეობის ინდივიდები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს შეჯიბრი სელექციის მეშვეობით მათ განვითარებაზე ახდენს ზეგავლენას. სახეობაზე გარე სამყაროს ფაქტორთა ზემოქმედებისაგან განსხვავებით ინტრასპეციფიკური სელექცია იწვევს ცვლილებებს შესაბამისი სახეობის მემკვიდრეობაში. ეს ცვლილებები მის სიცოცხლისუნარიანობას არათუ აძლიერებს, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, აშკარად ვნებს.

ინტრასპეციფიკური სელექციის შედეგების საილუსტრაციოდ ო. ჰაინროთის მიერ მოტანილი მაგალითი ეხება მამალი ხოხბის (Argusianus argus-ს) ფრთებს. ისინი ქედლობის პერიოდში ფარშევანგის ბოლოს მსგავსად იშლებიან და დედლისკენ არიან მიმართული. ისევე, როგორც ფარშევანგთან, ხოხობთანაც არჩევანი მთლიანად დედალს ეკუთვნის. მამლის გამრავლების პერსპექტივა უშუალოდ დამოკიდებულია [illegible] ძალაზე, რომელსაც მისი [illegible] დედლებზე მოახდენს. მაგრამ თუ ფარშევანგი თავის ბოლოს ფრენის დროს მეტ-ნაკლებად სწორხაზოვნად კეცავს და ეს ფრენაში ხელს არ უშლის, მამალი ხოხბის ფრთების წაგრძელება მას თითქმის უკარგავს ფრენის უნარს. თუ ეს უნარი მთლიანად არ დაკარგა, როგორც ჩანს, მხოლოდ იმიტომ, რომ სელექციამ შეუშალა ხელი, რომელსაც მიწაზე მობინადრე მტაცებლებმა საპირისპირო მიმართულება მისცეს. სელექციამ იტვირთა აუცილებელი მარეგულირებელი, ზემოქმედება.

ჩემმა მასწავლებელმა ოსკარ ჰაინროთმა მისთვის დამახასიათებელი შეუბრალებელი პირდაპირობით თქვა: „არგუსის მამლის ფრთების შემდეგ თანამედროვე კაცობრიობის შრომის ტემპი ინტრასპეციფიკური სელექციის ყველაზე უჭკუო პროდუქტია". ეს სიტყვები თავის დროზე წინასწარმეტყველურად ითქვა, დღეს კი ისინი კლასიკური „Understatement" (მიჩუმათება). არგუსის, ისევე როგორც სხვა, მსგავსი აღნაგობის მრავალი ცხოველის შემთხვევაში, გარესამყაროს ზემოქმედებანი აფერხებენ იმას, რომ სახეობა ინტრასპეციფიკურმა სელექციამ სიმახინჯედ აქციოს და საბოლოოდ კატასტროფისკენ მიმავალ გზაზე დააყენოს. კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში არავითარი მსგავსი გამაჯანსაღებელი მოქმედი ძალები არ არსებობს. მან, კაცობრიობამ, თავისდა საუბედუროდ, ისწავლა მთელი გარესამყაროს დამორჩილება, მაგრამ საკუთარი თავის შესახებ იმდენად ცოტა იცის, რომ ინტრასპეციფიკური სელექციის სატანურ ზემოქმედებას უმწეოდ ეწირება.

„Homo homini lupus" („კაცი კაცისათვის მგელია"), ისევე როგორც ჰაინროთის ცნობილი გამოთქმა, „მიჩუმათებას" წარმოადგენს. ადამიანი, როგორც საკუთარი სახეობის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელი სელექციის ერთადერთი ფაქტორი, სამწუხაროდ, ისე უცოდველი როდია, როგორც თუნდაც ყველაზე საშიში ნადირი: ადამიანის შეჯიბრი ადამიანთან, ისე როგორც არც ერთი ბიოლოგიური ფაქტორი მანამდე, უპირისპირდება სწორედ „მარად ცხოველ, კეთილმყოფელ შემოქმედ ძალას" და ანგრევს ყველა ღირებულებას, რომელიც ამ ძალამ შექმნა — ცივი სატანური მუშტით, რომლის ქმედებასაც განსაზღვრავს

მხოლოდ და მხოლოდ ღირებულებისადმი ბრმა, კომერციული მოსაზრებანი.

ის, რაც კაცობრიობისათვის, როგორც მთლიანობისათვის, და ისიც, რაც ცალკე ინდივიდისათვის კარგი და სასარგებლოა, ადამიანთა შორის შეჯიბრის ზეგავლენით თითქმის მთლიანად დავიწყებას ეძლევა. დღეს მცხოვრებ ადამიანთა უმეტესობას ღირებულებად მხოლოდ ის მიაჩნია, რაც, შეუბრალებელ კონკურენციაში თანამოძმეზე გაამარჯვებინებს. ყოველი საშუალება, რომელიც ამ მიზანს ემსახურება, თავისთავად ღირებულებად გვეჩვენება. **უტილიტარიზმის** გამანადგურებელი ცდომილებანი შეიძლება განვმარტოთ როგორც საშუალებისა და მიზნის აღრევა. ფული იმთავითვე საშუალებაა. ხალხურ ენაშიაც ხომ ასეა: „მე მაქვს სახსარი". რამდენ კაცს შეხვდებით დღეს, რომელიც გაგიგებთ, თუ მოინდომებთ და აუხსნით, რომ ფულს თავისთავად არ გააჩნია რაიმე ღირებულება? იგივე ითქმის დროზე: „დრო—ფულია". ყველასათვის, ვისთვისაც ფულს აბსოლუტური ღირებულება გააჩნია, ძვირფასია თითოეული წამიც კი. თუ ისეთ თვითმფრინავს ააგებენ, რომელიც ატლანტიკას უფრო მალე გადაუფრენს, ვიდრე ყველა დანარჩენი, კაციშვილი არ იკითხავს, რას მოგვიტანს დასაშვები ბილიკისათვის სიგრძის მომატება, აფრენის სიჩქარის გაძლიერება და ამით საშიშროების ზრდა, უფრო დიდი ხმაური და ა. შ. ნახევარი საათის მოგება ყველას თვალში თავისთავადი ღირებულებაა, რომლის მისაღწევად არც ერთი მსხვერპლი არ იქნება ზედმეტი. ყოველი საავტომობილო ქარხნის საზრუნავია, რომ ყოველი ახალი ტიპის მანქანა წინამავალს აღემატებოდეს სიჩქარით. გზები კიდევ უფრო უნდა გაგანიერდეს, ყოველი მოსახვევი საიმედოდ გამაგრდეს თითქოს უსაფრთხოების გასაძლიერებლად, სინამდვილეში კი მხოლოდ იმისათვის, რათა ცოტა უფრო სწრაფად (და, მიტომ, უფრო ხიფათიანად) შეიძლებოდეს მანქანის მართვა.

საკითხავია, რა უფრო ვნებს დღევანდელი კაცობრიობის სულს: დამაბრმავებელი ფულის სიხარბე თუ ქანცის გამწყვეტი სიჩქარე. რომელიც უნდა იყოს, ყველა პოლიტიკური მიმართულების ძალაუფლების მქონეთა სურვილია, ერთსაც და მეორესაც ყველანაირად შეუწყონ ხელი და ჰიპერტროფიამდე გააძლიერონ ის მოტივები, რომლებიც ადამიანს ამ შეჯიბრში წააქეზებენ. რამდენადაც ვიცი, ამ მოსაზრებების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა. ჩემი შეხედულებით, ქონების შეძენისა და რანგობრივად უფრო მაღალი მდგომარეობის მოპოვების ხარბი სურვილის გარდა, აქ **შიშიც** ასრულებს მნიშვნელოვან როლს. შიში — შეჯიბრში არ ჩამორჩე, შიში გაღატაკებისა, მცდარი გადაწყვეტილების მიღებისა, შიში — ძალამ არ გიმტყუნოს მთელი ენერგიის დამძაბველი სიტუაციების წინაშე. შიში ამ სახით უეჭველად უმნიშვნელოვანესი ფაქტორთაგანია, თანამედროვე ადამიანის ჯანმრთელობას ძირს რომ უთხრის და მას მაღალი წნევით, თირკმელების მოშლით, ნაადრევი გულის ინფარქტით და სხვა მშვენიერი რამეებით აჯილდოებს. მოჩქარე ადამიანს არა მარტო სიხარბე აცდუნებს; თვით ყველაზე ძლიერ ცდუნებასაც არ ექნებოდა იმდენი ძალა, ადამიანი ასეთ ენერგიულ თვითგანადგურებამდე მიეყვანა, იგი **დევნილია** და მისი მდევარი მხოლოდ შიშია.

შიშნარევი (სულმოუთქმელობა და სულის მოთქმის არდამცლელი შიში ადამიანს განძარცვავს მისი უარსებითესი თვისებებისაგან. ერთ-ერთია **რეფლექსი**. როგორც ეს ჩემს ნაშრომში („Innate Basis of Learning") („შემეცნების თანდაყოლილი საფუძველი") გავაანალიზე, ადამიანის ადამიანად ჩამოყალიბების იდუმალებით მოცულ პროცესში, როგორც ჩანს, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტმა შეასრულა, რომ გარესამყაროს შემსწავლელმა ამ ცნობისმოყვარე არსებამ **საკუთარი თავი** გაიხადა კვლევის საგნად. საკუთარი „მეს" აღმოჩენა სულაც არ არის აუცილებელი დროში ემთხვეოდეს იმ გადატრიალებას, როცა ადამიანმა ერთ მშვენიერ დღეს მანამდე თავისთავად ცხადს გაოცებით შეხედა, რაც ფილოსოფიის დაბადების აქტადაა მიჩნეული. უკვე ის ფაქტი, რომ მძებნელი და საგნის მომხელთებელი ხელი მოძიებული და მოხელთებული საგნის გვერდითაა დანახული და გარესამყაროს საგნადაა გაგებული, ალბათ, ახალი კავშირის დამყარებას მოასწავებდა, რომლის შედეგებმაც ეპოქა შექმნეს. არსება, რომელმაც ჯერ არაფერი იცის საკუთარი „მეს" არსებობის შესახებ, ვერც აბსტრაქტულ აზროვნებას განივითარებს, ვერც ენას, ვერც სინდისსა და პასუხისმგებელ ზნეობას. არსება, რომელიც **შეწყვეტს** რეფლექსიას, იმ საშიშროების წინაშე დგას, რომ დაკარგავს ყველა ამ სპეციფიკურ ადამიანურ თვისებებსა და მონაპოვარს.

მუდმივი სიჩქარის ან, იქნებ, უშუალოდ ამ სიჩქარით გამომწვევი შიშის ერთი უბოროტესი შედეგთაგანია თანამედროვე ადამიანის უუნარობა, — სულ მცირე ხნით მაინც საკუთარ თავთან მარტო დარჩეს. იგი გაურბის თვითგაცნობიერებისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების ყოველ შესაძლებლობას, თითქოს ეშინია, რომ რეფლექსია მას საკუთარ საზარელ ავტოპორტრეტს დაუყენებს თვალწინ, იმის

მსგავსად, რასაც ოსკარ უაილდი თავის რომანში — „დორიან გრეის პორტრეტი" აღწერს. სულ უფრო ძლიერი სწრაფვა ხმაურისაკენ, რაც თანამედროვე ადამიანის ნევრასთენიის გამო პირდაპირ პარადოქსულია, მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ რაღაც უნდა ჩახშობილ იქნეს. ერთხელ, ტყეში სეირნობისას, მე და ჩემს მეუღლეს სწრაფად მოახლოებული ყურთწამღები მუსიკა შემოგვესმა, რომელსაც თექვსმეტი წლის ველოსიპედისტის საბარგულზე მიმაგრებული ტრანზისტორი აფრქვევდა. ჩემმა მეუღლემ შენიშნა: „ეშინია, ფრინველების გალობა არ გაიგოს!" მე კი მგონია, მას ეშინოდა, თუნდაც წამით, საკუთარ თავთან მარტო დარჩენისა. რატომ ამჯობინებენ სხვა მხრივ ინტელექტუალური პრეტენზიების მქონე ადამიანები ზოგჯერ პირდაპირ ტვინის გამაწყალებელ სატელევიზიო გადაცემებს საკუთარ თავთან მარტო დარჩენას? ჭეშმარიტად, მხოლოდ იმისათვის, რომ ფიქრები განდევნონ.

მაშასადამე, ადამიანები იტანჯებიან, იტანჯებიან იმ ნერვული და სულიერი დაძაბულობისაგან, რასაც მათ აკისრებს თავიანთ მსგავსთან შეჯიბრი, თუმცა მათ ბავშვობიდანვე წვრთნიან, რათა ამ შეჯიბრების ყველა მანკიერი გამოვლენა წინსვლად მიიჩნიონ, სწორედ ყველაზე წინ წასულთა თვალებიდან მდევარი შიში იმზირება, ხოლო ყველაზე ყოჩაღები მათ შორის, ვინც „დროს ნაბიჯს უწყობს", განსაკუთრებით ნაადრევად კვდებიან გულის ინფარქტით.

მაშინაც, თუ სრულიად გაუმართლებელ ოპტიმისტურ თვალსაზრისს დავუშვებთ, რომ მომავალში დედამიწაზე მოსახლეობის სიჭარბე დღევანდელი საშიში მასშტაბით აღარ მოიმატებს, კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან მაინც სრულიად საკმარისი იქნება, რათა იგი საბოლოოდ განადგურდეს. დადებით უკუკავშირიანი ყოველი წრიული პროცესი, ადრე თუ გვიან, კატასტროფამდე მიგვიყვანს. ხოლო პროცესი, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით, რამდენიმე ასეთ წრიულ უკუკავშირს შეიცავს. შრომის მარად მზარდი ტემპის ინტრასპეციფიკური კომერციული სელექციის გარდა აქ თავს იჩენს მეორე საშიში წრიული პროცესიც, რაზეც ვანს პაკარდმა თავის წიგნებში ყურადღება გაამახვილა, და რასაც შედეგად მოაქვს ადამიანთა მოთხოვნილებების პროგრესული ზრდა. ყოველი მწარმოებელი ისწრაფვის მის მიერ დამზადებულ საქონელზე რაც შეიძლება უფრო მეტად გაიზარდოს მომხმარებლის მოთხოვნილება. მრავალი „სამეცნიერო-კვლევითი" ინსტიტუტი მუშაობს მხოლოდ იმ საკითხზე, რომ უფრო ეფექტური საშუალებანი გამონახონ ამ ყოვლად მანკიერი მიზნის მისაღწევად. მომხმარებელთა დიდი მასა, პირველ და მეშვიდე თავში აღწერილ მიზეზთა გამო, ბრმად მიჰყვება იმას, რასაც შეხედულებათა და რეკლამების კვლევის მეთოდები შესთავაზებენ. არავინ უჯანყდება, მაგალითად, იმ ფაქტს, რომ ყოველი კბილის პასტის ან საპარსის შეძენისას, სარეკლამო საფუთავში იმაზე მეტს იხდის, ვიდრე თვითონ საქონლის ღირებულებაა.

ფუფუნების საგანთა წარმოება, რომლებიც უკუკავშირებიანი წარმოებისა და მოთხოვნილებათა ზრდის ეშმაკ წრეში ჩნდებიან, დასავლეთის ქვეყნებს, პირველ რიგში კი — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ადრე თუ გვიან, დაღუპვის კარამდე მიიყვანს, რადგან მისი მოსახლეობა აღმოსავლეთის ქვეყნების უფრო ნაკლებ განებივრებულ და უფრო ჯანსაღი მოსახლეობის წინაშე კონკურენციის უნარს დაკარგავს. ამიტომ კაპიტალისტური წყობის მესვეურების მხრივ სრული სიბეცეა აქამდე არსებული მეთოდის შენარჩუნება, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელი „ცხოვრების სტანდარტის" გაუმჯობესებით დააჯილდოვოს და ისე „მომართოს", რომ წნევის აწევი და ნერვების გამანადგურებელი შეჯიბრი განაგრძოს თავის მოყვასთან.

ფუფუნების საგნების წარმოებას, ამას გარდა, მივყავართ მეტად საშიში მოვლენების წრესთან, რომელსაც შემდეგ თავში განვიხილავთ.

## V. გრძნობის გაცივება

ყველა ცოცხალ არსებაში, რომელსაც უნარი აქვს პავლოვის კლასიკური ტიპის პირობითი რეაქციები გამოიმუშავოს, ეს პროცესი შეიძლება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო სახის გამღიზიანებლებმა დააჩქაროს: ერთია გამძლიერებელი გამღიზიანებლები (reinforcementl), რომლებიც წინამავალ ქცევას აძლიერებენ, მეორეა შემფერხებელი გამღიზიანებლები (deconditioning, extinguihing), რომლებიც ამ ქცევას ასუსტებენ ან სულაც აფერხებენ. ადამიანს პირველი გამღიზიანებელი კარგ გუნებაზე აყენებს, მეორე — უგუნებობას იწვევს. ვფიქრობ, გადაჭარბებული ანთროპომორფირება არ იქნება, თუ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი ცხოველების შემთხვევაში მათ „გასამრჯელოს" და „სასჯელს" ვუწოდებთ.

ისმის კითხვა: რატომ მუშაობს აპარატის ფილოგენეტურად განვითარებული პროგრამა, რომელიც სიცოცხლის ამ ფორმას უწყობს ხელს, ორი და არა უფრო მარტივად — მხოლოდ ერთ-ერთი ამ გამღიზიანებლით? ამაზე სხვადასხვა პასუხი არსებობს. ერთ-ერთი გვეუბნება, რომ სწავლის პროცესის ეფექტურობა

ორმაგდება, როცა ორგანიზმს არა მხოლოდ წარმატების ან წარუმატებლობისაგან, არამედ ორივესგან შეუძლია აზრიანი დასკვნები გამოიტანოს. მეორე ჰიპოთეტური პასუხი ასეთია: თუ სწორია, რომ ორგანიზმი გარესამყაროს ამა თუ იმ მავნე ზეგავლენისაგან უნდა დავიცვათ და იგი ოპტიმალურად უზრუნველვყოთ სითბოთი, სინათლით, ტენიანობით და ა. შ., მაშინ დამსჯელი გამღიზიანებლების მოქმედება სრულიად საკმარისი იქნება. მართლაც, ვხედავთ, რომ ოპტიმალური გამღიზიანებელი სიტუაციისა და, შესაბამისად, გამღიზიანებლისაგან განთავისუფლების ძიება, რომელსაც უოლეს კრეიგი „ანტიპატიას“ უწოდებს, ხშირად სწორედ ამ გზით ხდება. მაგრამ თუ, პირიქით, ცხოველი გვინდა სპეციფიკური ქცევისათვის გავწვრთნათ, თუნდაც, მაგალითად, იმისათვის, რომ იგი სრულიად გარკვეულ, მკაფიოდ მონიშნებულ ადგილზე მივიყვანოთ, ძლიერ გაგვიჭირდება ამის მიღწევა გამღიზიანებელზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში. გაცილებით ადვილია, სასურველ ადგილზე იგი გასამრჯელოს მიმცემი გამღიზიანებლით მივიყვანოთ. უკვე უოლეს კრეიგი მიუთითებდა იმაზე, რომ პრობლემის გადაწყვეტის ამ გზაზე ევოლუცია ყველგან იქ მოხდა, სადაც ცხოველი იწვრთნებოდა ისეთივე ძლიერ სპეციფიკური გამღიზიანებელი სიტუაციების მოძებნაში, როგორიცაა, მაგალითად, დაწყვილება და საკვების მიღება.

გასამრჯელოს და სასჯელის ორმაგი პრინციპის ასეთი ახსნა, სანამდეც გასწვდება, მართლაც საიმედოა, სიამოვნება-უსიამოვნების პრინციპის შემქმნელი და, თანაც, უცილოდ უმნიშვნელოვანესი ფუნქცია მხოლოდ მაშინ იკვეთება სრულად, როცა პათოლოგიური დარღვევები ამ პრინციპის ამოვარდნას გვამცნობენ. მედიცინის, ასევე, ფიზიოლოგიის ისტორიაში ხშირად მომხდარა, რომ კარგად აღწერილი ფიზიოლოგიური მექანიზმის არსებობა მის დაავადებას გამოუტანია დღის სინათლეზე.

ყოველი წვრთნა რაღაც ქცევის გამოსამუშავებლად, გასამრჯელოს მეშვეობით, აიძულებს ორგანიზმს სიამოვნების მოლოდინში აწმყოს უსიამოვნება მოთმინებით აიტანოს ან, უფრო ობიექტურად რომ გამოვხატოთ, ურეაქციოდ მიიღოს იმგვარი გამღიზიანებელი სიტუაციები, რომლებიც, მათ წინ სწავლების პროცესი რომ არ უძღოდეს, ზიზღის გამომწვევი და წვრთნის საწინააღმდეგოდ მიმართული იქნებოდა. სასურველი ნადავლის მოსაპოვებლად ძაღლი ან მგელი ძალიან ბევრ ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რასაც ჩვეულებრივ ვერ გააკეთებინებ: ძეძვში შეძვრება, ცივ წყალში გადახტება და თავს ისეთ საფრთხეში ჩაიგდებს, სხვა დროს რომ ვერ გააბედინებ. ყველა ამ სახეობის შენარჩუნებაზე მზრუნველი შემაფერხებელი მექანიზმის მოქმედება, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამაძლიერებელ მექანიზმთა მოქმედების საპირისპირო ქცევას წარმოშობს და ხელს უშლის იმას, რომ გასამრჯელოს მიმცემი გამღიზიანებელი სიტუაციისკენ თავის სწრაფვაში ორგანიზმმა მსხვერპლი გაიღოს და საფრთხეში ჩაიგდოს თავი, თუ ეს მოსალოდნელ მოგებას არ გაადამეტებს. ორგანიზმი ვერ წავა ისეთ რამეზე, რაც „არ ღირს“. მგელი თავისი გეშის ანგარიშგაუწევლად ვერ გარისკავს პოლარული ზამთრის ცივ ქარიშხლიან ღამეს სანადიროდ გავიდეს, რათა სადილი მოყინული თათის ფასად მოიპოვოს. მაგრამ შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნეს, როცა ასეთი რისკის გაწევა მიზანშეწონილი იქნება, მაგალითად, მაშინ, როცა მტაცებელი ცხოველი შიმშილით სიკვდილის პირასაა მისული და უკანასკნელი ძალების მოკრება სჭირდება, რათა გადარჩეს.

გასამრჯელო-დასჯის, სიამოვნება-უსიამოვნების საპირისპიროდ მოქმედი პრინციპები რომ იმისთვისაა მოწოდებული, რათა მსხვერპლის გაღებისა და მოგების ურთიერთშეფარდება აწონ-დაწონოს, ცალსახად იქიდან გამომდინარეობს, რომ ორივე პრინციპის ინტენსივობა ორგანიზმის ეკონომიკურ სიტუაციასთან ერთად მერყეობს. თუ, მაგალითად, საკვები ჭარბი რაოდენობითაა, მაშინ მისი მიმზიდველი ძალა ისე ეცემა, რომ ცხოველს მის მოსაპოვებლად ოროდე ნაბიჯის გადადგმაც ეზარება. სულ მცირე უსიამოვნო გამღიზიანებელი სიტუაციაც კმარა, რათა ჭამის სურვილი დაეკარგოს. ხოლო სიამოვნება-უსიამოვნების შეგრძნების უნარი ორგანიზმს შესაძლებლობას აძლევს, გასაჭირში, სიცოცხლისათვის აუცილებელი მიზნის მისაღწევად, უკიდურესი ფასიც კი გაიღოს.

აპარატს, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ყველა ცხოველებში იმისათვის ზრუნავს, რომ მათი ქცევა სიცოცხლისათვის აუცილებელი, ცვალებად „ბაზრის კონიუნქტურას“ მოერგოს, განსაზღვრული ფუნდამენტური ფიზიოლოგიური თავისებურებანი ახასიათებს, რაც მას საერთო აქვს სირთულის იმავე საფეხურზე მყოფ თითქმის ყველა ნევროსენსორულ ორგანიზაციებთან. იგი, ჯერ ერთი, ექვემდებარება ფართოდ გავრცელებულ მიჩვევის ანუ გრძნობად-ადაპტაციის პროცესს. ეს კი ნიშნავს, რომ გაღიზიანების გამომწვევი ყოველი კომბინაცია, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით, მრავალჯერ მეორდება თანდათან კარგავს ზემოქმედების ძალას, მაგრამ ისე (ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია), რომ რეაქციის ზღურბლის სიდიდე არ იცვლება სხვა, თვით

ძლიერ მსგავს გამღიზიანებელ სიტუაციებზეც კი. მეორეც, ხსენებულ მექანიზმს ახასიათებს, აგრეთვე, რეაქციის ინერციის ასევე ფართოდ გავრცელებული თავისებურება. თუ, მაგალითად, უსიამო გრძნობის გამომწვევი ძლიერი გამღიზიანებელი მას წონასწორობიდან გამოიყვანს და შემდეგ ასევე ანაზდად შეწყვეტს ზემოქმედებას, სისტემა დაღმავალი მრუდით კი არ უბრუნდება ინდიფერენტულ მდგომარეობას, არამედ ზეაიჭრება და უსიამოვნო გრძნობის შეწყვეტას გაძლიერებული სიამოვნებით პასუხობს. ძველი ავსტრიული გლეხური ხუმრობა აქ ზუსტად ხვდება მიზანს: „დღეს ჩემს ძაღლს მეგობრად გავიხდი: ერთი კარგა მაგრად გავჯოხავ, მერე კი შევეშვები“.

სიამოვნება-უსიამოვნების ორგანიზაციის ორივე ფიზიოლოგიური თავისებურება ამ შემთხვევაში ჩვენთვის იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მან (ამ სისტემისათვის დამახასიათებელ სხვა თავისებურებებთან ერთად) თანამედროვე ცივილიზებული კაცობრიობის სასიცოცხლო პირობებში შეიძლება სიამოვნება-უსიამოვნების ეკონომიის საშიში დარღვევები მოგვცეს. ვიდრე ამ დარღვევებს შევეხებოდე, მოკლედ შევჩერდები ბოლოს ნახსენებ თავისებურებებზე. ისინი ეკოლოგიური პირობებიდან გამომდინარეობენ, რომლებიც მაშინ მოქმედებდნენ, როცა ხსენებული მექანიზმი ადამიანის მოდგმის ისტორიაში (ადამიანის ქცევის მრავალ თანდაყოლილ პროგრამასთან ერთად) წარმოიქმნა. ადამიანს მაშინ მეტად მკაცრ და საშიშ პირობებში უხდებოდა ცხოვრება. როგორც მონადირე და ხორცის მჭამელი იგი მუდამ იყო დამოკიდებული თავის ნადავლზე. თითქმის მუდამ მშიერს და საჭმლის მაძიებელს, მას, როგორც ტროპიკულ არსებას, რომელიც თანდათან ზომიერ სარტყელში იჭრებოდა, შეცვლილი ჰავისგანაც ბევრი სატანჯველი შეხვდა. ხოლო რადგან იგი თავისი პრიმიტიული იარაღით დიდ მტაცებელს ბევრად ჩამოუვარდებოდა, დიდხანს უაღრესად საგანგაშო მზადყოფნასა და შიშში ცხოვრობდა.

ასეთ პირობებში ზოგი რამ, რაც დღეს „ცოდვად“, ან, სულ ცოტა, ზიზღის მომგვრელად გვეჩვენება, სრულიად სწორი, უფრო მეტიც, სიცოცხლის გადასარჩენად საჭირო სტრატეგია იყო. ჭამა და ღორმუცელობა სიქველე იყო, თუ რომელიმე დიდი ნადირი ხაფანგში გაებმებოდა, ყველაზე ჭკვიანური, რაც კი შეეძლო ადამიანს მოემოქმედა, იყო, ეჭამა, რამდენიც კი შეეძლო. იგივე ითქმის სიზარმაცის მომაკვდინებელ ცოდვაზე. ძალების ის დაძაბვა, რომელიც საჭირო იყო, რათა რაღაც ნადავლი ეშოვა, ისე დიდი იყო, რომ ადამიანს ჭკუა უნდა ეხმარა და თავისი ენერგია მომჭირნედ დაეხარჯა. ხიფათი, რომელიც ადამიანს ყოველ ნაბიჯზე დარაჯობდა, ისე საშიში იყო, რომ ყოველი უსარგებლო რისკის გაწევა უპასუხისმგებლო სისულელე იქნებოდა. ხოლო სიმხდალის საზღვრამდე მისული სიფრთხილე ყოველი მოქმედების ერთადერთი სწორი მაქსიმა იყო. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ დროში, როცა ინსტინქტების ის დიდი ნაწილი დაპროგრამდა, დღესაც რომ ვატარებთ, ჩვენს წინაპრებს არ სჭირდებოდათ, არსებობის სიძნელეები „მამაკაცურად“ ან „რაინდულად“ ეძებნათ, რათა დაეძლიათ. ეს სიძნელეები თვითონ ეძალებოდნენ მათ და, თანაც, ძლივს ასატანად. ადამიანს ფილოგენეტურად წარმოქმნილი — სიამოვნება-უსიამოვნების მექანიზმის პრინციპი ავალებდა, ყველა ხიფათს შეძლებისდაგვარად გასცლოდა, ასევე ენერგიის ზედმეტ ხარჯვას მორიდებოდა, რაც მაშინ სავსებით სწორი იყო.

გამანადგურებელი შედეგები, რაც იმავე მექანიზმს დღევანდელი ცივილიზაციის სასიცოცხლო პირობებში მოაქვს, შეიძლება მისი ფილოგენეტური კონსტრუქციით და მიჩვევა-სიზანტის ორი ფუნდამენტური ფიზიოლოგიური თავისებურებებით ავხსნათ. უკვე შორეულ წარსულში კაცობრიობის ბრძენკაცებმა სრულიად სწორად შეიცნეს, რომ ადამიანისათვის სულაც არ არის კარგი თუ იგი დიდ წარმატებას მიაღწევს თავის ინსტინქტურ სწრაფვაში, რაც შეიძლება მეტი სიამოვნება შეისყიდოს, ხოლო უსიამოვნება თავიდან აიცილოს. ძველ დროში, კულტურის მაღალ საფეხურზე მდგომმა ადამიანებმა იცოდნენ, როგორ აერიდებინათ თავი უსიამოვნების მომტანი სიტუაციებისათვის, რამაც შეიძლება მეტად საშიში, ზოგჯერ კულტურის დამღუპველი გასათუთება მოიტანოს. ადამიანებმა ოდითგან ისწავლეს, რომ სიამოვნების მომტანი სიტუაციები შეიძლება მათი გამომწვევი გამღიზიანებლების ეშმაკური კომბინირებით კიდევ უფრო გააძლიერო, ხოლო მათი მუდმივი შენაცვლებით ისინი მიჩვევისა და დაჩლუნგებისაგან დაიცვა; ამ აღმოჩენას რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი კულტურის ყველა ადამიანმა გაითავისა, სულიერ მანკამდე მივყავართ. მაგრამ იგი არასოდეს ყოფილა კულტურისთვის ისეთი დამღუპველი, როგორიც გასათუთებაა. მათ წინააღმდეგ ბრძენკაცებმა ბევრიც იქადაგეს თავის დროზე სიტყვით თუ კალმით, თანაც დიდი პათოსით.

თანამედროვე ტექნოლოგიის, უპირველესად კი, ფარმაკოლოგიის განვითარებამ აქამდე არნახული წარმატება მოუპოვა ადამიანის საერთო სწრაფვას, უსიამოვნება თავიდან აიცილოს. თვითონაც ვეღარ ვუწევთ ანგარიშს, თუ რა ძლიერ ვართ თანამედროვე „კომფორტზე“ და-

მოკიდებული, ისე თავისთავად ცხად რამედ იქცა იგი ჩვენთვის. დღეს ყველაზე თავმდაბალი შინამოსამსახურეც კი აგიჯანყდებათ, თუ ისეთ ოთახს შესთავაზებთ, რომელსაც იმგვარი გათბობა, განათება, საწოლი და პირსაბანი საშუალება ექნება, საიდუმლო მრჩეველი გოეთე ან თვით ვაიმარის ჰერცოგინია ანა-ამალიაც რომ არ დაიწუნებდა. როცა ამ რამდენიმე წლის უკან ნიუ-იორკში, რაღაც სერიოზული შეფერხების გამო რამდენიმე საათით დენი გამოირთო, ძალიან ბევრმა სრულიად სერიოზულად ირწმუნა, ქვეყნის აღსასრული დადგაო. ისინიც კი ჩვენს შორის, ვინც ძველი დროის უპირატესობასა და სპარტანული აღზრდის სიკეთეში მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, თავიანთ შეხედულებას კრიტიკულად გადახედავენ, თუ სიცოცხლის გადასარჩენად 2000 წლის წინანდელ ქირურგიულ ჩარევას შესთავაზებთ.

თანამედროვე ადამიანმა გარემოს სულ უფრო მეტად დამორჩილების მეშვეობით თავისი სიამოვნება-უსიამოვნების — ეკონომიის „ბალანსი" გადასწია ყოველგვარი უსიამოვნების გამომწვევი გამღიზიანებელი სიტუაციების მიმართ სულ უფრო ჭარბი მგრძნობელობის, ხოლო ყოველგვარი სიამოვნების მომნიჭებელი სიტუაციის მიმართ გრძნობის დაჩლუნგების მიმართულებით. მთელ რიგ მიზეზთა გამო ამას დამღუპველი შედეგები მოაქვს.

უსიამოვნების მიმართ სულ უფრო მზარდ შეუწყნარებლობას — სიამოვნების მიმზიდველობის კლებასთან ერთად — შედეგად ის მოაქვს, რომ ადამიანები ხალისს კარგავენ, შავი სამუშაო შეასრულონ, თუ ის თავისი შედეგებით მხოლოდ მოგვიანებით მოგვანიჭებს სიხარულს. აქედან მოდის სულსწრაფი მოთხოვნილება, ყოველი გაჩენილი სურვილი მაშინვე დაიკმაყოფილონ. იმწამსვე დაკმაყოფილების მოთხოვნილებას (instant gratification), სამწუხაროდ, მწარმოებლები და კომერციული ორგანიზაციები ყოველნაირად უწყობენ ხელს. გაოცებას იწვევს, რომ მომხმარებლები ვერ ხედებიან, თუ რა ძლიერ ვარდებიან ისინი მათი „დამხმარე" სავაჭრო გარიგების მონობაში.

ადვილად მისახვედრ მიზეზთა გამო სურვილის სწრაფი დაკმაყოფილების მოთხოვნილებას განსაკუთრებით სავალალო შედეგები სექსუალური ქცევის სფეროში მოაქვს. უფრო შორი მიზნისკენ სწრაფვის უნარის დაკარგვასთან ერთად ქრება როგორც ინსტინქტით, ასევე კულტურით დაპროგრამებული მოხიბვლისა თუ დაწყვილების ყველა უფრო ფაქიზად დიფერენცირებული ქცევის სახეობები. მაშასადამე, ზიანდება არა მხოლოდ ქცევის ის სახეობები, რომლებიც თავიანთი მოდგმის ისტორიის მანძილზე დაწყვილებისათვის წარმოიქმნენ, არამედ ქცევის სპეციფიკურად ადამიანური ნორმებიც, რომლებიც კულტურული ცხოვრების ჩარჩოში ანალოგიურ ფუნქციებს ემსახურება. ბევრ ფილმში ხოტბაშესხმულ და [illegible]ბით ნორმად ქცეულ მყის შეერთებას „ცხოველური" რომ ვუწოდოთ, შეცდომა იქნება, რადგან მსგავსი რამ განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომ ცხოველებში მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდება. აქ აჯობებდა სიტყვა „საქონლური" გვეხმარა, თუ „საქონელში" მოვიაზრებთ შინაურ ცხოველებს, რომლებსაც ადამიანმა, უფრო იოლი გაწვრთნის მიზნით, დაწყვილების ყველა უფრო მაღალი დიფერენცირებული ქცევა „მოუშალა".

რადგან სიამოვნება-უსიამოვნების მექანიზმს, როგორც აღვნიშნეთ, ახასიათებს ინერციის თვისება და კონტრასტის წარმოქმნის თავშეუკავებელ სწრაფვას, სულ მცირედი არასასიამოვნოც კი ყველა საშუალებით თავიდან აიცდინოს, მაშინვე შედეგად მოჰყვა ის, რომ სიამოვნების მიღწევის განსაზღვრული ფორმები, რომლებიც სწორედ კონტრასტულ მოქმედებას ემყარება, შეუძლებელი გახდა. გოეთეს განძის მაძიებლის ძველ სიბრძნეს: „მწარე კვირები, მხიარული დღესასწაულები" — დავიწყება ემუქრება. ყველა უსიამოვნების თავიდან მოცილებით პირველ რიგში სწორედ სიხარული ხდება მიუღწეველი. ჰელმუტ შულცემ ერთ მეტად საგულისხმო ფაქტზე გაამახვილა ყურადღება — ფროიდთან სიტყვა, ასევე ცნება „სიხარული" საერთოდ არ გვხვდება. მან იცის ტკბობა, მაგრამ არ იცის სიხარული. თუ ჩვენ, დაახლოებით ასე გვეუბნება შულცე, გასვითქულები და დაღლილები, როცა დაგლეჯილი ხელისგულები გვეწვის და მთელი ტანი გვტკივა ძნელად დასაძლევ მწვერვალზე შევდგამთ ფეხს და თანაც ვიცით, რომ წინ არანაკლებ ძნელი ჩასავლელი გველის, აი ის, რასაც მაშინ მთელი არსებით ვიგრძნობთ, ტკბობა კი არ იქნება, არამედ — უდიდესი სიხარული, რომელიც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს. ტკბობა კიდევ შეიძლება განიცადო ისე, რომ უსიამო საქმეს „მწარე კვირების" სახით ხარკი არ გადაუხადო, სიხარულის ღვთაებრივ ნაპერწკალს კი ვერასოდეს განიცდი. დღევანდელი განუხრელად მზარდი შეუწყნარებლობა უსიამოვნების მიმართ ადამიანის ცხოვრების ბუნებრივ მაღლობებს და დაბლობებს ხელოვნურად დაგეგმილ ვაკედ აქცევს, ზვირთების დიდებულ ზეპრას და დანარცხებას ოდნავ შესამჩნევ, უსადრუკ ვიბრაციებად, სინათლესა და ჩრდილს — ერთფეროვან რუხ ფერად. მოკლედ, მომაკვდინებელ მოწყენილობას წარმოშობს.

„გრძნობის გაციება" განსაკუთრებით ემუქ-

რება იმ სიხარულს და მწუხარებას, რასაც ჩვენი სოციალური ურთიერთობა გვანიჭებს მეუღლის, შვილების, ნათესავების თუ მეგობრების მიმართ. ო. ჰაინროთის მიერ 1910 წელს გამოთქმული ვარაუდი, ჩვენს დამოკიდებულებაში ოჯახისა და უცხოთა მიმართ, გულისწორის თუ მეგობრის არჩევანში წმინდა თანდაყოლილი და გაცილებით უძველესი პროცესები მოქმედებენ, ვიდრე აქამდე გვეგონა, თანამედროვე ჰუმან-ეთოლოგიურმა მონაცემებმა დაადასტურეს. ყველა ამ უაღრესად კომპლექსური ქცევის მემკვიდრეობით პროგრამირების შედეგად ის მოაქვს, რომ იგი ერთდროულად არა მხოლოდ სიხარულის, არამედ ბევრი მწუხარების წყაროცაა. „შეცდომა, რომელიც ძალიან გავრცელებულია და ზოგ ჭაბუკს მცდარ გზაზე აყენებს, ის გახლავთ, თითქოს სიყვარული მხოლოდ მუდმივი სიამოვნება იყოს", — უთქვამს ვილჰელმ ბუშს. მწუხარებას თავი აარიდო, ნიშნავს ადამიანური ცხოვრების ერთ დიდ ნაწილზე უარი თქვა. ეს მკვეთრი ტენდენცია სახიფათოდ უერთდება იმ ტენდენციას, რომელიც მოსახლეობის სიჭარბეს მოჰყვება და რომლის შესახებაც ადრე გვქონდა საუბარი (not to get involved). სწრაფვას, ყოველი მწუხარება ყველა საშუალებით აიცდინონ, თუნდაც ძვირფასი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეული, ზოგ კულტურაში მეტად უცნაურ, უფრო მეტიც, შემზარავ სახეს იღებს. ჩრდილოეთ ამერიკის მოსახლეობის უმეტეს ნაწილში იგი, ფროიდისეული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, გაძევებულია. გარდაცვლილი ანაზდად ქრება, მასზე არ ლაპარაკობენ, ეს უტაქტობადაც ითვლება. ისე უჭირავთ თავი, თითქოს იგი საერთოდ არც არსებულა. უფრო შემზარავია სატირიკოსთა შორის ყველაზე დაუნდობლის, ევლინ ვოს მიერ სიკვდილის შელამაზების გამათრახება წიგნში „ნეტარხსენებული". მიცვალებულს ფერუმარილს სცხებენ და კარგ ტონად ითვლება, თუ მის მიმზიდველ გარეგნობაზე აღტაცებით ილაპარაკებენ.

გამანადგურებელ შედეგებთან შედარებით, რომელიც ადამიანისათვის უსიამოვნების თავიდან მოცილებას მოაქვს, თითქოს უწყინრად გვეჩვენება ის შედეგები, რომლებიც სიამოვნებისაკენ ასევე უსაზღვრო ლტოლვას მოჰყვება. ლამისაა დაიჯერო, რომ თანამედროვე ცივილიზაციის ადამიანი ზედმეტად უსისხლო და გულმოყირჭებულია, რათა რამდენადმე მნიშვნელოვანი ცოდვა ჩაიდინოს. ვინაიდან სიხარულის განცდის უნარის სულ უფრო მეტად დახუხტება, უმეტესწილად, უფრო და უფრო ძლიერი გამღიზიანებელი სიტუაციებისადმი მიჩვევიდან მოდის, გასაკვირი არაა, რომ გულმოყირჭებული ადამიანი სულ ახალ-ახალი გამღიზიანებელი სიტუაციების ძიებაშია. ეს „ნეოფილია" საკმაოდ ძლიერად ეხება ადამიანის მთელ დამოკიდებულებას გარე სამყაროს ობიექტებთან. კულტურის ამ დაავადებით დასნეულებული ადამიანისათვის ფეხსაცმელი, კაბა, ან ავტომანქანა, [illegible] რასაც ერთხანს იხმარა, ისევე კარგავს [illegible] მიმზიდველ ძალას, როგორც მიჯნური, მეგობარი და თვით სამშობლოც. გასაკვირი გულგრილობით ყიდის ბევრი ამერიკელი, ახალ ბინაში გადასვლისას, მთელ საოჯახო ნივთებს და ახალს იძენს. ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამოგზაურო ბიუროების მუდმივი მისაზიდი საშუალებაა პერსპექტივა „ახალი მეგობრის შეძენა". შეიძლება ერთი შეხედვით პარადოქსულად და ცინიკურადაც კი მოგეჩვენოთ ჩემი მტკიცება, რომ სინანულს, რომელსაც რომელიმე ჩვენთაგანი განიცდის, როცა სანაგვეში აგდებს ძველ ერთგულ შარვალს, ან ჩიბუხს, საერთო აქვს მეგობრებთან ჩვენს ურთიერთობასთან... როცა მახსენდება ჩემი განცდა, ჩვენს ძველ მანქანას გასაყიდად რომ შეველიე, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბევრი მშვენიერი სამოგზაურო მოგონება, უნდა სრულიად გარკვევით ვაღიარო, რომ იგი ძველ მეგობართან განშორების ტოლი იყო. რა თქმა უნდა, უსულო საგნის მიმართ ასეთი რეაქცია შეიძლება სწორიც არ იყოს, მაგრამ იგი სრულიად გამართლებულია განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მდგარი ცხოველის, თუნდაც ძაღლის მიმართ; არათუ გამართლებულია, არამედ იგი პირდაპირ მეტყველებს ადამიანის გრძნობის სიმდიდრისა თუ სიმწირის შესახებ. ბევრ ადამიანს შინაგანად შევაქციე ზურგი, რომლებიც თავიანთ ძაღლზე მიუყვებოდნენ: „...მერე ჩვენ ქალაქში გადავედით და იძულებული გავხდით, იგი სხვისთვის მიგვეცა".

ნეოფილია იმგვარი მოვლენაა, რომელიც მსხვილ მწარმოებელთათვის დიახაც რომ ფრიად სასურველია. იგი მასების ინდოქტრინირების მეშვეობით კარგ ნიადაგს ქმნის ფართო სტილის მერკანტილური მოგებისათვის, რაც მეშვიდე თავშია აღწერილი. „Builtin obsolection" ე. ი. „მოძველება" პრინციპია, რომელიც ძალიან დიდ როლს ასრულებს ტანისამოსის თუ მანქანების მოდაში.

ამ თავის დასასრულს შევეხები იმ შესაძლებლობებსაც, რომლებიც გრძნობის გასათუთებასა და ემოციურ კვდომას თერაპიულად უპირისპირდებიან. რამდენადაც ადვილია მიზეზების დადგენა, მით უფრო ძნელია მათი აცილება. რაც გვაკლია, ეს აშკარად **ბუნებრივად მოცემული წინააღმდეგობაა**,[1] რომლის დაძლევაც ადამიანს აკაცებს და უსიამოვნების

მიმართ შემწყნარებლობას ავალებს. და თუ ეს შეძლო, განსაცდელის დაძლევა სიხარულად შემოექცევა. სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ ეს წინააღმდეგობა, როგორც ვთქვით, ბუნებრივად უნდა იყოს მოცემული. განზრახ მოხმობილ სიძნელეთა დაძლევას ცხოვრებაში არ მოაქვს კმაყოფილება. კურტ ჰანმა დიდ თერაპევტულ წარმატებას მიაღწია იმით, რომ გულმოყირჭებული, მოწყენილი ახალგაზრდები ზღვის სანაპიროზე მშველელებად დააყენა. პიროვნების უღრმესი ფენების ამ უშუალოდ შემხებმა გამომცდელმა სიტუაციებმა ბევრს მართლა მოუტანა სრული განკურნება. ანალოგიურ გზას მიმართა ჰელმუთ შულცემ. იგი თავის პაციენტებს უაღრესად საშიშ სიტუაციებში, როგორც თავად ამბობს, „სასაზღვრო სიტუაციებში" ათავსებდა აქ, სრულიად ვულგარულად რომ გამოვთქვათ, ამ გასათუთებულ ხალხს სიცოცხლის ჭეშმარიტ ფასს ისე მძაფრად განაცდევინებდა, რომ მთელი სიშლეგე მაშინვე უქრებოდათ. რაც არ უნდა ეფექტური იყოს ჰანისა და შულცეს თერაპიის ეს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გამომუშავებული მეთოდები, ისინი პრობლემას მაინც ვერ წყვეტენ, რადგან შეუძლებელია საჭირო რაოდენობით მოიძიო ჩაძირული გემები და წყლიდან ამოსაყვანი, გადასარჩენი ხალხი, რათა ყველას ეყოს, ვისაც განსაცდელის ასეთი განცდა სჭირდება. ვერც პლანერში ჩასვამ ყველას, რათა ისეთი შიში აჭამო, ერთბაშად რომ აუხილს თვალს სიცოცხლის სილამაზეზე. ხანგრძლივი განკურნების ერთ-ერთი შესაძლო მოდელი არც თუ იშვიათად, მოცემული გვაქვს ისეთ შემთხვევებში, როცა ემოციურ კვდომას თვითმკვლელობის ცდასთან მივყავართ, რომელიც ჯანმრთელობას მეტნაკლებად ხანგრძლივ ზიანს აყენებს ხოლმე. ერთმა ვენელმა გამოცდილმა ბრმების მასწავლებელმა მიამბო, რომ ახალგაზრდებს, რომლებმაც თავის მოკვლის სურვილით ტყვია საფეთქელში მიიჭედეს და სამუდამოდ დაკარგეს თვალის ჩინი, მეორედ აღარასოდეს უცდიათ მსგავსი რამ ჩაედინათ; ისინი არა მარტო განაგრძობენ სიცოცხლეს, არამედ გასაოცრად გაწონასწორებულ, უფრო მეტიც, ბედნიერ ადამიანებად ყალიბდებიან. მსგავსი რამ შეემთხვა ერთ ქალს, რომელიც ახალგაზრდობაში, თავის მოკვლის მიზნით, ფანჯრიდან გადახტა, ხერხემალი მოიტეხა და ამის შემდეგ თავისი გადატეხილი ხერხემლით ბედნიერი და ადამიანური ღირსებით სავსე ცხოვრების გზა განვლო. ეჭვს გარეშეა, რომ ძნელად დასაძლევი დაბრკოლების გადალახვამ აგრძნობინა მოწყენილობის ჟამს სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ახალგაზრდებს სიცოცხლის ფასი.

ჩვენ არ გვაკლია დაბრკოლებები, რომელთა დაძლევა აუცილებელია, რათა კაცობრიობა გადარჩეს. მათთან ბრძოლაში გამარჯვება ჭეშმარიტად ძნელი საქმეა და ყოველი თაობის მიერ ცალ-ცალკე განსაცდელი სიტუაციები საკმაოზე მეტია. აღზრდის სრულიად დასაძლევ ამოცანად გვესახება ამ [illegible]ბის არსებობა ყოველ ადამიანებ[illegible].

## VI. გენეტიკური რღვევა

იმ სოციალური ქცევების წარმოშობა, უფრო კი, დამკვიდრება, რომლებიც თუმცა მთელი საზოგადოებისათვის სასარგებლოა, მაგრამ ცალკე ინდივიდისათვის საზიანო (როგორც ახლახან ნორბერტ ბიშოფმა გვიჩვენა), მეტად რთული პრობლემის წინაშე გვაყენებს, თუ მათ ახსნას მუტაციის და სელექციის პრინციპების მოშველიებით მოვინდომებთ. ჯგუფური სელექციის არც ისე ადვილად ჩასაწვდომ პროცესებს (რაზეც აქ უფრო დაწვრილებით ვერ შევჩერდებით) შეუძლიათ კიდევ როგორღაც ახსნან „ალტრუისტული" ქცევები, მაგრამ სოციალური სისტემა, რომელიც ამ გზით წარმოიქმნება, მაინც უცილოდ ლაბილური რჩება, მაგალითად თუ ჭკას (Colocus monedula) მეგობრის დაცვის რეაქცია გაუჩნდა და მტაცებლის კლანჭებში ჩავარდნილი თანამოძმის გამოსახსნელად თავგანწირვით შეებმება საერთო მტერს, ნათელია, თუ რატომ აქვს ამგვარი ქცევის მქონე ჯგუფს და მის წევრებს გადარჩენის უკეთესი პერსპექტივები, ვიდრე იმ ჯგუფს, რომელსაც ეს აკლია. მაგრამ რა უშლის ხელს, რომ ჯგუფის შიგნით ცალკე ინდივიდები გაჩნდეს, რომლებსაც აკლიათ მეგობრის დაცვის რეაქცია? მუტაცია-ამოვარდნები ყოველთვისაა მოსალოდნელი და ადრე თუ გვიან უცილოდ იჩენენ თავს. ზემოაღნიშნული ალტრუისტული ქცევის შემთხვევაში, ისინი უთუოდ სელექციური უპირატესობის მანიშნებელია, რადგანაც ვვარაუდობთ, რომ თანამოძმის დაცვა სახიფათოა. მაშასადამე, „ასოციალური ელემენტები", რომლებიც საზოგადოების ჯერ კიდევ ნორმალურ წევრთა სოციალურ ქცევებს მოტმასნული პარაზიტებია, ადრე თუ გვიან, საზოგადოებაში ფეხს იკიდებენ. ეს, რა თქმა უნდა, ეხება მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივ ცხოველებს, რომლებშიც გამრავლების და სოციალური შრომის ფუნქციები არ არის სხვადასხვა ინდივიდზე განაწილებული, როგორც მაგ., „სახელმწიფოს შემქმნელ" მწერებში. ჩვენს მიერ განხილული პრობლემა მათ არც ეხება, იქნებ სწორედ ამაში უნდა ვეძიოთ იმის მიზეზი, რომ მუშებისა და ჯარისკა-

ცების „ალტრუიზმმა" ამ მწერებში ესოდენ უკიდურესი ფორმა მიიღო.

ჩვენ არ ვიცით, რა უშლის ხელს, რომ სოციალ-პარაზიტები ხერხემლიან ცხოველთა ერთობას ვერ არღვევენ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც იგივე ჭკა, თანამოძმის „სიმხდალემ", რომელიც მონაწილეობას არ იღებს ამხანაგის დაცვაში, აღაშფოთოს. ასოციალურ ქცევაზე „აღშფოთებას" ჩვენ ვადასტურებთ მხოლოდ ინტეგრაციის შედარებით დაბალ და უმაღლეს დონეზე არსებულ სისტემებში, კერძოდ, უჯრედ — „სახელმწიფოში" და ადამიანთა საზოგადოებაში. იმუნოლოგებმა უაღრესი მნიშვნელობის ფაქტი დაადგინეს, რომ ანტისხეულების წარმოქმნის უნარსა და ავთვისებიანი სიმსივნის წარმოშობის საფრთხეს შორის მჭიდრო კავშირია. დიახ, შეიძლება იმ აზრამდე მივიდეთ, რომ სპეციფიკური თავდაცვითი ნივთიერებანი საერთოდ სელექციის ზეგავლენით „იქნა გამოგონილი", რადგან მრავალწლიანი და, უპირველესად, ზრდის დიდი ხანგრძლივობის მქონე ორგანიზმები მუდმივ საფრთხეშია, რათა უჯრედთა ურიცხვი დაყოფისას ახალმა მუტაციებმა საშიში „ასოციალური" უჯრედები არ წარმოშვას. ორივე, — ავთვისებიანი სიმსივნეც და ანტისხეულების წარმოქმნაც — უხერხემლოებში არ გვხვდება, სამაგიეროდ, ორივე გვხვდება განვითარების უდაბლეს საფეხურზე მდგარ ხერხემლიანთა შორის, ციკლოსტომებში, რომლებსაც, მაგალითად, წყლის სალამურა განეკუთვნება. ჩვენ, ალბათ, ყველანი ყმაწვილობაში დავიხოცებოდით ავთვისებიანი სიმსივნისაგან, ჩვენს სხეულს რომ იმუნალურ რეაქციათა სახით არ მყავდეს ერთგვარი „უჯრედი—პოლიცია", რომელიც ამ ასოციალურ მევახშეებს მუხრს ავლებს.

ადამიანთა საზოგადოებაში ასოციალურ ქცევას ყოველი ნორმალური წევრი უაღრესად სპეციფიკური რეაქციით პასუხობს. ჩვენ „აღშფოთებულნი" ვართ და ყველაზე უფრო უდრტვინველიც კი მყისვე ხმას იმაღლებს, თუ შეესწრება ბავშვის დაჩაგვრას ან ქალზე ძალადობას. სრულიად განსხვავებულ კულტურათა სამართლის სტრუქტურის შედარებითი ანალიზი აქ სრულ თანხვედრას გვიჩვენებს, რაც უმნიშვნელო დეტალებშიც მჟღავნდება და კულტურულ-ისტორიული ურთიერთკავშირებით არ აიხსნება. გოეთე ამბობს: „სამართალს, რომელიც ჩვენთან ერთად გაჩნდა, სამწუხაროდ, არასოდეს უწევენ ანგარიშს" რწმენა რომ არსებობს კულტურით გაპირობებული კანონმდებლობისგან სრულიად დამოუკიდებელი ბუნებრივი სამართალი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან დაკავშირებულია იმ წარმოდგენასთან, რომ იგი უშუალოდ ღვთაებრივი წარმოშობისაა.

სწორედ იმ დღეს, როცა ამ თავის წერას შევუდექი, უცნაური დამთხვევა მოხდა: მივიღე წერილი შედარებით იურისპრუდენციაში მოღვაწე მ. ზანდისაგან, საიდანაც ვრცელ ამონაწერს მოვიყვან: „[illegible] შედარებით სამართალში [illegible] მსოფლიოს სხვადასხვა სამართლის სისტემათა შორის სტრუქტურულ მსგავსებათა შესწავლაზე (ასეთია, მაგალითად, ამას წინათ კორნელის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი პროექტი — „ლეგალურ სისტემათა საერთო ცენტრი"). ამ მართლაც უამრავ დამთხვევათა შესახებ დღემდე ძირითადად სამი ახსნა მოგვეპოვება: მეტაფიზიკურ-ბუნებრივ სამართლებრივი (ბუნებისმეცნიერებაში მას ვიტალისტები შეესაბამება), ისტორიული (სხვადასხვა სამართლის სისტემათა შორის იდეათა გაცვლა დიფუზიისა და კონტაქტის მეშვეობით, ე. ი. იმიტაციით შესწავლილი ქცევები) და ეკოლოგიური (გარემო პირობებთან შეგუება, ანუ ინფრასტრუქტურა, ე. ი. ერთობლივი გამოცდილების საფუძველზე შეთვისებული ქცევის სახეები). ამათ ემატება ამ ბოლო ხანებში საერთო „სამართლის გრძნობის" ფსიქოლოგიური ახსნა (ინსტინქტის ცნება!) ბავშვობის ტიპიური გამოცდილების საფუძველზე, ფროიდზე უშუალო დაყრდნობით (უპირველესად დავასახელებთ პროფ. ალბერტ ერენცვაიგს ბერკლიდან — თავისი „ფსიქოანალიტიკური იურისპრუდენციით").

ამ ახალ ორიენტაციაში მნიშვნელოვანია იმის შეცნობა, რომ სოციალური ფენომენი „სამართალი" აქ ინდივიდუალურ სტრუქტურებზე დაიყვანება და არა პირიქით, როგორც ეს ტრადიციულ სამართლის თეორიაშია. სამწუხარო ის არის, ჩემი აზრით, რომ სამართალში ყურადღება მახვილდება შეთვისებულ ქცევებზე, ხოლო თანდაყოლილი ქცევები ყურადღების მიღმა რჩება. თქვენი გამოკვლევების საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ (რაც არც ისე ადვილია იურისტისათვის!) მტკიცედ მჯერა, რომ ეს მისტიკური „სამართლის გრძნობა" (ამ სიტყვას შეგვიძლია ძველი სამართლის თეორიამდე ჩავსდიოთ, მაგრამ ახსნას ვერსად ვიპოვით) ტიპიური თანდაყოლილი ქცევათაგანია".

ამ თვალსაზრისს სავსებით ვიზიარებ, თუმცა კარგად მესმის მისი დამტკიცების მთელი სიძნელე, რაზეც ბ-ნი პროფ. ზანდი თავის წერილში თვითონვე მიუთითებს. მაგრამ რაც არ უნდა გვამცნოს მომავალმა გამოკვლევებმა ადამიანის სამართლის გრძნობის ფილოგენეტიკურ და კულტურულ-ისტორიულ წყაროებზე, მეცნიერულად დადგენილად შეგვიძლია მივიჩ-

ნიოთ ის, რომ სახეობას — Homo sapiens — გააჩნია ქცევის უაღრესად დიფერენცირებული სისტემა, რომელიც, უჯრედებიან სხეულმწიფოში ანტისხეულების წარმომშობი სისტემის ანალოგიურად, კოლექტივისათვის საშიში პარაზიტების მოსპობას ემსახურება.

თანამედროვე კრიმინოლოგიაშიც დაისმის კითხვა, თუ რა წვლილი მიუძღვის კრიმინალურ ქცევაში თანდაყოლილი სოციალური ქცევებისა და გენეტიკური შემაკავებელი ფაქტორების მოშლას და რომელი მათგანი აიხსნება სოციალური ნორმების კულტურული ტრადიციების დარღვევებით. ამ მეტად ძნელი საკითხის გადაწყვეტას აქ გაცილებით მეტი პრაქტიკული ღირებულება აქვს, ვიდრე სამართლისმცოდნეობაში, სამართალი სამართლად რჩება და იგი ყველამ ერთნაირად უნდა დაიცვას იმისაგან დამოუკიდებლად, თუ რა განსაზღვრავს მის სტრუქტურას: მხოლოდ ფილოგენეტიკური თუ კულტურული განვითარება. კრიმინალური დანაშაულის გარჩევისას ძალზე მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, დამნაშავის დეფექტი გენეტიკურადაა გაპირობებული, თუ აღზრდით, რათა იგი კვლავ ვაქციოთ საზოგადოების სრულფასოვან წევრად. თუმცა იმის თქმაც არ შეიძლება, თითქოს გენეტიკური გადახრების მიზანდასახული ვარჯიშით გამოსწორება შეუძლებელი იყოს. მაგ., კრეჩმერის მიხედვით, ბევრ ჩია აგებულების კაცს (Leptosome), თანმიმდევრობით ჩატარებული ვარჯიშების მეოხებით, ლამის ათლეტის მუსკულატურა შეუძენია. ყველაფერი, რაც ფილოგენეტიკურადაა დაპროგრამებული, ipso facto სწავლა-აღზრდას რომ სრულიად დაუქვემდებარებული ყოფილიყო, მაშინ ადამიანი თავისი ინსტინქტებისა და იმპულსების სამუდამო გახდებოდა. ყოველგვარი კულტურული ერთად ცხოვრების წინაპირობაა, ადამიანმა საკუთარი ლტოლვების მოთოკვა ისწავლოს. ასკეტთა ყველა ქადაგებას სწორედ ეს ჭეშმარიტება უდევს საფუძვლად, მაგრამ გონიერებისა და პასუხისმგებლობის ხელმწიფება სრულიადაც არ არის უსაზღვრო ძალაუფლების მქონე. ჯანმრთელ ადამიანში იგი სწორედ იმ ძალისაა, რამდენიც საჭიროა, რათა იგი კულტურული საზოგადოების წევრი გახდეს. სულიერად ჯანმრთელი და ფსიქოპატი (ჩემი ერთი ძველი შედარება რომ მოვიშველიოთ) ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც კომპენსირებული გულის მანკით დაავადებული ადამიანი დეკომპენსირებული გულის მანკით დაავადებულისაგან. ადამიანი, როგორც არნოლდ გელენმა მოსწრებულად თქვა, ბუნებით, მაშასადამე, ფილოგენეტურად კულტურული არსებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ინსტინქტური ლტოლვები და ამ ლტოლვათა კულტურით გაპირობებული შეზღუდული მოთოკვა ქმნიან ერთ სისტემას, სადაც ორივე ქვესისტემის ფუნქციები ზუსტადაა ერთმანეთთან შეთანხმებული. მცირერიგში მეტნაკლებობა ერთ ან მეორე მხარეს დარღვევას იწვევს, და ეს უფრო ადვილად ხდება, ვიდრე იმ ადამიანთა უმეტესობას ჰგონია, ნებისმიერ ადამიანის გონიერებისა და სწავლების ყოვლისშემძლეობის სჯერა. კომპენსაცია, რომელსაც ადამიანი თავის სურვილებზე მბრძანებლობით აღწევს, სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ძალზე მცირეა.

უპირველესად, კრიმინოლოგიამ იცის, თუ რა ცოტა იმედია, ეგრეთ წოდებული, სულიერად გაღატაკებული სოციალურ ადამიანად აქციო. ეს ერთნაირად ეხება როგორც სულიერად მწირად გაჩენილებს, ისე იმ უბედურებს, რომლებსაც ეს სულიერი სიმწირე აღზრდის ხარვეზებით, უპირველესად კი, ჰოსპიტალიზაციით (რენე შპიტცი) შეიძინეს. დედასთან სოციალური კონტაქტის არქონა ადრეულ ბავშვობაში სოციალური კავშირის უუნარობას წარმოშობს (უარესს თუ არა), რომლის სიმპტომებიც გარეგნულად ძლიერ წააგავს თანდაყოლილ ემოციურ სიბეჩავეს. მაშასადამე, არც ყველა თანდაყოლილი დეფექტია უკურნებელი, მაგრამ არც ყველა შეძენილია განკურნებადი. ექიმის ძველი დევიზი: „პროფილაქტიკა სჯობს მკურნალობას" — სულიერი ანომალიებისთვისაც გამოდგება.

პირობითი რეაქციის ყოვლისშემძლეობის რწმენას საკმაოდ დიდი ბრალი მიუძღვის ზოგჯერ მცდარი სასამართლო განაჩენის გამოტანაში. ფ. ჰაკერი მენინგერის კლინიკაში, ტოპეკაში, კანზაში წაკითხულ მოხსენებებში ერთ ახეთ შემთხვევას შეეხო: ახალგაზრდა მკვლელმა, ვინც ფსიქოთერაპიულ კლინიკაში მკურნალობა გაიარა და ბოლოს გაწერეს როგორც განკურნებული, მოკლე ხანში მეორე მკვლელობა ჩაიდინა. ეს სულ ოთხჯერ განმეორდა და მხოლოდ მას მერე, რაც ამ კრიმინალმა მეოთხე ადამიანი შეიწირა, ჰუმანური, დემოკრატიული და ბიჰევიორისტული საზოგადოება, როგორც იქნა, მიხვდა, რომ იგი საზოგადოებისათვის საშიშია.

ეს ოთხი მოკლული ადამიანი კიდევ მცირე ბოროტებაა იმასთან შედარებით, რასაც დღევანდელი საზოგადოებრივი აზრი, პოზიცია ბოროტმოქმედების მიმართ იჩენს: რელიგიაც ქცეული რწმენა, რომ ყველა ადამიანი დაბადებითვე თანასწორია და რომ ბოროტმოქმედის ყველა ზნეობრივი დანაშაული მხოლოდ მის აღმზრდელებს ეკისრებათ არასწორი აღზრდისათვის, ძირშივე ანადგურებს ბუნებრივი სამართლის ყოველგვარ გრძნობას, უპირველეს

ყოველისა, ასოციალურ, საზოგადოებიდან ამოვარდნილ ადამიანში, ვისაც საკუთარი თავი საზოგადოების მსხვერპლად წარმოუდგენია და ძალიანაც ეცოდება. ამასწინათ, ერთ ავსტრიულ გაზეთში სენსაციური აქტი დაიბეჭდა: ჩვიდმეტი წლის ყმაწვილი მშობლების წინაშე შიშის გამო მკვლელი გახდა. მას საკუთარი ათი წლის და გაუუპატიურებია და როცა ის დაემუქრა, ყველაფერს მშობლებს ვეტყვიო, დაუხრჩვია. მშობლებს, მთელ ამ ამბავში, ალბათ, ნაწილობრივ მართლაც მიუძღვით ბრალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, იმიტომ არა, თითქოს ბიჭისთვის ზედმეტი შიში შთაენერგათ.

მსგავსი შეხედულების გაჩენის ეს მკაფიოდ პათოლოგიური უკიდურესობა მხოლოდ მაშინ გახდება გასაგები, თუ ვიცით, რომ იგი იმ მარეგულირებელი სისტემის ფუნქციაა, რომელიც, როგორც დასაწყისში ვთქვით, მიდრეკილია **მერყეობისაკენ**. საზოგადოებრივი შეხედულება ინერტულია, სიახლეზე რეაგირებს მხოლოდ ხანგრძლივი „მკვდარი დროის" შემდეგ; ამასთან ერთად, მას უხეში გამარტივება უყვარს, რაც ხშირად ფაქტობრივი ვითარების გაზვიადებას წარმოადგენს. ამიტომაც ოპოზიცია, საზოგადოებრივ აზრს რომ აკრიტიკებს, ამ შემთხვევაში თითქმის ყოველთვის მართალია. მაგრამ შეხედულებათა შეხლა-შემოხლაში ოპოზიცია უკიდურესობაში ვარდება, რაც არ მოხდებოდა, იგი რომ საწინააღმდეგო შეხედულების გატანას არ ესწრაფვოდეს. ხოლო როგორც კი აქამდე გაბატონებულ შეხედულებას წყალი შეუდგება, რაც როგორღაც ანაზდად ხდება ხოლმე, მაშინ გამარჯვება ოპოზიციის ასევე გაზვიადებულ ექსტრემულ პოზიციას რჩება.

ლიბერალური დემოკრატიის დღევანდელმა კარიკატურულმა ფორმამ მერყეობის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მის მოპირდაპირე მხარეზე, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, იდგნენ აიხმანი და აუშვიცი, ნარკოტიკებით სიკვდილის შემსუბუქება, რასობრივი სიძულვილი, ხალხთა ელიტა და ლინჩის სამართალი. უნდა შევიგნოთ, რომ სადაც ამ ორ საპირისპირო წერტილთა შორის მოქანავე ქანქარა გაჩერდება, იქაა **ჭეშმარიტი ღირებულება საძიებელი**. მის „მარცხენა" მხარეს თავისუფალი ინდივიდუალური განვითარება ძევს, „მარჯვენა" მხარეს — სოციალური და კულტურული სიჯანსაღის ღირებულება. ანტიჰუმანურია უკიდურესობა **ორივე** მიმართულებით. იგი ძლიერდება და ამერიკაში უკვე ვდგავართ საშიშროების წინაშე, რომ, მაგალითად, ახალგაზრდებისა და ზანგთა თავისთავად დიახაც სამართლიანი, მაგრამ წრესგადასული ჯანყი მემარჯვენე რადიკალურ ელემენტებს სასურველ საბაბს მისცემს, ძველი, ველური თავშეუკავებლობით შეაგებონ უკიდურესი საპასუხო დარტყმა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ეს იდეოლოგიური ქანაობა არათუ უხმაუროდ არ ჩაივლის, არამედ საშიშ მიდრეკილებას იჩენს „კანონზომიერ კატასტროფად" ჩამოყალიბდეს. მეცნიერის ვალია, ამ სახიფათო მერყეობის დაშოშმინებისათვის შეძლებისდაგვარად იღვწოდეს.

მრავალ წინააღმდეგობათა შორის, რასაც ცივილიზებული კაცობრიობა საკუთარი ტამოისხობით გაიხლართა, ერთ-ერთია ის, რომ აქაც ცალკეული ინდივიდის მიმართ ჰუმანურობის გამოჩენა კაცობრიობის საერთო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ჩვენი თანაგრძნობა ასოციალური, საზოგადოებიდან ამოვარდნილი ადამიანისადმი, რომლის არასრულფასოვნებაც შეიძლება გამოწვეული იყოს გამოუსწორებელი, ადრე ბავშვობაში აღზრდით მიყენებული ზიანით (ნაძალადევი ჰოსპიტალიზაციით), ან მემკვიდრეობითი პათოლოგიით, ხელს გვიშლის, დავიცვათ საზოგადოების ნორმალური წევრი. საკმარისია წამოგცდეთ სიტყვა „არასრულფასოვანი" ან „სრულფასოვანი", რომ მაშინვე გაზის კამერის მოსარჩლედ გამოგაცხადონ.

სრულიად ცხადია, რომ „სიმართლის მისტერიული გრძნობა", რომლის შესახებაც პ. ჰ. ზანდი ლაპარაკობს, არის გენეტიკურად გადაჯაჭვული რეაქციების სისტემა, რომელიც ჩვენი თანამოძმის ასოციალური ქცევის წინააღმდეგ შეგვმართავს. ეს რეაქციები ქმნიდნენ ისტორიულ ეპოქებში იმ უცვლელ მთავარ მელოდიას, რომლის გარშემოც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ითხზვებოდა ცალკეულ კულტურათა სამართლისა და ზნეობის სისტემები. ამ გაუცნობიერებელ სამართლის გრძნობაში აშკარა მცდარობათა ალბათობა ისევე დიდია, როგორც ნებისმიერი ინსტინქტური რეაქციის დროს, უცხო კულტურის წარმომადგენელი, რომელიც არ გამოიჩენს სათანადო თავაზიანობას (მაგალითად, თუ იგი, ახალ გვინეაში ჩასული პირველი გერმანული ექსპედიციის წევრივით, — წმინდა პალმის ხეს მოჭრის), მას იმავე თვითკმაყოფილი სამართლის გრძნობით მოკლავენ, როგორც საკუთარი თემის ნებისმიერ წევრს, რომელმაც ტაბუს კულტურის წინაშე მძიმე დანაშაული ჩაიდინა. ბრბოს ქცევა „Mobbing", რომელსაც ასე იოლად მივუყავართ ლინჩის სამართალთან, ფაქტიურად ერთ-ერთი ყველაზე ანტიჰუმანური ქცევაა, სანამდეც კი შეიძლება მივიდეს თანამედროვე ნორმალური ადამიანი, იგი ბადებს ყველა სისასტიკეს გარეთ — „ბარბაროსთა" წინააღმდეგ და თავისი საზოგადოების შიგნით — უმცირესობათა წინააღმდეგ.

აძლიერებს ცრუსაბუთობათა შექმნის მიდრეკილებას (ერიქსონის თანახმად) და საფუძვლად უდევს სოციალ-ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილ ბევრ პროექციულ მოვლენებს, მაგალითად, საკუთარ უვარგისობაში სხვისი „დადანაშაულების" ტიპიურ მცდელობას, „განტევების ვაცის" ძიებას, და ბევრ სხვა ასევე უაღრესად საშიშ და ამორალურ იმპულსებს (ისინი საქმეში ჩაუხედავისათვის ინტუიტურად განუსხვავებელია), რომლებიც ამ გლობალურ სამართლის გრძნობაში შედიან.

მაგრამ იგი ჩვენ სოციალურ ქცევათა მოქმედების სტრუქტურისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ფარისებრი ჯირკვლები ჩვენი ჰორმონებისათვის, და დღევანდელი სრულიად აშკარა ტენდენცია, ყველაფერი ზედაღებით წყალში გადაიყაროს, ისეთივე შეცდომაა, როგორც ცდა, ბაზედოვის დაავადება ფარისებრი ჯირკვლების სრული ამოკვეთით განვკურნოთ, ბუნებრივი სამართლის გრძნობის გაუქმება დღევანდელი აბსოლუტური შემწყნარებლობისადმი მიდრეკილების წყალობით განსაკუთრებით საშიშ ძალას იძენს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის სახით, რომლის თანახმადაც, ყოველი ადამიანური ქცევა შეძენილია, ძალიან ბევრი რამ ჩვენს ქცევაში, რაც საზოგადოების საკეთილდღეოდ თუ საზიანოდაა მიმართული, (ღვთის წყალობა ან რისხვაა), ადრეულ ბავშვობაშია ჩანერგილი მეტ-ნაკლებად კეთილგონიერი, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და უპირველეს ყოვლისა, ემოციურად ჯანსაღი მშობლების მიერ. ასევე ბევრი რამ, მეტი თუ არა, გენეტიკურადაა განსაზღვრული. ჩვენ ვიცით, რომ საპასუხისმგებლო, კატეგორიული საკითხის დიდ მარეგულირებელ ძალას სოციალური ქცევის როგორც აღზრდით განპირობებულ, ისე გენეტიკური ნაკლის კომპენსირება მხოლოდ ვიწრო საზღვრებში შეუძლია.

თუ ვისწავლეთ ბიოლოგიურად აზროვნება, და ინსტინქტური ლტოლვების ძალის შესახებ ისეთივე ცოდნა მოგვეპოვება, როგორც ზნეობისა და ყველა კეთილი განზრახვის რელატიური უღონობის შესახებ და თუ ამის გარდა სოციალური ქცევის შეფერხებათა შესახებ რამდენიმე ფსიქიატრიულ და სიღრმის-ფსიქოლოგიურ დებულებას ვიცნობთ, მაშინ ვეღარ შევძლებთ „კანონის დამრღვევნი" იმ სამართლიანი აღშფოთებით შევრისხოთ, როგორც ამას ყოველი ემოციური მიამიტი სჩადის, რადგან საზოგადოებიდან ამოვარდნილ ადამიანში უფრო შესაბრალის ავადმყოფს დავინახავთ, ვიდრე სატანურად ბოროტს, რაც წმინდა თეორიულადაც სწორია. მაგრამ თუ ამ თავისთავად სრულიად სამართლიან პოზიციას ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის ცრურწმენა გამოიყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ ყოველი ადამიანური ქცევა გარკვეულ პირობებში ყალიბდება და პირობების შესაბამისად მისი უსაზღვროდ შეცვლა და შესწორება შეიძლება, — ამით ადამიანთა საზოგადოების წინაშე მძიმე ცოდვას ჩავდივართ.

სრულად რომ წარმოვიდგინოთ ის საშიშროება, რომელიც კაცობრიობას შინაურობითი ინსტინქტებიდან ამოვარდნის შედეგად ემუქრება, ნათლად უნდა გავაცნობიეროთ ის, რომ თანამედროვე ცივილიზებული ცხოვრების პირობებში არც ერთი ფაქტორი არ გვაქვს, რომელიც მარტივი სიკეთისა და წესიერების მიხედვით მოახდენდა სელექციას, გარდა ჩვენივე თანდაყოლილი გრძნობისა, დახავსებული კულტურის ეკონომიკურ შეჯიბრში მათთვის სელექციის მხოლოდ ცალსახა ნეგატიური წინაპირობებია! კიდევ კარგი, რომ ეკონომიკური წარმატებანი არ არიან აუცილებლად გამრავლების ნორმასთან დადებითად შეფარდებული.

ზნეობის აუცილებლობის კარგ ილუსტრაციას გვაძლევს ერთი ებრაული ანეკდოტი: მილიარდერი მაჭანკალთან მივა, ცოლის შერთვა მინდაო. მაჭანკალმა მაშინვე უქო ერთი უჩვეულო ლამაზი ქალიშვილი, რომელიც თურმე სამჯერ ზედიზედ გამხდარა „მისს ამერიკა". მდიდარმა უარი თქვა: ლამაზი ჩემი თავიც მეყოფაო; მაშინ მაჭანკალი პროფესიული ენაწყლიანობით ახლა სხვა საცოლის ქებას მოჰყვა, რომლის მზითევიც რამდენიმე მილიარდს შეადგენდა. „სიმდიდრე არ მჭირდება", — გააწყვეტინა კრეზუსმა, — „სიმდიდრე ჩემიც მეყოფა". მაშინ მაჭანკალმა მესამე სია მოიმარჯვა და ახალი საცოლე შესთავაზა, რომელიც ოცდაერთი წლის ასაკში უკვე მათემატიკის დოცენტი იყო, ამჟამად კი ოცდაოთხი წლისა პროფესორია ინფორმაციის თეორიისა. „ჭკვიანი არ მჭირდება" — თქვა მილიარდერმა დამცინავად, —„ჩემი ჭკუაც მეყოფა". მაშინ თავგზააბნეულმა მაჭანკალმა წამოიძახა: „ღვთის გულისათვის, მითხარით, როგორი ცოლი გინდათ?".

„წესიერი" — იყო პასუხი.

თუ რა ჩქარა იკიდებს ფეხს სოციალურ ქცევათა რღვევა სპეციფიკური სელექციის ამოვარდნის შემთხვევაში, ეს შინაურ ცხოველებზე დაკვირვებიდანაც ვიცით. ამაზე გარეული ცხოველებიც მეტყველებენ, ტყვეობაში რომ ამრავლებენ. შთამომავლობის გამომზრდელმა ზოგიერთმა თევზმა, რომლებსაც კომერციული მიზნით ხელოვნურად ამრავლებდნენ, რამდენიმე თაობის შემდეგ ისე დაკარგა შთამომავლობის მოვლის გენეტიკური უნარი, რომ დედინობით თევზში ძლივსღა იპოვით ერთ წყვილს, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია შთა-

მომავლობის რიგიანი პატრონობა. საოცრად ჰგავს ეს კულტურით შეპირობებული სოციალური ქცევების ნორმათა დარღვევას. აქაც ყველაზე დიფერენცირებული და ინტორიულად ახალგაზრდა მექანიზმები განსაკუთრებით მგრძნობიარეა რღვევის მიმართ. ძველი, საყოველთაოდ გავრცელებული ინსტინქტები, როგორიც საკვების მიღება და გამრავლებაა, ზიარად ჰიპერტროფიას განიცდის. თუმცა ადამიანი სწორედ გაბუჩრეველ და ხარბ ჭამა-სმაგამრავლების ინსტინქტს უწყობს ხელს ხელოვნურად, ხოლო აგრესიისა და გაქცევის ინსტინქტს, როგორც არასასურველს, თავიდან იშორებს.

საერთოდ კი, შინაური ცხოველი თავისი პატრონის ბოროტი კარიკატურაა. ერთ ჩემს ადრინდელ ნაშრომში (1954) ვწერდი, რომ ჩვენი ესთეტიკური ღირებულების განცდა სრულიად მკაფიო დამოკიდებულებას ამჟღავნებს იმ ფიზიკურ ცვლილებათა მიმართ, რასაც ცხოველი მოშინაურების პროცესში განიცდის; კუნთების გაქრობა, გასუქება, გადმოვარდნილი ფაშვი, თავის ქალის ფუძის, ახევე, კიდურების დამოკლება — მოშინაურების ტიპიური ნიშნებია. ისინი ცხოველსა და ადამიანშიც ხიმაბინჯად აღიქმება, ხოლო საპირისპირო ნიშნები მათ მფლობელს „კეთილშობილად" წარმოაჩენენ. საესებით ამის ანალოგიურია ჩვენი ემოციური შეფასებაც იმ ქცევებისა, რომლებსაც მოშინაურება სპობს ან მოსპობით ემუქრება: დედობრივი სიყვარული, უანგარო და თავდადებული შრომა ოჯახისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ ქცევის სხვთივე ინსტინქტის შესაბამისად დაპროგრამებული ნორმებია, როგორც ჭამა და განაყოფიერება, მაგრამ ჩვენ მათ ამათზე გაცილებით მაღლა ვაყენებთ.

ჩემს გამოკვლევებში მე გამოწვლილვით გავაანალიზე, თუ რა მჭიდრო ურთიერთკავშირია მოშინაურებით ცხოველის გარკვეულ თვისებათა საფრთხეში ჩაგდებასა და ჩვენს მიერ ამ ცვლილებათა ეთიკურ და ესთეტიკურ შეფასებას შორის. კორელაცია აქ ისე აშკარაა, რომ მას შემთხვევითად ვერ მივიჩნევთ. და ამ მოვლენის ერთადერთი ახსნა ის იქნება, რომ ჩვენი შეფასებები იმ ჩაშენებულ მექანიზმებს ეყრდნობა, რომლებიც მოწოდებულია სრულიად გარკვეულ, კაცობრიობისათვის საშიში რღვევის მოვლენებს გზა გადაუკეტოს. გამორიცხული არ არის, რომ ჩვენი სამართლის გრძნობებიც, ახევე, ფილოგენეტურად დაპროგრამებულ უნარს ეყრდნობა, რომლის ფუნქციაა საზოგადოების ინფილტრაციას ჩვენს ასოციალურ თანამოძმეთა მეშვეობით დაუპირისპირდეს.

მეჩქეიდრეობით ცვლილებათა ერთ-ერთი ხინდრომია ის, რაც ადამიანში და შინაურ ცხოველებში ანალოგიურად და ერთი და იმავე მიზეზით იჩენს თავს — ეს არის სქესობრივად ნაადრევი მომწიფებისა და ხანგრძლივი სიყმაწვილის ფრიად უცნაური კომბინაცია. ბოლკმა უკვე დიდი ხნის წინათ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ ადამიანი [illegible] ძლიერ ბევრი ფიზიკური ნიშნით მეტ მსგავსებას ამჟღავნებს ზოოლოგიურად თავისი უახლოესი ნათესავი ცხოველის სწორედ ახალგაზრდულ ფორმასთან, ვიდრე ზრდადასრულებულთან. ყმაწვილობაში დახანებას ბიოლოგიაში ნეოტენიას (Neotenie) უწოდებენ. ლ. ბოლკი (1926) მიუთითებს რა ადამიანში ამ მოვლენაზე, ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ონტოგენეზის შენელებასა და შეკავებაზე. ის, რაც ადამიანის სხეულის ონტოგენეზის შესახებ ითქვა, ეხება მის ქცევასაც. როგორც ვცადე მეჩვენებინა (1948), ადამიანს ღრმა მოხუცებულობამდე ახასიათებს ახლის შეცნობის ბავშვური ცნობისმოყვარეობა, იგი, როგორც არნოლდ გელენი ამბობს (1940), გახსნილია სამყაროსადმი, რაც სიჭაბუკის უტყუარი ნიშანია.

ბალღურობა ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უკეთილშობილესი ჰუმანურ თვისებათაგანია. „ადამიანი მხოლოდ მაშინაა სრულად ადამიანი, როცა თამაშობს", — ამბობს ფრიდრიხ შილერი. „ნამდვილ მამაკაცში ბავშვია დამალული, მას თამაში სწყურია", — ამბობს ნიცშე. „დამალული? კი მაგრამ, როგორ?" — მეკითხება ჩემი მეუღლე. ოტო მანმა გაცნობის პირველ წუთებშივე მკითხა: „მითხარით, ხომ გაქვთ რაღაც ბავშვური ხასიათში? იმედია, ცუდად არ გამიგებთ!".

ბალღური თვისებები, უეჭველად, ადამიანად გახდომის ერთ-ერთი წინაპირობაა. საკითხი მხოლოდ იმგვარად დაისმის, ადამიანისათვის დამახასიათებელი გენეტიკური გაბავშვება იმ ზომით ხომ არ ვითარდება, რომ მე იძლება მისთვის დამღუპველი აღმოჩნდეს? ადრე ამის თაობაზე ვწერდი, რომ უსიამოვნობის მიმართ შეუწყნარებლობამ და გრძნობის გაუხამსებამ, შესაძლოა, ინფანტილურ ქცევასთან მიგვიყვანოს. გვეზადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ კულტურით გაპირობებული პროცესები ამ გენეტიკურად გაპირობებულებს ემატება. მოუთმენელი მოთხოვნილება ყველა სურვილის მყისვე დაკმაყოფილებისა, პასუხისმგებლობის არქონა და სხვათა გრძნობებისათვის ანგარიშის გაუწევლობა ტიპიურია ბავშვებისათვის და მათთვის მისატევებელიც. შორეული მიზნის მისაღწევად მოთმენა, საკუთარ მოქმედებაზე პასუხისმგებლობა და ანგარიშის გაწევა სხვათათვის — ქცევის ის ნორმებია, რომლებიც

**მოუწიფებელი** ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

**უმწიფრობაზე** ლაპარაკობენ კიბოს მკვლევრები, როცა ამ ავთვისებიანი სიმსივნის ერთ-ერთ ძირითად თვისებას ახასიათებენ, თუ რომელიმე უჯრედი ყველა იმ ნიშან-თვისებას უკუაგდებს, რაც მას გარკვეული სხეულის ქსოვილის, კანის, მკერდის ჯირკვლის და სხვ. შემადგენელ ნაწილად და წევრად ხდის, იგი უცილოდ „უკან იხევს" იმ მდგომარეობისაკენ, რაც მოდგმის ან ინდივიდუალური ისტორიის განვითარების ადრეულ საფეხურს შეესატყვისება. მაშასადამე, იგი უკვე ისე იქცევა, როგორც ერთუჯრედა ორგანიზმი ან ემბრიონალური უჯრედი, რაკი ორგანიზმის მთლიანობისთვის ანგარიშგაუწევლად იყოფა. რაც უფრო შორს მიდის რეგრესია, რაც უფრო მეტად განსხვავდება ახლადწარმოქმნილი ქსოვილი ნორმალურისაგან, მით უფრო ავთვისებიანია სიმსივნე. პაპილომა, რომელსაც ჯერ ისევ აქვს ნორმალური ზედაკანის ბევრი თვისება და მხოლოდ მეჭეჭივით აზის კანის ზედაპირს, კეთილთვისებიანია. ხოლო სარკომა, რომელიც შედგება ერთნაირი, სრულიად დაუნაწევრებელი მეზოდერმული უჯრედებისაგან — ავთვისებიანი სიმსივნეა. ავთვისებიან სიმსივნეთა დამღუპველი ზრდა, როგორც ითქვა, გამოწვეულია იმით, რომ ორგანიზმს უმტყუნა უნარმა, თავი დაიცვას „ასოციალური" უჯრედების გარენისაგან. მხოლოდ მაშინ, როცა დანარჩენი ქსოვილი მას ისე ეპყრობა, როგორც თავის მსგავსს და საკვებს აწვდის, სიმსივნე მომაკვდინებელი სისწრაფით ედება მთელ სხეულს.

ამ ანალოგიაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი. ადამიანი, რომლის სოციალური ქცევის ნორმებს სიმწიფე აკლია, ინფანტილურ მდგომარეობაში რჩება და ლოგიკურად საზოგადოების პარაზიტი ხდება. იგი მასზე სხვათა ზრუნვას მიიჩნევს, როგორც რაღაც თავისთავად რასმე, რაც მხოლოდ ბავშვს შეშფერის. „ზიუდდოიჩე ცაიტუნგში" ამასწინათ ერთ ყმაწვილ კაცზე წერდნენ, რომელსაც საკუთარი ბებია მოუკლავს კინოში წასასვლელი რამდენიმე მარკის გულისათვის. მთელი მისი პასუხისმგებლობა გამოიხატა ერთი და იმავე ფრაზის ჯიუტად გამეორებაში: მე ხომ ვეუბნებოდი ბებიაჩემს, რომ ფული კინოსთვის მჭირდებოდა. ეს ახალგაზრდა, რა თქმა უნდა, ჰკუასუსტი იყო.

ძალიან ბევრი ახალგაზრდა მტრულად უპირისპირდება დღევანდელ საზოგადოებრიობას და მშობლებსაც. ამგვარი პოზიციის მიუხედავად, ისინი რატომღაც თავისთავად ცხადად მიიჩნევენ, რომ ამ საზოგადოებამ და მშობლებმა უნდა არჩინონ ისინი, რაშიც მათი სრული ინფანტილიზმი მჟღავნდება.

თუ ცივილიზებული ადამიანის მზარდი ინფანტილიზმი და ახალგაზრდობის მზარდი ბოროტმოქმედება, როგორც ვშიშობ, მართლაც გენეტიკური რღვევის მოვლენებში [illegible] თავეს, მაშინ ჩვენ უმძიმესი [illegible] ლის, სიკეთის და წესიერების მაღალი შეფასება, რასაც გულით ვეთანხმე[illegible] ფაქტორად რჩება, რომე[illegible] სოციალური ქცევიდან ამოვარდნის წინააღმდეგ მეტნაკლებად ქმედით სელექციას ახორციელებს. თვით გაქნილი ფულიანი კაციც კი ჩვენი მრავალისმეტყველი ანეკდოტიდან წესიერ ხალოლეს დაეძებს! ყველაფერი, რაზეც წინა თავებში ვიმსჯელეთ: მოსახლეობის სიჭარბე, კომერციული კონკურენცია, ჩვენი ბუნებრივი გარემოს გავერანება და მისი ღვთაებრივი ჰარმონიისგან გაუცხოება, გასათუთებით გამოწვეული ძლიერი გრძნობების დაკარგვა, — ყველაფერი ეს ერთად იმისკენაა მიმართული, რომ თანამედროვე ადამიანს წაართვას სიკეთე-ბოროტების გარჩევის უნარი. ამას ემატება ასოციალურის გამართლება, რომელსაც ვიეთნი თავს გვახვევენ მისი ცოდვების გენეტიკური და ფსიქოლოგიური მიზეზების ანალიზით.

უნდა ვისწავლოთ ინდივიდის მიმართ გონივრული ჰუმანიზმის შეფარდება იმასთან, რაც ადამიანთა საზოგადოებისათვის სასარგებლოა. ცალკე ადამიანი, რომელიც მოკლებულია გარკვეული სოციალური ქცევის უნარს და ასევე მოკლებულია იმ გრძნობებს, რომლებიც ამ ქცევებს თან ახლავს, მართლაც შესაბრალისი ავადმყოფია და ჩვენს სრულ თანაგრძნობას იმსახურებს. თვითონ ამ უნართა არქონა კი **ბოროტებაა**. იგი არა მარტო უარყოფაა და უკუქცევაა ბუნების შემოქმედებითი პროცესისა, რის შედეგადაც ცხოველი ადამიანად იქცა, არამედ ბევრად უფრო საშიში და საზარელიცაა. მორალური ქცევის დარღვევას რაღაც აუხსნელად მოჰყვება ხოლმე არა მხოლოდ ყოველივე იმის დაკარგვა, რაც ჩვენ კარგად და სიხალებად მიგვაჩნია, არამედ მის მიმართ აქტიური მტრობაც. ეს სწორედ ის ფენომენია, რომელიც ბევრ რელიგიაში ღმერთის მტრად და მოქიშპედაა დასახული. თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ ყველაფერს, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, გაგვიჭირდება რამე დავუპირისპიროთ მორწმუნეს, რომელსაც სწამს, ანტიქრისტემ აიშვა თავით.

უეჭველია, გენეტიკურად განმტკიცებულ სოციალურ ქცევათა რღვევა აპოკალიფსს გვიქადის, თანაც, გამორჩეულად საზარელს. მაგრამ ეს საშიშროება მაინც უფრო ადვილად მოსავლელია ვიდრე მოსახლეობის სიჭარბე ან

კომერციული შეჯიბრის ეშმაკეული წრე, რომლებსაც მხოლოდ გადამჭრელი ღონისძიებებით და ადამიანთა წარმოდგენაში დღეს ასე გამჯდარი ცრუ ღირებულებების გადაფასებით თუ შევებრძოლებით. კაცობრიობის გენეტიკური რღვევის პროცესს შეიძლება წინ აღვუდგეთ, თუ იმ ძველი სიბრძნის ერთგულნი დავრჩებით, ზემოთ მოყვანილი ებრაული ანეკდოტი რომ კლასიკურად გვაწვდის. მეუღლის არჩევისას სრულიად საკმარისია არ დავივიწყოთ ერთი უბრალო და თავისთავად ცხადი მოთხოვნა: — **ᲬᲔᲡᲘᲔᲠᲘ** უნდა იყოს იგი. ეს მამაკაცსაც ეხება.

ვიდრე შემდეგ თავზე გადავიდოდეთ, სადაც ტრადიციისაგან მოწყვეტის საშიშროებებზე გვექნება საუბარი, რაც ახალგაზრდობის მეტისმეტად რადიკალურ ამბოხს მოჰყვა, მინდა თავი დავიზღვიო ერთი გაუგებრობისაგან: ყველაფერი, რაც მზარდი ინფანტილიზმის საშიშ შედეგებზე ითქვა, განსაკუთრებით, პასუხისმგებლობის შეგნებისა და ჭეშმარიტ ღირებულებათა გაქრობაზე, ეხება ახალგაზრდობაში სწრაფად მზარდ ბოროტმოქმედებას და არავითარ შემთხვევაში დღევანდელი ახალგაზრდობის ამბოხს, რაც მთელ მსოფლიოს მოედო. რა ენერგიულადაც არ უნდა გავილაშქროთ შემდგომ მათ მცდარ შეხედულებათა წინააღმდეგ, სრულიად გარკვევით უნდა ითქვას, რომ მათ სრულებითაც არ აკლიათ სოციალური ან მორალური განცდა და არც ღირებულებათა მიმართ სიბეცე სჭირთ. პირიქით: მათ არაჩვეულებრივად სწორი ალღო აქვთ იმისა, რომ არამარტო დანიის სახელმწიფოშია საქმე ცუდად აწყობილი, არამედ ბევრ დიდ სახელმწიფოშიაც.

## VII ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲐ

ადამიანური კულტურის განვითარება თვალსაჩინო ანალოგიას ამჟღავნებს სახეობების ევოლუციურ განვითარებასთან. **ᲓᲐᲛᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ**, რომელიც საფუძვლად ყოველ კულტურულ განვითარებას უდევს, არსებითად ახალი, ცხოველის ყველა სახეობისათვის უცხო მონაპოვარს ეყრდნობა, უპირველესად კი, ცნებით აზროვნებასა და სიტყვიერ ენას, რომელიც თავისი უნარით, შექმნას თავისუფალი სიმბოლოები, ადამიანს ინდივიდუალურად მოპოვებული ცოდნის გავრცელებისა და გადაცემის დიდ შესაძლებლობას აძლევს. „შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობით გადაცემა", რომელიც აქ შედეგად გვევლინება, თავის მხრივ კულტურის ისტორიული განვითარების შეუდარებლად უფრო სწრაფი განხორციელების საწინდარია, ვიდრე ნებისმიერი სახეობის ფილოგენეზისი.

მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც კულტურა ახალ, სისტემატურ ცოდნას იძენს, აგრეთვე, ის მეთოდები, რომელთა დახმარებითაც კულტურა ამ ცოდნას განიმტკიცებს, განსხვავდებიან სახეობათა ცვლილების მეთოდებისაგან. ხოლო ის მეთოდი, რომლის საშუალებითაც მრავალ შემოთავაზებულთაგან შეირჩევა ის, რაც განმტკიცების ღირსია, სახეობისა და კულტურის განვითარებაში აშკარად ერთი და იგივეა, სახელდობრ, ეს არის შერჩევა საფუძვლიანი გამოცდის შედეგად. რა თქმა უნდა, სელექცია, რომელიც ამა თუ იმ კულტურის სტრუქტურებსა და ფუნქციებს საზღვრავს, არ არის ისეთი მკაცრი, როგორც ის, რომელიც სახეობათა ცვლილებას განაგებს, რადგან ადამიანი, გარემომცველი ბუნების სულ უფრო მეტი დაპყრობით, სელექციის ფაქტორებს გვერდს უვლის. ამიტომ კულტურაში ისეთ მოვლენებს ვხვდებით, რაც სახეობებში სრულიად გამორიცხულია: მაგ., ე. წ. ფუფუნების შენაქმნები, ე. ი. სტრუქტურები, რომელთა ფორმა **ᲐᲠᲪ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ** სისტემის შემანარჩუნებელი ქმედებიდან გამომდინარეობს და **ᲐᲠᲪ** ყოფილიდან, მხოლოდ ადამიანს შეუძლია თავს ნება მისცეს, უფრო მეტი უსარგებლო ბალასტი ათრიოს, ვიდრე ნებისმიერმა გარეულმა მხეცმა.

მაგრამ, როგორც ჩანს, **ᲛᲮᲝᲚᲝᲓ** სელექცია გადაწყვეტს, რა უნდა შევიდეს კულტურის მუდმივი ცოდნის საგანძურში, როგორც ტრადიციული „წმიდა" ადათი თუ ჩვევა. აღმოჩენებიც და გამოგონებებიც, როგორც გონივრული წვდომისა და რაციონალური ძიებათა შედეგი, რიტუალურ, უფრო მეტიც, რელიგიურ ხასიათს იძენენ, რაც უფრო მეტად მკვიდრდებიან ტრადიციაში. ამას შემდეგ თავში კვლავ დავუბრუნდებით. თუ კულტურის ტრადიციული სოციალური ქცევის ნორმებს იმ მდგომარეობაში გავაანალიზებთ, როგორადაც ისინი დღეს გვევლინებიან (ე. ი. შედარებით ისტორიული განხილვის გარეშე), მაშინ გაჭირდება, შემთხვევით გაჩენილი „ცრურწმენისგან" მომდინარე ნორმების ისეთებისაგან გარჩევა, რომლებიც თავიანთ წარმომავლობას ჭეშმარიტ ცოდნასა და აღმოჩენებს უმადლის. ცოტა გაზვიადებულად რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში კულტურული ტრადიციით გადმოგვეცემა, ბოლოს „ცრურწმენისა" ან „დოქტრინის" ხასიათს იძენს.

თავდაპირველად, შესაძლოა ეს იმ მექანიზმის „ნაკლად" მოგვეჩვენოთ, რომელიც ადამიანურ კულტურაში ცოდნას იძენს და აგროვებს. მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ უდიდესი კონსერვატულო-

ბა ერთხელ ნაცადის შენარჩუნებაში, ამ აპარატის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო თვისებაა, რასაც კულტურის განვითარებაში ისეთივე ამოცანა ეკისრება, როგორც გენურ სტრუქტურას სახეობათა ცვლილებაში. შენარჩუნება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიცაა, ვიდრე ახლის შეძენა, ასე რომ, საგანგებო ანალიზის გარეშე არ გვეცოდინება, ჩვენი კულტურის ტრადიციით გადმოცემული რომელი წესი თუ ჩვევა მოძველდა, რომელს შეიძლება შევეליოთ და რომელი დავტოვოთ კულტურის მონაპოვრად. ქცევის იმ ნორმების შემთხვევაშიც, რომელთა უაზრობაც თითქოს ეჭვს არ იწვევს, (მაგალითად, ბორნეოსა და ახალი გვინეის ზოგიერთ ტომებში გავრცელებული ნადირობა ადამიანის თავზე), წინასწარ ვერ ვიტყვით, რა ზემოქმედებას მოახდენს მათი რადიკალური მოსპობა სოციალურ ქცევათა ნორმების იმ სისტემაზე, რომელიც შესაბამის კულტურულ ჯგუფს აერთიანებს. ასეთი სისტემა შესაბამისი კულტურის ჩონჩხია და თუ არ გავითვალისწინებთ მის ურთიერთზემოქმედებათა მთელ მრავალფეროვნებას, ძალზე საშიშია რომელიმე ელემენტი მას ასე ხელაღებით გამოაცალოთ.

მცდარ აზრს, თითქოს კაცობრიობის მყარ ცოდნას, მხოლოდ გონებით მისაწვდომი, უფრო მეტიც, მხოლოდ მეცნიერულად დამტკიცებადი შეადგენს, დამღუპველი შედეგი მოაქვს. იგი „მეცნიერულად განათლებულ" ახალგაზრდობას განაწყობს, მთლიანად წყალში გადაყაროს ცოდნისა და სიბრძნის ის უდიდესი განძი, რომელიც ყოველი ძველი კულტურის ტრადიციებსა და მსოფლიოს დიდ რელიგიებშია დაცული; ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი ეს არარაობაა, ლოგიკურად სხვა, ასევე გამანადგურებელი, შეცდომის ტყვეობაში აღმოჩნდება, რაკი დარწმუნებულია, რომ მეცნიერებას შეუძლია რაციონალური გზით შექმნას მთელი კულტურა თავისი ატრიბუტებით და, თანაც, არაფრისაგან. ეს ბევრად არ სჯობს იმ ცნობილ სისულელეს, თითქოს ადამიანის გენურ სტრუქტურაში ჩარევა შესაძლებელს გახდის მის „გაუმჯობესებას" სურვილის „მიხედვით". ნებისმიერ კულტურას იმდენივე აქვს „ზრდით", სელექციით მოპოვებული ცოდნა, რამდენიც ცხოველის რომელიმე სახეობას, რომელსაც, როგორც ცნობილია, ჯერჯერობით ვერ „ვქმნით".

კულტურული ცოდნის საგანძურში არარაციონალურის დაუფასებლობა, ხოლო, მეორე მხრივ, გადაჭარბებით შეფასება ყოველივე იმისა, რასაც ადამიანი, როგორც Homo faber თავისი გონებით ქმნის, ერთადერთი და გადამწყვეტი ფაქტორი როდია, ჩვენს კულტურას განადგურებით რომ ემუქრება. ქედმაღალ განსწავლულობას არა აქვს ტრადიციის მიმართ ესოდენ მტრულად დაპირისპირების საფუძველი. იგი მას ისევე უნდა მოეკიდოს, როგორც, ვთქვათ, ბიოლოგი მოხუც გლეხის ქალს, რომელიც მის დარწმუნებას შეეცდებოდა, რწყილი შარდით დანამული ნაპრალიდან ჩნდებაო. დღევანდელ თაობათა ურთიერთობაში შესამჩნევია ქედმაღლური დამოკიდებულება მშობლებთან და არავითარი ნასახი შემწყნარებლობისა. თანამედროვე ახალგაზრდობის რევოლუციას სიძულვილი ამოძრავებს; თანაც, ისეთი, რომელიც ყველაზე მძიმე და ძნელად დასაძლევ სიძულვილს — ნაციონალურ სიძულვილს ენათესავება. სხვა სიტყვებით, ამბოხებული ახალგაზრდობა უფროს თაობას ისევე ექცევა, როგორც ერთი რომელიმე კულტურული ან „ეთნიკური" ჯგუფი უცხო და მტრულ ჯგუფს.

ერიკ ერიკსონმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, თუ რა ღრმა მსგავსებას ამჟღავნებს დამოუკიდებელ ეთნიკურ ჯგუფთა დივერგენციული განვითარება კულტურის ისტორიაში იმ განვითარებასთან, რომელსაც გაივლის ქვესახეობები, სახეობები და კლასები თავიანთი მოდგმის ისტორიაში. იგი ლაპარაკობს „ცრუსახეობათა წარმოქმნაზე". ეს არის კულტურულ-ისტორიულად წარმოქმნილი წესები და ნორმები სოციალური ქცევისა, რომლებიც, ერთი მხრივ, აერთიანებენ მცირე და დიდ კულტურულ ერთეულებს, ხოლო, მეორე მხრივ, მათ ერთმანეთს აშორებენ. თავისებური „მანერები", საგანგებო ჯგუფური დიალექტი, ჩაცმა-დახურვის წესი და ა. შ. შეიძლება რომელიმე საზოგადოების სიმბოლოდ იქცეს, რასაც თავგამოდებით იცავენ. როგორც ეს ერთხელ (1967 წ.) გავაანალიზე, საკუთარი ჯგუფის ყველა სიმბოლოს მაღლა დაყენებას თან სდევს ყველა სხვა ჯგუფის სიმბოლოთა შესაბამისი გაუფასურება. რაც უფრო დიდხანს ვითარდებოდა ორი ეთნიკური ჯგუფი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მით უფრო მეტია მათ შორის განსხვავება. ამ განსხვავებათა საფუძველზე, ისევე, როგორც ცხოველის სახეობათა განსხვავებულ ნიშან-თვისებათა მიხედვით შეგვიძლია მთელი განვითარების პროცესი აღვადგინოთ, ორივე შემთხვევაში შეიძლება სრული დარწმუნებით ვივარაუდოთ, რომ უფრო ფართოდ გავრცელებული, დიდი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი ნიშნები უფრო ძველია.

ყოველი მკვეთრად გამოხატული კულტურული ჯგუფი მიდრეკილებას იჩენს საკუთარი თავი განსაკუთრებულ სახეობად მიიჩნიოს, სხვა ჯგუფის წევრები კი სრულფასოვან ადამიანებად არ ჩათვალოს ძალიან ბევრ აბორიგენულ

ენაში საკუთარ ტომს უბრალოდ „ადამიანი" ჰქვია. ამიტომ მეზობელი ტომის რომელიმე წევრის მოკვლა არ ითვლება ნამდვილ მკვლელობად! ცრუ სახეობათა წარმოშობის ეს შედეგები უაღრესად სახიფათოა, რადგან თანამოძმის მოკვლის ყველა შემაკავებელ ზღუდეს შლის. თანამოძმეთა მიერ გაღვივებული ინტრასპეციფიკური აგრესია კი ძალაში რჩება, „მტრის" მიმართ ისეთი გახელება იპყრობს, როგორიც ადამიანს შეიძლება მხოლოდ სხვა ადამიანის მიმართ გაუჩნდეს, უბოროტესი ნადირის მიმართაც კი არა. ამიტომაც შეუძლიათ მათ გულდამშვიდებით ესროლონ. იგი ხომ ნამდვილი ადამიანი არც არის! ცხადია, ამ გარემოებით ყველა ჯურის ომის გამჩაღებელი ცდილობს ისარგებლოს.

ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია, რომ დღევანდელი ახალგაზრდა თაობა სრულიად არაორაზროვნად იმ გზას ადგას, უფროს თაობას დაუპირისპირდეს, როგორც რაღაც უცხო ფსევდოსახეობას. ამის ბევრი სიმპტომი გვაქვს. მტრული და მოქიშპე ეთნიკური ჯგუფები, ჩვეულებრივ, ცდილობენ მკვეთრად განსხვავებული ჩაცმა-დახურვით გამოირჩეოდნენ. შუა ევროპაში ნაციონალური ადგილობრივი გლეხური ტანსაცმელი კარგა ხანია გაქრა. მხოლოდ უნგრეთშია სრულყოფილად შემორჩენილი იქ, სადაც უნგრული და სლოვაკური სოფლები გვერდი-გვერდ მდებარეობენ. იქ ამ ტრადიციულ სამოსს სიამაყით ატარებენ და, თანაც, სრულიად აშკარად, მეორე ეთნიკური ჯგუფის წევრების გასაბრაზებლად. სწორედ ასე იქცევა ამბოხებული ახალგაზრდობის თვითშექმნილი ჯგუფების უმრავლესობა. გასაკვირი ის არის, რომ ყოველივე მილიტარისტულის მიმართ თითქოსდა დიდი ანტიპათიის მიუხედავად, მათში ძლიერია უნიფორმისაკენ სწრაფვა. ბიტნიკის, ტედიბოის, როკის, მიპის და სხვა ჯგუფებს „სპეციალისტი" ისევე ადვილად გაარჩევს ერთმანეთისაგან, როგორც ერთ დროს ავსტრიის საიმპერატორო ჯარის სამხედრო პირებს არჩევდნენ.

ამბოხებული ახალგაზრდობა თავისი ქცევით ცდილობს, რაც შეიძლება მკვეთრად გაემიჯნოს მშობელთა თაობას, თანაც იგი ხელაღებით კი არ უგულებელყოფს ტრადიციულ ქცევებს, არამედ ყოველ მის დეტალს ღრმად უკვირდება და ზუსტად საპირისპირო ქცევით პასუხობს. აქ უნდა ვეძიოთ, მაგალითად, სექსუალური ექსცესების ახსნა ადამიანთა იმ ჯგუფებში, რომელთა საერთო სექსუალური პოტენციაც დაქვეითებულია. მშობლების აკრძალვათა დარღვევის ძლიერი სურვილით შეიძლება ავხსნათ, როცა ამბოხებული სტუდენტები საჯაროდ შარდავენ და კუჭში გადიან, როგორც ეს ვენის უნივერსიტეტში მოხდა.

ყველა ამ უცნაური ქცევის მიზეზი ახალგაზრდებში სრულიად გაუცნობიერებულია. თავის ქცევას ისინი ხშირად ხსნიან სრულიად დამაჯერებელ ფსევდორაციონალური მოტივებით. ამბობენ, რომ უჯანყდებიან მდიდარ მშობლებს ლატაკებისა და მშივრების გამო, კიცხავენ ვიეტნამის ომს, უნივერსიტეტის მმართველობის თვითნებობას, ყველა სახელმწიფო დაწესებულებას და ა. შ. სინამდვილეში კი აგრესია მიმართულია საკმაოდ განურჩევლად ყველა ხანში შესული ადამიანის წინააღმდეგ. მათი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად. უკიდურესად მემარცხენე პროფესორებს უკიდურესად მემარცხენე სტუდენტებისაგან ნაკლები ლანძღვა როდი ხვდებათ, ვიდრე მემარჯვენეთ. ერთხელ. კომუნისტმა სტუდენტმა, კონ-ბენდიტის მეთაურობით, ჰ. მარკუზე უაღრესად უხეშად შეურაცხყვეს და მართლაც გასაგიჟებელი ბრალდებები წაუყენეს, მაგალითად, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დაქირავებული აგენტი ხართო. ამ თავდასხმის მიზეზი პოლიტიკური მრწამსი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ის, რომ იგი სხვა თაობის კაცია.

უფროსი თაობაც ასევე გაუცნობიერებლად და ემოციურად აღიქვამს ამ ვითომდა პროტესტს — როგორც სიძულვილით აღსავსე საბრძოლო გამოწვევას და შეურაცხყოფას. ასე ეხსნება გზა სიძულვილის სწრაფ და საშიშ ესკალაციას, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ენათესავება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის სიძულვილს, მაშასადამე, ნაციონალურ სიძულვილს. მე, თავად გამოცდილ ეთოლოგს, ზოგჯერ მიჭირს, ბრაზით არ ავენთო კონ-ბენდიტის მშვენიერი ცისფერი ბლუზის დანახვაზე. საკმარისია ასეთ ადამიანებს თვალებში ჩახედო, რომ მაშინვე მიხვდე, მათ სწორედ ასეთი რეაქცია სურთ. ყველაფერი ეს მინიმუმამდე ამცირებს ურთიერთგაგების შესაძლებლობას.

ჩემს წიგნში აგრესიის შესახებ (1963), ასევე საჯარო ლექციებში (1968, 1969) მე შევეხე თაობათა დაპირისპირების ეთოლოგიური მიზეზების გამორკვევის საკითხს. აქ მხოლოდ მთავარზე შევჩერდები. მთელ ამ მოვლენათა წრეს საფუძვლად უდევს განვითარების პროცესის ფუნქციური დარღვევები, რომლებიც ადამიანში დაკავშირებულია სქესობრივ მომწიფებასთან. ამ პერიოდში ახალგაზრდა იწყებს ოჯახის ტრადიციისაგან განდგომას, მის კრიტიკულ გადასინჯვას და ახალი იდეალების ძებნას. იგი ეძებს ახალ ჯგუფს, რომელსაც მიეკედლება და მის საქმეს თავისად გაიხდის. ინსტინქტური სურვილი, კარგი საქმისათვის ბრძოლაც შეეძლოს, ობიექტის არჩევანისა-

თვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. განსაკუთრებით, ჭაბუკებისათვის. ამ პერიოდში ყველაფერი ძველი, ტრადიციული მოსაწყენია, ხოლო ყველაფერი ახალი მიმზიდველია. შეიძლებოდა აქ ფიზიოლოგიურ ნეოფილიაზეც გველაპარაკა.

ამ პროცესს, ეჭვს გარეშე, ხახეობის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრება, რისთვისაც იგი ადამიანური ქცევის ფილოგენეტიკურად წარმოქმნილ პროგრამაში შევიდა. მისი ფუნქციაა, ტრადიციით გადმოცემული კულტურული ქცევის ზედმეტად გახევებულ ფორმებს ერთგვარი შემგუებლობა მიანიჭოს. იგი შეიძლება კიბოს მიერ კანის გამოცვლას შევადაროთ, რომელიც თავის გარეთა გამყიფებულ ჩონჩხს მოიცვლის, რათა ზრდა-განვითარება შეძლოს. ისევე, როგორც ყველა მყარ სტრუქტურაში, კულტურულ მემკვიდრეობაშიც სტრუქტურის საყრდენი ფუნქცია გარკვეულად ზღუდავს თავისუფლებას. და ისევე, როგორც ყველგან, აქაც, მის დემონტაჟს, რომელიც კონსტრუქციის შეცვლის მიზნით ხორციელდება, უცილოდ თან ახლავს გარკვეული საშიშროება, რადგან დემონტაჟსა და ხელახლა აგებას შორის მერყეობის, დაუცველობის პერიოდია. ეს ანალოგიურად მიმდინარეობს გარეთა ჩონჩხის შემცვლელ კიბოსა და ხჯუსობრივი მომწიფების პერიოდში მყოფ ადამიანში.

ჩვეულებრივ, ფიზიოლოგიურ ნეოფილიას მოჰყვება ხოლმე ტრადიციის მიმართ სიყვარულის გაღვიძება. ეს შეიძლება თანდათანობით მოხდეს. მრავალი ხნიერი ადამიანი დაადასტურებს იმ ფაქტს, რომ სამოცი წლისათვის მამის შეხედულებაზე გაცილებით დიდი წარმოდგენისა არიან, ვიდრე თვრამეტი წლის ასაკში. ა. მიჩერლიხი ამ ფენომენს ძალზე მოსწრებულად „გვიან მორჩილებას“ უწოდებს. ფიზიოლოგიური ნეოფილია და გვიანი მორჩილება ერთად ქმნის სისტემას, რომლის მნიშვნელობაც იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციით გადმოცემულ კულტურაში მკვეთრად დრომოჭმული და ახლის განვითარებისათვის ხელისშემშლელი ელემენტები ამოიძირკვოს, ხოლო მისი ძირითადი სტრუქტურა შენარჩუნებულ იქნას. მაგრამ ვინაიდან ამ სისტემის ფუნქცია დამოკიდებულია ძალიან ბევრი შინაგანი და გარეგანი ფაქტორის ურთიერთქმედებაზე, ამიტომ, იგი, ცხადია, ადვილად განიცდის შეფერხებას.

განვითარების შეფერხებებს, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს გარესამყაროს ფაქტორებმა, მაგრამ ასევე გენეტიკურმა განპირობებულობამაც, სრულიად განსხვავებული შედეგი მოაქვთ იმისდა მიხედვით, თუ რა დროს იჩენენ ისინი თავს. ადრეულ ინფანტილურ სტადიაში შეჩერებამ შეიძლება შედეგად მოიტანოს მშობლებთან მყარი კავშირი და უფროსი თაობის ტრადიციებში ტოტალური გამუშვება, [illegible] ძალზე უჭირთ თავისი ასაკის ადამიანებთან ურთიერთობა და ანირებულ პიროვნებებად რჩებიან. ნეოფილიის სტადიაში [illegible]ურ გამუშვებას ზოგჯერ შე[illegible]ვე დიდი ხნის გარდაცვლილი მშობლების მიმართ ჩაბუეული წყენა და სხვა უცნაურობანი. ორივე ამ ფენომენს კარგად იცნობენ ფსიქოანალიტიკოსები.

მაგრამ დარღვევებს, რომლებსაც მოაქვთ თაობათა შორის სიძულვილი და ომი, სხვა მიზეზები აქვს, თანაც ორგვარი. ჯერ-ერთი კულტურული მემკვიდრეობა თაობიდან თაობამდე სულ უფრო მეტ ცვლილებას განიცდის. აბრაამის დროს ვაჟი ისე უმნიშვნელოდ ცვლიდა მამის ქცევათა ნორმებს, რომ, როგორც ამას თ. მანი თავის გასაოცარ ფსიქოლოგიურ რომანში „იოსები და მისი ძმები“ დამაჯერებლად ასახავს — ზოგი მაშინდელი ადამიანისათვის საერთოდ შეუძლებელი იყო საკუთარი პიროვნების გამოყოფა მამისაგან, რაც იდენტიფიკაციის უსრულყოფილეს ფორმად წარმოგვიდგება. განვითარების ტემპს, რომელსაც დღევანდელ კულტურას თავს ახვევს მისი ტექნოლოგია, შედეგად ის მოაქვს, რომ რაც ერთ თაობას შემორჩენია ტრადიციული მემკვიდრეობის სახით, კრიტიკულად განწყობილი ახალგაზრდობის დიდ ნაწილს სამართლიანად მიაჩნია დრომოჭმულად. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მცდარ რწმენას, თითქოს ადამიანს შეუძლია თვითნებურად და რაციონალურად ცარიელ ადგილზე არაფრისგან ახალი კულტურა შექმნას, ახლა უკვე სრულ სიგიჟემდე მივყავართ: დარწმუნებულნი არიან, რომ მშობელთა კულტურა პირწმინდად უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა, რათა იგი ხელახლა „შემოქმედებითად“ ააშენონ. ეს მართლაც შესაძლებელია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ქვის ხანის წინანდელი ადამიანიდან დავიწყებთ!

დღეს ახალგაზრდობის მიერ აღტაცებულ მისწრაფებას — „ნაბან წყალს მშობლებიც გადაჰყოლოთ“ — სხვა მიზეზიც აქვს. ცვლილებები, რომლებსაც ოჯახის სტრუქტურა განიცდის კაცობრიობის მზარდი ტექნიზაციის პირობებში, მთლიანად მიმართულია იმისკენ, რომ მშობლებისა და შვილების კონტაქტი შეასუსტოს. ეს ჩვილობიდან იწყება ვინაიდან დღეტდედა მთელ დროს ვერ ანდომებს პატარას, თითქოს მუდამ მეტ-ნაკლებად ჩნდება რენე შპიცის მიერ ჰოსპიტალიზაციის ცნებით აღნიშნული მოვლენები. მისი უბოროტესი სიმპტომია სხვა ადამიანებთან კონტაქტის დამყარების სიძნელე, ან სულაც უუნარობა. რაც

მეტად საშიშია ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ადამიანური თანაგრძნობის შესუსტებასთან კავშირში.

შედარებით გვიან, განსაკუთრებით ბიჭებზე, მამის მისაბაძი მაგალითის არარსებობა შემაფერხებლად მოქმედებს. გლეხის ან ხელოსნის ოჯახის გარდა, დღეს ვაჟი თითქმის ვერასოდეს ვერ ხედავს მამას შრომის პროცესში. კიდევ უფრო ნაკლები საშუალება აქვს მას მიეხმაროს მამას და მთელი ძალით იგრძნოს მამაკაცის უპირატესობა. ამას გარდა, თანამედროვე პატარა ოჯახს აკლია რანგობრივი სტრუქტურა, რომელიც „მოხუცის" მიმართ ტრადიციისამებრ ღრმა პატივისცემას შთააგონებს. ხუთი წლის ბავშვი თვითონ ვერ შეაფასებს ორმოცი წლის მამის უპირატესობას, მაგრამ მას მოსწონს ათი წლის ბიჭის ძალა და კარგად ესმის ის თაყვანისცემა, რომელსაც ეს ათი წლის ბიჭი თავის უფროს, 15 წლის ძმას მიაგებს. აქედან მას ბუნებრივად სწორი დასკვნები გამოაქვს, როცა ხედავს, თუ რა რიდით ეკიდება მამას მისი თხუთმეტი წლის ძმა, რომელიც უკვე საკმაოდ გონიერია იმისათვის, რომ ოჯახის უფროსის უპირატესობა აღიაროს.

რანგობრივი უპირატესობის აღიარება არ ქმნის დაბრკოლებას სიყვარულისათვის. ყოველ ადამიანს შეუძლია გაიხსენოს, რომ ბავშვობაში ისინი, ვისაც ქვემოდან უყურებდა და მთლიანად ემორჩილებოდა, ნაკლებად კი არა, უფრო მეტადაც უყვარდა, ვიდრე რანგით ტოლი ან მასზე დაბლა მდგომი. ძალიან კარგად მახსოვს, რომ ჩემს ნაადრევად გარდაცვლილ მეგობარს, ჩემზე ოთხი წლით უფროს ემანუელ ლა როშს, რომელიც 10-18 წლის თავაწყვეტილი ბიჭებისაგან შემდგარი ბანდის განსაცვიფრებლად გაბედული, ძალზე მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მეთაური იყო, არა მარტო პატივს ვცემდით, არამედ გულწრფელად გვიყვარდა კიდეც. ეს ისეთივე გრძნობა იყო, როგორიც მოგვიანებით გამიჩნდა ჩემზე უფროსი სათაყვანებელი მეგობრებისა და მასწავლებლების მიმართ. ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის უმძიმესი დანაშაულია ორ ადამიანს შორის ბუნებრივი რანგობრივი წესრიგის მიჩნევა ყველა თბილი გრძნობის ხელშემშლელად: უმისოდ ადამიანური სიყვარულის უბუნებრივესი ფორმაც კი არ არსებობს, რაც ერთი ოჯახის წევრებს ჩვეულებრივ აკავშირებს. ცნობილია, რომ ფრუსტრაციის უარმყოფელი აღზრდის წესმა ათასობით ბავშვი უბედურ ნევრასთენიკად აქცია.

როგორც ზემოთ დასახელებულ შრომებში გავაანალიზე, რანგობრივი წესრიგის არმქონე ჯგუფში ბავშვი სრულიად არაბუნებრივ სიტუაციაშია მოქცეული. რაკი თავის უფრო მაღალი რანგის მოპოვების საკუთარ, ინსტინქტურად პროგრამირებულ სწრაფვას ვერ თრგუნავს და წინააღმდეგობის გაწევის უნარს მოკლებულ მშობლებს აწამებს, თავს იძულებითად გრუპენფიურერის როლში ხედავს, ეს როლი კი მას სულაც არ ანიჭებს ბედნიერებას, უფრო ძლიერი „უფროსის" ჯგუფში იგი თავს დაუცველად გრძნობს უცხო, მტრულ სამყაროში, რადგან ფრუსტრაციის უარმყოფელი ბავშვები არსად არ უყვართ. როცა იგი უაღრესად გაღიზიანებულ მდგომარეობაში მშობლების გამოწვევას ლამობს, ასე ვთქვათ „ალიყურს იხვეწება" (ბავარიელებისა და ავსტრიელების მოსწრებული თქმისა არ იყოს), მას ინსტინქტურად მოსალოდნელი და ქვეცნობიერად სასურველი საპირისპირო აგრესია კი არ პასუხობს, არამედ იგი მშვიდ, ფსევდო-რაციონალიზებული ფრაზების მოქნილ კედელს ეჯახება.

მაგრამ დედამიწის ზურგზე არც ერთი ადამიანი არ მოინდომებს თავი გაუტოლოს მონურ, უსუსურ არსებას, არავის მოუვა აზრად, აღიაროს მის მიერ დადგენილი ქცევის ნორმები, მით უმეტეს, კულტურულ ღირებულებად აღიაროს ის, რასაც მონა თაყვანს სცემს. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ღრმად გვიყვარს და თან რიდით ვუყურებთ, მზად ვართ შინაგანად, მისი კულტურული ტრადიცია ჩვენეულად ვაქციოთ. ასეთი „მამის ფიგურა" დღეს სრულიად აშკარად აკლია ახალგაზრდობის შემაშფოთებლად დიდ ნაწილს. მშობელი მამა ხშირად უღონოა, ხოლო მასობრივი სწავლება სკოლებსა და უნივერსიტეტებში ხელს უშლის იმას, რომ ასეთი მამის ადგილი სათაყვანებელმა მასწავლებელმა დაიჭიროს.

მშობელთა კულტურის უარყოფის ამ წმინდა ეთოლოგიურ მიზეზებს ბევრი გონებაგახსნილი ახალგაზრდის წარმოდგენაში თან ერთვის ჭეშმარიტად ეთიკური მიზეზებიც. ჩვენს დღევანდელ ევროპულ კულტურაში მომძლავრებული გამასობრივება, ბუნების გაუერანება, საკუთარ თავთან ბრმა, ფულს დახარბებული შეჯიბრი, გრძნობის შემაშფოთებელი გაღატაკება და დაჩლუნგება ინდოქტრინაციის ზეგავლენით, მართლაც აშკარად ვერ არის მისაბაძი, და მან სრულიად ადვილად შეიძლება დაგავიწყებინოს ის ღრმა ჭეშმარიტება და სიბრძნე, ჩვენი კულტურის წიაღში რომ დევს. ახალგაზრდობას მართლაც დამაჯერებელი და რაციონალური მიზეზები აქვს, მთელ სახელმწიფო მექანიზმს ომი გამოუცხადოს. ამასთან ძალიან ძნელია იმის გარჩევა, ამ ამბოხებულ ახალგაზრდობაში (მათ შორის სტუდენტებშიც) რა წილი უდევთ მათ, ვინც მართლა ამ მიზეზით ამბოხებულა, ის, რასაც საჯარო გამოსვ-

ლებში ვაკვირდებით, აშკარად სრულიად სხვა. გაუცნობიერებელი ეთოლოგიური იმპულსებიდან მომდინარეობს, რომელთა შორის უპირველესი ადგილი ეთნიკურ სიძულვილს უჭირავს. სამწუხაროდ, დაფიქრებული ახალგაზრდები, ვინც რაციონალური მოტივებით ხელმძღვანელობს, ნაკლებად არიან განწყობილი ძალმომრეობისათვის; ასე რომ, ეს ჯანყი გარეგნულად აშკარად ნევროზული რეგრესიის სიმპტომებს ატარებს. ცუდად გაგებული ლოიალობის გამო, გონიერ ახალგაზრდობას, როგორც ჩანს, უჭირს დისტანცია დაიცვას იმპულსურად მოქმედ თანატოლთა მიმართ. სტუდენტებთან გამართული დისკუსიებიდან დავრწმუნდი, რომ გონიერთა რიცხვი არც ისე მცირეა, როგორც ამას ამბოხის საერთო შთაბეჭდილება ტოვებს.

თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ გონივრულ მოსაზრებას ბევრად უფრო ნაკლები ბიძგის მიცემა შეუძლია, ვიდრე მის უკან რეალურად მდგარ აგრესიის ელემენტარულ, ინსტინქტურ პირველყოფილ ძალას. არანაკლებ საყურადღებოა, რა შედეგები მოჰყვება თავად ახალგაზრდებისათვის მშობლების ტრადიციისაგან სრულ მოწყვეტას. ეს შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. „ფიზიოლოგიური ნეოფილიის" ფაზაში, სქესობრივი მომწიფების ასაკში მყოფ ახალგაზრდას დაუძლეველი სურვილი იტაცებს, რომელიმე ეთნიკურ ჯგუფს მიემხროს და მისი კოლექტიური აგრესიის თანამონაწილე გახდეს. ეს სწრაფვა ისე ძლიერია, როგორიც შეიძლება იყოს მხოლოდ რომელიმე ფილოგენეტურად დაპროგრამებული ინსტინქტი, მაგალითად, შიმშილი ან სექსუალობა. ცოდნამ და სწავლის პროცესმა უკეთეს შემთხვევაში შეიძლება იგი გარკვეულ ობიექტზე დააფიქსიროს, მაგრამ მას, როგორც მთლიანობას, გონება ვერც დაიმორჩილებს, და ვერც ჩაახშობს. იქ, სადაც ეს თითქოს ხერხდება, ნევროზის საშიშროება ჩნდება.

ამ ონტოგენეზისურ სტადიაში „ნორმალური", ე. ი. კულტურის სისტემის შენარჩუნების ინტერესით მოქმედი გონივრული პროცესი, როგორც უკვე ითქვა, იმაში ვლინდება, რომ ერთი ეთნიკური ჯგუფის ახალგაზრდები ახალი იდეალების სამსახურში ერთიანდებიან და ტრადიციული ქცევის ნორმების მნიშვნელოვან რეფორმებს ახდენენ, მაგრამ ისე, რომ მშობელთა მთელი კულტურული მემკვიდრეობა წყალში არ ჩაყარონ. მაშასადამე, ახალგაზრდა სრულიად ერთმნიშვნელოვნად აიგივებს თავს რომელიმე ძველი კულტურის ახალგაზრდა ჯგუფთან. ადამიანის, როგორც კულტურული არსების, ულრმესი ნიშან-თვისებათაგანია, რომ მას სრული დამაკმაყოფილებელი იდენტობის მიღწევა მხოლოდ ერთ კულტურაში და ერთკულტურასთან შეუძლია. როცა ეს შეუძლებელი ხდება, ზემოთ აღწერილ დაბრკოლებათა მიზეზით, მაშინ იგი თავის იდენტიფიკაციისა და ჯგუფისადმი კუთვნილების ამ ლტოლვას სწორედ ისე იკმაყოფილებს, როგორც დაუკმაყოფილებელი სექსუალური ლტოლვა [illegible] შემთხვევაში — ერზაც-ობიექტით. [illegible] [illegible]ლობა, რითაც დაგუბებული გრძნობა შეუფერებელი ობიექტით განიმუხტება, ინსტინქტების კვლევაში დიდი ხანია კარგადაა ცნობილი, მაგრამ, ალბათ, ძნელია მოიძებნოს ამის უფრო შთამბეჭდავი მაგალითი, ვიდრე ობიექტის ის არჩევანი, რომელსაც ჯგუფის წევრად გახდომის სურვილით შეპყრობილი ახალგაზრდა აკეთებს, ოღონდ კი რაღაც ჯგუფში აღმოჩნდეს, თუნდაც ყველაზე სავალალო და საბედისწეროში — ნარკომანების ჯგუფში. არისტიდე ესერმა, ამ სფეროში ცნობილმა მკვლევარმა, ცხადყო, რომ მოწყენილობის გარდა, რაზედაც მეხუთე თავში გვქონდა საუბარი, ლტოლვა ჯგუფური კუთვნილებისაკენ ახალგაზრდების სულ უფრო დიდ რიცხვს ითრევს ნარკომანიაში.

იქ, სადაც არ არის ჯგუფი, რომელსაც შეიძლება შეეკედლონ, მუდამ რჩება შესაძლებლობა ასეთი ჯგუფის „შეკვეთით" შექმნისა. ახალგაზრდების ნახევრად ან მთლიანად კრიმინალური ბანდები, როგორც ეს, მაგალითად, შესანიშნავადაა ასახული ცნობილ მიუზიკლში „ვესტსაიდის ისტორია" სქემატური სიმარტივით გვიჩვენებენ ეთნიკური ჯგუფის ფილოგენეზისურ პროგრამას, ოღონდ, სამწუხაროდ, იმ ტრადიციული კულტურის გარეშე, რომელიც დამახასიათებელია ბუნებრივი და არაპათოლოგიური ჯგუფებისათვის. როგორც ამ მიუზიკლშია წარმოდგენილი, ორი ჯგუფი ძალზე ხშირად ერთდროულად წარმოიქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ კოლექტიური აგრესიისათვის ხელსაყრელ ობიექტად იქცნენ. ინგლისური „როკს ენდ მოდს" თუ კიდევ არსებობს, ამის ტიპიური მაგალითია. ეს აგრესიული ორმაგი ჯგუფები როგორღაც კიდევ ასატანია, ვიდრე, მაგალითად, ჰამბურგელი როკერები, რომელთაც ცხოვრების მიზნად უიარაღო მოხუცების გაჯობვა გაუხდიათ.

ემოციური აღელვება აფერხებს რაციონალურ მოქმედებას, ჰიპოტალამუსი ამუხრუჭებს კორტექსს. არც ერთ ემოციას არ ახასიათებს ეს იმ ზომით, როგორც კოლექტიურ ეთნიკურ სიძულვილს, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ ნაციონალური სიძულვილის სახით. უნდა ვიცოდეთ, რომ ახალგაზრდა თაობას სიძულვილს უფროსი თაობის მიმართ იგივე ძირი აქვს. სიძულვილი უფრო საშიშია, ვიდრე სრული სიბრმავე ან სიყრუე. იგი ყველაფერს აყალბებს და უკუღმა აბრუნებს. რაც არ უნდა

უთხრათ ამბოხებულ ახალგაზრდობას, რათა საკუთარი უმნიშვნელოვანესი მემკვიდრეობის განადგურებაზე ხელი აალებინოთ, ისინი ამას საძულველი სახელმწიფო მექანიზმის დასაცავ ცდად ჩაგითვლიან. სიძულვილი არა მარტო აბრმავებს და აყრუებს ადამიანს, არამედ წარმოუდგენლად აბრიყვებს. ძალიან ძნელია სიკეთე დაანახო იმათ, ვისაც ვძულვართ. ძნელია ისინი დააჯერო, რომ ის, რაც კულტურული განვითარების გრძელ გზაზე შექმნილია, ისევე შეუცვლელია და მოწიწების ღირსი, როგორც ის, რაც მოდგმის ისტორიას შეუქმნია. ძნელია შეასმენინო მათ, რომ კულტურა შეიძლება ისევე გაქრეს, როგორც სანთელი.

## VIII. ინდოქტრინაცია

ჩემი მასწავლებელი ოსკარ ჰაინროთი, არქიბუნებისმკვლევარი და რელიგიურ მეცნიერებათა არქიგამკილავი, ხშირად იტყოდა ხოლმე: „რასაც ვფიქრობთ, უმეტესად მცდარია, მაგრამ რაც ვიცით, სწორია". ეს შემეცნებითი თეორიით დაუმძიმებელი წინადადება შესანიშნავად გამოხატავს ადამიანური ცოდნის განვითარების გზას, შესაძლოა, საერთოდ, ყოველგვარი ცოდნისაც. ჩვენ „ჯერ ვფიქრობთ" რაღაცას, შემდეგ მას ვადარებთ გამოცდილებას და ახალ აღქმით მონაცემებს, რათა შემდეგ სიმართლესთან იმის შესაბამისობა თუ შეუსაბამობა დავასკვნათ, რაზეც „ვიფიქრეთ". შინაგანი, ორგანიზმში როგორღაც წარმოქმნილი კანონზომიერების შეჯერება მეორე, გარესამყაროში არსებულ კანონზომიერებასთან, ალბათ, საერთოდაც უმნიშვნელოვანესი მეთოდია, რომლის მეოხებით ცოცხალი ორგანიზმი ცოდნას იძენს. „მოდელის შეჯერებას" უწოდებენ ამ მეთოდს კარლ პოპერი და დონალდ კემპბელი.

ცოდნის შეძენის ეს პროცესი უმარტივეს სასიცოცხლო პროცესის ყველაზე დაბალ საფეხურებზეც პრინციპულად ასევე ხორციელდება. აღქმის ფიზიოლოგიაში მას ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, ხოლო ადამიანის ცნობიერ აზროვნებაში იგი იღებს ვარაუდის და შემდეგ დადასტურების ფორმას. ის, რასაც ჯერ ვარაუდის სახით მოვიფიქრებთ, გამოცდის შემდეგ ხშირად მცდარი გამოდგება ხოლმე, მაგრამ თუ გამოცდას გაუძლო, მაშინ ის **ვიცით**. მეცნიერებაში ამ პროცესებს ჰიპოთეზის ჩამოყალიბება და შემოწმება ჰქვია.

სამწუხაროდ, შემეცნების ეს ორი ნაბიჯი ვერ არის ისე მკვეთრად ერთმანეთისგან გამიჯნული და არც მეორის შედეგია ისე ცხადი, როგორც ეს ჩემი მასწავლებლის, ჰაინროთის ნათქვამში ჩანს. ჰიპოთეზა შემეცნების შენობის ხარაჩოა; მშენებელმა თავიდან იცის, რომ შემდგომ მას დაშლის. იგი წინასწარი ვარაუდია, რომელსაც, საერთოდ, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ არსებობს პრაქტიკული შესაძლებლობა, იგი ამ მიზნისთვის საგანგებოდ შერჩეული ფაქტებით უარყოს. ჰიპოთეზა, რომელიც ყოველგვარი „ფალსიფიკაციისათვის" მიუწვდომელია, შეუმოწმებადია, მაშასადამე, ექსპერიმენტული შემოწმებისთვის გამოუსადეგარი. ჰიპოთეზის ავტორი მადლიერი უნდა იყოს ყველასი, ვინც მისი ჰიპოთეზის სუსტი მხარეების გამოვლენის ახალ გზებს აჩვენებს, რადგან ყოველი შემოწმების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჰიპოთეზამ შეძლოს წინააღმდეგობა გაუწიოს მისი უარყოფის ცდას. ამგვარი დაცვის ძებნაში გამოიხატება, არსებითად, ყოველი ბუნებისმეცნიერის **მუშაობა**, ამიტომაც ლაპარაკობენ სამუშაო ჰიპოთეზების შესახებ და ისინი მით უფრო ვარგისია, რაც უფრო მეტ შესაძლებლობას გვაძლევს შემოწმებისათვის. სამუშაო ჰიპოთეზების სისწორის ალბათობა იზრდება იმ მოხმობილ ფაქტების რიცხვთან ერთად, რომელთა ახსნა და მოწესრიგებაც ის შეძლებს.

შემეცნების თეორეტიკოსთა შორისაც გავრცელებულია მცდარი აზრი, თითქოს ჰიპოთეზა, რომელიც ერთი ან რამდენიმე ფაქტის მოწესრიგებას ვერ შეძლებს, საბოლოოდ მტყუნდება. ეს რომ მართლა ასე იყოს, ყველა არსებული ჰიპოთეზა გამტყუნდებოდა, რადგან მათში ერთსაც ვერ გამოვნახავთ ისეთს, ყველა შესაბამისი ფაქტის მიმართ რომ სწორი გამოდგეს. მთელი ჩვენი შემეცნება მხოლოდ **მიახლოებაა** სუბიექტის გარე არსებულ სინამდვილესთან, რომლის შემეცნებაც გვწადია, თანაც, წინმავალი მიახლოებაა. ჰიპოთეზას ვერასოდეს ვერ მოხსნის ერთი საწინააღმდეგო ფაქტი. მას უარყოფს მხოლოდ სხვა ჰიპოთეზა, რომელიც მეტ ფაქტს აწესრიგებს. „ჭეშმარიტება", მაშასადამე, ის სამუშაო ჰიპოთეზაა, რომელიც ყველაზე უკეთ გვიკვალავს გზას მეორე ჰიპოთეზისაკენ, რომელსაც მეტის ახსნა შეუძლია.

მაგრამ ამ თეორიულად სრულიად უდავო ფაქტს ჩვენი ფიქრი და გრძნობა ქედს არ უხრის. რაც უნდა ბეჯითად ვამტკიცოთ, მთელი ჩვენი ცოდნა, ყველაფერი, რასაც ჩვენი აღქმა გვაწვდის სუბიექტის გარეთ მდებარე სინამდვილის შესახებ, მხოლოდ უხეშად გამარტივებული, მიახლოებითი სურათია თავისთავად არსებულისა, ეს მაინც ვერ შეგვიშლის ხელს იმაში, რომ ზოგი საგანი ჭეშმარიტად მივიჩნიოთ და ამ ცოდნის აბსოლუტურ სისწორეში დარწმუნებული ვიყოთ.

ეს დაჯერებულობა, თუ მას ფსიქოლოგიურად, უპირველესად კი, ფენომენოლოგიურად

სწორად გავაანალიზებთ, **რწმენას** უტოლდება ამ სიტყვის ყველანაირი გაგებით. თუ ბუნებისმეცნიერი ჰიპოთეზას იმ ზომამდე გამოსცდის, რომ იგი თეორიის სახელს დაიმსახურებს და თუ ეს თეორია ისე განვითარდა, რომ მასში მხოლოდ დამატებითი ჰიპოთეზების შეტანა შეგვიძლია, საფუძვლები კი უცვლელი დარჩება, მაშინ ჩვენ „მტკიცედ" „გვწამს" მისი. ამ რწმენაში არაფერია ცუდი, რადგან ამგვარი „ჩაკეტილი" თეორია მისი გამოყენების სფეროში თავის „ჭეშმარიტებას" მაშინაც კი ინარჩუნებს, თუ ეს სფერო ნაკლებ ყოვლისმომცველი აღმოჩნდება, ვიდრე ეს თავიდან გვეგონა, როცა თეორიას ვაყალიბებდით. ეს ეხება, მაგალითად, მთელ კლასიკურ ფიზიკას, რომლის მოქმედების სფეროც, მართალია, კვანტურმა თეორიამ შეზღუდა, მაგრამ არ უარყვია.

როგორც „მჯერა" კლასიკური მექანიკის დებულებისა, ასევე მჯერა მთელი რიგი თეორიებისა, რომლებიც დამაჯერებლობის საზღვრამდეა დაყვანილი. ასე მაგალითად, მტკიცედ მჯერა, რომ სამყაროს კოპერნიკული წარმოდგენა სწორია. უზომოდ გავიკვირვებდი, თუ სამყაროს ღრუელობის ყბადაღებული თეორია ერთ მშვენიერ დღეს სწორი აღმოჩნდებოდა, ან თუ პლანეტები, როგორც ეს პტოლემეს დროს მიაჩნდათ, სამყაროს ჭერზე უცნაურ, ეპიციკლური მარყუჟის მაგვარ მრუდეებს შემოწერენ.

არის ისეთი რამეებიც, რომლებიც ისევე მტკიცედ მჯერა, როგორც დასახელებული თეორიები, თუმცა რაიმე ხელშესახები საბუთი, რომ ჩვენი რწმენა სწორია, არ გამაჩნია. ასე მაგალითად, მტკიცედ მჯერა, რომ უნივერსუმს მართავს ურთიერთწინააღმდეგობისაგან თავისუფალი ბუნების კანონთა წესრიგი, რომელიც არასოდეს დაირღვევა. ეს რწმენა, რომელსაც ჩემთვის პირადად ლამის აქსიომატური ხასიათი აქვს, გამორიცხავს გარებუნებითს მოვლენებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პარაფსიქოლოგებისა და სპირიტისტების მიერ აღწერილი მოვლენები თავისმოტყუებად მიმაჩნია. ეს შეხედულება სრულიად არამეცნიერულია. ჯერ ერთი, გარებუნებითი პროცესები ძალზე იშვიათი, ან კიდევ ისე მცირეა, რომ თავად მე ისინი სარწმუნოდ არასოდეს მინახავს. ამიტომ მათს არსებობა-არარსებობაზე მსჯელობის უფლება არა მაქვს. ჩემი წმინდა რელიგიური რწმენაა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი დიდი სასწაული და არავითარი სასწაულები მრავლობით რიცხვში, ან როგორც ეს პოეტმა და ფილოსოფოსმა კურდ ლასვიცმა თქვა: — „ღმერთს არ სჭირდება სასწაულების მოხდენა".

მე ვთქვი, რომ ეს დამაჯერებლობა — როგორც მეცნიერულად დასაბუთებული, ისე წმინდად გრძნობისეული — ფენომენოლოგიურად რწმენას ჰგავს. იმისათვის, რომ თავის შემეცნებით სწრაფვას მტკიცე ბაზისი შეუქმნას, ადამიანს სხვაგვარად არ შეუძლია, თუ არ დაუშვა ესა თუ ის მყარი ფაქტები და ისინი თავის დასკვნებს არქიმედულ ამოსავალ წერტილებად არ „დაუდო". „ჰიპოთეზური ჩანაფიქრების დროს ჩვენ შეგვიძლია [illegible] ასეთი საყრდენის დამაჯერებლობა მოვიგონოთ, ისე ვიქცევით, „თითქოს" იგი ჭეშმარიტი იყოს, მხოლოდ იმისთვის, რომ ვნახოთ, რა გამოვა აქედან. და რაც უფრო დიდხანს ვაშენებთ შემდგომ ჩვენს შენობას ამ ფიქტიურ არქიმედეს საყრდენებზე ისე, რომ შენობა შინაგანი წინააღმდეგობისაგან განთავისუფლდეს და არ დაინგრეს, მით უფრო მართებული ჩანს, ორმხრივი განათების პრინციპის შესაბამისად, პირვანდელი ზედმეტად გაბედული ვარაუდი იმისა, რომ ჰიპოთეზურად დაშვებული არქიმედეს საყრდენები სწორია.

მაშასადამე, ჰიპოთეზური დაშვება იმისა, რომ გარკვეული საგნები უბრალოდ **ჭეშმარიტია**, ადამიანის შემეცნებითი სწრაფვის უცილობელ მეთოდებს განეკუთვნება. ადამიანის კვლევის მოტივაციურ წინაპირობას განეკუთვნება ისიც, რომ **ვიმედოვნებთ**, რომ ვარაუდი სწორია, ჰიპოთეზა ჭეშმარიტია. ბუნების მკვლევართა შორის იშვიათად შეხვდებით ისეთს, ვინც ამჯობინებს „per exclusionem" წაიწიოს წინ. ერთი ახსნის შესაძლებლობა ექსპერიმენტულად გამორიცხოს მეორე ახსნის შემდეგ და ა. შ. ვიდრე ბოლო ახსნა ჭეშმარიტების შემცველი არ აღმოჩნდება. უმეტესობას ჩვენ შორის (ეს უნდა ნათლად გავიცნობიეროთ) **უყვარს** საკუთარი ჰიპოთეზები და, როგორც ერთხელ ვთქვი, ამიტომ იქნებ მტკივნეულიც იყოს, მაგრამ გამაჯანსაღებელი და გამაახალგაზრდავებელიცაა, ყოველდღე, როგორც დილის გამამხნევებელი ვარჯიში, თითო საყვარელი ჰიპოთეზა თავიდან მოვიშოროთ. ჰიპოთეზა, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო გვიყვარს, ისევე „გვიყვარს" და ჩვევად გადაგვექცევა ხოლმე, როგორც ნებისმიერი სხვა ჩვეულება, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავად კი არ წამოვაყენეთ ჰიპოთეზა, არამედ დიდი და სათაყვანებელი მასწავლებლისგან შევითვისეთ. ხოლო თუ ჩვენი მასწავლებელი ახსნის ახლებური პრინციპის აღმომჩენიც იყო და **ბევრი** მოწაფეც ჰყავდა, მაშინ ამ მიმდევრობას ემატება ბევრ ადამიანთა მიერ გაზიარებული შეხედულების მასიური ზეგავლენაც.

ყველა ამ მოვლენაში თავისთავად ცუდი არაფერია, პირიქით, გამართლებულიცაა კარგი სამუშაო ჰიპოთეზა მართლაც იგებს, უფრო დამაჯერებელი ხდება, თუ ხანგრძლივი, წლო-

ბით მიმდინარე კვლევისას არ გამოჩნდება ისეთი ფაქტები, რომლებიც მას დაუპირისპირდებიან. ორმხრივი განათების პრინციპი, რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ქმედითი ხდება. ისიც სწორია, რომ დიდი მასწავლებლის სიტყვას გულისხმიერად უნდა მოვეკიდოთ, რადგან ყველაფერს, რასაც ის თავის მოწაფეებს გადასცემს, უაღრესად მკაცრ საზომს უყენებს, ან თუ ნათქვამი ჰიპოთეზური ბუნებისაა, ამასაც მკვეთრად გახაზავს. ასეთი კაცი საფუძვლიანად ასწონ-დასწონის, ვიდრე თავის თეორიას „სახელმძღვანელოდ" ჩათვლის. არც ისაა გასაკვირი, თუ საკუთარ თვალსაზრისს თვითონაც უფრო იწამებს მას შემდეგ, რაც იგი სხვებმაც გაიზიარეს. ორი თვალი მეტს ამჩნევს, ვიდრე ერთი, განსაკუთრებით, თუ მეორე ადამიანი სხვაგვარი ბაზისისგან ამოდის და იმავე დასკვნამდე მივა, რაც აშკარა დადასტურებას ნიშნავს.

მაგრამ ამ დამაჯერებლობის გამამტკიცებელი ქმედებანი შეიძლება ყოველგვარი გამართლების ბარიერად წარმოგვიდგეს. ჯერ ერთი, რომელიმე ჰიპოთეზა შეიძლება იმგვარი თვისების მქონე იყოს, რომ მის მიერ ნაკარნახევი ცდები თავიდანვე მხოლოდ მის დამტკიცებას ემსახურებიან. მაგალითად, ჰიპოთეზას, რომ რეფლექსი ერთადერთია, რომლის შესწავლაც ღირს როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ელემენტარული მოქმედებისა, უგამონაკლისოდ მხოლოდ ისეთ ცდებს უშვებდა, სადაც სისტემის პასუხი მდგომარეობის შეცვლას აღნუსხავდა. ნერვულ სისტემას რომ გაღიზიანებაზე პასიური რეაგირების გარდა სხვა რამეც შეეძლო, ცდის ამ სისტემაში დაფარული რჩებოდა. თვითკრიტიკა და მდიდარი ფანტაზიაა საჭირო იმისათვის, რათა არ მოგვივიდეს შეცდომა, რომელიც ჰიპოთეზას, როგორც სამუშაო ჰიპოთეზას, ფასს დაუკარგავს. რა „ნაყოფიერიც" არ უნდა იყოს იგი „ინფორმაციის" მიწოდების თვალსაზრისით, ახალი ცოდნა მას აღარ მოაქვს, ან თუ მოაქვს, მხოლოდ გამონაკლისის სახით.

დიდი მეცნიერის მოძღვრებისადმი ნდობასაც, რა მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი რაიმე „სკოლის", ანუ ახალი კვლევითი მიმართულების დაარსების დროს, თან ახლავს დოქტრინის შექმნის საშიშროება. დიდი გენიოსი, რომელიც ახსნის ახალ პრინციპს მიაგნებს, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, ხშირად გადაჭარბებით აფასებს ხოლმე თავის აღმოჩენას. ჟაკ ლოები (Iack Loeb) ივანე პავლოვი, ზიგმუნდ ფროიდი და ბევრი სხვა უდიდესნიც ასე მოიქცნენ. თუ, ამასთან, თეორია მეტად მოქნილია და მაინცდამაინც ფალსიფიცირებას არ ექვემდებარება, ამან მასწავლებლის გადმერთებასთან ერთად შეიძლება მისი მოწაფეები მოციქულებად, ხოლო სკოლა რელიგიად და კულტად აქციოს, როგორც ეს ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრებას დაემართა.

დოქტრინის შექმნისკენ გადადგმული ნაბიჯის გადადგმა, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ახლახან აღწერილ ფაქტორს, თეორიის [illegible] გადაქცევას რომ ემსახურება, [illegible] არაჩვეულებრივად დიდი როლი, გავრცელების შესაძლებლობას, რომელიც დღეს ამგვარ მოძღვრებას ეძლევა ეგრეთ წოდებული მასობრივი კომუნიკაციების საშუალებით: გაზეთი, რადიო, ტელევიზია — მოაქვს ის, რომ რომელიმე მოძღვრება, რომელიც ჯერ მხოლოდ შეუმოწმებელი მეცნიერული ჰიპოთეზაა, არა მხოლოდ ზოგად მეცნიერულ, არამედ, საერთოდ, საჯარო შეხედულებად იქცევა.

ამის შემდეგ, სამწუხაროდ, ყველა ის მექანიზმი ამოქმედდება, რომლებიც ნაცადი ტრადიციის დამკვიდრებას ემსახურება; ამაზე დაწვრილებით მეექვსე თავში ვისაუბრეთ. დოქტრინას ამიერიდან ისეთივე სიჯიუტით იცავენ, როგორც დაიცავდნენ განადგურებისაგან კარგად შემოწმებულ სიბრძნეს, სელექციით დახვეწილ და საუკუნეებში გამოტარებულ ცოდნას ძველი კულტურისა. ვინც ამ შეხედულებას არ იზიარებს, ერეტიკოსად ნათლავენ, ცილს სწამებენ და შეძლებისამებრ სახელს უტეხენ. სოციალური სიძულვილის უაღრესად სპეციალურ რეაქციას „Mobbing"-ისა მასზე განმუხტავენ.

ამგვარი, ყოვლისმომცველ რელიგიად ქცეული დოქტრინა მის მიმდევრებს ისეთ სუბიექტურ კმაყოფილებას ანიჭებს, როგორც გამოცხადებისეული ცოდნა. ყველა ფაქტს, რომელიც მას ეწინააღმდეგება, უარყოფენ, უკუაგდებენ, ან, რაც უფრო ხშირად გვხვდება, ზიგმუნდ ფროიდის ცნება რომ ვიხმაროთ, განდევნიან, მაშასადამე, ცნობიერების ზღურბლს ქვევით აძევებენ. ყოველ ცდას, მიმართულს განდევნილის კვლავ ცნობიერებაში დასაბრუნებლად, გამძვინვარებული უაღრესად დაუნდობელ წინააღმდეგობას უწევს, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია ის ცვლილება, რომელსაც იგი მის შეხედულებებში შეიტანდა, უპირველესად კი, იმათში, რომლებიც საკუთარ თავზე მან თვითონ შეიქმნა. „როცა ადამიანები ერთმანეთის წინააღმდეგ მტრული დოქტრინებით აღსდგებიან, — ამბობს ფილიპ უილი, — ორივე მხარეს ძლიერი აღშფოთება იფეთქებს; ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ მოპირდაპირე სიცრუის ტყვეობაში იმყოფება, წარმართია, ურწმუნოა, ბარბაროსია და საერ-

ოდ, მომხტარი ვაჰალია. როგორც წესი, ასე იწყებოდა ყოველი ხალხთა ომი".

ყველაფერი ეს საკმაოდ ბევრჯერ მომხდარა. გოეთე წერს: „სატანური სიძულვილი მოწინააღმდეგეთა მიმართ ბოლოს უსაშინლეს საზარლობამდე მისულა ხოლმე". მაგრამ ინდოქტრინაცია მართლა სატანურ ხასიათს მხოლოდ მაშინ იძენს, როცა იგი ადამიანთა დიდ მასებს, მთელ კონტინენტებს, უფრო მეტიც, მთელ კაცობრიობას ერთი ბოროტი და მცდარი შეხედულებით აერთიანებს. სწორედ ეს საშიშროება გვემუქრება ამჟამად, როცა გასული საუკუნის ბოლოს ვილჰელმ ვუნდტმა პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგა, რათა ფსიქოლოგია ბუნებისმეცნიერებად გადაექცია, კვლევის ახალმა მიმართულებამ ორიენტაცია რატომღაც არ აიღო ბიოლოგიაზე. თუმცა დარვინის თეორია მაშინ უკვე საყოველთაოდ ცნობილი იყო, ახალმა ექსპერიმენტალურმა ფსიქოლოგიამ სრულიად აშკარა გვერდი შედარებით მეთოდებს და მოდგმის ისტორიული საკითხების დასმას. იგი გაჰყვა ფიზიკის მაგალითს, რომელიც იმჟამად ატომურ თეორიაში გამარჯვებას გამარჯვებაზე ზეიმობდა. მას მიაჩნდა, რომ ცოცხალ არსებათა ქცევა, ისევე როგორც ყველაფერი მატერიალური, დამოუკიდებელი, განუყოფელი ელემენტებისაგან შედგება. ამასთან, თავისთავად სწორმა სწრაფვამ ფიზიოლოგიურისა და ფსიქოლოგიურის კომპენსატორული ასპექტები ქცევის ანალიზის დროს ერთდროულად გაეთვალისწინებინათ, მოჰყვა ის, რომ რეფლექსი ჩათვალეს მნიშვნელოვან, უფრო მეტიც, ყველა, მათ შორის ურთულესი, ნერვული პროცესების ერთადერთ ელემენტად. ამავე დროს ი. პ. პავლოვის თეორია პირობით რეფლექსთა ჩამოყალიბების პროცესის შესახებ ვუნდტის მიერ გამოკვლეული ასოციაციური პროცესების დამაჯერებელ ფიზიოლოგიურ კორელატად გადაიქცა. გენიის პრეროგატივაა, ახსნის ახლადმიკვლეული პრინციპების მოქმედების სფერო განზოგადებულად შეაფასოს, და რა გასაკვირია, თუ ეს ჭეშმარიტად ეპოქის შემქმნელმა და ერთმანეთს ასე დამაჯერებლად მორგებულმა აღმოჩენებმა არა მარტო მათი აღმომჩენები, არამედ მთელი მეცნიერული სამყაროც იმ მცდარ რწმენამდე მიიყვანეს, თითქოს შეიძლებოდეს რეფლექსის და პირობითი რეაქციის საფუძველზე „ყველა" ცხოველური და ადამიანური ქცევის ახსნა.

დიდმა და უაღრესად საინტერესო წარმატებებმა, რომლებიც დასაწყისში თან ახლდა რეფლექსის შესახებ მოძღვრებას, ასევე, პირობითი რეაქციის კვლევას, ჰიპოთეზების მიმზიდველმა სიმარტივემ და ცნების მოჩვენებითმა სიზუსტემ, ორივე სამყაროში გაბატონებულ კვლევის მიმართულებებად აქცია. მაგრამ ის დიდი ზეგავლენა, რომელიც მათ საზოგადოებრივ შეხედულებაზე მოახდინეს, სხვაგვარადაა ასახსნელი. ისინი თითქოს ყველა იმ საზრუნავს გვიფანტავენ, რომლებიც ადამიანში ინსტინქტურისა და ქვეცნობიერის არსებობიდან გამომდინარეობს. ამ მოძღვრების ორთოდოქსი მიმდევრები სრული დარწმუნებით ამტკიცებენ, რომ ადამიანი დაუწერელი დაფის სახით იბადება და რომ ყველაფერი, რასაც ის ფიქრობს, გრძნობს, იცის და სწამს, მისი „პირობების" რეზულტატია (როგორც ეს, სამწუხაროდ, გერმანელ ფსიქოლოგებსაც სჯეროთ).

იმ მიზეზთა გამო, რომლებიც ფ. უილიმ ნათლად შეიცნო, ამ შეხედულებამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა. თვით რელიგიურმა ადამიანებმაც ირწმუნეს იგი, რადგან თუ ბავშვი „ტაბულა რაზად" იბადება, ყოველი მორწმუნის მოვალეობაა, იმისათვის იზრუნოს, რომ შვილი (და თუ შესაძლებელია, ყველა სხვა ბავშვიც) თავისი ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიური მოძღვრების სულისკვეთებით აღზარდოს, ასე განუმტკიცებს ბიჰევიორისტული დოგმა ყოველ დოქტრინიორს საკუთარ რწმენას და არაფერს აკეთებს რელიგიური დოქტრინების შერიგებისათვის. ლიბერალმა და ინტელექტუალურმა ამერიკელებმა, რომლებზეც ამ ხელმოსაჭიდმა, მარტივმა და ადვილად ჩასაწვდომმა, უპირველესად კი, მექანისტურმა მოძღვრებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა, თითქმის გამოუკვლევლივ აღიარეს ეს დოქტრინა, პირველყოვლისა იმიტომ, რომ ამ მოძღვრებამ შეძლო თავი თავისუფალ და დემოკრატიულ პრინციპად გაესაღებინა.

სრულიად ცხადი ეთიკური ჭეშმარიტებაა, რომ ყველა ადამიანს თანასწორი უფლება აქვს განვითარების შესაძლებლობებზე. მაგრამ ეს ჭეშმარიტება ადვილად გადადის ხოლმე იმ სიცრუეში, თითქოს ყველა ადამიანი პოტენციურად თანასწორი იყოს. ბიჰევიორისტული მოძღვრება უფრო შორს მიდის, როცა ამტკიცებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორი იქნება, თუ ერთნაირ გარეპირობებში განვითარდებიან და, თანაც, სრულიად იდეალური ადამიანები გახდებიან, თუ ეს პირობები იდეალური იქნება. ამიტომაც ადამიანებს არ შეიძლება, უფრო სწორად, ნება არა აქვთ, ჰქონდეთ რაიმე მემკვიდრეობითი თავისებურებანი, განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც მათ სოციალურ ქცევას და სოციალურ მოთხოვნილებებს განსაზღვრავს.

ცრუმოძღვრება, რომ თუ ადამიანს სწორ „პირობებს" შევუქმნით, შესაბამისად მისგან ყველაფერი შეიძლება გამოვიყვანოთ, მომაკვდინებელ ცოდვებს უდევს საფუძვლად, რომლებსაც

ცივილიზებული კაცობრიობა ბუნების, ადამიანის ბუნებისა და ადამიანობის წინააღმდეგ სჩადის. უსაზიზღესი შედეგებია მოსალოდნელი, თუ მხოლოდ მომცველი იდეოლოგია მისგან გამომდინარე პოლიტიკურ სიცრუეზეა დამყარებული. ფსევდოდემოკრატიულ დოქტრინას უცილოდ საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკის შეერთებული შტატების მორალური და კულტურული კატასტროფის საშიშროებაში, რომელიც, ალბათ, მთელ დასავლეთსაც ჩაითრევს მორევში.

ა. მიჩერლიხი, რომელმაც ძალიან კარგად შეიცნო ეს საშიშროება, ცოტა არ იყოს უცნაურად ამბობს: „ჩვენ არამც და არამც არ უნდა ვივარაუდოთ, თითქოს ადამიანებს გონებით მოჩმახული მანიპულაციების სისტემის მეშვეობით დღეს უფრო მეტად უშლიან ხელს საკუთარი ინდივიდუალობის რეალიზებაში, ვიდრე წინათ". მე კი სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ეს სწორედ ასეა! ჯერ არასოდეს ყოფილა ადამიანთა ეგზომ დიდი მასები ასე მცირე ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფილი, არასოდეს ყოფილა მასობრივი შთაგონება ეგზომ ქმედითი. მანიპულანტებს ჯერ არასოდეს არ ჰქონიათ ასეთი კარგი, მეცნიერულ ექსპერიმენტებზე აგებული სარეკლამო ტექნიკა, არასოდეს ჰქონიათ ინფორმაციის ისეთი ყოვლისშემძლე „მასობრივი საშუალებები", როგორც დღეს.

რაკი მიზანი პრინციპულად ერთია, ერთნაირია ყველგან ის მეთოდებიც, რისი მეშვეობითაც სხვადასხვა სახელმწიფოებრივი მექანიზმი თავიანთ ქვეშევრდომებს თუნდაც, ამერიკული ცხოვრების იდეალურ წარმომადგენლებად აქცევს. თუ რამდენად ვართ ჩვენ, დასავლეთის ეგრეთ წოდებული თავისუფალი კულტურის ადამიანები, დიდ მწარმოებელთა კომერციული ხელშეკრულებების მანიპულაციის საგანი, დღეს ამის დადგენა უკვე შეუძლებელია.

როგორც ინდუსტრიის კონკურენციის ზეგავლენით ქრება ხელოსნობა, მცირე მწარმოებელი და მათ შორის გლეხიც არსებობის უნარს კარგავს, ჩვენც, ყველანი, სრულიად მარტივად იძულებული ვართ, ჩვენი ცხოვრების წესი დიდი მწარმოებლების სურვილებს შევუფარდოთ, ის საკვები ვჭამოთ და ის ტანსაცმელი ჩავიცვათ, რომელიც მათ ჩვენს შესაფერისად მიაჩნიათ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ჩვენი წინდახედული პირობების გამო ამას ვერც კი ვამჩნევთ.

ყველაზე შეუმცდარი და ეფექტური მეთოდი ადამიანთა დიდი მასების მანიპულირებისა მათი სწრაფვის უნიფიცირების მეშვეობით არის მოდა. იგი მომდინარეობს საერთო ადამიანური სწრაფვიდან, თავისი კუთვნილება რომელიმე კულტურული თუ ეთნიკური ჯგუფისადმი გარეგნულადაც გამოხატოს. გავიხსენოთ სხვადასხვაგვარი ჩაცმულობა, რომელმაც ტიპურ ცრუსახეობათა ჩამოყალიბების ... განსაკუთრებით მთიან ადგილებში, საოცრად ლამაზი „სახეები", „ქვესაზოგადოებ[illegible]ლოკალური ფორმები" მოგვცა. [illegible] ...ლექტიურ აგრესიასთან მათი დამოკიდებულების შესახებ უკვე ვისაუბრე. მოდის მეორე, ჩვენი დაკვირვებით მნიშვნელოვანმა ზემოქმედებამ იქ იჩინა თავი, სადაც უფრო დიდ, ქალაქურ თემებში გაჩნდა სწრაფვა, ჩაცმულობის თავისებურებებით გამოეხატათ საკუთარი რანგობრივი მდგომარეობა, „წოდება". ლონდონში, 1964 წელს, ბიოლოგიის ინსტიტუტის სიმპოზიუმზე ლავერმა (Laver) კარგად გვიჩვენა, რომ მაღალი წოდება მუდამ მკაცრად ადევნებდა თვალს, უფრო დაბალ ფენებს ისეთი რანგობრივი ნიშნები არ ეტარებინათ, რაც მათ „წოდების" მიხედვით არ ერგებოდათ. კულტურის ისტორიაში არ არის სხვა სფერო, სადაც ევროპული ქვეყნების მზარდი დემოკრატიზება ისე მკაფიოდ იყოს გამოხატული, როგორც ტანისამოსის მოდებში.

მოდა, თავისი თავდაპირველი ფუნქციით, როგორც ჩანს, კულტურის განვითარებაზე მასტაბილიზებელ, კონსერვატულ ზემოქმედებას ახდენდა. პატრიციები და არისტოკრატები იყვნენ ისინი, ვინც მოდას კანონებს კარნახობდა. როგორც ოტო კოენიგმა გვიჩვენა, ძველი, ჯერ კიდევ რაინდების ეპოქის დროინდელი ნიშნები, რომლებიც რიგითი შემადგენლობის ჩაცმულობაში გაქრა, კიდევ დიდხანს შემორჩა უნიფორმების ისტორიას, როგორც ოფიცრობის მაღალი რანგის მაჩვენებელი. ამ ძველი დროიდან გადმოსულმა ნიშანმა მოდაში შეიცვალა მნიშვნელობა. იგი ამიერიდან ადამიანთა დიდ მასებში მაღალი რანგის მაჩვენებლად იქცა და ყველა „მოდერნად" ქცეულ სიახლეთა თავში მიაბიჯებს. თავისთავად ცხადია, დიდი მწარმოებლები ფრიად დაინტერესებულნი არიან, განამტკიცონ საზოგადოებრივი აზრი, თითქოს ახეთი რამ „პროგრესული", უფრო მეტიც, პატრიოტულია. მათი მიზანია, მომხმარებელთა ფართო მასები დაარწმუნონ იმაში, რომ ახალი ტანისამოსი, ავეჯი, ავტომობილი, სარეცხი მანქანა, ჭურჭლის სარეცხი მანქანა, ტელევიზორი და სხვა ყველაზე უტყუარი (ამავე დროს კრედიტის უნარიანობის ყველაზე ეფექტურად ამმაღლებელი) „სტატუს სიმბოლოა". სრულიად სასაცილო წვრილმანები შეიძლება მწარმოებლებმა ფინანსურად მაქსიმალურად გამოიყენონ. აქ ერთ ტრაგიკომიკურ შემთხვევას გავიხსენებ: როგორც უფროსი თაობის ავტომოყვარულებს ეხსომებათ, ბიუიკის მარკის

მანქანებს ადრე კაპოტზე აქეთ-იქით სრულიად უფუნქციო, ხარის თვალების მსგავსი, მოჩარჩოებული ღრმულები ჰქონდათ, ამასთან, რვაცილინდრიანს ყოველ მხარეზე სამ-სამი, ხოლო უფრო იაფ ექვსცილინდრიანს — მხოლოდ ორ-ორი. როცა ერთ მშვენიერ დღეს ფირმამ ექვსცილინდრიანზე სამ-სამი ხარის თვალის დაყენება დაიწყო, ამან მოსალოდნელი ეფექტი მოიტანა: ამ ტიპის მანქანაზე მოთხოვნილება ძლიერ გაიზარდა, რასაც რვაცილინდრიანი მფლობელების უამრავი საპროტესტო წერილიც ადასტურებდა, სადაც ისინი გულმოსულნი იმაზე ჩიოდნენ, მხოლოდ მათი მანქანებისათვის განკუთვნილი სტატუს სიმბოლო, რანგით დაბალ მანქანებს რომ მიეკუთვნა.

მაგრამ ყველაზე ცუდი შედეგი მოდას ბუნებისმეცნიერებაში მოაქვს. დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეფიქრა, თითქოს ამ დარგის მეცნიერნი თავისუფალნი არიან კულტურის იმ დაავადებათაგან, რაც ჩემი წიგნის საგანია. მხოლოდ ამ საკითხების უშუალოდ შემსწავლელ მეცნიერებათა წარმომადგენლები, მაგალითად, ეკოლოგები და ფსიქიატრები თუ ამჩნევენ, რომ „ჰომო საპიენსის“ სახეობაში საქმე ვერ არის კარგად. სწორედ მათ აქვთ ყველაზე დაბალი ადგილი მიჩენილი რანგთა ტაბულაში, რომელშიც დღევანდელი საზოგადოებრივი აზრი სხვადასხვა მეცნიერებებს ანალაგებს. ეს, ამასწინათ, ბრწყინვალედ გამოხატა ჟორჟ გეილორდ სიმპსონმა თავის სატირაში მეცნიერებათა რანგობრივი კლასიფიკაციის შესახებ.

არა მარტო საზოგადოებრივი აზრი მეცნიერების შესახებ, არამედ მეცნიერებათა შიგნით გამეფებული შეხედულებაც სრულიად აშკარად იქით იხრება, რომ, ის დარგები ჩაითვალოს უმნიშვნელოვანესად, რომლებიც ახეთად მიაჩნია მასამდე დეგრადირებულ, ბუნებისაგან გაუცხოებულ, მხოლოდ კომერციულ ღირებულებათა მრწამს, გრძნობით გაღარიბებულ, შინაურ ცხოველებად ქცეულ და კულტურული ტრადიციის დამკარგავ კაცობრიობას. ზოგადად თუ გადავხედავთ, ბუნებისმეცნიერებათა საზოგადოებრივი აზრიც ყველა იმ დაცემის ნიშნებს ატარებს, წინა თავებში რომ აღვწერე. „დიდი მეცნიერება“ არ წარმოადგენს მეცნიერებას უდიადესი და უმაღლესი საგნების შესახებ ჩვენს პლანეტაზე, არც მეცნიერებას ადამიანის სულისა ან გონების შესახებ. იგი მხოლოდ იმას გვასწავლის, თუ რას მოაქვს ბლომად ფული, ან დიდი ენერგია, ან კიდევ ძალაუფლება, თუნდაც ეს ძალაუფლება ყველაფერ ჭეშმარიტად დიდსა და ლამაზს სპობდეს.

უპირატესობა, რომელიც ბუნებისმეცნიერებათა შორის ფიზიკას ეკუთვნის, არ არის უარსაყოფი. ბუნებისმეცნიერებათა არაწინააღმდეგობრივ სისტემაში საყრდენს ფიზიკა ქმნის. ყოველი, თვით ბუნებრივ სისტემათა უმაღლეს ინტეგრაციის დონეზეც წარმატებით ჩატარებული ანალიზი, არის „ნაბიჯი — ქვემოთ“ ფიზიკისაკენ. ანალიზს გერმანულად (დაშლა Auflösung) ჰქვია, ხოლო რაც ამგვარად [illegible] სამყაროდან ქრება, საკუთრივ [illegible] ბუნებისმეცნიერულის კანონზომიერება კი არ არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი საზღვრებია უახლოესი უზოგადესის მიმართ. საზღვრების ამგვარი ჭეშმარიტი გაქრობა დღემდე მხოლოდ ერთხელ მოხერხდა: ფიზიკურმა ქიმიამ მართლაც შეძლო თავისი კვლევის სფეროში მოქმედი ბუნების კანონები განევრცო უფრო ზოგად ფიზიკურ კანონებამდე. ბიოქიმიაში საზღვართა ამგვარი გაქრობა მოინიშნება ბიოლოგიასა და ქიმიას შორის. თუ ამგვარი სპექტაკულარული წარმატებები სხვა ბუნებისმეცნიერებებში ძლივს შესამჩნევია, ანალიზური კვლევის პრინციპი ყველგან ერთია: ჩვენ ვცდილობთ, ცოდნის რომელიმე სფეროს, ან როგორც ნიკოლაი ჰარტმანი იტყოდა, „რეალური ყოფიერების შრის“ მოვლენები და კანონზომიერებანი იმ მოვლენებზე და კანონზომიერებებზე დავიყვანოთ, რომლებიც უახლოეს, უფრო ზოგად შრეში ბატონობენ, და უფრო სპეციალური სტრუქტურიდან ავხსნათ ის, რაც მხოლოდ ყოფიერების უფრო მაღალი შრისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ, ბიოლოგებს, ამ სტრუქტურათა და მათი ისტორიის გამოკვლევა საკმაოდ მნიშვნელოვან და ძნელ საქმედ მიგვაჩნია, რათა ბიოლოგია კრიკივით (Crick) ფიზიკის მარტივ განშტოებად არ მივიჩნიოთ. იმასაც გავხაზავთ, რომ ფიზიკა, თავის მხრივ, ეყრდნობა რაღაც საფუძველს, რომელიც ბიოლოგიური ბუნებისმეცნიერებაა, სახელდობრ, მეცნიერებაა ცოცხალი ადამიანური სულის შესახებ. მაგრამ ჩვენ, ზემოთ წარმოდგენილი გაგების თანახმად, კარგი „ფიზიკალისტებიც“ ვართ და ფიზიკას იმ ბაზისად ვცნობთ, საითკენაც ჩვენი კვლევა მიისწრაფვის.

მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ საჯარო აღიარება ფიზიკისა, როგორც ყველა მეცნიერებათა შორის „უმნიშვნელოვანესისა“, სრულებითაც არ მომდინარეობს ფიზიკის, როგორც ყველა ბუნებისმეცნიერებათა საფუძვლის, მაღალი და სამართლიანი შეფასებიდან, არამედ ზემოთ ნახსენებ, უაღრესად უკეთურ მიზეზებიდან. ჩვენი დროის საზოგადოებრივი აზრი მეცნიერებებს ძალიან უცნაურად აფასებს — როგორც ამას სრულიად სამართლიანად ამტკიცებს სიმპსონი — ყოველი მეცნიერება საზოგადოების თვალში მით უფრო ნაკლებად ფასობს, რაც უფრო კომპლექსური და

მნიშვნელოვანია მისი კვლევის საგანი, რაც ზემოხსენებული მიზეზებით აიხსნება.

ბუნებისმეცნიერს სრული უფლება აქვს, თავისი კვლევის ობიექტი აირჩიოს რეალური ყოფიერების ნებისმიერ შრეში, სასიცოცხლო პროცესების ნებისმიერად მაღალი ინტეგრაციის სიბრტყეზე. მეცნიერებაც ადამიანის გონის შესახებ, უპირველესად კი, შემეცნების თეორია ცდილობს ბიოლოგიურ ბუნებისმეცნიერებად იქცეს. ბუნების კვლევის ეგრეთ წოდებულ სიზუსტეს არაფერი აქვს საერთო მისი საგნის გართულებისა და ინტეგრაციის დონესთან. იგი პირწმინდად დამოკიდებულია მკვლევარის თვითკრიტიკასა და მისი მეთოდების სიწმინდეზე. ქიმიასა და ფიზიკაზე როგორც „ზუსტ მეცნიერებაზე" გავრცელებული შეხედულება დანარჩენ მეცნიერებებს ამცირებს. ცნობილი გამოთქმები, რომ ბუნების ყოველი კვლევა იმდენადაა მეცნიერება, რამდენიც მათემატიკაა მასში, ან რომ მეცნიერება იმაში მდგომარეობს „გასაზომი გაზომო, ხოლო ის, რაც არ იზომება, გასაზომად აქციო", როგორც შემეცნების თეორიული, ისე ადამიანური თვალსაზრისითაც უდიდესი სისულელეა, რაც კი იმის ბაგეს დასცდენია, ვისაც ამის უკეთესად ცოდნა ევალებოდა.

ამ ცრუსიბრძნეთა სიყალბის დამტკიცება თუმცა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, მეცნიერების სურათ-ხატი დღესაც მისი ზეგავლენის კვალს ატარებს. ამჟამად მოდაა, ფიზიკის მეთოდების რაც შეიძლება უფრო მეტად გამოყენება, თანაც, სულერთია, გვპირდებიან ისინი შესატყვისი ობიექტის კვლევისათვის წარმატებას თუ არა. ყოველი ბუნებისმეცნიერება, მათ შორის ფიზიკაც, იწყებს აღწერით, აქედან მიდის აღწერილი მოვლენების დაჯგუფებისაკენ და მხოლოდ შემდეგ მათში მოქმედ კანონზომიერებათა განყენებისაკენ. ექსპერიმენტი ემსახურება განყენებულ ბუნების კანონთა ჭეშმარიტების შემოწმებას, რის გამოც, მეთოდების რიგში, იგი ბოლოა. ყველა ბუნებისმეცნიერებამ ჯერ კიდევ ვინდელბანდის მიერ დესკრიპტულ, სისტემურ და ნომოთეტურ სტადიებად მიჩნეული საფეხური უნდა გაიაროს. ვინაიდან ფიზიკა უკვე კარგა ხანია თავისი განვითარების ნომოთეტურ და ექსპერიმენტულ სტადიაზეა შეჩერებული და, ვინაიდან იგი, ამასთან, ისე ღრმად შეიჭრა არათვალსაჩინო სფეროებში, რომ მას თავისი ობიექტების დეფინიცია, არსებითად, მხოლოდ ოპერაციების შემდეგ შეუძლია, (რომელთა მეშვეობითაც იგი მათ შესახებ ცოდნას იძენს), ამიტომ ბევრს ჰგონია, რომ ეს მეთოდები აუცილებელია კვლევის ისეთი საგნების მიმართაც გამოვიყენოთ, რომელთა შესასწავლად ჩვენი ცოდნის დღევანდელ დონეზე მხოლოდ და მხოლოდ უბრალოდ დაკვირვება და აღწერაც იკმარებდა. რაც უფრო კომპლექსური და ძლიერ ინტეგრირებულია ორგანული სისტემა, მით უფრო მკაცრად უნდა დავიცვათ მეთოდების ვინდელბანდისეული თანმიმდევრობა. ამიტომაც მოაქვს სწორედ ქცევის კვლევის სფეროში დღევანდელ ნაადრევ ექსპერიმენტალურ ოპერაციონალიზმს აბსურდული შედეგები. ამ მცდარ პოზიციას ამაგრებს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის რწმენა, რომელიც გვიქადაგებს, რომ ცხოველისა და ადამიანის ქცევას არ განსაზღვრავს არავითარი მოდგმის ისტორიაში წარმოქმნილი ცენტრალური ნერვული სტრუქტურის სისტემები, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გარემოს ზეგავლენა და წვრთნა-სწავლა. ბიჰევიორისტული დოქტრინიდან მომდინარე პრინციპული შეცდომა აზროვნებასა და კვლევაში სწორედ ამ სტრუქტურებისადმი აგდებულ დამოკიდებულებაში ძევს: მათი აღწერა ზედმეტ საქმედაა მიჩნეული, ვარგისია მხოლოდ ოპერაციონისტული და სტატისტიკური მეთოდები. ვინაიდან ყველა ბიოლოგიური კანონზომიერება სტრუქტურების ფუნქციიდან მომდინარეობს, ამაო გარჯაა, ცოცხალი არსების სტრუქტურის დესკრიპციული გამოკვლევის გარეშე იმ კანონზომიერებათა განყენებას მივაღწიოთ, რომლებიც მათ ქცევას განაგებს.

რამდენადაც ცხადია მეცნიერული მოძღვრების ამ პირველსაფუძვლების უცილობლობა (რაც ყოველ აბიტურიენტს ნათლად უნდა ესმოდეს, ვიდრე უნივერსიტეტის კარს შეაღებდეს), მით უფრო ჯიუტად და შეუგნებლად იკაფავს გზას ფიზიკის ბრმა მიბაძვის მოდა ლამის მთელ თანამედროვე ბიოლოგიაში. ამას მით უფრო მძიმე შედეგები მოაქვს, რაც უფრო კომპლექსურია საკვლევი სისტემა და რაც უფრო ნაკლები ვიცით მის შესახებ ნევროსენსორული სისტემა, რომელიც განვითარების მაღალ საფეხურზე მდგარ ცხოველთა და ადამიანის ქცევას განსაზღვრავს, ამ მხრივ პირველ ადგილზე დგას. მოდურ გატაცებას, შედარებით დაბალი ინტეგრაციის დონეზე კვლევა „უფრო მეცნიერულ" კვლევად მიიჩნიოს, ადვილად მივყავართ ატომიზმამდე, ე. ი. დაქვემდებარებულ სისტემათა ნაწილობრივ კვლევამდე, მთელის გაუთვალისწინებლად. მაშასადამე, მოდური შეცდომა მდგომარეობს არა ბუნებისმეცნიერებათა საერთო სწრაფვაში, სიცოცხლის მოვლენები, თვით უმაღლესი ინტეგრაციის დონეზეც, ბუნების ძირითად კანონებზე დაიყვანოს და მათი მეშვეობით ახსნას (ამ აზრით, ჩვენ ყველანი „რედუქციონისტები" ვართ), არამედ, მეთოდური შეცდომა, რომელსაც ჩვენ რედუქციონიზმს ვუწოდებთ, იმაში

მდგომარეობს, რომ ახსნის ამგვარ ცდაში ყურადღების მიღმა რჩება უსაზღვროდ კომპლექსური სტრუქტურა, რომელიც ქვესისტემებს აერთიანებს და მხოლოდ მისი მეშვეობით შეიძლება მთელის სისტემის თავისებურებათა გაგება. ვისაც სურვილი ექნება, ბუნების სისტემური კვლევის მეთოდოლოგიას უფრო ახლოს გაეცნოს, ვურჩევთ წაიკითხოს ნიკოლაი ჰარტმანის „რეალური სამყაროს აგებულება", ან პაულ ვაისის „შრეებრივი რედუქციონიზმი". ორივე წიგნში არსებითად ერთზეა მსჯელობა და ეს ერთი რომ ძლიერ განსხვავებული პოზიციებიდანაა განხილული, მას განსაკუთრებულ პლასტიკურობას სძენს.

დღევანდელ მეცნიერულ მოდას თავისი მავნე შედეგები სწორედ იმით მოაქვს, რომ იგი, ზუსტად ისე, როგორც ტანსაცმლის ან ავტომანქანის მოდა, სტატუს სიმბოლოებს ქმნის. სიმპლონის მიერ გამართლებული მეცნიერების რანგობრივი წესრიგი კი სწორედ ამ გზით ჩნდება. თანამედროვე ოპერაციონალისტი, რედუქციონისტი, ქვანტიფიკატორი და სტატისტიკოსი ქედმაღლური თანაგრძნობით გადმოჰყურებს ყოველ ძველი მოდის მიმდევარს, რომელსაც სჯერა, რომ ცხოველისა და ადამიანის ქცევაზე დაკვირვებით და აღწერით, ექსპერიმენტის ან გაზომვა-გამოანგარიშების გარეშე, შეიძლება ბუნებაში ღრმად ჩავიხედოთ და მნიშვნელოვანი ცოდნა მოვიპოვოთ. ძლიერ ინტეგრირებულ ცოცხალ სისტემათა კვლევას მხოლოდ მაშინ სცნობენ „მეცნიერულად", თუ სისტემის სტრუქტურული თავისებურებები, გამიზნული ოპერაციების — „სიმართლის ფილტრების" მეოხებით, როგორც დონალდ გრიფინმა მათ მოსწრებულად უწოდა, მოჩვენებითად „ზუსტი", მაშასადამე, გარეგნულად ფიზიკას მიმსგავსებული სიმართლის შთაბეჭდილებას სტოვებს, ან თუ სტატისტიკური მონაცემების შეჯამება იმ ფაქტს გვავიწყებინებს, რომ საკვლევი „ელემენტარული ნაწილაკები" ადამიანებია და არა ნეიტრონები, მოკლედ, მხოლოდ მაშინ, თუ დაკვირვებიდან ყველაფერს გამოვრიცხავთ, რაც ძლიერ ინტეგრირებულ ორგანულ სისტემებს, ადამიანის ჩათვლით, მართლაც საინტერესოს ხდის. უპირველესად ეს ეხება სუბიექტურ განცდას, რომელიც ფროიდის ენით რომ ვთქვათ, როგორც უაღრესად ურიგო რამ, სრულიად იდევნება. თუ ვინმე შესწავლის ობიექტად საკუთარ სუბიექტურ განცდას გაიხდის, მას როგორც სუბიექტივისტს, მიწასთან გაასწორებენ. მით უმეტეს, თუ იგი გაბედავს და ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების იზომორფიზმს ამ უკანასკნელთა გაგების წყაროდ გამოიყენებს. ფსევდოდემოკრატიული დოქტრინის მესვეურებმა თავიანთ დროშებს გამომწვევად დააწერეს: „ფსიქოლოგია სულის გარეშე". თან სრულებით ავიწყდებათ, რომ თავადაც, „ყველაზე ობიექტური" კვლევის დროსაც, საკვლევი ობიექტის ცოდნა მხოლოდ საკუთარი სუბიექტური განცდის გზით ეძლევათ. იმას, ვინც გაბედავს, მეცნიერება ადამიანის სულის შესახებ ბუნებისმეცნიერებად [illegible], უკეთეს შემთხვევაში [illegible].

თანამედროვე მეცნიერთა ყველა ეს მცდარი პოზიცია პრინციპულად არამეცნიერულია. იგი შეიძლება ავხსნათ მხოლოდ ძალიან დიდი, მტკიცედ ინდოქტრინირებული ადამიანთა მასების ერთობლივი და ძლიერი დაწოლით. ამ დაწოლას ხელეწიფება ადამიანთა ცხოვრების სხვა სფეროებშიც წარმოშვას დაუჯერებელი მოდური სისულელეები. მეცნიერების სფეროში მოდური ინდოქტრინაციის განსაკუთრებული საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ძალიან ბევრი, საბედნიეროდ, არა გამოუკლებლივ ყველა, თანამედროვე ბუნებისმეცნიერის ცოდნის წყურვილს სრულიად საწინააღმდეგო გეზს აძლევს, იმის საპირისპიროს, რაც ადამიანის ყველა შემეცნებითი სწრაფვის მიზანთან მიგვიყვანდა, სახელდობრ, უკეთეს თვითშემეცნებასთან. დღევანდელი მოდა მეცნიერებას თავს ახვევს ტენდენციას, რომელიც არაადამიანურია ამ სიტყვის უცუდესი გაგებით. ზოგი მოაზროვნე, რომელიც ნათელი თვალით ხედავს, თუ როგორ ედება ყველაფერს სიმსივნის მეტასტაზივით განკაცების ფენომენი, იმ დასკვნამდე მიდის, რომ მეცნიერული აზროვნება, როგორც ასეთი, ინჰუმანურია და „დეჰუმანიზაციის" საშიშროება მოაქვს, როგორც ზემოთ თქმულიდან გამომდინარეობს, მე ამ შეხედულებას არ ვიზიარებ. პირიქით, მჯერა, რომ დღევანდელ მეცნიერს, როგორც თავისი დროის შვილს, დეჰუმანიზაციის სენი შეეყარა, რომელიც უპირველესად არამეცნიერულ კულტურაში იჩენს თავს. არსებობს არა მარტო სრულიად ცხადი, დეტალებამდე ზუსტი შესატყვისობები კულტურის ამ საერთო მეცნიერებისათვის დამახასიათებელ დაავადებათა შორის, არამედ პირველნი, თუ უფრო გულდასმით დავაკვირდებით, უშუალოდ უკანასკნელთა მიზეზია და არა შედეგი. მეცნიერების საშიში მოდური ინდოქტრინაცია, რომელიც კაცობრიობას უკანასკნელი საყრდენის გამოცლით ემუქრება, ვერასოდეს ვერ მოხდებოდა, პირველ რვა თავში გაანალიზებულ კულტურის დაავადებებს მისთვის გზა რომ არ გაეკაფათ. ჭარბი მოსახლეობა თავისი უცილო თანმხლები დეინდივიდუალიზებით და გაერთფეროვნებით, ბუნებისაგან გაუცხოება მოწიწების უნარის დაკარგვასთან ერთად, კაცობრიობის კომერციული შეჯიბრი საკუთარ თავთან.

რომლის უტილიტარული ზრახვებიც საშუალებას თვითმიზნად აქცევს და თავდაპირველ მიზანს დავიწყების მტვერს აყრის, აგრეთვე, გრძნობის გაღატაკება — ყველა ესენი თავიანთ კვალს ტოვებს დეჰუმანიზაციის შესაბამის მოვლენებში ისინი მათი მიზეზია და არა შედეგი.

## IX. ბირთვული იარაღი

თუ ბირთვული იარაღის საფრთხეს კაცობრიობისათვის შევადარებთ იმ შედეგებს, რაც მისთვის დანარჩენ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას მოაქვს, აუცილებლად იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი ამ რვათა შორის ყველაზე ადვილად შეიძლება ავიცილოთ. რასაკვირველია, შეიძლება ვინმე გიჟი, დიაგნოზდაუსმელი ფსიქოპათი მოულოდნელად გასაშვებ ღილაკთან აღმოჩნდეს; გამორიცხული არც არის, რომ მოწინააღმდეგე მხარემ უბრალო ავარია თავდასხმად მიიღოს და უბედურება დატრიალდეს. მაგრამ ის მაინც ვიცით ნათლად და გარკვევით, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ „ბომბის" წინააღმდეგ: იგი არ უნდა დავამზადოთ, ან არ უნდა ჩამოვაგდოთ. კაცობრიობის დაუჯერებელი კოლექტიური სისულელის გამო ამის მიღწევა არ იქნება ადვილი. რაც შეეხება ყველა საშიშროებას, მათ წინააღმდეგ რა უნდა ვიღონოთ, რიგიანად იმათაც კი არ იციან, ვინც კარგად ხედავს მათ. ატომური ბომბი რომ არ ჩამოვარდება, ამის მიმართ გაცილებით უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვიდრე კაცობრიობის ყველა დანარჩენი შვიდი ცოდვის მიმართ.

უდიდესი ზიანი, რაც დღეს ბირთვული იარაღის საშიშროებას მოაქვს კაცობრიობისათვის, „მხიარული წარღვნის" საერთო განწყობილების შექმნაა. მას უკავშირდება პრიმიტიულ სურვილთა მყისვე დაკმაყოფილების უპასუხისმგებლო და ინფანტილური მიდრეკილება, აგრეთვე, სრული უუნარობა, პასუხისმგებლობა იგრძნონ იმისადმი, რაც შორეულ მომავალშია. ყოველივე ამის გამო გადაწყვეტილების საფუძველში ქვეცნობიერად ცოცხლობს შემაშფოთებელი კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენხანს იარსებებს კიდევ ეს ქვეყანა.

## X. შეჯამება

ჩვენ განვიხილეთ რვა, ერთმანეთისგან განსხვავებული, თუმცა მიზეზობრივად მჭიდროდ დაკავშირებული პროცესები, რომლებიც განადგურებით ემუქრებიან არა მხოლოდ ჩვენს დღევანდელ კულტურას, არამედ მთელ კაცობრიობას, როგორც სახეობას.

ეს მოვლენებია:

1. მოსახლეობის სიჭარბე, რომელიც ყოველ ჩვენგანს, სოციალური კონტაქტების მოზღვავების გამო, აიძულებს, არსებითად „არაადამიანურად" გაემიჯნოს სხვას, და რომელიც, ვიწრო სივრცეში უამრავი ინდივიდის თავმოყრის გამო უშუალოდ აგრესიას ბადებს.

2. ბუნებრივი საცხოვრებელი სივრცის გაჩანაგება, რომელიც არა მარტო გარე სამყაროს ანგრევს, რომელშიც ვცხოვრობთ, არამედ თვით ადამიანშიც ანადგურებს დიადი სამყაროს სრულყოფილებისა და სილამაზისადმი ყოველი მოწიწების გრძნობას.

3. კაცობრიობის შეჯიბრი საკუთარ თავთან, რომელსაც ტექნოლოგიის განვითარება, ჩვენდა საუბედუროდ, სულ უფრო მეტად აჩქარებს, ადამიანს ჭეშმარიტი ღირებულებების დასანახავად თვალს უბრმავებს და დროს არ უტოვებს ჭეშმარიტად ადამიანური სააზროვნო საქმიანობისათვის.

4. ყველა ძლიერ გრძნობათა და აფექტთა გაქრობა გასათუთების გამო. ტექნოლოგიისა და ფარმაკოლოგიის წინსვლა აძლიერებს შეუწყნარებლობას ყველაფრის მიმართ, რაც სულ მცირედაც კი ჩვენს უხიამოვნებას გამოიწვევს. ადამიანი კარგავს უნარს, განიცადოს სიხარული, რომელიც გვეწვევა ხოლმე ძალთა დიდი დაძაბვისა და წინააღმდეგობათა დაძლევის შედეგად. სიხარულისა და მწუხარებისა და ხან ზეაჭრილი და ხან ქვედაშვებული კლაკნილის მკვეთრი კონტრასტულობა ენით უთქმელი მოწყენილობის უფერული რხევამდე დადის.

5. გენეტიკური დაშლა. თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში არ არსებობს (გარდა ბუნებრივი „სამართლის გრძნობისა" და ზოგიერთი შემორჩენილი სამართლის ტრადიციისა) არავითარი ფაქტორი, რომელიც სელექციურ ზეგავლენას მოახდენდეს სოციალური ქცევის ნორმათა განვითარებასა და შენარჩუნებაზე, მით უმეტეს, რომ საზოგადოების ზრდასთან ერთად იგი სულ უფრო უცილო ხდება. არ არის გამორიცხული, რომ ბევრი ინფანტილიზმი, რაც დღევანდელ „მოჯანყე" ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს სოციალურ პარაზიტებად აქცევს, გენეტიკურადაც იყოს განპირობებული.

6. ტრადიციისაგან მოწყვეტა გამოწვეულია იმით, რომ თაობათა ურთიერთობამ იმ კრიტიკულ წერტილს მიაღწია, როცა უმცროსი თაობა კარგავს უფროსთან კულტურულ ურთიერთგაგებას, იდენტიფიკაციაზე ხომ საერთოდ აღარ შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ იგი მას ისე ექცევა, როგორც უცხო ეთნიკურ ჯგუფს და მას ნაციონალურ სიძულვილს აფრქვევს.

იდენტიფიკაციის დაკარგვა, უპირველესად, მშობლებსა და შვილებს შორის კონტაქტის დაკარგვითაა გამოწვეული, რაც უკვე ჩვილი

ბის ასაკში პათოლოგიურ შედეგებს გვაძლევს.

7. კაცობრიობის ინდოქტრინაციის ზრდა. ერთ კულტურულ ჯგუფში გაერთიანებულ ადამიანთა რიცხობრივ ზრდას, ტექნიკურ საშუალებათა სრულქმნასთან ერთად, მივყავართ საზოგადოებრივი აზრის, შეხედულებათა იმგვარი უნიფორმირებისაკენ, როგორიც კაცობრიობის ისტორიას საერთოდ არ ახსოვს. ამას ემატება ისიც, რომ მტკიცედ შეთვისებული დოქტრინის შთაგონებითი ზემოქმედება გეომეტრიული პროგრესით იზრდება მისი მომხრეების რიცხვის ზრდასთან ერთად. დღეს, მაგალითად, ინდივიდს, რომელიც თავს შეგნებულად არიდებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, თუნდაც, ტელევიზორს, პათოლოგიურად მიიჩნევენ. დეინდივიდუალიზმების ყველა ეფექტი სასურველია იმათთვის, ვისაც ადამიანთა მასების მანიპულირება სურთ. შეხედულებათა შესწავლა, სარეკლამო ტექნიკა და ალღოიანად წარმართული მოდა დიდ მწარმოებლებს ეხმარება მასებზე ძალაუფლების გაძლიერებაში.

8. ბირთვული იარაღით შეიარაღება კაცობრიობისათვის ის საფრთხე მოაქვს, რომელიც შედარებით უფრო ადვილად შეიძლება თავიდან ავიცილოთ, ვიდრე ზემოთ აღწერილი შვიდი საფრთხე.

შვიდსავე თავში აღწერილ დეჰუმანიზაციის მოვლენებს ბიძგს აძლევს ფსევდოდემოკრატიული დოქტრინა, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანის სოციალურ და მორალურ ქცევას, საერთოდ, არ განაპირობებს მოდგმის ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ნერვული სისტემა და შეგრძნების ორგანოები, არამედ მასზე მხოლოდ „კონდიციონირება“ ახდენს ზეგავლენას, რომელსაც ადამიანი კულტურული გარემოსაგან განიცდის თავისი ონტოგენეზის პროცესში.

□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიოტც ეკარდტი

თარგმნა ეთერ ჟურაშვილმა

# დიეგო ველასკესი

1621 წელს, როცა მეფე ფილიპე IV სათავეში ჩაუდგა ხელისუფლებას, ევროპაში ესპანეთის იმპერიის ბატონობა შერყეული იყო. ინგლისი სულ უფრო და უფრო ავიწროებდა ესპანეთს და ისიც კარგავდა თავის კოფილ მნიშვნელობას, როგორც საზღვაო და სავაჭრო სახელმწიფო. კონტინენტზე კი საფრანგეთი ცდილობდა გაბატონებას. ჩრდილოეთის ნიდერლანდები — უმნიშვნელოვანესი ზღვის იქითა კოლონიებთან ერთად — ექსპლოატაციისა და მოგებიანი შემოსავლის წყარო, გარკვეულწილად რომ აკავებდა ფეოდალური მონარქიის დაცემას — გმირული ბრძოლით განთავისუფლდა დამპყრობლის უღლისაგან, რომელიც ევროპაში პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის გამარჯვების ერთგვარი ბიძგი იყო. ესპანეთის მუდმივმა ომებმა მთელს იმპერიაში გააჩანაგა უწინდელი კეთილდღეობა, ხალხის ფართო მასები განიცდნენ საშინელ გაჭირვებას მაშინ, როდესაც მხნეველი მეზამფლური და სეკლესიო მიწათმფლობელობა ამუხრუჭებდა მეურნეობის ადრეული კაპიტალისტური ფორმების განვითარებას. პოლიტიკური და ეკონომიური დაცემის ამ ეპოქაში ესპანეთის კულტურა და ხელოვნება განიცდის უმაღლეს გაფურჩქვნას.

ესპანეთის უმთავრეს კულტურულ ცენტრად გვევლინება სევილია, პირენეის ნახევარკუნძულის სამხრეთი ქალაქი, რომლის ღირსშესანიშნავ ძეგლებზე შეინიშნება მავრიტანული არქიტექტურის გავლენა. მსოფლიოში ცნობილ ამ ვაჭრობის ცენტრში 1688 წელს დაიბადა XVII საუკუნის გამოჩენილი ესპანელი მხატვარი დიეგო ველასკესი, პორტუგალიური წარმოშობის აზნაურის ვაჟი. ლათინურ სკოლაში ყოფნისას მამამ ბიჭი მიაბარა ფერმწერს. პირველი ნაბიჯები ხელოვნებაში ველასკესმა, რა თქმა უნდა, გადადგა ფრანსისკო დე ერერა უფროსის ხელმძღვანელობით. მაგრამ მასწავლებლის მგზნებარე ტემპერამენტი ძნელად თუ მოეწონებოდა მგრძნობიარე ყმაწვილს. ყოველ შემთხვევაში მისი ერერასთან ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა და თავის შემდგომ განათლებას ველასკესი ფრანსისკო პაჩეკოს სახელოსნოში იღებს. პაჩეკო ფერწერის მრავალრიცხოვანი თეორიული ტრაქტატის ავტორი, აკადემიზმის მიმდევარი იყო რაფაელის დარად, ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ ვერ მოახდინა დიდი გავლენა სულ სხვა ინტერესებით შთანთქმულ მოწაფეზე. მაგრამ ველასკესი დიდად დავალებულია მისგან არა მარტო სოლიდური პროფესიული მომზადებით, რომელიც საფუძველი გახდა მისი შემდგომი მუშაობისა. პაჩეკო თავისუფლებას რომ აძლევდა, ყოველთვის ცდილობდა შეენარჩუნებინა შეგირდისათვის შემოქმედებითი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, ხელს უწყობდა მისი ნიჭის გამოვლენას. კეთილისმყოფელმა მასწავლებელმა ადრევე შენიშნა მოწაფეში უდიდესი მონაცემები და შეძლებისდაგვარად ცდილობდა მის განვითარებას. არანაკლები გავლენა მოახდინა ველასკესზე აგრეთვე პაჩეკოს ფართო მეცნიერულმა გულისყურმა, მისი სახლი ხომ სევილიაში ჰუმანურად განწყობილი საზოგადოების ცენტრი იყო.

სწავლების დამთავრების შემდეგ, 1617 წლის მარტში, ველასკესი პაჩეკოსა და სხვანი დე უხედეს ხელმოწერით იღებს მოწმობას, რომლითაც დასტურდება, რომ მან ჩააბარა გამოცდა და შეუძლია „დამოუკიდებელი მუშაობა როგორც მხატვარ-ფერმწერს თავის საკუთარ მოტივებზე". შემდგომ წელს პაჩეკო თავის ქალიშვილს ათხოვებს ველასკესზე. როგორც

გვაცნობებს თვითონ სიმამრი, ეს გადაწყვეტილება მიაღებინა მას ველასკესის „ახალგაზრდობამ, კეთილშობილებამ, მოწაფის არაჩვეულებრივმა ხასიათმა" და აგრეთვე „რწმენამ, რომ მასში უდიდესი ბუნებრივი ნიჭია". პაჩეკო მზითევის სახით ახალდაქორწინებულებს აძლევს რამდენიმე სახლს სევილიაში. ამიერიდან ველასკესი მტკიცედ მკვიდრდება მშობლიურ ქალაქში. აქ შეეძინება მას ორი ქალიშვილი, უმცროსი მალევე გარდაიცვლება.

ამ პერიოდს ეკუთვნის ჩვენამდე მოღწეული ველასკესის პირველი დამოუკიდებელი და ადრეული სევილიის პერიოდის ნაწარმოებები. პაჩეკოსაგან განსხვავებით, რომელიც თვლიდა, რომ ფერწერის ძირითადი მიზანია ღვთის მსახურება და ხელოვნება უნდა იყოს რელიგიის დამხმარე, ველასკესმა თავისი ადრეული ნამუშევრებით დაამტკიცა, რომ ის სრულიად განსხვავებული აზრისაა. თავის ნახატებში იგი ისწრაფვის გარემომცველი სინამდვილის ასახვისაკენ. იტაცებს ყოფითი სცენები ხალხის ცხოვრებიდან — „ბოდეგონესი". ველასკესი არ იყო პირველი და ერთადერთი მხატვარი, რომელიც მსგავს სიუჟეტებს მიმართავდა, მაგრამ მისი დამსახურება ისაა, რომ შეძლო თავისი პერსონაჟების ხასიათი აღევსო შინაგანი სიდიადითა და ადამიანური ღირსებით, შერჩეული ჟანრისათვის მიეცა ახალი, ღრმა აზრი და შინაარსი. XVI საუკუნის შუაწლებიდან ესპანეთში ბოდეგონესის გვერდით დიდი სიყვარულით და პოპულარობით სარგებლობდა გასართობი რომანები, რომლებიც ასახავდნენ საზოგადოების დაბალი ფენის — მდაბიოთა ცხოვრებას. მათი გმირები ძირითადად სულელები და უმეცარნი არიან, რომლებიც შეიძლება მასხრად აიგდო, ისევე როგორც ჰოლანდიელ ფერმწერთა ტილოებზე ასახული განგებ დამახინჯებული და უშნოდ დამანჭული გლეხები. მაგრამ ველასკესისათვის უცხო იყო ასეთი უხეში მასხრობა და კომიკური სიტუაციები. იგი ყოველთვის პატივს სცემდა ადამიანს, საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო. ამიტომ მხატვარი ის კი არაა თავისი ბოდეგონესისთვის მოდელებს მშობლიური ქალაქის ქუჩებსა და დუქნებში რომ ეძებდა, არამედ უპირველესად ის ჰუმანური პოზიცია, რომელიც დამახასიათებელია საერთოდ ამ დიდოსტატის შემოქმედებისათვის. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ „წყლის გამყიდველი", რომელიც მხატვარმა ოცი წლისამ დახატა. ეს მართლაცდა მონუმენტური ნაწარმოები ველასკესის ადრეული შემოქმედების გვირგვინია. მთელ სევილიაში ცნობილი წყლისგამყიდველი მოხუცის უზარმაზარ ფიგურას თითქმის სურათის ნახევარი უკავია. აცვია ყავისფერი ლაბადა, დაგლეჯილი სამკლავურიდან კი მოუჩანს თეთრი პერანგი. მარცხენა ხელით დაყრდნობია მოცელვაბერილ თიხის დოქს, საიდანაც ჩამოასხამს ძვირფას სითხეს. მზისა და ქარისაგან აქერცლილი ჩაფიქრებული სახე გამოსახულია პროფილში, თავი — ოდნავ [illegible] მიწვდენა ხელში წყლით სავსე ბრო[illegible]ჭიქუნა მოხუცს მდუმარედ ართმევს წყალს იმ დროს, როცა უკანა ხედზე ახალგაზრდა კაცს წყლიანი ფინჯანი პირთან მიაქვს. წინა ხედზე მოხუცისა და ბიჭუნას ფიგურებზე დაღვრილი მკვეთრი სინათლე თანდათან ფერმკრთალდება, ასე რომ წყლის მსმელი ახალგაზრდა კაცის მოხაზულობა ძლივს შესამჩნევია. სინათლის მოქმედებით — ძირითადად ყავისფერი ტონების სხვადასხვაელფერის შერწყმით — იქმნება სივრცის სიღრმის ილუზია. ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებს ფიგურების დიაგონალური განლაგება და საგნების ნატურმორტული გამოსახვა. ხაზგასმულად ძუნწი და მეტყველია ჟესტის ენა. ნახატში თითქოს საზეიმო მდუმარებაა ჩაღვრილი. ცხოვრების წინაშე მოწიწებით მუხლმოყრილი მხატვარი მაღლა დგას ყოველგვარ სოციალურ მდგომარეობაზე: ყოველდღიური საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს გამოსახავს, სულიერად ამაღლებულს. „წყლის გამყიდველშიც" მოხუცის ღირსეული პოზა სურათის საზეიმო განწყობილებას ხძენს.

ველასკესი საკურთხევლის კომპოზიციებსა და სხვა რელიგიურ თემებს არ უთმობს ისეთ დიდ ყურადღებას, როგორც მისი თანამედროვე ესპანელი მხატვრები. უფრო მეტიც, სევილიის პერიოდის მცირერიცხოვანი სურათები მსგავს სიუჟეტებზე მოწმობენ მის შეგნებულ ინტერესზე უფრო რეალური სინამდვილისადმი. „მოგვთა თაყვანისცემა" შექმნილია ადრეულ, სევილიის პერიოდში. მხატვრული დაკვირვების საგანი აქაც გარემომცველი ცხოვრებაა: მიწიერი ძალით აღვსილი ადამიანთა ფიგურები თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ ბოდეგონესის პერსონაჟებს. წინა ხედზე წამოწეულია ადამიანთა ჯგუფი და ამიტომაც ჩანან ისინი ასე ცოცხალნი. მარცხნიდან დაცემული სინათლის ნაკადი მკვეთრად დაჰკაშკაშებს დედასა და ბავშვს მაშინ, როცა დანარჩენი ფიგურები მხოლოდ ნაწილობრივ ჩანან ღამის სიბნელეში. ღვთისმშობელი — ქალწული — უბრალო ხალხის წარმომადგენელი — მორიდებულად და მორცხვად იღებს მოგვთა ძღვენს. მარიამისა და სხვა პერსონაჟთა ზუსტი ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ მხატვარმა სურათზე აღბეჭდა გარშემომყოფნი — კონკრეტული პირნი.

ლონდონში შემონახულ ტილოზე „ქრისტე მართასა და მარიამის სახლში" ხადაგი და რელიგიური სიუჟეტები ერთმანეთისაგან განუყო-

ფულია. აქ განსაკუთრებით ცხადად ვლინდება ველასკესის ჰუმანური პოზიცია: სცენაში ახალგაზრდა მსახური ქალის ჩართვით, მხატვარი მიგვანიშნებს, რომ ღვთის წინაშე — მდიდარია თუ ღარიბი, ბატონია თუ მსახური — ყველა თანასწორია.

ადრეული სევილიის პერიოდის ნაწარმოებებში ჯერ კიდევ ნათლად ჩანს სხვადასხვა გავლენები. ნახატთა თემატიკაში, მათი შინაარსის გაურკვევლობა, კერძოდ ფიგურების გაქვავებულ პოზებში ფორმალური მთლიანობის გამორიცხვა — ყოველივე ამაში იგრძნობა ნიდერლანდური მანერულობის გავლენა. რაც შეეხება ნახევრადფიგურული პორტრეტების კომპოზიციებს, მათი აგების პრინციპი ნასესხებია კარავაჯოსაგან, რომლის ნახატებიც ადრევე მოხვდა ესპანეთში და ვალენსიელი ფერმწერის რიბალტის სკოლის მეშვეობით აითვისეს ადგილობრივმა მხატვრებმა. იტალიური ხელოვნების ახალი მიმდინარეობის ამ პირველი მიმდევრის ნაწარმოებების გაცნობა ველასკესისთვის იყო გადამწყვეტი: ოსტატმა მასში აღმოაჩინა თავისთვის ესოდენ გასაგები და ახლობელი მისწრაფება — სინამდვილის უშუალო ასახვა. „კარავაჯიზმი" — ეს უპირველესად სივრცის სხივური მოდელირებაა. იტალიელის დიდი დამსახურება ის იყო, რომ უარი თქვა რენესანსული ფერწერის „იდეალურ" გაშუქებაზე და სინათლის წყარო მოათავსა სურათის მიღმა, რითაც მის ტილოებზე გამოსახულ საგანთა სამყარო განსაკუთრებულად მატერიალურად ხელშესახები და საგრძნობი გახდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ველასკესის სახელი ცნობილია მთელს სევილიაში და იგი გულში ატარებს პატივმოყვარულ გეგმას — მადრიდის კარზე მიიღოს თანამდებობა. ესპანეთის დედაქალაქში მხოლოდ სახელიან მხატვარს შეეძლო მიეღო მაღალი საზოგადოების შეკვეთები, რადგან პროვინციელი თავად-აზნაურობა და ბიურგერობა უსახსრო იყო და ამიტომაც ვერც მხარს დაუჭერდნენ ხელოვნებას და ვერც რაიმე არსებით ზეგავლენას მოახდენდნენ მის განვითარებაზე. 1622 წლის აპრილში ველასკესი სიმამრის რეკომენდაციით მიემგზავრება მადრიდს. მისი მიზანია დახატოს ერთი წლის წინ ტახტზე ასული ფილიპე IV პორტრეტი და აგრეთვე გაეცნოს ხელოვნების ნაწარმოებათა სამეფო ფერწერის უმდიდრეს კოლექციას. თუმცა დედაქალაქში მაშინათვე ვერ დამკვიდრდა და ვერც მეფის პორტრეტის შესრულების ნებართვა მიიღო, მაგრამ მადრიდში ხანმოკლე ყოფნისას მაინც მოახერხა მისთვის საჭირო ნაცნობების შეძენა. რამდენიმე თვის შემდეგ, 1623 წლის გაზაფხულზე, იგი ხელახლა ჩავიდა დედაქალაქში ფრანსისკო პაჩეკოს თანხლებით. სამეფო კარზე ველასკესი მიიწვია გრაფ ოლივარესმა. ამ მოწვევაში თავისებურად დიდი როლი შეასრულა მისი ნიჭის თაყვანისმცემლის დონ ხუანა დე ფონსეკას შუამდგომლობამ, ახალგაზრდა მეფის. წარმოშობით სევილიელი, ძლევამოსილი ფავორიტი ოლივარესი 1619 წელს მშობლიურ ქალაქში რამდენიმე თვით ყოფნისას გაეცნო ფერმწერს. ამჯერად ველასკესმა მიიღო ფილიპე IV პორტრეტის შეკვეთა. მან გაამართლა ყველა იმედი და იმავე წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა მხატვარი იწყებს სამეფო კარზე სამსახურს, ამასთან იღებს მონარქის პორტრეტზე მუშაობის ერთპიროვნულ უფლებას. ახლა მისი უმთავრესი მოვალეობაა მეფისა და მისი ოჯახის წევრებისა და აგრეთვე სასახლის კარისკაცთა პორტრეტების ხატვა. უეჭველია, ეს ძალიან დამღლელი სამუშაოა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოდელი სულ მცირე გამონაკლისით, მხატვრისათვის უინტერესოა. ასეთი შრომა მხატვრისათვის მძიმე ტვირთი იყო თუ არა, ჩვენთვის უცნობია. მაგრამ ერთი რამ კი უეჭველია — ყოველი ახალი შეკვეთა მისთვის ნიშნავდა ახალი კომპოზიციური ამოცანის გადაწყვეტას: მას ჰქონდა ფერმწერის უმახვილესი და გამჭრიახი თვალი, რის გამოც ვერ დაემორჩილებოდა წინასწარ მიცემულ სქემას. ვინც არ უნდა ყოფილიყო მისი მოდელი — გრაციოზული ინფანტა თუ ნაკლებმიმზიდველი სეფექალი, მეფე, სასახლის კარის უბადრუკი მასხარა თუ ცნობილი მოქანდაკე — მას გრძნობა და მხატვრის სინდისი არასოდეს ღალატობდა. ჯერ კიდევ ადრეულ პორტრეტებში ჩანს ველასკესის უპირველესი უნარი — მოდელის მთავარი არსის წვდომა და აღბეჭდვა. ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მხატვრის მიერ შექმნილ სამეფო კარის წარმომადგენელთა პორტრეტებს, რა თქმა უნდა, აზის აბსოლუტიზმის იდეოლოგიის დაღი, და ამავე დროს იგი ახერხებს ადამიანის პიროვნებისა და ხასიათის უშუალოდ გამოსახვას. შემოქმედების ადრეულ პერიოდში მრავალრიცხოვანი პორტრეტების გვერდით ველასკესი ქმნის რამდენიმე დიდ კომპოზიციას. მათ განეკუთვნება ცნობილი სურათი „ბახუსი", რომელიც გამოხატავს ღვინის სცენას და თემატიკით ახლოა ბოდეგონესთან: აქაც და იქაც ჩვენს წინ უბრალო ადამიანებია, პეიზაჟის ფონზე გამოსახული მაწანწალები, რომლებიც ბახუსთან და ფავნებთან ლოთობენ. ღვინის ღმერთის ბახუსის გამოსახვით მოქმედება გადატანილია ანტიკური მითოლოგიის სამყაროში. ანტიკურ ღვთაებასა და ცხოვრებისაგან გაუხეშებულ მაწანწალათა სახეებს შორის დიდი განსხვავება არ არის. მათ აერთიანებთ საერთო არ-

მოხეური და ბუნებასთან. ხალხთან სიახლოვე ნაწარმოებში აშკარად იგრძნობა ფლამანდელი ფერმწერის, პეტერ პაულ რუბენსის გავლენა. რუბენსი 1628 წელს რამდენიმე თვეს დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა მადრიდის სამეფო კარზე. ორივე მხატვარს შორის დამყარდა მეგობრული ურთიერთობა, რაც მოწმობს ესპანელი მხატვრის დამოუკიდებლობას, მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობის განმტკიცებას თავისი დროის უდიდესი ფერმწერის თვალში. რუბენსთან ურთიერთობამ, რა თქმა უნდა, უდიდესი გავლენა მოახდინა ველასკესზე: მან უფრო მძაფრად იგრძნო საკუთარი მანერის ნაკლი. „ფერწერის თავადი", ამ ქვეყნის უძლიერეს მეფეთა მეგობარი და ევროპის ყველა სამეფო კარზე დიდი პატივით მიღებული რუბენსი — იტალიური ალორძინების ეპოქის მხატვრის ტიპს უფრო ნათლად განასახიერებდა. მასთან შედარებით, ველასკესსა და სხვა ესპანელ მხატვრებს, მიუხედავად აღიარებისა, მაინც შეზღუდული გავლენა ჰქონდათ, და თუ ველასკესს, აქამდე არასოდეს დაუტოვებია სამშობლო, ახლა იზიდავს იტალია, სადაც მისმა თანამემამულე ხოსე დე რიბერამ დიდი აღიარება ჰპოვა. 1629 წელს ველასკესმა მიზნად დაისახა იტალიაში გამგზავრება და ადგილობრივი მხატვრების შემოქმედების გაცნობა. იტალიაში ყოფნისას დახატულ სურათში „ვულკანის სამჭედლო" ველასკესი ისევ ანტიკურ მითოლოგიას მიმართავს, ბოდეგონესისგან განსხვავებით, რომელშიც ფიგურები ჯერ კიდევ თავისუფლად ერწყმოდნენ ერთმანეთს, „ვულკანის სამჭედლოში" ერთიანი ქმედების ფარგლებში მოექცნენ. „ბახუსში" გამოხატულ პერსონაჟთა რამდენიმე ხელოვნური გაერთმთლიანება შეცვალა ფიგურების უფრო თავისუფალმა განლაგებამ სივრცეში. გაქრა მხატვრის ადრეული ნამუშევრებისათვის დამახასიათებელი შუქ-ჩრდილების მკვეთრი კონტრასტი და აგრეთვე პერსონაჟთა მოდელირების მოუქნელობა. რბილი შუქით მოფენილი ადამიანთა ფიგურები მსუბუქად ჩაისახა გარემოში; შუქის წყაროდ ხდება თვითონ შენობა. წერის მანერამ შეიძინა თავისუფლება და ბუნებრიობა, ფერთა პალიტრამ — სიმდიდრე და ფერადოვნება. მსგავსი განზოგადებული ფერწერული ხედვა ველასკესს უკარნახა ტიციანისა და ტინტორეტოს სურათებმა, რომელთაც მადრიდის სამეფო კარზე გაეცნო. ახლა კი, იტალიაში ორწლიანი მოგზაურობის დროს, საშუალება ჰქონდა უშუალოდ ადგილზე შეესწავლა სახელგანთქმულ ვენეციელთა ნაწარმოებები. რომში მოგზაურობისას გადაიღო რაფაელისა და მიქელანჯელოს ასლები — იტყობინება პაჩეკო თავის „Arte de la pintura"-ში („ფერწერის ხელოვნებაზე").

რენესანსისა და ადრეული ბაროკოს დიდ ხელოვანთა ნაწარმოებების ინტენსიურმა შესწავლამ ველასკესი ვერ დააეჭვა საკუთარ შესაძლებლობებში — იტალიამ [illegible] წარმოჩენა დამოუკიდებლობა და [illegible] კარის მხატვრის მოგზაურობის ნებართვის მიღება განპირობებული იყო ფილიპე IV დავალებით — იტალიაში შეეძინა ხელოვნების ნიმუშები სამეფო ფერწერის კოლექციისათვის. 1634 წელს მან მიიღო საპატიო თანამდებობა — „სამეფო გარდერობის მცველი" — რაც ნიშნავდა სასახლის კარის იერარქიის უმაღლესი რიგის მიღების საფეხურს. მონარქი ხშირად სარგებლობდა თავისი კარის მხატვრის მომსახურებით; ველასკესს უწევდა არქიტექტურული ამოცანების გადაწყვეტაც; დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას 1631-1638 წ. წ. მადრიდის მახლობლად მშენებარე ძვირადღირებული სასახლის მშენებლობაში, რომელსაც ეწოდა „ბუენ რეტირო" („მშვენიერი განმარტოების სასახლე"). სეფედარბაზის მოხატვის პროექტი ითვალისწინებდა ხელოვნების ისეთ ნიმუშებს, რომლებიც განადიდებდა ფილიპე IV მმართველობას, დოკუმენტურად დადასტურებულ ,სინამდვილეში კი უკვე არარსებულ იმპერიის ძლიერებას. ესპანეთის სამეფოთა და პროვინციათა ღერბები ამშვენებდა დარბაზის თაღს, რომელსაც ეწოდა კიდეც „სამეფოთა დარბაზი". ნაგებობის მხატვრული გაფორმებისათვის ველასკესი არჩევს ქვეყნის ახლო წარსულის სამხედრო-ისტორიული მოვლენების ამსახველ ესპანელ მხატვართა თორმეტ ნაწარმოებს. თვითონ კი 1634-1635 წ. წ. ხატავს ტილოს „ბრედის ჩაბარება", რომელშიც დიდი ოსტატობითაა წარმოდგენილი ესპანეთ-ნიდერლანდების ომის რეალური ეპიზოდი. ამჯერად სამხედრო ბედნიერება ესპანელ მჩაგვრელთა მხარეს იყო. ალყებული ციხესიმაგრის კაპიტულაციას, მრავალი თვის ალყის შემდეგ, 1625 წელს, ყველგან განადიდებდნენ, როგორც იმ დროის უდიდეს სტრატეგიულ მიღწევას. მოსალოდნელი იყო, რომ კარის მხატვარი მიზნად დაისახავდა ხოტბა შეესხა ესპანეთის გამარჯვებული ჯარისათვის და ამით მთავარსარდალ მარკიზ სპინოლასათვის სიცოცხლეშივე დაედგა ძეგლი. ამ ნაწარმოებამდე რამდენიმე წლით ადრე ასეთი ხელისკვეთებით გაიაზრა ისტორიული საომარი მოვლენები რუბენსმა მედიჩების ნახატების ციკლში. ბაროკოს გამოჩენილი ფლამანდიელი ფერმწერი არ დაკმაყოფილდა რეალური მოვლენების არსებობით და თემის ინტერპრეტირებით ისტორიული პერსონაჟები გააბუნდოვანა მითოლოგიური

და ალეგორიული სახეებით. ველასკესთან პირიქით მოხდა — ჩვენ ვერ ვიპოვით ვერც მოქმედების ადგილისა და ვერც მომხდარის ხაზგასმული მნიშვნელობის ამხსნელ ანტიკურ ღმერთებს, ვერც გვირგვინით შემკულ მხედართმთავრის გამარჯვების გენიას. აქ არ არის გამარჯვებულთა და დამარცხებულთა მიმანიშნებელი ალეგორიული ფიგურები. მხატვარს თვით მოვლენა აჰყავს მოქმედების სიმაღლეზე. რაც ნაწარმოებს ლეიტმოტივად გასდევს, ქმნის „პირველ ჭეშმარიტად ისტორიულ ტილოს ევროპის უახლეს ფერწერაში" (კურტ გერსტენბერგი).

ველასკესი უარს ამბობს მოვლენის გაზვიადებულ, ეფექტურ მოწოდებაზე, უარყოფს უმნიშვნელოსა და ზედმეტს, რათა უფრო ღრმად ჩასწვდეს ადამიანურ განცდებს. ორი მხედართმთავრის ფიგურების ცენტრალურ ჯგუფში ძევს მთელი სურათის ჩანაფიქრის გასაღები. ციხექალაქ ბრედის გუბერნატორი იუსტინ ფონ ნასაუ გამოცალკევებულა თანმხლებთა ჯგუფისაგან და ოდნავ ქედმოდრეკილი ქალაქის გასაღებს გადასცემს გამარჯვებულს. მისკენ ნაბიჯგადადგმული სპინოლა კი მხარზე ხელით ეხება ღირსეულ მოწინააღმდეგეს. დამარცხებულში უპირველესად პატივს უნდა სცემდე ადამიანს — აი, ამ ნაწარმოების ძირითადი ჰუმანური აზრი. ამგვარად შეიქმნა არა სამხედრო ხელოვნებისა და ტაქტიკის, არამედ გარკვეულწილად ღირსეული, გამარჯვებული მხედართმთავრის ძეგლი. მხატვარი პატივისცემას მიუზღავს მოწინააღმდეგის არმიას, ჰოლანდიელთა მცირე ერს, რომელიც ვაჟკაცურად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის. მოვლენების ასეთი შეფასება ოფიციალური შეკვეთებით ან ლიტერატურული პირველწყაროებით კი არ იყო გამოწვეული, არამედ თვით ველასკესის პიროვნებიდან გამომდინარეობდა. ბაროკოს ეპოქის ამ სურათში სამეფო კარის პათეტიკური გადაჭარბებისთვის გვერდის ავლა მართლაც შემოქმედებითი გმირობა იყო ამ დროისათვის.

ბუენ რეტიროს „სამეფოთა დარბაზს" თორმეტ მნიშვნელოვან ისტორიულ ტილოებთან ერთად ამშვენებს ჰერაკლეს გმირობის მრავალრიცხოვანი გამოსახულებანი, სურბარანის ნამუშევრები და მეფის ხანათესაოს და მხედართა პორტრეტები. ვიწრო კედელზე ჰკიდია ველასკესის მიერ 1634-1635 წ. წ. შესრულებული ფილიპე IV და მისი მეუღლის იზაბელას პორტრეტები. კარს ზემოთ ტახტის მემკვიდრის — ბალთაზარ კარლოსის პორტრეტია. მხატვარს შესანიშნავად აღბეჭდავს სქელმუცელა ცხენით მონავარდე, ბავშვური უზრუნველობით აღსავსე ბიჭუნა. ამ შემთხვევაში ოსტატი სამეფო კარის ეთიკის მოთხოვნილებებით ისე არ იყო შეზღუდული, როგორც სამეფო წყვილთა პორტრეტების ხატვისას. წმინდასისხლის ცხენზე ამხედრებული ფილიპე IV უკანა ხედზე გადაჭიმულ ლანდშაფტის ფონზე გამოცალკევებულია როგორც ცხენოსნის ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ხელისუფლების სიდიადესა და აბსოლუტური ძალაუფლების სიმბოლოს.

კარლ V მეფობის დროიდან, მადრიდის მახლობლად ველურ ტყე-პარკ პარდოში იდგა სამონადირეო კოშკი, რომელსაც თავს აფარებდნენ ნადირობისას. 1636 წელს ფილიპე IV ბრძანა მეორე სართულის დაშენება. ტორე დე ლა პარადას გაფორმება დაევალა ველასკესს. სამონადირეო კოშკის დეკორატიული მორთულობისათვის მრავალრიცხოვანი შეკვეთები მიეცა სხვადასხვა მხატვრებს. ფერწერული სამუშაოს უდიდესი ნაწილი წარმოადგინა რუბენსმა, რომელმაც შედარებით მცირე დროში ზეთის საღებავებით შეასრულა ეტიუდების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელთა თემად გამოიყენა ოვიდიუსის „მეტამორფოზები". მხოლოდ რამდენიმე იყო პირადად მის მიერ შესრულებული, დანარჩენი შეიქმნა მის სახელოსნოში. ცხოველებისა და ნადირობის სცენების ასახვისათვის მოიწვიეს მხატვარ-ანიმალისტები, მათ შორის პაულ დე ფოსი და ფრანს სნეიდერსი. ციხე-დარბაზის დანიშნულების შესაბამისად ველასკესმა შეასრულა სამი პორტრეტი, რომლებზეც გამოსახულია მონადირის ტანსაცმელში გამოწყობილი წარჩინებულნი. აქვეა მისი ნახატი „მარსი" და ბერძენ ფილოსოფოსთა პორტრეტები — „ეზოპე" და „მენიპე".

ფლამანდიელ მხატვართა ნამუშევრების გვერდით ველასკესის „მარსი" გვაოცებს ანტიკური სახის არაჩვეულებრივი გაგებით. კარლ იუსტი მიუთითებს მის სიახლოვეზე „Ares Ludovisi"-ის ქანდაკებასთან, თან ამატებს, რომ „არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ველასკესმა ქანდაკების ასლი გადმოიღო; აშკარაა, რომ „მარსის" ხატვა მაშინ დაიწყო, როცა თვალში მოხვდა ისეთი ადამიანი, რომელიც შესაფერისი იქნებოდა ამ ბერძენი „კაცისმკვლელის" გამოსახვისათვის". მოდელისათვის მხატვარი ირჩევს შუახნის ძლიერი აღნაგობის მენატურეს, რომელსაც თავზე ახურავს მდიდრული, ოქროსფრად მოვარაყებული მუზარადი, ფეხებთან კი უწყვია სამხედრო საქმის სხვადასხვაგვარი ატრიბუტები. ცისფერი მოფარდაგულობა და წითელი ლაბადა ოდნავ უფარავს შიშველ სხეულს. მუზარადით დაჩრდილული სახე, დაღლილი თვალებითა და თავმომწონე ულვაშით ომის ღმერთისა და ვენერას სატრფოს ფიგურას ანიჭებს თითქმის კომიკურ ხასიათს.

როგორც ორი კონტრასტული ნაწარმოები, ისეა ჩაფიქრებული ფილოსოფოსთა პორტრეტები, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ სამონადირეო ციხე-დარბაზს, რუბენსის „მოცინარ დემოკრიტესთან" და „მტირალ ჰერაკლიტესთან" ერთად.

ფილოსოფოს-კინიკი მენიპე, რომლის ჭკვიანი დაცინვა არ ინდობდა თვით ღმერთებსაც კი, წარმოგვიდგება გაქუცული, ჩამოძენძილი ოსტატის სახით, იგი ბოროტი ჩაცინებით გამოხედავს მაყურებელს. იმ დაცინვით, რომლითაც ის ეპყრობოდა ნებისმიერ სიდატაკეს, უგულებელყოფს ნაწილობრივ სულიერ უბადრუკობასაც, რაზედაც მეტყველებს იატაკზე მიმობნეული გრაგნილები.

ანტიკური მეიგავე ეზოპე მხატვარმა გამოსახა არცთუ ახალგაზრდა, დაუდევრად ჩაცმული, გულგრილი, ჩამქრალი მზერით. განსაკუთრებით თვალშისაცემია მისი ფართო სახე შვერილი ყვრიმალებითა და ღრმად ჩაცვივნული თვალებით. ტყავის ნაგლეჯით თავწაბურული გოგზა და აგრეთვე მოთრიმლული ტყავი — მინიშნებაა ეზოპეს ცნობილ იგავზე.

მხატვარმა ტორე დე ლა პარადისთვის შეასრულა აგრეთვე სამეფო კარის მასხარებისა და ქონდრისკაცების პორტრეტები. თანაგრძნობის ღირსი ეს არსებანი გამუდმებით იმყოფებოდნენ მეფის ამალაში. ამიტომ აუცილებელი იყო მათი გამოსახვა მეფის სამონადირეო კოშკში. ველასკესი ხშირად ხატავდა ბუნებისაგან დაჩაგრულ ადამიანებს. იგი თვლიდა, რომ ესენი იყვნენ განსაკუთრებით მადლიერი მოდელები.

სასახლის პირქუშ რეზიდენციაში მასხარები და ქონდრისკაცები, სულელნი და მახინჯნი, ართობდნენ სამეფო კარის წარმომადგენლებს, რომელთა ცხოვრებაც განისაზღვრებოდა ზნეობის მკაცრი წესებით. და რამდენად კეთილშობილურად უნდა ეგრძნოთ თავი ქედმაღალ ქალბატონებსა და ბატონებს ამ არსებათა გვერდით! მაგრამ ველასკესმა შეძლო ბუნებისაგან გვერდაულილ არსებებში დაენახა ღრმად მგრძნობიარე და ტანჯული ადამიანები. მათი გამოსახვისას მხატვარი კი არ დასცინის მათ ფიზიკურ ნაკლს ან გონებრივ ჩამორჩენილობას, გულცივ დამკვირვებლად კი არ რჩება, არამედ ღრმა ადამიანურობით უთანაგრძნობს მათ ხვედს. იგი ქმნის ფსიქოლოგიურად დამაჯერებელ ეტიუდებს, სიმართლითა და სიფაქიზით გამორჩეულ პორტრეტული ხელოვნების დახვეწილ ნიმუშებს.

ქონდრისკაცი სებასტიან დე მორა მიეკუთვნებოდა ინფანტ ბალთაზარ კარლოსის ამალას — საკმაოდ არასასიამოვნო ხვედრია — იცოდე, რომ დამოკიდებული ხარ მოუსვენარი უტიფრის ახირებაზე. მხატვარს ჭრელად ჩაცმული ჯუჯა დაუსვამს იატაკზე. წინ წამოწეული მოკლე ფეხები რომ ძალზე თვალშისაცემი არ იყოს, იგი აიძულებს — მას [illegible], კერძოდ, მჯიღით დაებჯინოს თეძოებს, ეს სამახინჯეც რომ არ მოხვდეს [illegible] მაყურებელს. მჯდომარე ფიგურა [illegible], რომელიც წყდება მხოლოდ ზემოთ, პირისახეზე, რომელზეც კონცენტრირებულია მთელი სინათლე და რაოდენ მეტყველია ამ მახინჯი არსების მზერა, რომელშიც მხატვარმა აღბეჭდა მისი ნაღვლიანი ბედისწერა!

სამეფო კარის ჯუჯა ელ პრიმო, მეტსახელად „ბიძაშვილი", 1644 წელს მეფეს ახლდა ფრაგის გარეუბნის სამხედრო ბანაკში. სწორედ მაშინ დაუხატავს ველასკესს მისი პორტრეტი სახელგანთქმულ „ფილიპე IV სამხედრო კოსტიუმში" (ლა ფრაგა) პორტრეტთან ერთად. ელ პრიმო გამოსახულია შემაღლებული პეიზაჟის ფონზე. მის ფეხებთან წიგნები, საქაღალდეები და სამელნე საწერ-კალმით. მუხლებზე შემომდებული უზარმაზარი ფოლიანტი არავითარ ეჭვს არ იწვევს მის სიმაღლეში. აცვია შავი ხავერდის სამეფო სამოსი. არაჩვეულებრივად მაღალ შუბლს უმშვენებს გვერდზე მოქცეული ფართოფარფლებიანი შლაპა. ამ მუქი ნაღვლიანი თვალების გულში ჩამწვდომ მზერაზე სამართლიანად ითქვა, რომ ეს თვალები ეკუთვნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ბრძენ და ინტელიგენტურ პირს, რომელიც ოდესმე დაუხატია ველასკესს.

კარის მხატვრის შემოქმედებითი ნიჭიერების რწმენასა და მეფის დიდ ნდობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ველასკესი დაინიშნა სამეფო მშენებლობის სუპერინტენდენტის მთავარ ასისტენტად. უკანასკნელ წლებში მას დაეკისრა ხაზინადარისა და ინსპექტორის მოვალეობანიც, ე. ი. მთელი პასუხისმგებლობა მადრიდის სასახლის ოქტაგონური (რვაწახნაგა) დარბაზის დეკორატიულ მოპირკეთებაზე. ველასკესს, როგორც მხატვარს არ იზიდავდა პლაფონების ფართოფორმატიანი დეკორატიული ფერწერა ალეგორიებისა და მითების სიუჟეტებით. მისთვის უცხო იყო ეპიგონობა და შური, ამიტომაც თავის კოლეგებს, უანგაროდ გადასცემდა სურათების შეკვეთებს.

1649 წლის დასაწყისში ველასკესი მეორედ მიემგზავრება იტალიაში ფრესკული ფერწერის სახელოვან ოსტატთა მისაზიდად შენობათა მოსახატავად. მას აგრეთვე დავალებული ჰქონდა ფერწერისა და პლასტიკის ნიმუშების შეძენა სამეფო პალატის მოსართავად და ანტიკურ ქანდაკებათა ტვიფარებისა და სხმულების შეკვეთა. პალომინოს გადმოცემით, ველასკესი შეხვდა სალვატორ როზასა და მატია პრეტის; მაგრამ

ამ მხატვართა ნამუშევრებმა ესპანელ მხატვარზე ვერ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. გაცილებით საინტერესო იყო მისთვის ალბათ შეხვედრები ფრანგ მხატვარ პუსენთან, რომელმაც რომი თავის მეორე სამშობლოდ აირჩია და აგრეთვე იტალიური ბაროკოს უდიდეს მოქანდაკის, გენიალური და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ბერნინის გაცნობა. მიუხედავად იმისა, რომ ველასკესი ძალიან დაკავებული იყო სამეფო კარზე, მაინც არ იყო უმოქმედოდ იტალიაში მეორედ ყოფნისას. იქნებ ამ დროს შეასრულა მედიჩების ვილის ორი შესანიშნავი ხედი, ყველაზე უფრო თანამედროვე პეიზაჟი, იმდროინდელი ფერწერისათვის უჩვეულო სიცხოველითა და ხატვის მოჩვენებითი ეტიუდური მანერით შექმნილი ბუნების ცოცხალი სურათი. ჩვეული ხედვისაგან რომ განთავისუფლდა, მხატვარმა შეძლო უშუალოდ აესახა ბუნება, რისკენაც ასე მიისწრაფოდნენ მე-19 საუკუნის იმპრესიონისტები. რომში დახატული პორტრეტების აღიარებამ, კერძოდ მისი თანაშემწის ხუანა პარეხას არაჩვეულებრივად მართალმა, სიცოცხლით სავსე პორტრეტმა განაპირობა მისი არჩევა წმინდა ლუკას აკადემიის წევრად. მავრების შთამომავალი ხუანა დე პარეხა დაიბადა 1610 წელს სევილიაში. მშობლიურ ქალაქში ნიჭიერ მხატვრად აღიარების მიუხედავად, 1630 წელს პარეხა გაემგზავრა მადრიდში შემდგომი სწავლებისათვის. ის აქ იწყებს მუშაობას ველასკესთან, რომელსაც თან ახლდა იტალიაში მოგზაურობისას.

ამ შესანიშნავ პორტრეტზე პარეხა გამოსახულია ნახევარბრუნით. ამაყად თავაწეული, საკუთარი ღირსების შეგრძნებით უყურებს მაყურებელს. მუქ თვალთა მზერაში გამოსჭვივის მგზნებარე და ადვილად აღგზნებადი ხასიათი. ოდნავ გახსნილი, მგრძნობიარე ბაგე სახეს აძლევს მოუსვენარ-მაამებელ უშუალობას, რომელსაც ვერ ნახავთ მეფის ოჯახის პორტრეტებზე. პანთეონში გამოფენილმა შეულამაზებელი სიმართლით შესრულებულმა პარეხას პორტრეტმა საერთო აღფრთოვანება გამოიწვია.

ველასკესს, როგორც უცხოელს წილად ხვდა იშვიათად დიდი პატივი — პაპი ინოკენტი X პორტრეტის დახატვა, რომელიც დღემდე ითვლება პორტრეტული ხელოვნების უდიდეს მიღწევად. თუ ველასკესს მუდმივი მიმნდობი ურთიერთობების მეშვეობით კარგად ჰყავდა შესწავლილი სამეფო კარის მადრიდელი დამკვეთები, ეკლესიის მეთაურის პორტრეტისათვის, რომელსაც პირველად ხვდებოდა, უნდა დაკმაყოფილებულიყო რამდენიმე სეანსით. პაპის საზიზღარი გარეგნობა იმდენად თვალშისაცემი იყო, რომ ეკლესიის მსახურთა შორის დაირხა ხმები ტახტიდან მის ჩამოგდებაზე. ველასკესი არ ცდილობს შეარბილოს ეს შთაბეჭდილება. სწორედ მისმა დამპყრობლურ-დემონურმა პიროვნებამ მიიზიდა მხატვარი, რომელმაც დაარღვია პორტრეტის სქემის პირობითობისა და მდგომარეობის მოთხოვნები. მოდელის აღქმისას იგი სრულად მიენდო თავის გუმანს. პაპი ინოკენტი X გა[illegible]ელის პაპი იულიუს II მ[illegible] სავარძელში მჯდომი. რაფაელთან საპორტრეტო ფიგურა ცენტრშია და ავსებს სურათის თითქმის მთელ სივრცეს. ველასკესთან კი ფიგურა მარცხნივაა მიწეული. ამიტომ წარმოიქმნება სივრცული დაძაბულობა, დამახასიათებელი ბაროკოს ფერწერისათვის, რომლისთვისაც უცხოა რენესანსის ხელოვნებისათვის ნიშანდობლივი კომპოზიციის სიმშვიდე და ზომიერება. იულიუს II იდეალური პაპის სახეა ესპანელი მხატვრის მიერ გამოსახულ ღრმად თვისებური პიროვნების სახესთან შედარებით. რაფაელის თვალებდახრილი პაპი ფიქრებში წასულა, ინოკენტი X პირიქით, დაჟინებით უცქერს მაყურებელს და ჩვენ ვგრძნობთ, რომ მისი მზერა მომართულია უშუალოდ ჩვენკენ და შეუძლებელია არ დაემორჩილდეთ საშიში [illegible] მზერას. სწორედ თვალებია უფრო გამომხატველი ამ უხეშ, ულამაზო სახეზე. ეს არის ანგარებიანი, უნდო კაცის თვალები, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი სითბო და ლმობიერება. თხელი, მაგრად მოკუმული ტუჩები ხაზს უსვამს მის გულჩახვეულობას, მოწმობს საქმიანი, დაუცხრომელი ენერგიის მქონე კაცის ძლიერ ნებისყოფას. „მეტისმეტი სიმართლეა“, — წამოუძახია ინოკენტი X პორტრეტის ნახვისას და ეს გასაგებია, რადგან იმდროინდელი ხელოვნებისათვის უცხოა ასეთი დაუნდობელი სიმართლე. თანამედროვენი გადმოგვცემენ, რომ რომი განცვიფრებული იყო პაპის პორტრეტით, ყველა იღებდა ასლებს, რომ მასზე ესწავლათ ხატვა. სურათის ფერწერულ პალიტრას მხოლოდ ორი ფერი შეადგენს — თეთრი და წითელი, მაგრამ სინათლის კაშკაში ნაკადის ზემოქმედებით წარმოიქმნება განუმეორებელი ელფერის ფერადოვანი გამა. პაპი ინოკენტი X სურათი პორტრეტული ხასიათისა და ფერწერის სრულყოფის მართლაც უბადლო ნიმუშია.

1649-1650 წ. წ. შექმნა მხატვარმა ბრწყინვალე ნაწარმოები „ვენერა სარკის წინ“. ინკვიზიციის ქვეყანაში შიშველი ქალის სხეულის სილამაზის განდიდება მიუღებელი და რისკზე წასვლა იყო. მაგრამ ველასკესმა არაერთხელ მიმართა ქალის შიშველი სხეულის გამოსახვას, რომლის საფუძველსაც, რა თქმა უნდა, მითოლოგიური სიუჟეტი წარმოადგენდა. ვენერას ამ გამოსახულებებიდან მხოლოდ ერთია შემორჩენილი ლონდონში, რომელიც როგორც ვარ-

უდობენ შეიქმნა მხატვრის იტალიაში მეორედ გამგზავრების პერიოდში.

მუთაქებიან ტახტზე ნახევრად მიწოლილი არაჩვეულებრივად ნატიფი, ლამაზი და მოქნილი ტანის, ცალ ხელზე თავდაყრდნობილი ქალი ზურგშექცევითაა ჩვენსკენ. ეს პოზა მის სხეულს ანიჭებს იმ დრეკად რიტმს, რომლის თვალყურის დევნებაც აუწერელ ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს. ვენერას წინ, სარეცელზე, მოწითალო-იისფერ ფარდის ფონზე, მუხლმოყრილი კუპიდონია, სიყვარულის ფრთიანი ღვთაება. მას უჭირავს შავჩარჩოიანი სარკე, რომელშიც მოჩანს ლამაზი ვენერა, მაგრამ გამოსახულება იმდენად ბუნდოვანია, რომ ყოვლად შეუძლებელია მენატურე ქალის პიროვნების დადგენა. ცივი ტონების ფონზე შიშველი ვენერას ნატიფი სხეული თითქოს სითბურ სხივებს გამოსცემს, რომელიც ნაზ-ვარდისფრად კუპიდონის სხეულზე აალდება და ხელახლა ინთქმება ქალისავე სხეულში. როგორც სასახლის ლამაზები იყენებდნენ შავ ქსოვილს თავიანთი სხეულის მიმზიდველი სილამაზის წარმოსაჩენად, ისე აქაც. აბრეშუმის გადასაფარებლის მოვერცხლისფრო-მონაცრისფერო ტონების ფონზე ვენერას სხეულის ნაზი კანი ქმნის შთამბეჭდავ კონტრასტს.

ფილიპე IV არაერთხელ და დაჟინებით მოითხოვს კარის მხატვრის დაბრუნებას შინ. იმაზე ფიქრიც კი, რომ აუცილებელი იყო თავისუფალი შემოქმედებითი აღტყინების მომგვრელი იტალიის ცხოვრების მიტოვება და დაბრუნება მადრიდის სამეფო კარის პირქუშ, შემბოჭავ გარემოში, აიძულებდა მხატვარს როგორმე გაეხანგრძლივებინა იტალიაში ყოფნა. 1651 წელს მადრიდში დაბრუნებისთანავე ცდილობს განამტკიცოს თავისი პოზიცია საზოგადოებაში და მიაღწიოს გოფმარშლის პოსტს. ესპანეთის სამეფო კარის იერარქიის ეს უმაღლესი რანგი გულისხმობდა მრავალრიცხოვანი არაშემოქმედებითი ამოცანების შესრულებას: პასუხისმგებლობა სამეფო სასახლეების მშვენებლობასა და ხელოვნების ნაწარმოებთა კოლექციაზე, მონარქების ვიზიტების მომზადება სხვადასხვა რეზიდენციებში და მუდმივი თანხლება მეფის მოგზაურობისას. ფილიპე IV მრავალრიცხოვან პრეტენდენტთაგან შეარჩია ველასკესის კანდიდატურა და 1652 წელს დანიშნა კიდეც გოფმარშლად. გასაკვირია, რომ, მიუხედავად გადატვირთული სამუშაო დღისა, მუდმივმა საზრუნავმა და საწუხარმა კვალი ვერ დააჩნია მხატვრის ბოლო ათწლეულის ნამუშევრებს. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა შინაარსითა და ესთეტიკური ზემოქმედებით ღრმა ტილო „ფილიპე IV ოჯახი", შემდეგში ცნობილი „ლას მენინას" („ფრეილინები") სახელწოდებით. კომპოზიციურად ახალი ტიპური პორტრეტის ცენტრში დგას პატარა ინფანტა მარგარიტა, მომხიბვლელი ქმნილება, რომელიც არაერთხელ აისახა მხატვრის ადრეულ პორტრეტებშიც. შენობის სივრცეში განლაგებული ფიგურები ქმნის მოვლენის ცოცხალ სურათს. ნახატზე უშუალოდაა გადმოცემული სასახლის ცხოვრების საერთო დინების ერთ-ერთი მომენტი, სადაც მხატვარს თავისი თავიც გამოუსახავს. აქ უპირველესად ახალია ფერების პალიტრა, ფერადოვანი ნაკადის მდინარება. უზარმაზარ ცხოველმყოფელობას ანიჭებს ამ ნახატს სინათლის, ფერის ზემოქმედებით, როგორც მისი სიმწიფის პერიოდის ნამუშევრების უმრავლესობაზე, სრულიად იკარგება ფერადობის ერთგვაროვნება, აღარ არსებობს ლოკალური ფერები. სრული თანმიმდევრობითაა დიფერენცირებული ფერთა გადასვლის ნიუანსები, რაც ქმნის სურათის ჰარმონიულ ფერადობას იშვიათი ფერწერული ხერხებით. კონტურები განზავებულია სინათლესა და ფერში, ჩრდილები გამჭვირვალეა. ეს არის მთლიანის დანახვის უნარი, რომელიც გვაოცებს არა ცალკეული დეტალების ზუსტი გადმოცემით, არამედ სხვადასხვაგვარი ნაწილების ყოვლისმომცველი განზოგადებით. სურათში ყველაფერი გამსჭვალულია ვერცხლისფერი ჰაერის მთრთოლვარებით.

ფილიპე IV და ავსტრიელი მარიანას ქალიშვილის — პატარა მარგარიტას გამოსახულება ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპული ფერწერის ბავშვთა პორტრეტებში. მხატვარმა გოგონას სახეს მიანიჭა მისი ასაკისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება და ამით აიცილა საშიშროება — პატარა ბავშვში დაენახა მოზრდილი პრინცესას ჩვევები. სამი წლის მომხიბლავი ქმნილება გაშლილი კოკორივით ნაზია. ინფანტას აცვია მდიდრულად მორთული, ვერცხლისფერი თასმებით გაწყობილი ღია ვარდისფერი კაბა. შავი მაქმანი საყელოს ამონაჭერთან და სახელოზე, ოქროს ძეწკვი კისერსა და მაჯებზე აცოცხლებს დახვეწილ ფერწერულ კოლორიტს. მარცხენა ხელში მარაო უჭირავს. მარჯვენათი — პატარა მაგიდას ეყრდნობა — ამ ხერხს ხშირად იყენებს მხატვარი, რათა არ გადაღალოს მოდელი სეანსის დროს. ცისფერსუფრაგადაფარებულ მაგიდაზე დგას ყვავილებიანი შუშის ლარნაკი, რომლიდანაც თეთრი ვარდი გადმოვარდნილა. ოთახის იატაკზე ძვირფასი აღმოსავლური ხალიჩა აფენია. ნეიტრალური ცისფერი ტონის ნაოჭახსმული ფარდის ფონზე უფრო მომხიბლავი ჩანს გოგონა. ქერა, აბრეშუმოვანი თმით შემოგარული ნაზი სახე გამსჭვალულია რბილი ნათელით. ცნობისმოყვარედ და გაოცებული შეჰყურებს ბავშვი ცხოვრებას.

რომელმაც არც თუ ისე ბედნიერი მომავალი მოუმზადა. ინფანტას გარდაცვალებამდე ამ პირველი სურათის გარდა, მხატვარმა შეასრულა მისი რამდენიმე პორტრეტი. მათი დანიშნულება ძირითადად იყო იმპერატორ ლეოპოლდ I ვენაში შეეტყო, როგორ იზრდებოდა მისი საცოლე.

პორტრეტზე „ინფანტა მარგარიტა ცისფერში" მხატვრის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. გოგონას აცვია სასახლის კარის მანდილოსნის კაბა განიერი ქვედაკაბით — კრინოლინი. ადრეული პორტრეტებით თუ ვიმსჯელებთ, მარგარიტა ლამაზი უნდა გაზრდილიყო. ამ პორტრეტზე უკვე გარკვევით ჩანს, რომ რვა წლის ინფანტა, გამხუჭალული მადრიდის სამეფო კარის დამახრჩობელი მორალური გახრწნილებით, სულ უფრო კარგავს თავის ბავშვურ მომხიბვლელობას.

რამდენიმე წლის შემდეგ ველასკესი ქმნის ცნობილ ტილოს „მრთველები" (თავდაპირველი სახელწოდება — „მითი არაქნეს შესახებ", 1657 წ.). სიუჟეტს საფუძვლად დაედო ოვიდიუსის იგავი მრთველი ქალის არაქნესა და ქალღმერთ ათენას კამათზე. წინა ხედზე წამოწეულია ქალთა მუშაობა, რომელიც კომპოზიციის განმსაზღვრელი მოტივია. ფერმწერს მოქმედება გადმოაქვს მითოლოგიიდან, ზმანებათა სამყაროდან მოვლენებითა და სიცოცხლით სავსე სინამდვილეში. ეს ნაწარმოები დამსახურებულად ითვლება ახალ სიტყვად ფერწერაში, რომელიც ასახავს მშრომელი ხალხის შემოქმედებით ძალას, მის სილამაზეს.

სენმა შეარყია მხატვრის ჯანმრთელობა და 1660 წლის 7 აგვისტოს, 61 წლის ასაკში, გარდაიცვალა. დაკრძალვის მდიდრული ცერემონიალის შესაფერისი რიტუალებით იგლოვა მხატვარი სამეფო კარმა. უეჭველია, ეს პატივი მიაგეს მას როგორც ჰოფმარშალს და არა როგორც მხატვარს. მხოლოდ ერთეულნი ხვდებოდნენ, რომ გამოეთხოვნენ თავისი ქვეყნის უდიდეს ხელოვანს.

ველასკესის შემოქმედება თითქმის მიუწვდომელი იყო თავისი თანამედროვეებისთვის, რადგან მისი ტილოების უმეტესი ნაწილი ინახებოდა მეფის სასახლეში. დღეს კი ამ ნახატების უმრავლესობა ინახება მადრიდის მუზეუმში, — პრადოში. სხვადასხვა პუბლიკაციის წყალობით დღეს ისინი მსოფლიოშია ცნობილი. პირველად მანემ შეაფასა ის დამსახურებულად. მხატვრის კოლორიტული ოსტატობა საკამათო არ არის. არც ისე დიდი ხნის წინ, ხოზე ლოპეს-რეი აღნიშნავდა, რომ ველასკესი ერთსა და იმავე ტილოზე ღვთაებრივისა და მიწიერის, ადამიანურის გამოსახატავად იყენებდა წერის სხვადასხვა ხერხს. მის ბოლო ნამუშევრებში მთელი სისრულით გამოჩნდა მხატვრის შემოქმედებითი თავისებურება: სინამდვილის ღრმა წვდომა, ობიექტური სიზუსტე, ადამიანის შინაგანი სიმდიდრისა და წინააღმდეგობებით აღსავსე დამოკიდებულების, გარეგნული სისადავისა და შინაგანი სირთულის მთლიანობაში გამოსახვა, ძუნწი, მაგრამ ნიუანსებით მდიდარი, ჰაეროვანი ფერწერული მანერა. სარწმუნოებრივი თემატიკითა და განწყობილებით შეზღუდულ ესპანურ ფერწერას მან პირველმა მიანიჭა საერო ხასიათი. მისი შემოქმედება XVII საუკუნის ესპანური ფერწერის მწვერვალია, მსოფლიო რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთი დიდი მოვლენა.

# გამორჩენილ ადამიანთა ღიმილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა შალვა ამირანაშვილმა

## სასურველი ფინალი

ცნობილი გერმანელი კომპოზიტორი და მევიოლინე ლუდვიგ შპორი თავისი ახალი ორატორიის რეპეტიციებზე რვა წლის ქალიშვილთან ერთად დადიოდა. გოგონა უხალისოდ უსმენდა ორატორიას, მაგრამ როდესაც ფინალური ფუგა აჟღერდებოდა, საგრძნობლად გამოცოცხლდებოდა ხოლმე.

— მოგწონს ჩემი ფუგა? — ჰკითხა მამამ შვილს.

— არა, მამიკო, — მიუგო გოგონამ, — როდესაც მუსიკოსები ამ ფუგას იწყებენ, უკვე ვიცი, რომ შენი ნაწარმოები მთავრდება, ჩვენ მალე დავბრუნდებით შინ და ვისადილებთ.

## ძმისწულის მიზეზით

გამოჩენილი ფრანგი პოეტისა და კომპოზიტორის, „მარსელიოზის" ტექსტისა და მუსიკის ავტორის რუჟე დე ლილის ძმა, რომელსაც დიდხანს გენერლის პოსტი ეკავა, მოულოდნელად სამსახურიდან გადადგა. ცნობისმოყვარეთა შეკითხვებზე, თუ რა იყო გადადგომის მიზეზი, მან უპასუხა, ძმისწულის ბრალიაო.

— განა თქვენ ძმისწული გყავთ?

— რა თქმა უნდა. ჩემი ძმა ხომ „მარსელიოზის" მამაა!

## უსაზღვროება

ერთხელ საფრანგეთის მეფემ თავის ასტროლოგს მნათობთა შესახებ რაღაც შეეკითხა, რაზედაც ასტროლოგმა უპასუხა, არ ვიციო.

— ფულს იმიტომ გიხდი, რომ უნდა იცოდე, — უსაყვედურა მეფემ.

— თქვენ მე იმის საფასურს მიხდით, რაც ვიცი, თორემ იმის გადასახდელად ,რაც არ ვიცი, მთელი სახელმწიფოს ქონება არ გეყოფოდათ, — მიუგო მან.

## „თავმდაბლობა"

ცნობილი კინომსახიობი ქალის საუბრიდან:

— კმარა ჩემზე ლაპარაკი, ახლა თქვენ შესახებ ვისაუბროთ. მითხარით, გეთაყვა, როგორ მოგეწონეთ ბოლო ფილმში?

---

## დონიცეტის თვალსაზრისით

იტალიელი კომპოზიტორი გაეტანო დონიცეტი წარმოუდგენელი სისწრაფით მუშაობდა, რის წყალობითაც სამოცდაათი ოპერა შეთხზა.

ერთხელ მისი თანდასწრებით საუბარი ჩამოვარდა იმის შესახებ, რომ როსინიმ ყველასდა გასაოცრად, ოპერა „სევილიელი დალაქი" ცამეტ დღეში დაწერა.

და აი, დონიცეტს ჰკითხეს, რას იტყვით ამის თაობაზეო.

— მთელი ცამეტი დღე მოუნდა?! — გაიკვირვა კომპოზიტორმა და მაშინვე დასძინა: — თუმცა, რა მიკვირს, როსინი ხომ ყოველთვის ნელა წერდა...

## ასეც ხდება

ერთმა ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა გაზეთში წაიკითხა ლექსი, რომელსაც მისი გვარი ჰქონდა მოწერილი, თუმცა მას არ ეკუთვნოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შურისძიების წყურვილი

ერთხელ ოპერაში როსინიმ მეზობლად მჯდომს გადაუჩურჩულა:

—ძალიან ცუდი მომღერალია, ცუდი ხმა აქვს.

— იქნებ შინ წასვლა გირჩევნიათ? — შესთავაზა მეზობელმა.

— რას ამბობთ, — მტკიცედ იუარა როსინიმ, — გადმოცემით ვიცი, რომ მაგას მესამე მოქმედებაში ქალი კლავს და მინდა დაველოდო.

## კოლექციონერი

ჯოაკინო როსინის ერთი მეგობარი თავისი ნაცნობის შესახებ უამბობდა, რომელმაც ყველა დროისა და ხალხის საწამებელი იარაღის კოლექცია შეაგროვა.

— კოლექციაში ფორტეპიანო თუ იყო? — დაინტერესდა ჯოაკინო.

— ცხადია, არა.

— მაშასადამე, ბავშვობაში მუსიკა არ უსწავლია...

## დაგვიანებული აღიარება

ერთხელ მილანის კონსერვატორიის დირექტორთან ვიღაც ყმაწვილი გამოცხადდა და ხოხოვა გამოეცადა. მან საკუთარი ნაწარმოებები დაუკრა როიალზე. რამდენიმე დღის შემდეგ პასუხი მიიღო:

„დაივიწყეთ კონსერვატორიაზე ფიქრი და ქალაქის მუსიკოსთა შორის იშოვეთ მასწავლებელი".

ეს მოხდა 1882 წელს და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მილანის კონსერვატორიას პატივი ხვდა, ეტარებინა თავის მიერ ოდესღაც უარყოფილი მუსიკოსის სახელი. ეს სახელი გახლავთ — ჯუზეპე ვერდი.

## წარმატება უზრუნველყოფილია

ერთმა ახალგაზრდა კომპოზიტორმა იოჰან შტრაუსს თავისი ახალი ბალადა მოასმენინა.

— მშვენიერი ნაწარმოებია! — უთხრა შტრაუსმა, — ოღონდ აი ზოგიერთი ადგილი მოცარტს მაგონებს.

— არა უშავს, ეს ხელს არ შეუშლის! — მიუგო ამაყად კომპოზიტორმა. — მოცარტს ყოველთვის სიამოვნებით ისმენენ...

◻

«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ АЛЬМАНАХ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ
На грузинском языке
1989 № 2
СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ
ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ ПО ХУДОЖЕСТВЕННОМУ ПЕРЕВОДУ И ЛИТЕРАТУРНЫМ ВЗАИМОСВЯЗЯМ



დიეგო ველასკესი. პაპ ინოკენტის პორტრეტი. დეტალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიეგო ველასკესი. ქალბატონი მარაოთი

76182